

**SHALVA CHIKVASHVILI
ЧИКВАШВИЛИ ШАЛВА**

**FAMILY LAW
СЕМЕЙНОЕ ПРАВО**

Tbilisi 2004 Тбилиси

შალვა ჩიკვაშვილი

საოჯახო სამართალი

მეოთხე გადამუშავებული გამოცემა
უახლესი ცვლილებებითა და დამატებებით

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია
სახელმძღვანელოდ უახლესი სასწავლებლების იურიდიული
სპეციალისტების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

2004

„საოჯახო სამართალი“ წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევასა და ანალიზს საოჯახო სამართლის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებზე.

მასში გაშუქებულია საოჯახო სამართლის ისეთი საკითხები, როგორცაა: ქორწინება, მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, ქორწინების შეწყვეტა, ბათილად ცნობა, შვილების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, შვილება (შვილად აყვანა), მეურვეობა და მზრუნველობა, ოჯახის წევრთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანა, საოჯახო ურთიერთობანი უცხოელი მოქალაქეების მონაწილეობით და სხვ.

წიგნი რეკომენდებულია სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ.

ვიმედოვნებთ, რომ იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სამართალმცავი და სასამართლო ორგანოების მუშაკებს. მას არანაკლები ინტერესით გაეცნობიან მეცნიერები და საოჯახო სამართლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრე.

რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი *ლელა ნადიბაიძე*

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი *ზურაბ კლიმარიშვილი*

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი *თემურ მონიავა*

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004

© შ. ჩიკვაშვილი, 2004

ISBN 99928-22-38-4

წინათქმა 9
შესავალი 13

თავი პირველი

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება

§1. საოჯახო სამართლებრივი
 ურთიერთობები 17
§2. საოჯახო სამართლის პრინციპები 26
§3. ვადები და სასარჩელო ხანდაზმულობა საოჯახო
 სამართალში 31
§4. საოჯახო სამართლის სისტემა და წყაროები 33
§5. ანალოგია საოჯახო სამართალში 35

თავი მეორე

ოჯახის ცნება და მისი განვითარების ისტორიული გზა 37

თავი მესამე

ქორწინება

ქორწინების ცნება, წესი და პირობები 63

თავი მეოთხე

მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი

§1. პირადი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის 97
§2. ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის 122
§3. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი
 ურთიერთობანი (საქორწინო კონტრაქტი) 179
§ 4. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა 206

თავი მეხუთე

ქორწინების შეწყვეტა

- § 1. განქორწინების ისტორიული ასპექტი 217
- § 2. განქორწინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში 223
- § 3. განქორწინება სასამართლოში 228
- § 4. ქორწინების ბათილად ცნობა 255

თავი მეექვსე

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები

- § 1. შვილების წარმოშობის დადგენა 269
- § 2. მამობის ან დედობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები 271

თავი მეშვიდე

მშობლებისა და შვილების პირადი უფლებები და მოვალეობები

- § 1. შვილების პირადი უფლებები 291
- § 2. მშობლის უფლების ჩამორთმევა 316

თავი მერვე

მშობლების, შვილებისა და ოჯახის სხვა წევრთა

ქონებრივი უფლება-მოვალეობანი 330

თავი მეცხრე

საალიმენტო ვალდებულება

- §1. ზოგადი დებულებანი 347
- §2 მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობა 354
- §3 შვილების მიერ მშობლების რჩენის მოვალეობა 374
- §4 ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი 382
- §5 ალიმენტის გადახდის წესი 392

თავი მეათე

შვილება

- §1. შვილების ცნება და მნიშვნელობა 401
- §2. შვილად აყვანის წესი, პირობები და
სამართლებრივი შედეგები 413
- §3. შვილად აყვანის გაუქმება 424
- §4. შვილად აყვანის ბათილად ცნობა 430
- §5. ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება 434

თავი მეთერთმეტე

მეურვეობა და მზრუნველობა

- §1. მეურვეობისა და მზრუნველობის
ცნება და მნიშვნელობა 439
- §2. მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება 443
- §3. მეურვეთა და მზრუნველთა
უფლება-მოვალეობები 451
- §4. მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტა 457

თავი მეთორმეტე

ოჯახში შვილად მიღებული ბავშვის სამართლებრივი

- მდგომარეობა 459

თავი მეცამეტე

- §1. უცხო ქვეყნის საოჯახო სამართლის ნორმების
გამოყენების საფუძვლები 475
- §2. ქორწინებისა და განქორწინების სამართლებრივი რეგულირება
უცხოელი მოქალაქეებისა და
მოქალაქეობის არმქონე პირთა მონაწილეობით 479
- §3. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ხასიათის ურთიერთობათა
სამართლებრივი რეგულირება უცხო ელემენტის
მონაწილეობით 486

§4. მშობლებსა და შვილებს შორის და ოჯახის სხვა წევრების პირადი და ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება უცხო ელემენტის მონაწილეობით.	490
§5. რჩენის მოვალეობა	492
§6. შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირება უცხო ელემენტის მონაწილეობით.	495
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	500
ამოცანები	517

წინათქმა

ოჯახის შექმნისა და განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართალს. იგი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ოჯახის შექმნაზე და აწესრიგებს ურთიერთობათა ფართო წრეს როგორც მთლიანად ოჯახის, ისე მისი თითოეული წევრის ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანებამ მნიშვნელოვანი პერსპექტივები დაუსახა ქვეყანას. ამავე დროს, ამ ფაქტმა დიდი ვალდებულებებიც დააკისრა მას ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კანონმდებლობაში. 1997 წლის 25 ნოემბერს ძალაში შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ახალი ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების გათვალისწინებით, წარმოადგენს პროგრესს სრულყოფილი სამართლებრივი სისტემის შექმნის გზაზე.

ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კოდექსის შევჯერება ახალ სამოქალაქო კოდექსთან (სადაც საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს მიძღვნილი აქვს მეხუთე წიგნი) გვარწმუნებს, რომ ადგილი აქვს სამართლის მონაცვლეობით მიდგომას. ამასთან, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ცხოვრების სხვა სფეროში მომხდარ ძირეულ ძვრებს შეუძლებელია არ გამოეწვია სერიოზული ცვლილებები საოჯახო კანონმდებლობაში. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ წიგნში მრავლადაა მნიშვნელოვანი სიახლეები, რომელთა არსი და მიმართულებაც განხილულია მათ პრაქტიკულ გამოყენებასთან მიმართებაში.

წიგნში მოცემულია საოჯახო სამართლის ისეთი ინსტიტუტების ვრცელი დახასიათება და სამართლებრივი ანალიზი, როგორცაა: საქორწინო კონტრაქტი, საალიმენტო ვალდებულება და სხვა.

საქართველოსა და ევროპის წამყვანი ქვეყნების (ინგლისი,

საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი) საოჯახო კანონმდებლობათა შედარებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ჩვენი საოჯახო კანონმდებლობის ცალკეული ნორმების ღირსება და ნაკლი, გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ თავს არ ვარიდებთ რთული, პრობლემატური და სადავო საკითხების განხილვას, რომელთა მიმართებაშიც გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებს.

ნაშრომის აგებულება ძირითადად შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის – საოჯახო სამართლის – სტრუქტურას.

დაბოლოს, გვსურს დიდი პატივისცემითა და თხოვნით მივმართოთ მკითხველს, გეაცნობოს თავისი მოსაზრება წიგნის თაობაზე. განსაკუთრებით მაღლიერი დავრჩებით საქმიანი შენიშვნების მოწოდებისათვის.

პროფესორი
შალვა ჩიკვაშილი

PREFACE

On November 1997 came into force the New Civil Code of Georgia. Its adoption became an important step on the way of making the developed legal system, conforming to the new social and economic relations forming in Georgia today.

Compare this New Civil Code to the former Matromony and Family Code (in Civil Code to the Family-legal relations is dedicated the 5-th Book) makes us sure in the continuity of the approach of Georgian Law to the regulations of family relations. At the same time the striking changes in the economic, social, political and other spheres made serious influence on changes in Family Legislation. The 5-th Book is rich in innovations, the sense and direction of which we are faced to comprehend and realise on practice. There is given in the book the detailed description and legal analysis to the new institutions of Family Law, as for example the Marriage-contract is. Using the comparative analysis of Georgian Family Legislation with the same in developed European countries (Great Britain, France, Germany, Russian federation and etc., in the first one can be shown up the merits and demerits of separate norms of Georgian Family Legislation. The author of the Book do not avoid moot points, makes analysis and his own observations.

The structure of the Book, in general, corresponds to the 5-th Book structure of the Georgian Civil Code.

And finally I want to address with great respect to all readers to express there view on this work and especially I will be thankful for practical remarks.

Professor
SHALVA CHIKVASHVILI

ПРЕДИСЛОВИЕ

25 ноября 1997 года вступил в силу новый Гражданский кодекс Грузии. Его принятие явилось значительным шагом на пути создания развитой правовой системы, соответствующей складывающимся в Грузии новым экономическим и социальным отношениям.

Сопоставление ранее действующего кодекса о браке и семье с новым Гражданским Кодексом (в котором семейно-правовым отношениям посвящена пятая книга) убеждает в преимуществах подхода Грузинского права к регулированию семейных отношений. Вместе с тем разительные перемены, происшедшие в экономической, социальной, политической и иных сферах жизни, не могли не повлечь серьезных изменений в семейном законодательстве. Пятая книга изобилует новшествами, суть и направленность которых предстоит осмыслить и воплотить на практике. В книге дается подробная характеристика и правовой анализ новых институтов семейного права, какими являются, например, брачный договор, алиментные обязательства и др. Прибегая к сравнительному анализу грузинского семейного законодательства с семейным законодательством многих передовых европейских стран (Англия, Франция, Германия, Российская Федерация) в работе выявляются достоинства и недостатки отдельных норм нашего семейного законодательства. Автор не избегает спорных вопросов, анализирует их и высказывает по ним свои соображения.

Наконец, хочу с большим уважением обратиться к читателю с просьбой прислать свои предложения по данной работе и особенно буду благодарен за деловые замечания.

Профессор
ШАЛВА ЧИКВАШВИЛИ

შესავალი

ოჯახი საზოგადოების პირველადი უჯრედია. ადამიანი ოჯახში იბადება და იქ ატარებს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს. სწორედ ოჯახში იჩენს თავს ყველაზე იღუმალი მხარეები, რაც იძლევა სიცოცხლის შეგრძნებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბედნიერება.

დიდია ოჯახის როლი არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრებაშიც. ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას და ასრულებს ბავშვების აღზრდის ფუნქციას. იმაზე, თუ როგორია ურთიერთობა ოჯახში, როგორია მისი წევრების მორალური სახე, ბევრად არის დამოკიდებული ბავშვების – ჩვენი საზოგადოების მომავლის – აღზრდა. თითოეული მათგანისათვის ბედნიერი ბავშვობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე დამყარებულ ოჯახში.

საოჯახო ურთიერთობა რთულია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, პირად განცდებთან, ინტიმურ ცხოვრებასთან და ა. შ.

ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ პირთა დამოკიდებულება. მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისათვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს მათ სამართლებრივ მოწესრიგებას.

საოჯახო ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირებისას, აუცილებელია განსაზღვრული ზომიერებისა და ტაქტის დაცვა. სახელმწიფო ასეთ მოწესრიგებას მიმართავს მხოლოდ მაშინ, როდესაც საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცება დაკავშირებულია განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესებთან. კანონის მოქმედების გავრცო-

ბა ამ ფარგლებს მიღმა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში დაუშვებელი ჩარევა იქნებოდა.

ოჯახის მნიშვნელობა და მისი განსაკუთრებული როლი თითოეული ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში აღიარებულია მსოფლიოს თანამეგობრობის მიერაც. ასე მაგალითად, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში (1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“, 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“) აღნიშნულია, რომ ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უჯრედს და, შესაბამისად, გააჩნია დაცვის უფლება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ მოცემული დებულებები განმტკიცებულია ევროპის მრავალი განვითარებული ქვეყნის საკონსტიტუციო კანონმდებლობაში. მაგალითად, იტალიის კონსტიტუციაში ოჯახი განიხილება, როგორც ქორწინებაზე დამყარებული ბუნებრივი კავშირი¹, საბერძნეთის კონსტიტუციაში – როგორც ერის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველი². ირლანდიის კონსტიტუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო აღიარებს ოჯახს, როგორც საზოგადოების პირველწყაროსა და გამაერთიანებელ საფუძველს, აგრეთვე როგორც ხელშეუვალი და განუსხვისებადი უფლებების შემცველ ბუნებრივ ინსტიტუტს“. ამასთან დაკავშირებით „სახელმწიფო იძლევა ოჯახის, როგორც სოციალური წესრიგის, ხალხისა და სახელმწიფოს აყვავებისათვის აუცილებელი და შეუცვლელი საფუძვლის დაცვის, ორგანიზებისა და ავტორიტეტის გარანტიას“³.

¹ Конституция зарубежных государств. Конституция Итальянской Республики, ст. 29. М., 1997, с. 249.

² Конституция Греции, ст. 21. Там же, с. 374.

³ Конституция Ирландии. В сб.: Конституции государств Европейского Союза /Под ред. Окунькова Л.А. М., 1997, с. 351).

ოჯახის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებმა ასახვა პოვა საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაშიც, რომელიც საფუძველად დაედო სხვადასხვა კანონების მიღებას. მათ შორის ისეთისაც, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრთა სპეციფიკურ ურთიერთდამოკიდებულებას. კონსტიტუციამ მეორე თავში აღიარა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად აქცია ოჯახი; მის დაცვასა და მასზე ზრუნვას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო. კერძოდ, კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“.

საქართველოს კონსტიტუცია, ეყრდნობა რა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ქორწინებას აფუძნებს მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობისა და ნებაყოფლობით პრინციპზე (36-ე მუხლის პირველი პუნქტი).

აღნიშნულმა უფლებებმა განსაკუთრებული ასახვა პოვა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 26 ივნისს მიღებულ სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან. საოჯახო კანონმდებლობის განახლება დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარ ძირეულ ცვლილებებთან. ყოველივე ზემოთქმული უშუალოდ ეხება საზოგადოების ისეთ სოციალურ ინსტიტუტებს, როგორცაა ქორწინება და ოჯახი.

სამოქალაქო კოდექსში საოჯახო სამართლისათვის, როგორც სამართლის ქვედარგისათვის, დამოუკიდებელი ადგილის დათმობა განპირობებულია იმ სიახლეებით, რაც ახლავს საოჯახო სამართალს. ასეთებს განეკუთვნება: საქორწინო კონტრაქტი, შეთანხმება აღიშენების გადახდის თაობაზე და სხვა.

საქორწინო-საოჯახო სამართლის ნორმებს, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს. ისინი ადამიანთა შეგნებაში ნერგავენ სწორ წარმოდგენას ქორწინებაზე და მიზნად

ისახავენ ოჯახის განმტკიცებას, ოჯახში ისეთ ურთიერთობათა შექმნას, რაც შეესაბამება განვითარებულ საზოგადოებაში მისაღები მორალისა და ზნეობის ნორმებს.

საოჯახო სამართალი, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგი, თავის ამოცანებსა და პრინციპებს ახორციელებს სამართლის სხვა დარგებთან კავშირში. მას განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს თვით სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებთან, რითაც უნდა აიხსნას ისეთი ურთიერთობების განხილვა, რომლებიც წარმოიშობა ოჯახის წევრებს შორის პირადი საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებთან დაკავშირებით.

თავი პირველი

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება

§1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები

საოჯახო ურთიერთობები წესრიგდება როგორც ზნეობის ნორმებით, ჩვეულებებითა და რელიგიური წესებით, ისე საოჯახო სამართლის ნორმებითაც.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსი მოიცავს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს, დღის წესრიგში დადგა საოჯახო სამართლის ადგილის განსაზღვრა სამართლის სისტემაში – არის თუ არა ის სამართლის დამოუკიდებელი დარგი, სამოქალაქო სამართლის ქვედარგი თუ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი.

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება, რომელსაც საფუძვლად დაედო დარგობრივი პრინციპი, კერძოდ კი ის, რომ სამოქალაქო სამართალი არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი და მისი ძირითადი ნორმები კოდიფიცირებულია სამოქალაქო კოდექსის სახით, მიგვანიშნებს, რომ მას გააჩნია სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი. სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მოწესრიგება, ე.ი. საოჯახო ურთიერთობებიც არის სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი.

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე დამოუკიდებელი კოდექსის სახით მოქმედებდა საქორწინო და საოჯახო კოდექსი. ამასთან, სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი იყო

ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის ზოგიერთი პირადი ურთიერთობები, ზოლო საოჯახო სამართლის რეგულირების საგანი კი საოჯახო-საქორწინო ურთიერთობები. ამდენად, სამოქალაქო სამართლისა და საოჯახო სამართლის რეგულირების საგანს შეადგენდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი და თითოეული მათგანი მიჩნეული იყო სამართლის დამოუკიდებელ დარგად. შესაბამისად, ისინი დარგობრივი პრინციპის მიხედვით კოდიფიცირებულ იქნა დამოუკიდებელი კოდექსების სახით. დღეს კი, როდესაც საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება იქცა სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგნად, რა თქმა უნდა, საუბარიც კი ზედმეტია იმაზე, რომ საოჯახო სამართალი არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი. დღეს საოჯახო სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, რეგულირების საგანს, რამაც მას წაართვა სამართლის დამოუკიდებელ დარგად არსებობის უფლება და სამოქალაქო სამართლის ქვედარგად გადააქცია.

საოჯახო სამართალი, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგი, შედგება მთელი რიგი საოჯახო სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან, რომლებიც არეგულირებენ საოჯახო ურთიერთობების ცალკეული სფეროს ერთ კონკრეტულ მხარეს, ერთგვარადაც და ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ქორწინებისა და ოჯახის საფუძველზე.

საოჯახო სამართლის სამოქალაქო სამართლის ქვედარგად აღიარება განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის წევრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისაკენ, მათ შორის ისეთი ურთიერთობების ფორმირებისაკენ, რომლებიც აგებულია ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის, ურთიერთდახმარებისა და ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის საფუძველზე.

თანამედროვე ოჯახი წარმოადგენს ქორწინებასა და მასთან დაკავ-

შირებულ სხვადასხვა სახის ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგს. სოციოლოგიური თვალსაზრისით, ოჯახის ქვეშ იგულისხმება „ქორწინებაზე ან ახლო ნათესაობაზე დაფუძნებული ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან საერთო ოჯახური ყოფით, ურთიერთდახმარების, მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის გრძნობებით“ ან „ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც შეადგენენ ცოლი, ქმარი, შვილები და ერთად მცხოვრები სხვა ახლო ნათესაები“¹. პირთა ერთად ცხოვრება და ერთმანეთის მიმართ უფლებებისა და მოვალეობების არსებობა მიიჩნევა ოჯახის მთავარ ნიშან-თვისებად, რაც ამ ურთიერთობებს სპეციფიკურ ხასიათს ანიჭებს.

საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს წარმოადგენს არა ოჯახი, როგორც ასეთი, არამედ მის წევრებს შორის არსებული ურთიერთობები (საოჯახო ურთიერთობები). თუმცა, არა ყველა მათგანი ექვემდებარება სამართლის ნორმებით რეგულირებას (მაგალითად, სიყვარული, პატივისცემა, ფსიქოლოგიური, სულიერი კავშირი, მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა შორის არსებული სხვა გრძნობები). ოჯახში არსებული მრავალი კავშირი იმყოფება ზნეობრივი წარმოდგენებისა და მორალური ნორმების ინტენსიური ზემოქმედების ქვეშ. ამიტომ საოჯახო კანონმდებლობის მოქმედების ფარგლებს გარეთ რჩება ოჯახის წევრთა შორის არსებულ ურთიერთობათა საკმაოდ ფართო წრე, რომლებიც, მათი არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება მოწესრიგდეს კანონით. საოჯახო კანონმდებლობა გამოყოფს ოჯახში არსებული ურთიერთობებიდან მხოლოდ ისეთს, რომლებიც ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას, მათი არსისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც შეადგენს საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს, ანუ სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს. კერ-

¹ Шершеневич Г.Ф. Учебник русского гражданского права, М, 1995, с. 406; Матвеев Г.К. Советское семейное право, М, 1985 с. 46-48; Рясенцев В.А. Советское семейное право, 1982, с 42-43

ძოდ, საოჯახო კანონმდებლობის მოწესრიგების სფეროს წარმოდგენს ისეთი სპეციფიკური ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაფუძნებულია ქორწინებაზე; დაქორწინების წესი და პირობები; ქორწინების შეწყვეტა და ბათილად ცნობა; ოჯახის წევრთა (მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, სხვა ნათესავების) პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობები, აგრეთვე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების ფორმები და წესი. აღნიშნულიდან ჩანს, რომ სამართლებრივი რეგულირების სფეროს განეკუთვნება ოჯახური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახის წევრთა უფლებამოვალეობათა წარმოშობასთან, შეცვლასა და შეწყვეტასთან, და საჭიროებენ მკაფიო სამართლებრივ რეგლამენტაციას. ოჯახში არსებული სხვა ურთიერთობები, რომლებიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, არ შედის საოჯახო სამართლის მოქმედების სფეროში.

როგორც ვხედავთ, საოჯახო სამართალი მოიცავს საოჯახო ურთიერთობათა საკმაოდ ვრცელ სფეროს და ამ ურთიერთობათა სპეციფიკის გათვალისწინებით სახელმწიფოს ჩარევა დაყვანილია მისაღებ მინიმუმამდე.

საოჯახო ურთიერთობები იურიდიული ბუნებით შეიძლება იყოს პირადი და ქონებრივი ხასიათის.

პირადი (არაქონებრივი) ხასიათის ურთიერთობები წარმოიშობა დაქორწინების, ქორწინების შეწყვეტის, მეუღლეთა მიერ გვარის არჩევის, მამობის დადგენის, შვილების აღზრდის, განათლების, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის არჩევის შემთხვევაში, აგრეთვე ოჯახის ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტისას. მაგალითად, ურთიერთობები, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ბავშვის მიერ ისეთ უფლებათა განხორციელებასთან, როგორიცაა ოჯახში ცხოვრებისა და აღზრ-

დის, მშობლებსა და სხვა ნათესაებთან ურთიერთობის, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უფლებები და სხვ. ამრიგად, პირადი (არაქონებრივი) ურთიერთობები ოჯახის წევრთა შორის საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ სამართლებრივი ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცეს აღნიშნულ ურთიერთობათა მხოლოდ ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

ქონებრივი ურთიერთობები ოჯახში მოიცავს მეუღლეთა შორის უფლებებსა და მოვალეობებს, საერთო და განცალკევებულ (ინდივიდუალურ) ქონებაზე უფლებას, მეუღლეთა (ყოფილ მეუღლეთა) ურთიერთჩინის მოვალეობას, მშობლებისა და შვილების, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრების (და-ძმა, შვილიშვილები, პაპა და ბებია და სხვ.) საალიმენტო ვალდებულებებს. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა მტკიცებისათვის, რომ საოჯახო სამართლის რეგულირების სფერო უპირველესად არის ოჯახის წევრებს შორის ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, რომლებიც სათავეს იღებენ მათ შორის არსებული პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობებიდან¹. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ პირად ურთიერთობებს პრიორიტეტული ხასიათი გააჩნია, ვინაიდან ქონებრივი ურთიერთობები ყოველთვის დაკავშირებულია პირადთან და მისგან გამომდინარეობს. პირადი ურთიერთობები განსაზღვრავენ ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა შინაარსს².

მეცნიერების გამოკვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა საოჯახო სამართლით რეგულირებულ ურთიერთობათა შემდეგი სპეციფიკური თვისებების გამოვლენა:

1) საოჯახო ურთიერთობების სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები;

2) საოჯახო სამართალურ ურთიერთობები წარმოიშობა სპეციფიკური იურიდიული ფაქტებიდან: ქორწინება, ნათესაობა, დედობა, მამობა,

¹ Н. Д. Егоров. Гражданское право, часть III, М., 1998, с. 192-194.

² Е. М. Ворожейкин. Семейное право, как самостоятельная отрасль право, Советское государство и право, 1967, с. 48. Г. К. Матвеев „Советское семейное право“, М., 1978, с. 25.

შვილება, მეურვეობა და მზრუნველობა. საოჯახო უფლებები და მოვალეობები შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ისეთი იურიდიული ფაქტებიდან, როგორცაა: საქორწინო ხელშეკრულება, ალიმენტის ოდენობის შესახებ შეთანხმება და სხვ.

3) საოჯახო ურთიერთობები, როგორც წესი, განგრძობადი ხასიათისაა და ერთმანეთთან აკავშირებს არა უცხო, არამედ ახლობელ ადამიანებს: მეუღლეებს, მშობლებსა და შვილებს, სხვა ნათესავებს – დაძმებს, პაპებს, ბებიებს, შვილიშვილებს და ა.შ.

4) საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მის მონაწილეთა მკაცრი ინდივიდუალიზაცია (მოცემულ ურთიერთობებში სხვა პირებით მათი შეცვლის შეუძლებლობა, მათ შორის ოჯახის სხვა წევრებით). აქედან გამომდინარე, საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები განუსხვისებელია. ისინი წარმოადგენენ როგორც უნივერსალური სამართალმემკვიდრეობის წესით, ისე მხარეთა შეთანხმებით გადაუცემელ უფლება-მოვალეობებს. შეუძლებელია მათი გაყიდვა, გაჩუქება, მემკვიდრეობით გადაცემა და ა.შ. მაგალითად, ოჯახის წევრთა საალიმენტო მოვალეობანი არ შეიძლება დაეკისროს ან გადაეცეს სხვა პირებს; ბავშვის აღზრდა, თუ მას მშობლები (ან მშობელი) ჰყავს და მათ შეუძლიათ სრულყოფილად განახორციელონ ეს უფლებები, არ შეიძლება დაევალოს სხვა პირებს, თუნდაც ახლო ნათესავებს და ა.შ.

5) საოჯახო ურთიერთობები შინაარსობრივად წარმოადგენენ, პირველ რიგში, ქონებრივ ურთიერთობებს. ამასთან, საოჯახო სამართალში ქონებრივი ურთიერთობები ყოველთვის უშუალოდაა დაკავშირებული პირადთან და გამომდინარეობს მისგან. ქონებრივი ურთიერთობები ოჯახში – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები ერთმანეთის ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებით, ოჯახის არასრულწლოვანი და შრომისუუნარო სრულწლოვანი წევრებისათვის არაეკვივალენტური

მატერიალური დახმარებისა და მხარდაჭერის გამო წარმოშობილი ურთიერთობები და სხვ.

საოჯახო ურთიერთობების სუბიექტებს წარმოადგენენ პირები, რომლებსაც გააჩნიათ ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები. მათ რიცხვს განეკუთვნებიან: მეუღლეები, მშობლები (მშვილებელი) ან მათი კანონიერი წარმომადგენლები (მზრუნველი, მეურვე), შვილები (მათ შორის, შვილად აყვანილი პირები), კანონით გათვალისწინებული ოჯახის სხვა წევრები (პაპა, ბებია, შვილიშვილები, და-ძმა და სხვ.).

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს აქვთ საოჯახო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

საოჯახო უფლებაუნარიანობა — არის პირის იურიდიული შესაძლებლობა (უნარი), ჰქონდეს საოჯახო უფლებები და მოვალეობები (დაქორწინების უფლება; ცალკე მცხოვრები მეუღლის უფლება, ჰქონდეს ურთიერთობა ბავშვთან; მშობლის მოვალეობა, არჩინოს თავისი არასრულწლოვანი და შრომისუნარო სრულწლოვანი შვილები და სხვ.). საოჯახო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და მისი შინაარსი დამოკიდებულია ასაკზე. განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე საოჯახო უფლებაუნარიანობა ფართოვდება¹. მაგალითად, დაქორწინების უნარი, საერთო წესით, საოჯახო უფლებაუნარიანობის შემადგენლობაში წარმოიშობა საქორწინო ასაკის მიღწევისთანავე (ე.ი. სრულწლოვანების მიღწევისას), ასევე თექვსმეტი წლის ასაკის მიღწევისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სრულწლოვანებას უკავშირდება აგრეთვე მეურვედ, მზრუნველად, მშვილებლად ყოფნის უნარი. საოჯახო სამართალი, მთელ რიგ შემთხვევაში, უშვებს საოჯახო ურთიერთობებში პირთა ზოგიერთი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, მაგალითად, პირი, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად, აგრეთვე თუ ჩამორთმეული აქვს მშობ-

¹ Советское семейное право / Под ред. Рясенцева В.А., М., 1982, с. 47.

ლის უფლება, არ შეიძლება იყოს მშვილდები, მზრუნველი ან მეურვე.

საოჯახო ქმედუნარიანობა – არის პირის იურიდიული შესაძლებლობა (უნარი) დამოუკიდებლად, თავისი ნებითა და მოქმედებით, სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს საოჯახო უფლებები და იკისროს საოჯახო მოვალეობები. სრული ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანების, ანუ 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე, იმ გამონაკლისების გარდა, რაც კანონით არის გათვალისწინებული. საოჯახო ქმედუნარიანობა არ გააჩნია პირს, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუნაროდ. არასრულწლოვან პირებს გააჩნიათ არასრული საოჯახო ქმედუნარიანობა, ე.ი. წარმოადგენენ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს. თუმცა, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისათვის არ არის აუცილებელი სრული ქმედუნარიანობის ქონა. მაგალითად, არასრულწლოვანი ბავშვის შეზღუდული ქმედუნარიანობა ხელს არ უშლის მას და მის მშობლებს შორის სამართალურთიერთობების წარმოშობას (მაგალითად, აღზრდასთან, განათლების მიღებასა და რჩენასთან დაკავშირებული). ბავშვი უფლებამოსილია გამოხატოს თავისი აზრი ოჯახში ყველა იმ საკითხის გადაწყვეტისას, რომლებიც მის ინტერესებს ეხება, ხოლო ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის აზრის გათვალისწინება აუცილებელია. რიგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ ბავშვის თანხმობით, რომელსაც შეუსრულდა ათი წელი (ბავშვის შეილება, მშობლის უფლების აღდგენა, შეილის გვარის გამოცვლა და სხვ.). საოჯახო სამართალურთიერთობების მონაწილენი შეიძლება იყვნენ ქმედუნაროდ პირებიც (მაგალითად, საალიმენტო მოვალეობანი). ამ დროს პირის ქმედუნარობას ავსებს მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის, მეურვის) მოქმედებები.

რაც შეეხება სამართლებრივი რეგულირების მეთოდს, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალი საოჯახო სამართლებრივ

ურთიერთობებს არეგულირებს როგორც იმპერატიული, ისე დისპოზიციური ხასიათის ნორმებით. დისპოზიციური ნორმები შესაძლებლობას აძლევს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მხარეებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსი კონკრეტულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, მათივე შეთანხმებით! მაგალითად, თუ მეუღლეები ან მომავალი მეუღლეები დადებენ საქორწინო ხელშეკრულებას, მაშინ მათი ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება საქორწინო ხელშეკრულებით და არა საოჯახო სამართლის ნორმებით, ხოლო, თუ ასეთი ხელშეკრულება არ იქნება დადებული, მათი ქონების სამართლებრივი რეჟიმი დაექვემდებარება საოჯახო სამართლით გათვალისწინებულ იმპერატიულ ნორმებს. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს უფლება არა აქვთ თავისი შეხედულებისამებრ შეცვალონ, შეკვეცონ ან გააფართოონ ეს მოთხოვნები. საოჯახო სამართლის ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართალი ამგვარი ურთიერთობების რეგულირებისას, დისპოზიციური ხასიათის ნორმებთან შედარებით, უფრო მეტად იყენებს იმპერატიული ხასიათის ნორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საოჯახო სამართლის ნორმები არ უშვებენ საოჯახო სამართლის სუბიექტთა ანუ მხარეთა შორის შეთანხმებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რაც მოწესრიგებულია კანონით დადგენილი წესებითა და პირობებით. ასეთ ნორმებს განეკუთვნება ქორწინებისა და განქორწინების წესები და პირობები; ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლები, წესი და შედეგები, მშობლებსა და შვილებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები, მამობის დადგენის წესი და პირობები, მშობლის უფლების ჩამორთმევის წესი და პირობები და ა.შ.

¹ ლალო ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ., 1997, გვ. 92.

საოჯახო სამართლის არსის გასაგებად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო საოჯახო სამართლებრივი რეგულირების სფერო და სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის მიერ ამ სფეროს დასარეგულირებლად გამოყენებული მეთოდის სპეციფიკა, არამედ საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპებიც, რომლებშიც ასახვას პოულობს ამ სახის ურთიერთობებისათვის მეტად დამახასიათებელი თავისებურებები.

საოჯახო სამართლის პრინციპების ქვეშ იგულისხმება დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა არსსა და ზოგადსავალდებულო ხასიათს. მათ გაუთვალისწინებლად შეუძლებელია საოჯახო სამართლის ნორმების სწორად გაგება და გამოყენება. საოჯახო სამართლის პრინციპებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამართალგამოყენებითი პრაქტიკისათვის, არამედ მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის არსის გაგებისა და მისი შემდგომი სრულყოფისათვის. იურიდიულ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად არის მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საოჯახო სამართლის პრინციპები იძლევა „ოჯახში სასურველი ქცევის დადებითი მოდელის ძირითად თვისებებზე წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას“, რაც ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ პრინციპების სწორ გაგებაზე.

საოჯახო სამართლის ძირითად პრინციპებს განეკუთვნება:

1) მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინების აღიარების (ცნობის) პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეუღლეთა შორის საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით რეგისტრირებული ქორწინება. რელიგიური ან ადათ-წესების დაცვით განხორციელებული ქორწინება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ქორწინებად არ მიიჩნევა აგრეთვე მამაკაცისა და ქალის ფაქტობრივი თანაცხოვრება, ქორწინების რეგისტრაციის განუხ-

ორციელებლად, რაოდენ ხანგრძლივიც არ უნდა იყოს იგი. ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის აქტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცისა და ქალის კავშირი იძენს საზოგადოებრივ აღიარებასა და დაცვას სახელმწიფოს მხრიდან, როგორც კანონის შესაბამისად განხორციელებული მოქმედება. ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის აუცილებლობა გათვალისწინებულია აგრეთვე მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით (ბელგია, საფრანგეთი, გერმანია და სხვ.).

თუმცა, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა სულ უფრო იხრება ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების შესაბამისი უფლებების დაცვის განმტკიცებისკენ. (გერმანია, ისრაელი, საფრანგეთი, აშშ-ს ზოგიერთი შტატი და ა.შ.).

მართალია, პირად არაქონებრივ ურთიერთობებში ფაქტობრივი ქორწინება არ წარმოშობს მეუღლეთათვის რაიმე სამართლებრივ შედეგს, მაგრამ მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი ურთიერთობების სფეროში ფაქტობრივი ქორწინების ურთიერთობები უთანაბრდება რეგისტრირებული ქორწინების მდგომარეობას.

ფაქტობრივ მეუღლეებს შორის ნებისმიერი შეთანხმება ფორმალურად გამოიყურება საოჯახო სამართლის სფეროდან და პირდაპირ რეგულირდება ზოგადი ცივილისტური ნორმებით ხელშეკრულებათა შესახებ. თუმცა, როგორც მართებულად აღიშნავს მ.ვ. ანტოკოლსკაია, საალიმენტო შეთანხმებები ფაქტობრივ მეუღლეებს შორის მაინც შეიძლება მოწესრიგდეს საოჯახო კანონმდებლობის ნორმებით კანონის ანალოგის საფუძველზე.¹

საზღვარგარეთის სამართალში ფაქტობრივ მეუღლეებს ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების ფართო კომპლექსი გააჩნიათ. მათ აქვთ უფლება გააფორმონ საქორწინო კონტრაქტები, ერთობლივად იქონიონ, მოიხმარონ, განკარგონ და მართონ ქონება, მემკვიდრეო-

¹ Антокольская М.В., Семейное право. 1996, М. 281.

ბით მიიღონ იგი და სხვ. რა თქმა უნდა, მსგავსი უფლებებისა და მოვალეობების კონკრეტული მოცულობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია; ამასთანავე თვით ფაქტი, რომ ფაქტობრივმა საქორწინო კავშირებმა ფართო გავრცელება პოვეს და ტრადიციული ოჯახის ალტერნატივასაც წარმოადგენენ, ყველა სპეციალისტისა და კანონმდებლის მხრიდან აღიარებული და გათვალისწინებულია.

2) ქორწინების ნებაყოფლობითობის პრინციპი, ანუ თითოეული ქალისა და მამაკაცის უფლება – საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს მეუღლე და არ დაუშვას საკუთარი ნების გარეშე ზემოქმედება დაქორწინებაზე. დასაქორწინებელ პირთა ნებაყოფლობითი თანხმობა დაქორწინების აუცილებელი პირობაა, რისთვისაც არ არის საკმარისი ბუნებრივი სხვა პირთა (მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლების) თანხმობა, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა¹.

3) განქორწინების თავისუფლების პრინციპი, ანუ მეუღლეთა ნების განხორციელება ქორწინების შეწყვეტის თაობაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ შორის ქორწინების ნებაყოფლობის პრინციპთან და, შეიძლება ითქვას, რომ გამომდინარეობს მისგან.

მოცემული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება კონსტიტუციით აღიარებულ პირთა თავისუფლების პრინციპს, რომლის თანახმადაც, მეუღლეებს აქვთ უფლება უარყონ მათ მიერ ქორწინების დროს გამოვლენილი ნება. მისი გადაწყვეტა კანონმდებლობით მით უმეტეს აუცილებელია, მაშინ როდესაც ორი, ერთმანეთისათვის სრულიად შეუთავსებელი ადამიანი მიიღებს გადაწყვეტილებას საქორწინო ურთიერთობათა შეწყვეტის შესახებ. ისევე, როგორც სხვა პრინციპებს, მასაც იცავს კანონმდებლობა, რითაც ხელს უწყობს საზოგადოების ორი სრულფასოვანი წევრის შენარჩუნებას.

4) მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი ეფუძნება კონსტიტუციას, რომლის თანახმად „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ და გამომდინარეობს

¹ Нечаева А. М., „Семейное право“, М., 1998, с. 30.

მათ მიერ გვარის, საცხოვრებელი ადგილისა და საქმიანობის არჩევის თავისუფლებაში, აგრეთვე ოჯახში წამოჭრილი სხვა საკითხების გადაწყვეტისას თანასწორი უფლებებით სარგებლობაში; მეუღლეთა მიერ შიდასაოჯახო საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტის უფლება შეესატყვისება მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და უფრო მეტიც, მჭიდროდ არის დაკავშირებული მასთან; მოცემული პრინციპის მოქმედება ვრცელდება ოჯახის ცხოვრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის (მათ მიერ საერთო სახსრების ხარჯვა, საერთო ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა, მეუღლეთა მიერ საქორწინო ხელშეკრულების ან შრომისუუნარო მეუღლისათვის სარჩოს გადახდის შესახებ შეთანხმების დადება, შვილების აღზრდაზე ზრუნვა და სხვ.) გადაწყვეტასთან მიმართებაში.

5) შვილების აღზრდის, მათი კეთილდღეობისა და განვითარებისათვის ზრუნვის, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. მოცემული პრინციპი გამომდინარეობს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის (უენევა, 1989 წლის 20 ნოემბერი) შინაარსიდან, რომლის მიხედვითაც ბავშვს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მშობელთა მხრიდან საჭიროებს მხარდაჭერასა და დაცვას. მოცემული პრინციპის გათვალისწინებით ოჯახში ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს მის ინტერესებსა და არა მშობელთა უფლება-მოვალეობებს.

6) ოჯახის წევრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. ოჯახი, როგორც ქორწინებაზე ან ნათესაობაზე დამყარებული პირთა გაერთიანება, ბუნებრივია, გულისხმობს, ერთმანეთის მიმართ მორალურ, მატერიალურ მხარდაჭერასა და დახმარებას. ამასთან, იგი როგორც ზნეობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, უნდა ეხებოდეს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლიათ უზრუნველყონ საკუთარი თავი არსებობისათვის აუცილებელი სახსრებით. სამოქალაქო კოდექსი არა

მხოლოდ ითვალისწინებს ოჯახის შრომისუუნარო წევრების (არასრულწლოვანი შვილები, I, II და III ჯგუფის ინვალიდები, საპენსიო ასაკის პირები) დაცვას, არამედ შეიცავს ნორმებს, რომლებიც მიმართულია აღნიშნული პრინციპის რეალიზაციისაკენ. მაგალითად, კანონი ავალებს შრომისუუნარიან სრულწლოვან შვილებს არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ (მუხლი 1218-ე). ანალოგიური მოვალეობა ეკისრებათ აგრეთვე შრომისუუნარიან სრულწლოვან, საკმაო სახსრების მქონე შვილიშვილებს თავისი შრომისუუნარო პაპისა და ბებულის მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი შვილისაგან ან ერთმანეთისაგან (მუხლი 1224-ე) და ა.შ. აღნიშნული მოვალეობის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვალდებულ პირებს შეიძლება სასამართლო წესით დაეკისროთ მისი შესრულება.

7) ერთქორწინების ანუ მონოგამიის პრინციპი – ეს არის საოჯახო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რაც ნიშნავს ორივე სქესის ადამიანის იურიდიულ შესაძლებლობას იმყოფებოდნენ მხოლოდ ერთ რეგისტრირებულ ქორწინებაში. იგი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამ პრინციპის დარღვევა წარმოადგენს ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ მონოგამიის პრინციპს ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაც. გამონაკლისს შეადგენენ ქვეყნები, სადაც ადგილი აქვს ისლამისა და, შესაბამისად, ჩვეულებებისა და ტრადიციების ძლიერ გავლენას, რომლებიც უშვებენ მრავალცოლიანობას. ქართულ საოჯახო სამართალში მონოგამიის პრინციპი არა მარტო დასაბუთებულად უკავშირდება ევროპულ კულტურასა და რელიგიურ ტრადიციებს, არამედ განიხილება, როგორც მეუღლეებისა და მათი შთამომავლობის ჯანმრთელობის დაცვის თავისებური საშუალება, აგრეთვე ქორწინებისა და ოჯახის სფეროში ურთიერთობათა მოწესრიგების აუცილებელი ელემენტი.

§3. ვადები და სასარჩელო ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში

ისევე როგორც სხვა სამართლებრივი ურთიერთობების დროს, არცთუ იშვიათად ირღვევა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების უფლებები. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია განვიხილოთ დარღვეული უფლებების დაცვის შესახებ საკითხი, რომელიც ასევე მოწესრიგებულია კანონით. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი ითვალისწინებს სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ხანდაზმულობის გავრცელებას, რომელსაც არ ავრცელებს პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამრიგად, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ პირად არაქონებრივ ურთიერთობებზე სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს ყოველთვის შეუძლიათ წარადგინონ მოთხოვნა დარღვეული პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებათა განხორციელების იძულების თაობაზე.

რამდენადაც საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები არის უაღრესად პირადი ხასიათის, მათი დაცვის უფლების შეწყვეტა დამოკიდებულია იმ დროზე, ვიდრე არ შეწყდება ეს ურთიერთობები, მაგალითად, სუბიექტის გარდაცვალებით, მის მიერ სრულწლოვანების მიღწევით (მაგალითად, საალიმენტო მოთხოვნის უფლება), ან კანონით განსაზღვრული ვადის დადგომით¹.

ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება განქორწინების, მისი ბათილად ცნობის, მამობის დადგენის, შშობელთა მიერ სხვა პირთან უკანონოდ მყოფი ბავშვების გამოთხოვის, შეილად აყვანის ბათილად ცნობისა და გაუქმების შესახებ საკითხთა მიმართ. რაც შეეხება ხანდაზმულობის გამოყენებას საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ასეთი დასაშ-

¹ Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации / Отв. ред. Кузнецова И.М., 1996, с. 5.

ვებია იმ შემთხვევებში, როდესაც კანონში პირდაპირ არის მითითებული ამის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის მიმართ ვრცელდება იგივე წესები და პირობები, რაც დადგენილია სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის თაობაზე მოთხოვნისათვის დადგენილია ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლი).

ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილ პირს უფლება აქვს სადავო გახადოს ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან უნდა ყოფილიყო ცნობილი ჩანაწერის არსებობა. თუ ამ დროისათვის დედად ან მამად ჩაწერილი პირი არასრულწლოვანი იყო, ერთწლიანი ვადა გამოითვლება მის მიერ თვრამეტი წლის ასაკის მიღწევიდან.

ცალკეულ შემთხვევებში შესაბამისი სამართალურთიერთობებისათვის დადგენილია განსაზღვრული ვადები. სამოქალაქო კოდექსის 1110-ე მუხლის თანახმად, დაქორწინება ფორმდება ერთი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა დაქორწინების მსურველნი განცხადებას შეიტანენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. განცხადება ძალაშია ერთთვიანი ვადის გასვლიდან ორი თვის განმავლობაში. ასევე დაუშვებელია ცოლის თანხმობის გარეშე განქორწინება მისი ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობის ან მისთვის უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო წესით სარჩოს მიღების მოთხოვნის უფლება აქვს განქორწინებულ ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში, ასევე შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან. კანონით ასევე დადგენილია ვადები, რომლის განმავლობაშიც პირს უფლება აქვს მოითხოვოს

ალიმენტი. კერძოდ, იმ პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, კანონით დადგენილი წესით, ამ უფლების დაკარგვამდე ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება, მიუხედავად ვადისა, რომელიც გასულია ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დღიდან.

როგორც აღვნიშნეთ, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების ზოგიერთი საკითხის მიმართ კანონით დადგენილია ხანდაზმულობის ვადები, რომელთა მიმართაც გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები, და მათ მიმართ ასევე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადების დენადობის, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის წესები და პირობები.

§4. საოჯახო სამართლის სისტემა და წყაროები

საოჯახო სამართლის ნორმები ქაოსურად კი არ არის განთავსებული სამოქალაქო კოდექსში, არამედ სისტემურადაა მოცემული, აგებულია ობიექტურად და ასახავს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკურ ხასიათს, რომელსაც ატარებს საოჯახო სამართალი. იგი მოიცავს იმ ძირითად ინსტიტუტებს, რაც განსაზღვრული თანმიმდევრობით არის განლაგებული კოდექსში.

საოჯახო სამართლის სისტემა გამოხატულებას პოულობს კანონმდებლობაში და, უპირველეს ყოვლისა, კოდიფიცირებულ აქტებში, რომელთა ერთობლიობაც შეადგენს საოჯახო კანონმდებლობას. იგი მოიცავს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნს და მის შესაბამისად მსღებულ სპეციალურ კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

საოჯახო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. ის არის ქვეყნის უზენაესი კანონი, რომელიც აღიარებს და ადგენს ადამიანის, როგორც მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და მოიცავს საქორწინო-

საოჯახო ურთიერთობის ფუძემდებლურ დებულებებს. სწორედ კონსტიტუციით გარანტირებულ ამ უფლებებსა და თავისუფლებებზე დაყრდნობით, ქორწინება დაფუძნებულია მეუღლეთა თანასწორობისა და ნებაყოფლობითობის პრინციპზე, რამაც განსაკუთრებული ასახვა პოვა სამოქალაქო კოდექსში...

საოჯახო სამართალი მოიცავს 199 მუხლს და იხილავს საოჯახო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს: ქორწინების, განქორწინების წესსა და პირობებს, მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალებებს, მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობებს, შვილად აყვანას, მეურვეობასა და მზრუნველობას.

სამოქალაქო კოდექსი ვერ ამოწურავს ყველა იმ ურთიერთობას, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს საოჯახო ურთიერთობებთან. ამიტომ, არცთუ ისე იშვიათად სახელმწიფო მათი მოწესრიგებისათვის იღებს კანონებსა და სხვადასხვა ნორმატიული აქტებს. მაგალითად, 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი – „შვილად აყვანის წესის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს №445 ბრძანებულება – „საქართველოში მცხოვრებ უდემამო ბავშვთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, 1999 წლის 22 ივნისის კანონი – „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ და სხვა.

საოჯახო სამართლის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა აქტები, რომლებსაც შეუერთდა საქართველო. ასეთია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1948 წლის დეკლარაცია), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), კონვენცია – „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ და სხვა.

არ არის გამორიცხული ისეთ გარემოებათა არსებობა, როდესაც იქუდლებს, მშობლებსა და შვილებს, ოჯახის სხვა წევრებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება შეუძლებელია არა მხოლოდ საოჯახო, არამედ სამოქალაქო სამართლის სხვა ნორმებითაც. ადრე მოქმედი კანონმდებლობით ასეთი დავების გადაწყვეტის წესი არ იყო განსაზღვრული იმის გამო, რომ არსებობდა საოჯახო ურთიერთობის მკაცრი სახელმწიფოებრივი რეგლამენტაცია, თუმცა სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა უშვებდა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვისას კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლისა და კანონის ანალოგიის გამოყენების უფლება ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებისას წარმოადგენს ნოველას საოჯახო სამართალში.

კანონის ანალოგია ნიშნავს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვისას, შესაბამისი სამართლის ნორმის არარსებობისას, გამოყენების ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მოწესრიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი).

კანონის ანალოგიის გამოყენების აუცილებელი პირობებია:

ა) საოჯახო კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით სადავო საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგების შეუძლებლობა;

ბ) სამოქალაქო სამართლის სხვა ნორმების არარსებობა, რომლებიც პირდაპირ არეგულირებენ მოცემულ საოჯახო ურთიერთობას.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საოჯახო დავის გადაწყვეტა ანალოგიის მეშვეობით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საოჯახო ურთიერთობების არსს. ანალოგიის გამოყენების შემთხვევაში, მითითებულ უნდა იქნეს მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი. ამ დროს, სასამართლოს დასაბუთება არ სჭირდება, რატომ იყენებს ანალოგიურ ნორმას. თუ ასეთი მი-

თითება კონკრეტულ კანონზე არ არის, მაშინ სასამართლო ვალდებულია თავის გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს ანალოგიის გამოყენების საფუძველი. ისეთი კანონის არარსებობა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოაწესრიგებდა ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობებს, რაც იწვევს სამართლის ანალოგიის გამოყენების აუცილებლობას.

სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა სამართლის ანალოგიის დეფინიციას: „თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად“ (სამართლის ანალოგია). აღნიშნული წესი გამოძღინარეობს კონსტიტუციის დებულებებიდან. გარდა ამისა, იგი პასუხობს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის პრინციპებს (მოთხოვნებს).

სამართლის ან კანონის ანალოგიის გამოყენება შედის სასამართლოს და არა ოჯახის ცალკეული წევრის კომპეტენციაში. ამასთან, ანალოგიის გამოყენების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ქართული სამართლის ზოგად პრინციპებს.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების ანალოგიით რეგულირებას არ გააჩნია ფართო გამოყენება პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, მას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ოჯახის წევრების უფლებებისა და ინტერესების დასაცავად (სასამართლო არაა უფლებამოსილი უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე), ისე ზოგადად საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

თავი მეორე

ოჯახის ცნება და მისი განვითარების ისტორიული წინამძღვრები

ოჯახს ხანგრძლივი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს. XIX საუკუნის დიდი მკვლევარი ლუის მორგანი აღნიშნავდა, რომ „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და მინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო; ოჯახი აქტიური ელემენტია, რის გამოც იგი არასდროს არაა ერთ ადგილზე გაქცევებული, არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან კითარდება უმაღლესი საფეხურისაკენ“¹.

რამდენადაც ოჯახი სოციალური მოვლენაა და საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესსა და ცვლილებას ასახავს, ბუნებრივია, რომ იგი მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვლევის საგანი ხდება. მათი ინტერესი ოჯახისადმი გამოწვეულია თვით ოჯახისა და პიროვნების იმ ფუნქციონალური მნიშვნელობით, რასაც ისინი ასრულებენ საზოგადოებასა და ერთ-მანეთთან მიმართებაში.

რაც შეეხება სამართლის მეცნიერებას, იგი ოჯახს იხილავს როგორც საოჯახო ურთიერთობის სუბიექტთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველს და არა როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს.

ოჯახს საფუძველი, როგორც წესი, ქორწინებით ეყრება. სწორედ ოჯახში ხორციელდება და ყალიბდება მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, და-ძმებისა და სხვათა დამოკიდებულება.

საზოგადოების სტრუქტურაში ოჯახს სპეციფიკური ადგილი

¹ J. Morgan Древнее общество. М., 1936, с. 200.

უკავია. იგი შემაკავშირებელი რგოლია დიდ სოციალურ ერთობებსა (ერი, კლასი და ა.შ.) და პიროვნებებს შორის.

ოჯახის პირველი საფეხური სისხლით მონათესავე ოჯახი იყო. ოჯახის ამ ისტორიულ ფორმაში ცოლქმრული ურთიერთობა გამორიცხავდა მხოლოდ წინაპრებსა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის სქესობრივ ურთიერთობას. შემდეგი ეტაპი ოჯახის ისტორიულ განვითარებაში უნდა ყოფილიყო ძმებსა და დებს შორის სქესობრივი ურთიერთობის აღკვეთა, რომელიც მონაწილეთა შედარებით ერთნაირი ასაკის გამო უფრო ძნელდებოდა, მაგრამ მის განხორციელებას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც სისხლით მონათესავე ახლობელ პირთა შორის სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა ხელს შეუწყობდა ჯანმრთელი თაობის განვითარებას.

პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და მოსახლეობის ზრდამ განაპირობა ადამიანთა ერთმანეთთან დაკავშირება. სწორედ ამ დროს წარმოიშვა ისეთი ჯგუფები, რომელთა წევრებსაც ერთობლივი შრომის წყალობით უფრო მტკიცე ურთიერთობა ჰქონდათ და სისხლით ნათესაობა აკავშირებდათ. ასე ჩამოყალიბდა გვარი და გვაროვნული თემი.

ჯგუფურ ურთიერთობაში უკვე ერთგვარი წესრიგი არსებობდა. სქესობრივი ურთიერთობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი გარკვეული ჯგუფის წევრების მეორე გარკვეული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობით. მართალია, თვით ამ ჯგუფის წევრებს შორის სქესობრივი ურთიერთობა შეზღუდული არ ყოფილა, მაგრამ ჯგუფები მკაცრად იყო განსაზღვრული და სხვა ჯგუფის წევრებთან სქესობრივი ურთიერთობა საზოგადოებრივი ნორმებიდან გადახვევას ნიშნავდა და შესაბამისად ისჯებოდა კიდევ.

ჯგუფური ცოლქმრობის არსებობის დროს ჩნდება წყვილადი ოჯახი, რომელიც უკვე ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის შეუღლებას გულისხმობს.

წყვილადი ოჯახისა და ეგზოგამიის (გვარის შიგნით ქორწინებ-

ის აკრძალვა) წარმოშობა ემთხვევა ადამიანის ბიოლოგიურ ჩამოყალიბებას. ოჯახის განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფითი ერთობის პირველ ფორმას, მყარ სოციალურ ერთეულს პირველყოფილი გვარის პირველი საფეხური – მატრიარქატი წარმოადგენდა. ეს იყო ქალის ერთგვარი უპირატესობის ეპოქა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას წამყვანი ადგილი ეკავა მეურნეობაში. ქალი გახდა პირველი მესაქონლე, მიწათმოქმედი, მშენებელი და კერის შემნახველი. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქონდა შვილებთან მშობლის დამოკიდებულების საკითხსაც. წყვილადი ოჯახის ჩამოყალიბებამდე მამის ვინაობა ხშირად უცნობი იყო და ერთადერთ უტყუარ მშობლად დედა ითვლებოდა. შესაბამისად, შვილები დედის გვარს ატარებდნენ. დედისგან ეძლეოდათ მათ მემკვიდრეობაც. შვილებს არ შეეძლოთ მიეღოთ მამის მემკვიდრეობა, რადგან ისინი მამის გვარს არ ეკუთვნოდნენ. მამის ქონება მამისავე გვარში რჩებოდა და მის დისშვილებს უნაწილდებოდა.

წყვილადი ოჯახის ჩამოყალიბებით ბუნებრივმა შერჩევამ საქმე ცოლ-ქმართა მხოლოდ ერთ წყვილამდე დაყვანით დაასრულა.

საწარმოო ძალების განვითარებამ შეცვალა ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შეღავათებით განვითარებულ ფორმებზე გადასვლამ წამყვანი როლი მამაკაცს მიაკუთვნა. იგი გახდა საგვარეულო თემის მეთაური, რის გამოც მოისპო დედის ხაზით შვილების მემკვიდრეობის წესი; ასე მოხდა მატრიარქატიდან პატრიარქალურ ოჯახზე გადასვლა. მამაკაცს (ქმარს) საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად წამყვანი როლი დაეკისრა, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო მონობის ინსტიტუტის წარმოშობას. კაცობრიობის წერილობითი ისტორია პატრიარქალური ოჯახის განხილვით იწყება, როცა ოჯახში მამაკაცი ბატონობს და მის მიერ დედაკაცის ექსპლუატაციას თან ერთვის კლასობრივი ჩაგვრის საწყისები.

პატრიარქალური ოჯახი იყო გარდამავალი ფორმა წყვილადი

ოჯახიდან მონოგამიური (ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის მყარი კავშირი) ოჯახისაკენ. მონოგამიის დროს მამაკაცს ქალთან შედარებით დაწინაურებული ადგილი ეკავა. მამაკაცს ქალი თავის გვარში მიჰყავდა, შვილები მამის გვარში იზრდებოდნენ და მათ მისი გვარი ეძლეოდათ.

პატრიარქალური ოჯახის განმტკიცებით აეკრძალა ქალს ქმრის მიტოვება. მამაშვილობის უზრუნველსაყოფად ქალს მოეთხოვებოდა მკაცრი ერთგულება ქმრისადმი¹. შეიქმნა გამოსასყიდისა და მზითვის ინსტიტუტები, მოტაცებით ქორწინება. აქედან ნათლად ჩანს, რომ ასეთი ოჯახის წარმოშობა სიყვარულთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ კერძო საკუთრების გაფართოებასთან.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში უკვე დაწერილი კანონმდებლობით მტკიცდება ქმრის გაბატონებული მდგომარეობა ოჯახში, რაც მთლიანად კერძო საკუთრების არსებობაზეა დაფუძნებული.

რომაულ სამართალს, როცა იგი ოჯახში ქმრის გაბატონებულ მდგომარეობას ეხებოდა, მხედველობაში ჰქონდა თავისუფალ მოქალაქეთა ოჯახები. მონები, რომლებიც სამართლის მხოლოდ ობიექტებს წარმოადგენდნენ, გამორიცხულნი იყვნენ ამ კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან.

რომის სამართალი ართმევდა მონას კანონიერი ქორწინების უფლებას, იგი სრულიად უარყოფდა მონებს შორის დაქორწინების მოწესრიგებას, ვინაიდან მონა არ წარმოადგენდა ამ უფლების სუბიექტს. რომის სამართლის მიხედვით მონები „არარაობას“, ცარიელ ადგილს წარმოადგენდნენ.

ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს მონოგამიური ოჯახი შემდგომ განვითარებას განიცდის, მაგრამ იგი კვლავ რჩება ქმრის საბატონო ასპარეზად.

ფეოდალიზმის პერიოდის ოჯახურ ურთიერთობაში განსხვავე-

¹ მ. ბექაია, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბ., 1980, გვ. 16.

ბული სამართლებრივი მდგომარეობა არსებობდა არა მარტო ფეოდალებისა და ყმების, არამედ ქალაქის მცხოვრებთა – ვაჭრებისა და ხელოსნების ოჯახებს შორისაც.

ფეოდალიზმის დროს მემამულის უფლებაში შედიოდა ყმის დაქორწინება ან მისთვის ქორწინების აკრძალვა. ფეოდალი განაგებდა ყმის ოჯახის ქონების ბედს. მის მონაწილეობას ყმის ოჯახურ ცხოვრებაში საზღვარი არ ჰქონდა. ჩარევის ადრინდელი და ღრმად შეურაცხმყოფელი ფორმა იყო ფეოდალიზმის დროს არსებული ე.წ. „პირველი ღამის უფლება“, რომელიც შემდგომ ფეოდალის სასარგებლოდ ფულადი გამოსასყიდით შეიცვალა.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, გლეხთა წრეში ქორწინება ყოველთვის პირადი მოწონების საფუძველზე ხდებოდა, თუმცა, ასეთი ურთიერთობა ყოველთვის შეიძლებოდა დარღვეულიყო ფეოდალის შეხედულებებით, მისი პრივილეგირებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

ფეოდალურ საზოგადოებაში ქორწინება იყო გარიგება ფეოდალთა შორის მათი შეილების შეუღლების თაობაზე, სადაც გვარი და არა პირადი სურვილები წყვეტდა დაქორწინების საკითხს¹.

ფეოდალიზმის დროს მონოგამია განხილულია როგორც საქორწინო ურთიერთობის მარადიული ფორმა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, დაუშვებელს ხდის განქორწინებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 66-ე მუხლი: „ცოლი და ქმარი რაგინდ სძულობდნენ ერთმანეთს, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათოლიკოზმა წვრთნით უნდა შეარიგოს“².

ბექას სამართლის წიგნის მიხედვით ქალმა, თუკი „ღმერთი შერისხდეს მისითა ენაჭარტალობითა, უსირცხნოებითა“ ქმარი დააგ-

¹ ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, 1957, გვ. 13-15.

² ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის მიერ დამზადებული ტექსტით, გამოკვლევათა და ტერმინთა საძიებლით, 1955 გ. ნადარეიშვილი ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 78-80.

დოს, ასეთი ქმედებისათვის მამაკაცთან შედარებით ორჯერ მეტი ქონებრივი პასუხისმგებლობა უნდა გასწიოს. მამაკაცის მრუშობის გამო ცოლს არ შეეძლო გაყრა მოეთხოვა. მეტიც, მას არ ჰქონდა უფლება ქმრისათვის მრუში ეწოდებინა.

იმ შემთხვევაში, როცა ასეთი რამ წამოსცდებოდა, მას როგორც ენაჭარტალა დედაკაცს, ქმარი თავისი ოჯახიდან აძევებდა. „ყბელი“ დედაკაცის ნათესავებს კი არ ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ ქმრისაგან გაყრის თაობაზე სისხლის დაურეება¹.

ფეოდალიზმის განვითარებამ და კლასიკურმა რელიგიებმა, განსაკუთრებით ქრისტიანობამ, განამტკიცა ოჯახის მონოგამიური ფორმა. ქალის მორჩილება მამაკაცისადმი (მეუღლისადმი) უმაღლესი სათნოების გამოხატულებად იქცა. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, ქალი ქმრის ქონების რეჟიმს ექვემდებარებოდა. იგი უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა ქმარს.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა რელიგიათა დამოკიდებულება ქალის უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებაში. მაგალითად, ისლამის მიხედვით, ქალები სატანის მოციქულებად ითვლებიან, „თვით სუნთქვა დიაცისა უწმინდურია“. ქალი, მთელი სიცოცხლე, სახეს ჩადრით უნდა იფარავდეს. ყურანი უფლებას აძლევდა მამაკაცს ერთდროულად ჰყოლოდა არა უმეტეს ოთხი ცოლი და, ამასთან, შეეძლო საკუთარი უფლების ძალით ცოლქმრული ურთიერთობა ჰქონდა თავის დაუქორწინებელ მხევლებთან. რა თქმა უნდა, ქალს არ შეიძლებოდა ერთზე მეტი ქმარი ჰყოლოდა.

ისლამში პარალელურად მოქმედებს სამართლის საერო და საეკლესიო სისტემა. ამასთან, რიგი საკითხების განხილვა წარმოადგენს რელიგიური სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას (მაგალითად, ქორწინება და განქორწინება), სხვა საკითხებს კი იხილავს საერო სასამართლო (მაგალითად, დავებს ალიმენტის თაობაზე, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისა და ბავშვების აღზრდის საკ-

¹ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 91.

ითხებს და ა.შ.). საგულისხმოა, რომ თუ საერო სასამართლოები დაკების განხილვისას ხელმძღვანელობენ მეუღლეთა თანხმობის პრინციპით, რელიგიური სასამართლოები, რელიგიური კანონის თანახმად, გამოდიან ქალისა და მამაკაცის პირველსაწყისი უთანასწორობის პრინციპიდან. სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებდა და განაპირობებს დღესაც რელიგიის მიერ როგორც მამაკაცის, ისე ქალის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვას. მაგალითად, იუდაიზმში, როგორც რელიგიის ერთ-ერთი მიმდინარეობა, არ არის გამოყოფილი სახელმწიფოსაგან და კრძალავს ქმრის მიერ მიტოვებული ქალის ხელმეორედ გათხოვებას, თუ მას ყოფილი ქმრისაგან არა აქვს მიღებული განქორწინების დამადასტურებელი მოწმობა, ე.წ. „გეთი“ და ა.შ.

ბუდიზმში სასტიკად კიცხავს ცოლისადმი ქმრის სიყვარულს. კონფუციანელთა მტკიცებით, „ქალები ისევე განსხვავდებიან მამაკაცებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან“ და ა.შ.

საზოგადოების განვითარების კონკრეტული ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობები თავის მოთხოვნებს კარნახობს ოჯახს და, ამდენად, მისი სოციალური ფუნქციების ძირითად წყაროს წარმოადგენს. მათ ცვლილებასთან ერთად იცვლება ოჯახის ფუნქციებიც. ოჯახის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას განეკუთვნება შთამომავლობის შექმნის, ანუ ადამიანთა მოდგმის გაგრძელება, რომელიც ერთგვარად გადაჯაჭვულია ეკონომიკურ ფუნქციასთან და საფუძვლად უდევს საერთოდ მონოგამიური ოჯახის შექმნას. ოჯახი პიროვნების ნორმალური აღზრდის აუცილებელი ფაქტორია. ოჯახში ეყრება საფუძველი ადამიანისა და პიროვნების ღირებულებათა ორიენტაციასა და მისი მოთხოვნილების მთელ სისტემას. აქედან გამომდინარე, ოჯახის გარეშე აღზრდილ ბავშვებს ცალმხრივი განვითარების უფრო დიდი საშიშროება აქვთ, ვიდრე ოჯახის პირობებში გაზრდილ ბავშვებს. მათზე ოჯახის ზემოქმედების ფაქტორი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოების.

აღმზრდელით ფუნქციას ორმხრივი მნიშვნელობა აქვს. ერთი

მხრივ, ახალგაზრდა იღებს ოჯახის უფროსი წევრებისაგან საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ გამოცდილებას და ეზიარება საზოგადოებრივ კულტურას. მეორე მხრივ, მშობელთა (უფროსი თაობის) ცხოვრება ივსება და მდიდრდება ახალგაზრდობასთან ყოველდღიური ურთიერთობით.

აღიარებულია, რომ ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქცია უფრო მეტად დაიხვეწება, რადგან საზოგადოების განვითარების ახალი და სწრაფი ტემპები სულ უფრო და უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს პიროვნებასა და, შესაბამისად, ოჯახს.

ისტორიულ მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ ქართველ ერს გავლილი აქვს კაცობრიობის განვითარების თითქმის სრული გზა, მათ შორის, წინაგვაროვნულიცა და გვაროვნულიც. შესაბამისად, გავლილი აქვს ოჯახის განვითარების ისტორიული გზაც, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სხვადასხვა ფორმით მისი შემდგომი ჩამოყალიბება.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ქართულმა საოჯახო წეს-ჩვეულებებმა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე შემონახა მრავალი ელემენტი, რომლებიც სოციალურ წყობილებასა თუ პირველყოფილ რელიგიებს უკავშირდება. მართალია, ამ ელემენტებს პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ისინი ჩვეულების ძალით სრულდებოდა.

ქართულ საქორწინო წეს-ჩვეულებებში შემონახული იყო აგრეთვე პატრიარქალური ოჯახისათვის დამახასიათებელი სყიდვითი ქორწინებისა და მოტაცების გადმონაშთები, ოჯახის უფროსის ავტორიტარულობა და ა.შ. ოჯახთან დაკავშირებით არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის გამოყოფა, როგორცაა პატრიარქალური საოჯახო თემი და დიდი ოჯახი.

არსებობს მეცნიერული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით საოჯახო თემი, რომელიც თავისი გენეზისით გვაროვნული წყობილების დაშლის პერიოდს უკავშირდებოდა, წარმოადგენდა ძმათა ინდივიდუალურ, პატარა ოჯახისაგან შემდგარ განუყოფელ სამეურნეო მწარ-

მოებლურ უჯრედს, რომელიც არსებობას განაგრძობდა ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ადრეულ საფეხურებზე გაბატონებული ფორმის, პატარა ოჯახის გვერდით.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მთასა და ბარში, საოჯახო თემს სხვადასხვა სახე ჰქონდა. მათ შორის განსხვავება ძირითადად გამოინატებოდა შრომის ორგანიზაციის სისტემაში, მაგრამ საკუთრების ფორმა ყველგან ერთნაირი იყო. სწორედ ეს განსაზღვრავდა მათ მიკუთვნებას საოჯახო თემისადმი.

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ საქართველოში ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ადრეულ საფეხურზე მოქმედი ღიდი ოჯახი არ შეიძლება მივიჩნიოთ პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდში წარმოშობილი საოჯახო თემის გადმონაშთად. საოჯახო თემის არსებობა მიზნად ისახავდა საკუთრების გაზრდასა და მისი მფლობელის ეკონომიკურ გაძლიერებას.

საქართველოში პატრიარქალური საოჯახო თემის, როგორც ოჯახის განვითარების ერთ-ერთი საფეხურის არსებობა, ისტორიული თვალსაზრისით დადასტურებულია.

თანამედროვე ტიპის პატარა ოჯახის არსებობა საქართველოში აღინიშნება V საუკუნიდან და მასში მხოლოდ მშობლები და მათი შვილები იგულისხმებოდა.

ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობისაა. იგი კერას, სახლს ნიშნავს და შედარებით გვიანაა ფენმოკიდებული საქართველოში. ისტორიულ დოკუმენტებში იგი პირველად „სამოქალაქო ჰსჯულდებაში“ (1799-1800 წწ.) გვხვდება. შესატყვისი ძველ ქართულში იყო „სახლი“, რომელიც თავდაპირველად მთელ საგვარეულოს, გვარს ნიშნავდა.

ისტორიული დოკუმენტებისა და კულტურული წყაროების ანალიზით ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ „უკვე V საუკუნეში საქართველოში „სახლი“ არა მარტო საგვარეულოსა და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც. შემდგომში ხომ ამგვარი მნიშვნელობა უფრო და უფრო უნდა განმტკიცებუ-

ლიყო¹. გარდა ამისა, „სახლი-ოჯახის, განსაკუთრებით ერთ ჭერ-ქვეშ მცხოვრები სახლობის აღსანიშნავად და მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინად მიღებული იყო სიტყვა „კომლიც“².

თანამედროვე ქართულ ოჯახს სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენებული ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რაც ქართული ოჯახის სიმტკიცის გარანტიას წარმოადგენს. ეს განპირობებულია ქართულ ოჯახში ისტორიულად ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ისეთი ელემენტების არსებობით, როგორცაა: სეროზული დამოკიდებულება ოჯახის შექმნის საკითხისადმი, მშობლებისა და შვილების, ოჯახის სხვა წევრების მჭიდრო, მრავალმხრივი და ტრადიციული კავშირი, ნათესაური გრძნობის სიძლიერე, განსაკუთრებული ზრუნვა ახალგაზრდა თაობის აღზრდისადმი.

რამდენადაც ოჯახში წარმოშობილი ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში სამართლებრივ ხასიათს ატარებს, რომლებიც, ამავე დროს, მოწესრიგებულია სამართლის სხვადასხვა დარგით, მეცნიერებათა წინაშე დღის წესრიგში დადგა ოჯახის სამართლებრივი ბუნების გარკვევის საკითხი. სამოქალაქო, შრომის, ადმინისტრაციული და სხვა კანონმდებლობა არ იძლევა ამ ცნების განსაზღვრას. მოქმედი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობა განამტკიცებს საოჯახო ურთიერთობის პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახის ნორმალურ ფუნქციონირებას საზოგადოებაში და ურთიერთობათა იმ წრეს, რასაც კანონმდებლობის მოცემული დარგი არეგულირებს.

რაც შეეხება იურიდიულ ლიტერატურას, აქ თითქმის ყველა ავტორი ცდილობს მოგვცეს ოჯახის ცნება. პ. სედუგინი ოჯახის ცნებას განმარტავს, როგორც პირთა განსაზღვრულ ჯგუფს, რომელიც ეფუძნება ქორწინებას, ნათესაობას, მოყვრობას, ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის გაძღოლას, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს შექმნას მისი წევრების კეთილდღეობისათვის, ურთ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1928, გვ. 24.

² იქვე, გვ. 25.

იერთდამარებისა და მომავალი თაობის აღზრდისათვის¹. მისივე აზრით, მომწიფდა საჭიროება „ოჯახის“ ცნების საკანონმდებლო წესით განმტკიცებისა, რომელსაც მიენიჭებოდა საერთო დარგობრივი მნიშვნელობა. იმავდროულად, ი. კუზნეცოვა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საოჯახო კანონმდებლობაში ოჯახის ცნების არარსებობა შემთხვევითი არ არის. ოჯახის ცნება სოციოლოგიური და არა სამართლებრივი ხასიათისაა. სამართლებრივ აქტებში ოჯახის ცნება უკავშირდება ოჯახის წევრთა წრის დადგენას, რომელიც ქმნის მის შემადგენლობას და განისაზღვრება სხვადასხვანაირად, იმისდა მიხედვით, თუ სამართლებრივი რეგულირების რა მიზნებს ისახავს სამართლის ესა თუ ის დარგი. ამიტომ „ოჯახის“ ცნების კანონმდებლობაში გათვალისწინებამ და იმ პირთა ამომწურავი ჩამონათვლის დადგენამ, რომლებიც ოჯახის წევრთა რიცხვს განეკუთვნებიან, შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევა ან ოჯახის წევრთა წრის უსაფუძვლო გაფართოება“. საოჯახო კანონმდებლობაში ხშირად ნახსენები ტერმინების – „ოჯახი“, „ოჯახის წევრი“ – სწორი გაგებისათვის შემოთავაზებულია განვიხილოთ ოჯახი (იურიდიული გაგებით), როგორც „ქორწინებიდან, ნათესაობიდან, შვილების ან აღსაზრდელად ბავშვის მიღების სხვა ფორმიდან გამომდინარე, პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით დაკავშირებულ პირთა წრე“². უნდა ითქვას, რომ ოჯახის ცნებაზე ასეთი განსხვავებული შეხედულებანი ხოგადად ემთხვევა ერთმანეთს. ერთი მხრივ, ოჯახი აღიარებულია როგორც თავისებური კოლექტივი, რომელიც, როგორც წესი, ქორწინებაზე, ერთობლივ თანაცხოვრებასა და ახლო ნათესაობაზე დამყარებული და რომლის წევრებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ უფლებები და მოვალეობები, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახი წარ-

¹ Комментарий к Семейному кодексу РФ / Под общ. ред. Крашениникова И.В. и Седугина П.И. М., 1997, с. 2.

² Комментарий к Семейному кодексу РФ / Отв. ред. Кузнецова И.М. М., 1996, с. 10.

მოადგენს ცივილიზებული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ფაქტორს, შეუდარებელ საზოგადოებრივ ორგანიზმს, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის საარსებო მოთხოვნილებათა მთელ კომპლექსს (ბავშვების დაბადებისა და აღზრდის, სულიერი სიახლოვის, ოჯახის წევრთა მორალური და მატერიალური ურთიერთმხარდაჭერისა და ა.შ.), რასთან დაკავშირებითაც მოქმედ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან ოჯახის მფარველობისა და დაცვის განსაკუთრებული ზომები.

ოჯახის ცნებებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ ოჯახი ეს არის პირთა ნებაყოფლობითი და თავისუფალი კავშირი, რასაც საფუძვლად უდევს ქორწინება, ნათესაობა, შვილად აყვანა; მიუთითებენ აგრეთვე მოზარდი თაობის აღზრდაზე, როგორც ოჯახის მთავარ ამოცანაზე, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლზე ოჯახის დაცვაში და მისი წევრების განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებზე. თუ ყველა ამ ნიშანს განზოგადებული სახით განვიხილავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახი არის ქორწინებაზე, ახლო ნათესაობაზე, შვილად აყვანასა და კანონში მითითებულ სხვა ფაქტებზე დამყარებული პირთა ერთობლივი თანაცხოვრება, რომელსაც მიზნად აქვს ბავშვების დაბადება და აღზრდა, მოდგმის განგრძობის უზრუნველყოფა, მეურნეობის ერთობლივად წარმართვა, სულიერი სიახლოვის დადგენა და, აქედან გამომდინარე, ოჯახის წევრთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგება.

ოჯახის წევრთა თანაცხოვრების შეწყვეტასთან ერთად, ოჯახის არსებობაც წყდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოჯახური კავშირის შეწყვეტით მის წევრთა შორის ურთიერთობაც ისპობა. მაგალითად, განქორწინება წყვეტს ოჯახის არსებობას, მაგრამ არ სპობს ზოგიერთ საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობას ყოფილ მეუღლეთა და ოჯახის წევრთა შორის (მაგალითად, ურთიერთრჩენის მოვალეობა).

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა იმ შემთხვევაშიც გა-

საგრძობს არსებობას, როდესაც მისი სუბიექტები ოჯახის წევრებად აღარ ითვლებიან¹.

როგორც აღვნიშნეთ, „ოჯახის წევრის“ ცნება „ოჯახის“ ცნებიდან იღებს სათავეს. ამიტომ ოჯახის წევრად ის ფიზიკური პირი მიიჩნევა, რომელიც ამა თუ იმ ოჯახთან მოქმედი კანონმდებლობის მიერ ოჯახის წარმოშობის საფუძველად მიჩნეული რაიმე განსაზღვრული იურიდიული გარემოებით – ქორწინებით, ნათესაობით, ოჯახში აღსაზრდელად აყვანის ფაქტით და სხვ. – იქნება დაკავშირებული. ამგვარი მიდგომა, პირველ რიგში, საოჯახო სამართლის მეცნიერებას² ახასიათებს, რადგან საოჯახო კანონმდებლობა საკმარისად ზუსტად განსაზღვრავს ურთიერთშორის საოჯახოსამართლებრივი უფლებებითა და მოვალეობებით დაკავშირებულ ოჯახის წევრთა წრეს.

ოჯახის წევრთა რიცხვს, პირველ ყოვლისა, მეუღლეები მიეკუთვნებიან. საქართველოს მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად ადგენს იმ სუბიექტთა წრეს, რომელთაც შეიძლება მკულღეები ეწოდოს. ეს არის განსაზღვრულ ასაკს მიღწეული მამაკაცი და ქალი, რომელთაც სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოებში გააფორმეს ქორწინება.

საქორწინო კავშირი მყარდება ქალსა და მამაკაცს, ანუ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს შორის. ბოლო დრომდე ეს გარემოება არავითარ ეჭვს არ ბადებდა. ერთი სქესის პირთა სექსუალური ურთიერთობა, როგორც ადამიანური კულტურის ელემენტი, უძველესი დროიდანაა ცნობილი, თუმცა ერთსქესიანი მოქალაქეების კავშირის საკანონმდებლო აღიარების საკითხმა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში იჩინა თავი (დანია, ნორვეგია, შვედეთი, საფრანგეთი). საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურაში

¹ Ворожейкин Е. М., Правовые основы брака и семьи, „Юридат“, 1969, с. 17.

² Жилинкова И.В. Правовой режим имущества членов семьи, 2000, с. 109. Мананкова Р.П. Правовой статус членов семьи по советскому законодательству, Томск, 1991; с. 45.

ეს პრობლემა მეტად აქტიური მსჯელობის საგანს წარმოადგენს, რადგანაც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა მაინც არ ცნობს მსგავსი სახის კავშირების ლეგიტიმურობას.

რაც არ უნდა ვთქვათ, პრობლემა მაინც არსებობს, თუნდაც თეორიული თვალსაზრისით, ამიტომ იგი აუცილებლად უნდა იქნეს იურისტების განსჯის საგნად.¹

უკანასკნელ წლებში ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურასა და საკანონმდებლო პრაქტიკაში მხარდაჭერა პოვა ერთი მამაკაცის ორ ან მეტ ქალთან ქორწინების (მრავალცოლიანობის) საკანონმდებლო აღიარების აუცილებლობის იდეამ, რომელიც არსებითად მონოგამიის პრინციპიდან გადახვევის მხარდაჭერას ნიშნავს. იმ ქვეყნებში, სადაც მრავალცოლიანობა რელიგიური თვალსაზრისით ნებადართულ, მრავალსაუკუნოვან ტრადიციას წარმოადგენს, ამ ინსტიტუტის საკანონმდებლო აღიარება status quo-ს ლეგალიზებას ნიშნავს, საქართველოში კი, სადაც მონოგამია საოჯახო სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მოსახლეობის ტრადიციებიდან გამომდინარე, პოლიგამიის ლეგალიზების საკითხი საერთოდ არ წამოჭრილა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ქვეყანაში ოჯახის საფუძველს წარმოადგენს ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის ქორწინება.

საქორწინო კავშირის მონაწილეთა დახასიათების შემდეგ პრინციპულ მომენტს წარმოადგენს ის, რომ დაქორწინება შეუძლიათ მხოლოდ საქორწინო ასაკს მიღწეულ პირებს. საქორწინო ასაკი მამაკაცებისა და ქალებისათვის 18 წელს შეადგენს.²

¹ საზღვარგარეთული ცივილიზაციები ასევე აღნიშნავენ ერთსქესიანი ქორწინებების პრობლემის შესწავლის აუცილებლობას, მათ შორის მსგავს ქორწინებათა სამართლებრივი რეგლამენტაციის თვალსაზრისითაც (იხ. Семейное право: проблемы и перспективы развития (Материалы „Круглого стола“), журн. „Государство и право“, 1999, № 2, с. 96-101.

² მინიმალური საქორწინო ასაკის შესახებ გაეროს რეკომენდაციების (1965 წ.) შესაბამისად, მიჩნეულია 15 წ. რიგი სპეციალისტების აზრით, 15 წელი, როგორც დასაშვები მინიმალური საქორწინო ასაკი, მეტად დაბალია. მრავალ ქვეყანაში ასეთად მიჩნეულია ზუსტად ან დაახლოებით 21 წელი.

ქორწინების რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ მკაცრი საკანონმდებლო მითითების მიუხედავად, სამართლებრივ ლიტერატურაში გაპუდმებით გამოითქმება აზრი, რომლის თანახმად, ქორწინება წარმოადგენს იმ პირთა კავშირს, რომლებიც ერთ ოჯახად, მკულღებებით ცხოვრობენ რეგისტრაციის არარსებობის შემთხვევაშიც კი. ზოგჯერ ეს აზრი პირდაპირ, ზოგჯერ კი ირიბად გამოიხატება. რიგი ავტორების თანახმად, ქორწინება დამოკიდებულია არა რეგისტრაციის ფორმალურ არსებობაზე ან არარსებობაზე, არამედ მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ ურთიერთობათა არსზე; ამასთან დაკავშირებით, „არარეგისტრირებული ქორწინებაც ქორწინებაა და არა თანაცხოვრება“.¹ სხვა ავტორთა თვალსაზრისით, კამერტიანებელი საწყისის სახით შეიძლება მოგვევლინოს, მაგალითად, „თუნდაც სრულიად უცხო ადამიანების ორმხრივი მისწრაფება იცხოვრონ ერთად“.² უკანასკნელ პერიოდში, ცხოვრების საერთო ლემოკრატიზაციასთან დაკავშირებით, მსგავსა მიდგომამ დამატებითი სერიოზული არგუმენტი შეიძინა. ო. ხაზოვა, მაგალითად, მიიჩნევს, რომ ადამიანებს საერთოდ აქვთ უფლება აირჩიონ ოჯახური ცხოვრების იმგვარი წესი, რომელიც მათთვის ყველაზე უფრო მეტადაა მისაღები“.³

თუ ამ საკითხს ფორმალურ-იურიდიული პოზიციებიდან მივუდგებით, ყველაფერი მარტივად გადაწყდება. სახელმწიფო ლეგიტიმურად მიიჩნევს მამაკაცისა და ქალის მხოლოდ იმგვარ კავშირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, მათ შორის მოთხოვნას ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. ამ თვალსაზრისით, თუ ქორწინება არ არის რეგისტრირებული, არც ოჯახი წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, ახასიათებს თუ არა მამაკაცისა და ქალის კავშირს ოჯახისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები (ერთობლივი

¹ Маслов В.Ф., Подопригора З.А., Пушкин А.А., Действующее законодательство о браке и семье. Харьков, 1972, с. 141.

² Нечаева А.М. Понятие брака в советском семейном праве. М., 1983, с. 163.

³ Советское семейное право / под ред. В.Ф. Маслова, А.А. Пушкина, с. 47/.

თანაცხოვრება, საერთო ცხოვრება, ურთიერთზრუნვა და სხვ.). თუმცა სოციოლოგიური და დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგები ადასტურებს, რომ პრობლემა არსებობს. ამას სასამართლო სტატისტიკაც წარმოაჩენს. როგორც ცნობილია, მოსახლეობის აღწერის შედეგები სტაბილურად აჩვენებენ, რომ ქორწინებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურად რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვს.¹ სასამართლოები ყოველწლიურად აკმაყოფილებენ სარჩელებს მამობის დადგენის თაობაზე; ამ სარჩელებს საფუძვლად უდევს ბავშვის მშობლების ერთობლივი თანაცხოვრება და მეურნეობის ერთობლივი გაძღოლა. მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება ვაკეთდეს დასკვნა, რომ ფაქტობრივი ქორწინება პრაქტიკაში მეტად გავრცელებულია.

ფაქტობრივი ქორწინებების იგნორირება არ განაპირობებს მათი რაოდენობის შემცირებას. საბოლოო ჯამში, მხოლოდ ფაქტობრივი მეუღლეები წყვეტენ საკითხს: იქნება რეგისტრირებული ქორწინება თუ არა. ლიტერატურაში შემოთავაზებულ იქნა არაერთი კონკრეტული წინადადება, რომელთა მიზანია კანონმდებლობის შეცვლა ამ ნაწილში. ა.ს. ივანოვ-კულიგინი ფაქტობრივ მეუღლეთა ქონებრივი ინტერესების დაცვას შეეცადა. თუმცა იგი მხოლოდ იმ მეუღლეებს იცავდა, რომელთაც ქორწინების რეგისტრირება საპატიო მიზეზებით ვერ შეძლეს.

მეუღლეთა გარდა, ოჯახის წევრებს წარმოადგენენ მშობლები და შვილები, ანუ ურთიერთშორის სისხლისმიერი ნათესაობით დაკავშირებული პირები, რომლებიც ერთიმეორისაგან არიან წარმოშობილი.¹ სისხლით ნათესაობის ფაქტს სამართალში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან მას უკავშირდება იურიდიული უფლებებისა და მოვალეობების მთელი კომპლექსის, მათ შორის ქონებრივი ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა.

¹ Короткова Л.П. Необходимо универсальное понятие семьи „Правоведение“, 1980, N 1, с. 63.

საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს ოჯახებს, რომლებშიც შვილები ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ და ე.წ. არასრულ ოჯახებს, სადაც ბავშვი მხოლოდ ერთ მათგანთან ცხოვრობს. იურიდიული თვალსაზრისით, არასრული ოჯახები შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილი ქორწინებაში არმყოფ დედას უჩნდება, და იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილი ერთ-ერთ გაცილებულ მშობელთან ან მეუღლის (მეორე მშობლის) სიკვდილის შედეგად მარტო დარჩენილ, მარტოხელა მშობელთან ერთად ცხოვრობს. ამასთანავე, შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი ერთი ოჯახის წევრებად ითვლებიან, მეორე მშობელთან კი (თუ ის ცოცხალია და იურიდიულად დაღუპვით) შვილს აკავშირებს არა ოჯახის წევრობა, არამედ სისხლისმიერი ნათესაობა და მის საფუძველზე წარმოშობილი ოჯახური უფლებებისა და მოვალეობების (საალიმენტო, სამემკვიდრეო და ა.შ.) კომპლექსი.

უკანასკნელ ათწლეულებში საკითხმა იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის მშობლებად, ახალი შინაარსი შეიძინა. ეს დაკავშირებულია იმ ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიების განვითარებასთან, რომელიც სიცოცხლის ჩასახვის პროცესებში აქტიური ჩარევის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სიცოცხლის ხელოვნურ ჩასახვასთან დაკავშირებული ურთიერთობების ორი ძირითადი მოდელი. პირველი მოდელი გათვლილია ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც მეუღლე წერილობით თანხმობას იძლევა თავისი ცოლის დონორის მიერ განაყოფიერებაზე. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად შობილი ბავშვის მამად ითვლება ბავშვის დედის ქმარი. ქმარს არა აქვს უფლება სადავო კახადოს ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, ისევე როგორც დონორს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია იმაზე, რომ ბავშვის მამად ჩაიწეროს.

მეორე მოდელი ურთიერთობათა უფრო რთულ სახეობას ითვალ-

ისწინებს. ამ შემთხვევაში, პირიქით, ცოლი წერილობით თანხმობას აძლევს თავის ქმარს სხვა ქალის განაყოფიერებაზე და ამ ქალის (დონორის) მიერ ბავშვის გაჩენაზე, თვითონ კი საკუთარ თავზე იღებს ბავშვის დედის ყველა უფლებასა და მოვალეობას. ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ცოლს უფლება არა აქვს სადავო გახადოს განხორციელებული ჩანაწერი დედობის შესახებ, ისევე, როგორც ქალს, რომელმაც ბავშვი გააჩინა (დონორს) არა აქვს უფლება მოითხოვოს დედად ჩაწერა. ამ შემთხვევაში წარმოშობილმა ურთიერთობებმა ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება „სუროგატული დედობა“. როგორც ჩანს, ძირითადად ეს ტერმინი სინამდვილეს შეესაბამება, რადგან ქალი-დონორები ბავშვის გაჩენის ნაკისრი ფუნქციის შესრულების შემდეგ, ნამდვილად გადასცემენ ბავშვს პირებს, რომლებიც დედად და მამად იწერებიან. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. საზღვარგარეთის პრაქტიკაში უკვე ცნობილია შემთხვევები, როდესაც ბავშვის გაჩენის შემდეგ ქალი უარს აცხადებს „მშობლებისათვის“ მის გადაცემაზე და მოითხოვს, რომ დედად თვით იგი იქნეს ჩაწერილი.

პასუხის სირთულე კითხვაზე, თუ ვინ წარმოადგენს ბავშვის დედას ან მამას ემბრიონის იმპლანტაციის შემთხვევაში, განპირობებულია შესაძლო სიტუაციების მრავალფეროვნებით. მაგალითად, რიგ შემთხვევებში ქმარი და ცოლი შეიძლება ბავშვის ბიოლოგიური მშობლები იყვნენ, ხოლო დონორი-ქალის ფუნქცია ბავშვის მუცლით ტარებასა და გაჩენაში მდგომარეობდეს („ქალი-ინკუბატორი“). სხვა შემთხვევებში ბავშვის ბიოლოგიური მამა ქმარია, ქალი-დონორი კი არა მხოლოდ მუცლით ატარებს და აჩენს ბავშვს, არამედ მისი ბიოლოგიური დედაც არის. არსებობს შემთხვევები, როდესაც ქმარი ბავშვის ბიოლოგიური მამაა, ცოლი კი, ქმრის მიერ სხვა ქალის ორგანიზმში ჩასახულ ემბრიონს იმპლანტაციის შემდეგ მუცლით ატარებს და შობს ბავშვს. პრინციპში, შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც არც ქმარი და არც ცოლი არ არიან ბავშვის ბიოლოგიური მშობლები და ამ საქმეში

სართული არიან სხვა პირები, რომელთაც მეუღლეებთან დადებულ აქვთ ხელშეკრულება ბავშვის გაჩენის შესახებ. ცდილობენ რა ერთიანი ხაზის გატარებას მსგავსი რთული საქმეების გადაწყვეტისას, საზღვარგარეთის სასამართლოები ხელმძღვანელობენ პრინციპით, რომელმაც „ბიოლოგიური პრიორიტეტის პრინციპის“ სახელწოდება მიიღო. პრინციპის შესაბამისად, დავის წარმოშობისას იმ პირებს შორის, რომელთაგან ერთი ბავშვის ბიოლოგიური მშობელია, მეორე კი არა, პრიორიტეტი პირველს უნდა მიენიჭოს.¹ რიგი სპეციალისტების აზრით, მსგავსი მიდგომა საკმაოდ სადავოა და ყოველთვის არ სარგებლობს სასამართლოების მხარდაჭერით.²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღემდე არ წარმოშობილა მსგავსი ხასიათის დავები, ისინი შესაძლოა წარმოიშვას მომავალში, რადგან ჩენი ქვეყნის სამედიცინო პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიები. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც უფრო დეტალურად მოახდენს ხელოვნურ განაყოფიერებასა და იმპლანტაციასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგლამენტირებას. გადაწყვეტილ უნდა იქნეს საკითხი, თუ კონკრეტულად რომელ სუბიექტებს აქვთ ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიების შედეგებით სარგებლობის უფლება (მაგალითად, პირები, რომელნიც არ არიან დაქორწინებულნი, მარტონხელა მამაკაცები, ქალები, ერთსქესიანი წყვილები); მოგვარებას მოითხოვს ბავშვის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები და პრობლემა, რომელიც უკავშირდება ბავშვის უფლებას: იცოდეს საკუთარი წარმოშობა: მთლიანობაში, ო.ა. ხაზოვა აღნიშნავს, რომ ადამიანის რეპროდუქციის სფეროში თავს იჩენს პრობლემების ფართო კომპლექსი და

¹ Hoilgate L.D. Whose Child? In re Baby M. and the Biological Preference Principe // Logos (USA), 1988, Vol. 9. P. 162.

² Rae S.B. The Ethics of Commercial Surrogate Motherhood. Brave New Families. Westport, 1 1994, p. 116.

მათი გადაწყვეტა განსხვავებული სფეროს სპეციალისტების ძალ-
ისხმევას საჭიროებს.¹

გარდა მშობლებისა და შვილებისა, რომლებიც სისხლით ნათე-
სავეები არიან, ოჯახის წევრებს მიეკუთვნებიან მსგავსი ურთიერთ-
ბებით დაკავშირებული პირები. მრავალი ავტორი ოჯახის წარ-
მოშობის საფუძვლად, ქორწინებისა და ნათესაობის გარდა, მიიჩნევს
და სპეციალურად გამოყოფს შვილად აყვანას.² მიუხედავად იმისა,
რომ მოქმედ კანონმდებლობაში არსებული უნივერსალური ნორმის
თანახმად, მშვილებლები და შვილად აყვანილები მშობლებისა და
შვილებისათვის დამახასიათებელი უფლებებითა და მოვალეობებით
სარგებლობენ, შვილად აყვანა მაინც მიიჩნევა ოჯახის წარმოშობის
დამოუკიდებელ საფუძვლად. ამ პირებს შორის წარმოშობილი ქონე-
ბრივი ურთიერთობების მოცულობისა და ხასიათის თვალსაზრისით,
ისინი არ გამოირჩევიან სპეციფიკურობით;

ოჯახის წევრთა რიცხვს მიეკუთვნებიან ასევე ის პირებიც,
რომელთაც, რ.პ. მანანკოვას აზრით, პირობითად მეორე წრის ოჯახ-
ის წევრები შეიძლება ვუწოდოთ, საკანონმდებლო ტერმინიდან „ოჯახ-
ის სხვა წევრები“ – გამომდინარე. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ
პირთა რამდენიმე კატეგორიის წარმომადგენელი. მოცემულ შემთხ-
ვევაში გამაერთიანებელი ფაქტორია არასრულწლოვანი ბავშვი,
როგორც ოჯახის წევრი.

საკითხს ოჯახის წევრთა წრის შესახებ მეტად დიდი და პრინ-
ციპული მნიშვნელობა აქვს სამართლის სხვადასხვა დარგისათვის,
ვინაიდან ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკ-
იდებული განსაზღვრულ პირთა შორის არა მარტო სამართლებრივი
ურთიერთობის სუბიექტთა უფლების მოცულობა და ხასიათი, არამედ

¹ Семейное право: проблемы и перспективы развития (Материалы „Круглого стола“) // Гос-во и право. 1999, N 9, с. 98.

² Бошко В.И. Очерки советского семейного права. Киев, 1952, с. 89.
Советское семейное право / Под ред. В.Ф. Маслова, А.А. Пушкина, с. 47,
Чиквашвили Ш.Д. Имущественные отношения в семье. М., 1976.

განსაზღვრული ობიექტების მიმართ თვით უფლების არსებობაც კი. უწინარეს ყოვლისა, აქ მხედველობაში გვაქვს საკუთრების უფლება პენსიაზე, ალიმენტსა და მემკვიდრეობაზე.

გ.ს. სიმონენკო ამტკიცებს, რომ ოჯახის წევრებს ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ მეუღლეებსა და შვილებს, აგრეთვე მშობლებსა და სხვა ნათესავეებს, თუ ისინი ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას აწარმოებენ¹. არ შეიძლება დავეთანხმოთ ოჯახის წევრთა წრის ასეთ განსაზღვრებას, ვინაიდან ავტორი იმასაც კი არ აზუსტებს, თუ სამართლის რომელ დარგს განეკუთვნება მის მიერ შემოთავაზებული ოჯახის წევრთა წრის ცნება.

მოქმედი კანონმდებლობისათვის უცნობია არა მარტო ოჯახის, არამედ ოჯახის წევრთა უნივერსალური ცნება. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სამართლის თითოეული დარგისათვის (სამოქალაქო, შრომის და ა.შ.) დამახასიათებელია ოჯახის წევრთა საკუთარი წრე (შემადგენლობა). უფრო მეტიც, სამართლის ერთი დარგის (მაგალითად, სამოქალაქო სამართლის) ფარგლებშიც კი ზოგჯერ ოჯახის წევრთა წრე მიუღებელია იმ ურთიერთობის რეგულირებისათვის, რაც, მაგალითად, მემკვიდრეობიდან გამომდინარეობს. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ბოლო წლებში მეცნიერთა მიერ სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით შემოთავაზებულია ოჯახის უნივერსალური ცნება². ცნების შედარებით სრულყოფილი ხასიათის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ოჯახის ცნება მისი სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე, ვერასოდეს ვერ იქნება სრულყოფილი, რადგან იგი ვერ

¹ Симоненко Г. С., В интересах матери и ребенка, М., „Профиздат“, 1976, с. 16.

² Короткова Л. П., Необходимо универсальное понятие семьи, „Правоведение“, 1980, N 1, с. 53-65; Королев Ю. А., „Конституция СССР – Правовая основа построения брачно-семейных отношений. М., изд-во МГУ, 1981, с. 192; Белякова А. М., Ворожейкин Е. М., „Советское семейное право“, М., 1974 г., с. 33.

ამოწურავს იმ საკითხებს, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში ოჯახის დეფინიცია იქნება უნივერსალური.

სულ სხვა მოსაზრებას გეთავაზობს რ. მანანკოვა, როდესაც ამბობს, რომ ოჯახის ცნება მეცნიერების ყველა დარგისათვის უნდა იყოს ერთნაირი გაგების, ისევე, როგორც ეს არის სახელმწიფოსა და ადამიანის ცნებასთან მიმართებაში. ოჯახის უნივერსალური ცნების ჩამოყალიბება კანონში შეუძლებელია იმიტომ, რომ მას არ შესწევს ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა წახნაგის გათვალისწინების უნარი¹.

თუ პირთა რომელ წრეს გულისხმობს ოჯახის წევრთა ცნება იმ იურიდიულად მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაზღვრულ სახეთა მიხედვით, მხოლოდ კონკრეტული კანონები იძლევა, რომელშიც როგორც უფლებამოსილი, ისე სამართალვალდებული სუბიექტები დამოუკიდებელ მიზნებს ისახავენ. ასე მაგალითად, ოჯახის წევრთა ცნება საოჯახო სამართლის თანახმად, განისაზღვრება პირადი ქონებრივი ურთიერთობებით, ე.ი. უწინარეს ყოვლისა, საქორწინო, ნათესაური და მოყვრული ურთიერთობით. ამიტომ მშობლები, სრულწლოვანი შვილები, თუნდაც ისინი ცალცალკე ცხოვრობდნენ და არ ეწეოდნენ საერთო მეურნეობას, იმყოფებიან საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობაში, ვინაიდან ისინი ნათესაობის ისეთი ხარისხით უკავშირდებიან ერთმანეთს, რომელიც წარმოშობს მატერიალური დახმარების აღმოჩენის ურთიერთუფლებებსა და მოვალეობებს შრომისუუნარობისა და მატერიალური დახმარების საჭიროების შემთხვევაში. ამისგან განსხვავებით, მარტო ნათესაობისა და მოყვრობის ფაქტი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საბინაო ურთიერთობის მიხედვით ოჯახის წევრთა წრის განსაზღვრას, რომლის დროსაც ოჯახის წევრად ცნობისათვის აუცილებელია როგორც ერთად ცხოვრება, ისე საოჯახო მეურნეობის ერთად წარმართვა. არც ქორწინება და არც ნათესაობა თავისთავად

¹ Мананкова Р. П. Правовые проблемы членства в семье. Томск, 1985г., с.5.

არ წარმოშობს დაძვირებულობის უფლებას, ისარგებლოს საცხოვრებელი ფართობით. თუ მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, არც ერთ მათგანს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია მეორის საცხოვრებელ ფართობზე უფლების მოსაპოვებლად. თუ საოჯახო ურთიერთობის მიხედვით ოჯახის წევრად ცნობისათვის ნათესაურ ხარისხს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა (მაგალითად, ალიმენტის გადახდის მოვალეობის დაკისრებისათვის), მას საბინაო სამართლის მიხედვით არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ახალი სამოქალაქო კოდექსი ხშირად მიმართავს ახლო ნათესავის ცნებას, რომელსაც, ვფიქრობთ, შეუძლია გაუგებრობის გამოწვევა პრაქტიკაში. მაგალითად, მისი 529-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულება შესაძლებელია გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებელი მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

რამდენადაც ქართული ხასიათიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარია „ახლო ნათესავის“ გაგება, მისი განსაზღვრის უქონლობა მეტად სუბიექტურ ხასიათს მინიჭებს ამგვარ საკითხთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტას. უფრო მეტიც, კანონმდებელმა ახალი სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლით საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებლად მიიჩნია ისეთი პატივსაღები მიზეზების არსებობისას, როგორც არის ახლო ნათესავებისათვის სადგომის საჭიროება, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს ეს „ახლო ნათესავი“.

საბინაო სამართლებრივ ურთიერთობებში ოჯახის წევრთა ცნების განსაზღვრის დროს, არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ, მაგალითად, სოცუზრუნველყოფის კანონმდებლობაში არსებული ოჯახის წევრის ცნებით, რომლის მიხედვითაც მარჩენალის დაკარგვის გამო, პენსიის მიღების უფლება აქვს მის კმაყოფაზე მყოფ პირებს, ე.ი. ისეთ პირებს, რომლებიც დაღუპულ პირს უნდა ერჩინა. ასეთ შემთხვევაში ერთად ცხოვრებას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. სოცუზრუნველყოფის კანონმდებლობით ოჯახის წევრებად ითვლებიან:

მშობლები (მშვილებლები), შვილები (ნაშვილები), ძმები, დები და შვილიშვილები; საოჯახო სამართლით გათვალისწინებული ოჯახის წევრთა წრე კი უფრო ფართოა და ჩამოთვლილ პირთა გარდა, მასში შედიან აგრეთვე მამინაცვალი და დედინაცვალი, გერები, აღმზრდელი და აღზრდილი, მეურვე (მზრუნველი) და მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანები. საბინაო და სოცუზრუნველყოფის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ოჯახის წევრთა ცნებაში თავისი სპეციფიკური შინაარსი შეაქვს სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედროვალდებული პირებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ კანონმდებლობას, აგრეთვე შრომის, სისხლის სამართლისა და საგადასახადო კანონმდებლობას.

ზოგიერთი ქვეყნის სამართლის მკვლევრები შეეცადნენ განესაზღვრათ იმ პირთა წრე, რომელსაც ისინი მიაკუთვნებენ „ახლო ნათესავებს“. მაგალითად, ესტონეთის საოჯახო კოდექსის 157-ე მუხლში მოხსენიებულია ახლო ნათესავის ცნება და განსაზღვრულია მისი კონკრეტული შემადგენლობა. კერძოდ, ასეთებად მიიჩნევიან: პირდაპირი აღმავალი და დამავალი ხაზის ნათესავები (შვილები, შვილიშვილები, ბებია, პაპა და სხვები) და გვერდითი ხაზით – დები და ძმები. ამავე აზრს იზიარებენ რუსეთის საოჯახო კოდექსის კომენტარის ავტორები, რომლებიც, ისევე როგორც ესტონელი კოლეგები, თვლიან, რომ „ახლო ნათესავებს“ განეკუთვნებიან მშობლები და შვილები, პაპა, ბებია და შვილიშვილები, ღვიძლი და არაღვიძლი და-ძმა. აქედან ცხადია, რომ ესტონელი და რუსი იურისტები ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევენ მხოლოდ იმ პირთა ჩამონათვალს, რომელსაც მოიცავს მათ მიერ „ახლო ნათესავის“ განმარტება. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ იმ პირთა შორის ქორწინების აკრძალვის თაობაზე, რომლებსაც ამავე კოდექსით განეკუთვნებიან „ახლო ნათესავის“ ცნებაში ნაგულისხმევი პირები: პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავები, ღვიძლი და არაღვიძლი და-ძმანი (1120-ე მუხლი). მიგვაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა „ახლო ნათესავის“ ცნებ-

ისადმი ყოველად მიუღებელია ქართული ცნობიერებისათვის. უფრო მეტიც, წარმოუდგენელია, რომ დეიდაშვილი, მამიდაშვილი, სიძე, რძალი (ქალიშვილის ქმარი, ვაჟიშვილის ცოლი და დის ქმარი) არ მივიჩნიოთ იმ ახლო ნათესავეებად, რომელთა საჭიროებისთვისაც ახალმა სამოქალაქო კოდექსმა შესაკუთრეს მიაჩნა ქირაგნობის, ჩუქებისა და სხვა გარიგებათა მოშლის უფლება. ვფიქრობთ, რომ კანონმდებელს ახლო ნათესავის ცნებაში არ უგულისხმია პირთა ისეთი წრე, რომელიც განიხილება როგორც ქორწინების დამპარკოლებელი გარემოება (მუხლი 1120-ე).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ კანონმდებელი „ახლო ნათესავის“ ცნებას უკავშირებს მხოლოდ სისხლითნათესაობას, რასაც გენეტიკისა და მედიცინის თვალსაზრისით შეიძლება არსებითი მნიშვნელობა მიენიჭოს. სისხლით ნათესაობას სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებისათვის კი არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ, ვინაიდან სისხლით ნათესავეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობანი ხშირად, შეიძლება ითქვას, ბევრად უფრო ცივი და უცხოა, ვიდრე არასისხლით ნათესავეებს შორის (მაგალითად, ქალიშვილის ქმარი, დის ქმარი და ა.შ.). ვფიქრობთ, საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება მეტად შეესაბამება ქართულ მენტალიტეტს, ზნე-ჩვეულებასა და ადათს.

თუ საოჯახო სამართლისათვის (როგორც ეს სამოქალაქო კოდექსიდან ირკვევა) ახლო ნათესავის ცნების განსაზღვრისას ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სისხლით ნათესაობა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის სსსკ-ის 31-ე მუხლით ნათესავის ცნება მეტად ფართოა და მოიცავს როგორც სისხლით ნათესავეებს (დაძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლები), ისე მის გარეშე პირებსაც (მეუღლე, დანიშნულის ნათესავეები-მოყვრები, პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობებით არიან დაკავშირებული).

სულ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს ნათესავის ცნებისადმი საგადასახადო კოდექსს, რომლის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის

თანახმად, ნათესავებს განეკუთვნებიან: დები (ძმები), დისწულები (ძმისწულები), დის ქმარი (ძმის ცოლი), მშობლების დები (ძმები), პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან როგორც მშობლები და შვილები, არაღვიძლი და-ძმა.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „ახლო ნათესავის“ ცნების უნივერსალური განსაზღვრა საკანონმდებლო წესით შეუძლებელია.

მართებული იქნებოდა, რომ ახლო ნათესავის ცნების ჩამოყალიბებისას მხედველობაში მიღებულ იქნეს ურთიერთობების მოწესრიგება, რომლებიც წარმოადგენენ სამართლის ამა თუ იმ დარგის (ქვედარგის) საგანს. ამიტომ საოჯახო სამართალში მოცემული „ახლო ნათესავის“ ცნება უნდა ემსახურებოდეს სწორედ საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგებას, რაც, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნება, თუ კანონმდებელი მის ქვეშ არ იგულისხმებს ისეთ პირებს, რომლებსაც, მართალია, არ მიეკუთვნებიან პირდაპირ აღმავალ და დამალავ შტოს ნათესავებს, ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საოჯახო ურთიერთობებში, მაგალითად, ვაჟიშვილის ცოლს, ქალიშვილის ქმარს, დის ქმარს, ძმის ცოლს და ა.შ.

თავი მესამე

ქორწინება

ქორწინების ცნება, ფესი და პირობები

ქორწინება ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია, თუმცა არა ერთადერთი. ოჯახი შეიძლება წარმოიშვას დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის დაბადების, შეილად აყვანისა და კანონით გათვალისწინებული სხვა იურიდიული ფაქტების არსებობის შემთხვევაშიც.

რამდენადაც ოჯახის შექმნის ყველაზე გავრცელებული (და ყველაზე სასურველი) საფუძველია მისი ბუნებრივი საწყისი – ქორწინება, ამიტომ იმ საკითხებს, რომლებიც ქორწინების არსს, ქორწინების წესს, ქორწინების შეწყვეტასა და მათ სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავენ, კანონი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს.

ქორწინების ცნების მხოლოდ სამართლებრივი გაგება ვერ იქნება სრულყოფილი, ვინაიდან ქორწინება წარმოადგენს რთულ, კომპლექსურ მოვლენას, რომელზეც გავლენას ახდენს არა მხოლოდ სამართლის, არამედ ეთიკისა და მორალის ნორმებიც, ასევე ეკონომიკის კანონები.

ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობა არ იძლეოდა ქორწინების ცნების განსაზღვრას. კანონში მისი შეტანა შეუძლებლად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ იგი ვერ ამოწურავდა მისი იურიდიული და ზნეობრივი მნიშვნელობის მქონე ნიშანთვისებებს. გ. შერშენევიჩის მიერ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მოცემული ქორწინების ცნების განსაზღვრა იურიდიული თვალსაზრისით, როგორც მამაკაცისა და ქალის კავშირისა ერთობლივი თანაცხოვრების მიზნით, რომელიც ემყარება ურთიერთთანხმობას და განხორციელებულია დადგენილი ფორმით – მთლიანობაში შეიცავდა იმ ძირითადი პირობების ერთობლიობას, რომელთა არსებობისას „სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ერთობლივი

თანაცხოვრება იძენს კანონიერ ხასიათს, ე.ი. მას მოჰყვება კანონიერი ქორწინებისათვის დამახასიათებელი ყველა შედეგი“. შემთხვევითი არ არის, რომ გ. შერშენევიჩის მიერ შემოთავაზებული ქორწინების ცნება განმსაზღვრელი გახდა შემდგომში ქორწინების, სწორედ, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირის შესახებ შეხედულებათა დასაბუთებისათვის¹.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქორწინება, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცისა და ქალის კავშირი, უნდა ატარებდეს სამისდღემშიო ხასიათს. ამგვარი პოზიცია ეფუძნებოდა ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოჯახის ერთ-ერთ ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბავშვების დაბადება და გაზრდა. ამასთან, დაქორწინების, მამაკაცისა და ქალის მიერ ოჯახის შექმნის მიზნების განსაზღვრისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელი იყო არა მარტო საბჭოთა საოჯახო სამართლისათვის, არამედ ასახვას პოულობდა საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაშიც, სადაც გათვალისწინებული იყო სამისდღემშიო ქორწინების შესახებ ნორმები, თუმცა განქორწინებათა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამო, ატარებდა უფრო ეთიკურ-მორალურ, ვიდრე იმპერატიულ ხასიათს. ქორწინების, როგორც სამისდღემშიო კავშირის (life-long marriage) შესახებ თეზისის პრაქტიკული სისუსტე ცხადი გახდა უკანასკნელ ათწლეულთა მანძილზე ზოგიერთ ქვეყანაში ქორწინება-ამხანაგობის (partnership), როგორც ქორწინების ფორმის გავრცელების გამო. სამისდღემშიო ქორწინების პრინციპი ატარებს უფრო სასურველ, ვიდრე ფაქტობრივ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საოჯახო სამართალი მოითხოვს ახალ, ეროვნული იურიდიული მეცნიერებისათვის არატრადიციულ შეხედულებებს ქორწინებაზე, რომლებიც პრინციპულად განსხვავდება ადრე არსებულთაგან. მაგალითად, მ. ანტოკოლსკაია ქორწინების, როგორც ხელშეკრულების, საიდუმ-

¹ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, М., 1907, с. 12-14.

ლოებით მოცული მოვლენისა და განსაკუთრებული ინსტიტუტის (sui generis) შესახებ სამართლებრივი თეორიების თანმიმდევრულად გამოკვლევისას მიდის იმ დასკვნამდე, რომ „დაქორწინების შესახებ შეთანხმება რეგულირდება სამართლით და წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, იგი წარმოადგენს ხელშეკრულებას“. თუმცა, მისივე თქმით, დაქორწინების მიზანი მდგომარეობს არა მარტო საქორწინო სამართალურთიერთობის წარმოშობაში, არამედ აგრეთვე ისეთი კავშირის შექმნაში, რომელიც ემყარება სიყვარულს, პატივისცემას, ურთიერთდახმარებას, მხარდაჭერას და ა.შ.¹

მეორე მხრივ, თანამედროვე საოჯახო სამართლის თეორიაში დღემდე ჭარბობს შეხედულება იმის შესახებ, რომ ქორწინება არის მამაკაცსა და ქალს შორის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც დაყარებულია ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებზე, რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში და წარმოშობს მეუღლეთა ურთიერთ უფლება-მოვალეობებს. მსგავსი განმარტება საოჯახო სამართლის სამეცნიერო და მონოგრაფიულ ლიტერატურაში მოყვანილია ზოგიერთი კორექტივებით. მაგალითად, ო. ხაზოვა ქორწინების ქვეშ გულისხმობს „მამაკაცსა და ქალს შორის მონოგამიურ, ნებაყოფლობით და თანასწორუფლებიან კავშირს, რომელიც კანონით გათვალისწინებული წესით არის განხორციელებული და წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს“².

ამრიგად, ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ქორწინების შესახებ შეხედულებათა უმრავლესობა ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა პრაქტიკისა და დაგროვილი თეორიული ცოდნის განზოგადების საფუძველზე შეძლეს ჩამოეყალიბებინათ

¹ Антокольская М.В. Семейное право М, 1996, с. 109-114.

² Комментарий к Семейному кодексу РФ / Отв. ред. Кузнецова И.М. М., 1996, с. 33.

ქორწინების ცნება, რამაც პირველად პოვა ასახვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

სამართლის მეცნიერება ქორწინების ცნების განსაზღვრისას გამოდის იქიდან, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში (სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი).

მართალია, აღნიშნული ცნება არ მოიცავს დეტალურ განმარტებებს ქორწინებასთან მიმართებაში, მაგრამ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქორწინების დეფინიციასთან დაკავშირებით დავაზუსტოთ, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიყვარულზე, პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული, როგორც წესი, სამისდღემშიო კავშირი, რომელიც წარმოშობს მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს და მიზნად ისახავს ბავშვების დაბადებასა და აღზრდას¹.

შვილების გაჩენა და აღზრდა ქორწინების ერთ-ერთი მახასიათებელია. თუმცა უშვილო ქორწინებები იშვიათობას არ წარმოადგენს, ქორწინების მთავარი მიზანი მაინც გვარის გაგრძელებაა. შესაძლებელია შვილების გაჩენა ქორწინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში კანონი სამართლებრივი რეგულირების ისეთ ფორმებს ითვალისწინებს, რომლებიც მშობლებს შორის ცოლქმრული ურთიერთობების არარსებობის მაქსიმალური კომპენსაციის შესაძლებლობას იძლევიან, თუნდაც მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით. დაქორწინებულთა შორის 10% უშვილოა.

ქორწინება ნიშნავს, სანახევროდ შეამცირო საკუთარი უფლებები და ორმაგად გაზარდო შენივე მოვალეობები, ამიტომ, ოჯახის შექმნისას, დასაქორწინებელი პირები უნდა ხელმძღვანელობდნენ

¹ ე.მ. ვოროვეიკინის აზრით, აუცილებელია კანონში იყოს ქორწინების ცნება. კანონში ამ ცნების არარსებობა მისი შემუშავების წარუმატებლობის ცდის შედეგია. Ворожейкин Е.М. Рецензия на книгу Н.В. Орловой – „Правовое регулирование брака в СССР“, журнал „Советское государство и право“, 1972, №6, с. 147; Антокольская М.В. „Семейное право“, М, 1996 г. с. 115-117.

თავიანთი გულისა და გონების კარნახით, ადამიანებისა და საკუთარი თავის მიმართ პასუხისმგებლობისა და სერიოზული დამოკიდებულების გრძნობით. მტკიცე და ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად კი აუცილებელია, რომ დასაქორწინებელმა პირებმა დაიცვან ქორწინებასთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გაფორმებული ქორწინება. ამ წესთან კანონი ათანაბრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ქორწინებას საქართველოს საელჩოებში ან საკონსულოებში. იურიდიული ძალა აქვს აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე დიპლომატიურ წარმომადგენლობაში რეგისტრირებულ ქორწინებას.

უცხოელის მონაწილეობით საოჯახო სამართალურთიერთობის წარმოშობა, მათ შორის ქორწინება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, კერძოდ, მისი საოჯახო სამართლით მოწესრიგებული არ არის. ერთდერთი ნორმა, რომელიც უცხოელის მონაწილეობით ქორწინებას ეხება, არის 1118-ე მუხლი, სადაც მითითებულია, რომ საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი.

ეს წესი არ გამოიყენება მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ ან იმ სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ გასცემენ ასეთ ცნობას.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები უცხოელის მონაწილეობით დღესდღეობით წესრიგდება საქართველოს 1998 წლის 29 აპრილის კანონით – „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.

რამდენადაც კანონი აღიარებს მხოლოდ ისეთ ქორწინებას, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, რელიგიური ან ადგილობრივი ადათ-წესების დაცვით ქორწინება წარმოადგენს თითოეული მოქალაქის პირად საქმეს და ის

არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, რომელიც, როგორც წესი, თან ახლავს რეგისტრირებულ ქორწინებას¹.

ქორწინებას ეკლესიაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც მის რეგისტრაციამდე, ისე ნებისმიერ დროს ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ².

ქორწინების ცნებაში ხაზი აქვს გასმული, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. თუმცა, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც კანონმდებლობით დაშვებულია ერთი სქესის პირებს შორის ქორწინების რეგისტრაცია (დანია, ნორვეგია, საფრანგეთი და შვეცია).

ამ ქვეყნებში უკანასკნელ წლებში მიღებულია სპეციალური კანონები, რომლებიც ნებას რთავენ ერთი სქესის ადამიანებს ქორწინების რეგისტრაციისათვის.

1994 წელს შვედეთში მიღებულმა კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს, განსაზღვრა ერთი სქესის პირთა ქორწინების სპეციალური პროცედურა. ამავე კანონით დადგენილია, რომ რეგისტრირებულ ერთი სქესის წევრებს არ შეიძლება ჰყავდეთ ბავშვი აღსაზრდელად; აკრძალული აქვთ ბავშვის შეილად აყვანა როგორც ორივეს ერთად, ისე თითოეულს ცალ-ცალკე და არ დაიშვებიან ხელოვნური განაყოფიერებისათვის

¹ ეს წესი არ შეეხება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შექმნამდე შესრულებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და მათ დამადასტურებელ დოკუმენტებს ქორწინების, განქორწინებისა და სხვათა შესახებ.

² რაც შეეხება ქორწინების ფორმას, საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, გერმანიის, პოლანდიის კანონმდებლობა ცნობს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებულ ქორწინებას, ხოლო ინგლისი, ავსტრალია, აშშ-ის უმრავლესი შტატი, ნორვეგია, შვეცია, ფინეთი კი ერთმანეთთან ათანაბრებს როგორც სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებულ, ისე ეკლესიაში ჯვარდაწერილ ქორწინებას. რიგ სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობა რელიგიურ ქორწინებას უშვებს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შემდეგ, ე.ი. დაქორწინებულ პირებს ევალებათ ეკლესიაში წარადგინონ საბუთი სახელმწიფო ორგანოს სააქტო წიგნში ჩანაწერის თაობაზე. უფრო მეტიც, სლოვენიაში რელიგიური წესით დაქორწინება სამოქალაქო ქორწინებამდე გამოცხადებულია სისხლის სამართლის დანაშაულად.

განკუთვნილ სამედიცინო პროცედურებზე. ამასთან, ასეთი ქორწინების რეგისტრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არის შვედეთის მოქალაქე და ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ასეთი ნებართვა არ გაიცემა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომელთა ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს ამგვარ ქორწინებას. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ამგვარი ქორწინება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს არც ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, ზემოთ დასახელებული ქვეყნების გარდა.

ქორწინების რეგისტრაციას ქალაქებსა და რაიონებში ახორციელებენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები.

კანონი განსაზღვრავს ქორწინების რეგისტრაციის მიზანს: ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების დაცვის მიზნით.

ქორწინების რეგისტრაციის საშუალებით სახელმწიფო ფლობს ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების შესახებ (კერძოდ, ქორწინებათა და განქორწინებათა ინტენსივობაზე, შობადობის სიხშირეზე და ა.შ.).

ქორწინების რეგისტრაცია უფრო დისციპლინირებულს ხდის თვითონ მეუღლეებსაც: ამაღლებს მათში პასუხისმგებლობის გრძნობას ერთმანეთისა და საზოგადოების წინაშე. გარდა ამისა, რეგისტრაციის სავალდებულო ხასიათი გამომდინარეობს იქიდან, რომ ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობები, რა ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს ისინი, არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობა შეიცავს დაქორწინების პირობების ამომწურავ ჩამონათვალს.

დაქორწინების ძირითადი პირობებია: დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და საქორწინო ასაკი.

ისტორიულად აღნიშნული საკითხი წყდებოდა არა დასაქორ-

წინებელი პირების, არამედ მათი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) თანხმობით. ძველი ისტორიული წყარო „ძეგლის წერა“ მიუთითებს, რომ ქორწინებისათვის უფრო ხშირად ქალ-ვაჟის მშობლები ირჯებოდნენ, ვიდრე თვითონ დასაქორწინებელი პირები, ე.ი. ქორწინება განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდა და ამ დროს ჩვეულებრივ ცოლის შერთვა მშვიდობიან მოლაპარაკებასა და მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და არა საქმროს ძლიერებასა და სიყოჩაღეზე; ქალს საქმროს მშობლები თხოულლობდნენ თავიანთი შვილისათვის, ხოლო ქალ-ვაჟი, როგორც ჩანს, მოლაპარაკებაში არც კი ერეოდა¹. ასე გრძელდებოდა XII საუკუნის დამდეგამდე, ვიდრე მშობელთა თანხმობამ არ მიიღო ქორწინებისათვის მხოლოდ ფორმალური თანხმობის სახე და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭა ქალისა და ვაჟის ნებას.

თანამედროვე საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობამ დასაქორწინებელ პირთა თანხმობა კონსტიტუციურ პრინციპად მიიჩნია და მისი არარსებობა ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველადაც კი ცნო.

ჩვენს ქვეყანაში დაქორწინების დროს სიყვარულისა და მეგობრობის ჭეშმარიტად ადამიანურ გრძნობაზე დამყარებულ პირთა ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვა უზრუნველყოფილია საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური წყობით, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მამაკაცისა და ქალის სრული თანასწორუფლებიანობის აღიარებით. მამაკაცისა და ქალის უფლება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს აღნიშნული უფლების განხორციელებას, წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს. ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები, აღიარებენ საქორ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ტ. VII, თსუ გამოცემა, 1983, გვ. 263-264.

წინო ასაკს მიღწეულ მამაკაცთა და ქალთა უფლებას დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი დასაქორწინებელ პირთა თავისუფალი თანხმობის შემთხვევაში. აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლში, რომელიც ადგენს ქორწინების პირობებს, გარემოებებს, აუცილებელს ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისა და ამ ფაქტის სამართლებრივი ძალის მქონედ ცნობისათვის. ქორწინების პირობებს წარმოადგენს: ა) დასაქორწინებელ პირთა ნებაყოფლობითი თანხმობა; ბ) მათ მიერ საქორწინო ასაკის მიღწევა.

კანონი, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველყოფს დაქორწინების ნებაყოფლობას მომავალი მეუღლეებისათვის, რაც გამოხატული უნდა იყოს პირადად დასაქორწინებელი პირების თანხმობაში. აქედან გამომდინარე, არ დაიშვება ქორწინება კანონისმიერი წარმომადგენლის ან რწმუნებულის მეშვეობით, ანდა დაუსწრებლად. ამავე დროს, ისინი ანგარიშს უნდა უწევდნენ მათ მიერ შესრულებულ მოქმედებას. სხვა პირთა თანხმობა საჭირო არ არის. დაუშვებელია პირის იძულებით დაქორწინება. ამ საკითხს თანასწორობის საფუძველზე როგორც მამაკაცი, ისე ქალი თავისუფლად და დამოუკიდებლად წყვეტს. თუ თანხმობა დაქორწინებაზე დაქორწინებულ პირთა, მშობლების, თანამდებობის ან სხვა პირის მხრივ იძულების ან მუქარის შედეგია და არ შეესაბამება დაქორწინების მსურველთა ნამდვილ ნებას, მაშინ კანონი ასეთ ქორწინებას ბათილად აღიარებს. უფრო მეტიც, ქალის მოტაცება იძულებითი დაქორწინების მიზნით, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კვალიფიცირდება, როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რაც არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (143-ე მუხლი).

კანონი მოითხოვს მხოლოდ მომავალ მეუღლეთა თანხმობას, მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ეს სხვა პირებს. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს მშობლის რჩევა-დარიგებას, რასაც ხშირად მიმართავენ ახალგაზრდები, რომლებიც სერიოზულად ეკიდებიან ქორწინების საკითხს. ამ შემთხვევაშიც, საბ-

ოლოო გადაწყვეტილება თვითონ დაქორწინების მსურველ პირთ ეკუთვნით და მხოლოდ მათ მიმართავს კანონიც, როდესაც ლაპარაკობს დასაქორწინებელ პირთა თანხმობაზე, როგორც დაქორწინების ერთ-ერთ აუცილებელ პირობაზე.

დასაქორწინებელ პირთა თანხმობა, რომ შემდგომში ისინი იყვნენ ცოლი და ქმარი, უნდა იყოს ნამდვილი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოხატული ნება უნდა იყოს გაცნობიერებული და მათ შეეძლოთ ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებებს. ამიტომ, თუ პირი დროებით იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, როცა მას არ გააჩნია შესაძლებლობა გაცნობიეროს თავისი მოქმედება, ქორწინების რეგისტრაცია არ დაიშვება. მაგრამ, თუ მოხდება ასეთ მდგომარეობაში მყოფ პირთა ქორწინების რეგისტრაცია, აღნიშნული შეიძლება საფუძველი გახდეს ქორწინების ბათილად ცნობისათვის.

მართალია, სავესებით გასაგებ ეთიკურ მოსაზრებათა გამო, არავენ ამოწმებს, თუ როგორია ამ თანხმობის მოტივები, მაგრამ იგულისხმება, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია დაქორწინების მსურველ პირთა ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით, სურვილით, დააფუძნონ ოჯახი ამ ერთადერთ, მტკიცე საძირკველზე.

ამ საძირკველს დღევანდელი კანონმდებლობით შეადგენს დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით იწოდება ნიშნობად.

ნიშნობა ისტორიულად წარმოადგენდა ახალგაზრდა წყვილის საცოლედ და საქმროდ აღიარების ტრადიციას, რომლის შემდეგ ქორწინებამდე გადიოდა რამდენიმე თვე და ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე წელიც კი.

ხალხურ სიბრძნეს, როგორც ჩანს, შემთხვევით არ შეუქმნია ასეთი ჩვეულება. ამ ტრადიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომავალი მეუღლეებისა და მათი ახლობლების შემდგომი ბედნიერებისათვის. კერძოდ, ამ ხნის მანძილზე როგორც ახალგაზრდები, ისე მათი ოჯახები ასწრებდნენ ერთმანეთის უკეთ გაცნობას, დაახლოებას, თავიანთი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობისა და სერიოზ-

ზულობის შემოწმებას. ნიშნობა ხელს უწყობდა დაუფიქრებელი და ნაჩქარევი ქორწინების თავიდან აცილებას, რაც გარკვეულწილად ამცირებდა განქორწინების რიცხვსაც.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ ნიშნობას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ დასაქორწინებელ პირთა ფიზიოლოგიურად მოწიფულ ასაკში, არამედ „აკვანშიც“ კი. ასეთ პირობებში მათი ნების გამოვლინებაზე საუბარი ზედმეტი იყო.

ამგვარ შეპირებასა და ქალ-ვაჟის დანიშვნას „დაწინდვა“ ეწოდებოდა. უძველეს დროს მცირეწლოვანი ქალ-ვაჟის „დაწინდვა“ სცოდნით და XII საუკუნის დამდეგიდან ამის ნება თვით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებასაც დაურთავს. ამავე დროს, წინათ არამცთუ მცირეწლოვანი საქმრო-საცოლის დანიშვნა ყოფილა წესად, არამედ მცირეწლოვანების დაქორწინებაც კი შეიძლებოდა. ეს ჩვეულება რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ უკანონოდ ცნო, აკრძალა და განსაზღვრა, რომ მშობელთა მიერ შესაძლებელი იყო მხოლოდ მათი დანიშვნა და არა დაქორწინება¹.

საგულისხმოა, რომ დანიშნული პირების მშობლები და ახლობლები ქორწინებამდე ისეთივე უფლება-მოვალეობებით აღიჭურვებოდნენ, როგორც უკვე დაქორწინებული პირების მხარეთა ახლობლები და ნათესავები. ცნობილია, რომ ნიშნობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მზითვის ოდენობის განსაზღვრა და მათი შემდგომი ბედი (მისი სამართლებრივი მდგომარეობა); მზითვი კი ის ქონება იყო, რომელიც ეძლეოდა ქალს გათხოვებისას მშობლების ქონებიდან და მიჰქონდა ქმრის ოჯახში.

ინტერესმოკლებული არ იქნება იმის შესხენებაც, რომ ზოგჯერ დანიშნული პირები ქორწინებამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს (როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოს გამგებელნი პოლიტიკური თუ ქონებრივი მიზნებით ერთმანეთს უკავშირებდნენ თავიანთი შვილების ბედს) და, რაც მთავარია, ეკრძალებოდათ სხვა პირის მიმართ გრძნობის „გაჩენაც“ კი.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ტ. VII, თსუ გამოცემა, 1983. გვ. 265.

ნიშნობის ისტორიული ფორმები მოწმობენ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლზე, რომელსაც სამართლებრივი თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დღეს. ეს არის დანიშნულ პირთა (შემდგომში დაქორწინებულ პირთა) ნება, რომელიც ვლინდება მათ თანხმობაში. დღევანდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნიშნობის ამოსავალი წერტილი არის სწორედ მათი თანხმობა ქორწინებაზე, რაც სამართლებრივი თვალთახედვით არა მხოლოდ ნიშნობის, არამედ პირთა შორის ნებისმიერი სამოქალაქო გარიგების ძირითადი პრინციპია.

დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა, ე.წ. ნიშნობა, არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას. აღნიშნული არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ (მუხლი 1109-ე).

აღნიშნული ნორმა არ აკონკრეტებს მხარეთა ცნებას. კერძოდ, არ არის განმარტებული, თუ ვინ იგულისხმება მხარეებში – მხოლოდ დასაქორწინებელი პირები, თუ აგრეთვე ის პირები, რომლებმაც დასაქორწინებელ პირებს ნიშნობაზე მიართვეს საჩუქრები. ვფიქრობთ, კანონმდებელს „მხარის“ მითითებისას მხედველობაში ჰყავდა დასაქორწინებელი პირები და შესაბამისად, იგულისხმებიან ის პირებიც, რომლებიც თავისებურ მხარეს წარმოადგენენ დასაქორწინებელი პირებისათვის. თუ ასეთი დადგენილი ვერ იქნება ან სადავო გახდება, მაშინ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით საჩუქრის დაბრუნების მოთხოვნით.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი ბუნება გააჩნია დასაქორწინებელ პირთა თანხმობას. ავტორთა ერთი ჯგუფი (ა.ე. ბელიაკოვა, ო.ს. იოფე, გ.კ. მატკეევი, ვ.ა. რიასენცევი, ვ.ფ. მასლოვი) დასაქორწინებელ პირთა თანხმობას ქორწინებაზე არ მიიჩნევს სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებად. მათი აზრით, ქორწინების წარმოშობისათვის აუცი-

ლებელია შემდეგი იურიდიული შემადგენლობა, რომლის ელემენტებზედ ჩაითვლება: დასაქორწინებელ პირთა ურთიერთთანხმობა და სარო-ში ქორწინების რეგისტრაცია. საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას მ.კ. ანტაკოლსკაია, რომელიც დასაქორწინებელ პირთა ურთიერთთანხმობას ქორწინებაზე მართებულად მიიჩნევს სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებად. მისი აზრით, ქორწინების წარმოშობისათვის, საქორწინო ასაკთან ერთად, საკმარისია დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. რაც შეეხება სარო-ში რეგისტრაციას, ის წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, ისევე, როგორც ხელშეკრულების დადების სხვა შემთხვევებში, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვა.

კანონიერი ქორწინებისათვის დასაქორწინებელ პირთა თანხმობის გარდა, საჭიროა, რომ ისინი ქორწინების რეგისტრაციის (და არა განცხადების წარდგენის) მომენტისათვის მიღწეული იყვნენ საქორწინო ასაკს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალისათვის საქორწინო ასაკად დააწესა 18 წელი¹.

¹ საქორწინო ასაკი სხვადასხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის მიხედვით სხვადასხვანაირად განისაზღვრება. კერძოდ, საფრანგეთში საქორწინო ასაკად ქალებისათვის დადგენილია – 15, მამაკაცებისათვის კი – 18 წელი. მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება სერიოზული საფუძვლის არსებობისას იშუამდგომლოს ქორწინებაზე ნებართვის კანონით დაწესებულ ასაკამდე (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 144-ე, 145-ე მუხლები).

ავსტრალიის კანონმდებლობით საქორწინო ასაკად მიღებულია – ქალებისათვის 16, მამაკაცებისათვის – 18 წელი. რაც შეეხება აღნიშნული ასაკის შემცირების საკითხს, ამის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს, რომელსაც შეუძლია შეამციროს იგი არა უმეტეს ორი წლისა.

ინგლისში საქორწინო ასაკი განსაზღვრულია 16 წლით როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის. საგულისხმოა, რომ მისი შემცირება დაუშვებელია.

გერმანიაში საქორწინო ასაკად მიღებულია 18 წელი ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის. თუმცა, შესაძლებელია მისი შემცირება მშობლების თანხმობით. ამ უკანასკნელის არქონის შემთხვევაში დასაქორწინებელ პირებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მხოლოდ იმ პირობით, თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთერთმა მიაღწია – 16, ხოლო მეორემ – 18 წელს. რაც შეეხება ისრაელის კანონმდებლობას, იქ

საქორწინო ასაკთან დაკავშირებით საინტერესოა მისი ისტორიული ასპექტის განხილვა. კერძოდ, ორიოდ სიტყვით აღვნიშნოთ იმის თაობაზე, თუ რომელი ასაკი იყო ისტორიულად მიჩნეული საქორწინო ასაკად როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის. როგორც ზემოთ მივუთითეთ, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ აკრძალა ჩვილ ბავშვთა ქორწინება და საქორწინო ასაკად ქალის თორმეტი წელი დაადგინა. თორმეტი წლის ქალი უკვე „ჰასაკად მოსულად“ ითვლებოდა და ამიერიდან მისი გათხოვება კანონით შეიძლებოდა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში „ჰასაკად მოსულა“ სქესობრივი სიმწიფის ხანას უდრის. მაგრამ რადგან, ჩვეულებრივ, ბუნებრივად, ქალი სქესობრივად ვაჟზე ადრე მწიფდება, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „ძეგლისწერაში“ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მიჩნეულია, რომ ვაჟი „ჰასაკად მოსულად“ მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე წლიდან ითვლებოდა. ასე იყო განსაზღვრული საეკლესიო „სჯულის კანონშიაც“.

კანონმდებელი, როდესაც საქორწინო ასაკად 18 წელს აწესებს, გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ამ პერიოდისათვის დასაქორწინებელ პირს მიღებული აქვს საშუალო განათლება, მას უკვე შეუძლია შეიძინოს სპეციალობა და იშრომოს ოჯახის საკეთილდღეოდ, ე.ი. მოპოვებული აქვს სრული ქმედუნარიანობა და გააჩნია ეკონომიკური დამოუკიდებლობის უნარი.

ამ ასაკში ორივე სქესის ახალგაზრდები აღწევენ ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ მოწიფულობას. ადრეულ ასაკში დაქორწინებამ, არცთუ იშვიათ შემთხვევაში, შეიძლება დამლუპველი გავლენა იქო-

საქორწინო ასაკად ქალებისათვის დადგენილია 17 წელი, ამასთან, საყურადღებოა, რომ რელიგიური კანონმდებლობით ისრაელში საქორწინო ასაკად დაწესებულია ქალებისათვის 12,5 და ვაჟებისათვის – 13 წელი.

ინტერესმოკლებული არ არის მოლდავეთის ახალი საოჯახო კოდექსის მიერ საქორწინო ასაკად ვაჟებისათვის 18 წლის, ხოლო ქალებისათვის 16 წლის დადგენა, მაგრამ, ამავე დროს, განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მათი შემცირება ორი წლით, ე.ი. ვაჟებისათვის ქორწინება დაშვებულია 16 წლის ასაკში, ხოლო ქალებისათვის 14 წლის ასაკში (მუხლი მე-14).

ნიოს ჭაბუკებისა და ქალიშვილების ჯანმრთელობაზე, ვინაიდან მათ ორგანიზმს ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი აიტანოს განსაზღვრული ფიზიოლოგიური დატვირთვა. გარდა ამისა, ადრეულ ასაკში დაქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს შთამომავლობაზე. ამ ასაკში დაქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები სუსტები არიან და სიკვდილიანობაც მეტია მათ შორის.

ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, როდესაც უფლებამოსილ ორგანოებს (ყოფილ აღმასკომებს) შეეძლოთ შეემცირობინათ საქორწინო ასაკი არა უმეტეს ერთი წლისა, დღეს, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად, გამონაკლის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაიშვება ქორწინება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.

თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში, პატივსაღები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ. სასამართლოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე შეუღლები, სრულწლოვანების მიღწევამდე განქორწინების შემთხვევაში, ინარჩუნებენ მოპოვებულ ქმედუნარიანობას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ქორწინება სასამართლოს მიერ ცნობილი იქნება ბათილად.

დაქორწინებაზე ნებართვის მიცემისას სასამართლოს მიერ პატივსაღებ მიზეზად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს: ქალის ორსულობა, ბავშვის დაბადება და სხვა. ასეთ დროს არსებული საოჯახო ურთიერთობის სწრაფად მოგვარება შეესაბამება როგორც სახელმწიფოს, ისე ახალგაზრდა ოჯახის ინტერესებს.

არ არის გამორიცხული, რომ მშობლების თანხმობაზე უარი განპირობებული იყოს დასაქორწინებელ პირთა სხვადასხვა ეროვნებით ან მათ შორის მნიშვნელოვანი ასაკობრივი სხვაობით. სასამართლო-

სათვის აღნიშნული მოტივები სავალდებულოდ გასათვალისწინებელი არ არის. ეს უკანასკნელი მხოლოდ მსჯელობს მათთან მიმართებაში და დამაჯერებლობის შემთხვევაში, იძლევა ნებართვას დასაქორწინებელ პირთა ქორწინებისათვის, მათი განცხადების საფუძველზე.

მოქმედი კანონმდებლობა არ აწესებს დაქორწინებისათვის საჭირო მაქსიმალურ ასაკს. კანონი არ ითვალისწინებს, თუ რა ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს დასაქორწინებელ პირთა შორის. სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეებს შეუძლიათ დაქორწინდნენ ყოველთვის, მიუხედავად ასაკისა.

კანონით გათვალისწინებული დაქორწინების პირობები გამომდინარეობს ქორწინების არსიდან და დანიშნულებიდან. მათი დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ ქორწინებას მიენიჭოს სამართლებრივი ძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, ვინაიდან ქორწინების პირობების ქვეშ საოჯახო სამართლის მეცნიერებაში იგულისხმება გარემოებები, რომლებიც აუცილებელია ქორწინების რეგისტრაციისა და ნამდვილად ცნობისათვის. ზემოთ განხილულ ქორწინების პირობებს უწოდებენ აგრეთვე მატერიალურ პირობებს, რათა ხაზი გაესვას მათ განსხვავებას ქორწინების ფორმასა და პროცედურასთან დაკავშირებული პირობებისაგან. ამ პირობების დაცვა აუცილებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1142-ე მუხლი მიუთითებს იმ ქორწინების ბათილად ცნობაზე, რომელიც შემდგარია პირთან ქორწინებით, რომელსაც საქორწინო ასაკისათვის არ მიუღწევია და არც საქორწინო ასაკი ჰქონია შემცირებული, მაგრამ ასაკის შემცირება ამ შემთხვევაშიც და საერთოდ, კანონით არ დაიშვება და ვიმედოვნებთ, რომ იგი წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს. მოცემულ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს არა საქორწინო ასაკის შემცირებაზე, არამედ 1108-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვაზე, ამის გამო მიგვაჩნია, რომ 1142-ე მუხლი შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი 1108-ე მუხლთან.

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა დაქორწინების მსურველ პირთა საშუალო ასაკის ზრდის ტენდენცია. 1997 წელს მან 27 წელს მიაღწია და ეს მაჩვენებელი შენარჩუნებულია ამჟამადაც. უმთავრესად ეს ფაქტი აიხსნება ოჯახის შექმნის მსურველი პირის მისწრაფებით – მიაღწიოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მოაგვაროს საბინაო პრობლემა, რაც, თავის მხრივ, მტკიცე ოჯახის შექმნის ერთ-ერთი უზრუნველმყოფელი ფაქტორია. თუმცა არანაკლები მნიშვნელობისაა დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. მაგრამ დაქორწინების ასეთი დინამიკა ეწინააღმდეგება პრობლემის ბიოლოგიურ მხარეს. ზოგიერთი საშიში ხასიათის დაავადება უფრო ხშირად ვლინდება სწორედ იმ ბავშვებში, რომელთა დედებმა გვიანდელ ასაკში იმშობიარეს. ასეთ დაავადებათა რიცხვს განეკუთვნება დაუნის დაავადება, რომელიც თავს იჩენს ჭკუასუსტობაში, გულის მანკში, დამბლასა და სხვა ორგანოთა დაავადებაში. იგი ჯერ კიდევ საკმაოდ არის გავრცელებული: 700 ახალშობილზე საშუალოდ ერთი ამ დაავადებით იბადება. 20-24 წლის ასაკის ქალისათვის ალბათობა, რომ იგი დაბადებს დაუნით დაავადებულ ბავშვს, უდრის 0,05%-ს, ხოლო 32 და ზევით ასაკის ქალებისათვის ეს ალბათობა 18-ჯერ უფრო მეტია¹.

სამოქალაქო კოდექსი დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში საერთოდ კრძალავს ქორწინების რეგისტრაციას. კერძოდ, დაქორწინება არ დაიშვება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან.

ქორწინებაში მყოფ პირს შეუძლია ხელახლა იქორწინოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც წარმოადგენს დამადასტურებელ საბუთს, რომ იგი აღარ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. ასეთი საბუთია მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, პირის გარდაცვლი-

¹ Давиденкова Е. Ф., Штильбанс И. И., Верлинская Д. К. Факторы, способствующие появлению ребенка с болезнью Дауна, глава в книге „Болезнь Дауна“, 1960, с. 186; Комментарий Семейного кодекса РФ, М., 1996 г., с. 49-50.

ლად გამოცხადების შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, განქორწინების მოწმობა და სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების ბათილად აღიარების შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელშეორედ დაქორწინებისას პირთა შეზღუდვას გარკვეული ვადით, მაშინ როცა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ვადა დადგენილია კანონმდებლობით. ასე მაგალითად, დანიაში „სამგლოვიარო ვადად“ მამაკაცისათვის დადგენილია 3 თვე, ხოლო ქალისათვის – ერთი წელი; პორტუგალიაში და ბელგიაში ქალისათვის – 12 თვე და მამაკაცისათვის – 6 თვე; ჰოლანდიაში ქალისათვის – ათი თვე, ხოლო მამაკაცისათვის ასეთი ვადა განსაზღვრული არ არის.

კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ქორწინებათა რაოდენობას, თუ იგი შესრულებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, ანუ ყოველი ქორწინება ემყარება კანონით განსაზღვრულ წინა საქორწინო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს.

ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას ქორწინების რეგისტრაციისათვის.

დაქორწინებისათვის საჭირო სხვა სავალდებულო პირობათა შორის კანონი ასახელებს დასაქორწინებელ პირთა შორის ახლო ნათესაობის არარსებობას. აღნიშნული არ წარმოადგენს თანამედროვე კანონმდებლობის სიახლეს. იგი ჯერ კიდევ ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე მიჩნეული იყო ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად, კერძოდ, იკრძალებოდა ქორწინება როგორც ხორციელ, ისე სჯულიერ ნათესაებს შორის. მართლმადიდებელი ეკლესია ამ საკითხში ბასილი კესარიელის კანონებს მისდევდა. მე-6 მსოფლიო კრებამ მხარი დაუჭირა მის მოძღვრებას და განსაზღვრა, რომ აკრძალულიყო ქორწინება ახლო ნათესაებს შორის. რაც შეეხება სჯულიერ ნათესაობას, რომელიც ნათელმირონობით მყარდებოდა, აგრეთვე ითვლებოდა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად. ბასილის კანონები, შვიდსავე მსოფლიო კრების დადგენილებებთან ერთად, მიღებულ იყო ქართულ

ეკლესიაში, რამაც მოგვიანებით საერო კანონმდებლობაშიც მკვიდრად მოიკიდა ფეხი.

~~ახალმა სამოქალაქო კოდექსმა დააკონკრეტა ნათესაობის წრე, რომელთა შორის ქორწინება მიიჩნია ქორწინების დამატარებელ გარემოებად. კერძოდ, არ დაიშვება დაქორწინება პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავეებს შორის, ღვიძლ და არაღვიძლ დასა და ძმას შორის, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის და~~ იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუნაროდ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი). აღნიშნულ პირთა შორის დაქორწინების დაუშვებლობა ეფუძნება ზნეობრიობის პრინციპს და დასაბუთებულია ბიოლოგიურადაც.

პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავეები არიან: მამა, დედა, ბებია, პაპა და ა.შ., ხოლო პირდაპირი დამავალი შტოსი – შვილი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და ა.შ. გვერდითი შტოს ნათესავეებს მიეკუთვნებიან: ღვიძლი და-ძმა (ერთი მამისა და დედის შვილები) და არაღვიძლი და-ძმა სხვადასხვა დედისაგან ნაშობი (მამით ერთი დები და ძმები), ან ერთი დედისა და სხვადასხვა მამისაგან (დედით ერთი დები და ძმები).

პირდაპირ აღმავალ და დამავალ შტოს ნათესავეებს შორის დაქორწინება ჩვენს დროში აღმოფხვრილია ერთხელ და სამუდამოდ. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სქესთა ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს მაღალ ზნეობრივ პრინციპებს, რომელიც ღვიძლ ნათესავეებს შორის დაქორწინებას სამართლიანად მიიჩნევს ამორალურ და პათოლოგიურ მოვლენად. საოჯახო კანონმდებლობა არ თვლის ქორწინების დამატარებელ გარემოებად ქორწინებას მეუღლეთა წინა ქორწინებიდან მოყოლილ შვილებს შორის. ასეთი შვილები ერთმანეთის მიმართ არ არიან და-ძმანი. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ ამოწურავს დაქორწინების პრობლემას მხოლოდ ზნეობისა და მორალის თვალსაზრისით. ამაზე მეტყველებენ ბიოლოგიისა და გენეტიკის სტატისტიკის მონაცემებიც. ამასთან დაკავშირებით მეტად

საინტერესო მონაცემებია მოყვანილი სამედიცინო ლიტერატურაში. ასე მაგალითად, მძიმე მემკვიდრეობითი პათოლოგიით დაავადებული ბავშვების დაბადების სიხშირე იმ ოჯახებში, სადაც მეუღლეები ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები არიან, 2-4-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ ოჯახებში. მაგრამ ეს ციფრები ასახავს მხოლოდ დაავადებათა სიხშირეს, რაც უკვე ბავშვობის ასაკში იჩენს თავს. იგი მნიშვნელოვნად უფრო მეტია, თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე მემკვიდრეობით პათოლოგიას, რაც ჩვეულებრივ ხანდაზმულობის ასაკში ვითარდება¹. გარე ბიძაშვილების დაქორწინების შემთხვევაში ასეთი საფრთხე რამდენადმე ნაკლებია, თუმცა, დაქორწინება ნათესავთა შორის ყოველთვის სახიფათოა შთამომავლობისათვის.

ცნობილი გენეტიკოსის ვ. პოლინინის მოსწრებული შენიშვნისა არ იყოს, – „თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს გენეტიკური ჭეშმარიტება იმაზე, რომ დაქორწინება ახლო ნათესავთა შორის ეს არის ლატარია, რომლის დროსაც მოგების შანსი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე წაგებისა“².

მიუხედავად იმისა, რომ ნაშვილები და მისი შთამომავლები მშვილებლისა და მისი ნათესავების მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი ქონებრივი უფლება-მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს (მუხლი 1259-ე), შვილად აყვანა არ წარმოშობს სისხლით ნათესაურ ურთიერთობას მშვილებლებსა და ნაშვილების ნათესავებს შორის. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს მათ შორის ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას, რასაც მოწმობს თვით კოდექსის ნორმაში გადმოცემული შეხედულება მხოლოდ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად დაწესების თაობაზე. ვფიქრობთ, კანონმდებელმა აღნიშნული ნორმის დაწესებისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მშვილებლისა და ნაშვილების ნათესავებს შორის ადგილი არა აქვს

¹ См. Генетика в гематологии, М., 1967, с. 102-104.

² Полинин В. Мама, папа и я. М., 1969, с. 295.

გენეტიკურ კავშირს და, აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობით პათოლოგიას. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მშვილებლებსა და ნაშვილების ნათესავეებს შორის ქორწინებასთან დაკავშირებით უნდა გავრცელდეს იგივე წესები, რაც პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავეების მიმართ¹.

მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა კრძალავს ქორწინებას იმ პირთა შორის, რომლებიც ნათესაობის ისეთ ხარისხში იმყოფებიან, რომელიც სახიფათოა შთამომავლობისათვის. ასე მაგალითად, ბულგარეთისა და საფრანგეთის საოჯახო კოდექსებით არ დაიშვება დაქორწინება არა მხოლოდ პირდაპირი შტოს ნათესავეებს, დებსა და ძმებს, აგრეთვე გვერდითი შტოს ნათესავეებს შორისაც. საფრანგეთის კანონმდებლობით აკრძალულია დაქორწინება აგრეთვე ბიძასა და ძმისწულეებს (დისწულეებს), მამიდას, დეიდასა და ძმისწულეებს, დისშვილებს შორის. ანალოგიურად წყდება ეს საკითხი მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც (შვეიცარია, ავსტრია და სხვები). თუმცა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (ირანის, თურქეთის და სხვ.) დასაშვებად მიიჩნევს ქორწინებას ნათესაურ ხარისხში მყოფ პირებს შორის.

ახლო ნათესავეებს შორის დაქორწინების აკრძალვა ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შთამომავლობისათვის არასასურველი შედეგები. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ასახვა არ პოვა ახლო ნათესავეებს შორის (დეიდაშვილის, მამიდაშვილის, ბიძაშვილების, ბიძებისა და დისშვილების, ძმისშვილების, დეიდებისა და დისშვილების, მამიდასა და ძმისშვილების და სხვათა) ქორწინებამ, როგორც ქორწინების დამაბრკოლებელმა გარემოებამ. აღნიშნულს არ შეიძლება გულგრილად ვეკიდებოდეთ². ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება შეიძლება, თუ ასეთ აკრძალვას მიეცემთ საკანონმდებლო ხასიათს და დავაწესებთ იმ ფარგლებს, რა ფარ-

¹ Комментарий к Семейному кодексу РФ, Москва, 1997 г., с. 41.

² შ. ჩიკვაშვილი, „ქორწინება, ოჯახი, სამართალი“, თბ., 1977, გვ. 19.

გლებშიაც არ დაიშვება ქორწინება (მაგალითად, მესამე, მეოთხე თაობამდე) ახლო ნათესავეებს შორის.

ზემოთქმული არ არის მხოლოდ თვალსაზრისი, არამედ ის ემყარება გენეტიკის ისეთ ფუნდამენტურ თეორიას, როგორც არის მენდელის „გენთა დათიშვის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმადაც, გენების დათიშვასა და მასთან დაკავშირებულ ყველა უარყოფითი ნიშნის გამოვლენას ადგილი აქვს მესამე თაობაში. ქორწინების მარეგისტრირებელი ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან განუმარტონ დაქორწინების მსურველ პირებს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ, რაც თან ახლავს დაქორწინებას ახლო ნათესავეებს შორის. რაც შეეხება დასაქორწინებელ პირთა შორის ასაკობრივ სხვაობას, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად. ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს აგრეთვე მოყვრული ურთიერთობა, ვინაიდან არ ეფუძნება სისხლით ნათესაობასა და წარმოშობას. აღნიშნულ ურთიერთობაში იმყოფება თითოეული მეუღლე მეორე მეუღლის ნათესავეებთან, აგრეთვე მეუღლეთა ნათესავეები ერთმანეთის მიმართ (სიდედრი, სიმამრი, რძალი, სიძე, მამამთილი, მული და ა.შ.). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობისა და მორალის თვალსაზრისით ასეთ პირთა შორის ქორწინება ასევე ყოველად მიუღებელია.

პირის ფსიქიკური დარღვევები ამა თუ იმ ფორმით, რომელიც არ წარმოადგენს საფუძველს სასამართლოს მიერ პირის ქმედუნაროდ აღიარებისათვის, არ შედის ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა რიცხვში. ასეთ შემთხვევაში, ქორწინების რეგისტრაცია აღნიშნულ პირთან შეიძლება გახდეს შეუძლებელი ნების გამოხატვის დროებითი უუნარობის გამო; მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების რეგისტრაციის მომენტში ცხადი იყო პირის ფსიქიკური დარღვევა და ნების გამოხატვის უუნარობა და მაინც განხორციელდა ქორწინების რეგისტრაცია, შემდგომში ასეთი ქორწინება შესაძლებელია სასამართლოს მიერ ცნობილ იქნეს ბა-

თილად იმ მიზეზით, რომ ქორწინების რეგისტრაციის მომენტში პირს არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეხატა თავისი შეგნებული ნება-სურვილი დაქორწინებაზე თანხმობასთან დაკავშირებით (1107-ე მუხლი). რაც შეეხება პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებას ალკოჰოლური სასმელების ანდა ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების გამო, იგი არ წარმოადგენს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას.

ეს დებულება ორგანულ კავშირშია პრინციპთან, რომლის მიხედვითაც დაქორწინებისათვის აუცილებელია დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ქორწინების მარეგისტრირებელი სახელმწიფო ორგანოს წინაშე თითოეული მხარის მიერ დაქორწინებაზე თანხმობის ნათლად გამოთქმის აუცილებლობა დაქორწინების მსურველ პირთა შეგნებული ნება-სურვილის არსებობასაც გულისხმობს.

სულით ავადმყოფობა და ჭკუასუსტობა დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებაა, თუ იგი დადგენილია სასამართლო წესით ქორწინების რეგისტრაციის მომენტამდე. თუ პირი ქორწინების შემდეგ სულით ავადმყოფობის გამო არაქმედუნარიანად არის ცნობილი, ეს გარემოება შეიძლება მიჩნეულ იქნეს განქორწინების და არა ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველად.

პირის შეგნებული ნება-სურვილის მიუხედავად, არ შეიძლება დაქორწინების რეგისტრაცია იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი დროებით ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ არა აქვს უნარი შეიგნოს თავისი მოქმედება (უგონო სიმთვრალე, ნარკოტიკების ზემოქმედება და ა.შ.).

სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუნარო პირთან ქორწინება არ დაიშვება იმიტომაც, რომ იგი წარმოშობს არასრულფასოვანი შთამომავლობის გაჩენის რეალურ საფრთხეს.

სხვა დაავადებანი, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გარდა, არ წარმოადგენს დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს. კანონი მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ დაქორწინების მსურველმა პირებმა არ დაუშალონ ერთმანეთს თავიანთი ჯანმრთელობის

მდგომარეობა, მაგალითად, ვენერიული სნეულებანი, ტუბერკულოზი და სხვა მძიმე ხასიათის დაავადებანი. სამწუხაროდ, კოდექსმა გვერდი აუარა დაავადების ისეთ სახეს, როგორიც არის შიდსი (იმუნოდეფიციტური სინდრომი). ვფიქრობთ, აღნიშნული განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოადგენს მძიმე, განუკურნებელ და სოციალურ დაავადებას არა მხოლოდ დასაქორწინებელ პირთათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, რასაც მოწმობს სახელმწიფოს დამოკიდებულებაც, რომელმაც ასახვა პოვა შიდსთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების საქმეში. ამდენად, მიგვაჩნია, რომ მას (შიდსს) უნდა მიენიჭოს ქორწინების დამბარკოლებელი გარემოების მნიშვნელობა, რაც შესაბამისად, უნდა აისახოს სამოქალაქო კოდექსში. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირი მოვალეა უზრუნველყოს დაქორწინების მსურველი პირებისათვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის ურთიერთგაცნობა. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია არსებობდეს დასაქორწინებელ პირთა უფასო სამედიცინო გამოკვლევის, აგრეთვე მათი კონსულტირების შესაძლებლობა სამედიცინო-გენეტიკურ და ოჯახის დაგეგმვის შესახებ საკითხებზე. ცხადია, ასეთი გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დასაქორწინებელ პირთა თანხმობით, ნებაყოფლობის საწყისებზე. ასეთი გამოკვლევის შედეგები შეადგენენ სამედიცინო (საექიმო) საიდუმლოებას და შეიძლება ეცნობოს მეორე მხარეს მხოლოდ გამოკვლეული პირის თანხმობით.

ასეთია ის რამდენიმე პირობა, რასაც კანონმდებლობა დაქორწინებას უკავშირებს. მათი დაცვა ნაკარნახევია, უპირველეს ყოვლისა, დაქორწინების მსურველი პირების, მათი შთამომავლების, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებით.

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობისათვის უცნობია დაქორწინების ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა: ქორწინების აკრძალვა რასობრივი ან ეროვნული ნიშნის მიხედვით, რელიგიური მოტივით და ა.შ.

თუმცა ისტორიული წყაროები ასეთ პირობას, ანუ რწმენის სხვაობას დასაქორწინებელ პირთა შორის მიიჩნევდა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად. აღნიშნული საკითხი რუის-ურბნისის (1103 წ.) საეკლესიო კრების მსჯელობის საგანიც კი ყოფილა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში წინათ, ტრულის მსოფლიო კრების დადგენილების მიუხედავად, სამღვდელოებას მართლმადიდებელთა და ეგრეთ წოდებულ „მწვალებელთა“ შეუღლება გვირგვინითა კურთხევით დაულოცნია. როგორც ჩანს, რუის-ურბნისის კრებას საჭიროდ მიუჩნევია ამგვარი ქორწინების ხელშეორედ აკრძალვა. თუმცა არაერთი ისტორიული დოკუმენტი არსებობს, რაც ადასტურებს, რომ ასეთი ქორწინება მთლიანად არ იყო შეწყვეტილი¹.

ქართული კანონმდებლობისათვის უცხო იყო და არის საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა შორის ქორწინების აკრძალვა. ისტორიული წყაროებიც გვამცნობენ, რომ ქრისტიანობა და ეკლესია ამ მხრივ წოდებრივ განსხვავებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი თავისი კვლევის შედეგად ასაბუთებს, პატრონყმობა, წოდებრივი განსხვავება და გვარიშვილობა იმდენად იყო განმტკიცებული მაშინ, რომ ამის შესახებ საჭირო არ ყოფილა რაიმე განსაკუთრებული კანონმდებლობითი აკრძალვა; უამისოდაც იმდროინდელი საზოგადოებრივი და წოდებრივი პირობები და ვითარება დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენდა; ქორწინება დაბალ და მაღალ წოდებათა გვარიშვილებს შორის ალბათ შეუძლებელი ან ძალიან იშვიათი იქნებოდა².

დაქორწინების მსურველ პირს პირადად შეაქვს განცხადება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, დასაქორწინებელ პირთა მიერ არჩეული ადგილის მიხედვით. განცხადების შეტანა ქორწინების რეგისტრაციისათვის წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაციის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს და განეკუთვნება ადმინისტრაციულ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი; ტ. VII, თსუ გამოცემა, 1983, გვ. 266-267.

² იქვე, გვ. 267.

სამართლებრივ ურთიერთობას. იგი არ წარმოშობს დასაქორწინებულ პირთა პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. აქედან გამომდინარე, მათ ნებისმიერ დროს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლიათ უარი განაცხადონ დაქორწინებაზე. ასეთი უარი არ წარმოშობს მათთვის იურიდიულ პასუხისმგებლობას, რადგანაც განცხადების შეტანით წარმოშობილი ურთიერთობები განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის სფეროს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქორწინებულ პირებსა და რეგისტრაციის ორგანოს შორის. სამოქალაქო კოდექსი არ უშვებს დაქორწინებას წარმომადგენლის მეშვეობით. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს წარმომადგენლის მეშვეობით ქორწინებას (მაგ., ესპანეთი, პერუ, ინდოეთი და სხვ.). ინდოეთში ქორწინება ეწყობა სასიძოსა და საპატარძლოს ოჯახების მიერ განსაკუთრებული შუამავლების საშუალებით, რომლებსაც უწოდებენ მეურვეებს.

ისტორიამ შემოგვინახა ნაპოლეონის ქორწინების ფაქტი ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილთან. ნაპოლეონის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ქორწინებისას მის ინტერესებს ვენის საკათედრო ტაძარში და საქორწინო ცერემონიაზე წარმოადგენდა მარშალი ბერტე.

თუ ერთ-ერთ დასაქორწინებულ პირს პატივსადები მიზეზების არსებობის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს ქორწინების რეგისტრაციისათვის, ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ადგილსამყოფელის გარეთ (მუხლი 1114-ე), დასაქორწინებულ პირთა ავადმყოფობის გამო — სახლში ან სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალი ექიმის თანხმობით. თუ ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის გამოუცხადებლობა გამოწვეულია მისი პატიმრობაში ყოფნით, მაშინ ამ ქორწინების რეგისტრაციას აწარმოებს რეგისტრაციის ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციის თანხმობით საპატიმრო ადგილას.

განცხადებაში დადასტურებული უნდა იყოს, რომ არ არსებობს
კანონით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარე-
მოებები, რომ დაქორწინების მსურველმა პირებმა იციან ერთმანე-
თის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე იცნობენ ერთმანეთის ოჯახურ
პირობებს, მერამდენა თითოეული მათგანისათვის ეს ქორწინება და
ჰყავთ თუ არა შვილები (მუხლი 1116-ე).

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, რომელიც მი-
იღებს დასაქორწინებელ პირთა განცხადებას, მოვალეა გააცნოს მათ
ქორწინების რეგისტრაციის პირობები და წესი, აგრეთვე განუბარ-
ტოს მეუღლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობები; გააფრთხი-
ლოს ისინი, რომ პასუხისმგებელნი არიან დაქორწინების დამ-
აბრკოლებელ გარემოებათა დაფარვისათვის (მუხლი 1113-ე).

იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორ-
განოში შევა შეტყობინება კონკრეტულ პირთა დაქორწინების დამ-
აბრკოლებელ გარემოებათა არსებობის შესახებ, მისი სახელმწიფო
რეგისტრაცია გადაიდება. ამასთან, განმცხადებელს მიეცემა წინადადება
წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებანი. სამოქალაქო აქტების
რეგისტრაციის ორგანოს დაინტერესებულ პირთა თხოვნით შეუ-
ძლია თვითონ ჩაატაროს აუცილებელი შემოწმება. ცხადია, ამ დროს
ადგილი ექნება დასაქორწინებელ პირთათვის ქორწინების სახელმ-
წიფო რეგისტრაციის გადადების შესახებ შეტყობინებას. სამოქალაქო
აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირი უფლებამო-
სილია წერილობით უარი უთხრას დასაქორწინებელ პირებს ქორ-
წინების სახელმწიფო რეგისტრაციაზე, თუ იგი ფლობს დამადას-
ტურებელ მტკიცებულებებს ქორწინების დამაბრკოლებელი გარე-
მოებების შესახებ. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წეს-
ით, თუ აღნიშნული ცნობები არ დადასტურდება, ქორწინების რეგ-
ისტრაცია განხორციელდება საერთო წესით.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი თვის განმავლობაში რეგ-
ისტრაციის ორგანოში შედის ინფორმაცია ქორწინების რეგისტრა-
ციაზე სხვადასხვა ორგანოებიდან, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის

ორგანოებიდან იმ პირთა შორის ქორწინების რეგისტრაციაზე, რომელთაც აქვთ ტუბერკულოზი, ვენერიული სნეულება ან სხვა დაავადებანი. აღნიშნულ გარემოებათა გამო, არ შეიძლება უარის თქმა ქორწინებაზე, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს.

ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 1113-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, რომელიც მიიღებს დასაქორწინებელ პირთა განცხადებას, უნდა დაარწმუნდეს იმაში, რომ მათ არ დაუფარავთ ერთმანეთისათვის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები და იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მაგრამ სახელმწიფო დაინტერესებულია არა მარტო იმით, რომ დაქორწინებისას დაცულ იქნეს კანონით გათვალისწინებული ქორწინების რეგისტრაციის პირობები და წესი, არამედ იმითაც, რომ დაქორწინება არ იყოს დაუფიქრებელი, იგი ნამდვილად წარმოადგენდეს მეუღლეთა მტკიცე კავშირს, ვინაიდან რაც უფრო ხანგრძლივია ქორწინებამდელი ნაცნობობის პერიოდი, მით უფრო მტკიცეა ქორწინება. ამიტომ, მომავალ მეუღლეთა შორის დაქორწინების სერიოზულობის შემოწმების მიზნით, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობა ადგენს ერთთვიან ვადას ქორწინების გაფორმებისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, დასაქორწინებელ პირთა მიერ განცხადების შეტანის დღიდან, რომლის ათვლა იწყება განცხადების შეტანის მეორე დღეს. თუ ვადის გასვლის დღე ემთხვევა დასვენების დღეს, ასეთ შემთხვევაში ვადის გასვლის დღედ ითვლება დასვენების დღის მომდევნო სამუშაო დღე¹.

¹ საგულისხმოა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის დამოკიდებულება ქორწინების ვადებთან მიმართებაში. მაგალითად, ინგლისში დასაქორწინებელ პირთა მიერ განცხადების შეტანიდან 48 საათის განმავლობაში სავალდებულოა მოხდეს მათი რეგისტრაცია. საფრანგეთში ასეთ ვადად დაწესებულია ათი დღე განცხადების შეტანიდან იმ პირობით, რომ თანამდებობის პირმა, რომელსაც ევალება ამ ქორწინების რეგისტრაცია, მოახდინოს ქორწინების შესახებ განცხადების გამოკვეყნება ამ დროის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაზე ადრე (ე. ი. 10 დღემდე) არ დაიშვება ქორწინება, თუმცა მის

აღნიშნული ვადა დაწესებულია იმისათვის, რომ დასაქორწინებულმა პირებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, შეამოწმონ თავიანთი გრძნობები და უფრო ღრმად გაიაზრონ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, სურვილის შემთხვევაში მოემზადონ დაქორწინების საზეიმო ვითარებაში ჩატარებისათვის, რომელსაც ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1115-ე მუხლი. თუ აღმოჩნდება, რომ ერთი თვის გასვლის შემდეგ განცხადების შემტანი რომელიმე პირი არ გამოცხადდება ქორწინების რეგისტრაციისათვის, ეს იმას ნიშნავს, რომ მიზანი მიღწეულია.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ერთ-ერთი განყოფილებიდან, სადაც მივიდა ახალგაზრდა წყვილი, რომელმაც განაცხადეს იმავე დღეს ქორწინების რეგისტრაციის სურვილის შესახებ. რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირმა განუმარტა მათ, რომ ეს დაუშვებელია, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოება. ახალგაზრდებმა მიუთითეს, რომ ამგვარი განსაკუთრებული გარემოება მათ გააჩნდათ, წვეულებაზე მგობართა წრეში საჯაროდ გაცხადების მოტივით, რომ ისინი დღეიდან არიან მეუღლეები. რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელმა იკითხა, რა ხნის მანძილზე იცნობდნენ ისინი ერთმანეთს. პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო – „სულ სამი დღე“. ამის შემდგომ თანამდებობის პირმა ლოგიკურად დაუსვა კითხვა, საკმარისი იყო თუ არა ნაცნობობის მოკლე პერიოდი ერთმანეთის გასაცნობად; მათ უპასუხეს: „ხომ არსებობს სიყვარული ერთი ნახვით?“ თანამდებო-

თაობაზე განცხადება ძალას ინარჩუნებს ერთი წლის განმავლობაში. თუ ერთი წლის განმავლობაში დასაქორწინებელი პირები ვერ მოახერხებენ რეგისტრაციას, მაგრამ კვლავ ძალაშია მათ შორის შეთანხმება ქორწილის შესახებ, პროცესი იწყება იმავე ათდღიანი ვადით.

საინტერესოა გერმანიის კანონმდებლობის დამოკიდებულებაც, რომლის მიხედვით განცხადების გამოქვეყნება სავალდებულოა, მაგრამ საფრანგეთისაგან განსხვავებით, 10-დღიანი ვადა გაზრდილია ექვს თვემდე; პატივსაღები მიზეზების (დასაქორწინებელ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის) გამო შესაძლებელია მათი ქორწინება დადგენილი ვადის გასვლამდე.

ბის პირმა, როგორც წესი, მათი „განსაკუთრებული გარემოება“ მართებულად არ მიიჩნია ვადაძლე ადრე რეგისტრაციის საფუძვლად და მიუთითა კიდევ ერთხელ დაფიქრებულებიყვნენ, დაეტოვებინათ განცხადება და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ერთი თვის შემდეგ მისულიყვნენ რეგისტრაციისათვის. ახალგაზრდა წყვილს სარეგისტრაციოდ აღარ მიუმართავს სარო-სთვის. მხოლოდ თბილისში, 1996 წელს 7800 პირიდან, რომლებმაც შეიტანეს განცხადება დაქორწინების გაფორმებისათვის, ერთი თვის გასვლის შემდეგ რეგისტრირებულ იქნა მხოლოდ 6400 პირი. ქორწინების რეგისტრაციის 1400 მოსურნე საერთოდ არ გამოცხადებულა რეგისტრაციის ორგანოებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1400 წყვილმა – მომავალმა მეუღლემ აიცდინა თავიდან არასასურველ ადამიანთან ერთად ცხოვრებით გამოწვეული ტანჯვა, რომ რეალურად არის თავიდან აცილებული გარღვევადი განქორწინება, აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით როგორც მათთვის, ისე ბავშვებისათვის. ნამდვილი სიყვარულისათვის დროის ასეთი მცირე მონაკვეთი საშიში არ არის.

საოჯახო კანონმდებლობის სიახლეს წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში შეტანილი განცხადების ძალაში ყოფნა ერთთვიანი ვადის გასვლიდან ორი თვის განმავლობაში. თუმცა არ არის მინიშნებული იმ პირობებზე, რაც საფუძვლად დაედო დაქორწინებისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადის გაგრძელებას. ჩვენი აზრით, ასეთ პირობებს შეიძლება მიეკუთვნოს სხვადასხვა პატივსაღები მიზეზები: საბინაო პრობლემების გადაჭრის მცდელობა, საქორწინო მოგზაურობისათვის საგზურის შეძენა, სხვაგან მცხოვრები მშობლების ქორწილზე დასწრების სურვილი. ამავე დროს, ნეგატიური ინფორმაციის მიწოდება სარო-სათვის, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქორწინების სერიოზულობისა და კანონიერების საკითხს და სხვა.

სასურველია, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ განცხადებით ქორწინების რეგისტრაციისათვის დანიშნული დღე

აცნობოს დასაქორწინებელ პირებს. განცხადებაში აღინიშნება დასაქორწინებელ პირთა სახელი, გვარი, მისამართი და ქორწინების რეგისტრაციის დრო.

კანონის მიერ დადგენილი ერთთვიანი ვადა, რა თქმა უნდა, არ აკისრებს განცხადების შემტან პირებს რაიმე იურიდიულ ვალდებულებას, ისევე როგორც არ ზღუდავს მათ უფლებას ქორწინებაზე.

ცალკეულ შემთხვევებში, პატივსაღები მიზეზის არსებობისას, ერთთვიანი ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ.

ახალი საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ ერთთვიანი ვადის გარეშე ქორწინების რეგისტრაციის შესაძლებლობას განცხადების შეტანის დღესვე, თუ არსებობს ისეთი განსაკუთრებული გარემოებები, როგორცაა: დასაქორწინებელი პირის ორსულობა, ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინება, სამხედრო ვადიან სამსახურში გაწვევა, თუ ისინი ხანგრძლივად ერთ ოჯახად ცხოვრობენ და სხვა მსგავსი გარემოებები.

ამ გარემოებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ უნდა იმსჯელოს ვადის შემცირების ან იმავე დღეს რეგისტრაციის თაობაზე. და მაინც, ასეთი ვადის დაწესება ყოველთვის როდია გამოწვეული აუცილებლობით. იგი ზოგჯერ მიუღებელიცაა. მაგრამ საეჭვოა მიზანშეწონილად მივიჩნიოთ ერთთვიანი ვადის დანიშვნა ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების მიმართ, რომლებმაც ქორწინების რეგისტრაციის მიზნით განცხადებით მიმართეს რეგისტრაციის ორგანოს. მით უმეტეს, მიუღებელია ეს მაშინ, როდესაც მათ ჰყავთ შვილები.

განსაკუთრებული გარემოებისაგან განსხვავებით, პატივსაღები მიზეზების არანაირ ჩამონათვალს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. თუ სამოქალაქო კოდექსის 1110-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაკუთრებულ გარემოებებს მიეკუთვნება, მაგალითად,

ისეთი გარემოებები, როგორცაა ბაეშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პატივსადები მიზეზი უფრო ნაკლები მნიშვნელობის უნდა იყოს, ვიდრე განსაკუთრებული გარემოება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პატივსადები მიზეზი უფრო ფართო მნიშვნელობის უნდა იყოს, ვიდრე 1110-ე მუხლში მითითებული პატივსადები მიზეზები და მასში უნდა იგულისხმებოდეს როგორც 1110-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პატივსადები მიზეზები, ასევე 1110-ე მუხლის მე-3 ნაწილითვე გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებებიც.

როგორც აღვნიშნეთ, დასაქორწინებელ პირთა თხოვნით, დაქორწინება ტარდება საზეიმო ვითარებაში, რაც უზრუნველყოფს დასაქორწინებელ პირებზე რეგისტრაციის დიდ მორალურ ზემოქმედებას და განამტკიცებს რწმენას, რომ მათ მიერ დამყარებულ და სახელმწიფოს მიერ დადასტურებულ საქორწინო კავშირს აქვს არა მარტო პირადი, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობაც; რომ ისინი მათ მიერ შექმნილი ოჯახისათვის პასუხისმგებელი არიან როგორც ერთმანეთის, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. რასაკვირველია, როდესაც საზეიმო ცერემონიალი არასასურველია ამა თუ იმ მიზეზის გამო (მაგალითად, ხანდაზმული ასაკი, ცუდი ფიზიკური, ან ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.), დაქორწინება არ ტარდება საზეიმო ვითარებაში, ოღონდ ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ქორწინების რეგისტრაციისათვის დადგენილი საერთო წესი და პირობები.

დაქორწინების საზეიმო ვითარებას უზრუნველყოფენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები.

ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვიდრდება ისეთი წეს-ჩვეულებები, რომლებიც მოწოდებულია შეასრულონ აღმზრდელობითი როლი, შეინარჩუნონ და განავითარონ ეროვნული ტრადიციებიდან გამომ-

დინარე ზნე-ჩვეულებანი, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ქართული ოჯახის განმტკიცებისკენ. ცხოვრებაში დამკვიდრებული ახალი წეს-ჩვეულებანი ქორწინებას უფრო შინაარსიანს ხდის. საქორწინო წეს-ჩვეულებები იძენენ ახალ აზრს, ივსებიან ახალი შინაარსით, ემყარებიან მაღალ მორალურ საფუძვლებს. ამიტომ ყოველმხრივ უნდა მივესალმოდ ქორწინების რიტუალს – ახალგაზრდებისათვის ამ შესანიშნავ აქტს, რომელიც საზეიმო ვითარებაში ტარდება და სამუდამოდ რჩება სიძე-პატარძლისა და დამსწრე სტუმართა მეხსიერებაში.

ამჟამად ახალგაზრდებში მოწონებით სარგებლობს დიდ ქალაქებში აგებული ქორწინების სასახლეები, სულ უფრო და უფრო ინერგება ცხოვრებაში კულტურის სასახლეებში ახალგაზრდული ქორწილების საზეიმოდ მოწყობის ჩვეულება.

დაქორწინების საზეიმო ვითარება სხვა მიზანსაც ისახავს: იგი განამტკიცებს ქორწინებას. რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ დაქორწინების საზეიმო რიტუალი თავისთავად უზრუნველყოფს თითოეული ქორწინების სიმტკიცეს. იგი სხვაგვარად უწყობს ხელს ქორწინების განმტკიცების ამოცანას – დასაქორწინებელ პირებში ზრდის ქორწინებისადმი პატივისცემი დამოკიდებულების სულისკეთებას, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებას, ამაღლებს პასუხისმგებლობას იმ მოვალეობისადმი, რასაც მათ საკუთარი ოჯახის შექმნა ავალებს.

დაქორწინების საზეიმო ფორმა აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს იმ ახალგაზრდებზეც, რომლებიც ამ ცერემონიალს ესწრებიან.

არცთუ ძალიან შორეულ წარსულში უარყოფითად ეკიდებოდნენ დასაქორწინებელი პირების მიერ ერთმანეთისთვის საქორწინო ბეჭდის მიცემას. რით არის მიუღებელი, როდესაც ოქროს ბეჭედი, როგორც სიყვარულის, ბედნიერების, ერთგულებისა და პატივისცემის სიმბოლო მოაგონებს იმ ადამიანებს გრძნობათა მარადიულობასა და სიწრფელეს, რომლებმაც სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი

ბედი ერთმანეთს. თუმცა არც ბეჭედიცა ცოლ-ქმრის ერთგულებისა და სიყვარულის განმსაზღვრელი ნიშანი.

იმ რიტუალის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი წეს-ჩვეულებების დამკვიდრებას, მათი შინაარსის ემოციური მხარის გახსნას, იოლი ამოცანა როდია. ყოველივე ეს შესაბამის ორგანოებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს – იზრუნონ ახალი წეს-ჩვეულებების შემდგომი სრულყოფისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხების საუკეთესო ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით.

ქორწინების რეგისტრაცია დამთავრებულად ითვლება სააქტო წიგნში ჩაწერის მომენტიდან. სააქტო წიგნში რეგისტრაციას ხელს აწერენ დაქორწინებული პირები, ორი მოწმე და თანამდებობის პირი.

მოწმე უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, რომელიც შეირჩევა დასაქორწინებელი პირების მიერ, თავიანთი შეხედულებისამებრ. მოწმედ გაფორმებულ პირებს აღნიშნულ ქორწინებასთან დაკავშირებით არავითარი უფლება-მოვალეობანი არ ეკისრებათ და არც მათ მიმართ დაქორწინებულებს.

ქორწინების რეგისტრაციის პროცედურის დამთავრების შემდეგ გაიცემა საქორწინო მოწმობა.

აღნიშნულ დოკუმენტს მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს და ადასტურებს პირის განსაზღვრული უფლების არსებობას, მაგალითად, აღიშენების, პენსიის, საბინაო და მემკვიდრეობის უფლებას და ა.შ.

თავი მეოთხე

მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი

§1. პირადი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის

ქორწინება არის არა მარტო ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, არამედ სამართალდამდგენი იურიდიული ფაქტიც, რომელიც მეუღლეებს ანიჭებს გარკვეულ სამართლებრივ სტატუსს და წარმოშობს მათ შორის ისეთ უფლებებსა და მოვალეობებს, როგორცაა მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი.

მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ქორწინება. ქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, მეუღლეთა პირად უფლებებს არ გააჩნია ეკონომიკური შინაარსი და არ ატარებს მატერიალურ ხასიათს. ამასთან, მეუღლეთა პირადი უფლებები განმსაზღვრელი ხასიათისაა, რაც განპირობებულია ქორწინების არსით, როგორც მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც აგებულია მეუღლეთა თანასწორობის საწყისებზე ოჯახის შექმნის მიზნით. მეუღლეთა პირადი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირება მიზნად ისახავს ოჯახში მეუღლეთა თანასწორობის უზრუნველყოფას, თითოეული მათგანის განვითარებისათვის ნორმალური პირობების შექმნასა და ოჯახის განმტკიცებას. ამიტომ კანონში მითითებულია მეუღლეთა მხოლოდ ის პირადი უფლებები, რომელთა რეგულირება შესაძლებელია საოჯახო სამართლის ნორმებით. მეუღლეთა შორის არსებული პირადი ურთიერთობების უმეტესი ნაწილი კი სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს გარეთაა.

მეუღლეთა თანასწორობის პრინციპის განხორციელება სათავეს იდებს საქართველოს კონსტიტუციიდან, სადაც აღნიშნულია, რომ

ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას და გამოიხატება მათ მიერ გვარის, საცხოვრებელი ადგილისა და საქმიანობის არჩევის თავისუფლებაში.

ყოველივე ზემოთქმული ეფუძნება ღრმა პიროვნულ და ნდობის ფაქტორს, რაც ყოველად დაუშვებელს ხდის ოჯახის ცხოვრებაში ნებისმიერ ჩარევას.

ოჯახში მეუღლეთა თანასწორობის პრინციპი სრულებით შეესაბამება არა მარტო საქართველოს კონსტიტუციას, არამედ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-16 მუხლს, „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ“, კონვენციის მე-12-13, მე-15-16 მუხლებს, „ბეკინის დეკლარაციას“ და „ქალთა მდგომარეობის შესახებ მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მოქმედების პლატფორმას“ (1995 წ.), რაც ადასტურებს ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანის საერთო ტენდენციას.

აღნიშნულმა პრინციპმა ასახვა პოვა საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში, რომლის თანახმადაც დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში დაუშვებელია უფლებათა პირდაპირი და არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და გარემოებათა მიხედვით. მიუხედავად ამისა, კანონმდებელმა გარკვეული დოზით მაინც გაითვალისწინა მოქალაქეთათვის საოჯახო ურთიერთობებში შეზღუდვები, რაც დადგენილია კანონის ნორმებით. მაგალითად, ქმრის უფლების შეზღუდვა განქორწინების შესახებ სარჩელის წარდგენისას, როდესაც მისი მეუღლე ორსულადაა, ან ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი და ა.შ.

დაქორწინების დროს მეუღლეები სურვილისამებრ ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს საერთო გვარად, ან თითოეული იტოვებს ქორწინებამდელ გვარს, ან თავის გვარს შეუერთებს მეუღლის გვარს.

გვარების შეერთება არ შეიძლება, თუ ორივე მეუღლეს ან ერთერთ მათგანს ორმაგი გვარი აქვს. ქორწინების დროს მეუღლეების მიერ შერჩეული გვარი ფიქსირდება სააქტო ჩანაწერსა და ქორწინების მოწმობაში. ამ ჩანაწერებში გვარის შემდგომი შესწორება არ დაიშვება, რადგან გვარის არჩევის უფლება დასაქორწინებელ პირს ეძლევა მხოლოდ ერთხელ, ქორწინების რეგისტრაციის მომენტში. შემდგომში მეუღლის მიერ გვარის შეცვლა (თუნდაც ქორწინებადღელ გვარზე) დაიშვება მხოლოდ იმ საერთო საფუძვლით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ერთ-ერთი მეუღლის მიერ გვარის შეცვლა არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის შეცვლას, კინაიდან გვარის არჩევის უფლება მეუღლის პირადი უფლებაა და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მისი სურვილით. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უარი, გვარის შეცვლის თაობაზე, შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში.

ადამიანი პროფესიას ირჩევს მისი ინტერესებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სამუშაო პირს უნდა მისცეს შემოსავალი და მოუტანოს სულიერი და მორალური კმაყოფილება. ამიტომ პირს არა აქვს არავითარი უფლება უკარნახოს მეუღლეს თავისი ნება პროფესიისა და სამუშაოს არჩევისას.

მოქალაქის მიერ ისეთი საქმიანობისა და პროფესიის არჩევის უფლება, რაც კანონით არ არის აკრძალული, განმტკიცებულია საკანონმდებლო წესით. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მეუღლეებმა ურთიერთშეთანხმებით ან ცალმხრივად არ უნდა მიმართონ ისეთ მოქმედებას, რაც დააბრკოლებს მათ მიერ სასწავლებლის, ამა თუ იმ პროფესიის, ან ამა თუ იმ ორგანიზაციაში მუშაობის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. საგულისხმოა, რომ ასეთი რამ სასამართლო პრაქტიკაში ძალზე იშვიათია. თუმცა ამგვარი ხასიათის დავებს სრულიად თავისუფლად შეუძლია გამოიწვიოს ოჯახში არაჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა, რაც საბოლოოდ შესაძლებელია განქორწინებითაც დამთავრდეს. აღნიშნულის ნათესაყოფად მოვიყვანთ მაგალითს ერთ-ერთი მსახიობი ქალბატონის

ცხოვრებიდან. რეპეტიციები და ხშირი გასტროლოები, რაც იწვევდა ოჯახისათვის დროის უქონლობას, გახდა მისი მეუღლისათვის საფუძველი, რომ მოეთხოვა მისგან პროფესიის გამოცვლა. უდავოა, რომ შეთავაზებული წინადადება მიუღებელი იყო პროფესიონალი მსახიობისათვის. ამის გამო, მათ შორის გამწვავდა ურთიერთობა, რაც საბოლოოდ განქორწინებით დამთავრდა.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება გამოხატავს მეუღლეთა სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას და მიზნად ისახავს მათი უფლებების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ მათ არ სურთ შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი ქმრის ან ცოლის სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით, ე.ი. არ შეიძლება იძულებითი წესით დაევალებულთ მეუღლეები, რომ მათ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში ერთად იცხოვრონ. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ იწვევს ავტომატურად მეორე მეუღლის ვალდებულებას, ასევე შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი¹. მეუღლეთა დასახელებული უფლებები მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული მათგანის პიროვნებასთან. ამიტომ არ დაიშვება თუნდაც მეუღლეთა შეთანხმებით, ამ უფლებათა შეზღუდვა ან გაუქმება. თუ საქორწინო კონტრაქტში ასეთს მაინც ექნება ადგილი, აღნიშნული გარიგება იქნება უცილოდ ბათილი არარა გარიგება და ის ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი).

მეუღლეების მიერ ოჯახური ცხოვრების საკითხების ერთობლივი გადაწყვეტის უფლება შინაარსობრივად მეტად მრავლისმომცველია და, არსებითად, ოჯახური ცხოვრების მთელ წესს მოიცავს: დედობის, მამობის, შვილების აღზრდისა და განათლების საკითხებს, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვის, სწავლისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ჩათვლით; ოჯახის ბიუჯეტის განაწილებას, ქონების შექმნის, დასვენების ადგილისა და დროის განსაზღვრას და

¹ Газета „Аргументы и факты“, №39, от 9 августа, 2002 г.

ა.შ. შვილების აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, მშობლების თანაბარი უფლება და მოვალეობაა. სამოქალაქო კოდექსის 1197-2001-ე მუხლებით დადგენილია, რომ შვილების აღზრდასთან დაკავშირებით ყველა საკითხი მშობლების მიერ ერთობლივად უნდა იქნეს გადაწყვეტილი შვილების ინტერესებიდან გამომდინარე და მათი აზრის გათვალისწინებით. მეუღლეების პირადი უფლებები და მოვალეობები, რომელიც შვილების აღზრდასთანაა დაკავშირებული, არა მხოლოდ თანასწორობის საწყისებზე ხორციელდება, არამედ უპირატესად, შვილების ინტერესებიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული მშობელთა უფლებები მიზნად ისახავს ჩვენი საზოგადოების აქტიურ მოღვაწეებად შვილების ჩამოყალიბებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას, ბუნებრივი სურვილის დაკმაყოფილებას და მშობლების მიერ ხორციელდება სახელმწიფოს წინაშე მოზარდი თაობის გამო მათი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით.

მეუღლეებს აქვთ უფლება და აკისრიათ ვალდებულება აღზარდონ შვილები, იზრუნონ მათ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, ფსიქიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. მშობლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ შვილები საერთო ზოგადი განათლების მიღებით, ამასთანავე, საგანმანათლებლო დაწესებულება და სწავლების ფორმა შვილების აზრის გათვალისწინებით უნდა იქნეს არჩეული. გონიერი მიდგომა მეუღლეების მიერ კანონით მონიჭებული უფლებების გამოყენების საკითხისადმი და დაკისრებულ მოვალეობათა ერთდროულად შესრულება ხელს შეუწყობს ოჯახის განმტკიცებასა და მეუღლეების ურთიერთვაგებას. ერთ-ერთი მეუღლის მიერ პირადი უფლებების ან მოვალეობების ბოროტად გამოყენება, ოჯახის ინტერესების აშკარა უგულებელყოფა და ასევე მეუღლის პირადი უფლებების იგნორირება, ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა მეორე მეუღლის მხრიდან, შესაძლოა განქორწინების მიზეზი გახდეს, კანონდამრღვევი მეუღლისთვის კი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს (მაგ., მეუღლეების საერთო ქონებაში კანონდამრღვევი მეუღლის წილის

შემცირება საერთო ქონების გაყოფისას (სკ-ის 1164-1171-ე მუხლები).

თუკი განქორწინების ან სხვა მიზეზების გამო მშობლები ერთად არ ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო, შვილების ინტერესების გათვალისწინებით. ჩვენს დროში ბავშვები ხშირად იზრდებიან ოჯახის გარეშე. მისი მიზეზები მრავალგვარია – მშობლების სიკვდილი, მშობლის უფლების ჩამორთმევა, განქორწინება, დედისა და მამის ქორწინების არარსებობა.

უოჯახოდ დარჩენილი ბავშვები, ჩვეულებრივ, საბავშვო დაწესებულებაში იზრდებიან. მაგრამ არც ყველაზე თანამედროვე საბავშვო დაწესებულებას არ შეუძლია მშობლების, განსაკუთრებით, დედის შეცვლა. აი, რატომ წარმოადგენს შვილება არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის რეალურ ინსტრუმენტს.

შვილებისათვის არაა საკმარისი მხოლოდ ბავშვი, რომელსაც სრულფასოვანი ოჯახი ესაჭიროება. შვილად აყვანა, ბუნებრივია, წარმოუდგენელია მშობლის უფლებებისა და მოვალეობების მიღების მსურველი პირის გარეშე. მათი რიცხვი არ არის მცირე. პირველ რიგში ეს ის პირები არიან, ვისი ქორწინებაც უნაყოფო აღმოჩნდა. უნაყოფო ქორწინებათა მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში 10%-ს შეადგენს.

უშვილობა, შვილების გაჩენის შეუძლებლობა, მრავალ მეუღლეს შვილად აყვანის ძლიერ სურვილს უჩენს. უფრო ხშირად, დედის ხელმეორედ გათხოვებისას, მისი მეუღლის სურვილი, იშვილოს გერი, ემთხვევა არასრულწლოვანის სურვილსა და მოთხოვნილებას – იყოლიოს მამა.

ზოგჯერ, განქორწინების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მშობლის უფლებები და მოვალეობები მთლიანად ინარჩუნებს ძალას, ცალკე მცხოვრები მშობელი არავითარ მონაწილეობას აღარ იღებს თავისი შვილების აღზრდაში. თუკი გამოჩნდება მამინაცვალი, მით

უმეტეს მზრუნველი და ყურადღებიანი, შვილად აყვანის საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში, მით უმეტეს, როცა ოჯახში უკვე საერთო შვილებიც იზრდებიან და გერთან ურთიერთობა წლების მანძილზე ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით გამოირჩევა.

თუკი უშვილო მეუღლეებს სურთ გახდნენ მშობლები, ისინი, საერთო წესის თანახმად, ყველაზე ბუნებრივი და კეთილშობილი მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ. იგივე ხდება მაშინაც, როცა მართობელა ქალს, შვილების წყალობით სურს გახდეს დედა. მაგრამ ორივე შემთხვევაში მთავარია არა მხოლოდ მოზრდილი ადამიანის გრძნობები, რამდენადაც სურვილი იმისა, რომ გაბედნიერდეს ბავშვი, რომელსაც ესაჭიროება სახლი, საკუთარი ოჯახი და რომელთაც იგი, გარკვეული მიზეზების გამო, მოკლებულია.

რამდენადმე განსხვავდება იმ ადამიანის ქცევა, რომელიც შევიდა ოჯახში, სადაც არასრულწლოვანი იზრდება. მამაკაცს ყველაზე ხშირად ამოდრავებს მისწრაფება, უფრო განამტკიცოს და გააბედნიეროს თავისი ოჯახი, საერთო გვართ გააერთიანოს იგი.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც პირველ ადგილზე არასრულწლოვანის ინტერესები დგას.

სამოქალაქო კოდექსის 1239-1274-ე მუხლებში განსაზღვრულია შვილების პრინციპები. მათ შორის უმთავრესია არასრულწლოვანის ინტერესების დაკმაყოფილება. სწორედ ამ პრინციპს ემსახურება იმ წესების უმეტესობა, რომლებიც შვილების გაფორმებას შეეხება, მაგრამ რადგანაც შვილად აყვანისთანავე წყდება შვილად ასაყვანი ბავშვის სამართლებრივი კავშირი მის მშობლებთან (ან ერთ-ერთ მათგანთან), მნიშვნელოვანია, რომ არ იქნეს დაშვებული მშობლის უფლების დარღვევა. ამიტომ არის, რომ შვილად აყვანის მთელი რიგი პირობები მიზნად ისახავს სათუთ დამოკიდებულებას მშობლის მიმართ.

როგორც ავლინშნეთ, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ნებისმიერი სქესისა და ასაკის ბავშვს ესაჭიროება

ორივე მშობელი, ურთიერთობა თითოეულ მათგანთან. იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ მცირე ასაკის ბავშვების მიმართ უნდა მოქმედებდეს პრეზუმფცია დედის სასარგებლოდ. არსებითად, აქ საუბარი უნდა იყოს არა პრეზუმფციაზე, არამედ იმაზე, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის ორგანიზმის თავისებურებიდან გამომდინარე, ბავშვს უფრო მეტად ესაჭიროება დედის მოვლა და სასამართლოს არ შეუძლია არ გაუწიოს ანგარიში აღზრდის ამ განსაკუთრებულ პირობას. მაგრამ მხოლოდ ეს ვერ იქნება გადამწყვეტი; გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქმის ყველა სხვა გარემოებაც. სხვა თანაბარ პირობებში დედამ უნდა ისარგებლოს გარკვეული უპირატესობით მამასთან შედარებით, როცა საქმე სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდის უფლებას ეხება.

დედის მოვლა და ალერსი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი დავის წარმომობამდე დედასთან ერთად ცხოვრობდა. თუკი მშობელს შეუძლია შესთავაზოს ბავშვს სათანადო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები და უზრუნველყოს მისი აღზრდა, ასეთ თანაბარ პირობებში მიზანშეწონილია ბავშვის დატოვება დედისთვის. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილად უნდა იქნეს არა დედის უპირატესი უფლების პრეზუმფცია, არამედ ის, რომ დედის ალერსი და მოვლა, რომელსაც ბავშვი შეჩვეულია, იმ დამატებით პირობას წარმოადგენს, რომელიც ყველაზე უფრო სრულყოფილად უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესებს.

ცხადია, რომ მცირეწლოვანი ბავშვები, პირველ რიგში, ქალის მზრუნველობას საჭიროებენ, მით უმეტეს, რომ იგი რეგულარული და ასაკის შესაბამისი კვების, სისუფთავის დაცვისა და დაუღალავი მუდმივი მეთვალყურეობის სახით გამოიხატება. გასაგები მიზეზების გამო მთელი ეს მძიმე შრომა, პირველ რიგში, ქალის მოვალეობებში შედის, მას კი ყველაფერთან ერთად შეუძლია არ იმუშაოს ბავშვის პირველი წელიწადნახევრის მანძილზე.

მამის აღმზრდელობითი უნარი კი ხშირად დედის მონაცემებს

აღმატება. სწორედ კარგი მამები აყენებენ სასამართლოს წინაშე საკითხს ვაჟისა თუ ქალიშვილის მისთვის გადაცემის თაობაზე.

თანაც, რაც უფრო დიდია არასრულწლოვანი, მით უმეტეს შეუძლია მას შეაფასოს ჭეშმარიტი ზრუნვა მასზე, გულწრფელი და კეთილი გრძნობები მის მიმართ, მისწრაფება, იცხოვროს მისი ინტერესებით. ამდენად, ფორმულა პატარა ბავშვები – დედას, მოზარდები – მამას, ყოველთვის არ მიესადაგება აღზრდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მით უმეტეს, რომ ყველა პატარა როდი განიცდის სიყვარულს მხოლოდ დედის მიმართ, ხოლო მოზარდები, ასაკის მატებასთან ერთად უპირატესად მამისკენ როდი მიილტვიან. ამგვარად, არასრულწლოვანის ასაკი წინასწარ არ განსაზღვრავს მისი ბინადრობის ადგილის შესახებ სარჩელის განხილვის შედეგებს.

მშობლების განქორწინება გარკვეულწილად ყოველთვის შეეხება ბავშვების ინტერესებს და ამიტომ კანონი ავალდებულებს სასამართლოს განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს თუ რომელ მეუღლესთან რომელი შვილი რჩება (სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და 1201-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ბავშვის ინტერესების დაცვა მშობლებს ეკისრებათ. ისინი არიან თავისი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები, მათი უფლებებისა და ინტერესების დამცველები მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში, განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე.

მშობლებსა და შვილებს შორის არსებული აღზრდის სამართლებრივი ურთიერთობა განგრძობადია, წესისამებრ, მთელი იმ დროის მანძილზე არსებობს, ვიდრე ბავშვი სრულწლოვანებას არ მიაღწევს. ეს განაპირობებს განხილული საქმეების ისეთ თავისებურებას, როგორცაა განმეორებითი სასამართლო დავა ერთსა და იმავე პირებს შორის და ერთსა და იმავე საკითხზე, მაგრამ სხვა საფუძველზე, რაც გასაგებიცაა, რადგან ბავშვის აღზრდის პირობები შეიძლება შეიცვალოს,

რაც საკითხის ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს, კვლავ შვილების ინტერესებიდან გამომდინარე. ე.მ. ვოროჟეიკინის მართებული შენიშვნის თანახმად, ბავშვების ინტერესები არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულ კატეგორიას. მოცემული ცნების შინაარსი იცვლება ბავშვების ასაკის, მათი განვითარების დონისა და სხვა ფაქტორების შესაბამისად. ამიტომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული პირობები, რომლებშიც იზრდებიან ბავშვები, მათი ასაკი, განვითარების თავისებურებანი, მშობლების ურთიერთობის ხასიათი, მშობლების მიმართ ბავშვების დამოკიდებულება, ცალკე მცხოვრები მშობლის ცხოვრების პირობები, შვილებზე მისი დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა, ასევე სხვა კონკრეტული გარემოებანი, რომლებმაც საქმის განხილვისას იჩინა თავი. თუ დედის მზრუნველობა სრულებით უზრუნველყოფს მცირეწლოვანი შვილის ინტერესებს, სასამართლოს არა აქვს საფუძველი დააკმაყოფილოს მამის სარჩელი მისთვის ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ.¹ მაგრამ თუკი დედა გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობებს და აკლებს ბავშვს სათანადო მოვლას, მამას ეკუთვნის შვილის შემდგომი აღზრდის უპირატესი უფლება.

ბავშვის გადაცემას ერთი მეუღლიდან მეორისათვის შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ ბავშვის აღზრდა იმ მეუღლესთან, რომელიც მას ფაქტობრივად ზრდის, არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, მაშინ როდესაც მეორე მშობელს შეუძლია შექმნას ყველა აუცილებელი პირობა მისი ნორმალური განვითარებისათვის. დავა ბავშვის გადაცემის გამო ყველაზე ხშირად იმ მეუღლეებს შორის ხდება, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით შეწყვიტეს ერთობლივი თანაცხოვრება (განქორწინება, ავადმყოფობა, დიდი ხნით არყოფნა, მივლინება, სწავლა ან მუშაობა სხვა ქალაქში და ა.შ.). უმეტეს შემთხვევაში

¹ См. Е.М. Ворожейкин. Обеспечение и защита прав и интересов несовершеннолетних субъектов семейных правоотношений, „Советская юстиция“, 1979, № 15, с. 16.

ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებს შეუძლიათ თვითონ მოილაპარაკონ, თუ რომელ მათგანთან იცხოვრებენ არასრულწლოვანი შვილები. თუ შეთანხმება არ არის მიღწეული, ჩნდება სასამართლოსთვის მიმართვის აუცილებლობა. სასამართლო შვილების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტს დავას იმის შესახებ თუ ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობელთაგან, რომელთან იცხოვრებს ბავშვი (1201-ე მუხლის მეორე ნაწილი). მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ბავშვის გადაცემა ერთი მშობლიდან მეორისთვის ცხოვრების ჩვეულებრივი წესის მოშლას და გარემოს შეცვლასთანაა დაკავშირებული და ხშირად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვზე. ამიტომ ბავშვი ერთი მშობლიდან მეორეს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მაშინ, როცა ამას ბავშვის ინტერესები მოითხოვს, მოპასუხესთან მისი აღზრდის არადამაკმაყოფილებელ პირობებთან დაკავშირებით.

„ბავშვების ინტერესები“ არ უნდა დაიყვანებოდეს მხოლოდ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებამდე. ბავშვის ინტერესები არ შემოიფარგლება კარგი საყოფაცხოვრებო პირობებით, ისინი იმ სხვა, გადამწყვეტ ფაქტორებს გულისხმობენ, რომელნიც უზრუნველყოფენ ბავშვის სწორ იდეოლოგიურ და ფიზიკურ აღზრდას, მის მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის.

ბავშვებისათვის გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს ის ოჯახური გარემოცვა და მიკროსამყარო, რომელშიც მას უწევს ცხოვრება. თუკი მის გვერდით იქნებიან მოყვარული, კეთილგანწყობილი პაპა და ბებია, ძმა ან და, ყურადღებიანი და ტაქტიანი მამინაცვალი, შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ მისი ბედის გამო. მაგრამ, როდესაც ოჯახში დედის მამა (ბავშვის პაპა) ალკოჰოლიკია, ან სულიერად ავადმყოფი, ოჯახში მცხოვრებ ღვიძლ დეიდას კი სძულს დისშვილი – ვერანაირი მატერიალური კეთილდღეობა ვერ გაანეიტრალებს ოჯახური გარემოს დამღუპველ ზემოქმედებას.

სასამართლო პრაქტიკის მასალებიდან და ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა,

რომ „ბავშვის ინტერესებში“ შედის: ცხოვრების იმგვარი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონე, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ნორმალურ განვითარებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მის მომზადებას, ბავშვის სიყვარული აღმზრდელებისა და ოჯახში მცხოვრები სხვა ბავშვების მიმართ, ოჯახის საერთო კულტურული დონე, აღმზრდელების თბილი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ და ა.შ.

ამასთანავე, ბავშვების გადაცემის თაობაზე მშობლების დავის გადაწყვეტისას, არ შეიძლება მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელობის სრული იგნორირება მოხდეს. ყველა ამ პირობის დეტალური დადგენა დაეხმარება სასამართლოს იმის გარკვევაში, თუ რა უბიძგებს მხარეებს იბრძოლონ შვილების პირადად აღზრდის უფლებისათვის.

ასეთი დავის მოტივები სხვადასხვაგვარია. არცთუ იშვიათად მშობელი, მის თხოვნას, დაუბრუნონ ბავშვი ან დაუტოვონ იგი აღსაზრდელად, ბავშვის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით ასაბუთებს.

ბავშვებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას, სასამართლო განიხილავს რა იმ კონკრეტული პირობების ერთობლიობას, რომლებშიც ბავშვები იზრდებიან, სასამართლოს კიდევ ერთი მომენტის გათვალისწინება უხდება. საქმე ეხება ბავშვის ბედს, ბედს პატარა ადამიანისა, რომელსაც უკვე გააჩნია სურვილები, მიდრეკილებები და რომელიც უკვე გარკვეულ დამოუკიდებლობასაც იჩენს დადგენილების გამოტანისას, სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოს ის, თუ როგორ შეხვდება ბავშვი ერთი მშობლისგან მეორისთვის მისი გადაცემის ფაქტს.

მშობლების მიმართ შვილების სიყვარული შეიძლება იყოს მკვეთრად გამოხატული და ფარული, არაგულწრფელი და იძულებითი, შეიძლება ექვემდებარებოდეს ან არ ექვემდებარებოდეს ახსნას.¹

¹ А.И. Пергамент. Вопросы семейного права, – Научный комментарий судебной практики за 1955 год. Госюриздат, 1957, с. 131.

ასე მაგალითად, ბავშვის გადაცემის შესახებ დავასთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად იქცა ის, რომ სასამართლო სხდომაზე არ იქნა გარკვეული ბავშვის არჩევანი და ის, თუ რომელ მშობელთან სურდა მას დარჩენა. ამ გარემოებას კი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გადასცემდა რა ბავშვს აღსაზრდელად დედას, სასამართლომ არ გაითვალისწინა მამის მიმართ ბავშვის განსაკუთრებული სიყვარული. ბავშვის მამა, სპორტის ოსტატი, შვილს ავარჯიშებდა ტანვარჯიშში, უღვივებდა სიყვარულს ჭადრაკისა და მუსიკის მიმართ. მისი სამსახურებრივი დახასიათების თანახმად, იგი ბავშვებთან საწვრთნელი მუშაობის მიდრეკილებითა და უნარით გამოირჩეოდა, უყვარდა ბავშვები და ისინიც სიყვარულით პასუხობდნენ მას.

ამასთან, საქმის სხვა მასალების გათვალისწინების გარეშე, სასამართლო ვერ მიანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის სურვილს ამა თუ იმ მშობლისათვის აღსაზრდელად შვილის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას. სასამართლომ, პირველ რიგში, სწორედ ბავშვის ინტერესებით უნდა იხელმძღვანელოს. ბავშვის სურვილი, იცხოვროს ამა თუ იმ მშობელთან, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქმესთან დაკავშირებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

იმ მტკიცებულებითი მნიშვნელობის შეფასებისას, რომელიც გააჩნია ბავშვის სურვილს, იცხოვროს ერთ-ერთ მშობელთან, სასამართლო უნდა ითვალისწინებდეს მშობლებს შორის არსებული იმ კონფლიქტური სიტუაციის თავისებურებებს, რომლის ზეგავლენითაც ჩამოუყალიბდა ბავშვს ასეთი სურვილი.

ზოგჯერ თხოვნა შვილების გადმოცემის შესახებ არ არის ნაკარნახევი მხოლოდ სიყვარულით მათ მიმართ, ზოგჯერ ჭეშმარიტი მიზეზი სრულიად სხვაა. სასამართლო პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მოდავე მხარე ცდილობს თავისთან დატოვოს ბავშვი, ამასთან მას ამოძრავებს

არა მშობლიური გრძნობა და ბავშვის ინტერესები, არამედ პირადი გამორჩენა, ანგარება, ზოგჯერ კი ქვეინტერესები: თავი აარიდოს ალიმენტის გადახდას ან პირიქით, მიიღოს დიდი ალიმენტი და ამ ფულით იცხოვროს, მეორე მეუღლის მიმართ შურისძიება ან სურვილი, აიძულოს მას ერთობლივად ცხოვრება. გამორიცხული არ არის ის გარემოებაც, რომ ბავშვის დატოვების განზრახვით აწყენინოს, გული ატკინოს მეორე მეუღლეს სურვილით.

ერთი მშობლისაგან მეორესათვის ბავშვის გადაცემის ან მისი ერთ-ერთ მშობელთან დატოვების შესახებ დავის გადაწყვეტისას, სირთულეები წარმოიქმნება, თუკი მშობლებს რამდენიმე შვილი ჰყავთ. აქ დაუშვებელია საკითხისადმი მექანიკური მიდგომა, როცა ბავშვების ინტერესების გაუთვალისწინებლად, მათ ერთმანეთს ამორებენ, ივიწყებენ, რომ ბავშვები წლების მანძილზე ერთად იზრდებოდნენ, მიეჩვივნენ ერთმანეთს და იძულებით განშორებას შეუძლია მათი ფსიქიკის ტრავმირება. არ შეიძლება იმ უზარმაზარი მნიშვნელობის დავიწყება, რომელიც ოჯახში ერთობლივ აღზრდას აკისრია.

უნდა დავეთანხმოთ ა.ი. პერგამენტის აზრს იმის თაობაზე, რომ მსგავსი ცვლილება ბავშვების ცხოვრებაში მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ შეუძლია მისთვის აღზრდის ნორმალური პირობების შექმნა.¹

მაგალითად, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოებს, რომელთაც განიხილეს საქმე, არავითარი საფუძველი არ გააჩნდათ მშობლებს შორის შვილების გასაყოფად. საქმესთან დაკავშირებით დადგინდა, რომ ბავშვების ინტერესები მოითხოვდა მათ ერთობლივ აღზრდას; მამის ოჯახში მათ ნორმალური განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი, ბავშვებს უყვარდათ ერთმანეთი, უმცროს ვაჟს კი არ ანსოვდა მოსარჩელე ქალი, როგორც დედა. ასეთ პირობებში ბავშვების ცალ-

¹ А.И. Пергамент. Вопросы семейного права, Научный комментарий суд. практики 1955 г., 1957 г., с. 131.

კალკე აღზრდა არ იყო აუცილებელი, უფრო მეტიც, მას უარყოფითი გავლენის მოხდენაც კი შეეძლო მათზე.

ამგვარად, სასამართლოები არამართებულად იქცევიან, როდესაც ითვალისწინებენ მშობლების თხოვნას და მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად აშორებენ შვილებს; მაგრამ მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობითაა ნაკარნახევი და შვილების ინტერესებსაც შეესაბამება, სასამართლოებს შეუძლიათ შვილებიდან ერთ-ერთი (ან რამდენიმე) დედას გადასცენ, მეორე (ან დანარჩენები) კი მამას დაუტოვონ. მაგალითად, საოლქო სასამართლომ ვერ აღმოაჩინა ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები, რომლის თანახმადაც შვილები მზარეებს შორის გაეყოთ. გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, მოსარჩელე – მამაკაცის ვაჟი, დათო, დაბადებული 1999 წელს ფაქტობრივად მოსარჩელის მშობლებთან – ბაბუასა და ბებიასთან იზრდება. ისინი თანახმა არიან განაგრძონ შვილიშვილის აღზრდა. 1997 წლის 8 ივნისს დაბადებული ტყუპები, ეკა და თამუნა კი დედასთან – მოპასუხესა და ბებიასთან – დედის მხრიდან იზრდებიან. დათო ძალიან შეეჩვია აღმზრდელ ბებია-ბაბუას, გოგონებს კი ძალიან უყვართ დედა და ბებია, რომელიც მუდმივ მონაწილეობას იღებს მასთან მცხოვრები შვილების აღზრდაში. ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მართებულად გადაწყვიტა ვაჟი დაეტოვებინა მოსარჩელისთვის, გოგონები კი დედისთვის გადაეცათ. აქედან გამომდინარე, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მშობელს აქვს საკმაო შესაძლებლობა, რათა შვილებს შეუქმნას აღზრდის აუცილებელი პირობები და არც ერთი მათგანის დადანაშაულება არ შეიძლება მშობლის მოვალეობების შესრულებისადმი არასათანადო დამოკიდებულებაში, სასამართლოები ხელმძღვანელობენ რა საოჯახო სამართლის ზოგადი პრინციპებით, შვილების ინტერესებიდან გამომდინარე იქ, სადაც შესაძლებელია, ითვალისწინებენ მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ მშობლის მიმართ.

იმ გარემოებათა ერთობლიობის გამოკვლევა, რომელთა გათვალისწინება უწევს სასამართლოს მშობლებს შორის შეილების თაობაზე აღძრული დავების განხილვისას, იძლევა ზოგიერთი კანონზომიერების გამოვლენის საშუალებას, თუმცა შეილის აღზრდის უფლებასთან დაკავშირებული დავის დროს, სასამართლოები არც ერთ მშობელს არ ანიჭებენ უპირატესობას, შეილი სასამართლოს პრაქტიკის გადაწყვეტილებით, უფრო ხშირად მაინც დედასთან რჩება. ყოველივე ეს განპირობებულია გარკვეული ცხოვრებისეული გარემოებებით, კერძოდ კი იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში სწორედ დედები ზრდიან შეილებს ოჯახის დანგრევის შემდეგ.

ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლო მამასაც უტოვებს აღსაზრდელად შეილს, თუ სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნება დედის უარი შეილის აღზრდაზე და აღსაზრდელად მამისთვის მისი ნებაყოფლობითი გადაცემის დავის წარმოქმნამდე ბევრად ადრე. მხედველობაში მიიღება ისიც, რომ ბავშვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზრდის სხვა ქალი, დედინაცვალი, რომელსაც იგი დედად მიიჩნევს. ასე მაგალითად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ვ.-ს სარჩელი მისთვის მისი 1999 წელს დაბადებული ვაჟის დაბრუნების თაობაზე. ამგვარ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო შემდეგი: დადგენილ იქნა, რომ დედა 2001 წლიდან არ ზრდიდა შეილს. მან იგი ნებაყოფლობით გადასცა აღსაზრდელად მეუღლის მშობლებს, რაც ხელწერილით დაადასტურა. ქალი ორი წლის მანძილზე არ ზრუნავდა შეილზე, რომელმაც ამ დროის განმავლობაში დაივიწყა იგი და თავის დედად მამამისის მეორე ცოლი მიაჩნდა. მამამ ჯარიდან დათხოვნის შემდეგ შეილი თავის ოჯახში წაიყვანა.

სასამართლომ გამოიტანა მართებული დასკვნა შეილის მამასთან დატოვების თაობაზე, რადგან ამგვარი დასკვნა შეესაბამებოდა ბავშვის ინტერესებს, დედისათვის მის გადაცემას კი შეიძლება უარყოფითად ემოქმედა მის აღზრდაზე.

შეილების აღზრდასთან დაკავშირებული დავის დროს დიდი მნიშ-

ქსელობა ენიჭება ცალკე მცხოვრებ მშობლებთან ბავშვის ურთიერთობის საკითხს.

მშობელი, რომელიც ფაქტობრივად ცხოვრობს შვილთან ერთად, ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის ნორმალური ურთიერთობა ცალკე მცხოვრებ მშობელთან, რადგან დედ-მამა აღზრდის თანაბარი უფლებით სარგებლობენ. თვით ფაქტი მშობლების ცალკე ცხოვრებისა არ შეიძლება არ აისახოს აღზრდასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების მოცულობაზე. ცხადია, რომ ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებებისა და მოვალეობების მოცულობა უფრო მცირეა, რადგან არასრულწლოვანის აღზრდის მთელი დატვირთვა ოჯახში მის უშუალო აღმზრდელს აწევება. ამიტომ ცალკე მცხოვრებ მშობელს აქვს ბავშვის შედარებით შეზღუდულად აღზრდის უფლება, რაც ბავშვთან ურთიერთობას გულისხმობს. მაგრამ იმისათვის, რომ ურთიერთობამ არ დაკარგოს თავისი ძირითადი მნიშვნელობა, არ იქცეს ერთჯერადად, პედაგოგიურ არსს მოკლებულ პაემნად, იგი უნდა იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი, ხანგრძლივი და რეგულარული. მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობა, შეძლებისდაგვარად არ შეიზღუდოს სხვადასხვა სახის ფორმალობებით, რომელთაც ნულამდე დაჰყავთ თავისუფალი და გულწრფელი ურთიერთობის შესაძლებლობა (მაგ., მხედველობაში გვაქვს მეორე მშობლის ან მისი ნათესავების აუცილებელი დასწრება პაემანზე).

ცალკე მცხოვრები მშობლის ურთიერთობა თავის შვილთან, სხვადასხვა სიტუაციაში, შეიძლება სასამართლო დავის საგანი გახდეს. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, სასამართლო აღგენს ცალკე მცხოვრები მშობლის მონაწილეობის წესს შვილის აღზრდაში.

სასამართლო დასკვნამ უნდა ცხადყოს, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ურთიერთობა. აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამო მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ერთ-ერთ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ბავშვებთან მამის სტუმრობის დროს, მათი ურთიერთ-

ბის ხანგრძლივობისა და ადვილის (სახლი, საბავშვო დაწესებულება) მითითების არარსებობა. სასამართლო გადაწყვეტილებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მზადდება პედაგოგიურად დასაბუთებული დასკვნა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა კი, განხილული კატეგორიის საქმეში, აუცილებელია.

სამოქალაქო კოდექსი 1204-ე მუხლის შესაბამისად, მშობლებს უფლება აქვთ სასამართლოს წესით მოსთხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირს, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. სწორედ ასე იცავს მშობლის უფლებას ხელყოფისაგან კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ. მართალია, პრაქტიკაში ადვილი არ არის ისეთი შემთხვევების მოძიება, როდესაც ბავშვისთვის უცხო ადამიანები მას (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) იტაცებენ ოჯახიდან, უარს აცხადებენ არასრულწლოვანის დედ-მამისათვის დაბრუნებაზე და ხელმძღვანელობენ უხეშ ძალაზე დაფუძნებულ, ყოველგვარი ჰუმანურობისაგან შორს მდგომი საკუთარი ეგოისტური მოტივებითა და მოსაზრებებით. ყველაზე ხშირად ეს პირები ბავშვის ნათესავები არიან, რომლებთანაც იგი გარკვეულ ცხოვრებისეულ გარემოებათა გამო მოხვდა. არცთუ იშვიათად ისინი მშობლისავე თხოვნით უწყვენ მას დახმარებას ბავშვის აღზრდაში. ამიტომ ამგვარ საქმეებში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რატომ აღმოჩნდა ბავშვი სხვა პირებთან.

ბავშვების ერთი პირისგან მეორისთვის გადაცემასთან დაკავშირებული დავა ბავშვების აღზრდის უფლების გამო არა მხოლოდ მშობლებს შორის შეიძლება წარმოიშვას. შესაძლებელია ასევე დავა მშობლებსა და სხვა პირებს შორის, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ბავშვის უახლოესი ნათესავები ან მისთვის უცხო პირები.

ბავშვის აღზრდის თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში, მესამე პირებსა და მშობლებს შორის უპირატესობა ამ უკანასკნელთ ეძლევათ. ამასთანავე, განხილულ და ბავშვის აღზრდასთან დაკავ-

მსრებულ ყველა დავაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ბავშვის ინტერესებს ენიჭება.

მეუღლეებს ორი არასრულწლოვანი ვაჟი ჰყავდათ: სანდრო და ლათო, ორივე დაბადებული იყო 1998 წლის 28 თებერვალს. 2003 წელს მშობლები განქორწინდნენ და ბიჭები დედასთან დარჩნენ. 2003 წლის 19 მარტს დედა ბ. გარდაიცვალა და ბავშვები მისი ლეიძლი ძმის ოჯახში დარჩნენ. სწორედ მას მიმართა ც.-მ სარჩელით ბავშვების დაბრუნების თაობაზე.

მოპასუხის ოჯახში ბავშვის ყოფნის მიზეზის ცოდნა გვეხმარება დავის არსის ჩაწვდომაში. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მოპასუხე, რომელმაც მშობელი შეცვალა, ყველაზე კეთილი სურვილებით ხელმძღვანელობს, გულწრფელად უყვარს არასრულწლოვანი და იგიც სიყვარულით პასუხობს მას, არ შეიძლება მისი გათანაბრება მოსარჩელესთან, ნებისმიერ შემთხვევაში მოსარჩელე მშობელს, როგორც აღმზრდელს, აქვს თავისი შვილების პირადი აღზრდის უპირატესი უფლება.

სარჩელი ბავშვის დაბრუნების თაობაზე ჩვეულებრივ განპირობებულია იმ გარემოებათა აღმოფხვრით, რომელიც ხელს უშლიდა მშობელს შვილის ფაქტობრივ აღზრდაში.

აღნიშნავს რა მშობლების უპირატეს უფლებას, აღზარდონ თავისი შვილები სასამართლო წესისამებრ, ადასტურებს ყველა იმ გარემოებას, რომელიც იმის საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მშობლებისათვის შვილების გადაცემა შვილების ინტერესებს ემსახურება (სამოქალაქო კოდექსის 2004-ე მუხლი).

ნიშანდობლივია შემდეგი საქმე: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბ.-ს სარჩელი მისთვის ქალიშვილის სვეტლანას (დაბ. 1999 წ.) დაბრუნების შესახებ. არ განიხილა რა მოპასუხის (რომელიც სვეტლანას ბებია გახლდათ) საჩივარი, საოლქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია მოსარჩელისათვის გოგონას გადაცემის საფუძვლები: ბავშვის მამას ჩრდილი არ მიუყვნებია თავისი რეპუტაციისათვის, დადებითად ხასიათდება და გააჩნია ნორ-

მალური საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი პირობები.

შვილების აღზრდის შესახებ დავის გადაწყვეტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ბავშვის ინტერესებით. ერთ-ერთი კონკრეტული საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ ბავშვის მამა წლების მანძილზე იყო დაავადებული ქრონიკული ალკოპოლიზმით, რის გამოც არაერთხელ იქნა მოთავსებული სამკურნალო დაწესებულებებში. ასეთ პირობებში სასამართლო მივიდა მართებულ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე ვერ მისცემს შვილს სათანადო აღზრდას და ვერ მოამზადებს მას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის. ბებიასთან მცხოვრებ გოგონას აქვს ყველა პირობა სწორი განვითარებისათვის, ამიტომ სასამართლომ დასაბუთებულად დატოვა იგი მოპასუხის ოჯახში. სარჩელზე უარის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ მშობელი კარგავს თავის უფლებას. მას სწორედ იმიტომ აქვს შვილის აღზრდაში მონაწილეობის მიღების უფლება მასთან ურთიერთობის გზით, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლით დადგენილი წესით უნდა მოხდეს. მაგრამ ეს გარემოება არ ცვლის საქმის არსს, რომელიც იმის განსაზღვრაში მდგომარეობს, თუ რომელ მხარეს გადაეცეს აღსაზრდელად ბავშვი.

ზოგჯერ სასამართლოები ისეთ საქმეებსაც განიხილავენ, რომლებშიც არც ერთი მოდავე მხარე არ არის ბავშვის მშობელი. დავა იმის გამო, თუ ვისთან უნდა აღიზარდოს ბავშვი, შეიძლება წარმოიშვას მის დებსა და ძმებს შორის, ბიძასა და ბებიას შორის და ა.შ. ამ შემთხვევაში რთულია საუბარი ნათესავების უპირატეს უფლებზე აღზარდონ ბავშვი.

დავა, რომელიც ბავშვის გამო წარმოიშვა ბებიასა და დედინაცვალს შორის, შემდეგნაირად იქნა გადაწყვეტილი: მშობლების გარდაცვალების შემდეგ (ჯერ დედის, შემდეგ კი მამის) გოგონას ზრდიდნენ დედინაცვალი – მამამისის მეორე ცოლი და ბებია, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით ჩამოვიდა სხვა ქალაქიდან. გარკვეული დროის შემდეგ დედინაცვალმა მიიღო ბინა, სადაც გოგონასთან ერთად გადასახლდა, ბებიამ კი წარუდგინა მას სარ-

სიელი გოგონას მისთვის (ბებიისთვის) აღსაზრდელად გადაცემის შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის თხოვნა, მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხერხდა, რადგან გოგონამ უარი განაცხადა დედინაცვლისაგან წასვლაზე და ბებიასთან ცხოვრებაზე. გააუქმა რა სასამართლოს გადაწყვეტილება, მოპასუხის საკასაციო საჩივრის თანახმად, სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დედინაცვალი არ შეიძლება ჩაითვალოს გოგონასთვის უცხო პირად, რადგან იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ბავშვის მამასთან და მას, როგორც დედინაცვალს, აკისრია გერის რჩენის მოვალეობა. საქმიდანაც ისიც გამოიკვია, რომ გოგონამ ნებაყოფლობით დატოვა ბებია და დედინაცვალთან ცხოვრების სურვილი ახსნა მის მიმართ უფრო ძლიერი გრძნობის არსებობით. ყველა ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნა და საქმის ხელახალი განხილვისას, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ გოგონა აღსაზრდელად დარჩენილიყო დედინაცვალთან (მოპასუხესთან).

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ უმეტეს შემთხვევაში შეილება მშობლებს უბრუნდება, თუკი ეს უკანასკნელნი სათანადოდ ასრულებენ შეილების აღზრდასთან დაკავშირებულ მოვალეობებს და საამისოდ აუცილებელი პირობებიც აქვთ.

ის გარემოება, რომ ბავშვის ფაქტობრივი აღმზრდელები პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობებს მათ წინაშე და საამისოდ ყველა პირობაც აქვთ, ვერ ჩამოართმევს მშობლებს უფლებას აღზარდონ შეილები. სასამართლო ყოველთვის ბავშვის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ბავშვებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას, სასამართლომ გადაწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს ბავშვის, მით უმეტეს მცირეწლოვანის, სურვილს იცხოვროს ერთ-ერთ მოდავე მხარესთან.

წყვეტს რა დავას ახლო ნათესავებსა და უცხო პირებს შორის, სასამართლო ერთნაირად იკვლევს ბავშვის აღზრდის იმ პირობებს,

რომლებიც გააჩნია როგორც ერთ, ასევე მეორე მოდავე მხარეს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ აღზრდის პირობები ერთნაირია, დავა ნათესავების სასარგებლოდ წყდება იქიდან გამომდინარე, რომ ახლო ნათესაურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდისა და მისი შემდგომი ცხოვრებისათვის.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, თუმცა არ არის პირდაპირ გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, არსებითად სწორია, პასუხობს ინტერესებს და შეესაბამება კანონის საერთო აზრს. ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ საკითხი ახლო ნათესავების უპირატესი უფლების შესახებ არსებითია და შესაბამის საკანონმდებლო დარეგულირებასაც მოითხოვს.

ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკისათვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც უცხო პირები, რომელთაც აღსაზრდელად ჰყავთ ბავშვი, არსებითად მშობლების მაგივრობას უწევენ მას. ისეთი მშობლებიც გვხვდება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პირადი ცხოვრებისა და მატერიალური კეთილდღეობის მოწყობით და არ სურთ თავის შეწუხება შვილების აღზრდით. ივიწყებენ რა მშობლის მოვალეობას, ისინი ნათესავების ან ნაცნობების ამარა ტოვებენ შვილებს და წლების მანძილზე არავითარ ინტერესსა და მზრუნველობას არ იჩენენ მათ მიმართ. ასეთ შემთხვევებში სასამართლოები ვალდებული არიან შეისწავლონ საქმის ყველა გარემოება და გამოიკვლიონ მთავარი საკითხი – ბავშვის მიმართ მშობლებისა და მესამე პირთა ჭეშმარიტი დამოკიდებულება, გარკვეონ ის მოტივები, თუ რამ აიძულა მშობლები დროის განსაზღვრული პერიოდის ამოწურვის შემდეგ განეცხადებინათ მშობლის უფლებების შესახებ და მესამე პირთათვის წარედგინათ სარჩელი. ცხადია, თუ მშობლების მისწრაფება დაიბრუნონ შვილები, არ ემთხვევა შვილების ინტერესებს, სასამართლოს არ ექნება მშობლების სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

მშობლების მზრუნველობას მოკლებულ არასრულწლოვანებზე მეურვეობის (მზრუნველობის) დაწესება მაშინ, როდესაც დედამა ცოცხალია, ხსნის იმგვარი შემთხვევების არსებობას, როდეს-

საც დავა აღზრდის თაობაზე წარმოიქმნება მშობლებსა (ან ერთ-ერთი მათგანის) და იმ პირს შორის, რომელიც უფლებამოსილია აღზრდაზე.

არსებობს ასეთი დავების გადაწყვეტის ორი ვარიანტი. ერთი მდგომარეობს მეურვის (მზრუნველის) დანიშვნის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების გადაწყვეტილების გაუქმებაში. ამ თხოვნის დაკმაყოფილებისას მეურვე (მზრუნველი) კარგავს არასრულწლოვანის აღზრდასთან დაკავშირებულ ყველა თავის უფლებასა და მოვალეობას. თუკი მეურვე (მზრუნველი) უარს აცხადებს ბავშვის დაბრუნებაზე, იგი განიხილება როგორც პირი, რომელიც არაკანონიერ საფუძველზე ამყოფებს მას თავისთან (სკ 1204-ე მუხლი).

ყველაზე ხშირად სამეურვეო (სამზრუნველო) პირის მშობლებისათვის არდაბრუნება მისი ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის აუცილებლობას უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში მშობელი სასამართლოს მიმართავს თხოვნით, მისთვის შვილების დაბრუნების შესახებ, მაგრამ საქმეში მოპასუხედ გვევლინება მეურვე (მზრუნველი), ანუ პირი, რომელიც უფლებამოსილია აღზრდაზე.

განცხადებული სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების გადაწყვეტილება ავტომატურად კარგავს ძალას და ბავში მოსარჩელეს უბრუნდება. სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სამეურვეო (სამზრუნველო) ურთიერთობები ნარჩუნდება. ისევე, როგორც ადრე, პასუხისმგებლობა სამეურვეო (სამზრუნველო) ბავშვების აღზრდაზე მთლიანად ეკისრება, პირველ რიგში, მეურვეს (მზრუნველს), მშობლებს კი აქვთ მხოლოდ მათთან ურთიერთობის უფლება და მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის ვალდებულება, მით უმეტეს, რომ მეურვე (მზრუნველი) არ არის ვალდებული თავისი ხარჯით არჩინოს სამეურვეო (სამზრუნველო) პირი.

აქამდე ლაპარაკი იყო მშობლების უფლებებზე, მოითხოვონ შვილების დაბრუნება. ანალოგიური უფლება ენიჭება მეურვესაც

(მზრუნველსაც), რაზეც მითითებულია სკ 1287-ე მუხლში: „მეურვესა და მზრუნველს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვონ მეურვეობისა და მზრუნველობაში მყოფი ბავშვების დაბრუნება ყველასგან, ვინც მათ თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე“. მაგრამ მსგავსი დაკების წარმოშობის შემთხვევაში, მეურვეს (მზრუნველს) არ შეუძლია სარჩელის წარდგენა მშობლებისათვის. თუკი ერთი მეურვის არსებობის შემთხვევაში არასრულწლოვან პიროვნებას შეცდომით ენიშნება მეორეც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების გადაწყვეტილება ბათილად იქნება ცნობილი, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

მაშინ, როდესაც სასამართლო განიხილავს მშობლის სარჩელს მეურვის, მზრუნველის, საბავშვო დაწესებულების მიმართ, რომელნიც მას თავისთან ამყოფებენ კანონიერ საფუძველზე, სასამართლოებს მართებთ გაარკვიონ, შეიცვალა თუ არა დავის წარმოშობის მომენტისათვის ის გარემოებები, რომლებიც მითითებულ იქნა პირებისათვის ან საბავშვო დაწესებულებებისათვის ბავშვების გადაცემის საფუძველად, პასუხობს თუ არა ბავშვების ინტერესებს მშობლებისათვის მათი დაბრუნება.

მეუღლეთა პირადი უფლებების ანალიზის დასასრულს, გვსურს კანონმდებელთა ყურადღება მივაპყროთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილის შეუსაბამობაზე ამავე კოდექსის 1197-ე, 1199-ე და 1202-ე მუხლებთან, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მშობლებს, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ“. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე მცხოვრები მეუღლის თანხმობას არ მოითხოვს ბავშვისათვის გვარის გამოცვლის თაობაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის რედაქცია უხეშად არღვევს ცალკე მცხოვრები მშობლების პირად უფლე-

ბებს და ამავე დროს, ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1202-ე მუხლებს, რომელთა თანახმადაც, მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, შვილების მიმართ თანაბარი უფლებები და მოვალეობები აკისრია. უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული დაკავშირებულია მეუღლეებს შორის ქორწინების შეწყვეტასთან ან ბათილად ცნობასთან, რაც საკმარისი საფუძველი არ არის ბავშვის გვარის გამოცვლისათვის. პრაქტიკაში ბავშვისათვის გვარის შეცვლა, შეიძლება მიზანშეწონილიც იყოს, რადგანაც ერთ ოჯახში მშობელთა და შვილთა სხვადასხვა გვარის არსებობა უხერხულობას ქმნის. მაგრამ, მეორე მხრივ, ბავშვისათვის გვარის შეცვლის სურვილი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ბავშვთან ერთად მცხოვრებმა მეუღლემ შური იძიოს ცალკე მცხოვრებ მეუღლეზე, აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ მშობელს სურდეს შეწყვიტოს ცალკე მცხოვრები მშობლისა და შვილის ურთიერთობა. არც ის არის გამორიცხული, რომ თუ ბავშვი შეეჩვია მის გვარს და ძველებურად უყვარს ცალკე მცხოვრები მშობელი და ეს მშობელი კვლავ აგრძელებს, დადგენილი წესის შესაბამისად, ბავშვის აღზრდას, მაშინ ბავშვისთვის გვარის შეცვლა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ინტერესებს.

მოცემული მუხლის სრულყოფის მიზნით, ჩემი აზრით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოყვანილი უნდა იყოს შესაბამისობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1199-ე და 1202-ე მუხლებთან. ამ მიზნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილება იმის შესახებ, რომ ბავშვისათვის გვარის გამოცვლას ადგილი ჰქონდეს არა მარტო ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ცალკე მცხოვრები მშობლის ინტერესების გათვალისწინებითაც. ამავე დროს, არაა გამორიცხული, რომ განსაკუთრებული პირობების არსებობისას, სასამართლომ ბავშვთან ერთად მცხოვრებ მშობელს ბავშვისთვის გვარის შეცვლის ნებართვა მისცეს მეორე მეუღლის თანხმობის გარეშეც.

მეუღლეთა მიერ არაქონებრივი ხასიათის მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს რაიმე „სანქციას“, თუმცა პირადი უფლებების ბოროტად გამოყენება ერთ-ერთი მეუღლის მიერ, ოჯახის ინტერესების უპატივცემლობა ან უგულვებელყოფა, მეორე მეუღლისათვის პირადი უფლებების განხორციელებაში ხელის შეშლა შეიძლება გახდეს ქორწინების შეწყვეტის ან მეუღლეთა ქონების გაყოფისას ასეთი მეუღლის წილის შემცირების საფუძველი.

§2. ქონებრივი ურთიერთობები მეუღლეთა შორის

მეუღლეთა პირადი ურთიერთობებისგან განსხვავებით, ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც ოჯახში წარმოიშობა მეუღლეთა ქონებასა და რჩენის საკითხებთან დაკავშირებით, უფრო მეტად ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან. ქონებრივი სამართალურთიერთობები მეუღლეთა შორის – საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომლებიც მათი საერთო თანასაკუთრებისა და მატერიალური ურთიერთრჩენის გამო წარმოიშობა. მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების შინაარსს შეადგენს ქონებრივი უფლებები და ქონებრივი მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსი ქონებრივ უფლებებს ყოფს ნივთობრივ და ვალდებულებით უფლებებად.

ქონებრივ ურთიერთობებში ჩვეულებრივ იგულისხმება „ქონებასთან“¹ დაკავშირებით წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები. ქონების ცნება აერთიანებს მეუღლეთა კუთვნილ მთელ ქონებრივ მასას, მათ შორის ქონებრივი ხასიათის ვალდებულებებს, თუკი ისინი საერთო ქონების განკარგვის შედეგად წარმოიშვა. ქონების ცნება კრებითი ხასიათისაა და მოიცავს არა მხოლოდ ნივთებსა და სანივთო უფლებებს, არამედ ვალდებულებითი ხასიათის მოთხოვნებსაც, რომლებიც მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში საერთო საკუთრების

¹ ბესარიონ ზოიძე „ქართული სანივთო სამართალი“, 2003, გვ. 26.

საფუძველზე წარმოიშვა. მეუღლეთა ქონების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს როგორც მოთხოვნის უფლებები (ვალის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, დივიდენდების მიღების უფლება, სადაზღვევო თანხის მიღების უფლება, მემკვიდრეობის მიძღვნილი მემკვიდრის უფლება, მემკვიდრის ქონებიდან წილის გამოყოფის მოთხოვნის უფლება და ა.შ.), ასევე შესრულების ვალდებულებებიც (მაგალითად, დაუფარავი სესხი, რომელიც სახლის მშენებლობისათვის იყო აღებული, კრედიტით შეძენილი ნივთების ვალი). მეუღლეთა ქონების შემადგენლობის შესახებ ვ.ა. ტარხოვის¹ მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს (კ.ა. გრავე, ე.მ. ვოროჟეიკინი)². მან ასახვა პოვა სასამართლო პრაქტიკასა და კანონმდებლობაში (სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი). მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ვალად აღებული ფული მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება ხდება, რის გამოც წარმოიშობა ორივე მეუღლის პასუხისმგებლობა ვალის დაბრუნების გამო. განსაკუთრებულ აზრს გამოთქვამენ მეცნიერები: ო.ს. იოფე, მ.ვ. ანტოკოლსკაია, ვ.ა. რიასენცევი, მ.გ. მასევიჩი. ისინი მიიჩნევენ, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებას, კანონის თანახმად, მხოლოდ ქონებრივი უფლებები შეადგენს, მაგრამ არამც და არამც – ვალდებულებები (ვალეები); ვალი არ შედის საკუთრების უფლებაში, შეძენილი, დაგროვილი ქონების ცნება კი ვალებს არ გულისხმობს. „დაგროვილია ის, რაც არის შეძენილი, მიღებული და არა ვალეები“.³ თუმცა ორივე პოზიციაში არის რაციონალური

¹ Тархов В.А. Имущественные отношения супругов // Ленинские идеи и новое законодательство о браке и семье. Саратов, 1969, с. 55.

² Гравс К.А. Имущественные отношения в семье. М., 1969, с. 35; Белякова А.М., Ворожейкин Е.М. Советское семейное право, 1974, с. 131. Комментарий к КОБС РСФСР, М., „Юриздат“, 1969, с. 55, Пчелинцева Л.М. Семейное право России. М., 1999, с. 184.

³ Рясенцев В.А. Семейное право, М., Юрид-лит., 1971, с. 94; Масевич М.Г. Комментарий к гл.7 // Семейный кодекс Российской Федерации с кратким комментарием. М., БЕК, 1996, с. 97; Иоффе О.С. Гражданское право Л.Г.У. ч. III, 1965, с. 26-27; Антокольская М.В. Семейное право, 1966, с. 153.

მარცვალ, მეუღლეთა შორის ერთობლივად შექმნილი ქონების გაყოფასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების გადაწყვეტის პრაქტიკიდან გამომდინარე, პირველი პოზიცია უფრო მისაღებია, რადგან სასამართლო მეუღლეთა საკუთრების გაყოფას აწარმოებს, როგორც ქონების აქტივის, ასევე პასივის გათვალისწინებით, იმისგან დამოუკიდებლად, წამოაყენეს თუ არა მხარეებმა საკითხი ვალებზე პასუხისმგებლობის შესახებ.¹

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ნორმებით რეგულირდება (ქონებრივი სამართალურთიერთობები), შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

ა) მეუღლეთა საკუთრებითი (ანუ მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებასთან დაკავშირებული) ურთიერთობები;

ბ) ერთმანეთის მატერიალურ რჩენასთან დაკავშირებული ურთიერთობები (საალიმენტო ვალდებულებები)².

სამოქალაქო კოდექსის ნორმებმა, რომლებიც მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ადრე მოქმედ საოჯახო კანონმდებლობასთან შედარებით. ადრე მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსი საშუალებას აძლევს მეუღლეებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ქონებრივი ურთიერთობების შინაარსი, საქორწინო ხელშეკრულების (მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა) ან მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმების დადებით. საქორწინო ხელშეკრულების ან ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმების არარსებობის, შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემთხვევაში, მეუღლეთა კანონით დადგენილი ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოყენებულ იქნება მეუღლეთა ქონების კანონიერი რეჟიმი

¹ Р. Саватье, Теория обязательств, М., 1972, с. 58.

² საერთო საკუთრება, მისი ცნება და საერთო საკუთრების ფლობა, სარგებლობა და განკარგვის თეორიული პრობლემები ვრცლად განხილულია პროფ. ბესარიონ ზოიძის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული სანიეთო სამართალი“, 2003.

(სამოქალაქო კოდექსის 1158-1171-ე მუხლები) ან მეუღლეთა საალიმენტო ვალდებულებების ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 1182-1186-ე მუხლები).

მეუღლეთა ქონების კანონიერი რეჟიმი გულისხმობს, რომ ქორწინების დროს მეუღლეებს არა მხოლოდ თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნით ქონება, არამედ თითოეულ მათგანს განცალკევებული უფლებით, ინდივიდუალურად ეკუთვნით განსაზღვრული ქონებაც (მუხლი 1161).¹

მეუღლეთა პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ქონება.

პირადი საკუთრების უფლების ობიექტი შეიძლება იყოს საწარმოები, საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი), ფასიანი ქაღალდები, მსუბუქი ავტომანქანა, მოტოციკლი, პროფესიული საქმიანობის საგნები, კულტურული ფასეულობანი (სურათები, სხვადასხვა სახის კოლექციები და ა.შ.) და სხვა. დასახელებული ქონება მეუღლეებს შეიძლება ეკუთვნოდეთ ინდივიდუალური (განცალკევებული) ან საერთო თანასაკუთრების უფლებით².

მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს იმ ქონების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც შეიძლება იყოს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში ან ინდივიდუალურ (განცალკევებულ) საკუთრებაში. ასეთი ჩამოთვლა შეუძლებელია². ამიტომ, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების კვლევისას, აუცილებელია იმ საერთო კრიტერიუმის გამოვლინება, რომლის საფუძველზედაც შეიძლება გადაწყდეს საკითხი, თუ რომელი ქონება უნდა მიეკუთვნოს მეუღლეთა ინდივიდუალურ (განცალკევებულ) საკუთრებას და რომელი მათ საერთო თანასაკუთრებას. ვფიქრობთ, ამისათვის, უწინარეს ყოვე-

¹ Никитина В.П. Имущество супругов, Саратов, 1975, с. 22; Чепрапова Е.А. Имущественные отношения в российской семье. М., 1997, с. 14.

² ს. ჯორბენაძე, საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973, გვ. 178-186.

ლისა, აუცილებელია დავადგინოთ მეუღლეთა მფლობელობაში არსებული ქონების მიზნობრივი დანიშნულება, შეძენის გზები და ხასიათი.

ინდივიდუალურ (განცალკევებულ) საკუთრებას განეკუთვნება:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე.

ქორწინება და ოჯახის შექმნა არ ნიშნავს მეუღლეთა ქორწინებამდელი ქონების ავტომატურად გარდაქმნას საერთო საკუთრებად;

ბ) ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო თანხებით შეძენილი ქონება, თუ იგი განკუთვნილია ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასეთი პირადი მოთხოვნილების ნივთებია: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საათი და ა.შ. ძვირფასეულობისა გარდა. აღნიშნული ნივთები წარმოადგენს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას არა მათ შორის შეთანხმების გამო, არამედ კანონის ძალით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1162-ე მუხლი).

კანონის მოთხოვნა ნივთებზე განცალკევებული საკუთრების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როგორც აღნიშნეთ, არ ვრცელდება ძვირფასეულობაზე, ფუფუნებაზე¹. ისინი შეადგენენ მათ საერთო თანასაკუთრებას, მიუხედავად იმისა, რომ განკუთვნილია ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური მოხმარებისათვის.

გ) ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება.

¹ კანონი არ იძლევა ფუფუნების საგნის ცნების განსაზღვრას. ეს გასაგებიცაა. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებით იძლება ზღვარი ფუფუნებისა და არაფუფუნების საგნებს შორის. სასამართლო პრაქტიკაში მოცემული კატეგორიის საქმეთა განხილვისას ფუფუნების საგნებს, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, აკუთვნებენ განსაკუთრებით ძვირფას ნივთებს, რაც აუცილებელი არ არის მოქალაქეთა პირადი-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად; ძვირფასი ლითონისა და ქვებისაგან ნაკეთებ საგნებს, უძველეს და იშვიათ ნაკეთობებს, ერთ-ერთი მეუღლის მიერ შეკრებილ კოლექციას, ორიგინალურ მხატვრულ ნაკეთობებსა და სურათებს, ანტიკვარულ და უნიკალურ ნივთებს და სხვ.

დ) ქონება, რომელიც საქორწინო ხელშეკრულებით აღიარებულია როგორც ინდივიდუალური საკუთრება.

მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა პირდაპირ პასუხს იმაზე, თუ როგორია მეუღლეთა მიერ საჩუქრად მიღებული ქონების სამართლებრივი მდგომარეობა, მაგრამ სასამართლოებმა მოცემული კატეგორიის საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისათვის შეიმუშავეს ერთიანი პოზიცია, კერძოდ:

იმ შემთხვევაში, თუ ქონება საჩუქრად ეძლევა ერთ-ერთ მეუღლეს, იგი ითვლება ამ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად.

დავის შემთხვევაში სასამართლოები ხელმძღვანელობენ პრეზუმფციით (ვარაუდით), რომ ოჯახის საერთო სარგებლობისათვის და არა მარტო ერთ-ერთი მეუღლის პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი ნივთები, თუ საწინააღმდეგო არ არის დამტკიცებული, ორივე მეუღლისათვის ნაჩუქარ ქონებად უნდა ჩაითვალოს და მათზე გაერცელდეს მეუღლეთა თანსაკუთრების რეჟიმი.

რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, როდესაც ოჯახური დანიშნულების საჩუქარს უძღვნიან ერთ-ერთ მეუღლეს. თუ არსებობს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მჩუქებელს მხედველობაში ჰქონდა ერთ-ერთი მეუღლის ინტერესები, მაშინ ასეთი ქონება განცალკევებულ ქონებად ჩაითვლება.

განცალკევებულად ჩაითვლება აგრეთვე ერთ-ერთი მეუღლის მიერ მემკვიდრეობით (კანონით ან ანდერძით) მიღებული ქონება. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ქონება შექმნილია ქორწინების განმავლობაში, მაგრამ იმ სახსრების ანგარიშზე, რაც მიღებულია ერთ-ერთი მეუღლის კუთვნილი სამკვიდრო ქონების რეალიზაციით. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ქონება შეძენილია იმ სახსრების ანგარიშზე, რაც მიღებულია ერთ-ერთი მეუღლის კუთვნილი სამკვიდრო ქონების რეალიზაციის შედეგად. ასეთ დროს მეუღლის განცალკევებული საკუთრების ობიექტი მხოლოდ გარდაიქმნება და შეიცვლის თავის ფიზიკურ ფორმას.

ე) ქონება, მიღებული მეუღლის მიერ პრემიის, წახალისების, ჯილდოს და ა.შ. სახით.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ორი კატეგორიის პრემიას:

1) პრემია, როგორც ხელფასის სახეობა. ეს არის პერიოდული საზღაური, რომელსაც მუშაკს უხდიან სამუშაოთა განსაზღვრული მაჩვენებლის არსებობის დროს.

ხელფასის საერთო თანხაში, რომელზედაც ირიცხება სადაზღვევო შესატანები, შედის ფულადი პრემიის ის სახეებიც, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემულ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების დადგენილი სისტემებით, მათი ანაზღაურების ხანგრძლივობისაგან (ყოველთვიური, ყოველკვარტალური, ყოველდღიური და ა.შ.) დამოუკიდებლად. მეუღლის მიერ პრემიალური ხელფასის სახით მიღებული ფულადი ანაზღაურება (ისევე როგორც მთელი ხელფასი) განეკუთვნება საერთო საკუთრებას;

2) პრემია, როგორც მუშაკის წახალისება. წამახალისებელი პრემია ერთდროული ხასიათისაა და ეძლევა პირებს თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში (სახელმწიფო, სახელობითი და სხვა სახის პრემიები), აგრეთვე, ე.წ. გრანტები, რომლებიც საკონკურსო წესით ეძლევათ პირებს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგებში განსაკუთრებული მიღწევებისათვის. ვინაიდან ამ სახის პრემია არ არის შრომის დამატებითი საზღაური და უაღრესად პიროვნულ ხასიათს ატარებს, იგი მეუღლის განცალკევებულ საკუთრებას უნდა მიეკუთვნოს.

წამახალისებელ პრემიას უთანაბრდება ჯილდო (ფულადი და სხვაგვარი), რასაც მოქალაქე ღებულობს მამაცობისათვის, საშიში დამნაშავეს შეპყრობისას გამოჩენილი შეუპოვრობისათვის და ა.შ. ასეთ შემთხვევებში მიღებული ჯილდო (სახელობითი ოქროს საათი, სანადირო თოფი, მაგიდის საკანცელარიო მოწყობილობა

და ა.შ.) უნდა მიეკუთვნოს განცალკევებულ ქონებას.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი განცალკევებულ ქონებაზე რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 1161-1162-ე მუხლებით. თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს განცალკევებულ ქონებას მეუღლის ნება-სურვილისა და თანხმობის გარეშე.

საკითხის გადაწყვეტისას, არის თუ არა ქონება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება, თუ იგი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნის ინდივიდუალური საკუთრების უფლებით, ყოველთვის როდი უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ მათი შექმნის დროის ფაქტიდან გამომდინარე ფორმულის მიხედვით: ქონება შეძენილი ქორწინებამდე – განცალკევებულია, ხოლო ქორწინების განმავლობაში – საერთო.

განსაზღვრულ ვითარებაში შეიძლება მოხდეს განცალკევებული ქონების სახეცვლილება (ტრანსფორმაცია) საერთო თანასაკუთრებად. ასე მაგალითად, თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ცნობილ იქნეს საერთო საკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა ამ ქონების ღირებულება (კაპიტალური რემონტი, მშენებლობის დასრულება, გადაგეგმარება, გადაკეთება და სხვა), თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. აქ იგულისხმება ხარჯები გაწეული როგორც ორივე მეუღლის, ისე იმ მეუღლის მიერაც, რომელსაც თავდაპირველად არ ეკუთვნოდა ქონება. იმ ქონების მიმდინარე რემონტი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით, ან ისეთი უმნიშვნელო თანხის დაბანდება, რომელიც არ გამოიწვევს ამ ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გადიდებას, თუნდაც იგი მეუღლეთა საერთო სახსრების ანგარიშზე იყოს წარმართული, არ შეიძლება გახდეს საფუძველი ქონების საერთო საკუთრებად აღიარებისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ ქონების რემონტი ან თანხების დაბანდება გამოიწვევს ამ ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გადიდებას, იგი შეიძლება გახდეს საფუძველი ქონების

საერთო თანასაკუთრებად აღიარებისათვის, მაგრამ, შემდგომ დღის წესრიგში დადგება წილობრივი საკუთრების მოცულობის საკითხი. კერძოდ, უნდა გაირკვეს მესაკუთრე მეუღლის კუთვნილი ქონების ღირებულება და ამის შემდეგ კი დადგინდეს თუ რა ხარჯები და ვის მიერაა გაღებული.

ამისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქონების ღირებულება მასზე ხარჯების გაწევამდე და გაწევის შემდეგ.

ანალოგიურად წყვეტს სასამართლო პრაქტიკა საკითხს მსუბუქი ავტომანქანის შესახებაც, მაგალითად, თუ იგი ქორწინებამდე ქმარს ეკუთვნოდა, ხოლო ქორწინების შემდეგ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო ძლიერ დაზიანდა და მისი კაპიტალური რემონტისათვის დახარჯულ იქნა მნიშვნელოვანი თანხები მეუღლეთა საერთო სახსრებიდან, ავტომანქანა მოცემულ შემთხვევაში ითვლება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად.

მეუღლეთა განცალკევებული ქონების ტრანსფორმირება საერთო თანასაკუთრებად შეიძლება განხორციელდეს მათ შორის განცალკევებული ქონების საერთო თანასაკუთრებად გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადების გზითაც. ასეთი გარიგებანი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში დასაშვები და მართლზომიერია. ამასთანავე, მეუღლეთა მიერ ნივთების საერთო თანასაკუთრებაში გადაცემა უნდა განვასხვაოთ იმ შემთხვევისაგან, როდესაც მესაკუთრე მეუღლე პირადი (განცალკევებული) საკუთრების უფლებით თავის კუთვნილ ქონებას გადასცემს მთელ ოჯახს საერთო სარგებლობაში. ასეთი მიდგომა არ ცვლის მოცემული ქონების სამართლებრივ მდგომარეობას, იგი ამით არ გადაიქცევა მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად. ამასთან დაკავშირებით დავას იწვევს მტკიცება იმის შესახებ, რომ მთელი ოჯახისათვის განკუთვნილი ქონების შექმნა იმ სახსრების ხარჯებზე, რომელიც ეკუთვნოდა ერთ-ერთ მეუღლეს ქორწინებამდე, არ იწვევს ამ ქონებაზე საერთო საკუთრების წარმოშობას, უკეთუ მეუღლეთა შორის სხვაგვარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია საქორწინო ხელშეკრულებაში.

მეუღლეთა განცალკევებული საკუთრების საერთო საკუთრებად ტრანსფორმაციის საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე მეუღლეთა მიერ იმ მასალების გადამუშავება, რომლებიც ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნოდა. ამისათვის აუცილებელია, რომ ახლად შექმნილი ნივთის ღირებულება მნიშვნელოვნად მეტი იყოს, ვიდრე გადამუშავებული მასალის ღირებულება. ამასთანავე, გადამუშავება უნდა მოხდეს მეუღლეთა ერთობლივი შრომით ანდა იმ მეუღლის სახსრებით, რომელიც არ არის გადამუშავებული მასალის მესაკუთრე. თუ შრომამ და დაბანდებულმა სახსრებმა მხოლოდ გააუმჯობესეს ეს ქონება, მეუღლეს, რომელმაც ასეთი ხარჯები გასწია, უფლება აქვს მოითხოვოს ამ ხარჯების ანაზღაურება და არა მისი ცნობა ამ ქონების თანამესაკუთრედ.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება, რაც შესაბამისად წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს.

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს თანასაკუთრებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (მუხლი 1158-ე).

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ცნების ქვეშ იგულისხმება ქორწინების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), ის, რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით. ამასთან, მეუღლეთა ერთობლივი შრომა მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს ოჯახის საკეთილდღეოდ გაწეულ ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ შრომას, რასაც მეუღლეები ასრულებენ როგორც ოჯახში, ისე ოჯახის გარეთ. აქედან გამომდინარე, მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი: ა) ეწეოდა საოჯახო მეურნეობას; ბ) უვლიდა შვილებს ქორწინების პერიოდში; გ) ან სხვა პატივისცემის მიზეზის გამო (ავადმყოფობა, სწავლა და ა.შ.) არ ჰქონდა დამოუკიდებ-

ბელი შემოსავალი. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებისადმი ამა თუ იმ ქონების მიკუთვნებისათვის მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებებს: ა) ქონება შეძენილი იყო მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით; ბ) ქონება ორივე მეუღლის საკუთრებაში შევიდა ქორწინების განმავლობაში (უსასყიდლო ხელშეკრულებათა საფუძველზე).

საერთო თანასაკუთრების უფლებით მეუღლეთა ქონების წარმოშობის ძირითადი წყაროა მათი შრომა. აქედან გამომდინარე, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას განეკუთვნება ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავლები, მიუხედავად იმისა, თუ ვის სახელზეა რიცხული იგი (პენსია, საავტორო ჰონორარი და ანაზღაურების სხვა სახეობანი შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სახელმწიფო სესხების, ობლიგაციებისა და ლატარიის ბილეთები, რომლებიც მეუღლეებმა ქორწინების დროს შეიძინეს).

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას აგრეთვე შეადგენს, შრომისუნარის დაკარგვის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წესით მიღებული თანხები.

იურიდიულ ლიტერატურაში დავაა იმაზე, თუ რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავალი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად.

ზოგიერთი ავტორის აზრით¹, ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავალი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მეუღლეს გაუჩნდა უფლება მასზე. ეს თვალსაზრისი დამაჯერებლობას მოკლებულია. გასამრჯელოზე წარმოშობილი უფლება ვალდებულებითი ხასიათის პირადი უფლებაა, რომლის რეალიზაციაც შეუძლია მხოლოდ იმ მეუღლეს, რომლის შრომითაც არის მოპოვებული იგი. ვიდრე ერთ-ერთი მეუღლე ხელფასს არ მიიღებს, მეორე მეუღლეს არა აქვს მასზე უფლება.

¹ Иоффе О. С., Советское гражданское право, т. III, 1965, с. 226; Дзыба А., Равноправие супругов – основной принцип советского семейного права, изд. Казанского университета, 1972, с. 49.

არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის თანახმა-
ლაც, ხელფასი და სხვა ფულადი შრომითი შემოსავალი საერთო
თანასაკუთრებად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მეუღლენი
მათ კუთვნილ შემოსავალს საერთო საოჯახო ბიუჯეტში შეიტანენ¹.

მოცემული თვალსაზრისი არ შეესაბამება საქორწინო-საოჯახო
კანონმდებლობის კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც
მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარ-
მოადგენს მათ საერთო თანასაკუთრებას. ქონების საერთო თანა-
საკუთრება ქორწინების კანონიერი შედეგია და იგი დამოკიდებული
არ არის მეუღლეთა სურვილზე – შეიტანონ თუ არა მიღებული
ხელფასი საერთო-საოჯახო ბიუჯეტში.

ასევე მცდარად მიგვაჩნია იურიდიულ ლიტერატურაში გავრ-
ცელებული შეხედულება, რომ მეუღლეს უფლება აქვს დახარჯოს
ხელფასი (და სხვა შრომითი შემოსავალი) მიმდინარე საჭიროები-
სათვის და მხოლოდ დაზოგილი ნაწილი გადასცეს საერთო თანა-
საკუთრებაში².

ასორციელებენ რა უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, შეიღების აღზრ-
დას, მეუღლენი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ თითოეულის
მიერ შრომითი, ინტელექტუალური ან სამეწარმეო საქმიანობით
მიღებული შემოსავალი, აგრეთვე პენსია-დახმარებები და სხვა ფუ-
ლადი შემოსავალი არის მათი საერთო და არა განცალკევებული
საკუთრება, ამიტომ მეუღლე ხელფასის ფაქტობრივად მიღების
მომენტიდანვე მოვალეა მოახმაროს იგი ოჯახის საჭიროებათა დაკ-
მაყოფილებას. მეუღლის სხვაგვარად მოქმედება, რომელიც ოჯახის
ინტერესების საზიანოდ ფლანგავს და ანიაკებს ქორწინების განმავ-
ლობაში შეძენილ, მაგრამ საოჯახო ბიუჯეტში ჯერ კიდევ შეუ-
ტანელ ფულს, მართლზომიერად უნდა ჩაგვეთვალა. ეს კი ეწი-

¹ Рясенцев В. А., Семейное право, изд. „Юридическая литература“, 1971, с. 107; Маслов В. Ф., Имущественные отношения в семье, изд. Харьковского университета, 1972, с. 21.

² Басин Ю. Г., Комментарий к кодексу о браке и семье Казахской ССР, 1972, с. 29;

ნააღმდეგება კანონს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1159-ე, 1160-ე მუხლები). ხელფასი, უმეტეს შემთხვევაში, მეუღლეთა არსებობის უმთავრესი წყაროა და ამიტომ მისი ფაქტობრივად მიღებისთანავე იგი მიჩნეულ უნდა იქნეს საერთო თანასაკუთრებად, რომელსაც მეუღლენი ოჯახისათვის აუცილებელი საგნების შეძენისათვის, საერთო-საოჯახო მეურნეობის წარმართვისათვის, ბავშვების რჩენისა და აღზრდისათვის უნდა იყენებდნენ.

არსებული წესი, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის პირობების შესახებ, მთლიანად ვრცელდება ფულად ანაბრებზეც. ამიტომ, თუ დადგინდება, რომ ანაბარი შექმნილია იმ სახსრების ხარჯზე, რაც საერთო ქონებაში არ არის შეტანილი (მაგალითად, საჩუქარი, სამკვიდრო), მაშინ ეს თანხა უნდა გამოირიცხოს საერთო ქონებიდან. მაგრამ, თუ ანაბარი შექმნილია საერთო თანასაკუთრების კუთვნილი სახსრებიდან, მაშინ მასზე ვრცელდება ყველა ის წესი, რომლებიც აწესრიგებენ საერთო თანასაკუთრებაში მეუღლეთა წილის განსაზღვრას ქონების გაყოფის დროს.

იგივე უნდა ითქვას ლატარიის ბილეთზე მოგების შემთხვევაზეც. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება ლატარიის ბილეთით მოგებულ ქონებაზე წარმოიშობა მაშინაც, როდესაც ქორწინების განმავლობაში შეძენილ ლატარიის ბილეთს მოგება ხვდება იმ დროს, როდესაც ქორწინება მეუღლეთა შორის უკვე შეწყვეტილია.

ქორწინებადღე და ქორწინების შეწყვეტის შემდეგ საავტორო გასამრჯელო შექმნილი ნაწარმოებისათვის უნდა ჩაითვალოს განცალკევებულ ქონებად და პირიქით, ავტორის მიერ მიღებული შემოსავლები ქორწინების განმავლობაში შექმნილი ნაწარმოებებისათვის განეკუთვნება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას.

რაც შეეხება საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ბინის სამართლებრივ მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ თუ საპაიო შენატანი დაფარული იყო მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში, მაშინ ის ხდებოდა მეუღლეთა თანასაკუთრებად და მასზე ვრცელდებოდა მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი. ხოლო,

თუ კოოპერატივში საპაიო შენატანი გაკეთებული იყო ერთ-ერთი ძეგლის მიერ ქორწინებამდე, მაშინ აღნიშნული ბინა წარმოადგენს ძეგლის ინდივიდუალურ საკუთრებას¹.

ზემოთ ლაპარაკი გვქონდა მეუღლეებზე, ე.ი. პირებზე, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. მხოლოდ ისინი შეიძლება იყვნენ საერთო თანასაკუთრების სუბიექტები. მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრება (მათ მიერ მეურნეობის ერთად გაძღოლა) ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არ წარმოადგენს საფუძველს საერთო თანასაკუთრების წარმოშობისათვის. მათ მიერ ამ პერიოდში შეძენილი ქონება არ ჩაითვლება საერთო თანასაკუთრებად, მაგრამ, ეს არ გამორიცხავს ამ პირთა მიერ საერთო სახსრებით ცალკეული საგნების შეძენის შესაძლებლობას. ასეთი საგნები უნდა განვიხილოთ როგორც საერთო წილობრივი საკუთრება და მასთან დაკავშირებული ქონებრივი დაეები უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო სამართლის ნორმებით, რომლებიც ეხება საერთო წილად საკუთრებას (მუხლი 173-ე), მაგრამ თუ ეს საგნები რეგისტრირებულია ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი პირის სახელზე, მაშინ იგი ითვლება ამ საგნების ერთადერთ მესაკუთრედ, მეორე მხარის წილი ამ ქონებაში შეიძლება დადგენილ იქნეს იმავე წესით, როგორც სხვა მონაწილის წილი საერთო წილად საკუთრებაში.

სხვაგვარად რეგულირდებოდა ქონებრივი ურთიერთობები ერთად მცხოვრებ ქალსა და მამაკაცს შორის, რაც არსებობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მიღებამდე. მაშინ არარეგისტრირებული (ფაქტობრივი) ქორწინება გათანაბრებული იყო რეგისტრირებულ ქორწინებასთან და იმავე სამართლებრივ შედეგს იწვევდა, რასაც რეგ-

¹ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის საფუძველზე, როგორც იურიდიული პირები გაუქმებულად ჩაითვალა 1997 წლის 25 ნოემბრიდან, მათ უფლებამონაცვლებად მიჩნეულია ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები სამოქალაქო კოდექსის 208-232-ე მუხლების მიხედვით. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულებები ადრე შექმნილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წინაშე ძალაში დარჩა.

ისტორიებული ქორწინება. ასეთი ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება ითვლებოდა იმ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად, რომლებიც ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ დაეები იმ ქონებაზე, რომელიც იყო შეძენილი არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთა მიერ, დასახლებული ბრძანებულების ძალაში შესვლამდე, განიხილებოდა მოქმედი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობით როგორც მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება.

განსაზღვრულ გარემოებათა გამო, ზოგჯერ (მეუღლის გადასვლა სხვა დასახლებულ პუნქტში მუდმივ სამუშაოზე, ხანგრძლივი მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) მეუღლეებს ცალ-ცალკე უზღებთ ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკაში იშვიათად იმ ქონების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, რაც შეძენილია თითოეული მეუღლის მიერ ცალკე ცხოვრების განმავლობაში. ვფიქრობთ, რომ თუ ცალკე ცხოვრება გამოწვეულია დროებითი და პათივისადები მიზეზებით, ქორწინების შეწყვეტის განზრახვის გარეშე, მაშინ ეს ხელს არ უშლის გამოყენებულ იქნეს ზოგადი წესები თანასაკუთრების შესახებ იმ ქონების მიმართაც, რაც შეძენილია მეუღლეთა მიერ ცალკე ცხოვრების განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე ცალკე ცხოვრების დროს მოქმედებდა ოჯახის ინტერესების საზიანოდ, მაშინ სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს (მუხლი 1168-ე).

ამავე დროს, მიუღებელი იქნებოდა ქონების გაყოფისას მხედველობაში არ მიგველო თითოეული მათგანის მიერ ქონების შეძენის ფაქტობრივი გარემოებანი იმ პერიოდისათვის, როდესაც მათ, მართალია, იურიდიულად არ შეუწყვეტიათ ქორწინება, მაგრამ ფაქტობრივად ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, არ ეწეოდნენ საერთო მეურნეობას და არც ოჯახის შენარჩუნებას აპირებდნენ შემდგომში.

სასამართლო უფლებამოსილია ქონების გაყოფისას გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანასწორობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, რამაც ასახვა უნდა პოვოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ან თუ მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. რაც შეეხება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფასა და ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოს დამოკიდებულების მოტივებს წილის გაზრდის თაობაზე, უფრო ვრცლად განვიხილავთ შემდგომში.

ხათუნა ხომერიკი და ლადო გაბრიაძე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1991 წლიდან. ქორწინების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. 1993 წელს პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ლადო გაბრიაძეს საკუთრებაში გადაეცა სამოთახიანი ბინა, რომელშიც იგი ოჯახით ცხოვრობდა. 2000 წელს ხომერიკსა და გაბრიაძეს შორის ქორწინება შეწყდა.

2001 წელს ხომერიკმა სარჩელი აღძრა მოპასუხე გაბრიაძის მიმართ და მოითხოვა სამოთახიანი ბინიდან საკუთრების უფლებით წილის გამოყოფა. სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად საკუთრების უფლებით გამოეყო გაბრიაძის სახელზე რეგისტრირებული ბინიდან ორი ოთახი, ასევე ლოჯის ნახევარი და ერთი სარდაფი. მოცემულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა გაბრიაძემ. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება. ხომერიკს ამ ბინიდან საკუთრების უფლებით გამოეყო 2/3 იდეალური წილი. ეს გადაწყვეტილება ემყარება იმას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1164-ე მუხლი ითვალისწინებს თითოეული მეუღლის მოთხოვნით მათი საერთო ქონების გაყოფას როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ.

ამ დროს მეუღლეთა წილი თანაბარია, სასამართლოს 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები.¹

საერთო თანასაკუთრების უფლების განმასხვავებელი ნიშანია მისი უწილადო ხასიათი.

აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის სახელზეა იგი შეძენილი. მაგალითად, ქორწინების განმავლობაში შეძენილი სახლის რეგისტრაცია ერთ-ერთი მეუღლის სახელზე არ ნიშნავს, რომ სახლი პირადად მისი კუთვნილი ქონებაა, რადგან ამ შემთხვევაში რეგისტრაციის ფაქტი მხოლოდ აფიქსირებს საკუთრების წარმოშობის მომენტს.

საოჯახო ურთიერთობებში არც ერთი მეუღლე არ სარგებლობს უპირატესი უფლებით მეორესთან შედარებით. მეუღლეთა თანასწორობა ოჯახში უზრუნველყოფილია დადგენილი საერთო პრინციპით, რომელიც გულისხმობს მათ მიერ საოჯახო ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივად გადაწყვეტას, ე.ი. მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებას. თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს თითოეული მათგანის შეზღუდვას პირად უფლებებსა და თავისუფლებებში. არც ერთ მათგანს არ გააჩნია უფლება თავისი ნება, ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, თავს მოახვიოს მეორე მეუღლეს (მაგალითად, ოჯახის დაგეგმვის, ბავშვების აღზრდის, მათი განათლების, საოჯახო ბიუჯეტის, საოჯახო მეურნეობის წარმოებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისას).

თუ მეუღლეთა შორის წარმოიშობა უთანხმოება, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი შეიძლება გახდეს როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების, ისე სასამართლოს მსჯელობის

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2002. №7, განჩინება 3კ-328-02.

საგანი. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, კანონი არ ითვალისწინებს მეუღლეთა მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტისას „არბიტრის“ მონაწილეობას. სადავო საკითხები გადაწყდება მხოლოდ მეუღლეთა ურთიერთმოლაპარაკებისა და დათმობის გზით. თუ მათ შორის შეთანხმება მიუღწეველია, ამ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს საკითხის გადასაწყვეტად მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

საერთო თანასაკუთრების სუბიექტთა ურთიერთობის უაღრესად პირადული ხასიათი გამორიცხავს მათი სხვა პირებით შეცვლის შესაძლებლობას. უფრო მეტი, ვიდრე ქონებრივი ერთიანობა გრძელდება, არც ერთ მეუღლეს არა აქვს უფლება უარი თქვას საერთო თანასაკუთრებიდან გამომდინარე, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობაზე და თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირებს გადასცეს. საერთო წილადი საკუთრების შემთხვევაში კი თითოეულ მის მონაწილეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განკარგოს მხოლოდ თავისი წილი.

როგორც აღვნიშნეთ, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (სამოქ. კოდექსის მუხლი 1158-ე).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლი განამტკიცებს მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს როგორც პირად, ისე ქონებრივ ურთიერთობებში, ხოლო აღნიშნული კოდექსის 1159-ე მუხლი უფრო განავრცობს ამ პრინციპს და უთითებს, რომ მეუღლეებს თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე აქვთ თანაბარი უფლებები, რაც გამოიხატება ამ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ურთიერთშეთანხმებით განხორციელებაში.

საერთო ქონების ფლობისა და სარგებლობისას პრობლემები ნაკლებად იჩენს თავს, რამეთუ ოჯახის შიგნით არსებულ ქონებრივ ურთიერთობებს მეუღლეები, როგორც წესი, უმტკივნეულოდ აგ-

ვარებენ. აღნიშნულის გამო, არ შევარჩევთ მათზე ყურადღებას და გადავალთ მეუღლეთა მიერ საერთო ქონების განკარგვის საკითხებზე, რადგან სიძნელები, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ დროს წარმოიშობა. მიმოვიხილოთ მოქმედი კანონმდებლობის მდგომარეობა ამ საკითხთან დაკავშირებით და განვსაზღვროთ, თუ რამდენად უზრუნველყოფს მოქმედი ნორმატიული ბაზა მეუღლეთა მიერ საერთო ქონების განკარგვისას როგორც მათი, ისე კეთილსინდისიერი კონტრაპენტების ინტერესების და, საერთოდ, სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვას.

როგორც აღვნიშნეთ, მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვა ხდება მათი ურთიერთშეთანხმებით. ეს იმას გულისხმობს, რომ ასეთი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებების დასადავლად აუცილებელია ორივე მეუღლის თანხმობა, ანუ ორივე მეუღლის ნების გამოვლენა. ნების გამომხატველი წარმოადგენს გარიგების მხარეს, აქედან გამომდინარე, ორივე მეუღლის თანხმობის შემთხვევაში – ორივე მათგანი გვევლინება გარიგების მხარედ¹, მაგრამ ნათელია ის გარემოება, რომ კანონის მიერ ორივე მეუღლის აუცილებელი მონაწილეობის მოთხოვნა საკმაოდ გაართულებდა არა მარტო მეუღლეთა მიერ თავიანთი უფლებების განხორციელებას საერთო ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, არამედ ხშირად შეუძლებელსაც კი გახდიდა მათ მონაწილეობას სამოქალაქო ბრუნვაში (მაგ., თუ ერთ-ერთი მეუღლე ხანგრძლივ მივლინებაშია, ან სასწავლებლადაა წასული და ა.შ.). ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ პრაქტიკაში ჩამოყალიბდა და იურიდიულ ლიტერატურაშიც პოვა მხარდაჭერა პრინციპმა, რომლის მიხედვითაც მეუღლის მიერ საერთო ქონების განკარგვისას მეორე მეუღლის თანხმობა იგულისხმება. აღნიშნული პრინციპი ცნობილია თანხმობის პრეზუმფციის სახით, რაც როგორც ყველა

¹ М.И. Брагинский, В.В. Витрянский, „Договорное право“, Москва. 1997, с. 15.

სხვა სახის პრეზუმფცია, ანუ ვარაუდი ასახავს ყველაზე ტიპურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებულ და პრაქტიკის მიერ შესწავლილ სიტუაციებს. ამ შემთხვევაში პრეზუმფცია ეფუძნება იმ ფაქტის მაღალ ალბათობას, რომ მეუღლეებმა, გამომდინარე ურთიერთნდობის ფაქტორიდან, პირადი და ქონებრივი ინტერესების ერთიანობიდან, ერთმანეთს შეუთანხმეს თავიანთი მოქმედებები ქონების განკარგვის თაობაზე. აქედან გამომდინარე, მესამე პირები, რომლებიც დებენ გარიგებას ერთ-ერთ მეუღლესთან, არ არიან ვალდებული დარწმუნდნენ მეორე მეუღლის თანხმობის არსებობაში და მოითხოვონ ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი¹. თანხმობა, როგორც წესი, რაიმე განსაკუთრებულ ფორმას არ საჭიროებს, ანუ იგი მიცემულია იმ მეუღლისადმი, რომელიც დებს გარიგებას, ზეპირად, ასევე მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით წყდება ისიც, თუ რომელი მათგანი გახდეს ამ გარიგების სუბიექტი.

სამწუხაროდ, ვარაუდი მეორე მეუღლის თანხმობის შესახებ პრაქტიკაში ხშირად არ შეესაბამება გარემოებათა ნამდვილ ვითარებას. ასეთ დროს დღის წესრიგში დგება გარიგების ბათილობის საკითხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი ითვალისწინებს ასეთი გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებას იმ მეუღლის მიერ, რომლის თანხმობის გარეშეც დაიდო გარიგება. სასამართლოს მიერ აღნიშნული გარიგება ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან არ უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება აღნიშნულ მუხლზე, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანია და წარმოშობს მრავალ კითხვას. გვერდს უვლის რა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, იგი

¹ რ. შენგელია. საოჯახო სამართალი. თბ., 1999, გვ. 85-99.

სრულიად ბუნებრივად განაპირობებს განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რაც, შესაბამისად არასწორი სასამართლო პრაქტიკის დანერგვის მიზეზი ხდება.¹ მაგრამ, სანამ აღნიშნული მუხლის აკარგვიანობაზე ვისაუბრებდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიმოვიხილოთ უძრავი და მოძრავი ნივთების რაობა და სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ადგენენ მათზე საკურების უფლების წარმოშობის განსხვავებულ რეჟიმებს. ნივთების ამ ორ სახედ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო კოდექსი იძლევა უძრავი ნივთის ცნებას, მას მიეკუთვნება: მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე (მუხლი 149-ე), ანუ ყოველივე ის, რაც არ შეიძლება გამოეყოს მიწას თავისი სამეურნეო დანიშნულებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე.

გამომდინარე იქიდან, რომ უძრავი ნივთები განუყოფელია მათი მდებარეობის ადგილიდან, ხოლო მათთან დაკავშირებული გარიგებები შეიძლება დაიდოს სხვა ადგილზეც, როგორც შემძენისთვის, ისე სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეობის აუცილებელია კონკრეტული ობიექტის სამართლებრივი მდგომარეობის ცოდნა (მაგ., ხომ არ არის სახლი იპოთეკით დატვირთული, ვინმეს ხომ არა აქვს მისით სარგებლობის უფლება და ა.შ.), რადგან ყოველივე ეს გავლენას ახდენს როგორც გარიგების პირობებზე, ისე ქონების ფასზე. ყოველივე აღნიშნულის ცოდნა კი შესაძლებელია უძრავ ქონებაზე არსებული უფლებებისა და სხვა მასთან დაკავშირებული გარიგებების სპეციალური სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემების მიხედვით. ასეთი რეგისტრაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უძრავ ქონებაზე უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის აღიარების იურიდიულ ფაქტს და ამავდროულად დარეგ-

¹ ო. ზოიძე, „მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი“, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, №1(5), 2002.

ისტორიებული უფლებების ერთდერთ მტკიცებულებას. ასეთი უფლებები სადავო შეიძლება გახდეს მხოლოდ სასამართლო წესით.¹

სახელმწიფო რეგისტრაციას ექვემდებარება სანივთო უფლებები, მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული უფლებები. რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო რეესტრში და დასტურდება უძრავ ქონებაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ მოწმობით. საჯარო რეესტრის მონაცემები ამ უფლებების შესახებ ღია ხასიათს ატარებს და გასაცნობად წარედგინება ნებისმიერ პირს.

უძრავი ნივთებისა და მათთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაცია წარმოადგენს მათი სამართლებრივი რეჟიმის ძირითად თავისებურებას. რაც უპირველესად განპირობებულია იურიდიული მიზეზებით და არა მარტო ამ ობიექტების ბუნებრივი თავისებურებით. აქედან გამომდინარე, კონტინენტური ევროპის სამართალი უძრავი ქონების სამართლებრივ რეჟიმს ავრცელებს ზოგიერთ მოძრავ ნივთებზე, მაგალითად: საჰაერო და საზღვაო ხომალდებზე, კოსმოსურ ობიექტებზე. ასეთ დროს ნივთი კვლავ რჩება მოძრავად, მაგრამ როგორც უფლება-მოვალეობებით დატვირთული საგანი, განიხილება უძრავად. ამას უმეტესწილად განაპირობებს ასეთი ნივთების დიდი სოციალური დანიშნულება.²

უძრავ ქონებას არ მიეკუთვნება და შესაბამისად არ საჭიროებს თავისი სამართლებრივი მდგომარეობის რეგისტრაციას ნივთები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენენ, მაგრამ არ უკავშირდებიან მიწას და, ამდენად, კანონით არ მიიჩნევიან უძრავად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გვაძლევს მხოლოდ უძრავი ნივთის ცნებას, და აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოძრავია ყველა ის ნივთი, რომელიც არ არის უძრავი. საერთო წესის მიხედვით მოძრავ ნივთებზე უფლებები რეგისტრაციას არ საჭიროებენ. კანონით შეიძლება დადგინდეს

¹ Гражданское право, Учебник, М., Том I, 1998, стр. 303.

² Там же, стр. 305.

მხოლოდ ზოგიერთი ტიპის მოძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებებისთვის სახელმწიფო რეგისტრაციის აუცილებლობა (მაგალითად, ნივთებისა, რომელთა მიმოქცევაც სამოქალაქო ბრუნვაში შეზღუდულია). ასეთი გარიგებების ნამდვილობა დამოკიდებულია სწორედ სახელმწიფო რეგისტრაციაზე, რის შემდეგაც ისინი წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მოძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაცია არ უნდა გავაიგივოთ თვით ამ ნივთების რეგისტრაციასთან. მაგალითად, ავტომანქანის რეგისტრაცია, რომელიც ხდება მანქანაზე საკუთრების უფლების შეძენის შემდეგ და ატარებს მხოლოდ საადრიცზვო ხასიათს, ნიშნავს იმას, რომ ასეთი რეგისტრაციის არარსებობის შემთხვევაში მესაკუთრე ვერ ისარგებლებს მანქანით მისი პირდაპირი დანიშნულების მიხედვით, ანუ როგორც გადაადგილების საშუალებით, ამავდროულად ეს არ სპობს, ცვლის და წყვეტს საკუთრების უფლებას სატრანსპორტო საშუალებაზე.¹

უძრავი ნივთების მუდმივად ერთ ადგილზე მდებარეობა აიოლებს მასზე უფლების დასაბუთებას, რაც შეეხება მოძრავ ნივთებს – მისი იურიდიული წარსული შედარებით ძნელი მოსაძიებელია. ამას განაპირობებს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების უფლების პრეზუმფციის განსხვავებული მოწესრიგება. მფლობელში მესაკუთრის ვარაუდი დაშვებულია მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ. ეს წესი არ გამოიყენება იმ ნივთების მიმართ, რომელთა მესაკუთრე საჯარო რეესტრიდან უნდა დადგინდეს – ეს ნივთები კი უძრავი ნივთებია. ეს განსხვავება განპირობებულია მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთარი წარმოშობის განსხვავებული რეჟიმით.² მოძრავი ნივთების შეძენისათვის საკმარისია ნივთის ერთი პირიდან მეორესადმი მარტოოდენ გადაცემის ფაქტი, უძრავი ნივთის შესაძენად კი აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემდე-

¹ А. Игнатенко, Н. Скрышников, „Брачный договор“. Законный режим имущества супругов, М., 1997, стр. 23.

² ბ. ზოიძე, სანიუთო სამართალი, თბ., 1999, გვ. 24.

ნის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სამოქალაქო კოდექსი, მუხ-
ლი 183-ე).

ამდენად, როცა ნივთი მოძრავია, ბრუნვის ინტერესები მოითხ-
ოვს, რომ ვენდოთ ნივთის მფლობელს, ხოლო, როდესაც უძრავ
ნივთთან გვაქვს საქმე, ასევე ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე,
მფლობელის ვინაობა საჯარო რეესტრიდან უნდა დადასტურდეს.
მოძრავი და უძრავი ნივთების ამ განსხვავებული რეჟიმის გაუთვალ-
ისწინებლობამ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი შეიძლება მძიმე
მდგომარეობაში ჩააყენოს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება
დავუბრუნდეთ სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლს და წარმოვა-
ჩინოთ მისი მიმართება კანონის იმ ზოგად ნორმებთან, რომლებიც
შეეხება საკუთარი უფლების წარმოშობის საფუძვლებს.

1160-ე მუხლი არ აკონკრეტებს მეუღლეთა მიერ საერთო ქონების
განკარგვისას იმ განსხვავებულ წესებს, რომლებიც გამომდინარე-
ობენ მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარ-
მოშობის განსხვავებული რეჟიმებიდან.

აღნიშნული მუხლი არაფერს ამბობს კეთილსინდისიერი მყიდვე-
ლის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი,
რომელიც ეხება მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლებს,
აღგენს, რომ შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამ-
სხვისებელი არ იყო მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ
კეთილსინდისიერია. გამომდინარე ამ ზოგადი ნორმიდან, ერთ-ერთი
მეუღლის მიერ საერთო მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირე-
ბული გარიგების ბათილად ცნობისათვის დადგენილი უნდა იყოს,
რომ შემძენი არაკეთილსინდისიერია, ე.ი. მან იცოდა ან უნდა სცოდ-
ნოდა, რომ მეუღლე (განმკარგავი) მოქმედებდა მეორე მეუღლის
ნების საწინააღმდეგოდ. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის კეთილს-
ინდისიერი იყო, გარიგება ჩაითვლება ნამდვილად.¹ აქ, გარკვეულ-

¹ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., 1999, გვ. 78.

წილად ერთმანეთს უპირისპირდება მეუღლის (ვისი ნების საწინააღმდეგოდაც დაიღო გარიგება) და კეთილსინდისიერი მყიდველის ინტერესები. როგორც აღნიშნეთ, კონტრაქტები არ არის ვალდებული გარიგების დადებისას მოითხოვოს მეორე მეუღლის თანხმობა. ამდენად, იმისათვის, რომ იმ მეუღლის სარჩელის საფუძველზე, რომლის ინტერესებიც დაირღვა ასეთი გარიგების დადებით, საკმარისი არ არის 1160-ე მუხლში მითითებული გარემოებები, არამედ აუცილებელია დადგინდეს გარიგების მეორე მხარის არაკეთილსინდისიერება. ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი თანაბრად ვრცელდება საოჯახო ურთიერთობებზე, მაგრამ სასურველი იქნებოდა კანონმდებელს 1160-ე მუხლშიც მიეთითებინა ამის შესახებ, რაც შემატებდა მას მეტ გარკვეულობას.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება, გამოტანილი ი. მჭედლიშვილის საკასაციო საჩივრის საფუძველზე.¹ განჩინებაში არსებულ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი ი. მჭედლიშვილი ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ სადაო ბინა წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, და მისმა მეუღლემ ისე გაასხვისა, რომ მას არც დაეკითხა.

საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. განჩინების სამოტივაციო ნაწილში მან მიუთითა, რომ: ი. მჭედლიშვილს, რომელიც იყო აღნიშნული ბინის თანამესაკუთრე, სრული უფლება ჰქონდა განეხორციელებინა საკუთრების უფლების აღრიცხვა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, რაც არ გაუკეთებია. ამდენად, მან მისი უფლება, აღრიცხულიყო საჯარო რეესტრში და ესარგებლა მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით, კერძოდ, განეკარგა ქონება, დაუთმო მის მეუღლეს, მ. მჭედლიშვილს.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3კ/932-02. 2002, 9 დეკემბერი.

შემდეგომ პალატა უთითებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე, რომელიც შეეხება უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლებს და ასკვნის, რომ 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზეც (თანასაკუთრებაზე) მეუღლეებს საკუთრების უფლება წარმოეშობათ მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად.

განსახილველ შემთხვევაში პალატამ პრიორიტეტი კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას მიანიჭა. პალატა ითვალისწინებს კეთილსინდისიერი მეუღლის, როგორც თანამესაკუთრის, ინტერესების დაცვის საჭიროებას, მაგრამ მიაჩნია, რომ კეთილსინდისიერი შემძენისგან განსხვავებით, მას კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს სამართლებრივი საშუალება, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით დაიცვას თავისი უფლება ხელყოფისაგან, რასაც კერ ვიტყვით კეთილსინდისიერ შემძენზე.

რა თქმა უნდა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას, რასაც აკეთებს ამ შემთხვევაში დიდი პალატა, მაგრამ აღნიშნული განჩინების მიმართ ჩვენ მაინც გვაქვს შენიშვნა. კერძოდ, გაუგებარია, რატომ ითხოვს პალატა, რომ მეუღლეს უნდა გაეფორმებინა თავისი უფლება საკუთრებაზე – ეს ხომ პირის უფლებაა და არა ვალდებულება! ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საოჯახო კანონმდებლობა არ მოითხოვს ორივე მეუღლის აუცილებელ დარეგისტრირებას თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრებად. ასეთი ქონება შეიძლება რეგისტრირებული იყოს ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, რაც მას არ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ამ ქონების მიმართ.

ჩვენი აზრით, მართებული იქნებოდა კანონს დაეწესებინა მოთხოვნა ორივე მეუღლის აუცილებელი რეგისტრაციის შესახებ უძრავი ქონების მიმართ, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული შეუსაბამობა სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 1160-ე მუხლებს შორის, მა-

გრამ კანონის დღევანდელი მდგომარეობა არ აძლევს სასამართლოს იმის უფლებას, რომ მხოლოდ რეგისტრაციის არარსებობის გამო დაუცველი დატოვოს მეუღლის ინტერესები.

ამდენად, უდავოა, რომ მანამ, სანამ კანონი არ იქნება შესაბამისობაში მოყვანილი, მოსამართლეები ყოველთვის პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან, რადგან შეუძლებელი იქნება სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა, და ერთი მხარის ინტერესების დაცვას ყოველთვის მოჰყვება მეორე მხარის ინტერესთა უგულვებლყოფა.

სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის ბუნდოვანებას მივყავართ სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციამდე, კერძოდ, გამოდინარე 1160-ე მუხლის დებულებიდან, რომ „გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა“, არსებობს აზრი, რომ 1160-ე მუხლი, რომელიც სრულიად სხვაგვარად აწესრიგებს ამ ურთიერთობას, ეწინააღმდეგება ზოგად 158-ე მუხლს, და სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღარ იმოქმედებს 158-ე მუხლი, რადგან 1160-ე მუხლი სპეციალურია. ამდენად, სრულიად დაუცველი ხდება კეთილსინდისიერი კონტრაქტის ინტერესები, რადგან შეიძლება მეუღლეთა შორის არსებობდეს რაღაც შეთანხმება, რომელიც გახდება გარიგების ბათილობის საფუძველი¹. აღსანიშნავია, რომ ის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც გარიგებებს ბათილად ცნობს მხოლოდ მეუღლესთან შეუთანხმებლობის მოტივით, განპირობებულია კანონმდებლობის აღნიშნული ხარვეზებით.

¹ ო. ზოიძე, „მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი“, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, თბ., 2002, №1(5), გვ. 24.

სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი ადგენს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის პრინციპს და იქვე უთითებს, რომ ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. ანუ ეს ნორმა არ მოქმედებს იმ ნივთების მიმართ, რომლებზეც საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია სახელმწიფო რეგისტრაცია. მათ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა მესაკუთრე საჯარო რეესტრიდან უნდა გამოვლინდეს. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი მესაკუთრე არ იყო“. აღნიშნული მუხლის მოთხოვნა უზრუნველყოფს შესაძენ პირთა ინტერესების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. ყოველი პირი, რომელიც დებს გარიგებას უძრავი ქონების თაობაზე, შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ რეესტრში არსებულ ინფორმაციას.

საინტერესოა, თუ რა მიმართებაშია აღნიშნული საკითხი საოჯახო სამართლის ნორმებთან. ეჭვგარეშეა, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს თავისი მნიშვნელობით უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ოჯახის კეთილდღეობაზე. 1160-ე მუხლი არაფერს ამბობს მეუღლეთა მიერ მსგავსი ხელშეკრულებების დადების თავისებურებებზე.

საოჯახო კანონმდებლობა არ მოითხოვს საჯარო რეესტრში მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეებად ორივე მეუღლის აუცილებელ დარეგისტრირებას, ანუ ასეთი ქონება შეიძლება რეგისტრირებული იყოს ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, რაც მას არ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ამ ქონების მიმართ. 1160-ე მუხლი ადგენს, რომ ასეთი ქონების განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მეუღლე განკარგავს მას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მიყვავართ აბსოლუტურ შეუსაბამობამდე, რადგან თუ საჯარო რე-

ესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის გარდა ქონება კიდევ სხვას (მეორე მეუღლეს) ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის მესაკუთრედ რეგისტრირებული, მაშინ გამოდის, რომ საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობას ვერ დაეყრდნობა მესამე პირი, მისი ინტერესები სრულიად დაუცველია და აზრს კარგავს როგორც სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, ისე საერთოდ საჯარო რეესტრის არსებობაც. ასევე, სრულიად გაუგებარია ის გარემოება, რომ მეუღლეს, რომლის უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და მაინც ითვლება მესაკუთრედ, როგორ შეუძლია განკარგოს ეს ნივთი, ანუ დადოს გარიგება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე.¹

სრულიად ნათელია, რომ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ზოგადი და სპეციალური ნორმების კონცეპტუალური წინააღმდეგობა შედეგია ზედაპირული მიდგომისა, ყოველივე ამას კი პრაქტიკაში საკმაოდ მძიმე შედეგებამდე მივყავართ.

მსგავსი კოლიზიური საკითხის გადასაწყვეტად, უდავოა, რომ ხელახლა უნდა დამუშავდეს და შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს აღნიშნული ნორმები. საოჯახო კანონმდებლობამ იმდენად დეტალურად უნდა მოაწესრიგოს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, რომ თავიდანვე გამორიცხოს როგორც მეუღლეთა, ისე მესამე პირთა ინტერესების უგულებელყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იქნებოდა კანონს დაეწესებინა მოთხოვნა ორივე მეუღლის აუცილებელი რეგისტრაციის შესახებ უძრავი ქონების მიმართ, რითაც დაცული იქნებოდა რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრინციპი. ან 1160-ე მუხლში შესულიყო პირდაპირი მითითება უძრავი ქონების განკარგვისას მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობის აუცილებლობაზე. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც ღიად რჩება საჯარო რეესტრის საკითხი.

¹ ო. ზოიძე, „მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი“, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, თბ., 2002, №1(5), გვ. 22.

ინტერესმოკლებული არ იქნება იმის განხილვა, თუ როგორ აკვარებს მსგავს ურთიერთობებს რუსეთის ფედერაციის საოჯახო კანონმდებლობა, რისთვისაც მოვიხმობთ რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 35-ე მუხლს. აღნიშნული მუხლის პირველი საწილი ადგენს ქონებრივ ურთიერთობებში მეუღლეთა თანასწორობის პრინციპს, რაც გამოიხატება მათ მიერ ურთიერთშეთანხმებით საერთო ქონების ფლობაში, სარგებლობასა და განკარგვაში. განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლისაგან, აქ მკაფიოდ არის გამოიჯნული ერთმანეთისაგან მეუღლეთა მიერ საერთო უძრავი და მოძრავი ნივთების განკარგვის წესები და მასთან დაკავშირებული თავისებურებები. აღნიშნული მუხლის მე-2 საწილი ეხება მეუღლეთა მიერ მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს. თანხმობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, კანონი არ ითხოვს ასეთი გარიგების დადებისას მეორე მეუღლის რაიმე ფორმით გამოხატულ თანხმობას, თუ ვარაუდი თანხმობის შესახებ მცდარი აღმოჩნდება. აღნიშნული გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეუღლის სარჩელის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ქონების არაგანმკარგავი მეუღლე თანახმა არ იყო (ე.ი. კონტრაჰენტი იყო არაკეთილსინდისიერი), თუ შემძენი კეთილსინდისიერია, მეორე მეუღლის უთანხმოება არ მოახდენს გავლენას გარიგების ნამდვილობაზე, ეს სპეციალური პირობა, როგორც აღვნიშნეთ მიმართულია გარიგებებში კეთილსინდისიერი კონტრაჰენტების ინტერესების დასაცავად და ამავდროულად სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებისაკენ. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო მოძრავი ნივთების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის შესახებ მეორე მეუღლის მოთხოვნაზე აღნიშნული მუხლი არ ადგენს ხანდაზმულობის ვადას.

მეუღლის მიერ საერთო ქონების განკარგვის უფლებამოსილების განხორციელების განსხვავებული წესი მოქმედებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული და აგრეთვე ისეთი გარიგებების დად-

ბისას, რომლებიც ითხოვენ სავალდებულო სანოტარო წესით დამოწმებას ან/და სახელმწიფო რეგისტრაციას. გამომდინარე ამ ხელშეკრულებების დიდი მნიშვნელობიდან, მათი დადებისათვის აუცილებელია ორივე მეუღლის აშკარად გამოხატული ნება. რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ასეთი გარიგების დასადავად აუცილებელი თანხმობის არსებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც ნოტარიუსის, ისე იმ ორგანოების მიერ, რომელთაც ევალებათ უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაცია. თუ აღნიშნული გარიგება მაინც დაიდო ორივე მეუღლის მკაფიოდ გამოხატული ნების გარეშე, იმ მეუღლის სარჩელის საფუძველზე, ვისი ნების წინააღმდეგაც იგი დაიდო, გარიგება ჩაითვლება ბათილად. ასეთ დროს კონტრაქტის კეთილსინდისიერება ვერ ცვლის გარიგების ბედს, თუმცა დღის წესრიგში დგება მხარეთა რესტიტუციის საკითხი და მხარეებს უბრუნდებათ ის, რაც მათ გარიგებით მიიღეს.¹ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობისაგან, რომელიც არ ადგენს ხანდაზმულობის ვადას იმ მეუღლის მოთხოვნაზე, რომლის ინტერესებიც დაირღვა გარიგების დადებით, რუსეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ერთწლიან ვადას, რომელიც გამოითვლება იმ დღიდან, როცა მოსარჩელემ გაიგო ან უნდა გაეგო ასეთი გარიგების დადების შესახებ (რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსი, მუხლი 35-ე).

საერთო ქონების განკარგვის თაობაზე გარიგება შეიძლება დამოწმდეს მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ უცნობია მისი ადგილსამყოფელი და ამ მიზეზით ვერ ხდება მისი წერილობითი თანხმობის მიღება. ასეთ დროს ჯერ უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და შემდეგ, სასამართლოს მიერ გამოტანილი, კანონიერ ძალაში

¹ Комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, М., 1996, стр. 103.

შესული გადაწყვეტილების ასლის საფუძველზე დამოწმდეს ხელშეკრულება უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, როცა მეუღლე თავს აარიდებს სათანადო ფორმით თანხმობის მიცემას საერთო ქონების განკარგვისას, რუსეთის ფედერაციის ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის საფუძველების 89-ე მუხლის შესაბამისად, მას წარედგინება განცხადება თანხმობის მიცემის ან ნოტარიუსთან გამოცხადების შესახებ, სადაც მას განემარტება, რომ თუ არ არის თანახმა ქონების განკარგვისა, გამოცხადდეს ნოტარიუსთან ამ ქონებაში საკუთარი წილის განსაზღვრის მიზნით. თუ ეს მეუღლე არ გამოცხადდება ნოტარიუსთან აღნიშნულ დროში და არც გამოგზავნის თავის უარს ამ განცხადების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, ნოტარიუსს ეძლევა უფლება დაამოწმოს გარიგება იმ მეუღლის სახელზე, რომელსაც ერიცხება ქონება. როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს უნდა განემარტოს, რომ ასეთი გარიგება ყოველთვის შეიძლება გახდეს სადავო.¹ გაცილებით მართებული იქნება, თუ მეუღლე, რომელიც ვერ იღებს თანხმობას მეორე მეუღლისაგან, მიმართავს სასამართლოს საერთო ქონების გაყოფის თაობაზე, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება გარიგების გაფორმება მეუღლის თანხმობის გარეშე.²

ზემოთ აღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის გარემოება, რომ მეუღლის თანხმობა საჭიროა არა მარტო საერთო ქონების გასხვისებისას, არამედ ქონების შეძენის დროსაც, თუ ფული, რითაც ხდება ქონების შეძენა, წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანხსაკუთრებას.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ, ინსტრუქციული ხასიათის მსგავს მითითებებს შეიცავდა საქართველოს ადრე

¹ Т. И. Зайцева, Р. Ф. Галеева, В. В. Ярков, Настольная книга нотариуса, т. 1, М., 2000, ст. 295.

² Е. А. 180

Чефранова, Имущественные отношения в Российской семье, М., 1997, стр. 27.

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა; კერძოდ, ინსტრუქცია „ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ“, პუნქტი 42-ე ამჟამად მოქმედ ინსტრუქციაში მისი გაუთვალისწინებლობა, უდავოა, რომ გარკვეულწილად განპირობებულია სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის არასრულყოფილებით. ეყრდნობა რა საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრინციპს, იგი სრულიად არ ითვალისწინებს უძრავი ქონების განკარგვისას მეორე მეუღლის თანხმობას, მეტიც, ამჟამად მოქმედი 2001 წლის 29 აგვისტოს დამტკიცებული ინსტრუქცია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ არათუ არ ითხოვს საერთო ქონების განკარგვისას მეორე მეუღლის წერილობით თანხმობას, არამედ უკრძალავს კიდევ ნოტარიუსს სანოტარო აქტის დამოწმებისას უძრავი ქონების და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოძრავი ქონებისა მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის გარდა, სხვა პირის თანხმობის გამოთხოვას (მუხლი 42-ე). ეს აკრძალვა აშკარა უგულებელყოფაა არა მარტო იმ მეუღლის ინტერესებისა, რომელიც არ არის რეგისტრირებული მესაკუთრედ, არამედ მესამე პირისაც, რომლის მიერ დადებული გარიგება ნებისმიერ ღროს შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი იმის გამო, რომ მეორე მეუღლე ამის წინააღმდეგი იყო.

იმავე ინსტრუქციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ნოტარიუსს ეკრძალება კომერციული იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილის (აქციების) გასხვისებისას პარტნიორის (აქციონერის) მეუღლეთა თანხმობის გამოთხოვა.

წილის გასხვისება არის უფლების გასხვისება. სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღიარებს არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც. სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერი-

ალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. წილის გასხვისების პირობად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.4 მუხლი თვლის საზოგადოების ნებართვას ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას. ნებართვის გამცემი ორგანო შეიძლება იყოს პარტნიორთა კრება, ღირექტორატი ან ღირექტორი ერთ-პიროვნულად.

რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული წილის განკარგვის თაობაზე, ამდენად, მასზე ვრცელდება საოჯახო სამართლის ყველა ის ნორმა, რომელიც აწესრიგებს მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ რეჟიმს, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 1159-1160-ე მუხლებით განმტკიცებულ მოთხოვნას მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით განკარგვის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1159-1160-ე მუხლების თანახმად, თუ ერთ-ერთი მეუღლე არის კომერციული საზოგადოების პარტნიორი და მისი წილი შეძენილია რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში, ამ წილის გასხვისება მას შეუძლია მეორე მეუღლის თანხმობით. თვით ქორწინების ფაქტი გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ სამეწარმეო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლე ამ ქონების განკარგვას ახორციელებს მეორე მეუღლესთან შეთანხმებით.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართებული იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსს კონკრეტულად განესაზღვრა მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმი წილებთან და აქციებთან მიმართებაში, რაც საფუძველი იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა. თანხმობის პრეზუმფცია კი ყოველთვის იარსებებს მანამ, სანამ კანონის მიერ დეტალურად არ განისაზღვრება მეუღლეთა მიერ კაპიტალურ საზოგადოებებში წილების ურთიერთშეთანხმებით განკარგვის წესი და არ დაფიქსირდება მეუღლეთა თანასაკუთრების ფაქტი წილებზე. ეს კი გახდება შესაძლებელი მაშინ, როცა იარსებებს სათანადო

რეესტრი, რომელიც მეუღლეებს დაარეგისტრირებს, როგორც წილის თანამესაკუთრებს კაპიტალურ საზოგადოებებში.¹

ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული მუხლების ანალიზს მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში არათუ დგას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების სადარაჯოზე, არამედ თვითონ უგულებელყოფს მათ ინტერესებს და წარმოშობს გაუთავებელ სასამართლო დავებს. ამავდროულად, მასში არსებული წინააღმდეგობები ხდება მიზეზი სასამართლოთა მიერ მსგავსი დავების სრულიად განსხვავებულად მოწესრიგებისა.

ყოველივე ზემოთ თქმულთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა მოგვეყვანა ერთი კონკრეტული მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება, გამოტანილი დალი ჯ-ძის, გიორგი ბ-ლის საკასაციო საჩივრის საფუძველზე.² განჩინებაში არსებულ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორები (ყოფილი მეუღლეები) ითხოვდნენ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ დალი ჯ-ძე სადავო ბინის თანამესაკუთრეა და ამ ბინის გასხვისება მოხდა მისი თანხმობის გარეშე.

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და ჩათვალა, რომ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილებულიყო.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ბინის გასხვისებაზე გიორგი ბ-ის მეუღლის დალი ჯ-ძის თანხმობის არარსებობა ვერ გახდება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. აღნიშნულის დასადასტურებლად მას მოჰყავს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 323-ე მუხლები და აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება ამ მუხლების სრული დაცვით დაიდო.

¹ გ. გოლოშვილი, „მეუღლეთა თანასაკუთრება კაპიტალურ საზოგადოებებში“, ჟურნ. „საქართველოს ნოტარიატი“, №2(6), 2002, გვ. 23.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, №6 3/კ 928, 200. 14 თებერვალი.

აღნიშნული გარიგების დადებისას მას შორის ქორწინება შეწყვეტილი იყო, მაგრამ დალი ჯ-ძეს ჰქონდა ამ ბინით სარგებლობის უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვიებული ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვიებული არ იყო მესაკუთრე. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ გასხვიების მომენტში გიორგი ბ-ლი ერთადერთი მესაკუთრე იყო ამ ქონებისა.

შემძენმა იცოდა, რომ იგი განქორწინებული იყო, თუმცა ასეც რომ არ ყოფილიყო, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი მაინც არ იქნებოდა – უთითებს განჩინებაში პალატა, რის საფუძველზედაც მოაქვს ის დებულება, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების კანონით დადგენილი ქონებრივი უფლება ერთ-ერთ მეუღლეს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს თავისი უფლებების რეალიზაცია საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით და გახდეს მისი წილი ქონების მესაკუთრე, რადგან დალი ჯ-ძეს ეს არ გაუკეთებია, პალატამ მიიჩნია, რომ თანასაკუთრებაში დალი ჯ-ძის წილის განკარგვის უფლება ხელყო არა კეთილსინდისიერმა შემძენმა, არამედ მისმა მეუღლემ. ამდენად, 1160-ე მუხლის საფუძველზე, დალი ჯ-ძეს სარჩელი უნდა წარედგინა არაკეთილსინდისიერი შემძენის, არამედ მისი ქმრის წინააღმდეგ, რაც მას არ გაუკეთებია.

მოყვანილ მაგალითში სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმას, რომელიც მიუთითებს უძრავ ნივთებზე მესაკუთრის საჯარო რეესტრიდან გამოვლენის ფაქტს, რითაც სრულიად მართებულად იცავს მესამე პირთა ინტერესებს, თუმცა დაუცველი რჩება მეუღლე, რომელსაც საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით ისეთივე უფლებები აქვს ამ ქონებაზე, როგორც მის რეგისტრირებულ მეუღლეს.

თუმცა არანაკლებ ხშირად სასამართლოების მიერ ხდება 1160-

ე მუხლის, როგორც სპეციალური მუხლის გამოყენება, რასაც შესაბამისად მოსდევს მესამე პირების ინტერესების დარღვევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ კანონის ამგვარ მოუწესრიგებლობას ჩიხში შევყავართ და სრულიად შეუძლებელი ხდება სამოქალაქო ურთიერთობის მოგვარება ვინმეს ინტერესების დარღვევის გარეშე. მიგვაჩნია, რომ უნდა აღმოიფხვრას ხარვეზები და დეტალურად მოწესრიგდეს ნორმები.

აღნიშნულთან ერთად, კანონს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს იმ მეუღლის ინტერესების დაცვა, რომელიც განკარგავს ქონებას. თუ აღნიშნული ქონების განკარგვა აუცილებელია ოჯახის ინტერესებისათვის და მეორე მეუღლე სრულიად უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ ამბობს უარს, მართებული იქნებოდა დავა გადაეწყვიტა სასამართლოს.

მართალია, დაუშვებელია საკუთრების უფლების ხელყოფა და მოქალაქისათვის მისი ნების საწინააღმდეგოდ ქონების ჩამორთმევა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი უშვებს სამოქალაქო უფლებების შეზღუდვას იმ ზომით, რა ზომითაც ამას ითხოვს სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

იმისათვის რომ, შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი და სპეციალური ნორმები, მიზანშეწონილია 1160-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ერთ-ერთი მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვისას იგულისხმება, რომ იგი მოქმედებს მეორე მეუღლის თანხმობით (თანხმობის პრეზუმფცია).

ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგება მეორე მეუღლის თანხმობის არარსებობის მოტივით, შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითხოვს მეორე მეუღლე და დამტკიცებული იქნება, რომ გარიგების მეორე მხარემ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს მეუღლე გარიგების დადების წინააღმდეგი იყო.

2. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო უძრავი ქონების გან-

კარგვასთან დაკავშირებული და აგრეთვე ისეთი გარიგებების დასა-
დებად, რომლებიც საჭიროებენ სანოტარო დამოწმებას ან/და საჯარო
რეესტრში რეგისტრაციას, აუცილებელია მეორე მეუღლის
ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა და საჯარო რეესტრში საერთო
უძრავ ქონებაზე ორივე მეუღლის რეგისტრაცია.

იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე წინააღმდეგია ასეთი გარი-
გების დადებისა, დაეას წყვეტს სასამართლო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასევე მიზანშეწონილ-
ია შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები ინსტრუქციაში „სანო-
ტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ (დამტკიც. 2001
წ. 29 აგვისტოს, საქ. იუსტიციის მინისტრის №321 ბრძანებით).

მეუღლეებს უფლება აქვთ დადონ ერთმანეთში ყოველგვარი ნე-
ბადართული გარიგება. მართალია, მეუღლეთა შორის გარიგებას
იშვიათად ვხვდებით, მაგრამ თუ გარიგება დადებულია, მაშინ იგი,
როგორც წესი, უსასყიდლოა (ჩუქება, დავალება და სხვ.). ამასთან
დაკავშირებით, როგორც პრაქტიკაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში
აყენებენ საკითხს ასეთ გარიგებათა ფორმის შესახებ. ვინაიდან მეუღლე-
თა შორის ასეთი ურთიერთობა გარიგების „თანხისაგან“ დამოუკიდე-
ბლად ატარებს უაღრესად პირადულ ხასიათს, რაც ქორწინებითაა
განსაზღვრული, ისინი არ უნდა საჭიროებდნენ სანოტარო წესით
დამოწმებას, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც გარიგების
ასეთი ფორმის დაცვა პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით,
მაგალითად, თუ გარიგების საგანია უძრავი ქონება (საცხოვრებელი
სახლი და სხვ.).

მეუღლეები განსაზღვრულ ქონებრივ ურთიერთობას ამყარებენ
არა მარტო ერთმანეთს შორის, არამედ მესამე პირებთანაც. ამასთან
დაკავშირებით, პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი მესამე
პირების მიმართ მეუღლეთა იმ სავალ ვალდებულებებზე, რაც
წარმოიშობა ქორწინების პერიოდში მეუღლეების (ან ერთ-ერთი
მათგანის) მიერ დადებული გარიგების საფუძველზე.

სავალ ვალდებულების გამო პასუხისმგებლობის მოცულობა

წინასწარ განისაზღვრება ვალის ხასიათითა და მიზნობრივი დანიშნულების გათვალისწინებით.

მეუღლეთა ვალი შეიძლება იყოს პირადი და საერთო. პირადს განეკუთვნება ვალი, რაც წარმოშობილია ქორწინებამდე, ან თუნდაც ქორწინების განმავლობაში, მაგრამ დაკავშირებულია ერთ-ერთი მეუღლის პირად მიზნებთან და მიზნად არ ისახავს მეორე მეუღლის ან მთლიანად ოჯახის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. პირადი სარგებლობის ნივთების (ტანსაცმლის, სანატორიუმის საგზურის) შეძენასთან დაკავშირებით, აგრეთვე პირადი ხასიათის ვალდებულებათა გამო (ალიმენტი, მიყენებული ზიანის ანაზღაურება) და სხვ.

ერთ-ერთი მეუღლის პირადი ვალდებულებების (დავალიანების) გამო გადახდევინება დაიშვება მხოლოდ პირადად მის კუთვნილ ქონებაზე (ან მის ნაწილზე) საერთო თანასაკუთრებაში; ასეთი დავალიანებისათვის მეორე მეუღლე პასუხს არ აგებს თავისი ქონებით.

საერთო ვალად ითვლება ის, რაც მეუღლეებმა ან თუნდაც ერთ-ერთმა მათგანმა აიღო საერთო ქონების გამგებლობის, ერთობლივად მეურნეობის გაძღოლის ან ოჯახის ინტერესებისათვის.

ისეთი ვალდებულებების შემთხვევაში, როდესაც ისინი ყიდულობენ, მაგალითად სახლს, ორივე მეუღლე პასუხს აგებს როგორც თავიანთი პირადი (განცალკევებული) ქონებით, ისე იმ ქონებითაც, რომელიც მათ საერთო თანასაკუთრებას შეადგენს.

სხვანაირად წყდება საკითხი მეუღლეთა პასუხისმგებლობის მოცულობის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც სავალო ვალდებულებაში მონაწილეობს მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე, თუნდაც იგი საერთო საოჯახო ინტერესების გამო იყოს წარმოშობილი.

საერთო თანასაკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა განხორციელებისას წარმოშობილი ერთ-ერთი მეუღლის დავალიანების გამო (მაგალითად, ოთახის კაპიტალური რემონტის შემთხვევაში), ან მაშინ, როდესაც ვალდებულებით მიღებული თანხა გამოყენებული იყო მთლიანად ოჯახის

ინტერესების შესაბამისად (მაგალითად, სანატორიუმში საოჯახო საგზურის შექმნა), კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება მიქცეულ იქნეს როგორც მოვალე-მეუღლის განცალკევებულ ქონებაზე, ისე მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაზე¹.

მეუღლეთა საერთო ვალები იყოფა საერთო ქონებაში მათი კუთვნილი წილის თანაზომიერად.

1. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში.

2. აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია ოჯახის ინტერესებისათვის. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, როგორც წესი, გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს როგორც დამნაშავის ინდივიდუალურ ქონებაზე, ისე მის წილზე საერთო თანასაკუთრებაში. დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გადახდევინების მიქცევა იმ ქონებაზე, რომელიც მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას შეადგენს, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს განაჩენით დადგენილ იქნება, რომ ეს ქონება შეძენილი ან გაზრდილი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით.

საერთო ვალების დაფარვისათვის საერთო ქონების არასაკმარისობის შემთხვევაში, მეუღლეებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა თითოეული მათგანის პირადი ქონებით. სოლიდარული ვალდებულების დროს კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამე-

¹ ვ. ი. დანილინი სამართლიანად უნიშნავს, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებისათვის აღებული ვალის გამო პასუხისმგებლობის მოცულობა მისი დაფარვისას თითოეული მეუღლისათვის განსხვავებული იქნება. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მეუღლე საერთო ვალის გამო პასუხს აგებს როგორც თავისი განცალკევებული ქონებით, ისე საერთო თანასაკუთრებაში მისი კუთვნილი წილით (Данилин В. И., Право супругов на имущество по новому советскому законодательству о браке и семье. Авторсферат кандидатской диссертации, М., 1971, с. 17-18).

ბრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება (მუხლი 465-ე). ამრიგად, მეუღლეთა საერთო ქონების არასაკმარისობის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია გადახდა მოითხოვოს თითოეული მათგანის პირადი ქონებიდან როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. თუ ერთ-ერთი მეუღლის ქონება არ იქნება საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დანარჩენი ნაწილის გადახდა მოსთხოვოს მეორე მეუღლეს. კრედიტორს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს გადახდევინება ორივე მეუღლის პირადი ქონებიდან.

მეუღლეთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს აგრეთვე მათი არასრულწლოვანი შვილების მიერ სხვა პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში. მეუღლეთა პასუხისმგებლობის პირობები მათი არასრულწლოვანი შვილების მიერ მიყენებული ზიანისათვის განისაზღვრება ვალდებულებითი სამართლის მიხედვით და დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და მისი ქმედუნარიანობის მოცულობაზე. კერძოდ, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მშობლები (მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები) მოვალენი არიან ანაზღაურონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება (მუხლი 994-ე) ან დაამტკიცებენ, რომ ზიანის დადგომაში მათ ბრალი არ მიუძღვით. მშობელთა ბრალის ქვეშ იგულისხმება:

- ა) არასრულწლოვან ბავშვებზე სათანადო მეთვალყურეობის განუხორციელებლობა;
- ბ) შვილების აღზრდისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება;
- გ) შვილების მიმართ თავისი უფლებების არასწორი განხორციელება – ხულიგნური მოქმედებები, მათ მიმართ უყურადღებობა და ა.შ. როგორც წესი, ასეთი ვალდებულებებისათვის მეუღლეები ერთად აგებენ პასუხს, თუმცა, უნდა აღინიშნოს,

რომ შვილისაგან ცალკე მცხოვრები მშობელი შეიძლება გათავისუფლდეს ბავშვის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუ მეორე მეუღლის ბრალით იგი მოკლებული იყო ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის მიღებას.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება წყდება ქონების გაყოფით. თითოეული ხდება ქონების იმ ნაწილის მესაკუთრე, რომელიც მის გაყოფამდე მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში იმყოფებოდა.

საერთო ქონების გაყოფა შესაბამის წილებად შეიძლება მოხდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმება გაყოფის შესახებ შეიძლება გაფორმდეს გაყოფის თაობაზე ხელშეკრულებით სანოტარო ბიუროში, ამასთანავე, თითოეულ მეუღლეს მიეცემა თავის წილზე საკუთრების უფლების მოწმობა („ნოტარიატის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლი).

თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე, მაშინ დავას მათ შორის, მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით, გადაწყვეტს სასამართლო. თუ ასეთი გაყოფა ეხება მესამე პირის უფლებებს (მაგალითად, საკრედიტო ურთიერთობებთან დაკავშირებით), მაშინ დავა ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმის განხილვისას. სარჩელის განუხილველად დატოვება იმ ანაბრის გაყოფის თაობაზე, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის სახელზე ირიცხება, იმ მოტივით, რომ ანაბარზე პრეტენზიას აცხადებს მესამე პირი, არ იქნებოდა კანონის შესაბამისი. მოცემულ შემთხვევაში, ბანკის ინტერესები ხელშეუხებელი რჩება იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რომელ მეუღლეს მიეკუთვნება უფლება მიიღოს ანაბარი. ბანკი ყოველთვის გასცემს მხოლოდ ანაბრის თანხას.

იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას წარმოადგენს, როგორც წესი, წყდება მეუღლეთა განქორწინების დროს. მაგრამ განქორწინება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას ქონების გაყოფისათვის. მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქორწინების განმავლობაშიც, ამ შემთხვევაში ქონების გაყოფის

ოფის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს: ა) საქორწინო ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტა; ბ) ერთ-ერთი მეუღლის მფლანგველური დამოკიდებულება საერთო თანასაკუთრების ქონებისადმი; გ) მეუღლეთა შორის თანხმობის მიუღწევლობა საერთო საკუთრების გაყოფაზე; დ) ერთ-ერთი მეუღლის საჭიროება, დახმარება გაუწიოს, მაგალითად, შვილებს პირველი ქორწინებიდან, ღრმად მოხუცებულ მშობლებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და სხვა; ე) საერთო თანასაკუთრებაში იმ მეუღლის წილზე გადახდევინების მიქცევა, რომელიც თავს არიდებს ალიმენტის გადახდას.

მეუღლეთა განქორწინების შესახებ საქმეთა განხილვისას, მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით, სასამართლო განიხილავს ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონების გაყოფის საკითხს. მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს იმ ქონების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც შეიძლება იყოს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში.

შესაძლებელია, მეუღლეების მიერ თანაცხოვრების პერიოდში შექმნილ ქონებაზე გარკვეული უფლებები გააჩნდეთ მესამე პირებს, რომლებიც ასევე აცხადებენ პრეტენზიას ამ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის სარჩელების განხილვა არ უნდა მოხდეს განქორწინების საქმესთან ერთად. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სარჩელს (მაგალითად, საბანკო დაწესებულების და ა.შ.).

ქორწინების განმავლობაში საერთო თანასაკუთრების გაყოფა სასამართლო წესით დასაშვებია, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, რაც ოჯახის ინტერესებს საფრთხეს უქმნის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა მიერ შექმნილი ქონების თანასაკუთრების რეჟიმი, რაც დადგენილია საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობით, შეიძლება ადვილად და დაუბრკოლებლად ყოფილიყო შეცვლილი ამ ქონების განცალკევებულობის რეჟიმით, სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნის სასამართლოში წარდგენისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (მუხლი 1171-ე).

საერთო საკუთრებაში წილის განსაზღვრის მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მეუღლეს, მათ შორის იმასაც, რომლის სახელზეც არ არის რეგისტრირებული ეს ქონება. საცხოვრებელი სახლის, ბინის (ან მისი ნაწილის) რეგისტრაცია ერთ-ერთი მეუღლის სახელზე არ ცვლის მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების კანონიერ რეჟიმს. ამ შემთხვევაში, მეუღლეები საერთო საკუთრების თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან, რის გამოც თითოეულ მათგანს უფლება აქვს მოითხოვოს მისი კუთვნილი წილის განსაზღვრა და გამოყოფა.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფას განქორწინების გარეშე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ ქონების მიმართ, რაც მათ მიერ შეძენილია გაყოფის მომენტამდე. იგი არ შეიძლება შეეხოს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს მომავლისათვის, რომელიც შესაბამისად ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფა შეიძლება აგრეთვე მესამე პირის (მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის კრედიტორისა და ა.შ.) მოთხოვნით, ერთ-ერთი მეუღლის პირადი ვალების გამო, საერთო ქონებაში მის კუთვნილ წილზე გადახდევინების მისაქცევად. საერთო თანასაკუთრების ქონების გაყოფისას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია განისაზღვროს ის ქონება, რომელიც გაყოფას ექვემდებარება. ამასთან, სასამართლოები ხელმძღვანელობენ ვარაუდით (პრეზუმფციით), რომ მეუღლეებთან არსებული ქონება განეკუთვნება მათ საერთო თანასაკუთრებას. თუ დადგენილია ამ ქონების შეძენის დრო, მაშინ ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში, ითვლება საერთო ქონებად, ხოლო ქორწინებამდე შეძენილი – განცალკევებულიად. ამიტომ, თუ რომელიმე მეუღლეს მიაჩნია, რომ ქონება

საერთო თანასაკუთრებას კი არ წარმოადგენს, არამედ პირადად მას ეკუთვნის, მაშინ იგი მოვალეა წარუდგინოს სასამართლოს სათანადო მტკიცებულებანი.

აღნიშნული ვარაუდიდან გამომდინარე, სასამართლო მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებიდან გამოყოფს:

ა) ქონებას, რომელიც მეუღლეებს ეკუთვნით ინდივიდუალური საკუთრების უფლებით (ქორწინებამდე შექმნილი, საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული ნივთები);

ბ) ნივთებს, რაც შექმნილია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით, მაგრამ განკუთვნილია თითოეული მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისათვის (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა.შ.), ძვირფასეულობისა და ფუფუნების საგნების გარდა. არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს სასამართლოს გადაწყვეტილება მეუღლეთა ქონების გაყოფის შესახებ, თუ განსაზღვრული არ იქნება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში არსებული ქონება და ის წილი, რაც თითოეულ მათგანს ეკუთვნის.

საერთო ქონების დადგენის შემდეგ სასამართლო აფასებს მასში შემავალ თითოეულ საგანს (ნივთს) და ამის საფუძველზე განსაზღვრავს გასაყოფი ქონების მთლიან ღირებულებას. როგორც წესი, ქონების გაყოფა ხდება ნატურით. საერთო ქონებაში შემავალი ცალკეული საგანი იყოფა იმგვარად, რომ საბოლოო ანგარიშით თითოეული მეუღლისათვის გადაცემული ნივთების ღირებულება შეესაბამებოდეს საერთო ქონებაში მისი კუთვნილი წილის მოცულობას. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი თანაბრობის მიღწევა შეუძლებელია და ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც საერთო ქონებაში მის კუთვნილ წილზე მეტია, მაშინ მეორე მეუღლეს უნდა მიეცეს ფულადი კომპენსაცია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1166-ე მუხლი).

თუ საერთო ქონების გაყოფის პროცესში გამოირკვევა, რომ გასაყოფ ობიექტთა შორის არის სურათების (ნახატების) კოლექცია, ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი სახლი, ბინა (ან სხვა უძრავი ან

მოდრავი ქონება), რომლის ნატურით გაყოფა შეუძლებელია, სასამართლოს შეუძლია მიაკუთვნოს იგი ერთ-ერთ მეუღლეს, ხოლო მეორეს კომპენსაციის სახით მისი თანხმობით გადასცეს სხვა ქონება ან ფული, ან აღიაროს ეს ქონება თითოეული მეუღლის კუთვნილად საერთო წილადი საკუთრების უფლებით, განუსაზღვროს თითოეულს თავისი წილი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში განსაზღვროს კიდევ კონკრეტული საცხოვრებლით (სახლის ან ბინის) სარგებლობის წესი. სასამართლო განსაზღვრავს რა ნიუთების ნუსხას, რომელიც ქმარს ან ცოლს უნდა გადაეცეს, ხელმძღვანელობს სამეურნეო მიზანშეწონილობის პრინციპით, ითვალისწინებს მეუღლეთა სურვილს, მიიღონ ესა თუ ის საგანი საკუთრებაში, თითოეული მეუღლის პროფესიულ მოთხოვნილებას, მათ შესაძლებლობას შეიძინონ აუცილებელი საგნები მომავალში, იმ მეუღლის განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რომელიც თავის თავზე აიღებს (ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრება) არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდას და ა.შ.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფისას, არასრულწლოვანი შვილების სარგებლობაში არსებული ნიუთები (სათამაშოები, ტანსაცმელი და სხვ.) არ შედის გასაყოფ ქონებაში. ასეთი ნიუთები რჩება ბავშვების პირად საკუთრებაში. ასეთივე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება ბავშვის სახელზე შეტანილ ანაბრებზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ ერთ-ერთმა მეუღლემ შეიტანა გარკვეული თანხა ოჯახის საერთო ფულადი სახსრებიდან (წინა ქორწინებიდან) შვილის სახელზე მეუღლის თანხმობის გარეშე, ეს შენატანი ექვემდებარება გაყოფას თანასაკუთრების გაყოფის დროს.

ანაბრის საერთო ქონებად აღიარებისთვის საკმარისია სასამართლომ დაადგინოს, რომ იგი შეტანილია ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო თანხებიდან. მხოლოდ მაშინ, თუ შენაბრე მეუღლე დაამტკიცებს, რომ ანაბარი შეტანილია პირადად მისი კუთვნილი სახსრების ხარჯზე, შეიძლება ანაბრის გაყოფაზე უარი ეთქვას მოლავე მხარეს.

ანაბრის გაყოფის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ მეუღლეს, რომელიც მეანაბრესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება. სხვა პირები, რაოდენ ახლო ნათესაურ დამოკიდებულებაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ მეანაბრესთან, ამ უფლებას მოკლებულნი არიან.

სასამართლოს მიერ განქორწინების შესახებ საქმის განხილვისას ერთ-ერთი მეუღლის სახელზე შეტანილი ანაბრის გაყოფის თაობაზე სარჩელის განუხილველად დატოვება იმ მოტივით, რომ ანაბარზე პრეტენზიას აცხადებს მესამე პირი, არ ეფუძნება კანონს. ამავე დროს, მეუღლეს უფლება არა აქვს მოითხოვოს იმ ანაბრის გაყოფა, რომელიც შეტანილია მეორე მეუღლის მიერ მესამე პირის სახელზე. იმ ანაბრის გაყოფისას, რაც სასამართლოს მიერ ცნობილია საერთო თანასაკუთრებად, გამოიყენება საოჯახო კანონმდებლობის დებულება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფის შესახებ, ე.ი. იგულისხმება, რომ ანაბარი მეუღლეებს თანაბრად ეკუთვნით. არასრულწლოვანი შვილებისა და მეორე მეუღლის ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა ყურადსაღებ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია აქაც გადაუხვიოს წილის თანაბრობის საწყისს.

სასამართლო პრაქტიკაში გაუგებრობას არ იწვევს საკითხი იმის შესახებ, რომ ქორწინების განმავლობაში ერთობლივი სახსრებით შექმნილი პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები არის მეუღლეთა თანასაკუთრება და ქონებრივი დავის შემთხვევაში გადაეცემა იმ მეუღლეს, რომლის სარგებლობაშიც იმყოფებოდა იგი (მუსიკალური ინსტრუმენტი – მუსიკოსს, საექიმო მოწყობილობა – ექიმს და ა.შ.). ამასთან, სასამართლო ავალდებულებს მას მისცეს მეორე მეუღლეს პროფესიული შრომის საგნების საფასურის კომპენსაცია სხვა ქონებით ან ფულით¹.

¹ ი. კოროლიოვის მოსაზრებას, რომ გამოყოფისას პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები უნდა გამოიყოს ქონების საერთო მასიდან და მისი ბუღალტერი უნდა გადაწყდეს, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე (Ю.А. Королев, Семья, общество, государство, „Юридическая литература“, 1971, с. 104), ვერ დავთანხმებით. მხედ-

თუ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფისას სასამართლო დაადგენს, რომ ერთ-ერთ მეუღლეს არ სჭირდება მოცემული ქონება, მას უფლება აქვს საერთო თანასაკუთრების ქონებიდან, წილის ნატურით გადაცემის ნაცვლად, ფულადი კომპენსაცია მიაკუთვნოს ამ ქონების ღირებულების ოდენობით.

მეუღლე, რომელმაც ფულადი კომპენსაცია მიიღო, მოვალეა უარი თქვას ნივთით სარგებლობაზე, ხოლო თუ საკითხი შეეხება საცხოვრებელ სახლს, მაშინ გაათავისუფლოს საცხოვრებელი სადგომი. მეორე მეუღლის უფლება დაცულია სასამართლო წესით. ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას საფუძვლად უნდა დაედოს საკუთრების უფლების დაცვის პრინციპი. მაგალითად, მეუღლეებმა ერთად ცხოვრების განმავლობაში ააშენეს ორი ოთახისაგან შემდგარი საცხოვრებელი სახლი 30 კვ.მ. ფართობით. განქორწინებასთან დაკავშირებით კ-მ მიმართა სასამართლოს სარჩელით ამ ქონების გაყოფის შესახებ. სასამართლომ საცხოვრებელი ბინის გაყოფის ნაცვლად თავისი გადაწყვეტილებით სახლი კ-ს საკუთრების უფლებით დაუტოვა, ხოლო მას მეორე მეუღლის სასარგებლოდ დააკისრა ფულადი კომპენსაცია მისი წილის ღირებულების ოდენობით, რომელიც ბინიდან გამოსახლდა სხვა სადგომის მიუცემლად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, – აღნიშნა პალატამ თავის გადაწყვეტილებაში, – სახლი შედგება ორი ოთახისაგან 30 კვ.მ. ფართობით. ეს სახლი აშენდა ერთი ოჯახისათვის. მოსარჩლესთან ცხოვრობს ორი მცირეწლოვანი 6 და 10 წლის ასაკის ბავშვი. სახლის პატარა ფართობისა და მისი გადაკეთებისათვის დიდი ხარჯების საჭიროების გამო, მისი ნატურით გაყოფა მეუღლეთა შორის, როგორც ეს სწო-

ველობაში ვიღებთ, რომ პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს შეიძლება ეკუთვნოდეს აგრეთვე განსაკუთრებით ძვირფასი საგნებიც (მაგალითად, როიალი), უსამართლობა იქნებოდა მეუღლეთა შორის ქონების გაყოფა მოგვეხდინა შესაბამისი კომპენსაციის გარეშე (ნივთით ან ფულით).

რად ცნო სასამართლომ, შეუძლებელია. ამ კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო სწორად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთელი სახლი უნდა დარჩენოდა მოსარჩლეს, ხოლო მოპასუხეს უნდა მისცემოდა ფულადი კომპენსაცია ამ სახლში მისი კუთვნილი წილის ღირებულების ოდენობით.

– ვინაიდან მოპასუხეს ფულადი კომპენსაცია მიეკუთვნა, იგი აღარ არის სახლის მესაკუთრე და დაკარგა ამ სახლით სარგებლობის უფლება.

თუ გასაყოფი ქონება შეძენილია მეუღლეების მიერ როგორც ქორწინების განმავლობაში მოპოვებული სახსრებით, ისე სახსრებით, რომელიც მათ ქორწინებამდე ეკუთვნოდათ, მაშინ სასამართლო თანაბარ წილად ყოფს მხოლოდ იმ ქონებას, რომელიც მეუღლეებმა საერთო სახსრებით შეიძინეს და ამ ნაწილს მიუმატებს თითოეული მეუღლის იმ წილს, რაც მათ ქორწინებამდე ეკუთვნოდათ.

როგორც აღენიშნეთ, მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა გამოდის ყველა ქონებრივ ურთიერთობაში მეუღლეთა სრული თანასწორობის პრინციპიდან. ამის შესაბამისად, გაყოფის გზით მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების შეწყვეტისას მათი წილი თანაბარია. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, თუ ამას მოითხოვს:

ა) არასრულწლოვანი შვილების ინტერესები;

ბ) ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლი).

გარემოებები, რომლებიც სასამართლოს უფლებას აძლევენ გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, უნდა არსებობდეს ქონების გაყოფის შესახებ დავის გადაწყვეტის მომენტისათვის.

საერთო თანასაკუთრების ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა საკითხი, თუ რა იგულისხმება არასრულწლოვანი შვილების ინტერესებისა და ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების

ცნების ქვეშ და რომელი ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფის შემთხვევაში.

სასამართლოს უფლება აქვს გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის პრინციპს, თუ დადგინდება, რომ იმ მეუღლის წილის გაუდიდებლად, რომელთანაც არასრულწლოვანი შვილები რჩებიან, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მათი სათანადოდ აღზრდა. ამ დროს ერთ-ერთი მეუღლის წილის გადიდების მიზანი არასრულწლოვანი შვილების აღზრდისათვის ხელსაყრელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა უნდა იყოს. იმ მეუღლისათვის გადიდებული წილის გამოყოფა, ვისთანაც არასრულწლოვანი შვილები რჩებიან აღსაზრდელად, გაზრდილი ოდენობით ქონების გადაცემაში უნდა გამოინატოს (საცხოვრებელი ფართობი, კომპენსაციის გაზრდილი ოდენობა და ა.შ.). აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მოპასუხე და შვილები უფრო საჭიროებენ მათ მიერ დაკავებულ ფართობს, ვიდრე მოსარჩლე და ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს თითოეული მეუღლის წილის განსაზღვრის დროს.

შვილების ინტერესების მხედველობაში მიღებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეუღლეთა წილის თანაბრობის პრინციპიდან გადახვევის გარეშეც. ამ შემთხვევაში მშობელს, ვისთანაც არასრულწლოვანი შვილი (ან შვილები) რჩება, თანაბრად გამოყოფილი ქონებიდან გადაეცემა საერთო თანასაკუთრებაში არსებული ისეთი საგნები (ნივთები), რომლებიც აუცილებელია შვილების ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის (ტელევიზორი, სარეცხი და საკერავი მანქანები და სხვ.) და მათი აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად (მუსიკალური ინსტრუმენტები, სპორტული ინვენტარი და სხვ.).

არასრულწლოვანი შვილების ინტერესების დაცვაზე საუბრისას, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ მხოლოდ არასრულწლოვანი შვილების ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი არ წარმოადგენს უცილობელ საფუძველს მისი წილის გაზრდისათვის.

თუ არასრულწლოვანი შვილების ინტერესები არ მოითხოვს მეუღლეთა ქონებრივი უფლებების თანაბრობის პრინციპიდან გადახვევის აუცილებლობას, მაშინ ეს პრინციპი დაცულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილები დარჩებიან საცხოვრებლად.

სასამართლოები, კონკრეტულ საქმეთა განხილვისას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ არა იმ სახსრების ოდენობას, რაც მეუღლეებმა დააბანდეს ქონების შექმნაში (ან შექმნაში), არამედ გამოდიან იმ გარემოებებიდან, რაც დავის განხილვის მომენტში არსებობს. კერძოდ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ერთ-ერთი მეუღლე არ იჩენდა მზრუნველობას ოჯახისადმი, დიდი ხნით ტოვებდა ცოლ-შვილს (ან ქმარ-შვილს) ოჯახის ინტერესების საზიანოდ, არ ეხმარებოდა მათ, ან ანიავებდა საერთო ქონებას, სასამართლოს უფლება აქვს შეუმციროს წილი ასეთ მეუღლეს.

არ შეიძლება შეუმცირდეს წილი იმ მეუღლეს, რომელსაც ავადმყოფობის ან სხვა პატივსაღები მიზეზის (მაგალითად, სწავლის) გამო, არც ხელფასი მიჰქონდა ოჯახში და არც საოჯახო მეურნეობის წარმართვაში მონაწილეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნა შეიძლება ზოგჯერ მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის დროს თანაბრობის საწყისიდან გადახვევის საფუძველი გახდეს. ამ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს პატიმრობაში მყოფი მეუღლის წილი.

კანონი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში წილის თანაბრობის პრინციპს არ უკავშირებს იმას, თუ რომელმა მეუღლემ რა მონაწილეობა მიიღო ამ ქონების შექმნაში და არც მათი შრომის ხასიათსა და მნიშვნელობას. „ცოლქმრული ურთიერთობის სპეციფიკა, – აღნიშნავს ო.ს. იოფე, – გამორიცხავს ბულალტრულ ანგარიშიანობას, – ვინ რამდენი გამოიმუშავა, რა თანხები დააბანდა საერთო მეურნეობაში და ა.შ. თუ ცოლი და ქმარი შეძლებისდაგვარად მუშაობდნენ და ერთნაირად ზრუნავდნენ ოჯახისათვის, მისი ინტერესებისათვის, მათ ქონების გაყოფისას აქვთ თანაბარი

უფლება, თითოეულის ხელფასისა და სხვა შემოსავლის ოდენობის მიუხედავად“.

რა თქმა უნდა, თავისთავად არც შრომისუნარობა და არც ქონების გაყოფის შემდეგ შვილების ერთ-ერთ მეუღლესთან დარჩენა არ წარმოადგენს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან გადახვევის აუცილებელ საფუძველს, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს გადაუხვიოს ამ თანაბრობის პრინციპს, თუ დაადგენს, რომ მაგალითად, შრომისუნარო მეუღლე უფრო მეტად საჭიროებს საბინაო პირობების შექმნას მკურნალობისა და დასვენებისათვის, ვიდრე მეორე მეუღლე.

მეუღლეთა ქონების გაყოფისას, სასამართლო მხედველობაში იღებს იმასაც, რომ შრომისუნარო მეუღლეები, როგორც წესი, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეიძინონ საოჯახო მოწყობილობა. ამიტომ სასამართლო შრომისუნარო მეუღლეს აკუთვნებს გადიდებულ წილს საერთო ქონებაში.

ვფიქრობთ, რომ სასამართლო უფლებამოსილია ერთ-ერთი მეუღლის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაუხვიოს თანაბრობის საწყისს საერთო თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფისას, თუ განქორწინების შედეგად მეუღლესთან იცხოვრებს შრომისუნარო სრულწლოვანი შვილი, რომელიც მუდმივ მოვლა-პატრონობასა და რჩენას საჭიროებს.

მეუღლეთათვის ქონებიდან არათანაბარი წილის განსაზღვრას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის გამო დიდი ხნის განმავლობაში არ ზრუნავდა საერთო ქონებაზე და არ მონაწილეობდა მისი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის) შენახვის ხარჯებში, მაშინ, როდესაც მეორე მეუღლე ეწეოდა ყველა ხარჯს ამ ქონების მოვლისა და შენახვისათვის. მსგავს შემთხვევაში პირველი მეუღლის წილის შემცირება და მეორის წილის გადიდება საკვებით შესაბამისი იქნება „ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების“ გათვალისწინების პრინციპისა.

მეუღლეთა თანასაკუთრებასა და მათ შორის წილის გაყოფის თაობაზე მსჯელობისას, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს საკითხი, რომელიც ეხება მეუღლეთა მიერ პრივატიზებული ბინების თანასაკუთრების სახით ფლობას. სასამართლო პრაქტიკაში მეუღლეთა შორის ქონების (პრივატიზებული ბინების) შესახებ საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც თვით იმ ნორმატიული აქტიდან გამომდინარეობს, რაც საფუძვლად დაედო პრივატიზაციის პროცესს.

აღნიშნული საკითხის ნათელსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ პრივატიზაციის შესახებ კანონმდებლობა.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის ბინების მოქალაქეებზე მიყიდვამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო, რასაც საფუძვლად დაედო ყოფილ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1988 წლის 2 დეკემბრის № 1400 დადგენილება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეთათვის პირადი საკუთრების უფლებით ბინების მიყიდვის შესახებ“. ამ დადგენილებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს უფლება მიეცათ მიეყიდათ მოქალაქეებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ბინები, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ, აგრეთვე ჩასახლებული ბინები იმ სახლებში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ რეკონსტრუქციას ან კაპიტალურ რემონტს. ახლად აშენებულ სახლებში განლაგებული ბინები მოქალაქეებისათვის შეიძლებოდა მიეყიდათ მხოლოდ დადგენილი წესით მათი ჩასახლების შემდეგ.

ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 21 ივნისს მიიღო № 311 დადგენილება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეთათვის პირადი საკუთრების უფლებით ბინების მიყიდვის შესახებ“ და 1990 წლის 25 იანვარს № 35 დადგენილებით დაამტკიცა დებულება „მოქალაქეებზე საცხოვრებელი სახ-

ლების (ბინების) პირადი საკუთრების უფლებით გაყიდვის, მათი შენახვისა და რემონტისათვის გაწეული ხარჯების გადახდის შესახებ“, რომლითაც მოქალაქეებს ეძლეოდათ ნება შეესყიდათ საკუთრების უფლებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის სახლებში დაკავებული ბინები, აგრეთვე შეუსახლებელი ბინები იმ სახლებში, რომლებიც ექვემდებარებიან რეკონსტრუქციას ან კაპიტალურ შეკეთებას. ამ დადგენილებით მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები (ბინები) შეესყიდათ განვადებით 10 წლის ვადით, იმ პირობით, თუ საწყისი შენატანი შეადგენდა სახლის (ბინის) ღირებულების 50%-ს, პრივატიზაციის პროცესი ასე გაგრძელდა მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების მიღებამდე. აღნიშნული დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ბინების უფასო პრივატიზაციას და არ ეხებოდა მოქალაქეებს, რომლებმაც 1989 წლის № 311 და 1990 წლის №35 დადგენილებით შეისყიდეს ბინები და მათი მესაკუთრები გახდნენ.

მოცემული დადგენილებით გათვალისწინებული წესებისა და პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებისას დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენს პრივატიზებული ბინა?

საკითხის სწორი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შემადგენლობისაა საპრივატიზაციო ბინაში მცხოვრები ოჯახი. თუ საპრივატიზაციო ბინაში ცხოვრობს მხოლოდ დამქირავებელი, მაშინ პრივატიზებული ბინის ერთადერთი მესაკუთრეც ის არის. უფრო რთული გადასაწყვეტია საკითხი მაშინ, როდესაც საპრივატიზაციო ბინაში დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ მისი ოჯახის წევრები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საპრივატიზაციო ბინებთან თვით ოჯახის წევრთა უფლებრივი დამოკიდებულების საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ ბინის

პრივატიზაციისათვის საჭირო იყო დამქირავებელთან ერთად მცხოვრები სრულწლოვანი ოჯახის წევრების წერილობითი თანხმობა. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, მიეცა თუ არა თანხმობა ბინის პრივატიზაციის შესახებ, თითოეული ოჯახის წევრი იღებდა დამოუკიდებლად. ამასთან, მას უნდა გაეთვალისწინებინა, რა მიზანს ისახავდა და რა სამართლებრივი თუ მატერიალური შედეგები დადგებოდა მისთვის და მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრებისათვის, თანახმა იყო თუ არა იგი, რომ ბინის მესაკუთრე გამხდარიყო პირი, რომელთანაც იღებოდა პრივატიზაციის ხელშეკრულება, ის კი ისარგებლებდა პრივატიზებული ბინით, როგორც მესაკუთრის ოჯახის წევრი, მაგრამ თუ ოჯახის წევრები თანახმა არ იყვნენ, რომ ბინის მესაკუთრე გამხდარიყო პირი, რომელთანაც იღებოდა პრივატიზაციის ხელშეკრულება, მაშინ მათ აღნიშნული დადგენილებითვე ეძლეოდათ უფლება, გამხდარიყვნენ მესაკუთრენი წილობრივი საკუთრების უფლებით.

გამონაკლისი იყო მეუღლე. საქმე ის არის, რომ მეუღლე პრივატიზებული ბინის თანამესაკუთრე ხდებოდა არა იმიტომ, რომ თანხმობა მისცა ბინის პრივატიზაციაზე, არამედ იმიტომ, რომ მოქმედი საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის თანახმად, ერთი მეუღლის მიერ ქორწინებაში საერთო საოჯახო ინტერესებიდან გამომდინარე, შეძენილი ქონება (მათ შორის პრივატიზებული ბინა) იყო და არის მეუღლეთა თანასაკუთრება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთი უპირატესობით ოჯახის სხვა წევრები არ სარგებლობდნენ. მათ შორის ფაქტობრივი მეუღლეც, რომელთანაც დამქირავებელი არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

ბინის პრივატიზაციის აღნიშნული წესი მოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს № 520 დადგენილების („საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის პრივატიზების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“)

მიღებად, რომლის თანახმადაც ბინის პრივატიზაციისას, მათი თანხმობის მიუხედავად, ისინი ხდებოდნენ პრივატიზებული ბინის მესაკუთრენი.

1996 წლის 2 აპრილის № 1 დადგენილებით „საბინაო ფონდის პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა, პრივატიზაციის კანონმდებლობის სწორად გამოყენებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, განუმარტა სასამართლოებს, რომ: „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს № 520 დადგენილებამ გააუქმა ბინების პრივატიზაციისათვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობის აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, პრივატიზებულ ბინაზე საკუთრების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული აქვს ბინის პრივატიზაციის დროისათვის“.

პრივატიზებული ბინის საერთო საკუთრების რეჟიმზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, გვულისხმობთ საერთო წილობრივ საკუთრებას, თუ კანონში პირდაპირ არ არის მითითებული თანასაკუთრებაზე.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლები, რომლებიც მოხსენებული არიან № 107 დადგენილებაში, ხოლო შემდგომ ნორმატიულ აქტებში კი, როგორც პრივატიზაციის ობიექტები, თავიანთი განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის გამო, ჩვენი აზრით, შეცდომით არიან შეტანილი ზემოაღნიშნულ სამართლებრივ აქტებში.

პრივატიზაცია ნიშნავს რა სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნას ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა საკუთრებად, პირის მიერ პაის შეტანა ლოგიკურად გამორიცხავს ასეთი სახის ბინების პრივატიზაციას. უფრო მეტიც, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 5 ივლისს მიიღო № 519 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის რიცხული სახელმწიფო სესხის ჩამოწერისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერ-

ატრევის საცხოვრებელი სახლების მობინადრე მოქალაქეთა საკუთრებაში გადაცემის შესახებ“, მიუხედავად იმისა, გადახდილი ჰქონდათ თუ არა მათ თავდაპირველი შესატანი საპაიო თანხა.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ბინების პრივატიზაციის დაუშვებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც ყველა სხვა მესაკუთრე, კოოპერატივის წევრი, რომელმაც მთლიანად დაფარა საპაიო შესატანი, არის მესაკუთრე პრივატიზაციის გარეშე და უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს კოოპერატიული ბინა. თუ აღნიშნული წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, მაშინ მისი გასხვისებისათვის საჭიროა მეუღლის თანხმობა. რაც შეეხება კოოპერატიულ ბინაში მცხოვრებ სხვა ოჯახის წევრებს, ბინის გასხვისებისას მათი თანხმობა საჭირო არ არის. იგივე უნდა ითქვას საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებზეც.

პრივატიზაცია ხსენებულ დადგენილებებში უნდა შეხებოდეს სახელმწიფო საბინაო ფონდში შემავალ სახლებს (ბინებს) და არა საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ბინებს, რადგანაც პრივატიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე, კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში ბინის გადაცემა, ისევე როგორც საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლების გადაცემა სხვათა საკუთრებაში, არ წარმოადგენს პრივატიზაციას.

დღეს არანაკლებ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს განეკუთვნება საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფიზიკურ (ან იურიდიულ) პირთა კანონიერ სარგებლობაში ყოფნისა და მათი გასხვისების საკითხი. კერძოდ, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, 1997 წლის 25 ნოემბრიდან (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან), ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები (სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი). კოდექსის თანახმად, საჯარო რეესტრის

სამსახურის ჩამოყალიბებამდე, მიწის ნაკვეთის გასხვისება შესაძლებელია ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე. შესაბამისად, უნდა მოხდეს ყოველი ახალი შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეგისტრის სამსახურში (კოდექსის 1514-ე მუხლი).

მიწასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას აუცილებლად უნდა გავარკვიოთ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული მიწის სამართლებრივი ბუნება და რეჟიმი. კერძოდ, თუ მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ერთ-ერთ მეუღლეს ქორწინებამდე, ცხადია, იგი ქორწინების მიუხედავად, კვლავ დარჩება მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად; თუმცა შესაძლებელია ასეთი მიწის ნაკვეთი იყოს მეუღლეთა თანასაკუთრების ობიექტიც მაშინ, თუ ქორწინების შემდგომ პერიოდში რეკულტივაციისა და სხვადასხვა სამუშაოების ჩატარების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი ღირებულება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მასზე ვრცელდება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების რეჟიმი უძრავ ქონებასთან მიმართებაში.

§3. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობანი (საქორწინო კონტრაქტი)

როგორც უკვე ითქვა, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები იმპერატიული ნორმებით რეგულირდებოდა. რაიმე სხვა სახის შეთანხმება, ერთობლივი ქონების მართვისა და განკარგვის თაობაზე, კანონთან წინააღმდეგობაში მოდიოდა და არ ჰქონდა იურიდიული ძალა. ამ დროს მეუღლეთა ქონებას ძირითადად მოხმარების საგნები – ტანსაცმელი, ავტომანქანა, ავეჯი – წარმოადგენდა და, როგორც წესი, „გასაყოფიც“ არაფერი იყო. ამდენად, კანონით გათვალისწინებული თანასაკუთრების რეჟიმი ოჯახების უმრავლესობის ინტერესებს პასუხობდა და ქონებრივი

ურთიერთობების სხვა წესით დარეგულირების საჭიროება არ არსებობდა.¹

დღევანდელ დღეს, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა ბიძგი მისცა მათ, ვინც ქორწინდება, წინასწარ მიიღონ ზომები ოჯახურ ურთიერთობათა და, ძირითადად, ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივი რეჟიმის განსასაზღვრავად. რიგ შემთხვევებში ამის გაკეთება უკვე დაქორწინებულ მეუღლეებსაც უწევთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლეთა ერთობლივ თანასაკუთრებას წარმოადგენს მათ მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება (მეუღლეთა ქონების კანონიერი რეჟიმი) თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ (მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებო რეჟიმი). თანასაკუთრებას მიეკუთვნება თითოეული მეუღლის შემოსავლები შრომითი, სამეწარმეო, ინტელექტუალური საქმიანობიდან, ორივე მეუღლის მიერ მიღებული პენსიები, შემწეობები, სხვა სახის არასპეციალური დანიშნულების ფულადი განაცემები, მეუღლეთა საერთო შემოსავლების ხარჯზე შეძენილი მოძრავი და უძრავი ნივთები, ფასიანი ქაღალდები, შეტანილი პაი, დაბანდებები, კაპიტალის წილები, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ნებისმიერი ქონება, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის სახელზეა იგი შეძენილი და მეუღლეთაგან რომელმა შეიტანა ფული. უფლება საერთო ქონებაზე თანაბრად ეკუთვნის ორივე მეუღლეს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი ქორწინების პერიოდში საოჯახო საქმიანობას ეწეოდა, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი).

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №33/932-02, 2002, 9 დეკემბერი.

ბოლო პერიოდში გაჩნდა მნიშვნელოვანი შემოსავლების მქონე ოჯახები (სოციოლოგიური და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩვენი ქვეყნის ყველა მიმდინარე შემოსავლის 10% ყველაზე მდიდარ ადამიანებზე მოდის), რომელთაც აქვთ საკუთარი სიმდიდრისა და კაპიტალის დაცვის მოთხოვნილება.

ამასთან დაკავშირებით მრავალ მეუღლეს ან ყოფილ მეუღლეს მოუხერხებლად და თავისთვის უსამართლოდ მიაჩნია საერთო ქონების კანონიერი რეჟიმი.

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების იმპერატიულ მეთოდთან ერთად მათ დისპოზიტიურ რეგულირებასაც ითვალისწინებს, რაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების გზით მიიღწევა.

საქორწინო ხელშეკრულება საშუალებას აძლევს მათ, ვინც ქორწინდება, ანუ მომავალ მეუღლეებს აწონ-დაწონონ ყველა თავისი მოთხოვნა და სურვილი. ლოგიკური სისტემის სახით ჩამოაყალიბონ მათი მატერიალური და მორალური ვალდებულებები. განქორწინებისას, საქორწინო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში მხარეები (მეუღლეები) გაცილებით ნაკლებ სულიერ და ფიზიკურ ძალებს ხარჯავენ ერთმანეთის მიმართ წაყენებული ქონებრივი პრეტენზიების გასარკვევად, ვიდრე ეს საქორწინო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში მოხდებოდა.¹

განქორწინების შემთხვევაში ხელშეკრულების ასეთი ფორმა საშუალებას აძლევს მეუღლეებს კონფლიქტური სიტუაციის დადგომამდე, იქამდე, სანამ შეუძლებელი გახდება შექმნილი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება მათი (მეუღლეების) მხრიდან, ზედმეტი

¹ Бошко В.И. Очерки советского семейного права, Киев, 1952, с. 89, Маслов В.Ф., Подопригора Э.А., Пушкин А.А. Действующее законодательство о браке и семье, Харьков, с. 123; Чиквашвили Ш.Д. Имущественные отношения в семье, М., 1976, с. 7. Жилинкова В.И. Правовой режим имущества членов семьи. 2000, ее же. с. 229-235. 1995, Брачный договор, Харьков, 2001, с. 43.

ნერვიული დაძაბულობის გარეშე სასამართლო წესით დააკმაყოფილონ ყველა ქონებრივი პრეტენზიები.

მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებო რეჟიმის დაწესება ან საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) გაფორმება მეუღლეთა შორის საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვან უფლებებს წარმოადგენს.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში და კანონმდებლობაში საქორწინო კონტრაქტი აღიარებულია სიახლედ, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ. საქმე იმაშია, რომ საქორწინო კონტრაქტი, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, „კარგად დავიწყებული ძველია“.¹ საქორწინო კონტრაქტი არაერთ ასეულ წელს ითვლის. ის ერთ-ერთ უძველეს სამართლებრივ ინსტიტუტს მიეკუთვნება. მის ყველაზე ძველ მაგალითად კეთუბახსი (Ketubahs) არის მიჩნეული, რომელიც არსებობის ორი ათას წელზე მეტს ითვლის. ეს ჩვენამდე მოღწეული პირველი ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს დებულებებს მეუღლეების განქორწინების შემთხვევაში მათი ქონების გაყოფის პირობების შესახებ. ძველი ებრაელების იუდეურ-რაბინული სამართლის თანახმად, წერილობით შესრულებული (აქედან გამომდინარეობს ხელშეკრულების სახელწოდებაც – „კეთუბა“ წერილს ნიშნავს) საქორწინო ხელშეკრულება დაქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. კეთუბახსი ავალდებულებდა ქმარს ერჩინა და წესისამებრ გამოეკვება თავისი ცოლი, შეენახა მისი მზითვეი და ა.შ.²

¹ Максимович Л.Б. Брачный договор (контракт), М., 1989, с. 3; Чепранова Е.А. Имущественные отношения в российской семье, М., 1997, с. 52; Гонголо Е.М., Крашениников П.В. Брачный договор, 2002, с. 6,7. Игнатенко А., Скрыпников Н., Брачный договор, Законный режим имущества супругов, М., 1997, с. 38; Бондон С.Н. Брачный договор, М., 2001, с. 3.

² Максимович Л.Б. Брачный договор (контракт) М., 1989, с. 3. Zelig K.C. Putting Responsibility Back Into Marriage Making a Case for Mandatory Prenuptial // University Colorado¹ Law Review, 1993, vol. 64, p. 1228, Исер Гольдшмит, Когда вступаешь в брак (в свете иудаизма), Иерусалим, 1991 г., Жилинкова И.В., Брачный контракт (договор), Харьков, „Ксилон“, 2001, с. 6; Менахем Элон „Еврейское право“, Санкт-Петербург, 2002, с.291.

ქეთუბეხსში ოჯახური ურთიერთობების ის მნიშვნელოვანი პრინციპია ჩადებული, რომლის თანახმად, ქმარი, ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში ვალდებულია უზრუნველყოს ცოლი საკვებით, საცხოვრებელი ადგილით, ტანსაცმლით, სამედიცინო მომსახურებით, ქმარი ასევე ვალდებულია შეასრულოს თავისი ცოლქმრული მოვალეობები. მეუღლეებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში სწორედ ამ დოკუმენტს ემყარება ცოლის სარჩელი ქმრისაგან აღიძვრებისა და საცხოვრებელი ადგილის მიღების შესახებ.

კაცობრიობის სამართლებრივი ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საქორწინო ხელშეკრულების მნიშვნელობა იცვლებოდა; რიგ შემთხვევებში მას გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა ცოლქმრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისას, რიგ შემთხვევებში კი იგი კარგავდა თავის მნიშვნელობას და კანონის ერთგვაროვან ნორმებს უთმობდა ადგილს, ევროპაში საქორწინო ხელშეკრულებები, როგორც მინიმუმ, შუა საუკუნეებიდან არის ცნობილი. ქორწინება განიხილებოდა როგორც ეკონომიკური კავშირი და მას ერთვოდა შესაბამის ქონებრივ ხელშეკრულებათა გაფორმება.

თავდაპირველად საქორწინო ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იღებოდა, XVII საუკუნის დასაწყისიდან კი – წერილობით (რაც, პირველ რიგში ეხებოდა შემთხვევებს, როდესაც ქალს მიწის ნაკვეთი ეძლეოდა მზითვად). თანდათანობით საქორწინო ხელშეკრულების წერილობითი გაფორმება აუცილებელი გახდა.

საბჭოთა კავშირში საქორწინო ხელშეკრულებები არ იღებოდა, რადგან მსგავსი ხელშეკრულება ვერ თავსდებოდა იმხანად არსებულ საოჯახო ურთიერთობათა მკაცრი იმპერატიული რეგულირების ჩარჩოებში. თუმცა შეუძლებელი იყო მეუღლეების მხრიდან საკუთარი ქონებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების ინიციატივის სრული ჩახშობა. ი.ა. კოროლიოვმა მართებულად შენიშნა, რომ „თუმცა სსრკ-ს კანონმდებლობაში არ იყო გათვალისწინებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი, მისი ცალკეული ელემენტები უკვე მაშინ არსებობდა“.

საქართველოს საოჯახო სამართალში საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი წარმოიშვა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა საქორწინო ხელშეკრულების განსაზღვრებას.¹

მეუღლეთა შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულების (საქორწინო კონტრაქტის) სამართლებრივი ბუნების გარკვევამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩამოვყალიბოთ აღნიშნული ხელშეკრულების სუბიექტთა წრე და წარმოვაჩინოთ თუ რა სოციალური ფუნქსია და კატეგორიის ადამიანები მიმართავენ საქორწინო ხელშეკრულების დადებას.

რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის სიახლეს, მას ჯერ კიდევ არა აქვს მყარი ნიადაგი რეალურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, სოციოლოგიურ გამოკითხვათა შედეგებისა და მწირე სტატისტიკური მონაცემების გამო, ჩვენ ვერ წარვმართავთ მსჯელობას მისი პრაგმატულობის თაობაზე. თუმცა მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადებას მიმართავენ როგორც დასაქორწინებელი, ისე ქორწინებაში მყოფი პირებიც. რაც შეეხება მათ სოციალურ კუთვნილებას, ხშირ შემთხვევაში, ისინი არიან შეძლებული მესაკუთრენი, რომლებსაც სურვილი აქვთ, პირველ რიგში, შეინარჩუნონ ქონება. გარდა ამისა, მათ მიეკუთვნებიან მსხვილი მეწარმენი, რომელთაც საკუთარი ბიზნესი (საქმე) აქვთ, დაბოლოს, აღნიშნული კატეგორიის პირთა რიცხვს განეკუთვნებიან პირები, რომლებმაც უკვე „გემეს“ წინა ქორწინების შედეგად ქონებრივი კრახის „გემო“ და ცდილობენ შემდგომ ქორწინებებში თავი დაიცვან თუ მორალური არა, მატერიალური დანაკარგებისაგან მაინც. მსოფლიო პრაქტიკის განზოგადებიდან ირკვევა, რომ საქორწინო ხელშეკრულებათა ინტენსივობას ბევრად განაპირობებს მეუღლეთა განქორწინების განუხრელი ზრდა.

¹ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., 2000, გვ. 136. Жилинкова И.В. Брачный контракт (договор), Харьков, „Ксилю“, 2001, с. 6.

საგულისხმოა, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადებას ასევე მიმართავენ დასაქორწინებელი წყვილებიც, რომელთა შორის არის არსებითი ასაკობრივი სხვაობა, და ქმარს (ან მომავალ მეუღლეს) გააჩნია მტკიცე ეკონომიკური ბაზა ან წინა ქორწინების შედეგად ჰყავს შვილები, რომელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენს საქორწინო კონტრაქტი.

რამდენადაც საქორწინო კონტრაქტი არის სამოქალაქო გარიგება, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რომ მხარეებმა თავისუფლად (მხოლოდ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით) გამოავლინონ თავიანთი ნება. იგი არაორდინალური ხასიათისაა იმ თვალსაზრისით, რომ მეუღლეთა ნება ყველა შემთხვევაში, არ არის ერთნაირი და ბევრადაა დამოკიდებული მათზე, როგორც სხვადასხვა შეხედულებებისა და შეფასების უნარის მქონე პირებზე, რის გამოც საქორწინო ხელშეკრულებას არ შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი ხასიათი.

საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეუღლეებს ან დასაქორწინებელ პირებს ევალებათ მისი დადება. თუ ისინი არ ისარგებლებენ კანონით გათვალისწინებული ამ შესაძლებლობით, მაშინ მათი ქონებრივი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლებრივი ბუნებით, საქორწინო ხელშეკრულება, სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმ სპეციფიკური, მხოლოდ მოცემული ტიპის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნიშნების არარსებობას, რომელნიც საშუალებას იძლევა განვასხვაოთ ეს აქტი სხვა დანარჩენი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებებისაგან. საქორწინო ხელშეკრულების განსაკუთრებული ნიშნების არსებობა განპირობებულია მოცემული შეთანხმების განსაკუთრებული სუბიექტური შემადგენლობითა და ოჯახურ ურთიერთობათა სპეციფიკით;

საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდ-

ბა სანოტარო წესით. ამ წესიდან გადახვევა იწვევს ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისა. ამ მიზნით, ნოტარიუსი ვალდებულია დაადგინოს საქორწინო ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, აუხსნას მხარეებს საქორწინო ხელშეკრულებების აზრი და მნიშვნელობა, შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა მათი შინაარსი მხარეთა ნამდვილ განზრახვებს (ნებას) და ხომ არ ეწინააღმდეგება იგი (ანუ შინაარსი) კანონის მოთხოვნებს.

ამგვარად, საქორწინო ხელშეკრულების შედგენამდე, ხელმოწერამდე ან დამოწმებამდე, ნოტარიუსმა, გარიგების ბათილად ცნობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად უნდა გაარკვიოს, აცნობიერებს თუ არა პირი, რომელიც საქორწინო ხელშეკრულებას დებს, თავისი ქმედებების მნიშვნელობას, მართავს თუ არა იგი მათ, ხომ არ ცდება ხელშეკრულების გაფორმებისას, ხომ არ მოქმედებს მოტყუების, ძალდატანების ან მუქარის ზეგავლენით, ხელშეკრულების ერთი მხარის მეორესთან ბოროტგანზრახული მოლაპარაკების ან მძიმე გარემოებათა დამთხვევის შედეგად, ასევე ნოტარიუსი ვალდებულია გაარკვიოს, ხომ არა აქვს ადგილი რაიმე სხვა გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც სამოქალაქო კოდექსის 1179-1180-ე მუხლების თანახმად, გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს. გარდა ამისა, ნოტარიუსი ვალდებულია განუმარტოს საქორწინო ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს მათი უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, შესრულებული ნოტარიალური აქტის შედეგები.

მითითებული მოვალეობები ნოტარიუსს იმიტომ ეკისრება, რომ იმ პირთა იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა, რომელნიც მას მიმართავენ, არ იქნეს გამოყენებული მათ წინააღმდეგ (საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, 49-ე მუხლი). ყოველივე ეს უზრუნველყოფს სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის სტაბილ-

ურობასა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

ხელშეკრულება დამოწმებულ უნდა იქნეს მასში მონაწილე მხარეთა ხელმოწერებით. თუ მოქალაქეს საპატიო მიზეზით (ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან წერა-კითხვის უცოდინარობის გამო) თავად არ შეუძლია ხელის მოწერა, მისი თხოვნით ხელშეკრულებას შეიძლება სხვა პირმა მოაწეროს ხელი. ამასთანავე, ამ უკანასკნელის ხელმოწერა დამოწმებულ უნდა იქნეს ნოტარიუსის ან ასეთი ნოტარიალური მოქმედების განხორციელების უფლებების მქონე სხვა რომელიმე თანამდებობის პირის მიერ. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 70-ე).

ნოტარიუსი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. სასამართლოსგან განსხვავებით, რომელიც საქმეებს საჯაროდ განიხილავს და წყვეტს, ნოტარიუსებმა საიდუმლოდ უნდა შეინახონ გარიგებათა პირობები, რადგან ანდერძების, ქონების მართვის მინდობილობების, მემკვიდრეობაზე უარის, საქორწინო ხელშეკრულების, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სხვათა შინაარსთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება სერიოზული სამართლებრივი კონფლიქტები გამოიწვიოს. ნოტარიალურ მოქმედებათა საიდუმლოდ შენახვის მოთხოვნა ნიშნავს, რომ ეს მოქმედებები უნდა შესრულდეს მხოლოდ უშუალოდ დაინტერესებულ პირთა და, საჭიროების შემთხვევაში, იმ პირთა თანდასწრებით, ვინც დაინტერესებულ პირებს ეხმარება. აქ იგულისხმება წარმომადგენლები, თარჯიმნები, მოქალაქეები, რომლებიც ავადმყოფების ან წერა-კითხვის უცოდინართა და ა.შ. მაგივრად აწერენ ხელს. არც ერთი უცხო პირი არ უნდა ადევნებდეს თვალყურს ნოტარიალური მოქმედების განხორციელების მსვლელობას და ნოტარიუსმა უნდა უზრუნველყოს ამ პირობის შესრულება იმისგან დამოუკიდებლად, თუ სად

ხორციელდება ნოტარიალური ქმედება: ნოტარიუსის სამუშაო ადგილზე თუ მის გარეთ. საიდუმლოს შენახვის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ ნოტარიალური მოქმედების შინაარსზე, არამედ მისი განხორციელების შესახებ თხოვნით მიმართვის ფაქტზეც.

დაქორწინებისას მომავალი მეუღლეები ძირითადად ფიქრობენ, რომ „დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებენ და ერთ დღეს ერთად მოკვდებიან“. ამიტომ მოთხოვნა იმისა, რომ დადებულ იქნეს საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, თუ როგორ გაიყოფა ქონება განქორწინების შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, არაეთიკურია. უფრო მეტიც, საქორწინო ხელშეკრულებამ იმ სახით, რომლითაც მას სამოქალაქო კოდექსი გვთავაზობს, ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. შეხედულებები საქორწინო ხელშეკრულების თაობაზე მკვეთრად გაიყო; უნდა ითქვას, რომ საქორწინო გარიგებათა მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას საფუძვლად დაედო ის, რომ „არ ღირს საქორწინო კავშირისთვის ჩრდილის მიყენება ერთმანეთის მიმართ უნდობლობის გამოვლენით“; ასევე ის, რომ „საკითხი განქორწინებისა და ქონების გაყოფის შესახებ არასოდეს წამოიჭრება მოყვარულ მეუღლეთა შორის“ და „თუკი განქორწინების საკითხი გარდუვალია, მეუღლეები ურთიერთშეთანხმებულად მოაგვარებენ ყველაფერს“ და ა.შ.

საქორწინო ხელშეკრულების საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, მოწმობს, რომ რიგი ობიექტური მიზეზების გამო ეს ხელშეკრულება არ არის გათვლილი მასობრივ მომხმარებელზე და ამიტომ არ ან ვერ იქნება არჩეული ოჯახური წყვილების მიერ მათი ქონებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად. ამ გარიგებას მიმართავენ შეძლებული მოქალაქეები, რომელნიც შემკვიდრებით მიღებული საოჯახო ქონების შენარჩუნებას ცდილობენ.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსგავსი ხელშეკრულება ახალდაქორწინებულთა სამი-ხუთი პროცენტის მიერ იდება. სწორედ ამ ფარგლებში ხდება საქორწინო ხელშეკრულებაზე საზოგადოების

პრაქტიკული მოთხოვნების რეალიზება. აქედან გამომდინარეობს პასიური მიდგომა, რომელსაც დღესდღეობით იჩენენ მოქალაქეები საქორწინო ხელშეკრულების მიმართ. მიზეზი არის ერთი მხრივ ის, რომ მოსახლეობას არ სურს ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნა, მეორე მხრივ კი – სამართლებრივი უცოდინარობა, რადგან მოსახლეობის უმეტესობამ არაფერი იცის საოჯახო-საქორწინო ურთიერთობათა მარეგულირებელი ხელშეკრულების მსგავსი ნორმის თაობაზე.

ვიმედოვნებთ, რომ საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დღესდღეობით სიახლეს წარმოადგენს, მომავალში უფრო ფართო გამოყენებას პოუვებს და შეუფასებელ სამსახურს გაუწევს მეუღლეებს მათი ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.

საქორწინო ხელშეკრულებამ არც ერთი მეუღლე არ უნდა ჩააყენოს არახელსაყრელ მდგომარეობაში. თითოეულ მეუღლეს განვითარებული უნდა ჰქონდეს შინაგანი თავდაჯერება, რომელიც შეაკავებს მას დადებული ხელშეკრულებიდან საკუთარი თავისთვის სარგებელის მიღებისაგან მეორე მეუღლის უფლებებისა და ინტერესების შელახვის ხარჯზე. ხელშეკრულება გულისხმობს მხარეთა მიერ პარიტეტულობის დაცვასა და ერთმანეთის უფლებების მიმართ პატივისცემას. თუკი საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებისას ერთ-ერთ მეუღლეს ამოძრავებს არა იმდენად საკუთარი ქონების დაცვის სურვილი, რამდენადაც სურვილი, ხელში ჩაიგდოს მეორე მეუღლის ქონება, ეს ეწინააღმდეგება საქორწინო ხელშეკრულების მიზანს – გახდეს ქონებრივი ურთიერთობების ცივილიზებული რეგულირების საშუალება ქორწინებაში ან განქორწინებისას. საქორწინო ხელშეკრულებაში, ხაფანგის მსგავსად, ეშმაკობით შეიძლება ადამიანის ჩათრევა: მეორე მეუღლის მიაშიტობის, არაინფორმირებულობის, მისი სიყვარულისა და ნდობის ბოროტად გამოყენების გზით.

საქორწინო კონტრაქტი იძლევა მეუღლეთა თანაბარი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის საშუალებას, რითაც განმტკიცდება ქორწინებაში მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები. ყოველივე ეს მეუღლეთა სულიერ ინტერესებსა და მის-

წრათვებებთან კავშირში იჩენს თავს და, როგორც წესი, ვინაიდან თითოეულ ადამიანს სულიერებისა და ზნეობის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები აქვს ოჯახში მიღებული აღზრდის განსხვავებული ხასიათიდან, მატერიალური მდგომარეობიდან და ა.შ. გამომდინარე, ამიტომ ხშირად შეუძლებელია სიყვარულის, ერთიმეორის მიმართ ნდობის შეხედულებებისა და ურთიერთგაგების საკითხებში მეუღლეთა ურთიერთობების რეგულირება. გარდა ამისა, დაქორწინებისას, ახალგაზრდები ბოლომდე ვერ აცნობიერებენ, რომ თითოეული მათგანის მიერ თავის ოჯახში შეთვისებული ცხოვრებისეული პრინციპები ყოველთვის ვერ იქნება თანაზომიერი, ვერ დაემთხვევა ერთმანეთს და თუ პირადი ურთიერთობები დაქორწინებამდე არ მოგვარდება, თანაცხოვრების პროცესში, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული შეხედულებების შეჯახებისას, შეიძლება ისეთი სერიოზული კონფლიქტები წარმოიშვას, რომელიც, საბოლოო ჯამში, განქორწინებას გამოიწვევს, რითაც დაზარალდებიან თვით მეუღლეები, უფრო მეტად კი, მათი შვილები.

საქორწინო კონტრაქტის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა ხალხისა და ეროვნების წარმომადგენელ მეუღლეებს. ამგვარ ქორწინებაში დამატებით სირთულედ შეიძლება იქცეს ეროვნული ტრადიციების თავისებურებებიც, ასე რომ, ოჯახში ყოველდღიური ქცევის რეგულირების აუცილებლობა (ეს განსაკუთრებით ქალებს ეხება) გაამართლებს საკუთარ თავს. საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების წინასწარი გაცნობიერება სჯობს შემდგომ გაუგებრობებსა და უხერხულობას.

საქორწინო ხელშეკრულების არსი მდგომარეობს მეუღლეების ან ახლად დაქორწინებულ პირთათვის სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით დადგენილი თანასაკუთრების რეჟიმიდან, როგორც მეუღლეთა საკუთრების კანონიერი რეჟიმიდან გადახვევის ფართო შესაძლებლობების მინიჭებაში.

საქორწინო ხელშეკრულება მოიცავს მეუღლეთა შორის სამი საკუთრების სახეს – თანაზიარს, ინდივიდუალურსა და წილო-

ბრივს. ხელშეკრულების დადებით შესაძლებელია ბუნება შეიცვალოს როგორც მეუღლეთა ინდივიდუალურმა, ისე საერთო საკუთრებამ. მათი შეხედულებით, ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება განისაზღვროს, როგორც საერთო საკუთრება და, პირიქით. აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შექმნილ ქონებაზე. ამ დებულებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი არარსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შემდეგ, მეუღლეთა მიერ შექმნილ ქონებაზე ავტომატურად გავრცელდებოდა მეუღლეთა ქონების არა სახელშეკრულებო, არამედ კანონიერი რეჟიმი. ფაქტობრივად არსებული და მომავალში შექმნილი მეუღლეთა ქონების მიმართ სახელშეკრულებო რეჟიმის გამოყენების წესი და საფუძვლები ერთი და იგივეა. იგი შეიძლება ეხებოდეს როგორც მომავალში მეუღლეთა მიერ შექმნილ მთელ ქონებას, ისე მის ცალკეულ სახეებს.

მეუღლეები უფლებამოსილნი არიან, საკუთარი შეხედულებებისამებრ, დაადგინონ რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევებისა და მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად, მიმდინარე შემოსავლები მომავალში იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება კი – განცალკევებული და ა.შ.

ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ წილობრივი ხასიათი ქორწინების პერიოდში შექმნილ ქონებაზე, მათ შორის, საცხოვრებელ ფართობზე. მაგალითად, ხელშეკრულებაში მიუთითონ, რომ ქორწინების პერიოდში შექმნილ ქონებაზე ერთი მეუღლის ქონება შეადგენდეს $1/4$ -ს, ხოლო მეორის – $3/4$. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოეული მათგანის მიერ შექმნილი ქონება შეადგენდეს მის ინდივიდუალურ საკუთრებას.

მეუღლეთა შორის საქორწინო კონტრაქტით ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ტენორის – ლუჩანო პავაროტისა და მისი ყო-

ფილი მეუღლის საქორწინო ხელშეკრულება (მათ ერთად იცხოვრეს 36 წლის მანძილზე), რომლის თანახმადაც თითოეულ მათგანს ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა თითოეულის მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონება.

არ არის გამორიცხული, რომ საქორწინო კონტრაქტმა გაითვალისწინოს დასახელებული საკუთრების სახეების გამოყენება სხვადასხვა შეფარდებით. მაგალითად, მეუღლეები შესაძლებელია შეთანხმდნენ ამა თუ იმ ქონების ინდივიდუალური საკუთრების ხასიათზე, ხოლო ამავე ქორწინებაში შექმნილ სხვა ნივთებზე (საგნებზე) წილობრივ საკუთრებაზე ან პირიქით, ზოგიერთი საგნის მიმართ თანასაკუთრების უფლებაზე.

ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა უფლებები და მოვალეობები ურთიერთრჩენის შესახებ, რაც, როგორც წესი, უფრო ფართოა, ვიდრე საალიმენტო ვალდებულება. საქორწინო ხელშეკრულებაში ურთიერთრჩენის შესახებ უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას, მეუღლეები უფლებამოსილნი არიან დაადგინონ პირობები, რომლებიც ავსებენ და არავითარ შემთხვევაში არ აუქმებენ მეუღლეთა (ყოფილ მეუღლეთა) მიერ ერთმანეთის მიმართ მატერიალური დახმარების გაწევის საფუძვლებს.

ამასთან, ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა შემოსავლებში მონაწილეობის შესაძლებლობებსაც. მაგალითად, ქმარი ხელშეკრულებით იღებდეს ვალდებულებას სამეწარმეო საქმიანობიდან გადასცეს ცოლს ნახევარი, ხოლო ცოლი კი იღებდეს ვალდებულებას მის მიერ მიღებული დივიდენდების ქმრისთვის გადაცემის შესახებ.

მეუღლეთა მიერ შემოსავლებში მონაწილეობა აუცილებლად უნდა იყოს ურთიერთთანაზიარი სახით, მაგრამ არა აუცილებლად ეკვივალენტური.

ხელშეკრულების შინაარსში შეიძლება აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს ოჯახის მიერ გაწეულ ხარჯებში მეუღლეთა მონაწილეობის წესი და პირობებიც.

ხელშეკრულებაში მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ ის ქონებაც, რაც თითოეულ მათგანს გადაეცემა განქორწინების შემთხვევაში, ამ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის არსებობის მიუხედავად. ამ შემთხვევაში იგულისხმება ქორწინების შეწყვეტა განქორწინებით და არა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით, როდესაც მოქმედებს სამოქალაქო კანონმდებლობის სპეციალური ნორმები მემკვიდრეობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება შელახულ იქნეს სხვა პირთა – მემკვიდრეთა (კანონით ან ანდერძით) ინტერესები. ამიტომ გარდაცვლილი პირის მეუღლის ქონებრივი უფლებები საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნებს მემკვიდრეობის საფუძვლებისა და წესის შესახებ.

საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა, მიმართული მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმის შესაცვლელად დადგენილ კანონთან შედარებით. ხელშეკრულების ამ ტიპის სპეციფიკურ თვისებებს განეკუთვნება მისი სუბიექტური შემადგენლობა, რადგანაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია როგორც ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციამდე, ასევე ნებისმიერ დროს რეგისტრაციის შემდეგ, საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც მეუღლეები, ასევე ის პირები, რომელთაც განზრახული აქვთ დაქორწინება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან შედის კანონიერ ძალაში.

ამგვარად, საქორწინო ხელშეკრულების დადება შეუძლიათ:

1. მეუღლეებს, ანუ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს. ქორწინების რეგისტრაცია ხდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში და გაფორმებულად ითვლება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან (სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლი).

თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკითხი ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში

მყოფ პირთა მიერ საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობებში მოიაზრება მყარი ოჯახური თანაცხოვრება ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე. ლ.რ. ნასიროვას აზრით, მეუღლეებს, რომელნიც ხანგრძლივად იმყოფებიან ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობებში, შეიძლება მიეკუთვნოს ალიმენტის ან კანონიერი მემკვიდრეობის მიღების უფლება, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ფაქტობრივი მეუღლეებისათვის საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების უფლების მინიჭება, მათ შორის საერთო ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელების პირობით.

რადგან კანონი ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობებში მყოფ პირებს მეუღლეებად არ ცნობს, მათ მიერ დადებულ საქორწინო ხელშეკრულებაზე ვრცელდება საერთო წესი, რომლის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ. თუკი ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფი პირები თავიდანვე არ აპირებენ თავისი ურთიერთობების ოფიციალურად გაფორმებას, მათ მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადგენაც კარგავს აზრს, რადგან ის არასოდეს შევა ძალაში.¹

2) საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც მომავალში შეუძლიათ გახდნენ მეუღლეები.

საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეობაა, მაგრამ სუბიექტების იმ წრის შედარებისას, რომელნიც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებს დებენ, სუბიექტთა იმ წრესთან, რომელთაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების უფლება აქვთ, მნიშვნელოვანი განსხვავება იჩენს თავს. საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება შეუძლიათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომელთაც მიაღწიეს საქორწინო ასაკს, ანუ 18 წელს. გამონაკლის შემთხვევებში

¹ Насырова Л.Р. Брачный контракт в книге „Договор в гражданском праве. Проблемы теории и практики“. Алматы, 2000, с. 136.

დაქორწინება თექვსმეტი წლის ასაკიდან დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.

თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვის გაცემა სასამართლოს შეუძლია.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, საქორწინო ხელშეკრულების დადება მხოლოდ იმ პირებს შეუძლიათ, ვინც განცხადება შეიტანა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.

ასეთი თვალსაზრისი მცდარია.

პირველ რიგში, სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლში არ არის ნახსენები, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადებაზე საჭიროა ქორწინების რეგისტრაციის შესახებ განცხადების შეტანა.

გარდა ამისა, საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება ქორწინების რეგისტრაციამდე არ წარმოშობს რაიმე შედეგებს. მხოლოდ ისეთ იურიდიულ ფაქტთან ერთობლიობაში, როგორცაა ქორწინების რეგისტრაცია, წარმოშობს საქორწინო ხელშეკრულება მის მიერ გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს (სამართლებრივ შედეგებს იურიდიული შემადგენლობა წარმოშობს). საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან მასში მონაწილე მხარეების დაქორწინებამდე შეიძლება ნებისმიერი დრო გაკიდეს. ამ პერიოდის ხანგრძლივობას არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა.

მსგავს შეხედულებებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, კანონიერი პოზიციის მომხრეებს შორს მიმავალი დასკვნები რომ არ გაეკუთებინათ. ასე მაგალითად, ნ.ე. სოსიპატროვა მიიჩნევს, რომ იმ პირთა მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელთაც შესაბამის ორგანოში არა აქვთ შეტანილი განცხადება ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე, „არარა გარიგებას წარმოადგენს (სუბიექტური

შემადგენლობის ნაკლით), რომელიც არ და ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, თუ მომავალში ქორწინება არ დარეგისტრირდება“. იმ შემთხვევაში, თუ პირებმა, რომელთაც ხელშეკრულება დადეს, უარი განაცხადეს ქორწინების რეგისტრაციაზე, გვთავაზობენ ხელშეკრულების შეწყვეტილად მიჩნევას.¹

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსგავსი მტკიცებები არ ეფუძნება კანონს და ეწინააღმდეგება მას. გარდა ამისა, გაოცებას იწვევს გარიგების „არარად“ კვალიფიცირება გარკვეული პირობით – „თუ ქორწინება არ დარეგისტრირდება“. კანონით დადგენილი საფუძვლების არარსებობისას, გარიგება ძალადაკარგულია იმისგან დამოუკიდებლად, აღიარებს თუ არა მას ძალადაკარგულად სასამართლო; ძალადაკარგული არარა გარიგება არ იწვევს არაერთარ სამართლებრივ შედეგს; ძალადაკარგული გარიგება ბათილია მისი გაფორმების მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი).

უფრო მეტიც, საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება ქორწინების რეგისტრაციამდე ვერ და არ იქნება ქორწინების უსწრაფესი რეგისტრაციის სტიმულატორი. საქორწინო ხელშეკრულების დადება ქორწინების რეგისტრაციამდე არ ავალდებულებს მხარეებს ქორწინების რეგისტრირებას განსაზღვრულ ვადაში, ასევე არ ავალდებულებს ამას საერთოდ.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქორწინო ხელშეკრულება იდება ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ – ქორწინების ნებისმიერ პერიოდში – იგი ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) მომენტიდან.

საქორწინო ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაციის აუცილებელ პირობას და ხელშეკრულების დადების ან მის დადებაზე უარის განცხადების საკითხს მეუღლეები ან მომავალი მეუღლეები თავისუფლად და დამოუკიდებლად

¹ Сосипатрова Н.Е. Брачный договор: правовая природа, содержание, прекращение // Государство и право, 1999, N 3, с. 76.

წყვეტენ, რადგან ეს მათი უფლებაა და არა მოვალეობა.

იურიდიულ მეცნიერებაში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება პირობით გარიგებას წარმოადგენს.¹ პირობითად ითვლება გარიგება, თუ მხარეებმა უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებული გახადეს იმ გარემოებაზე, რომლის შესახებ უცნობია დადგება იგი თუ არა (სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი).

რადგან დაქორწინება დამოკიდებულია იმ პირობის ნებაზე, ვინც უკვე გააფორმა საქორწინო ხელშეკრულება, ამდენად, იგი (ანუ დაქორწინება) ვერ ჩაითვლება „გარემოებად, რომლის შესახებაც უცნობია დადგება იგი თუ არა“. აქედან გამომდინარე, განხილულ სიტუაციაში საქორწინო გარიგების კვალიფიცირება პირობით გარიგებად, არ არის მართებული.

ვინაიდან საქორწინო ხელშეკრულება განეკუთვნება პირადი ხასიათის ხელშეკრულებათა რიცხვს, იგი არ შეიძლება დაიდოს მეუღლის კანონიერი წარმომადგენლის ან რწმუნებულის მიერ.

თუ საქორწინო ხელშეკრულება იძლევა შესაძლებლობას, მეუღლეებმა (ან დასაქორწინებელმა პირებმა) თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, ამავე ხელშეკრულებით ყოვლად დაუშვებელია შეიცვალოს პირადი ქონებრივი ურთიერთობების ხასიათი, კერძოდ, შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთჩინის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი, დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლება და სხვა. თუმცა საქორწინო ხელშეკრულების დადებისას მეუღლეებს უფლება აქვთ განსაზღვრონ საოჯახო ხარჯების განაწილებისას მათი უფლება-მოვალეობები. აღნიშნული წესები ეხება როგორც ყოველდღიურ, ისე სხვა ხარჯებსაც; მაგალითად, ოჯახის წევრის სწავლისათვის, ერთ-ერთი მეუღლის ან

¹ ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. თბ., 1997, გვ. 403. Антокольская М.В., Семейное право, М., 1996, с. 167.

მათი საერთო ქონების შენახვისა და გაუმჯობესებისათვის და ა.შ.

საქორწინო ხელშეკრულების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით პირველ ხანებში უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს ისეთი ქვეყნების სასამართლოებმა, სადაც მან განსაკუთრებით პოვა გავრცელება (ინგლისი, ამერიკა და ა.შ.). უარყოფითი იყო მოსამართლეთა პირველი რეაქცია, რომლებიც თვლიდნენ, რომ ამგვარი შეთანხმებები პროვოცირებას უკეთებდნენ მხოლოდ განქორწინებას და დასაქორწინებელ პირებს ჯერ კიდევ დაქორწინებამდე უბიძგებდნენ განქორწინებისაკენ. თუმცა, დროთა განმავლობაში, საკითხებისადმი ამგვარმა მიდგომამაც ტრანსფორმაცია განიცადა და აღმოჩნდა, რომ საქორწინო ხელშეკრულება სრულიად ხელსაყრელი და საკმარისი პირობაა მეუღლეთა შორის წარმოშობილი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად. ეს განსაკუთრებით ამსუბუქებს მათ დამოკიდებულებას განქორწინებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი და მომაბეზრებელი სასამართლო პროცესების მიმართ.

ზოგჯერ დასაქორწინებელი პირები (ან უკვე მეუღლეები) ცდილობენ შეთანხმებები გაავრცელონ პირადი ურთიერთობების სფეროზეც. მაგალითად, არცთუ იშვიათად მხარეები წინასწარ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა ააგონ პირადი ურთიერთობები მომავალში, უყვარდეთ ერთმანეთი, იყვნენ მეუღლის ერთგულნი, არ დაუშვან ლალატი, რამდენი შვილი უნდა იყოლიონ და სხვა. უფრო მეტიც, თანხმდებიან, თუ ვინ უნდა დარეცხოს ჭურჭელი, დაალაგოს ბინა და, საერთოდ, როგორ წარმართონ საოჯახო საქმიანობა.

მართალია, პირად ურთიერთობათა სფეროში არსებულ საკითხთა წრე იმდენად ფართოა, რომ ადამიანებს აქვთ საშუალება თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ ისინი, მაგრამ, ამავე დროს, ეს ის საკითხებია, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით მოკლებულია სასარჩელო დაცვას. აქედან გამომდინარე, სასამართლო უძღურია ასეთ შემთხვევებში შეიჭრას ადამიანის პირად და ზოგჯერ ინტიმურ სფეროშიც კი. ლოგიკურია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი და თვით კანონის მოთხოვნაც, რომ საქორწინო ხელ-

შეკრულებით დაუშვებელია მეუღლეთა (ან დასაქორწინებელ პირთა) შორის პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობათა მოწესრიგება, ძალაში რჩება. მით უმეტეს, რომ მათი შეუსრულებლობა არ იწვევს რაიმე „სანქციის“ გამოყენების შესაძლებლობას.

საქორწინო ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით. მეუღლეები უფლებამოსილი არიან გაითვალისწინონ, რომ, მაგალითად, სამი წლის განმავლობაში მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო ამ ვადის ამოწურვისთანავე ის გახდება საერთო. ასეთ შეთანხმებას მიზანშეწონილი ხასიათი აქვს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეუღლეები არ არიან დარწმუნებული ქორწინების სტაბილურ ხასიათში.

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეთა უფლება-მოვალეობები შესაძლებელია დაუკავშირდეს გარკვეული პირობების დადგომას. მაგალითად, ხელშეკრულებით გაითვალისწინონ, რომ ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო დაბადების შემდგომ, საერთო ან პირიქით და ა. შ.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია თვით კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. უფრო მეტიც, სასამართლოს დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე და პატივსაღები მიზეზების არსებობისას შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მათგანს.

არის შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული მხარე განცხადებით მიმართავს სასამართლოს საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეცვლის თაობაზე. ასეთებს განეკუთვნება: პირობები, რომელთა გათვალისწინებაც ვერ შეძლეს მეუღლეებმა (ან დასაქორწინებელმა პირებმა) საქორწინო ხელშეკრულების დადებისას; იმ გარემოებათა შეცვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი დადების პერიოდისათვის.

რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულება ატარებს ხანგრძლივი მოქმედების ხასიათს, ბუნებრივია, რომ ამ ხნის განმავლობაში არ არის გამორიცხული შეიცვალოს ის პირობები, რომლებიც არსებით ზეგავლენას მოახდენს მათ მიერ ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებულ შეთანხმებებზე. მაგალითად, ერთ-ერთმა მეუღლემ (ან დასაქორწინებელმა პირმა) დაკარგა შრომის უნარი ან სამუშაო; უფრო მეტიც, შესაძლებელია იმდენად შემცირდეს მეუღლეთა შემოსავალი, რომ კონტრაქტით გათვალისწინებულმა პირობებმა უარყოფითი ზეგავლენაც კი მოახდინოს ერთ-ერთ მათგანზე და ა.შ.

მეუღლეები ვალდებული არიან შეატყობინონ თავის კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლისა და შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალე-მეუღლე შემდგომში (კრედიტორთან ქონებრივი დავის დროს) ვეღარ დაეყრდნობა საქორწინო კონტრაქტის არსებობას, რომლის პირობებიც ხელს უშლის მას ნაკისრი მოვალეობების შესრულებაში. ამდენად, მოვალე-მეუღლის ქონებაზე მოხდება მიქცევა კრედიტორის მოთხოვნით, საქორწინო კონტრაქტის პირობების მიუხედავად, რომელთა მიხედვითაც შეიცვალა მოვალის მატერიალური მდგომარეობა (მოვალე-მეუღლის ქონება გადავიდა მეორე მეუღლის საკუთრებაში ან გადაიქცა მეუღლეთა თანასაკუთრებად ან შემცირდა მოვალის წილი მეუღლეთა საერთო საკუთრებაში). ამასთან, საქორწინო კონტრაქტი მაინც ნამდვილად ითვლება.

მეუღლის ვალდებულება, შეატყობინოს თავის კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს დროულად მიიღოს ინფორმაცია მოვალის მატერიალური მდგომარეობის შესახებ და, შესაბამისად, თუ იგი გაუარესდა, მიიღოს აუცილებელი ზომები თავისი ინტერესების დასაცავად. ამგვარი ინფორმაციის შემდეგ, კრედიტორი ვალდებულია მოსთხოვოს მეუღლეებს არ მოახდინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მოითხოვს ვალდებულ მეუღლესა და მის (კრედიტორს) შორის

არსებული ხელშეკრულების მოშლას და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კანონით განსაზღვრული წესითა და პირობებით. საოჯახო კანონმდებლობა არ ავალდებულებს მოვალე-მეუღლეს გააცნოს საქორწინო კონტრაქტის შინაარსი თავის კრედიტორს, მაგრამ აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოვალე-მეუღლემ უნდა გააცნოს კრედიტორს კონტრაქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლას.

კრედიტორს, რომელსაც მოვალე-მეუღლემ არ აცნობა საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, კანონი ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს მათ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან შეწყვეტა, არსებული გარემოებების არსებითი ცვლილებების გამო. გარემოების არსებით შეცვლად ითვლება საქორწინო კონტრაქტის დადება, შეცვლა ან შეწყვეტა მეუღლეთა შორის, რის შედეგადაც არსებითად გაუარესდა მოვალე-მეუღლის მატერიალური მდგომარეობა, რისი წინასწარ გათვალისწინებაც კრედიტორს არ შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალესა და კრედიტორს შორის გარიგება საერთოდ არ დაიდებოდა ან დაიდებოდა სხვა პირობებით.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან გარიგების პირობების შეცვლის ან მისი მთლიანად შეწყვეტის თაობაზე, გარიგება შეიძლება მოიშალოს (ზოგადი წესით) ან შეიცვალოს (გამონაკლისი ზოგადი წესიდან) სასამართლოს მიერ კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე. ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მოვალის მატერიალური მდგომარეობის არსებითი გაუარესების საფუძველზე, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც გარიგების შეწყვეტა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს ან ერთერთ მხარეს მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს.

გარიგების მოშლისას მხარეთა ვალდებულებები წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

თუ გარიგების შეცვლა ან შეწყვეტა განხორციელდა კრედიტორსა და მოვალე-მეუღლეს შორის შეთანხმებით, მაშინ მხარეთა

მოვალეობები ითვლება შეცვლილად ან შეწყვეტილად მხარეთა შორის შეთანხმების მომენტიდან, თუ შეცვლილი გარიგების შინაარსიდან ან შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების არა მხოლოდ პირობების შეცვლის შესაძლებლობას, არამედ მასზე ავრცელებს გარიგებასთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების სახით.

საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისთანავე. თუმცა, შესაძლებელია, რომ იგი შეწყდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით განქორწინებამდე ნებისმიერ დროს.

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტას მეუღლეთა ცალმხრივი სურვილის შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს. ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით საქორწინო ხელშეკრულებასთან მიმართებაში გამოიყენება ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები. აქედან გამომდინარე, სასამართლო წესით საქორწინო ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეუღლეთა შორის დავის მოწესრიგების წინა სასამართლო პროცედურის დაცვა. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ მოთხოვნით სასამართლოში მიმართვას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მეორე მეუღლის მიერ ასეთ წინადადებაზე უარის თქმის შემდეგ, საქორწინო ხელშეკრულებაში ან წინადადებაში მითითებულ ვადაში მისგან პასუხის მიუღებლობისას.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ცნობილ იქნეს არარა გარიგებად, თუ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება კანონს, საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობისა და მართლწესრიგის ნორმებს.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკითხებისა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ საქორწინო ხელშეკრულება არის საუკეთესო და ხელსაყრელი შესაძლებლობა მეუღლეთა შორის ქონებრივი ხასიათის ურთიერთობების მოწესრიგებისა და დაცვისათვის. ვფიქრობთ, მისი

პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს მეუღლეებს ნებაყოფლობითა და შეხედულებათა გათვალისწინებით მოახდინონ საოჯახო ურთიერთობების დროს წარმოშობილი პრობლემების (ქონებრივი ხასიათის) მოწესრიგება და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მმართველთა სასამართლოს.

საქორწინო კონტრაქტი შეიძლება სასამართლოს მიერ აღიარებული იქნეს ბათილად მთლიანად ან ნაწილობრივ, ბათილი გარიგებებისათვის დადგენილი წესების საფუძველზე.

საქორწინო კონტრაქტი ორმხრივი გარიგების სახესხვაობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეუღლეთა ქონებრივი უფლებამოვალეობანი, რომელიც გათვალისწინებულია საქორწინო კონტრაქტით, წარმოიშობა გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილი წესების დაცვის საფუძველზე. სამოქალაქო კანონმდებლობით, გარიგება ნამდვილად ითვლება შემდეგი წესების დაცვის შემთხვევაში: ა) გარიგების პირობების კანონთან შესაბამისობა (კანონიერება); ბ) გარიგების მხარეთა ქმედუნარიანობა; გ) გარიგების მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენა; დ) კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა. აღნიშნული წესები გამოიყენება საქორწინო კონტრაქტის დადების დროს. რომელიმე წესის დაუცველობა იწვევს კონტრაქტის ბათილობას, რაც ნიშნავს იმას, რომ საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებული მეუღლეთა უფლებები და ვალდებულებები საერთოდ არ წარმოიშობა.

საქორწინო კონტრაქტის ბათილად აღიარების მოთხოვნა შეიძლება არსებობდეს შემდეგ შემთხვევებში:

1) საქორწინო კონტრაქტის დადება პირთან, რომელიც იმ მომენტში ვერ აცნობიერებდა თავისი ქმედების მნიშვნელობას, თუმცა ქმედუნარიანად ითვლება. ასეთი კონტრაქტი შეიძლება აღიარებულ იქნეს ბათილად იმ მეუღლის სარჩელის საფუძველზე, რომლის უფლებები და კანონიერი ინტერესები იქნა დარღვეული მის მიერ საქორწინო კონტრაქტის დადებისას (სიმთვრალე, ავადმყოფური მდგომარეობა). თუ საქორწინო კონტრაქტის დადების შემდეგ ერთ-ერთი მეუღლე

აღიარებულ იქნება ქმედუუნაროდ, მაშინ ასეთი პირის მეურვე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს სარჩელით საქორწინო კონტრაქტის ბათილად აღიარების შესახებ. მეურვის სარჩელი დაკმაყოფილდება, თუ დამტკიცდება, რომ საქორწინო კონტრაქტის დადების მომენტში მოქალაქე ვერ აცნობიერებდა თავის ქმედების ხასიათს.

2) საქორწინო კონტრაქტის დადება შეცდომაში შეყვანით, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ უკანასკნელში იგულისხმება შეცდომა გარიგების შინაარსში. შეცდომას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც კონტრაქტის მხარეს, თავისი ნების წინააღმდეგ და მეორე მეუღლის სურვილით, ექმნება ცრუ წარმოდგენა ამა თუ იმ გარემოების შესახებ, რასაც მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნულის გაუღენის ქვეშ დებს საქორწინო კონტრაქტს. შეცდომას გარიგების მოტივთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მხარე, რომელმაც შეცდომაში შეყვანის გზით დადო საქორწინო კონტრაქტი, უფლებამოსილია მოითხოვოს მისი აღიარება ბათილად.

3) საქორწინო კონტრაქტის დადება მოტყუებით, იძულებით, მუქარით და სხვ. (ასევე კაბალური გარიგება). საქორწინო კონტრაქტი შეიძლება აღიარებულ იქნეს ბათილად სასამართლოს მიერ დაზარალებული მხარის (მეუღლის) სარჩელის საფუძველზე იმ მიზეზით, რომ საქორწინო კონტრაქტის დადების დროს მას არ ჰქონდა შესაძლებლობა თავისუფლად გამოეხატა თავისი ნამდვილი ნება და ემოქმედა თავისი ინტერესების შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მუქარა, მოტყუება და იძულება შეიძლება მომდინარეობდეს არა მხოლოდ კონტრაქტის მეორე მხარისაგან, არამედ მესამე პირთაგანაც, რომელთა ინტერესებში შედის ასეთი საქორწინო კონტრაქტის დადება. მოტყუება შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ძალალობაში იგულისხმება მხარისათვის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის მიყენება გარიგების დადების მიზნით. მუქარა მდგომარეობს მართლსაწინააღმდეგო ფსიქიკურ ზემოქმედებაში პირის ნებაზე, რასაც თან ახლავს განცხადება პირისათვის ან მისი ახლობლებისათვის

ფიზიკური და მორალური ზიანის მიყენების შესახებ. იმისათვის, რომ საქორწინო კონტრაქტი ბათილად იქნეს აღიარებული, მუქარა უნდა იყოს რეალური. რაც შეეხება კონტრაქტის მიჩნევას კაბალურ ხელშეკრულებად, საჭიროა ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის არსებობა: ა) დაზარალებული მხარე იძულებულია დადოს კონტრაქტი მძიმე გარემოებათა დამთხვევის შედეგად; ბ) კონტრაქტი დაიდო მხარისათვის უკიდურესად არახელსაყრელ გარემოებათა საფუძველზე.

4) საქორწინო კონტრაქტის დადება პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია შეზღუდულქმედუნარიანად ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული საშუალების ბოროტად გამოყენების საფუძველზე, მისი მზრუნველის თანხმობის გარეშე. ასეთი კონტრაქტი სასამართლოს მიერ შეიძლება აღიარებულ იქნეს ბათილად მზრუნველის სარჩელის საფუძველზე.

კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით დადებული საქორწინო კონტრაქტი ბათილია. კერძოდ, თუ საქორწინო კონტრაქტით:

ა) იზღუდება მეუღლეთა ქმედუნარიანობა;

ბ) იზღუდება მეუღლეთა უფლება მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად;

გ) მოუწესრიგებულია პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობები მეუღლეთა შორის.

დ) გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც შრომისუუნარო მეუღლეს ეზღუდება სარჩოს მიღების უფლება.

გარდა ამისა, საქორწინო კონტრაქტი ბათილია, თუ იგი დაიდო ქმედუუნარო პირთან, ან ქმედუუნარო მეუღლეებს შორის, სხვა გარიგების დაფარვის მიზნით (მოჩვენებითი გარიგება). ბათილია საქორწინო კონტრაქტი, დადებული ისეთი მიზნით, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლებრივი წესრიგისა და ზნეობის ნორმებს.

არ არის გამორიცხული სიტუაცია, როდესაც საქორწინო კონტრაქტის მხოლოდ ზოგიერთი პირობა ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ

კანონსაწინააღმდეგო პირობების გარეშეც შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტის არსებობა, მაშინ ბათილად იქნება ცნობილი კონტრაქტის მხოლოდ ის ნაწილი, ხოლო დანარჩენი – ძალაში რჩება.

§ 4. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

მეუღლეთა შორის საქორწინო ურთიერთობა აუცილებლად გულისხმობს ერთმანეთისადმი მატერიალური დახმარების აღმოჩენის მოვალეობასაც. ცხადია, ნორმალური ურთიერთობის პირობებში მეუღლეები მატერიალურად ეხმარებიან ერთმანეთს არა კანონის ძალით, არამედ იმ ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად, რასაც ზოგადად ემყარება ოჯახი. აუცილებლობის შემთხვევაში მეუღლეთა მიერ ერთმანეთის მიმართ მატერიალური დახმარების წესი და ფორმები შეიძლება განისაზღვროს წერილობით შეთანხმებაში, რომელიც ექვემდებარება სანოტარო დამოწმებას. ასეთი შეთანხმება შეიძლება წარმოადგენდეს საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. შეთანხმებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სარჩოს გადახდის პირობები, რომლებიც განსხვავდება სასამართლო წესით სარჩოს გადახდევინების კანონით გათვალისწინებული პირობებისაგან. მაგალითად, შეთანხმების საფუძველზე სარჩოს მიღების უფლება შეიძლება მიეკუთვნოს შრომისუნარიან მეუღლეს ან მეუღლეს, რომელიც არ საჭიროებს მატერიალურ დახმარებას. პირები, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში (ფაქტობრივი მეუღლეები), არ არიან უფლებამოსილნი დადონ შეთანხმება ურთიერთრჩენის შესახებ. როდესაც მეუღლეთა შორის ნორმალური საოჯახო ურთიერთობა ირღვევა და ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს ნებაყოფლობით დაეხმაროს მეორეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, მას შეიძლება იძულებითი წესით დაეკისროს სარჩოს (ალიმენტის) გადახდა მეორე მეუღლის სასარგებლოდ.

¹ შალვა ჩიკვაშვილი, საალიმენტო ვალდებულება, თბ., 1976, გვ. 16-24.

მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ: ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს და ბ) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი). ამასთან, იმისათვის, რომ ამ პირებმა მიიღონ ალიმენტი მეუღლისაგან, ისინი უნდა იყვნენ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში.

საოჯახო კანონმდებლობა არ იძლევა „შრომისუუნარობისა“ და „მატერიალური დახმარების საჭიროების“ ცნებას.

სასამართლო პრაქტიკა შრომისუუნაროდ აღიარებს პირს, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს საერთო წესით (მაშაკაცები 65 წლიდან, ქალები კი – 60 წლიდან) და იმ პირს, რომლის მიმართაც კანონით არის დადგენილი შეღავათიანი პირობები პენსიის მისაღებად. ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან I და II ჯგუფის ინვალიდები. რაც შეეხება III ჯგუფის ინვალიდებს, მათ ალიმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიშნებათ, თუ არა აქვთ შესაძლებლობა გამონახონ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფერისი სამუშაო და ამის გამო არ შეუძლიათ პირადი შრომით ირჩინონ თავი. დროებით შრომისუუნარობა, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს ალიმენტის დაკისრების საფუძველი.

ალიმენტზე უფლება მეუღლეებს წარმოეშობათ, მიუხედავად იმისა, თუ რით არის განპირობებული შრომისუუნარობა – საყოფაცხოვრებო ტრავმით, შრომითი დასახიჩრებით, საერთო ან პროფესიული დაავადებით და ა.შ., მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შრომისუუნარობა სახეზე იყოს სასამართლოში სარჩელის განხილვის მომენტში. შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.

საკითხს ალიმენტის შესახებ იმ მეუღლის სასარგებლოდ, რომელსაც დახმარება სჭირდება, წყვეტს სასამართლო თითოეული კონკრეტული საქმის მიხედვით. სასამართლო ამ დროს მხედველობაში იღებს ალიმენტზე პრეტენზიის მქონე მეუღლის დამოუკიდებელ შემოსავალს (პენსია, სტიპენდია და სხვა), საკმარისია თუ არა იგი აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ამის მიხედვით წყვეტს საკითხს ალიმენტის დაკისრების შესახებ.

შრომისუუნარო მეუღლის ქონებრივი მდგომარეობა (მაგალითად, სახლის, აგარაკის არსებობა) თავისთავად არ ართმევს მას ალიმენტის მიღების უფლებას, თუ ამ ქონებას იგი შემოსავლის წყაროდ არ იყენებს. არ შეიძლება მეუღლე ცნობილ იქნეს ისეთ პირად, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას აქვს საკმარის ოდენობის ანაბარი შემნახველ სალაროში (მაგალითად, მემკვიდრეობით მიღებული).

მატერიალური დახმარების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ორივე მეუღლის შემოსავალი. ვფიქრობთ, არასწორია სასამართლოს მოქმედება, რომელიც მხოლოდ იმ მეუღლის შემოსავლის გამორკვევით კმაყოფილდება, ვინც ალიმენტის მიღებაზე აცხადებს პრეტენზიას.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ უფრო მაღალი პენსიის მიღება თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მეორე მეუღლე გაჭირვებულად ჩათვალოს და პირველს დაეკისროს მისთვის სარჩოს მიცემა.

საკითხის გადაწყვეტისას, სჭირდება თუ არა ერთ-ერთ მეუღლეს დახმარება, მხედველობაში მიიღება არა მარტო შემოსავალი, არამედ ის ხარჯებიც, რასაც შრომისუუნარო მეუღლე ეწევა (გაძლიერებული კვება, მოვლა-პატრონობა და ა.შ.).

მაშასადამე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობა დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთდროულად სახეზეა ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა და დახმარების საჭიროება. თავისთავად მარტო შრომისუუნარობა ან დახმარების საჭიროება არ

იძლევა საფუძველს ალიმენტის დაკისრებისათვის¹. ალიმენტის დაკისრებაზე უარი უნდა ითქვას, თუ ერთ-ერთი მეუღლე შრომისუნაროა, მაგრამ არ საჭიროებს მატერიალურ დახმარებას (მაგალითად, იღებს საკმარის პენსიას), ანდა საჭიროებს დახმარებას, მაგრამ შრომისუნარიანია. მეუღლის შესაძლებლობა, დაეხმაროს შრომისუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ იმ მეუღლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც მოვალეა გადაიხადოს ალიმენტი.

მეუღლეთა ურთიერთრჩენის უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მათი ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან და იგი ქორწინების არსებობის მთელ მანძილზე გრძელდება.

მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება არ ართმევს უფლებას შრომისუნარო მეუღლეს, რომელიც დახმარებას საჭიროებს, მიიღოს ალიმენტი მეუღლისაგან. ეს უფლება დამოკიდებული არ არის დროის იმ მონაკვეთზე, რომლის განმავლობაშიც მეუღლეები ერთად არ ცხოვრობენ. მთავარია, რომ მეუღლეთა შორის ქორწინება შეწყვეტილი არ იყოს კანონით დადგენილი წესით, მაგრამ არ იქნება მართებული ამ წესის გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვისა და ცალკე ცხოვრების მოტივების გათვალისწინების გარეშე. მოვიტანთ მაგალითს:

... პ-მ აღძრა სარჩელი სასამართლოში ალიმენტის დაკისრების შესახებ. სასარჩელო განცხადებაში მან მიუთითა, რომ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში კ-სთან.

საქმის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ პ. და კ. ერთ

¹ საალიმენტო ვალდებულების მქონე მეუღლის მიერ სარჩოს მიცემის „შესაძლებლობა“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მეუღლეები, მშობლებისა და შვილების მსგავსად ვალდებულნი არიან არჩინონ ერთმანეთი, მიუხედავად იმისა, მათ ეს შესაძლებლობა აქვთ თუ არა. გარდა ამისა, რჩენის მოვალეობაში იგულისხმება ისეთი უზრუნველყოფა, როცა ალიმენტის გადახდელი მეუღლე მისი გადახდის შემდგომ თვითონ არ აღმოჩნდება საარსებო მინიმუმის გარეშე.

ოჯახად ცხოვრობდნენ 16 წლის განმავლობაში. 1983 წელს პ-მ განქორწინების გარეშე მიატოვა ოჯახი (ცოლი და სამი ბავშვი) და წავიდა სხვა ქალაქში მუდმივად საცხოვრებლად. იგი ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა შ-სთან. უკვე მოხუცებულმა პ-მ 1996 წელს საალიმენტო სარჩელი აღძრა კ-ს მიმართ. სასამართლომ უარი უთხრა პ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ცხადია, სასამართლოს სრული უფლება ჰქონდა შეეფასებინა პ-ს მოქმედება (რომელმაც სამი ბავშვი მიატოვა), როგორც „უღირსი საქციელი“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1184-ე) და ამ საფუძველით უარი ეთქვა სარჩელზე.

დელათა და ბავშვთა ინტერესების დაცვის მიზნით არის განპირობებული, რომ ცოლს, ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში, უფლება აქვს სასამართლოს საშუალებით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) ქმრისაგან.

ამ წესის გამოყენებასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ საოჯახო კანონმდებლობა ორსული ქალისა და სამ წლამდე ბავშვის დედის მიერ ქმრისაგან სარჩოს მიღების უფლებას არ უკავშირებს მატერიალური დახმარების საჭიროებას. ამ პერიოდში მეუღლეთა შორის საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ორი იურიდიული ფაქტის ერთობლიობა: ა) ცოლის ორსულობა და სამ წლამდე ბავშვის ყოლა და ბ) ქმრის შესაძლებლობა მისცეს ცოლს სარჩო. ი.გ. ბასინი ამ იურიდიულ ფაქტს უმატებს მესამესაც – „ცოლის მხრივ დახმარების საჭიროებას“¹. ამ დამატებას არ ეთანხმება ნ.ა. შიშიგინა. მისი აზრით, ქმარი მოვალეა არჩინოს ცოლი ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ცოლი მატერიალურ დახმარებას საჭიროებს თუ არა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე, ცოლისათვის ალიმენტის „მიკუთვნება არის სარჩო

¹ Комментарий к Кодексу о браке и семье Казахской ССР. Алма-Ата, 1972, с. 44.

ცოლის ორსულობისა და ბავშვის დაბადებისათვის, ამასთან, მოვალეობა, გადაუხადო ალიმენტი ზემოთ დასახელებულ პირს, წარმოიშობა იმისაგან დამოუკიდებლად, იგი დახმარებას საჭიროებს თუ არა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს იმას, რომ ცოლი იყოს რეგისტრირებულ ქორწინებაში, ამასთან, იყოს ორსული ან ჰყავდეს 3 წლამდე ბავშვი იმისათვის, რომ მიიღოს ალიმენტი (1182-ე მუხლი), ე.ი. იმისათვის, რომ ცოლმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე მიიღოს სარჩო მეუღლისაგან, საჭიროა არსებობდეს ორი პირობიდან ერთ-ერთი: ა) ცოლი იყოს ორსული ან ბ) ჰყავდეს ბავშვი 3 წლამდე. ე.ი. ქმარს შეიძლება დაეკისროს ალიმენტი როგორც ცოლის, ისე არასრულწლოვანი შვილის მიმართ. ისიც უნდა ითქვას, რომ 3 წლამდე ბავშვის ყოლისათვის ალიმენტის მიღება მეორე მეუღლისაგან შეუძლია მხოლოდ ქალს (ცოლს) ქმრისაგან და არა ქმარს (ცოლისაგან), რომელსაც აგრეთვე შეიძლება დარჩეს 3 წლამდე ბავშვი აღსაზრდელად. არადა ცნობილია, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. ამ მუხლით (1182-ე მუხლით) კი მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა ირღვევა, რითაც იგი (1182-ე მუხლი) წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლთან, სადაც საუბარია სწორედ მეუღლეთა თანასწორუფლებიანობაზე. ცოლისათვის ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში ალიმენტის გადახდის მოვალეობა შეწყდება მაშინ, თუ ამ პერიოდში ბავშვი მოკვდება ან რაიმე მიზეზით დედა აღარ გაზრდის მას.

ცოლისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა, შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის მსგავსად, კანონით წინასწარ განსაზღვრული არ არის. არც სასამართლო პრაქტიკა იცნობს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ერთიან კრიტერიუმს. კანონის თანახმად, სასამართლო მეუღლეთა სასარგებლოდ გადასახდელი სარჩოს ოდენობას განსაზღვრავს ყოველთვიურად გადასახდელი ფულადი სახ-

ით, მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მეუღლეთა მატერიალური შესაძლებლობების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება იმ მეუღლის ოჯახური მდგომარეობა, რომელმაც უნდა გადაიხადოს სახსრები მეორე მეუღლის სასარგებლოდ. კერძოდ, აქ მხედველობაში მიიღება კმაყოფაზე მყოფ იმ პირთა რაოდენობა (შვილები, მშობლები, ძმები, დები და სხვა), რომელთა რჩენაც მას ევალება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

იმ შრომისუუნარო მეუღლისადმი ალიმენტის მიცემა, რომელსაც დახმარება სჭირდება, მატერიალურად უზრუნველყოფილ მეუღლესთან ერთად, ეკისრება აგრეთვე მის სრულწლოვან შვილებსაც. ამიტომ, ალიმენტის მომთხოვნი მეუღლის სარჩელის განხილვისას, სასამართლო მოვალეა გამოავლინოს ყველა ის სრულწლოვანი შრომისუუნარიანი შვილი, რომლებიც ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ შრომისუუნარო მშობლების რჩენაში, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ; განისაზღვროს ყოველთვიური გადასახდელი მტკიცე თანხა, სრულწლოვანი შრომისუუნარიანი შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით და შესაბამისად, შეუმციროს მეორე მეუღლეს ალიმენტის ოდენობა (აქ კანონი ლაპარაკობს ალიმენტის ოდენობის შემცირებასა და არა მისი გადახდისაგან გათავისუფლებაზე). თუ ალიმენტის მაძიებელი მეუღლე არ მოითხოვს სარჩოს მიღებას სრულწლოვანი შრომისუუნარიანი შვილებისაგან, რისი უფლებაც აქვს, მაშინ სასამართლო მხედველობაში მიიღებს ამ უფლებას და შესაბამისად შეამცირებს ალიმენტის ოდენობას.

იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს სარჩელით ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ (მისი შემცირების ან გადიდების მხრივ).

პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის თაობაზე, თუ რა დროიდან უნდა მოხდეს ალიმენტის გადახდა სასამართლოს

იმ გადაწყვეტილებით, რომლითაც დაკმაყოფილებულია სარჩელი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ – სასარჩელო განცხადების წარდგენის დღიდან, თუ იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა?

ალიმენტის ოდენობის შემცირების ან გაზრდის შესახებ სარჩელების დაკმაყოფილებისას, იმ პირის ხელფასიდან დაკავება, რომელიც მოვალეა ალიმენტი იხადოს, წარმოებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

სარჩელი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ შეიტანება სასამართლოში ალიმენტის გადამხდელი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კანონი, იმ შრომისუუნარო მეუღლისათვის ალიმენტის გადახდას, რომელსაც დახმარება სჭირდება, არ უკავშირებს საკითხს, თუ ვის მიუძღვის ბრალი განქორწინებაში – ერთ-ერთ მეუღლეს, თუ ორივეს ერთად, ე.ი. კანონი არ ართმევს ალიმენტის მიღების უფლებას მეუღლეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას ბრალი მიუძღვის განქორწინებაში, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი აუცილებლად შრომისუუნარო უნდა იყოს და საჭიროებდეს მატერიალურ დახმარებას მეუღლისაგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1184-ე მუხლის თანახმად, მეუღლის გათავისუფლება რჩენის მოვალეობისაგან წარმოადგენს სასამართლოს უფლებას და არა მის მოვალეობას. სასამართლო, როგორც წესი, ამ ღონისძიებას მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას თხოულობს მოსარჩელე მეუღლე.

ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა, რომელიც გამოწვეულია ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით ან მის მიერ განზრახვი დანაშაულის ჩადენით, წარმოადგენს საფუძველს სასამართლოს მიერ ამ პირისათვის ალიმენტის უფლების ჩამორთმევის ან მისი შეზღუდვის შესახებ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ამგვარი მოქმედება ეწინააღმდეგება, პირველ შემთხვევაში, მორალის ნორმებს, ხოლო, მეორე შემთხვევაში კი,

მორალისა და სამართლის ნორმებს. მეუღლის ასეთი მოქმედებების არასასურველი შედეგები უნდა იწვნოს მხოლოდ მისმა ჩამდენმა.

ქორწინებაში მეუღლეთა ხანმოკლე დროით ყოფნა შესაძლებელია საფუძვლად დაედოს პირის გათავისუფლებას მეუღლის რჩენის ვალდებულებისაგან, აგრეთვე მცირე ვადით ალიმენტის დაკისრებას, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ალიმენტის დაკისრების მომენტისათვის ქორწინება შეწყვეტილია.

კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რა ითვლება მეუღლეთა ხანმოკლე დროით ქორწინებად. საკითხს ამასთან დაკავშირებით წყვეტს სასამართლო, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ქორწინება, რომლის ხანგრძლივობაც განსაზღვრულია ერთ წლამდე ნაკლები ვადით, უდავოდ ითვლება ხანმოკლე ქორწინებად. ასეთ შემთხვევაში, უფრო ხშირად არსებობს საფუძველი ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმისათვის. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ქორწინება, რომელიც გრძელდებოდა ერთიდან ხუთ წლამდე, შეიძლება ჩაითვალოს ხანმოკლე დროით ქორწინებად მეუღლეთა ასაკისა და ქორწინების შეწყვეტის მიზეზთა გათვალისწინებით. ამასთან, სასამართლოს შეუძლია დააკისროს ალიმენტი იმ ვადის გათვალისწინებით, რა ვადითაც მათ შორის იყო ქორწინება.

ხანმოკლე დროით ქორწინებისას საალიმენტო ვალდებულების შეზღუდვა ან მისგან გათავისუფლება დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოფილ მეუღლეთა საალიმენტო ვალდებულებას საფუძვლად უდევს მათ შორის ხანმოკლე ოჯახური კავშირი. ხანმოკლე დროით ქორწინებისას ასეთმა კავშირმა ვერც მოასწრო აღმოცენება და შესაბამისად, არ აღმოცენდა საფუძველი მეუღლეთა განსაზღვრული ვადით ურთიერთრჩენის ვალდებულების შესახებაც.

ალიმენტის მომთხოვნი მეუღლის უღირსი საქციელი წარმოადგენს საფუძველს ალიმენტზე უარის თქმისათვის, იმისაგან დამოუკიდებლად, ასეთ საქციელს ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე, ქორწინების განმავლობაში თუ განქორწინების შემდეგ. თუმცა, თუ

ქეულლის უღირს საქციელს ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე და მეორე მეუღლემ იცოდა ამის შესახებ, ის არ არის უფლებამოსილი ამ გარემოებაზე დაყრდნობით სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი ალიმენტისაგან გათავისუფლების თაობაზე. კანონით ქეულლეთა უღირსი საქციელის ცნება განსაზღვრული არ არის. აღნიშნულ საკითხსაც, ისე როგორც ხანმოკლე დროით ქორწინებისას, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, წყვეტს მხოლოდ სასამართლო. უდავოა, რომ მეუღლის უღირს საქციელად უნდა ჩაითვალოს მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, მძიმე სამართალდარღვევა და ა.შ.

უღირს საქციელად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქცევა, რომელიც აკრძალული არ არის კანონით, მაგრამ ეწინააღმდეგება ზოგადად მიღებული მორალისა და ზნეობის ნორმებს.

მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება მოისპობა, თუ აღარ არსებობს ის საფუძვლები, რომლებმაც განაპირობეს ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის რჩენის ვალდებულება, კერძოდ: ა) იმ მეუღლის შრომის უნარის აღდგენა, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა; ბ) დახმარების საჭიროების მოსპობა (მაგალითად, პენსიის დანიშვნა, მემკვიდრეობის ან არსებობისათვის საკმარისი სხვა შემოსავლის მიღება); გ) იმ მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლა, რომელიც ალიმენტს იხდის, რის გამოც მას აღარ შეუძლია მისცეს სარჩო მეუღლეს; დ) ორსულობის შეწყვეტა ან ბავშვისათვის 3 წლის შესრულება.

საალიმენტო ვალდებულება მოისპობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სარჩოს მიმღები განქორწინებული მეუღლე ხელახლა დაქორწინდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1186-ე). აქ ხელახლა დაქორწინება წარმოადგენს ისეთ იურიდიულ ფაქტს, რომელიც სპობს საალიმენტო ურთიერთობას ყოფილ მეუღლეთა შორის. შემდგომი განქორწინება არ შეიძლება გახდეს პირველ ქორწინებაში მყოფი მეუღლისაგან ალიმენტის მიღების საფუძველი.

თუ მეუღლეები ალიმენტს იხდიან ნებაყოფლობით, მაშინ საალი-

მენტო ვალდებულება ავტომატურად მოისპობა იმ მომენტიდან, როდესაც აღარ იარსებებს ის საფუძველი, რამაც განაპირობა მისი წარმოშობა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ალიმენტის გადახდა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, საალიმენტო ვალდებულება მოისპობა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

საალიმენტო უფლება-მოვალეობანი ისპობა აგრეთვე მაშინაც, როდესაც გარდაიცვლება ერთ-ერთი მეუღლე, რადგან საალიმენტო ვალდებულება ატარებს პირადულ ხასიათს და მემკვიდრეობით არ გადადის.

მკვდარი ბავშვის დაბადების ან მშობიარობის შემდეგ ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში, ცოლს უფლება აქვს მიიღოს ალიმენტი, როგორც შრომისუუნარო ცოლმა, 56 დღის განმავლობაში (საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, მუხლი 159-ე).

თავი მეხუთე

ქორწინების შეწყვეტა

§ 1. განქორწინების ისტორიული ასპექტი

ქორწინება, მისი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ატარებს რა სამისდღემშიო ხასიათს, არ ნიშნავს, რომ დაუშვებელია მისი შეწყვეტა. ამიტომ განქორწინება, როგორც ქორწინების თანმხლები მოვლენა, გამომდინარეობს ოჯახის წინააღმდეგობრივი ბუნებიდან, რომელსაც მისი სოციალური ხასიათის გამო აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. განქორწინება უდავოდ ქმნის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ (სოციალური, ეკონომიკური, ფსიქიკური თუ სხვა ხასიათის) სიძნელებს მეუღლეებისათვის და ღიდ უბედურებას წარმოადგენს, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. მისი შედეგები მძიმე ტრავმად რჩება ცხოვრების მთელ მანძილზე მათთვისაც კი, ვისი ინიციატივითაც მოხდა იგი, რომ აღარაფერი ეთქვათ ბავშვებსა და ყოფილ მეუღლეზე¹. მაგრამ მნიშვნელოვანია განქორწინების დადებითი მხარეებიც. იგი წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების გარანტიას. აქედან გამომდინარე, განქორწინება თავისთავად ცივილიზაციისა და კულტურის მნიშვნელოვან მონაპოვრადაც ითვლება.

განქორწინებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ძველი რომაული სამართალი განიხილავდა რა ქორწინებას როგორც მოქალაქეთა ხელშეკრულებას, სრულ თავისუფლებას უშვებდა განქორწინებისას.

ქრისტიანულმა რელიგიამ, როგორც ცნობილია, ძველ სამყაროში საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული მრავალი დოგმა მიიღო, მათ შორის, ქალთან შედარებით მამაკაცის უპირატესობა და ბატონობაც. ქრისტიანული დოგმების ლოგიკური შედეგი იყო განქორწინების აკრძალვაც. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში,

¹ მ. ბეჟია, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, „მეცნიერება“, თბ., 1980, გვ. 52.

როდესაც განსაკუთრებულად გაძლიერდა რელიგიის გავლენა სამართალზე, განქორწინება აკრძალული იყო, მაგრამ რეალურ ვითარებაში ამ დოგმის დაცვა ყოველთვის და ყველგან შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამიტომ ჯერ მართლმადიდებლურ, შემდეგ კათოლიკურ ქვეყნებში დაშვებულ იქნა განქორწინება, მხოლოდ როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, როცა ერთ-ერთი მეუღლე სცოდავს მეორის წინაშე. ამ თვალსაზრისით განქორწინება დამნაშავე მეუღლის დასჯასა და უდანაშაულოს რეაბილიტაციას წარმოადგენდა.

ძველ საქართველოში განქორწინებას საინტერესო და სპეციფიკური ხასიათი ჰქონდა. უკვე V საუკუნეში იაკობ ცურტაველის ნაწარმოებში („მარტვილობაჲ წმინდისა შუშანიკისაჲ“) ნაჩვენებია, რომ შუშანიკსა და ვარსქენს შორის არსებობს განქორწინება, რაც იმის დამადასტურებელიცაა, რომ ოჯახი, მართალია, თავის თავში მოიცავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიული მდგომარეობის ამსახველ მოვლენებს და მათი ცვლილებების კვალდაკვალ იცვლება, მაინც ყოველთვის ინარჩუნებს ერთგვარ დამოუკიდებლობას; ამიტომ იყო, რომ განქორწინებას ყველგან და ყველა დროში ჰქონდა ადგილი, მკაცრი აკრძალვის პირობებშიც კი. თავისთავად, ეს აიძულებდა შუა საუკუნეების კანონმდებლებსაც სამართლებრივ ძეგლებში უხვად შეეტანათ ცოლისაგან ქმრისა თუ ქმრისაგან ცოლის მიტოვების (ე.წ. ფაქტობრივი განქორწინების) შემთხვევების მომწესრიგებელი მუხლები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამართლის ძეგლები კრძალავდა განქორწინებას, კანონი იძულებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში დაეშვა იგი. შუა საუკუნეებში ასეთი შესაძლებლობა მამაკაცს უფრო ჰქონდა, ვიდრე ქალს. ეს აისახა ძველი ქართული სამართლის ძეგლებში. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით, თუ ქმარი თავისი ინიციატივით გაეყრებოდა ცოლს, დამნაშავე იქნებოდა ეს უკანასკნელი თუ უდანაშაულო, მზითვეი სრულად უნდა დაებრუნებინა უკან. რაც შეეხება ვახტანგ VI-ის სამართალს – იქ

მხოლოდ უდანაშაულო ქალს უბრუნდება მზითვეი უკლებლად. ვახტანგის სამართლის მიხედვით, ძირითადად ნაგულისხმევია ისეთი შემთხვევები, სადაც განქორწინების ინიციატორად გვევლინება ორივე მხარე. თუმცა, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ცოლი და ქმარი სხვადასხვანაირად ისჯებოდა, კერძოდ, ქალი უფრო მეტად, ვიდრე კაცი. ამავე სამართალში არის სპეციალური მუხლი, რომლის თანახმადაც, თუ ქალი ქმარს მიატოვებდა და პირდაპირ, მისი ოჯახიდან გაჰყვებოდა სხვა კაცს, მაშინ იგი ორმაგად ისჯებოდა ყოფილი ქმრის სასარგებლოდ. განქორწინებისას მზითვთან დაკავშირებული საკითხი გვხვდება ბაგრატიის სამართალშიც, რომელიც ეხება ავადმყოფობის ნიადაგზე ქალის მიტოვებას: „თუ არა გაყროდეს და ნახევარი სისხლი დააურვოს და დედაკაცი ზითვეს ანუ ითხოვს თუ შვილი დარჩეს“ (მუხლი 140-ე).

ძველი ქართული სამართალი დანაშაულის სუბიექტად მიიჩნევს მესამე პირსაც, რომლის მიზეზითაც მოხდა განქორწინება. ასეთია მამაკაცი, რომელიც კაცს ცოლს წაართმევდა და უზნეობის ხელშემწყობი „ცუდი დედაკაცი“, რომლის წამახება-დაბეზლებით ოჯახი იშლებოდა.

ფეოდალური საქართველოს სამართალი ოჯახის სიმტკიცის სადარაჯოზე იდგა. იგი დამნაშავედ მიიჩნევდა ყველას, ვისაც კი წილი ედო ოჯახის დაშლაში. ამავე დროს, ეპოქის საზოგადოებრივი ურთიერთობის ზოგადი მახასიათებლებიდან გამომდინარე, სასჯელი ითვალისწინებდა მოსახლეობის დიფერენციაციას – ყოველი კონკრეტული მსგავსი შემთხვევა ერთნაირი სასჯელით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ გვარის მნიშვნელობის მიხედვით.

აღნიშნული ეპოქის ქართული სამართალი ქალის შედარებით მაღალ უფლებრივ მდგომარეობას გვიჩვენებს. იგი სამართლის ობიექტიცაა და სუბიექტიც¹.

დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარებასთან ერთად

¹ თ. ენუქიძე, „მასალები ქართლის სამეფოს სამღივანბგო სამართლის ისტორიისათვის“, თბ., 1964.

სამართალმაც განიცადა ტრანსფორმაცია. ცხადია, სხვა სახე მიიღო როგორც ქორწინების, ისე განქორწინების მომწესრიგებელმა ნორმებმა. უდავოა, რომ განქორწინებას პრაქტიკულად არა აქვს ადგილი, თუ მას წინ არ უსწრებს ქორწინება. ამ უკანასკნელსაც თავისი დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, როგორც ქალისა და მამაკაცის ყველაზე უფრო სტაბილურ და გარანტირებულ ურთიერთობას. სამართალი იხილავს ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების – ქალისა და მამაკაცის უფლებრივ მდგომარეობას და აყალიბებს ქორწინების თანამედროვე ცნებას.

ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც, როგორც წესი, სამისდღემშიო ხასიათს ატარებს. მაგრამ, არ შეიძლება ქორწინების, როგორც სამისდღემშიო კავშირის ცნების გაიგივება მისი დაურღვევლობის პრინციპთან.

ამრიგად, ოჯახის განმტკიცება ნიშნავს არა ყოველგვარი ქორწინების შენარჩუნებას, არამედ მხოლოდ ისეთისას, რომელიც ღრმად გააზრებულ ადამიანურ გრძნობებს ეფუძნება. განქორწინება აუცილებელიც არის იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1127-ე).

ქორწინება, რომელიც უკვე აღარ არის სიყვარულისა და მეგობრობის მაღალ, ჭეშმარიტად ადამიანურ გრძნობებზე დაფუძნებული, ამორალურია და ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფლების პრინციპს. ამიტომ ასეთი ქორწინების შეწყვეტა შეესაბამება როგორც ქორწინებაში მყოფი პირის, ასევე საზოგადოების ინტერესებსაც. მოჩვენებითი ქორწინება არც სახელმწიფოს სჭირდება, ვინაიდან ისიც დაინტერესებულია ისეთ ქორწინებათა შეწყვეტით, რომლებიც აღარ პასუხობენ თავიანთ დანიშნულებას და მხოლოდ უშინაარსო ფორმების მატარებელნი არიან.

ამასთან ერთად, კანონი, რომელიც აღიარებს მეუღლეთა უფლებას განქორწინებაზე, დაუსაბუთებელ განქორწინებათა თავიდან აც-

ილების მიზნით უქვემდებარებს სახელმწიფოს კონტროლს, მკაფიოდ განსაზღვრავს პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაიშვება განქორწინება და აწესრიგებს განქორწინების წესსა და პირობებს.

ქორწინება წყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით, სასამართლო წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით ან განქორწინებით. გარდაცვალება დასტურდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობით.

რაც შეეხება განქორწინებას ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების მოტივით, ასეთი დაიშვება მხოლოდ პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობისას.

პირის გარდაცვლილად გამოცხადების წესსა და პირობებს ადგენს კანონი. კერძოდ, პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

ზოგიერთი შემთხვევისათვის სამოქალაქო კოდექსი ადგენს შემცირებულ ვადებსაც. კერძოდ, სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან. სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

კანონმდებლის მიერ პირის გარდაცვლილად ცნობის შესახებ დაწესებული ხუთწლიანი ვადა მიგვაჩნია უსაფუძვლოდ გაზრდილად და, ვფიქრობთ, ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კოდექსით გათვალ-

ისწინებულ სამწლიან ვადას უფრო მეტი გარკვეულობა შეჰქონდა მეუღლეთა შორის ურთიერთობათა მოწესრიგების საქმეში.

პირველ ორ შემთხვევაში ქორწინება შეწყვეტილად ითვლება მეუღლის გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის ან სასამართლო წესით მისი გარდაცვლილად გამოცხადების მომენტიდან. ამ საფუძველების არსებობისას საჭირო არ არის განქორწინების რაიმე სპეციალური გაფორმება.

გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლის გამოჩენის შემთხვევაში, წარმოიშობა საკითხი ქორწინების შემდგომი ბედის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტას კანონი უკავშირებს მეუღლის დაქორწინების ფაქტს. თუ პირი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და ამ საფუძველზე მათ შორის არსებული ქორწინების შეწყვეტის შემდეგ ხელახლა დაქორწინდება, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი მეუღლის გამოჩენის შემთხვევაში, შემდგომი ქორწინება არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი და, მაშასადამე, არც წინა ქორწინების აღდგენას გამოიწვევს (მუხლი 1135-ე).

სხვა შედეგები ღვება მაშინ, თუ მეუღლე არ დაქორწინებულა ხელახლა.

იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე, რომელთანაც ამ საფუძველზე შეწყვეტილი იყო ქორწინება და გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ, ქორწინება შეიძლება აღადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით. იმ შემთხვევაში, თუ ისინი განქორწინებულნი იყვნენ სასამართლო წესით, სასამართლო მათი განცხადებით გააუქმებს გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ.

მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინება წყდება განქორწინებით –

ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადების საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება საზღვარგარეთის ქვეყნებში ქორწინების შეწყვეტის სამართლებრივ პრობლემებს, აღნიშნულია, რომ კანონმდებლობაში 70-იან წლებში გატარებულმა რეფორმებმა განქორწინების შესახებ (ინგლისი, საფრანგეთი, ნორვეგია, დანია, ფინეთი და სხვ.) გამოიწვია მოცემული ინსტიტუტის სერიოზული ტრანსფორმაცია, გატარებული რეფორმების ძირითად ტენდენციას წარმოადგენდა უარი იდეაზე იმის შესახებ, რომ „განქორწინება – ეს არის სანქცია ან სასჯელი მეუღლის ბრალეული ქცევისათვის“ და გადასვლა კონცეფციაზე, რომლის თანახმად „განქორწინება არის ქორწინების დამსხვრევისა და წარუმატებლობის კონსტატაცია“¹. ასეთი მიდგომა გამორიცხავს კანონმდებლობაში განქორწინების ფორმალური საფუძვლების დამაგრებას, თუმცა მეუღლეები დაკავშირებულნი არიან კანონის განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ვინაიდან ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის დასასაბუთებლად უნდა წარმოადგინონ განსაზღვრული მტკიცებულებანი.

§2. განქორწინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში

საერთო წესის მიხედვით, განქორწინება წარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსა და სასამართლოში, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განქორწინება ცივილიზებულ ქვეყნებში მიჩნეულია განქორწინების ძირითად წესად, რადგანაც აქ მეუღლეებს აქვთ სრული შესაძლებლობა უკონფლიქტოდ გადაწყვიტონ საოჯახო ურთიერთობის ესოდენ რთული პრობლემა.

¹ იხ. Хазова О.А. Указ. соч. с. 108-122, Гражданское и торговое право капиталистических государств, Учебник / Под ред. Васильева Е.П. М., 1993, с. 527-529.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომლებიც მეუღლეებს უფლებას აძლევს მოითხოვონ განქორწინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, ხოლო ამ ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს ავალდებულებს მოახდინოს განქორწინება.

კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების საფუძველთა რიცხვს აკუთვნებს განქორწინებას მეუღლეთა ურთიერთთანხმობით, თუ მათ არა ჰყავთ მოცემულ ქორწინებაში არასრულწლოვანი შვილები. განქორწინებისათვის დამაბრკოლებელ გარემობას არ წარმოადგენს სხვადასხვა ქორწინებიდან არასრულწლოვანი შვილები. რაც შეეხება ქონებრივ დავას მეუღლეთა შორის, იგი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება განქორწინების რეგისტრაციისათვის. ამ შემთხვევაში ქონებრივ დავას განიხილავს სასამართლო საერთო წესით.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, რომელიც მეუღლეთა ურთიერთთანხმობით ახდენს განქორწინებას, მოვალე არ არის გამოარკვიოს მოტივები, რამაც აიძულა ისინი მიემართათ რეგისტრაციის ორგანოსათვის განქორწინების თაობაზე, ან მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად. კანონი თვითონ მეუღლეებს ანიჭებს უფლებას, ვიდრე რეგისტრაციის ორგანოს მიმართავდნენ განქორწინებისათვის, წინასწარ და ღრმად გაიაზრონ რამდენად სერიოზულია მათი გადაწყვეტილება.

ამასთან ერთად, კანონით დადგენილია, რომ განქორწინების რეგისტრაცია და განქორწინების მოწმობის გაცემა წარმოებს მეუღლეთა მიერ განქორწინების შესახებ განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1124-ე). ამ ვადის დადგენა იმასვე ისახავს მიზნად, რასაც სასამართლოში მეუღლეთა შესარიგებლად დადგენილი ვადა. ამ დროის განმავლობაში მეუღლეებს შესაძლებლობა აქვთ კიდევ ერთხელ დაუფიქრდნენ თავიანთ ურთიერთობებს. თუ ამ ხნის განმავლობაში მეუღლეები შერიგდებიან და ერთობლივად მივლენ გადაწყვეტილებამდე, თავი შეიკავონ განქორწინები-

საკან, მათი განცხადების საფუძველზე საქმის წარმოება რეგისტრაციის ორგანოში შეწყდება. თუ ერთ-ერთი მეუღლე უარს იტყვის ალრე შეტანილ განცხადებაზე, მეორე მეუღლეს ამ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს განქორწინება სასამართლო წესით.

მეუღლეთა ერთობლივი თხოვნის საფუძველზე დათქმული დღე განქორწინების რეგისტრაციისათვის შეიძლება გადაიდოს, თუ გარკვეული მსხვერვის გამო მათ არ შეუძლიათ სარო-ში გამოცხადება.

ერთი თვის ვადაში განქორწინების რეგისტრაცია ნიშნავს იმას, რომ განქორწინების რეგისტრაცია სარო-ს მიერ უნდა მოხდეს არა ერთთვიანი ვადის გასვლის თავზე, არამედ ამ ვადის გასვლამდე (ერთი თვის ვადაში) ნებისმიერ დღეს, თუმცა არა განცხადების შეტანის დღეს. ასეთი შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლის მე-4 პუნქტით, გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, როგორცაა ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე და სხვა მსგავსი გარემოებები, განქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესაც კი.

განქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლადაც, თუ მას საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, სამხედრო სამსახური, სხვა დასახლებულ პუნქტში ცხოვრება და ა.შ.) არ შეუძლია გამოცხადდეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში და მისი სახელით წარმოდგენილია სათანადო წესით (ნოტარიუსის, სამხედრო ნაწილის მეთაურის, სამედიცინო დაწესებულების, ინვალიდთა სახლის ან საპატიმრო ადგილების ადმინისტრაციის მიერ) დადასტურებული განცხადება განქორწინებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლი).

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ხდება აგრეთვე იმ პირთა განქორწინება, რომელთა შორის ერთ-ერთი კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, სულით აკადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო – ქმელუუნაროდ, სასამართ-

ლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა (მუხლი 1125-ე). მსჯავრდებულის მეუღლეს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ უფლება აქვს დაქორწინდეს ხელმოკრედ, მას შემდეგ, რაც მისივე განცხადებით მოხდება განქორწინების რეგისტრაცია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. მსჯავრდებული მეუღლე არ არის ამგვარი უფლებით აღჭურვილი და მას შეუძლია დაქორწინდეს მხოლოდ საერთო წესით განქორწინების შემდეგ.

ზემოთ აღნიშნული პირობების არსებობისას, მეუღლეებს შეუძლიათ განქორწინდნენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში და არა სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰყავთ საერთო არასრულწლოვანი შვილები. ამ პირობების არსებობისას ის ფაქტი, რომ მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, რეგისტრაციის ორგანოებისათვის განქორწინების დამატებით გათვალისწინებას არ წარმოადგენს. თუ კანონი არასრულწლოვანი ბავშვების არსებობისას, როგორც წესი, უშვებს განქორწინებას მხოლოდ სასამართლო ორგანოების მეშვეობით იმ მოტივით, რომ გადაწყვეტოს მათი შემდგომი ბედი, ამ შემთხვევაში დაშვებული გამონაკლისი არ ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვანი ბავშვების მომავალი არ აინტერესებდეს კანონმდებელს. ალბათ, აღნიშნული ნორმის ჩამოყალიბებისას კანონმდებელმა იგულისხმა ის, რომ არასრულწლოვანთა ბედზე მსჯელობა მოახდინოს სასამართლომ, კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნული საფუძვლების არსებობისას განქორწინებისათვის საკმარისია მეუღლის ცალმხრივი განცხადება¹. უგზო-უკვლოდ დაკარ-

¹ იმ მეუღლეს, რომელიც მსჯავრდებულია სამ წელზე მეტი ვადით, აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუნაროდ აღიარებული მეუღლის მეურვეებს უფლება არა აქვთ დააყენონ საკითხი რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების შესახებ. მათ შეუძლიათ მიმართონ მხოლოდ სასამართლოს. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ის, რომ მსჯავრდებულ მეუღლეს უფლება აქვს თავისი ინიციატივით დააყენოს განქორწინების საკითხი რეგისტრაციის ორგანოში, თუ ამაზე თანახმაა მეორე მეუღლე.

კელის, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუნ-
აროდ აღიარებული პირის მეურვის, აგრეთვე არანაკლებ სამი წლით
თავისუფლებააღკვეთილი მეუღლის თანხმობა საჭირო არ არის,
კინაიდან მათ საწინააღმდეგო მოსაზრებას არ შეუძლია გავლენა
მოახდინოს განქორწინებაზე. რეგისტრაციის ორგანო მხოლოდ ატყ-
ობინებს პატიმრობაში მყოფ პირს ან არაქმედუნარიანი მეუღლის
მეურვეს, მეორე მეუღლისაგან განქორწინების თაობაზე შემოსული
განცხადების შესახებ და ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც ამ
პირებმა უნდა აცნობონ რეგისტრაციის ორგანოს აქვთ თუ არა მათ
სადავო საკითხები ბავშვების, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში
მყოფი ქონების გაყოფის, ანდა იმ შრომისუნარო მეუღლის სასარგე-
ბლოდ აღიმენტიის გადახდის შესახებ, რომელიც დახმარებას
საჭიროებს. ეს ვადა არ შეიძლება სამ თვეზე მეტი იყოს. დავის
არარსებობის ან დადგენილ ვადაში პასუხის მიუღებლობის შემთხ-
ვევაში, რეგისტრაციის ორგანო ახდენს განქორწინებას და გასცემს
განქორწინების მოწმობას. ვიდრე ყოფილი მეუღლეები არ აიღებენ
განქორწინების მოწმობას, მათ არ შეუძლიათ ხელახლა დაქორ-
წინდნენ.

თუ მეუღლეს, რომელიც მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით
არანაკლებ სამი წლისა, აქვს დავა ბავშვების თაობაზე ან ქონების
გაყოფის შესახებ, ან თუ ქმედუნარო პირის მეურვე მოითხოვს
ქონების გაყოფას ან აღიმენტიის გადახდევინებას, ასეთ შემთხვევებ-
ში განქორწინება მოხდება სასამართლო წესით.

სასამართლოსადმი მიმართვა განცხადებით ქორწინების შეწყვეტის შესახებ შეიძლება, თუ : ა) ერთ-ერთი მეუღლე განქორწინების წინააღმდეგია; ბ) მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები; გ) მეუღლეთა შორის, რომლებიც თანახმა არიან განქორწინებაზე, ადგილი აქვს დავას ქონების გაყოფისა და იმ შრომისუუნარო მეუღლისათვის სარჩოს მიცემის თაობაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს; დ) მეუღლე, რომელიც წინააღმდეგი არ არის განქორწინებაზე, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო თავს არიდებს რეგისტრაციის ორგანოში ერთობლივი განცხადების შეტანას.

სასარჩელო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: სად და როდის იქნა ქორწინება რეგისტრირებული; ჰყავთ თუ არა მეუღლეებს საერთო არასრულწლოვანი შვილები და მათი ასაკი; მიღწეულია თუ არა შეთანხმება მეუღლეებს შორის მათი შვილების რჩენისა და აღზრდის თაობაზე; განქორწინებაზე ურთიერთთანხმობის შემთხვევაში – განქორწინების მოტივი; სხვა მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელთან ერთად განქორწინების შესახებ. სასარჩელო განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა, შვილების დაბადების მოწმობათა ასლები, დოკუმენტები მეუღლეთა ხელფასისა და სხვა შემოსავლების შესახებ (თუ შეტანილია მოთხოვნა ალიმენტის გადახდევინების თაობაზე) და სხვ.

სასარჩელო განცხადება განქორწინების თაობაზე შეიძლება წარადგინოს ერთ-ერთმა მეუღლემ იმ მიზეზით, რომ მეორე მეუღლემ დაარღვია საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები.

სასამართლოს სარჩელით ქორწინების შეწყვეტის შესახებ შეუძლია მიმართოს მხოლოდ მეუღლემ. არც ერთ სხვა პირს (მეურვე, მზრუნველი) არა აქვს უფლება მიმართოს ასეთი სარჩელით სასამართლოს. ახალი საოჯახო კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ ერთადერთ გამონაკლისს ამ საერთო წესიდან. სამოქალაქო კოდე-

ქსის 1123-ე მუხლის თანახმად, ცოლის ორსულობის დროსა და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში, ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე, აღძრას საქმე განქორწინებაზე. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად ცხოვრობს ბავშვი 1 წლის ასაკის მიღწევამდე (დედასთან, მამასთან, ბებიასა თუ სხვა პირებთან). ცოლის თანხმობა განქორწინებაზე უნდა გამოიხატოს წერილობითი ფორმით სარო-ში მეუღლეთა ერთობლივი განცხადების შეტანის ან მეუღლის განცხადებაზე შესაბამისი წარწერის გაკეთების გზით. კანონის აღნიშნული ნორმა განპირობებულია ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვით, რადგან განქორწინების შესახებ საქმეთა განხილვა სასამართლოში დაკავშირებულია მღელვარებასთან, რომლის საშიშროებაც ქალისა და, მით უმეტეს, ბავშვის ჯანმრთელობისათვის, ამ პერიოდში განსაკუთრებით დიდია. წესი ქორწინების შეწყვეტის დაუშვებლობის შესახებ ორსული ცოლის ან იმ დედის თანხმობის გარეშე, რომელსაც ჰყავს ერთი წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვი, ემსახურება ოჯახის განმტკიცებას, რადგან ხშირად ბავშვის შეძენით მეუღლეებს, რომლებიც განქორწინებას აპირებდნენ, უჩნდებათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ქორწინებისადმი, მშობლიური მოვალეობის შეგნება, რაც მათ ეხმარებათ დაძლიონ დროებითი უთანხმოება.

თუ ქმარი, ცოლის ორსულობის დროს ან ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში, მაინც შეიტანს სასარჩელო განცხადებას განქორწინების შესახებ ცოლის თანხმობის გარეშე, მას უარი უნდა ეთქვას განცხადების მიღებაზე, ხოლო თუ იგი მიღებული იყო, სასამართლო ორგანომ წარმოებით უნდა შეწყვიტოს იგი.

სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით პრობლემატურია საკითხი იმის შესახებ, გავრცელდება თუ არა ეს წესი იმ შემთხვევაზე, როდესაც ცოლი ორსულადაა ან მას ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი სხვა პირისაგან. კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას ამაზე, ისევე, როგორც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ცოლი ქმრისგან უნდა იყოს ორსულად. ვფიქრობთ, იმ შემთხ-

ვევაშიც კი, როდესაც დადგენილია, რომ ცოლი ორსულადაა ან მას ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი სხვა მამაკაცისაგან, ქმარს უფლება არ უნდა ჰქონდეს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინების შესახებ. ამ ნორმის დადგენისას კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა არა მამაკაცის უფლებების შეზღუდვა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობა, რადგანაც ნებისმიერი განცდები, სტრესები და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც თან ახლავს განქორწინებას, გავლენას ახდენენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, არ ართმევს ქმარს უფლებას სადავო გახადოს ბავშვის მამობა, ალიმენტის დაკისრების შესახებ საკითხი და ა.შ.

რაც შეეხება ცოლს, მას ნებისმიერ დროს გააჩნია უფლება აღძრას საქმე განქორწინების შესახებ, მათ შორის ორსულობისა და 1 წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის პერიოდშიც.

ქმარი არ არის უფლებამოსილი აღძრას საქმე განქორწინების შესახებ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი არ წარმოადგენს ბავშვის მამას.

მკვდარი ბავშვის დაბადების ან ბავშვის ერთ წლამდე ასაკის მიუღწევლად გარდაცვალების შემთხვევაში, ქმარი უფლებამოსილია, ცოლის თანხმობის მიუხედავად, წარადგინოს სარჩელი განქორწინების შესახებ.

მეუღლეებს უფლება აქვთ აღძრან სარჩელი განქორწინების შესახებ დაქორწინების მომენტიდან ნებისმიერ დროს. სასამართლო წესით განქორწინებისას, ერთ-ერთი მეუღლე გამოდის, როგორც მოსარჩელე, მეორე – როგორც მოპასუხე. ზოგადი წესის თანახმად, მეუღლის მიერ განცხადება განქორწინების შესახებ შეიტანება სასამართლოში მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუ ისინი ერთად ცხოვრობენ, ხოლო ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში – მოპასუხე მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია, მაშინ მოსარჩელე მეუღლეს სურვილის მიხედვით შეუძლია განცხადება შეიტ-

ანოს სასამართლოში, უფრო ზუსტად, მოპასუხის უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან მისი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელესთან იმყოფებიან არასრულწლოვანი ბავშვები ან მოპასუხის საცხოვრებელ ადგილას გამგზავრება გაძნელებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მაშინ სარჩელი შეიტანება მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განქორწინების შესახებ საქმე შეიძლება განიხილოს სასამართლომ, მეუღლეთა შეთანხმებით, რომელიმეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საოჯახო კანონმდებლობა იცავს ოჯახის სიჯანსაღეს. იქ, სადაც მეუღლეებს აერთიანებს გრძნობები, ურთიერთპატივისცემა და საერთო ინტერესები, ოჯახის შენარჩუნება შედარებით ადვილია. ცოლქმრული სიყვარული ერთად ცხოვრების განმავლობაში, ნდობა, მეგობრობა, პატივისცემა, ყველა სიძნელის გადალახვა და ზრუნვა ოჯახზე – დიდი ხელოვნებაა. გულისხმიერება, ტაქტი, ურთიერთმოთხოვნა და, ამასთანავე, მეგობრული მხარდაჭერა და დახმარება – ოჯახის შენარჩუნებისა და განმტკიცების მეტად საიმედო საშუალებებია. პირიქით, უხეშობა, ქმრის გულგრილი დამოკიდებულება ქალის ოჯახური საზრუნავისადმი, მის მიერ ბავშვების აღზრდისა და საოჯახო მეურნეობის წარმართვის მხოლოდ „ქალის საქმედ“ მიჩნევა, პირდაპირი გზაა ოჯახის დანგრევისაკენ. ასეთ ოჯახებში ქმრის ეგოიზმი, ოჯახისადმი აგდებული დამოკიდებულება აქარწყლებს ცოლის გრძნობებს. თავის მხრივ, ცოლი კარგავს ქმრის თვალში ადრინდელ მიმზიდველობას, ვინაიდან მუშაობითა და საოჯახო მეურნეობით დაკავებული ყოველთვის ვერ ასწრებს მისდიოს მოდას, გაიკეთოს თმის ვარცხნილობა, მანიკური, მას დრო არა აქვს წავიდეს კინოში, თეატრში, წაიკითხოს წიგნი ან გაზეთი; მეუღლეთა შორის სულ უფრო და უფრო ხშირდება კინკლაობა, ჩხუბი. ქმარი ვეღარ ჩერდება ოჯახში, რომელმაც დაკარგა მისთვის ინტერესი და ეტანება

„მეგობრებს“, ხოლო ზოგჯერ ნუგეშს პოულობს. სხვა ქალთან, რომელიც კარგად უელის თავს და ბევრ დროსაც ანდომებს თავისი გარეგნობის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, გაუთავებელი დავები იმდენად წამლავს ოჯახურ ცხოვრებას, რომ ამ „სამოთხიდან“ გამოსავალს მეუღლენი მხოლოდ განქორწინებაში ხედავენ.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა არ შეიცავს ქორწინების შეწყვეტის საფუძვლების არც ამომწურავ და არც სანიმუშო ჩამონათვალს.

კანონში განქორწინების წინასწარ დადგენილი საფუძვლების ჩამოთვლა გამოიწვევდა იმას, რომ განქორწინებით დაინტერესებული მხარე შეეცდებოდა თავისი მოსაზრებები ამ საფუძვლებზე დაემყარებინა. ამავე დროს, სასამართლო პრაქტიკაში უკვე გამოიკვეთა განქორწინების ის მოტივები, რაც ყველაზე ხშირად ხდება ოჯახის დანგრევის მიზეზი.

1995 წელს ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებულია 21481 ქორწინება, აქედან შეწყდა 2685, ე.ი. თითქმის ყოველი მერვე ქორწინება; 1996 წელს რეგისტრირებულია 19253 ქორწინება, აქედან შეწყვეტილია 2269; 1997 წელს რეგისტრირებულია 17099 ქორწინება, აქედან განქორწინებულია 2267 წყვილი. ეს ციფრი კიდევ უფრო დიდია თბილისის სინამდვილეში. აქ 1995 წელს რეგისტრირებული 10854 ქორწინებიდან შეწყვეტილია 3260, ე.ი. თითქმის ყოველი მესამე ქორწინება. მთელ ქვეყანაში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე 12-ჯერ გაიზარდა განქორწინებულთა რიცხვი. მაშასადამე, სადღაც „ძაღლის თავია დამარხული“, სადღაც ირღვევა კანონზომიერება ცოლ-ქმრის ურთიერთობაში.

ასეთი დიდი ოდენობით განქორწინების მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ის, რომ დასაქორწინებელი პირები არაკრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენენ ქორწინებისადმი, მათ ღრმად არა აქვთ გააზრებული ცოლქმრული ცხოვრების არსი. განქორწინების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ოჯახთა დიდი უმრავლესობა

იქმნება პირველად ქორწინებათა საფუძველზე (ჩვენს ქვეყანაში 1995 წელს 26 წლამდე ასაკში დაქორწინდა 650 ჯაბუკი და ქალიშვილი). ქორწინდებიან ისეთი პირები, რომლებსაც მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქორწინებასა და ოჯახზე. მაგრამ, როგორც ცხოვრება ადასტურებს, ეს „წარმოდგენა“ საკმარისი არ არის, რათა გამოდგეს მტკიცე ოჯახის შექმნის საფუძველად.

დიდი ენერჯია და სახსრები იხარჯება იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ქორწინების საზეიმო მხარეს. იმის შთაგონება, რომ ქორწინება ეს არის რაღაც სასწაული, რომ ახალგაზრდები უნდა ელოდონ ამ სასწაულს, როგორც ბედნიერებას, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებასთან ერთად აუცილებლად ეწვევა მათ, ცუდ სამსახურს უწევს ახალდაქორწინებულთ.

სინამდვილეში კი არავითარი სასწაული არ ხდება. პირიქით, დროთა განმავლობაში, როგორც წესი, იწყება იმ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის არცთუ იოლი ცხოვრება, რომლებსაც განსხვავებული ხასიათები და თვალსაზრისი აქვთ საოჯახო ცხოვრებაზე (და არა მარტო ამაზე!). ახალგაზრდა მეუღლეებს ყოველთვის როდი აქვთ შეგნებული, რომ ოჯახური ბედნიერება მოიპოვება ერთობლივი შრომით, რომ სიძნელები ოჯახში გარდუვალია, მაგრამ სავსებით დასაძლევია; რომ ურთიერთგაგება, ამავე დროს, ურთიერთდათმობაც არის; რომ ბევრად უფრო იოლია მამად გახდომა, ვიდრე მამად დარჩენა. ყველა ამ ჭეშმარიტებას დროთა განმავლობაში ღრმად სწვდებიან მეუღლეები, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არ ჰყოფნის მოთმინება და, რაც მთავარია, უნარი ჩაწვდეს მათ.

მეუღლეთა შორის საერთო ენის გამონახვასა და ოჯახის განმტკიცებაში, ბუნებრივია, დიდ როლს თამაშობს სიყვარული. ყოველთვის მტკიცეა ის ოჯახი, სადაც ცოლ-ქმარს ბოლომდე უყვართ ერთმანეთი. ე. წ. თაფლობის თვე, რომლის დროსაც მეუღლეები, როგორც ამბობენ, „მეშვიდე ცაზე იმყოფებიან“ და ვერ ამჩნევენ ერთმანეთის ნაკლოვანებებს, თავიანთ სულიერ თუ ფიზიკურ მოთხოვნილებებს

სავსებით უმორჩილებენ სიყვარულს, ყოველივე ეს დაუსრულებლად როდი გრძელდება. თაფლობის თვის შემდეგ, როცა ოჯახი თავის პრობლემას წამოჭრის, როცა ახალშობილი ახალ საზრუნავს წარმოშობს, შეყვარებულები „მეშვიდე ციდან“ დედამიწაზე ეშვებიან. ცხოვრებისეული სიძნელეები, განსხვავებული ჩვევები, მოთხოვნილებები, ოჯახური მოვალეობებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება და ა.შ., ზოგჯერ ნელ-ნელა არღვევს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ საქორწინო კავშირს.

ოჯახური ცხოვრების 2-3 წლის შემდეგ პირველი სიყვარულით გატაცება თანდათან ქრება, მაგრამ სიყვარულის შენარჩუნება, მისი გახანგრძლივება უთუოდ შეიძლება, თუ მას მეგობრობით განვამტკიცებთ. მეგობრობა ის ახალი საძირკველია, რომელიც სიყვარულის პირველ ცეცხლს ენაცვლება. ცხოვრების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ სიყვარულისა და მეგობრობის შერწყმა ადამიანური სიყვარულის ყველაზე მტკიცე, ყველაზე საიმედო საძირკველია. სწორედ მას შეუძლია სიყვარულის გახანგრძლივება, იმ სილამაზის ბოლომდე მიტანა, რისთვისაც ადამიანები ერთმანეთს უკავშირებენ თავიანთ ბედ-იღბალს.

ოჯახის შექმნასა და ოჯახური ცხოვრების დაწყებას რომ მეუღლეთა გარკვეული მომზადება სჭირდება, უდავოა, მაგრამ იქ, სადაც მას გულგრილად ეკიდებიან, საქმე ყოველთვის არ მთავრდება ოჯახის შენარჩუნებით, ხშირ შემთხვევაში კი, ადგილი აქვს განქორწინებასაც. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

... სასამართლომ განიხილა საქმე მეუღლეების – თენგიზისა და მაყვალას განქორწინების თაობაზე.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მეუღლეები ახალგაზრდა, უნარიანი ინჟინრები იყვნენ. დასაწყისში მათი ოჯახური ურთიერთობა კარგად აეწყო. ცხოვრობდნენ თბილისში, ცოლის მშობლებთან და დებთან ერთად, ტკბილად და ბედნიერად. მალე თენგიზი ქუთაისში დაბრუნდა და ცოლთან ერთად დაბინავდა ქარხნის საერთო საცხ-

ოვრებელში. აქ უკვე გამოჩნდა, რომ მეუღლეები აბსოლუტურად არ იყვნენ მომზადებული დამოუკიდებელი ოჯახური ცხოვრებისათვის. მათ არ აღმოჩნდათ უნარი დაეგეგმათ თავიანთი ბიუჯეტი, დაემყარებინათ ოთახში არა მარტო მყუდროება, არამედ ელემენტარული წესრიგიც კი. მაყვალას არც დრო ჰყოფნიდა და არც სურვილი ჰქონდა მოემზადებინა სადილი, გაერეცხა თეთრეული, ხოლო თენგიზისათვის მალაზიაში შესვლა და პროდუქტის ყიდვა საერთოდ უცხო ხილი იყო. თავი იჩინა მეუღლეთა შორის ურთიერთდაუკმაყოფილებლობის გრძნობამ. კინკლაობა მალე გადაიზარდა დიდ ჩხუბში და ოჯახმაც სწრაფად იწყო დაშლა.

ბავშვის დაბადებამ ახალგაზრდა მეუღლეებს სიხარულის ნაცვლად კიდევ უფრო მეტი დავიდარაბა გაუჩინა. საამისოდ ისინი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. დადგნენ რა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ დამოუკიდებლად წარემართათ თავიანთი ცხოვრება – მეუღლეები დაიბნენ, ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ერთმანეთს აბრალედნენ თავიანთ უსუსურობას. სინამდვილეში კი ის, რაც მათ თავს დაატყდათ, იყო არა მათი ბრალი, არამედ მათი უბედურება. როგორც ჩანს, არც მაყვალა და არც თენგიზი არ იყვნენ ბავშვობიდან მომზადებული მომავალი ოჯახური ცხოვრებისათვის. მათი აღზრდისას მშობლებს გამორჩათ ისეთი „წერილმანები“, რომლებიც ბევრად განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრებას. მაყვალა, მართალია, სკოლაში ბევრითად სწავლობდა, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ ამასთან ერთად მას შეასწავლიდნენ საოჯახო საქმიანობასაც (სადილის მომზადება, ოთახების დალაგება, თეთრეულის გარეცხვა და სხვ.).

ხშირ შემთხვევაში მშობლები მთელ თავიანთ ყურადღებას უთმობენ ბავშვების საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობისათვის მომზადებას, ხოლო მათი კარგ მეოჯახეებად აღზრდა მხედველობის გარეშე რჩებათ. თანამედროვე საზოგადოებას სჭირდება ყოველმხრივ მომზადებული პიროვნებები, მაგრამ ადამიანები ასეთებად არ იბადებიან, ისინი ასეთები ხდებიან აღზრდის შედეგად, აღზრდა აყალიბებს

მათ ხასიათს, ეხმარება ადამიანებს სწორად აითვისონ და გამოიყენონ ცხოვრებისეული გამოცდილება.

სამწუხაროდ, გამოუცდელია, უუნარობა შეუთანხმო საკუთარი ინტერესები მეგობრის ინტერესებს, დათმო საკუთარი ჩვევები და სურვილები ახლობელი ადამიანებისათვის, არცთუ იშვიათად იწვევს ოჯახის დაშლას.

უფიქრობთ, მხარდაჭერის ღირსია სამართლებრივ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმული სურვილი კომპლექსური სოციალურ-სამართლებრივი და სამედიცინო კონსულტაციების შექმნის თაობაზე (თუნდაც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებთან), სადაც იურისტები, ფსიქოლოგები, პედაგოგები, ექიმები და სხვა სპეციალისტები შეეცდებოდნენ უზრუნველყოთ დაქორწინების მსურველ პირთა მუდმივი კვალიფიციური დახმარება, მიეცათ რჩევა-დარიგებები საოჯახო-საქორწინო საკითხებზე.¹

განქორწინების ერთ-ერთი მიზეზი, რაც ხშირად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში, მდგომარეობს ქორწინებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში. ზოგიერთი ქორწინება განწირულია დასაწყისშივე. სასამართლოების მიერ განხილულ განქორწინების საქმეთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა მეუღლეები დაქორწინებამდე სულ რამდენიმე დღე ან უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე კვირა თუ იცნობდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ძალიან მალე თავს იჩენს „შეუთავსებლობა ხასიათებში“. სწორედ ამას ადასტურებს ერთად ცხოვრების პირველსავე წელს შეწყვეტილი 610 ქორწინება იმ 17099-დან, რასაც ჩვენს ქვეყანაში ჰქონდა ადგილი 1997 წელს.

ზოგჯერ რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა აუცილებელი საშუალებაცაა, რათა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნეს ყოფილ მეუღლეთა მიერ ფაქტობრივად შექმნილი ახალი ოჯახები. სასამართლოს განქორწინების შესახებ ხშირად მიმართავენ ხოლმე

¹ მ. ბუქია, მტკიცე ფუძე – ჯანსაღი მომავალი, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წელი, 11 მაისი.

მეუღლეები, რომელთაც 10-15 წელზე მეტი ხანია შექმნილი აქვთ სხვა ოჯახები.

დრომოჭმული ტრადიციები, ნეგატიური მოვლენები და სხვა ანტისაზოგადოებრივი წეს-ჩვეულებანი, ხშირად ხდება ოჯახის დანგრევის საფუძველი. სამწუხაროდ, ნეგატიური მოვლენების მომდღავრების პერიოდში ახალი ოჯახის შექმნის პრობლემა აქა-იქ ქონებრივი მდგომარეობის, სიმდიდრისა და კარიერის შექმნის ინტერესებს გადაენასკვა. სახელმწიფოსა და საზოგადოების ხარჯზე გამდიდრებულნი „სასიძოებს“, „საპატარძლოებს“ და მათ ოჯახებს უცხოური მსუბუქი ავტომანქანების „გასაღებებს“, ახლად ამენებულ საცხოვრებელ ბინებს, უცხოურ გარნიტურებს, ძვირფას სამკაულებს, დიდძალ ფულად სახსრებს, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლას, მოდურ სამოსსა და მაღალ თანამდებობებსაც კი სთავაზობენ.

ანგარებაზე დამყარებული ოჯახის წევრებს „ბედი“ არასდროს არ სწყალობდა. ქალ-ვაჟის „შეერთება“ და „გაყრა“ ერთგვარ „მოდად“ იქცა, რამაც არაერთი ასეთი ოჯახის დაშლა გამოიწვია.

განქორწინების საფუძველი ხშირად ხდება ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორცაა ლოთობა.

ალკოჰოლი ოჯახის მოსისხლე მტერია. ლოთობა გამორიცხავს მეუღლეთა შორის მშვიდობითა და თანხმობით ცხოვრებას, უსპობს მათ სიმშვიდეს, აუფერულებს საუკეთესო ბავშვობის წლებს, ხელს უშლის ბავშვების წესიერად აღზრდასა და სწავლას სკოლაში, ხელს უწყობს მახინჯ მიდრეკილებათა გამოვლენას, ბავშვებს აყენებს სულიერ ტანჯვასა და მატერიალურ ზიანს. სწორედ ასეთ ოჯახში, როგორც წესი, ყალიბდება „ძნელადაღსაზრდელი“ ბავშვი.

განქორწინების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი არის ლოთობა. სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ განქორწინებათა თითქმის ნახევარი გამოწვეულია ერთ-ერთი მეუღლის, უმთავრესად, ქმრის მიერ ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენებით. განა სიმთვრალე არ არის მიზეზი მეუღლის ფიზიკური შეურაცხყოფისა, ცოლქმრული

ღალატისა, რომლის წილადაც განქორწინებათა ერთი მეექვსედი მო-
დის?! თავმოყვარე ცოლები ხშირად თავიანთი ქმრების სიმთვრალეს
ფარავენ მეტად „უწყინარი“ მიზეზით, რომელიც თითქოსდა ხასიათის
შეუწყობლობაში გამოიხატება.

ჩეხმა მკვლევრებმა შეისწავლეს 40 ქრონიკული ალკოჰოლიკის
ცოლების მდგომარეობა. აქედან მხოლოდ ხუთს არ აღმოაჩნდა
ცოლქმრული ცხოვრების პერიოდში განვითარებული და ქმრების
ლოთობასთან დაკავშირებული ფსიქიკური პათოლოგია. ბევრი ალკო-
ჰოლიკი საბოლოოდ განწირულია, ბევრი მათგანი სოციალურად
მკვდარია. ამიტომ, როცა სასამართლოში იხილება საქმეები გან-
ქორწინების თაობაზე აღნიშნული მიზეზით, მოსამართლეს უეჭვე-
ლად უნდა ახსოვდეს მათ გვერდით მცხოვრები ადამიანები, ისინი,
ვისაც ლოთებმა ჯერ კიდევ ვერ მოუღეს ბოლო. უპირველეს ყოვ-
ლისა, იმათზე უნდა იფიქრონ, ვინც ლოთების მიზეზით ინვალიდი
ხდება. რაც უფრო მკაცრად მოექცევა მათ საზოგადოება, მით უკე-
თესია ლოთებისთვისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ საზოგადოებაზე;
ჰუმანიზმი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმათ მიმართ, ვინც იმ-
სახურებს ჰუმანურ მოპყრობას.

განქორწინების მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე უშვილობა, იძუ-
ლებითი განშორება, გერები, მშობლების ჩარევა, განსხვავებული რე-
ლიგიური შეხედულებანი, მეუღლეთა პირადი ღირსების შელახვა, ერთ-
ერთი მეუღლის მიერ დაავადების დაფარვა დაქორწინებისას და სხვა.

განქორწინების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საფუძველს
წარმოადგენს ეჭვი, განსაკუთრებით კი, პათოლოგიური. ეჭვი – ეს
არის სიყვარულის გრძნობის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენ-
ტი, რომელიც გამოიხატება საპასუხო გრძნობის აღძვრის შეუ-
ძლებლობაში. ეჭვის გრძნობა თანმდევია თითქმის ყველა ადამიან-
ისათვის, თუმცა სხვადასხვაგვარია მათი დამოკიდებულება მისად-
მი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეჭვის გარეშე შეუძლებელია სიყვარუ-
ლი, ხოლო მეორენი კი მას აღიქვამენ, როგორც ადამიანისათვის
დამამცირებელ და შეუფერებელ გრძნობას.

განქორწინების შესახებ სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეჭვი არის მრავალი ოჯახის დაშლისა და ნგრევის საფუძველი, რომ ეჭვის საფუძველზე ხდება უმძიმესი დანაშაულები და იგი ადამიანში იწვევს განსაკუთრებულ სტრესულ მდგომარეობას.

ეჭვიანი ადამიანი განიცდის ტანჯვას არა მხოლოდ საყვარელი ადამიანის მიმართ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავის მიმართ. ასეთ ტანჯვას მიჰყავს იგი ყოველგვარი ადამიანურობის თვითმკლევლობისაკენ.

დიდი ფრანგი მეცნიერი ანრი ეი ასე ახასიათებს ეჭვიანობას: „ეს არის ავადმყოფური შეგრძნება დანაკარგისა, ეს არის ენება, აღსავსე მრისხანებით, შიშით, ეს არის ტანჯვა, გამოწვეული და გამძაფრებული მეტოქის წარმოდგენით“. ძალზე საინტერესოდ მიუთითებდა ეჭვიანობაზე სპინოზა: „ეჭვიანობა – ეს არის სიძულვილისა და სიყვარულის ნაერთი“. ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნული მოსაზრებები დაედო საფუძვლად იმ აზრის ჩამოყალიბებასაც, რომ ნორმალური ეჭვიანობა სიყვარულის გამოხატულებაა. სიყვარული და ეჭვიანობა მზესა და ჩრდილს წააგავს, რაც უფრო ჩახჩახაა მზე, მით უფრო მკვეთრია ჩრდილი. ბოლოვით ეჭვიანობა ჩნდება მაშინ, როცა სიყვარული აღარ არსებობს.

ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა ვ. ბელინსკიმ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ეჭვის მიმართ და, ვფიქრობთ, სრულიად მართებულად მიუთითა, რომ „ეჭვი, არასაკმარისი საფუძველით არის მდებარე ადამიანთა ავადმყოფობა, რომლებიც პატივს არ სცემენ არც საკუთარ თავს და არც მათი სიყვარულის საგანს. ეჭვი უცილობლად ითვალისწინებს შეურაცხყოფისა და შურისძიების წყურვილს. უსაფუძველო ეჭვი კი ხშირ შემთხვევაში გადაიზრდება მეუღლის მიმართ სიძულვილსა და მტრულ დამოკიდებულებაშიც კი“¹.

სუბიექტურად ეჭვი სიყვარულის სადარაჯოზე ღვას, მაგრამ ობიექტურად ღუპავს მას. თუ ის ეფუძნება მხოლოდ ეჭვიანი ადამიანის

¹ В.Г.Белинский, „Сочинение, М., 1943 г. т. III, с. 455

მოსაზრებებს, მაშინ მის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს ურთიერთობათა გამძაფრება, რასაც, საბოლოო ჯამში, შეუძლია საქორწინო კავშირი დაშლამდე მიიყვანოს. ეჭვიანობის სცენებს შეუძლიათ მხოლოდ შეურაცხუნ ადამიანის გრძნობები და გამოააშკარაონ თავისი სისუსტე. ბევრ პათოლოგიურად ეჭვიან ადამიანს წამალი ისე არ შეეღობა, როგორც განქორწინება – ეს იცავს მათ კრიმინალური ქმედებისაგან, ლოთობისა და ნევროზისაგან.

განქორწინების საფუძველი აღნიშნულის გარდა, შეიძლება იყოს სხვა გარემოებაც, რაც დაადასტურებს, რომ ოჯახის შენარჩუნება, ან უკვე ფაქტობრივად შეწყვეტილი ქორწინების აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ოჯახში დროებითი განხეთქილება, მეუღლეთა შორის დროებითი კონფლიქტები, რაც გამოწვეულია შემთხვევითი მიზეზებით, არ შეიძლება მივიჩნიოთ განქორწინების საკმარის საფუძველად.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი განქორწინების საფუძველები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება პრაქტიკაში, ამომწურავი არ არის. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არც ერთ აქ ჩამოთვლილ საფუძველს აბსოლუტური საბაბის პრეტენზია არა აქვს. პრაქტიკა იმის მრავალმაგალითს იძლევა, როდესაც ერთი და იგივე მოტივი ერთ შემთხვევაში საკმარისი საფუძველია განქორწინებისათვის, ხოლო სხვა შემთხვევაში – არა.

კანონი სასამართლოს აკისრებს მოვალეობას, უწინარეს ყოვლისა, მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად. მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შერიგებისათვის, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა. კონკრეტულ ვადას ნიშნავს სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. სასამართლო, ოჯახის შენარჩუნების მიზნით, უფლებამოსილია საქმის განხილვა გადადოს რამდენჯერმე იმ ვარაუდით, რომ, საერთო ჯამში, არ გადაამეტოს კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადას.

მეუღლეთა შერიგება მეტად რთული საქმეა, განსაკუთრებით მაშინ, თუ კონფლიქტი იმდენად გაღრმავებულია, რომ ერთ-ერთი (ან ორივე) მხარე მიმართავს სასამართლოს განცხადებით განქორწინების შესახებ. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა გვარწმუნებს, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს კანონით გათვალისწინებულ მხარეთა შერიგების წესს.

სტატისტიკური მონაცემებით თბილისის სასამართლოების მიერ განქორწინების შესახებ განხილული საქმეების 20-25 პროცენტი მთავრდება მხარეთა შერიგებით სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. აი, მაგალითიც:

...ცოტა ხნის წინათ ნონა და ვაჟა ბედნიერები იყვნენ. მათი მეგობრობა და სიყვარული დაიწყო ინსტიტუტში პირველ კურსზე. ინსტიტუტის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე ისინი დაქორწინდნენ. თავიანთი ოჯახური ცხოვრება მათ თვითონ მოაწყვეს მშობლების დაუხმარებლად, ორივე მუშაობდა, ოჯახურ საზრუნავსა და ბავშვის აღზრდის სიძნელებსაც თანაბრად ინაწილებდნენ. მეუღლეებისათვის უცხო იყო ოჯახური უსიამოვნება, მათი ცხოვრება მშვიდად და მეგობრულად მიედინებოდა. ერთხელ აღელვებული ნონა გამოუტყდა მეუღლეს: „მე სხვა მიყვარს, შენი მოტყუება არ შემიძლია და ამიტომ უნდა განვქორწინდეთ“. ვაჟას ნონასა და შვილის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება, მაგრამ საყვარელი ადამიანის ბედნიერებისათვის, ყოველგვარი საყვედურების გარეშე, თანახმა იყო განქორწინებაზე. ამ ფაქტის გამო ვაჟამ ღრმად ჩაიმარხა გულში თავისი უდიდესი მწუხარება.

ნონამ სასამართლოს მიმართა განცხადებით განქორწინების თაობაზე. ორივე მეუღლეს მიაჩნდა, რომ მათ შორის ქორწინება უნდა შემწყდარიყო... მაგრამ „ოჯახში გყავთ ოთხი წლის ვაჟი, – მოაგონებს მოსამართლე მეუღლეებს. – ვისთან იქნება ბავშვი? როგორ მოეპყრობა მას ის ადამიანი, ვისაც უნდა დაუკავშიროს მოსარჩელემ თავისი მომავალი ცხოვრება, ანდა იმ ფაქტს, რომ მას ჰყავს შვილი? ნახა მან ბავშვი? ან ბავშვი მონიღომებს მამასთან განშორებას?“

ნონა შეცბა ამ შეკითხვებით. მას არ შეეძლო გარკვევით ეპასუხა რამე. მას არ ჰქონია ინტიმური კავშირი იმ პირთან, რომელიც შეუყვარდა, არც იმ უკანასკნელს უნახავს მისი ბავშვი და არც ბავშვმა არ იცოდა არაფერი მის შესახებ.

მოსამართლე ეკითხებოდა მეუღლეებს და ყურადღებით აკვირდებოდა მათ სულიერ მდგომარეობას. ვაჟას სიყვარული და შიში მეუღლისა და ბავშვის ბედზე ეჭვს არ იწვევდა. სასამართლოს არც ნონას შეშფოთება, ქმრისადმი მისი კეთილგანწყობილება და ქმრის კეთილშობილური მოქმედებისადმი პატივისცემა არ გამოჰპარვია მხედველობიდან. ინგრეოდა კარგი მეგობრული ოჯახი... ხომ არ აჯობებდა ნონას კიდევ ერთხელ შეემოწმებინა თავისი თავი, ვიდრე ოჯახის ყოფნა-არყოფნის ბედს გადაწყვეტდა? განა უკეთესი არ იქნებოდა დაფიქრებულიყო და დაეთრგუნა მასში უეცრად გაჩენილი გრძნობა, რომელიც ვინ იცის, ისევე მალე გაქრეს, როგორც მალე გაჩნდა. „ნუ იჩქარებთ! – მიმართავს მოსამართლე ნონას, – თქვენ გყავთ პატარა ვაჟი, რომელიც იკითხავს: – სად არის ჩემი მამა? ეს ძია კი ვინაა? – როგორ შეძლებთ განუმარტოთ მას, რაც ოჯახში მოხდა, როგორ ანუგეშებთ მას?“

სასამართლო სხდომის დარბაზში დაძაბული სიჩუმე იდგა, რას უპასუხებდა სასამართლოს ეს ქალი? იგი დიდხანს დუმდა, დაბოლოს თქვა: „გთხოვთ... ნუ გადაწყვეტთ ახლა... ჩემთვის ძნელია... მომეცით დრო კიდევ ერთხელ გავიაზრო“... და მოსამართლემ მისცა ასეთი შესაძლებლობა – სამი თვის ვადა შესარიგებლად...

არ შეიძლება შერიგებისათვის ვადის დადგენა იმ შემთხვევაში, როდესაც განქორწინების საფუძველი უმნიშვნელოა. ასეთ დროს მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელზე.

სასამართლოს მიერ შესარიგებლად დადგენილი ვადა შეიძლება შემცირდეს, თუ წარმოიშობა ისეთი ახალი გარემოება, რაც უტყუარად დაადასტურებს ოჯახის სრულ და საბოლოო დანგრევას და საქმის არსებითად განხილვის აუცილებლობას აღნიშნული ვადის გასვლამდე.

თუ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მეუღლეები შერიგდებიან, მაშინ საქმე წყდება წარმოებით.

სამოქალაქო კოდექსი არ ზღუდავს რაიმე ვადით მეუღლის უფლებას მიმართოს სასამართლოს ქორწინების შეწყვეტის ან მეუღლეთა შერიგების გამო საქმის წარმოებით შეწყვეტის თაობაზე, განჩინების გამოტანის ან განქორწინების შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. მეუღლეს, რომელსაც ოჯახური ცხოვრების გაგრძელება არ შეუძლია, უფლება აქვს განმეორებით მიმართოს სასამართლოს. ჩვეულებრივ, მეუღლე (ან მეუღლეები) განმეორებით მხოლოდ მას შემდეგ მიმართავს სასამართლოს სარჩელით, როდესაც გავა საკმაო ვადა იმ სარჩელზე უარის თქმიდან, რომელიც მეუღლეებს შესაძლებლობას აძლევდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ვერ შეძლებენ ოჯახის აღდგენას და რომ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. ქორწინება, როგორც წესი, ამ შემთხვევაში უნდა შეწყდეს, მაგრამ თუ მეუღლე (მეუღლეები) სარჩელზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე კვლავ მიმართავს სასამართლოს, მაშინ მოსამართლე მოვალეა უარი თქვას განცხადების მიღებაზე მას შემდეგ, როდესაც გამოარკვევს, რომ ასე მოკლე ვადაში რაიმე არსებითად ახალი არ შეიძლება მომხდარიყო მათ ოჯახურ ცხოვრებაში.

განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ შესარიგებლად მიღებული ზომების მიუხედავად, მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია და განქორწინების მოთხოვნა გამოწვეულია ღრმად მოფიქრებული და დასაბუთებული მიზეზით.

განქორწინების შესახებ საქმე, როგორც წესი, განიხილება სასამართლოს ღია სხდომაზე, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ საქმე განიხილებოდეს დახურულ სხდომაზე (ძირითადად, მეუღლეთა შესახებ ინტიმური ცნობების განხილვის გამო). საკითხს ამის შესახებ წვევტილს სასამართლო საკუთარი ინიციატივით, ან მეუღლეების თხოვნით.

როდესაც ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს განქორწინებაზე, სასამართლო მოვალეა გამოარკვიოს განქორწინების მოტივები, ხოლო განქორწინებაზე ორივე მეუღლის თანხმობის შემთხვევაში, მოტივის დადგენა სავალდებულო არ არის.

როდესაც სასამართლო დაადგენს მხარეთა ნამდვილ ნებას, დარწმუნდება, რომ განქორწინება უნდა როგორც ქმარს, ისე ცოლს, და რომ ეს დასაბუთებულია სერიოზული მოსაზრებებით, მან უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში, სარჩელზე უარი ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა „ბრძანებით“: „იცხოვრეთ ერთად!“, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეებს არა აქვთ ერთად ცხოვრების არავითარი სურვილი. ცხადია, არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ იმის ცდა, რომ ხელოვნურად შთაბეროთ სული უსიცოცხლო ქორწინებას, რომ ადამიანებს თავს მოვახვიოთ საერთო ჭერი, როდესაც მათ შორის არ არის სიყვარული, ხოლო ზოგჯერ უბრალო პატივისცემაც კი; ანდა კიდევ უფრო უარესი, როდესაც არის მხოლოდ სიძულვილი, უსიამოვნება, რომლისგანაც სული ეხუთებათ თვითონ მათ, მათ შვილებსა და ირგვლივ მყოფთ. ცხადია, ამ შემთხვევაში არადამაჯერებელი იქნებოდა მითითება ბავშვების ინტერესებზე, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ ოჯახში არ შეიძლება იყოს კეთილსასურველი პირობები მათი აღზრდისათვის.

ქ. თბილისის სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა გვარწმუნებს, რომ იმ საქმეთა რიცხვი, რომელთა გამოც სასამართლო უარს ამბობს ქორწინების შეწყვეტაზე, ძალიან ცოტაა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხერხდება ოჯახის შენარჩუნება, თუ გულდასმით შემოწმების შემდეგ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ კონფლიქტის მიზეზების თავიდან აცილება შეიძლება, რომ მოთხოვნა ქორწინების შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული არ არის სერიოზული მოტივებით. ასე მაგალითად, გ-ს საქმეზე სასამართლომ უარი თქვა ქორწინების შეწყვეტის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე სარჩელს ასაბუთებდა იმით, რომ ცოლმა და სიდედრმა მას არანორ-

მალური პირობები შეუქმნეს ოჯახური ცხოვრებისათვის. მოპასუხემ უარყო სარჩელი და დაჟინებით მოითხოვა შერიგება. საქმის გარემოებათა გულდასმით შესწავლამ სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ ოჯახში წარმოიშვა ღრობითი კონფლიქტი და, რომ ოჯახის შენარჩუნება და მშობლების მიერ ორი წლის ბიჭის ერთად აღზრდა სავსებით შესაძლებელია. ამ გადაწყვეტილების სისწორე იმით დადასტურდა, რომ მეუღლეები შემდგომში შერიგდნენ და ოჯახშიც სავსებით ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო, აუცილებლობის შემთხვევაში, მოვალეა მიიღოს ზომები არასრულწლოვანი შვილებისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად, იმ ქონების გასაყოფად, რაც მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას წარმოადგენს¹.

ჩვეულებრივ, მშობლები ურთიერთშეთანხმებით თვითონ წყვეტენ თუ რომელი არასრულწლოვანი შვილი იცხოვრებს მათთან, მაგრამ თუ განქორწინების შემდეგ ვერ შეთანხმდებიან შვილების საცხოვრებელი ადგილის შესახებ და მათ სარჩენად გადასახდელ სახსრებზე, სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი, რომელ მშობელთან რომელი ბავშვი დარჩება და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს სარჩო (ალიმენტი). ამასთან, კანონი არ შეიცავს რაიმე პრეზუმფციას დედის ან მამის სასარგებლოდ.

უმეტეს შემთხვევაში, ბავშვების გამო დავის დროს მშობლები ხელმძღვანელობენ წრფელი სიყვარულით შვილებისადმი, მაგრამ სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც მშობლები ყველანაირად ცდილობენ მიაღწიონ ბავშვის მათთან დარჩენას მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავი აარიდონ ალიმენტის გადახდას, მიიღონ მეტი საცხოვრებელი ფართობი, შური იძიონ იმ მეუღლეზე, რომელიც განქორწინების ინიციატორია, აიძულონ იგი

¹ თუ სასამართლო უარს ეტყვის მეუღლეებს განქორწინებაზე, მაშინ აღნიშნული საკითხები განიხილება დამოუკიდებელი წარმოების წესით.

განაახლოს ცოლქმრული ურთიერთობა და ა.შ.

როდესაც სასამართლო დაადგენს ანგარებით მოტივებს, დავას შვილების გამო წყვეტს მეორე მეუღლის სასარგებლოდ.

უფრო რთული გადასაწყვეტია შვილებთან დაკავშირებული დავები იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მშობელი ცდილობს ბავშვი მას დარჩეს წმინდა მშობლიური სიყვარულის გამო, რომ ორივე მშობელს სურს ყოველთვის იყოს შვილთან და აღზარდოს იგი.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უნდა გამოდიოდეს, უწინარეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებიდან და ითვალისწინებდეს, რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, აგრეთვე შვილების ასაკს და მათ პირად მიდრეკილებას ერთ-ერთი მშობლისადმი. ბავშვების სწორად აღზრდა ოჯახში მარტო მატერიალურ და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებზე როდია დამოკიდებული. ერთ-ერთი მშობლის უპირატესობა მატერიალური ან საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ, თავისთავად არ შეიძლება იყოს ბავშვის ამ მშობლისათვის აღსაზრდელად გადაცემის ძირითადი საფუძველი. ამავე დროს, ბავშვის სწორად აღზრდას ოჯახში დიდად ეხმარება მისი მიჩვევა და დაახლოება აღმზრდელისადმი, რაც არასრულწლოვანთა წარმატებით აღზრდის ერთგვარი საწინდარია. ამიტომ, სასამართლოს მართებს გაითვალისწინოს ბავშვის აზრი და სურვილი. ამასთან ერთად, ბავშვის მიერ გამოთქმულ სურვილს სასამართლო არ მიიღებს მხედველობაში, თუ იგი ბავშვის ინტერესებს არ შეესაბამება. არასრულწლოვანის უფრო მეტი სიახლოვე და მიჩვევა ერთ-ერთი მშობლისადმი ძნელი ასახსნელია, თუ არ არის ცნობილი მისი წარმომშობი მიზეზები, ე.ი. ბავშვის ასეთი დამოკიდებულება ერთ-ერთი მშობლისადმი ამ უკანასკნელის მიერ მშობლიური მოვალეობისადმი გონივრული მიდგომის შედეგია, თუ იგი გამოწვეულია სურვილით, მოიპოვოს ბავშვის კეთილგანწყობილება ყოველგვარი, თუნდაც ანტი-პედაგოგიური ღონისძიებების ფასად. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან 13 წლის ბავშვის თაობაზე დავის შესახებ:

... გვიც ცხოვრობდა მამასთან და არ უნდოდა დედასთან დაბრუნება, რომლის ინიციატივითაც მოხდა განქორწინება. ბიჭს მოსწონდა, რომ იგი შებოჭილი არ იყო რეჟიმით, არავინ აკონტროლებდა მის მოქმედებას, მამა ყოველგვარ სურვილს უსრულებდა, რისი წინააღმდეგიც იყო დედა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ბავშვს არ უნდოდა დედასთან ცხოვრება. რასაკვირველია, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ბავშვის ასეთი სიახლოვე მამასთან, განპირობებული აღნიშნული მიზეზებით და მივიდა დასკვნამდე, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მას დედასთან უნდა ეცხოვრა და არა მამასთან.

ერთ-ერთ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო არა მარტო 11 წლის დათოს სიახლოვე და მიჩვევა მამისადმი, არამედ ამის გამომწვევი მიზეზებიც. მამა ცდილობდა განეეითარებინა ცნობისმოყვარე ბიჭუნას ინტერესები; მამა და შვილი ხშირად დადიოდნენ მშობლიური ქალაქის ღირშესანიშნაობათა სანახავად, ერთად სწავლობდნენ უცხო ენებს, თავისუფალ ღროს ერთად ისვენებდნენ, დადიოდნენ სათევზაოდ, მსჯელობდნენ წაკითხულ წიგნებზე, ამიტომ, ამ შემთხვევაში, ბავშვის დატოვება მამასთან საკვებით გამომდინარეობდა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან.

შვილების შესახებ დავების ღროს მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. ამ ორგანოთა ამოცანაა ყოველმხრივ გამოიკვლიონ ის პირობები, რაც ორივე მეუღლეს აქვს შვილების აღსაზრდელად. გამოკვლევა, რომელსაც ადგილზე ატარებს კანათლების რაიონული ან საქალაქო განყოფილების წარმომადგენელი (ჰედაგოგი, აღმზრდელი, ინსპექტორი), ფორმდება მოტივირებული დასკვნის სახით, რომელიც უნდა შეიცავდეს მშობლების, როგორც აღმზრდელების, მორალური თვისებების შეფასებას ბავშვისა და თითოეული მშობლის ურთიერთდამოკიდებულების დახასიათებას, აგრეთვე მონაცემებს საბინაო-საყოფაცხოვრებო და სხვა პირობების შესახებ, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის

გადაწყვეტისათვის და დასკვნას იმაზე, თუ რომელ მოდავე მხარესთან უნდა დარჩეს ბავშვი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, სასამართლოს მსგავსად, გამოდიან იქიდან, რომ მშობლის ხელფასის ოდენობასა და სხვა მატერიალურ პირობებს არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ისინი მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათი ასაკის ან პირობების გასაუმჯობესებლად მშობლების პერსპექტივების გათვალისწინებით და ა.შ. ყველა ამ ფაქტორის შეფასებასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის დახმარება, რასაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უწევენ მშობლებს.

ყველა გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე სასამართლო წყვეტს, რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩება.

ბავშვების ინტერესები არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული კატეგორია. ამ ცნების შინაარსი იცვლება და დამოკიდებულია ბავშვების ასაკზე, მათი განვითარების მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ამიტომ, განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ბავშვის რომელიმე მშობელთან დარჩენის შესახებ, შეიძლება წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს მოზრდილი ბავშვის ინტერესებთან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დადგეს საკითხი ამ ბავშვის მეორე მშობლისათვის გადაცემის თაობაზე.

... სასამართლომ დააკმაყოფილა ს-ს სარჩელი მისთვის აღსაზრდელად 1991 წელს დაბადებული შვილის, თამაზის გადაცემის შესახებ, რომელიც ადრე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დედასთან დარჩა. ამ სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლომ იხელმძღვანელა იმით, რომ დედის ხელახლა დაქორწინების შემდეგ შვილისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. მოპასუხე და მისი „ახალი“ ქმარი ცუდად ეპყრობოდნენ ბავშვს, სისტემატურად ტოვებდნენ ოჯახში მეთვალყურეობის გარეშე, მოპასუხის ქმარი ხშირად მიდიოდა შინ მთვრალი, რაც

დამლუპველად მოქმედებდა ბავშვის მომავალზე. მოსარჩლე მშობელი კი დადებითად ხასიათდებოდა როგორც სამუშაო, ისე საცხოვრებელი ადგილიდან, მას უყვარდა ბავშვი.

შვილების შესახებ დავების განხილვის დროს სერიოზული სიძნელებები წარმოიშობა, თუ მშობლებს რამდენიმე შვილი ჰყავთ. ასეთ შემთხვევებში გამორიცხულია მექანიკური მიდგომა შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისადმი, როდესაც შვილების ინტერესების გაუთვალისწინებლად მათ ერთმანეთს ამორებენ და ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ბავშვები, ერთად აღზრდის გამო, მიჩვეულნი არიან ერთმანეთს და განცალკევება უარყოფითად იმოქმედებს მათ ფსიქიკაზე. ამიტომ, უნდა დავეთანხმოთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ბავშვების დაცილება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არა აქვს შესაძლებლობა შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები.

ბავშვების განცალკევებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ბავშვების ინტერესების სასარგებლოდ. როგორც წესი, ბავშვები არ უნდა დააშორონ ერთმანეთს, მაგრამ როდესაც ეს აუცილებლობითაა გამოწვეული და ბავშვების ინტერესებს შეესაბამება, სასამართლოს შეუძლია ზოგიერთი ბავშვი დაუტოვოს დედას, ხოლო ზოგიერთი მამას გადასცეს.

განქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხთა რიგს განეკუთვნება განქორწინებულ მეუღლეთა გვარის შესახებ საკითხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1133-ე მუხლის თანახმად, მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი ან მოითხოვოს ქორწინებამდელი გვარის დაბრუნება. უფრო მეტიც, განქორწინებულ მეუღლეს არა აქვს უფლება მოსთხოვოს ყოფილ მეუღლეს ქორწინებამდელი გვარის დაბრუნება. მეუღლის უფლება, განქორწინების შემდგომ ატაროს ქორწინების პერიოდში შეძენილი გვარი, შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი გარემოებებით: ქორწინების

პერიოდში გაკეთებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით (მაგალითად, დიპლომის, პასპორტის აღება და ა.შ.), ან ხანგრძლივი ცოლქმრული ცხოვრების პერიოდში მეუღლის გვარის მიჩვევით, რის გამოც იგი საჭიროდ არ თვლის ქორწინებამდელი გვარის დაბრუნებას და სხვა.

თუ სასამართლო განხილვის დროს არ იყო გაცხადებული გვარის შეცვლის შესახებ, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ამის თაობაზე განაცხადონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დროს. მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნება აღინიშნება ჩანაწერში განქორწინების შესახებ.

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო განსაზღვრავს თანხას 50-200 ლარამდე, რომელიც უნდა გადახდეს ერთ-ერთ ან ორივე მეუღლეს განქორწინების მოწმობის გაცემისას. თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხის (ბაჟის) გადახდას თავისი მიზანი აქვს, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ მხარეთა, არამედ სახელმწიფო ინტერესების დაცვას. კერძოდ, იგი მიმართულია სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გაკეთებულ ჩანაწერსა და განქორწინების მოწმობის გაცემასთან, აგრეთვე სხვა დოკუმენტების მომზადებასთან.

სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისას მხედველობაში უნდა მიიღოს მეუღლეთა მატერიალური მდგომარეობა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისას. უფრო მეტიც, მას შეუძლია ერთი მხარე გაათავისუფლოს ბაჟის გადახდისაგან და კანონით გათვალისწინებული ბაჟის მთელი ოდენობის გადახდა დააკისროს მეორე მეუღლეს იმის გათვალისწინებით, თუ ვინ არის განქორწინების ინი-

ციატორი და რა მოტივები უდევს საფუძვლად ასეთ მოთხოვნას.

ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან და არა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან (როგორც ეს გადაწყვეტილია რუსეთის, ბელორუსიის კანონმდებლობით).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ახალი სამოქალაქო კოდექსის მიდგომა ისეთივე დარჩა, როგორც იყო ადრე მოქმედ საქორწინოსაოჯახო კოდექსში. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას ძვილად შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული წესი მეუღლეებში იწვევს სამართლებრივ გაურკვევლობას, თუმცა აღნიშნულს გააჩნია თავისი გამამართლებელი მოტივებიც.

მეუღლეები, მიმართავენ რა სასამართლოს განქორწინების თაობაზე სასამართლოს განსჯადობისათვის მიკუთვნებული საფუძვლით, დარწმუნებულნი არიან რომ, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისინი ჩაითვლებიან „თავისუფალ ადამიანებად“ და, აქედან გამომდინარე, მიიღებენ მათთვის სასურველ სამართლებრივ შედეგებსაც. როგორც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებიდან ჩანს, ეს სულაც არ არის ასე. მეუღლეები განქორწინებულად ითვლებიან მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და აღნიშნულის დაფიქსირებამდე მათთვის არავითარი სამართლებრივი შედეგები განქორწინების შესახებ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, არ დადგება. ვითვალისწინებთ რა სამოქალაქო აქტების შესახებ სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციის მნიშვნელობასა და კანონის ჰუმანურ დამოკიდებულებას მეუღლეთა შემდგომი თანაცხოვრებისადმი, მიგვაჩნია, რომ კანონის მოთხოვნა სამი წლის განმავლობაში მეუღლეთა მიერ განქორწინების შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აუცილებელი რეგისტრაციისათვის, სრულიად მართებულია. თუმცა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში კანონმდებლობით ქორწინება შეწყვეტილად ითვლება არა სამოქალაქო

აქტების რეგისტრაციის ორგანოში მისი რეგისტრაციის დღიდან, არამედ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში:

ა) თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება;

ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;

გ) სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ, როდესაც გადაწყვეტილება ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გასაჩივრებულია სააპელაციო წესით და იგი არ გაუქმებულა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ გასაჩივრებული იყო, საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუქმებულა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, აღსრულდება ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით არა უგვიანეს სამი წლისა კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლის დღიდან, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრაციის საშუალებით (სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლები).

მაშასადამე, განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია განპირობებული უნდა იყოს არა მხოლოდ რეგისტრაციის ზოგადი პრინციპებითა და მიზნებით, არამედ იმითაც, რომ პირმა ხელმეორედ დაქორწინებისას წარმოადგინოს კანონით განსაზღვრული სარო-ს მიერ გაცემული მოწმობა განქორწინების შესახებ, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება კოდექსის

1120-ე მუხლით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის ფაქტი.

საოჯახო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებზე, მათ შორის განქორწინებაზე, სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის მიზნით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის მიდგომას განქორწინებისადმი.

ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები პირობითად შესაძლებელია დავყოთ სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან სახელმწიფოები, რომლებიც საერთოდ არ უშვებენ განქორწინებას მეუღლეთა სიცოცხლეში, ე.ი. კრძალავენ მას. მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადების ფაქტს შეუძლია შეწყვიტოს ქორწინება. ასეთებს განეკუთვნება: ირლანდია, ვატიკანი, ესპანეთი, არგენტინა, კოლუმბია, ჩილე, ანდორა, სან-მარინო. განქორწინების შესახებ ახალი კანონის მიღებამდე (1970 წლამდე) ამ ჯგუფს განეკუთვნებოდა იტალიაც. ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია კათოლიკური რელიგია, განქორწინების წინააღმდეგ განსაკუთრებით ილაშქრებს ეკლესია. კათოლიკური რელიგიის ქვეყნებისათვის განქორწინების დაუშვებლობის იდეა საბოლოოდ მიღებულ იქნა XVI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიების კრებაზე, ტრიდენტის ტაძარში. ამით კათოლიკური რელიგიის დოგმატურმა მიდგომამ საოჯახო ურთიერთობების მიმართ ერთხელ კიდევ განამტკიცა მისი უარყოფითი დამოკიდებულება განქორწინებისადმი. მაგრამ, შემოიღო ისეთი ცნება, როგორც არის სეპარაცია, რაც ნიშნავს საეკლესიო ან სამოქალაქო სასამართლოების მიერ, განსაზღვრული საფუძვლების გათვალისწინებით, მეუღლეთათვის ცალკე ცხოვრების უფლების მიცემას. სეპარაცია ფაქტობრივად წარმოადგენს განქორწინების სუროგატს, მაგრამ იგი არ აძლევს „სეპარირებულ“ მეუღლეებს ხელმეორედ დაქორწინების შესაძლებლობას, რადგან პირველი ქორწინება ფორმალურად, მაგრამ მაინც განაგრძობს არსებობას.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაც უშვებს განქორწინების შესაძლებლობას განსაზღვრული საფუძვლების ფარგლებში, როგორცაა: მეუღლეთა ღალატი, მძიმე შეურაცხყოფა, თვით მეუღლეთა თანხმობა განქორწინებაზე და სხვა.

მეუღლეთა თანხმობა ამ ქვეყნების საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით განიხილება, როგორც განქორწინების დამოუკიდებელი საფუძველი. ასეთ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია განქორწინება ნამდვილი მიზეზების გამორკვევის გარეშე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ბელგიისა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის განქორწინების მომწესრიგებელი ნორმები.

ამ ჯგუფის ქვეყნებს განეკუთვნება აგრეთვე დანია, ნორვეგია, შვეცია, მექსიკა, იაპონია და აშშ-ს ზოგიერთი შტატი. ზოგიერთ ამ ქვეყანაში არსებობს მეუღლეთა თანხმობით განქორწინების შედარებით მარტივი პროცედურა (იაპონიაში თვით სასამართლოს გარეშე). უმეტეს მათგანში კი, მეუღლეთა თანხმობა შეზღუდულია დამატებითი პირობებით, რაც განქორწინებას ანიჭებს კიდევ უფრო მკაცრ ხასიათს. კერძოდ, მეუღლეთა თანხმობით განქორწინება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთად ნაცხოვრები აქვთ არანაკლებ ორი წლისა. ამავე დროს, ქმრის ასაკი არ უნდა იყოს 25 წელზე, ხოლო ცოლის კი – 21 წელზე ნაკლები. ამ საფუძვლით განქორწინებისას დამატებით საჭიროა მეუღლეთა მშობლების თანხმობა. რაც მთავარია, მეუღლეები სასამართლოს მიერ განქორწინების შესახებ საქმის განხილვამდე უნდა შეთანხმდნენ ქონების გაყოფასა და ბავშვების მიმართ საალიმენტო ვალდებულებების თაობაზე.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ამ პირობების ერთიანობის საფუძველზე განქორწინების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხულია და, აქედან გამომდინარე, იგი ნაკლები პოპულარობითაც სარგებლობს ამ ქვეყნებში.

მესამე ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფოების მრავალრიცხოვანი კატეგორია. აღნიშნულ ქვეყნებში განქორწინების მიზეზებს არ არის

მსკუთვნებული მეუღლეთა თანხმობა განქორწინებაზე. ამ მიმართულებით შედარებით ტიპურია საფრანგეთი და ინგლისი, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის ზეგავლენით შეძლეს არსებითად გაემარტივებინათ განქორწინება.

საფრანგეთისა და ინგლისის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, განქორწინება ეფუძნებოდა მეუღლეთა ბრალეულობის პრინციპს. კერძოდ, მეუღლეებს უნდა ემტკიცებინათ მოსარჩელე ან მოპასუხე მეუღლის ბრალი განქორწინების საქმესთან დაკავშირებით. ასეთი მიდგომა განქორწინებისადმი ინგლისსა და საფრანგეთში მოქმედებდა ასეული წლების განმავლობაში. 1970 წლის შემდეგ, ინგლისმაც და საფრანგეთმაც პროგრესული ძალების ზეგავლენით შეძლეს შეეცვალათ დამოკიდებულება განქორწინების საფუძვლებისადმი და უფრო ჰუმანური გაეხადათ იგი. იტალიის პარლამენტის მიერ (ხანგრძლივი და დაძაბული დებატების შედეგად) 1970 წელს მიღებულ იქნა კანონი „განქორწინების შესახებ“, რომელმაც გააუქმა განქორწინების აკრძალვა და დაუშვა მისი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, კანონით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში.

§4. ქორწინების ბათილად ცნობა

საოჯახო კანონმდებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, ცნობს მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებულ ქორწინებას. სწორედ ამ მომენტიდან მეუღლეებს წარმოეშობათ უფლებები და მოვალეობები, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაცულია მოთხოვნა ქორწინების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ, ქორწინება შეიძლება ბათილი გახდეს, თუ მისი რეგისტრაციისას დარღვეულია ის პირობები, რომელთა არსებობისას არ შეიძლება დაქორწინება.

სამოქალაქო კოდექსის 1140-1150-ე მუხლების თანახმად, ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ დაქორწინებისას დარღვეულია კანონის მოთხოვნა დასაქორწინებელ პირთა თანხმობისა და

საქორწინო ასაკის შესახებ. საქორწინო ასაკთან მიმართებაში ახალი სამოქალაქო კოდექსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღარ ცნობს მისი შემცირების შესაძლებლობას. თუმცა ამავე კოდექსის 1108-ე მუხლი ითვალისწინებს 16-დან 18 წლამდე ასაკის დასაქორწინებელი პირებისათვის მშობელთა ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობას ქორწინებაზე, რომელიც გამოხატულ უნდა იქნეს წინასწარ წერილობითი ფორმით. აქედან გამომდინარე, კოდექსის 1142-ე მუხლი, სადაც საუბარია საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირთან ქორწინების ბათილობაზე, შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებულ დასაქორწინებელ პირთა კანონით დადგენილ ასაკზე ადრე ქორწინებისათვის მშობელთა ან მათ კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობის არარსებობის მომენტთან, ე.ი. უნდა ითვალისწინებდეს არა ასაკის შემცირებას, არამედ კანონის მიერ სრულწლოვანებამდე პირის დაქორწინების შესაძლებლობას.

ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლები ამომწურავია. დაქორწინების წესის ისეთი დარღვევა, როგორცაა, მაგალითად, დაქორწინების ერთთვიანი ვადის დაუცველობა და ა.შ. არ გამოიწვევს რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობას. მათი გამოსწორება უმტკივნეულოდ შეიძლება და გამოიწვევს მხოლოდ იმ თანამდებობის პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რომელმაც ქორწინების რეგისტრაციის დროს დაარღვია სათანადო წესები.

საოჯახო კანონმდებლობის მიერ ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლების დადგენა მიზნად ისახავს ოჯახის განმტკიცებას, მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესების დაცვას და ავალდებულებს სასამართლოებს ასეთი ქორწინების დროს მხედველობაში მიიღონ თითოეული შემთხვევის თავისებურება და თუ დარწმუნდებიან, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, ეს ქორწინება აღიარონ ბათილად.

თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, სასამართლოს შეუძლია ქორწინება ნამდვილად ცნოს ამ გარემოებათა მოსპობის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 1143-ე მუხლი).

არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი დასაქორწინებელ პირთა ოანხმობის გარეშე რეგისტრირებული ქორწინება, თუ შემდგომში მეუღლეთა შორის დამყარდა ნორმალური საქორწინო ურთიერთობა.

რადგან კანონი ანიჭებს სასამართლოს ქორწინების ნამდვილობის აღიარების უფლებას იმ შემთხვევაში, თუ ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმის განხილვის მომენტი სათვის არ არსებობს გარემოებები, რომლებიც კანონიდან გამომდინარე, ხელს უშლიდნენ დაქორწინებას (სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), აუცილებელია ყურადღების მიქცევა ქორწინების ნამდვილობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებების სამარფლებრივი ბუნებისათვის, თუკი კანონით დადგენილი ქორწინების ხელის შემშლელი გარემოებები დაქორწინების მომენტში არსებობდა.

ქორწინების ნამდვილობის აღიარებასთან დაკავშირებულ სასამართლო ქმედებებს, დაქორწინების ხელის შემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის შემთხვევაში, ქორწინების სანაცია¹ (გაჯანსაღება) ეწოდება. ქორწინების სანაციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო ითვალისწინებს, პირველ რიგში, იმ გარემოებებს, რომელთაც ადგილი აქვთ სასამართლოს მიერ ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმის განხილვისას. მაგალითად, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, წინა ქორწინება, რომელიც დაქორწინების ხელის შემშლელ გარემოებას წარმოადგენდა, აღარ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველიც. ქორწინების სანაცია განხილულ უნდა იქნეს არა როგორც დაქორწინების შესახებ შეთანხმების სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნების საპირისპირო ქმედება², არამედ როგორც გამონაკლისი საერთო წესიდან. ქორწინების სანაცია ავტომატურად არ ხდება მაშინ, როდესაც აღარ არსებობს ქორ-

¹ იხ. Поссе Е.А. Фадеева Т.А., Проблемы семейного права с. 19, Советское семейное право / под ред. В.А. Рясенцева/, с. 87.

² იხ. Шахматов В.П., Хаскельберг Б.Л. Новый кодекс о браке и семье РСФСР, Томск, 1970, с. 114.

წინების ხელისშემშლელი გარემოებები; სასამართლო ვალდებული არ არის ასეთ შემთხვევებში მიიღოს გადაწყვეტილება ქორწინების ნამდვილად ცნობის შესახებ, თუმცა მას აქვს ამის გაკეთების უფლება, ანუ სასამართლოს შეუძლია ქორწინების გაჯანსაღება. მხარეთა დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას ქორწინების სანაცის შესახებ სასამართლო იმ შემთხვევაში იღებს, როცა ქორწინების შენარჩუნება მეუღლეების ინტერესებს პასუხობს. ამგვარად, ქორწინების სანაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ბათილი გარიგებების რეანიმაციის კერძო (განსაკუთრებული) შემთხვევა.

საქორწინო ასაკის მიღწევა შეიძლება გახდეს საფუძველი ქორწინების ნამდვილად ცნობისათვის. ასეთივე შედეგი შეიძლება დადგეს იმ ქორწინებისთვისაც, რომელიც ერთქორწინების პრინციპის დარღვევით მოხდა, თუ შეწყდება პირვანდელი ქორწინება (განქორწინების, მეუღლის გარდაცვალების ან მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების გამო).

ქორწინების ბათილად აღიარების საფუძველია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის დამალვა ქორწინების რეგისტრაციის დროს. ასეთ შემთხვევაში საფრთხე ემუქრება მეორე მეუღლის ჯანმრთელობას (ან სიცოცხლეს) და მომავალ ბავშვს. მეუღლისათვის ვენერიული სენის, შიდსის ან სხვა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა ან განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა ისჯება სისხლის სამართლის წესით.

იმ პირის გამოჯანმრთელება, რომელიც დაქორწინდა ქმედუნარობის მდგომარეობაში და მისი აღიარება ქმედუნარიანად მოხდა სასამართლოს მიერ, შეიძლება გახდეს ქორწინების ნამდვილად ცნობის საფუძველი, თუ თვითონ მეუღლეებს სურთ შეინარჩუნონ ქორწინება.

ნამდვილია ქორწინება, როდესაც დასაქორწინებელ პირთა მიერ გამოთქმული თანხმობა შეესაბამება მათ ნამდვილ განზრახვას – შექმნან ოჯახი. სამწუხაროდ, ზოგჯერ ქორწინება ანგარებითია და

მსზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას. ბუნებრივია, ასეთი ქორწინება არ ჩაითვლება ქორწინებად და საოჯახო კანონმდებლობა ასეთ „აკავშირს“ აკვალიფიცირებს, როგორც ფიქციურს.

ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიის საგნად იქცა საკითხი იმის შესახებ, რომ ფიქციურად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ქორწინება, რომლის დროსაც არც ერთ მეუღლეს არ ჰქონდა განზრახვა შეექმნა ოჯახი, თუ ის ქორწინებაც, რომლის დროსაც ოჯახის შექმნის განზრახვა ჰქონდა მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს.

ეფიქრობთ, რომ ფიქციურად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ის ქორწინება, რომლის დროსაც მეუღლეებს არა აქვთ განზრახვა შექმნან ოჯახი. თუ ასეთი განზრახვა მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს აქვს, მაშინ ქორწინება განხილულ უნდა იქნეს, როგორც იძულებით ან შეცდომაში შეყვანით ქორწინება.

ეს შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა გარემოებამ – მუქარამ, ობოლურებამ, იძულებამ, საკუთარი მოქმედებისათვის კონტროლის გაწევის შეუძლებლობამ ქორწინების რეგისტრაციის დროს (ალკოჰოლური სასმელის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების გამო). ასეთ შემთხვევებში, შეიძლება დაინიშნოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა (იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა პირს კონტროლი გაეწია თავისი მოქმედებისათვის ქორწინების რეგისტრაციის დროს) ან სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა (პირის ძღვომარეობისა და მისი ფსიქიკური პროცესების განსაკუთრებულობის დასადგენად, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გამოირკვეს პირის უნარი, გაიაზროს მოქმედების ფაქტობრივი შინაარსი ქორწინების რეგისტრაციისას).

მეუღლეებს შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს, სასამართლოში დააყენონ საკითხი ქორწინების ბათილობის შესახებ იძულებითი დაქორწინების ან შეცდომაში შეყვანის ილუზიით.

აღსანიშნავია, რომ დაქორწინების იძულება არ არის აუცილებე-

ლი მოდიოდეს მხოლოდ დაქორწინებული პირისგან. არცთუ იშვიათად, ასეთ იძულებას ადგილი აქვს დაქორწინებულ პირთა მხარეების მხრიდან (მშობლები და ოჯახის სხვა წევრები).

იძულებითი დაქორწინების მოტივით ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მხარეებმა უნდა წარადგინონ მტკიცებულებანი იძულებითი ქორწინების ფაქტის დადასტურების ან უარყოფის თაობაზე.

იძულებითი ქორწინება განსხვავდება დაქორწინებისას შეცდომაში შეყვანისაგან. დაქორწინებისას შეცდომაში შეყვანას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დასაქორწინებელ პირს შეექმნება მცდარი წარმოდგენა იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დაქორწინებისათვის. დაქორწინებისას შეცდომაში შეყვანის მოტივებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და გავლენას ვერ იქონიებს ქორწინების ნამდვილობაზე. შეცდომა უნდა ეხებოდეს არა დაქორწინების მოტივებს (ერთი მხარე თვლიდა, რომ მას იგი უყვარდა, ის კი ანგარებით მიზნებს ისახავდა), არამედ მეორე მეუღლის პიროვნებას, მის ფიზიკურ იდენტიფიკაციას (ქორწინება შედგა შეცდომით სხვა პირთან).

ზემოაღნიშნული პირობებისას პირის მიერ ნების გამოხატვას ადგილი აქვს სერიოზული დამახინჯებების გავლენით, რასაც ცხადია, არავითარი იურიდიული მნიშვნელობა სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, არ გააჩნია.

ქორწინება დაკარგავს ფიქციურ ხასიათს, თუ მეუღლეები შეცვლიან განზრახვას და ნამდვილად შექმნიან ოჯახს. ამ შემთხვევაში, მისი ბათილად ცნობა არ დაიშვება. ამასთან დაკავშირებით, სადავოდ მიგვაჩნია ა.ი. პერგამენტის მტკიცება იმის შესახებ, რომ თუ პირები ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ თუნდაც მოკლე დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ ცოლქმრულ ურთიერთობაში, მაშინ ასეთი ქორწინება ფიქციური არ არის და ამიტომ არ შეიძლება რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობა¹.

¹ А.И. Пергамент Алиментные обязательства, "Госюриздат", 1951, с. 53-56.

ვეფიქრობთ, რომ ხანმოკლე ცოლქმრულ ურთიერთობაში ყოფნა ყოველთვის როდი ადასტურებს ოჯახის შექმნის განზრახვას. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ხანმოკლე ცოლქმრული ურთიერთობა მართლაც შეიძლება გამოდგეს ქორწინების ფიქციურობის უარყოფელ ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად, მაგრამ იგი არ გამორიცხავს ქორწინების ფიქციურად ცნობის შესაძლებლობას, თუ სასამართლო უტყუარად დაადგენს, რომ მეუღლეები მიზნად არ ისახავდნენ ოჯახის შექმნას.

სასამართლო პრაქტიკამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, როდესაც მეუღლე, რომელიც ანგარებით მიზნებს ისახავს, არ იფარგლება მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციით, რათა შექმნას ოჯახის არსებობის მოჩვენებითობა, არ გაუზრდის მოკლე ხნით ცოლქმრულ ურთიერთობებსაც. როგორც კი მიაღწევს დასახულ მიზანს, ასეთი მეუღლე აღძრავს სარჩელს განქორწინების შესახებ.

ქორწინების ფიქციურად ცნობის შესახებ სასამართლო, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ამ გადაწყვეტილების ასლს უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ქორწინების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა წარმოადგენს საფუძველს ამ ქორწინებით წარმოშობილი ყველა ურთიერთობის შეწყვეტისათვის (პენსიის მიცემის შეწყვეტა, თუ იგი დანიშნულია მარჩენალის სიკვდილთან დაკავშირებით, მემკვიდრეთა წრიდან გამორიცხვა და ა.შ.); თუ ქორწინება ბათილად იქნება ცნობილი სასამართლო წესით მისი შეწყვეტის შემდეგ, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ გაუქმებულ უნდა იქნეს.

საქმეს ქორწინების ბათილობის შესახებ განიხილავს სასამართლო საერთო წესით. ქორწინების ბათილად ცნობა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

კანონი, ქორწინების ბათილად ცნობასთან ერთად, განსაზღვრავს იმ კონკრეტულ პირთა წრესაც, რომელთაც აღნიშნულის თაობაზე უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს. ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვე-

ნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიც დარღვეულია ქორწინებით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ სარჩელის აღძვრის უფლება, დამოკიდებულია ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველზე.

არავის არ შეუძლია ქორწინება ბათილად ცნოს, გარდა სასამართლოსი, რომელიც მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახდენს ქორწინების ბათილად ცნობას.

ქორწინებაზე თანხმობის არარსებობის შემთხვევაში მოსარჩელე შეიძლება იყოს თვითონ მეუღლე, რომლის თანხმობაც არ ყოფილა, ხოლო მისი სიკვდილის ან ქმედუნაროდ აღიარების შემთხვევაში, მეურვე ან ის პირები, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული. იძულების შედეგად მომხდარი ქორწინების შემთხვევაში, სარჩელის აღძვრის უფლება აქვს დაზარალებულ მეუღლეს.

სულთ ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუნაროდ ცნობილ პირთან ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს მის მეურვეს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, იმ პირებს, რომელთა უფლებებიც დარღვეულია ამ ქორწინებით. სრულწლოვანების მიუღწევლობის მოტივით ქორწინების ბათილად ცნობის და არასრულწლოვანთა კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ, საქმის განხილვისას აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმა, თუნდაც იგი არ იყოს მოსარჩელე ამ საქმეში. ერთქორწინების პრინციპის დარღვევისას მოსარჩელე შეიძლება იყოს ფაქტობრივი მეუღლე, ქორწინებიდან მეუღლე და სხვა პირები, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ ქორწინებით.

ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვთ მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებსა და მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა, რომ მასთან დაქორწინებულ პირს არ ჰქონდა ოჯახის შექმნის განზრახვა.

ქორწინება ბათილად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან. ბათი-

ლად ცნობილი გარიგება არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. იმ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, რომელთა ქორწინებაც ბათილად იქნა ცნობილი, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო წილობრივი საკუთრების შესახებ ნორმებით, რომლის თანახმადაც, ქონება ეკუთვნის იმ პირს (მეუღლეს), რომელმაც შეიძინა იგი.

საოჯახო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებთან ერთად ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ქორწინებაში მყოფ კეთილსინდისიერ მეუღლეს უფლება აქვს მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ბათილად ცნობილი ქორწინების შედეგად. მოქმედი საოჯახო კანონმდებლობით ეს ეხება, როგორც ფაქტობრივად დამდგარ ქონებრივ დანაკლისს (რეალურ დანაკარგებს), ისე მიუღებელ შემოსავალსაც. რაც შეეხება კეთილსინდისიერი მეუღლისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, ასეთი საოჯახო სამართლის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული არ არის. თუმცა სამოქალაქო კოდექსის 1147-ე მუხლში ამ შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავს იმას, რომ კეთილსინდისიერ მეუღლეს არ შეუძლია მიიღოს მორალური ზიანის ანაზღაურება. ასეთი კი მას შეუძლია მოითხოვოს იმ ნორმების გამოყენებით, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში და რომელიც, რა თქმა უნდა, საერთოა საოჯახო სამართლისთვისაც. ამდენად, თუ ფიზიკური ტანჯვები და სულიერი განცდები თან ახლავს ქორწინების ბათილად ცნობას და კეთილსინდისიერი მეუღლის მდგომარეობაზე ეს აისახა კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების ფარგლებში („არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი), მაშინ მას შეუძლია მიიღოს არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება. მაგალითად, კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც მაშინ, თუ ამ ბათილმა ქორწინებამ

მისი (დაზარალებულის) ჯანმრთელობას მიაყენა ვნება (413-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ბათილი ქორწინების შედეგად კეთილსინდისიერი მეუღლის შელახული პატივისა და ღირსებისათვის (ამასთან, პატივი და ღირსება კეთილსინდისიერ მეუღლეს შეიძლება შეელახოს ისე, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი მიაღგეს ან არც მიაღგეს) მორალური ზიანის ანაზღაურებას რაც შეეხება, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის და ამ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი მეუღლე შელახული პატივისა და ღირსებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას ვერ მიიღებს. თითქოსდა, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუძლია ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება და ამის საფუძვლად მიუთითოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან ერთად ითვალისწინებს სწორედაც პატივისა და ღირსების დაცვასაც. თუმცა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ეხება პატივისა და ღირსების ისეთ დაცვას, რომელიც ილახება რაიმე ცნობების გავრცელებით ან ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებით. ბათილი ქორწინების შედეგად განცდილი მორალური ზიანი კი, რაც კეთილსინდისიერი მეუღლის პატივისა და ღირსების შელახვის შედეგად დადგა, თავისი შინაარსით ცნობების გავრცელების ან ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებით შეიძლება არც იყოს მიყენებული და მხოლოდ იმისი შედეგი იყოს, რომ კეთილსინდისიერი მეუღლე მოატყუა არაკეთილსინდისიერმა მეუღლემ, რამაც მისი ფიზიკური ტანჯვა და სულიერი განცდები გამოიწვია. ამდენად, ამ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი მეუღლის პატივისა და ღირსების დასაცავად მე-18 მუხლს ვერ მივმართავთ.

ვფიქრობთ, რომ სწორი იქნება კანონმდებლობის დამოკიდებულება, თუ სამოქალაქო კოდექსის 1147-ე მუხლს დაემატება კეთილსინდისიერი მეუღლის შელახული პატივისა და ღირსებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლება. ასეთი მოდგომა, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ დაასაბუთებს პირისთვის მიყენებული სულიერი

განცდებისა და ფიზიკური ტანჯვების ფულადი ანაზღაურების საკითხის მართებულობას.

ორივე მუულის გარდაცვალების შემთხვევაში, ქორწინების ბათილად ცნობის საკითხის დაყენება სასამართლოს წინაშე დაუშვებელია.

ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს იმ მუულებს, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, მიაკუთვნოს მეორე მუულისაგან სარჩოს მიღების უფლება სამოქალაქო კოდექსის 1146-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფისას, გამოიყენოს წესები მუულებთა საერთო თანასაკუთრების შესახებ. კერძოდ, მას ენიჭება თანაბარი უფლება ამ პერიოდში შეძენილ ქონებაზე და მისი გაყოფის დროს. კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ერთ-ერთ მუულებს შეიძლება მიეკუთვნოს არა მარტო თანაბარი უფლება ქონებაზე, არამედ მეტი წილიც, მიუხედავად იმისა, თუ რა შრომა ან სახსრები აქვს დაბანდებული ქონების შეძენაში. მუულებს, რომელმაც არ გაამჟღავნა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, ასეთი უფლება არა აქვს და არ შეუძლია მოითხოვოს ქონების გაყოფა საოჯახო სამართლის ნორმებით.

ბათილი ქორწინება არ წარმოშობს რაიმე უფლებას სახელმწიფოს ან მესამე პირისადმი. ამიტომ იმ საფუძვლების მიუხედავად, რომელთა გამოც ქორწინება ბათილად იქნა ცნობილი, არც ერთ მუულებს, მათ შორის შეცდომაში შეყვანილსაც, არა აქვს უფლება მოითხოვოს, მაგალითად, პენსია ან მემკვიდრეობის უფლებების აღიარება იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელთანაც იგი ბათილ ქორწინებაში იმყოფებოდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს კეთილსინდისიერი მუულის უფლებას, შეინარჩუნოს ქორწინების რეგისტრაციის დროს მიკუთვნებული გვარი.

საერთო ქონება, რომელიც ნამდვილი ქორწინებისას ჩაითვლე-

ბოდა მეუღლეთა თანასაკუთრებად, ქორწინების ბათილად ცნობის შემთხვევაში, განიხილება როგორც მათი საერთო წილობრივი საკუთრება და არაავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის სახელზეა გაფორმებული საკუთრების უფლება აღნიშნულ ქონებაზე – ორივე მეუღლეზე, თუ ერთ-ერთ მათგანზე. ასეთ შემთხვევაში საერთო ქონების გაყოფა ან მისგან წილის გამოყოფა შესაძლებელია როგორც ამ პირთა შეთანხმებით, ისე სასამართლოს მიერ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, რომელიც განსაზღვრავს ასეთი ქონების გაყოფის (ან წილის გამოყოფის) წესსა და პირობებს მათ მიერ საერთო ქონებაში შეტანილი წილის გათვალისწინებით.

ქორწინების ბათილად ცნობამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება (კონტრაქტი) ქორწინების ბათილად ცნობის შემთხვევაში კარგავს მის კანონიერ საფუძველს, რის გამოც მასში მოცემული პირობები კარგავენ სამართლებრივ მნიშვნელობას და შემდგომში არ იწვევენ არანაირ შედეგებს.

ბათილი ქორწინება, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, წყვეტს ქორწინებით წარმოშობილ ყოველგარ ურთიერთობებს ქორწინებაში მყოფი პირებისათვის. აღნიშნული არ ეხება მხოლოდ კეთილსინდისიერ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ. მეუღლის კეთილსინდისიერების საკითხს ადგენს სასამართლო. აღნიშნული ფაქტის დადგენისას, სასამართლო უფლებამოსილია კეთილსინდისიერ მეუღლეს მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევებში, თუ კეთილსინდისიერი მეუღლე არის შრომისუნარი და საჭიროებს დახმარებას, თუ უვლის საერთო ინვალიდ ბავშვს, არის ორსული ან არის დეკრეტულ შვებულებაში 3 წლამდე ბავშვის მოვლის გამო.

საქორწინო ხელშეკრულების არსებობისას სასამართლომ, კეთილსინდისიერი მეუღლის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება კონ-

ტრაქტი აღიაროს ბათილად, მთლიანად ან ნაწილობრივ ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც გათვალისწინებულია ქორწინების შეწყვეტის შემთხვევებისათვის (ალიმენტის გადახდა, განსაზღვრული ქონების გადაცემა და ა.შ.).

ქორწინების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგები ეხება მხოლოდ ასეთ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს. აღნიშნული არ ლახავს არასრულწლოვანი შვილების უფლებებს. ასეთ ქორწინებაში ან ქორწინების ბათილად ცნობის მომენტიდან 300 დღის განმავლობაში დაბადებულ ბავშვებს გააჩნიათ იგივე უფლება-მოვალეობები, რაც ნამდვილ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს. ასეთი ბავშვის მამად აღიარებულია დედის ქმარი, რომელიც შესაბამისად ბავშვის დაბადების შესახებ სააქტო ჩანაწერში იწერება მამად ერთ-ერთი მშობლის განცხადებით. თუ სასამართლო წესით მამობა არ არის უარყოფილი, ბავშვი ითვლება ნათესაურ ურთიერთობაში ორივე მშობლის მიმართ და მათი ქორწინების ბათილად ცნობა არ წარმოადგენს ამ ფაქტის ავტომატურად უარყოფას.

ბავშვების საცხოვრებელი ადგილის, მათი რჩენისა და მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის შესახებ სხვა საკითხები წყდება იმდგავარად, როგორც ამას ადგილი აქვს ნამდვილი ქორწინების დროს მშობელთა განქორწინებისას. თუ ქორწინების ბათილად ცნობის შემდგომ წამოიჭრება საკითხი ბავშვის გვარის შეცვლის თაობაზე, აღნიშნული წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

ბათილი ქორწინება თავისი არსითა და აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით, მნიშვნელოვნად განსხვავდება არშემდგარი ქორწინებისაგან. არშემდგარი ქორწინება იურიდიულ ლიტერატურაში ეწოდება ისეთ ქორწინებას, რომელიც მოხდა ქორწინების რეგისტრაციის ფორმისა და ძირითადი წესების დარღვევით (მაგალითად, ქორწინება მომხდარი ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის დაუსწრებლად, მისთვის შეტყობინებისა და მისი თანხმობის გარეშე, მისი ხელმოწერის გაყალბებით, მისი მოპარული პირადობის დამადასტურე-

ბელი დოკუმენტით, ან ქორწინების რეგისტრაციის ჩატარება არაუფლებამოსილი პირის მიერ). არშემდგარი ქორწინება თავისთავად არ წარმოშობს არავითარ სამართლებრივ შედეგებს. ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება არა ქორწინების ბათილად ცნობას, არამედ ქორწინების შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობას. ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი ჩაითვლება არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულად. მისი წარმოშობა დადგინდება სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლით გათვალისწინებული წესების მიხედვით, კერძოდ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით, ხოლო ასეთი განცხადების უქონლობის შემთხვევაში, სასამართლო წესით მამობის დადგენით, ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

საოჯახო ურთიერთობების უმრავლეს შემთხვევაზე სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა არ ზღუდავს დროით დარღვეული უფლებების დაცვის შესაძლებლობას და საოჯახო უფლებები შესაძლებელია დაცულ იქნეს სასამართლოში იმ დროიდან, რა დროიდანაც ისინი იქნა დარღვეული. მაგალითად, სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეებზე, მშობელთა და შვილების უფლებებსა და მოვალეობებზე და ა.შ.

თავი მეთექვსე

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები

§1. შვილების წარმოშობის დადგენა

ბავშვის დაბადება მნიშვნელოვანი მოვლენაა მეუღლეთა ცხოვრებაში. შვილების კონკრეტული მშობლებისაგან წარმოშობა წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველს იმისგან დამოუკიდებლად, იმყოფებიან თუ არა მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში, ცხოვრობენ ისინი ერთად თუ ცალ-ცალკე.

სისხლით ნათესაობის პრინციპი, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის (1989 წლის 20 ნოემბერი) მე-7 მუხლის თანახმად, ბავშვი რეგისტრირებულ უნდა იქნეს დაბადებისთანავე, რითაც დასტურდება მისი წარმოშობა. აღნიშნული წესი დაცულია საქართველოშიც. კერძოდ, მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძველად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლის თანახმად, ბავშვის წარმოშობა იურიდიულ ფაქტად ითვლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ მისი დადასტურების შემთხვევაში. თავის მხრივ, სწორედ ბავშვის წარმოშობის დადგენა ქმნის ობიექტურ წინამძღვრებს ბავშვის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვასა და მის აღზრდასთან დაკავშირებული მშობლების მოვალეობების შესრულებისათვის. ბავშვის დაბადება დედის მიერ მტკიცდება სამშობიარო სახლის ან სხვა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით, რაც შეეხება ბავშვის დაბადების ფაქტს არასამედიცინო დაწესებულებაში, შეიძ-

ლება დადასტურებულ იქნეს ექიმის ან სხვა მედიცინის მუშაკის (მედლის ან ბებიაქალის) მიერ გაცემული ცნობით, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – ორი მოწმის მიერ დადასტურებული ცნობით. სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე ხდება ბავშვის დაბადების რეგისტრაცია სარო-ში.

იმ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია, რომელიც ჩასახული იყო ქორწინების პერიოდში, მაგრამ დაიბადა განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შემდგომ და, ამავე დროს, მის დაბადებამდე გასულია არა უმეტეს 10 თვისა, წარმოებს იმავე წესების დაცვით, როგორც ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვებისა. მამის მიერ ასეთი ჩანაწერის უარყოფას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს და იგი შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ სასამართლო წესით.

შვილებსა და მშობლებს შორის უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დედასა და მამას დაბადების შესახებ ჩანაწერის წიგნში მშობლებად ჩაწერენ ერთ-ერთი მათგანის განცხადებით. გამორიცხული არ არის ასეთი განცხადების შეტანა ქალის ფეხმძიმობის პერიოდშიც, თუ არსებობს იმის რეალური საფუძველი, რომ შემდგომში ასეთი განცხადების გაკეთება შეიძლება გაძნელდეს, ან საერთოდ შეუძლებელი გახდეს მთელი რიგი მიზეზების გამო (მაგალითად, მამის მძიმე ავადმყოფობა, მისი ხანგრძლივ მივლინებაში გამგზავრება და სხვ.).

ბავშვების წარმოშობის დადგენა აუცილებელია მათი მკვდრად დაბადების შემთხვევაშიც. მკვდრადშობილი ბავშვის რეგისტრაცია ხორციელდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში დაბადების მოწმობა არ გაიცემა, მაგრამ ერთ-ერთი მშობლის თხოვნით შესაძლებელია ან დასაშვებია მკვდრადშობილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა. რაც შეეხება ასეთი ბავშვის გარდაცვალების მოწმობას, ასეთის გაცემა დაუშვებელია. თუ ბავშვი

გარდაიცვალა დაბადებიდან მცირე ხნის შემდეგ, შედგება ორი ჩანაწერი – დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ. მშობლების თხოვნით გაიცემა მხოლოდ ცნობა ბავშვის გარდაცვალების შესახებ. თუ მშობლებს ესაჭიროებათ ცნობა ბავშვის დაბადების შესახებ, ასეთი ცნობა გაიცემა იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, სადაც ქალმა იმშრობიარა ან სადაც ბავში გარდაიცვალა.

ტყუების დაბადების შემთხვევაში, თითოეულ მათგანზე შედგება ჩანაწერი დაბადების შესახებ და გაიცემა დაბადების მოწმობა.

ბავშვების წარმოშობა, რომელიც დადგენილი არ არის კანონის შესაბამისად, არ წარმოადგენს საფუძველს მშობლებსა და შვილებს შორის უფლება-მოვალეობათა წარმოშობისათვის.

§ 2. მამობის ან დედობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები

მშობლებისაგან შვილების წარმოშობის დადგენა იურიდიული ფაქტია, რომელთანაც დაკავშირებულია ბავშვის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა მშობლებთან (მამასთან ან დედასთან).

ბავშვის დედისაგან წარმოშობის დადგენა, როგორც წესი, არ წარმოადგენს სიძნელეს.

ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს, ბავში რეგისტრირებულ ქორწინებაში დაიბადა თუ მის გარეშე. ამიტომ ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვს როგორც ქორწინებაში დაბადებული ბავშვის დედას, ისე მარტოხელა დედას.

დედობის დადგენა ხორციელდება, როგორც წესი, სარო-ს მიერ იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს ბავშვის დაბადებას კონკრეტული ქალისაგან, თუმცა კანონი არ გამორიცხავს დედობის დადგენას სხვა დოკუმენტების წარდგენის გზით, რომელშიც შედის როგორც სხვადასხვა მტკიცებულება, ისე მოწმეთა ჩვენებები. თუ ბავში დაიბადა მაშინ, როდესაც დედა იმყოფებოდა საზღვაო, სამდინარო ან საჰაერო ხომალდზე, ასევე მატარებელში, მაშინ ხომალდის

კაპიტანს, მატარებლის უფროსს შეუძლია შეადგინოს ბავშვის დაბადების შესახებ დოკუმენტი. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არ არსებობს არავითარი ცნობა ბავშვის დაბადების შესახებ, ასევე მოწმეთა ჩვენება დედობის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში ბავშვის დაბადების რეგისტრაცია და შესაბამისად, დედობის დადგენა წარმოებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბავშვის კონკრეტული ქალისაგან დაბადების შესახებ.

დედობის დადგენის ზოგადი წესი ვრცელდება ასევე იმ შემთხვევებზე, როდესაც ბავშვი დაიბადა ქალის ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ან ემბრიონის იმპლანტაციის გზით.

შედარებით რთულად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი ხდება ბავშვის მამისაგან წარმოშობის დადგენა. აღსანიშნავია, რომ კანონი ითვალისწინებს კონკრეტული მამაკაცისა და ქალისაგან ბავშვის წარმოშობის დადასტურების სხვადასხვა პროცედურას შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: ა) ბავშვის მშობლები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ბ) ბავშვის მშობლები არ არიან დაქორწინებულები, მაგრამ ბავშვის მამამ ნებაყოფლობით აღიარა მამობა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიმართ; გ) ბავშვის მშობლები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და მამა ნებაყოფლობით არ ცნობს მამობას ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიმართ.

თუ ბავშვი დაებადა დედას, რომელიც იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ მოქმედებს მამობის პრეზუმფცია იმ პირის მიმართ, რომელთანაც ბავშვის დედა იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. თუ ბავშვის მშობლები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ ზემოთ ხსენებული პრეზუმფციით ხელმძღვანელობა უკვე აღარ შეიძლება. ასეთი ბავშვებისათვის მამობის შესახებ ჩანაწერი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული დამატებითი პირობების არსებობისას.

დაუქორწინებელ მშობელთა შეილის მიმართ მამობის დადგენა

წარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით.¹ ასეთ შემთხვევებში ბავშვის დედად ჩაწერა ხდება მისი განცხადებისა და მის მიერ ბავშვის დაბადების შესახებ ცნობის წარდგენის საფუძველზე, ხოლო ბავშვის მამად ჩაწერისათვის აუცილებელია ბავშვის დედისა და მამის მიერ ერთობლივი განცხადების შეტანა, რაც შესაძლებელია როგორც დაბადების რეგისტრაციის, ასევე მის შემდეგ, ნებისმიერ დროს.

დედისა და მამის ერთობლივი განცხადება მამობის დადგენისა და რეგისტრაციის შესახებ (რომლებიც ქორწინებაში არ იმყოფებიან ბავშვის დაბადების მომენტისთვის) შეიტანება ბავშვის ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მდებარე სარო-ში (ანდა ბავშვის დაბადების რეგისტრაციის მიხედვით). იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს გააჩნიათ შესაძლებლობა ერთობლივი განცხადების შეტანისა მამობის დადგენის შესახებ, მათი ნების გამოხატვა შეიძლება გაფორმდეს ცალ-ცალკე განცხადებით. პირის ხელმოწერა, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა ასეთი განცხადების პირადად შეტანისა, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. დედისა და მამის ერთობლივი განცხადება მამობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას, ასევე ნებისმიერ დროს რეგისტრაციის შემდეგ. ერთობლივ განცხადებაში მამობის დადგენის შესახებ დასტურდება პირის მიერ მამობის აღიარება, რომელიც არ იმყოფება ქორწინებაში ბავშვის დედასთან, ასევე მითითებულია დედის თანხმობა მამობის დადგენის თაობაზე. თუ მამობის დადგენის შესახებ მშობლების ერთობლივი განცხადება შეიტანება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შემდეგ, მაშინ საჭიროა ასევე ბავშვის დაბადების მოწმობის წარდგენა. ერთობლივ განცხადე-

¹ იმ პირის მიმართ მამობის ნებაყოფლობით აღიარებას, რომელმაც სრულწლოვანებას მიაღწია, დაიშვება მხოლოდ ამ უკანასკნელის განცხადებით (მუხლი 1190-ე), სრულწლოვანი შეიღებისათვის მამობის დადგენის აუცილებლობა შეიძლება საჭირო გახდეს მაშინ, როცა ღებება საკითხი საალიმენტო, მემკვიდრეობის, საპენსიო და სხვა უფლებების განხორციელების შესახებ.

ბაში მიეთითება: მამის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, მოქალაქეობა, ეროვნება (სურვილის მიხედვით), საცხოვრებელი ადგილი პირისა, რომელიც თავს აღიარებს ბავშვის მამად; ბავშვის გვარი, სახელი, მამის სახელი, სქესი, დაბადების ადგილი და თარიღი; ასევე მისი დაბადების მოწმობის რეკვიზიტები; დედის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, მოქალაქეობა, ეროვნება, საცხოვრებელი ადგილი ბავშვის დედისა. ქორწინების მოწმობის რეკვიზიტები (თუ ბავშვის დედა დაქორწინდა ბავშვის მამაზე მისი დაბადების შემდეგ), გვარი, სახელი, მამის სახელი მამობის დადგენის შემდეგ; ბავშვის დედისა და მამის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების რეკვიზიტები.

მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით. დედის გარდაცვალების, ქმედუნაროდ ცნობის, მშობლის უფლების ჩამორთმევის ან მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, მამობის დადგენის რეგისტრაცია წარმოებს მამის განცხადებით.

თუ ერთ-ერთ მშობელს პატივსადები მიზეზის გამო არ შეუძლია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გამოცხადება, მისი ხელმოწერა განცხადებაზე უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით. მამობის დადგენის აქტის რეგისტრაცია არ შეიძლება მოხდეს მინდობილობით ან წარმომადგენლის მეშვეობით.

დაუსვებელია მამობის დადგენის რეგისტრაცია იმ პირის განცხადებით, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუნაროდ, ასევე მისი მეურვის განცხადებით.

სრულწლოვანი შვილის მიმართ მამობის დადგენა დასაშვებია მხოლოდ სრულწლოვანი შვილის თანხმობით, რომელშიც გამოხატულ იქნება მისი სურვილი – ატაროს ძველი თუ მიიღოს მამის გვარი.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უფლება არა აქვს მიიღოს მამობის დადგენის შესახებ განცხადება, თუ ბავშვის დაბადების შესახებ აქტში არსებობს ჩანაწერი მამად სხვა პირის შესახებ.

ასეთ შემთხვევაში მამობის დადგენის რეგისტრაცია მოხდება დაბადების აქტიდან მამის შესახებ მონაცემების მხოლოდ სასამართლოს წესით ამორიცხვის შემდეგ.

მამობა აგრეთვე შეიძლება დადგენილ იქნეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ¹. სრულწლოვანი პირი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს იმ პირის მამად დადგენას, რომელსაც თავის დროზე მის აღზრდაში მონაწილეობა არ მიუღია. როდესაც ჩანაწერი მამობის შესახებ წარმოებს სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, შვილსა და მშობლებს შორის უფლებამოვალეობანი წარმოიშობა მისი დაბადების მომენტიდან და არა სასამართლოს მიერ მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

მამობის დადგენის შესახებ სარჩელის წარდგენა ხდება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთ დროს სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ბავშვის ერთად აღზრდას, რჩენას, ან დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც საკვებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას (განცხადება, ბარათი, ანკეტა და სხვ.).

მამობის დადგენის აქტის რეგისტრაცია ნებაყოფლობით ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სფუძველზე ხდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ადგილსამყოფელის ან ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე შეიძლება დადასტურებულ იქნეს საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი გარემოებებით: ერთ

¹ რ. შენგელია, მშობლების უფლებამოსილებანი შვილების აღზრდაში, გამოცემლობა „ცოდნა“, თბ., 1974, გვ. 8.

სახლში (ბინაში) ცხოვრება, ერთად კვება, ერთმანეთისადმი ზრუნვა, ერთობლივი სარგებლობისათვის ქონების შეძენა და ა.შ. ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას ადგილი უნდა ჰქონდეს ბავშვის დაბადებამდე, რაც შეიძლება დადგინდეს მოწმეთა ჩვენებებითა და სხვა მტკიცებებით. სასამართლოში სარჩელი შეიტანა 1979 წელს დაბადებულმა ვაჟა ლორთქიფანიძემ. იგი მოითხოვდა მოპასუხე დავით ცქიფურიშვილის მამად ცნობას. თავის მოთხოვნას იგი ამყარებდა შემდეგ გარემოებებზე: მისი მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ გატარებულან, რის გამოც დაბადების მოწმობაში მამის გვარის მაგივრად ჩაწერილია დედის გვარი (მუხლი 1192-ე). მოპასუხე ცქიფურიშვილი და დედაბისი მის დაბადებამდე ცხოვრობდნენ ერთად, ეწეოდნენ ერთიან მეურნეობას, რაც საფუძველს აძლევს მოითხოვოს მის მამად ცქიფურიშვილის აღიარება. ყოველივე ზემოთ თქმული დასტურდებოდა მოწმეთა ჩვენებებით. მოპასუხე მართალია არ უარყოფდა მოსარჩელის დედასთან ინტიმურ კავშირს, მაგრამ უარს აცხადებდა მასთან ერთად ოჯახად ცხოვრებასა და მეურნეობის ერთად გაძღოლის ფაქტის არსებობაზე. სასამართლომ დაამტკიცა, რომ მოპასუხე 1977-1978 წლებში ცხოვრობდა მოსარჩელის დედასთან, აპელანტის დაბადებამდე ორი თვით ადრე ისინი ეწეოდნენ ერთად მეურნეობას, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა. ამასთან, სავალდებულო არ არის, რომ ერთად ცხოვრება გრძელდებოდეს ბავშვის დაბადების მომენტამდე. საკმარისია, რომ მშობლებმა ერთად იცხოვრონ განსაზღვრული დროით და აწარმოონ საერთო მეურნეობა. ამასთან, ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების შეწყვეტა ბავშვის დაბადებამდე თავისთავად არ შეიძლება საფუძველი გახდეს მამობის დადგენის შესახებ დედის სარჩელზე უარის თქმისა.

გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნულის საფუძველზე დადგენილ იქნეს მამობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქალი და მამაკაცი არ ცხოვრობდნენ ერთად ობიექტური მიზეზების გამო (არ გააჩნდათ საერთო საცხოვრებელი სახლი), მაგრამ ფაქტობრივად არსებობდა საოჯახო ურთიერთობა მათ შორის, ისინი ერთად ეწეოდნენ საერთო-

საოჯახო მეურნეობას. თუ დამტკიცდება, რომ მოპასუხე რეგულარულად დადიოდა მოსარჩელესთან, ატარებდა მასთან ღამეს (ან პირიქით, თუ მოსარჩელე დადიოდა მოპასუხესთან), თუ ისინი ერთად იკვებებოდნენ, იძენდნენ ქონებასა და ნივთებს საერთო საჭიროებისათვის, მოპასუხემ განაცხადა სურვილი ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობის კანონიერი რეგისტრაციის შესახებ და ა.შ., მაშინ სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნული გარემოებანი ცნოს საკმარისად მამობის დასადგენად. რაც შეეხება მხარეთა მიერ ერთმანეთში მისვლა-მოსვლას (უბრალო სტუმრობა), ერთად კვებას (თითოეული საკუთარი ხარჯით) ან მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის ინტიმურ სიახლოვეს, აღნიშნული არ შეიძლება იყოს მამობის დადგენის საფუძველი, ვინაიდან ეს ფაქტები არ ადასტურებენ მათ ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას იმ მიზნით, რასაც ამ შემთხვევებში კანონი გულისხმობს. მოვიტანთ მაგალითს:

... ნინო და გივი თბილისში ჩამოვიდნენ სასწავლებლად, მალე ახალგაზრდებმა ერთმანეთი გაიცნეს და სტუდენტური ცხოვრების სიძნელების მიუხედავად, გადაწყვიტეს დაქორწინებულიყვნენ. შეიტანეს განცხადება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში და დაიწყეს ერთად ცხოვრება; მათ ვერ შეძლეს დანიშნულ დროს მისულიყვნენ რეგისტრაციის ორგანოში ქორწინების რეგისტრაციისათვის, ვინაიდან გივის მოუხდა მძიმე ავადმყოფი დედის სანახავად წასვლა. დაბრუნების შემდეგ გივიმ და ნინომ კვლავ გააგრძელეს ერთად ცხოვრება. ეწეოდნენ საერთო მეურნეობას, ერთად წყვეტდნენ, თუ რა უნდა შეეძინათ და ა.შ. მალე ბავშვიც ეყოლათ. ნინომ მივლინებაში მყოფი გივისაგან მიიღო წერილი, რომელშიც იგი ბავშვს თავის შვილად აღიარებდა, შეურჩია სახელიც. მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ნინოსა და გივის შორის სერიოზულმა უთანხმოებამ იჩინა თავი, ხოლო ერთი კვირის შემდეგ გივიმ საერთოდ შეწყვიტა ბავშვისა და ნინოს მონახულება. როდესაც ნინომ გივისაგან უარი მიიღო, ნებაყოფლობით ეცნო თავი ბავშვის მამად და გაეწია მატერიალური დახმარება როგორც მისთვის, ისე ბავშვისათვის, იგი იძულებუ-

ლი შეიქნა მიემართა სარჩელით სასამართლოსათვის. სასამართლომ ფაქტობრივი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე დააკმაყოფილა სარჩელი, ცნო გივი ბავშვის მამად და დააკისრა ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც ბავშვის შვილად აყვანის ნაცვლად, ბავშვის მშობელსა და შვილად ამყვანს შეაქვთ ერთობლივი განცხადება მამობის დადგენის შესახებ.

თუ რეგისტრაციის ორგანოსათვის სარწმუნოდ არის ცნობილი, რომ განმცხადებელი არ არის ბავშვის მამა, მაშინ მამობის დადგენაზე მას უარი უნდა ეთქვას.

რეგისტრაციის ორგანოს მიერ მამობის აღიარებაზე უარის თქმა არ ართმევს პირს უფლებას მიმართოს სასამართლოს სარჩელით მამობის დადგენის შესახებ.

თუ სასამართლო მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შემდეგ დაასკვნის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გარკვეულად ახლოს დგას რეალობასთან, მაგრამ მოპასუხე უარყოფს ამ მტკიცებულებათა სინამდვილეს და საეჭვოდ ხდის მის დამაჯერებლობას, სასამართლოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, უფლება აქვს დანიშნოს ექსპერტიზა.

აღნიშნული შესაძლებელია როგორც საქმის მომზადების პროცესში, ისე სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

კერძოდ, გრაფიკული, სასამართლო-სამედიცინო, სამედიცინო-ბიოლოგიური, გინეკოლოგიური, გენეტიკური (უროლოგიური) და ა.შ. მაგალითად, გრაფიკული ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როდესაც საჭირო ხდება დადგინდეს, ნამდვილად არის თუ არა პირი იმ წერილობითი მტკიცებების (ბარათის, განცხადების ან ანკეტის) ავტორი, რომელშიაც აღიარებულია მისი მამობა, ან სახეზეა საგულისხმო ცნობა ბავშვის წარმოშობის შესახებ.

მეან-გინეკოლოგიური ექსპერტიზა მიზნად ისახავს ბავშვის ჩასახვის ვადების დადგენას. საბუთს, რომლის საფუძველზეც ექსპერტების

დასკვნა კეთდება, პირველ რიგში ქალის სამედიცინო ბარათი წარმოადგენს, სადაც ფუნქციონირების მიმდინარეობა ასახული. რადგან ბავშვის ჩასახვის ვადის ზუსტად დადგენა ამ შემთხვევაში შეუძლებელია (პერიოდი ორიდან სამ კვირამდე მერყეობს), გინეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგი წესისამებრ, მხოლოდ ირიბი მტკიცებულების როლში მოგვევლინება მამობის დადგენის საქმეში.

უფრო ხშირად ბავშვის წარმოშობის დასამტკიცებლად სასამართლო ნიშნავს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას. სისხლის ბიოლოგიური ექსპერტიზის დროს მხედველობაში უნდა გვექონდეს ის, რომ ასეთი ექსპერტიზის დასკვნა ეფუძნება მხოლოდ სისხლის ჯგუფობრივ და არა ინდივიდუალურ კუთვნილებას, ე.ი. იგი იძლევა მამობის გამორიცხვისა და არა მისი დადგენის საშუალებას.

მედიცინის, აგრეთვე მეცნიერების სხვა დარგების განვითარებამ დღეს უკვე მისცა საშუალება მეცნიერ და პრაქტიკოს მედიკოსებს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე მოახდინონ მამობის ზუსტად დადგენა, სადაც ვარაუდი აღნიშნულის თაობაზე უკვე გამორიცხულია.

თანამედროვე ბიოლოგიისა და, კერძოდ, მისი ისეთი მიმართულების დიდი პროგრესი, როგორცაა გენური ინჟინერია, რომელიც რეკომბინანტური დნმ-ით (ცილა-დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) მანიპულირებს, დღის წესრიგში აყენებს მისი მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებას. ინგლისელ მეცნიერთა ჯგუფმა ა. ჯეფრიზის ხელმძღვანელობით ადამიანის დნმ-ის ერთ-ერთი ფრაქციის, ე.წ. მინი-სატელიტური დნმ-ის გამოკვლევისას აღმოაჩინა, რომ მისი აგებულება სხვადასხვა ადამიანის გენებში განსხვავებულია. მინი-სატელიტური დნმ-ის ამ თვისებამ ავტორებს საშუალება მისცა დაემუშაებინათ პიროვნების იდენტიფიკაციისა და ნათესაობის დადგენის პრინციპულად ახალი მეთოდი, რომელსაც მეცნიერებაში ე.წ. გენური დაქტილოსკოპიის მეთოდს უწოდებენ. მისი უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს მეთოდი წარმოადგენს ანალიზის ერთადერთ უტყუარ და შესაძლო საშუალებას. მაგრამ,

აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ასეთი მეთოდით მამობის დადგენის ფაქტზე კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევა მეტად ძვირადღირებულ პროცესს წარმოადგენს. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში დღეს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, საზოგადოების ფინანსურ-მატერიალურ დონეს, უნდა ვთქვათ, რომ სასამართლოები ჯერ კიდევ კარგა ხნით ვერ შეძლებენ იხელმძღვანელონ ასეთი ექსპერტიზების მიერ გაცემული დასკვნებით, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ისინი ჯერჯერობით კვლავ მიმართავენ დღემდე არსებულ და პრაქტიკაში ფართოდ დანერგილ წესს მამობის დადგენის თაობაზე, კერძოდ, ექსპერტიზას სისხლის ჯგუფობრივი კუთვნილების შესახებ, რაც, როგორც აღვნიშნეთ, იძლევა მამობის გამორიცხვისა და არა მისი დადგენის საშუალებას¹.

როდესაც მოპასუხე სადავოდ ხდის არა მარტო ჩასახვის პერიოდს, არამედ ამ პერიოდში ჩასახვის უნარს, სასამართლო ნიშნავს გენიტალურ (უროლოგიურ) ექსპერტიზას. გენიტალური (უროლოგიური) ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როდესაც მოპასუხე სასამართლოს საქმის მოსასმენად მომზადების პერიოდში ან მთავარ სხდომაზე აცხადებს, რომ შეუძლებელია იგი იყოს ბავშვების მამა, ვინაიდან მას არა აქვს განაყოფიერების უნარი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ექსპერტიზამ დაადგინოს, ბავშვის ჩასახვის დროს მოპასუხეს ჰქონდა თუ არა განაყოფიერების ფიზიოლოგიური შესაძლებლობა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა უნდა ხდებოდეს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ იმ საქმეებთან დაკავშირებით, როდესაც მტკიცდება ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე, ანდა ბავშვის ერთად აღზრდა და რჩენა, ან სახეზეა დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც საკვებით ადასტურებს მოპასუხის მამობის აღიარებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოპასუხე თავის თავს მაინც არ ცნობს ბავშვის მამად. თუ აღნიშნული გარემოებანი სასამართლოში საერთოდ არ მტკიცდება, მა-

¹ ლ. ნაღობაძე, „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა“, ჟურნალი „სამართალი“, 1996, № 1-2, გვ. 59.

შინ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ დაინიშნება.

თუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ვერ გამორიცხავს მამობის ფაქტს, მაშინ მისი დასკვნის მტკიცებულებად მიღება მოპასუხის მამად აღიარებისათვის არ შეიძლება.

მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ანდა უარი მამობის დადგენაზე დასაბუთებული უნდა იყოს საქმის მასალების ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე, რაც ადასტურებს ან უარყოფს მოსარჩელის განცხადებას. კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ შეიძლება მხედველობაში მიიღოს, ან უარყოს, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი მტკიცებულება, მაგრამ არც ერთ მტკიცებულებას ცალკე არ გააჩნია პრიორიტეტული ხასიათი სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნით ნაწილში, რომელიც აკმაყოფილებს მამობის დადგენის შესახებ სარჩელს, შეტანილ უნდა იქნეს ცნობები, რომელიც აუცილებელია სარო-ში მამობის დადგენის თაობაზე რეგისტრაციის განსახორციელებლად (მამის გვარი, სახელი, რიცხვი, თვე, წელი და დაბადების ადგილი, ეროვნება, მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი), რაც წარმოადგენს სარო-ში მამობის დადგენის ფაქტის რეგისტრაციის საფუძველს. თუ მოსარჩელის მიერ ასევე წარდგენილ იქნა მოთხოვნა ალიმენტის დაკისრების თაობაზე, ეს ვალდებულება მოპასუხეს ეკისრება სარჩელის წარდგენის მომენტიდან; გასული დროისათვის ალიმენტის გადახდა გამორიცხულია, ვინაიდან მამობის დადგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებამდე, მოპასუხე მოვალე არ იყო გადაეხდა ალიმენტი, რადგანაც მისი მამობა არ ყოფილა ადასტურებული კანონით დადგენილი წესით; შესაბამისად არ არსებობდა სამართლებრივი ურთიერთობა ბავშვსა და მოპასუხეს შორის.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მამობის დადგენის შესახებ სახელმწიფო რეგისტრაცია წარმოებს ბავშვის დედის ან მამის, მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი. აღნიშნულ პირებს შეუძლიათ რწმუნებით მიანიჭონ იგივე უფლებები სხვა პირებს.

ბავშვებს, რომელთა წარმოშობაც დადგენილია მშობელთა ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალებები, როგორც დაქორწინებულ პირთაგან დაბადებულ ბავშვებს.

ქალისა და მამაკაცის შემთხვევითი, ხანმოკლე კავშირი არ იძლევა საფუძველს სასამართლოს წესით მამად ცნობისათვის. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

... ლილი კ. სასამართლოს აცნობებდა: „ზურაბი გავიცანი მეგობართან ბანკეტზე. დავიწყე მასთან შეხვედრა, ვინაიდან ძალიან მომეწონა. არ მაინტერესებდა ცოლიანი იყო თუ არა, ან სად მუშაობდა. მისი საცხოვრებელი ადგილიც კი არ ვიცოდი. გაცნობიდან ერთი კვირის შემდეგ მთელი ღამით დავრჩი ზურაბთან მისი ნათესავის ოჯახში, რომელიც ამ დროს ქალაქში არ იმყოფებოდა. ჩვენი ასეთი შეხვედრები რამდენჯერმე განმეორდა. შემდგომ სულ უფრო და უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვინაიდან ზურაბი რატომღაც გამიბოლოდა. როდესაც გავიგე, რომ ბავშვი მეყოლებოდა, ზურაბს ვკითხე, როგორ მოვქცეულავიყავი. მან კი მიპასუხა: „როგორც გინდა ისე მოიქეცი, აქ მე არაფერ შუაში ვარ“. მაგრამ ჩვენმა საერთო ნაცნობებმა ზომ იციან, რომ თავისუფალ დროს ჩვენ ერთად ვატარებდით, ამიტომ ვთხოვე სასამართლოს ცნოს ზურაბი ჩემი გოგონას მამად და დააკისროს ალიმენტის გადახდა, ვინაიდან ვსწავლობ, არსად არ ვმუშაობ და მარტოხელას მატერიალურად ძალიან გამიჭირდება ბავშვის რჩენა“.

სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე და მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხედ გამოძახებული ზურაბი არ უარყოფდა ლილისთან ახლო ურთიერთობაში ყოფნას. ამასთან, ზურაბმა კატეგორიულად უარყო ბავშვის მამობა და მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ქარაფშუტა და არასერიოზულ ლილის შექმლო ასევე ახლო ურთიერთობაში ყოფილიყო სხვა მამაკაცთანაც. ლილიმ ვერ უარყო ეს მოსაზრება, ვინაიდან ზურაბს ყველა საფუძველი ჰქონდა ეჭვი შეეტანა მის ყოფაქცევაში.

ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილ პირს უფლება აქვს სასამართლო წესით სადავოდ გახადოს მამობის შესახებ ჩანაწერი.

ჩანაწერის გაუქმება ერთ-ერთი საფუძველია ბავშვსა და იმ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისა, რომელიც ამ ბავშვის მშობლად იყო ჩაწერილი.

ბავშვის დედად ან მამად ჩანაწერის გასაჩივრებისათვის დადგენილია ერთწლიანი ვადა იმ მომენტიდან, როდესაც ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილი პირისათვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერის შესახებ. თუ ამ დროისათვის დედად ან მამად ჩაწერილი პირი არასრულწლოვანი იყო, მაშინ ერთწლიანი ვადა გამოითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მას თვრამეტი წელი შეუსრულდა (სამოქალაქო კოდექსის 1191-ე მუხლი).

კოდექსში მოცემულია საკმაოდ ფართო ჩამონათვალი იმ პირებისა, ვისაც უფლება აქვს გაასაჩივროს (სადავო გახადოს) მამობა ან დედობა. იმ პირების გარდა, ვინც ჩაწერილია მოწმობაში ბავშვის მამად ან დედად (არასრულწლოვან მშობლებს უფლება აქვთ სადავო გახადონ მამობა ან დედობა ზოგადი წესის მიხედვით), ასეთი უფლება გააჩნიათ პირებს, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ ბავშვის მამას ან დედას, ასევე ბავშვის მეურვეს (მზრუნველს), მშობლის მეურვეს, რომელიც აღიარებულია ქმედუუნაროდ. ამ პირთა რიცხვს მიეკუთვნება თავად ბავშვიც, როდესაც იგი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს.

ასეთ შემთხვევებში აღნიშნული უფლებამოსილებით არ სარგებლობენ არასრულწლოვანის მშობლების მშობლები, ე.ი. ბავშვის ბებია და პაპა (ბაბუა), რამდენადაც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს ბავშვის მშობლებად ჩაწერილი პირების პირად საქმეს. მოცემული წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც არასრულწლოვანის მშობლების მშობლები ასრულებენ მათი შვილიშვილის მეურვის მოვალეობას.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ ჩანაწერში შეცდომების გასწორებას ან ცვლილებების შეტანას, თუ არის საფუძველი, აწარ-

მოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო. უარი ჩანაწერის შესწორების ან ცვლილების შეტანაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

დაინტერესებულ პირთა შორის დავის შემთხვევაში ჩანაწერში შესწორების ან ცვლილების შეტანა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ინტერესდამცველი არ იქნება აქვე განვიხილოთ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვთა სამართალსუბიექტობის საკითხი.

ხელოვნური განაყოფიერების პრობლემა სამართლებრივად შედარებით ადვილად მოსაგვარებელი იქნებოდა, საქმე რომ მხოლოდ ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობას ეხებოდა; აქ თავს იჩენს დონორის პრობლემა, რომელიც გარკვეულ სირთულეებს ქმნის ამ ურთიერთობებში და საინტერესოა არა მხოლოდ მედიცინის თვალსაზრისით, არამედ სამართლებრივი კუთხითაც.

ნიშანდობლივია, რომ ყოველგვარი დონორობა (სისხლის გადასხმის, ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს), მათ შორის, ხელოვნური განაყოფიერების დროს, ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს, რაც ასახულია წერილობით განცხადება-ვალდებულებაში. თუმცა მხოლოდ ნება-სურვილი, იყო დონორი ხელოვნური განაყოფიერების (მათ შორის, სისხლის გადასხმისა და ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს) პროცესში, საკმარისი არ არის, რადგანაც დონორი არ შეიძლება იყოს გენეტიკური ინფექციის მატარებელი პირი, ამავდროულად, პირი, რომლის მემკვიდრეობა ძნელი შესამოწმებელია და ა.შ. აქედან გამომდინარე, დონორი ხელს აწერს გაფრთხილებას იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ქალის დასნებოვნებას ვენერიული დაავადებით.

რაც შეეხება სპერმასა და კვერცხუჯრედს, ისინი არიან დონორობის განსაკუთრებული ობიექტები იმდენად, რამდენადაც მათ გადააქვთ მემკვიდრეობითი მასალა, ინფორმაცია, მონაწილეობენ ადამიანის გენეტიკურ ფორმირებაში და პრაქტიკულად მთლი-

ანად განსაზღვრავენ მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ხარისხს, აგრეთვე ქმნიან ბიოლოგიურ ნათესაობას დონორსა და რეციპიენტს შორის.

ქალი, რომელიც თანახმაა იმპლანტაციის გზით ორგანიზმში გადაინერგოს სხვისი განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, თავისებურად თვითონ არის დონორი. ბ. ლეონოვის აზრით, ქალი-დონორის გადაწყვეტილება, აიღოს თავის თავზე „დროებითი დედის“ ვალდებულება, საზოგადოებისათვის არა მხოლოდ მისაღებ, არამედ გმირულ აქტადაც კი შეიძლება ჩაითვალოს¹. თუმცა, არსებობენ ამგვარი დონორობის მოწინააღმდეგენი, რომლებიც თვლიან, რომ ასეთი გზა არ არის გამართლებული და იგი ბუნებრივი პროცესების საწინააღმდეგო მოვლენაა.

სპერმის დონორობა ორი სახისაა: ერთი – როდესაც დონორი ქალი, რომელიც თავის ორგანიზმში ატარებს სხვისი სპერმით განაყოფიერებულ საკუთარ კვერცხუჯრედს და დაბადებული ბავშვი ეკუთვნის დედას და მეორე – როდესაც ბავშვი დაბადების შემდგომ უბრუნდება სპერმის დონორს.

ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ბავშვის დაბადება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით: ერთი – როდესაც ბავშვის გენეტიკური მშობლები თანახმა არიან მათი ემბრიონი ატაროს სხვა (გენეტიკურად სრულიად უცხო) ქალმა და მეორე – როდესაც ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერებას ახდენენ დონორი მამაკაცის სპერმის მეშვეობით.

ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის დროს დღის წესრიგში დგება ისეთი პრობლემური საკითხი, როგორც არის ბავშვისა და მისი ნამდვილი (გენეტიკურ კავშირში მყოფი) ან მისი დამბადებელი (გენეტიკური კავშირის გარეშე, დედა-სუროგატის) მშობლების ბავშვთან სამართლებრივი ურთიერთობის საკითხი.

ქალის ხელოვნური განაყოფიერება და ემბრიონის იმპლანტაცია

¹ Б.В. Леонов, Нет и мужчинам, и женщинам лучше идти путем, "пачертанным природой", ЛГ, 1986 г.

მეუღლეების (ან მარტოხელა ქალის) წერილობითი თანხმობით ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებებში. ცნობები ჩატარებული ხელოვნური განაყოფიერების და ემბრიონის იმპლანტაციის შესახებ, ასევე დონორის ვინაობა საექიმო საიდუმლოს შუადგენს.

ქმრის სპერმით ქალით ხელოვნური ინსემინაცია (პომოლოგიური ინსემინაცია) არ ბადებს არავითარ პრობლემას, რადგან ბავშვი გენეტიკურად საკუთარი მშობლებისგან წარმოიშობა.

თუ, დონორის სპერმით ქალის განაყოფიერებისას (ჰეტერონომიული ინსემინაცია)¹, მისმა ქმარმა თანხმობა განაცხადა მსგავს პროცედურაზე, მას აღარ ექნება უფლება ამ ფაქტის საფუძველზე სადავო განადოს საკუთარი მამობა, თუმცა ცხადია, რომ იგი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა. თუ რაიმე მიზეზით დაირღვევა საექიმო საიდუმლო და დონორის პიროვნება გაცხადდება, ბავშვის მშობლებს უფლება არა აქვთ წაუყენონ დონორს მოთხოვნები მამობის აღიარებასთან დაკავშირებით, ასევე როგორც დონორს არა აქვს საკუთარ მამობაზე პრეტენზიის განცხადების უფლება. ე.წ. სეროგატული დეობის ინსტიტუტთან, როდესაც მეუღლეები აფორმებენ ხელშეკრულებას სუროგატულ დედასთან – ქალთან, რომლის ორგანიზმშიც ხდება ემბრიონის იმპლანტირება მისი მუცლით ტარების ობიექტს კი „წარმოადგენენ არა ორგანოები და ქსოვილები, არამედ მთლიანად ქალის ორგანიზმი რომელიც უზრუნველყოფს ჩანასახისთვის აუცილებელ განვითარებას და მის დაცვას გარეგანი ზემოქმედებისგან“.¹

ქორწინებაში მყოფი პირების მიერ წერილობითი თანხმობის მიცემა ემბრიონის იმპლანტაციის გზით ბავშვის დაბადების შესახებ აძლევს მათ უფლებას სააქტო წიგნში ჩაეწერონ ამ ბავშვის მშობლებად, მხოლოდ მისი დამბადებელი ქალის (დედა-სუროგატის) თანხმობით. თუ ასეთი თანხმობა არ არსებობს, მაშინ დედა-სუროგატს უფლება აქვს ჩაეწეროს მის მიერ დაბადებული ბავშვის დედად. რაც შეეხება მა-

¹ Маленина М.Н. Человек и медицина в современном праве, изд. БЕК, Москва, 1995, стр. 96-97.

მაკაცს, რომელთანაც დაბადებული ბავშვი იმყოფება გენეტიკურ კავშირში, სამართლებრივად არ იქნება მისი მამა. ასეთ შემთხვევაში ბავშვის გენეტიკურ მშობლებს უფლება არა აქვთ სადავო განადონ სააქტო წიგნში გაკეთებული ჩანაწერი¹.

ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენებით დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის დროს საჭიროა დამატებით იქნეს წარდგენილი იმ ქალის თანხმობის შესახებ ცნობა, რომელმაც გააჩინა ბავშვი ან მისცა თანხმობა ბავშვის მშობლებად აღნიშნული პირების ჩაწერის შესახებ. ამ თანხმობის წარდგენის აუცილებლობა განპირობებულია ემბრიონის იმპლანტაციის ფაქტის დასადასტურებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ინსტიტუტის მოუწესრიგებლობა პრაქტიკაში მთელ რიგ საკითხებს ბადებს.

რა წარმოადგენს ბავშვის მშობლებსა და სუროგატულ დედას შორის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველს? როგორია მხარეების მიერ გაფორმებული შეთანხმების ბუნება? შეიძლება თუ არა იყოს სასყიდლიანი მოცემული შეთანხმება? მ.ნ. მალეინა მიიჩნევს, რომ დაშვებულ უნდა იქნას ქალის მიერ სხვისი ბავშვის მუცლად ტარებისთვის საკუთარი ორგანიზმის გამოყენება როგორც უსასყიდლოდ, ასევე სასყიდლიანად „მიღებული გასამრჯელო შეიძლება განხილულ იქნას როგორც კომპენსაცია ორსულობით გამოწვეული გარკვეული დისკომფორტისა და საკუთარი ჯანმრთელობის გაუარესების რისკისთვის“². შეთანხმება მშობლებსა და იმ ქალს შორის, რომელიც ბავშვის მუცლით ტარებასა და გაჩენაზე თანხმდება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავიწროვებდეს ამ უკანასკნელის უფლებებს, კერძოდ მასში დაუშვებელია მომავალი ბავშვის დედად ქალის ჩაწერაზე უარის ან მუცლის მოშლის შემთხვევაში გასამრჯელოს გადახდაზე უარის გათვალისწინება.

თუ სუროგატული დედა გადაწყვეტს მის მიერ გაჩენილი ბავშვის

¹ Н.М. Малейна "Человек и медицина в современном праве", изд. БЕК, Москва, 1995, стр. 93-100.

² მისივე, აღნიშნული ნაშრომი, გვ. 97.

თავისთან დატოვებას, იგი ვალდებული იქნება აუნაზღაუროს გენეტიკურ მშობლებს მათ მიერ ქალის ორსულობისას გაწეული ხარჯები: კვების პროდუქტების, მედიკამენტების შეძენის; ორსული ქალის დასვენების ორგანიზების და ა.შ. ასევე იგი ვალდებული იქნება დააბრუნოს მის მიერ მიღებული გასამრჯელო (თუ გასამრჯელო მიღებულ იქნა). შემდგომში სუროგატული დედა კარგავს სასამართლო წესით მამობის დადგენის მოთხოვნის უფლებას და თვით ბავშვიც ასევე დაკარგავს ამ უფლებას; თუმცა უნდა ითქვას, რომ საკითხის მსგავსი გადაწყვეტა ბავშვის უფლებებს ლახავს.

საზღვარგარეთ უკვე დიდი გამოცდილება არსებობს ბავშვის მუცლით ტარებისა და გაჩენისათვის უცხო ქალის გამოყენებასთან დაკავშირებით. როგორც ლ.მ. პჩელინცევა აღნიშნავს, „სასამართლო დავების და სუროგატული დედობის ინსტიტუტის კომერციული გამოყენების თავიდან ასაცილებლად ევროსაბჭომ გამოსცა რეკომენდაცია, რომლის თანახმად, მსგავსი ოპერაციები მხოლოდ ექსტრემალური სამედიცინო ჩვენებებით უნდა განხორციელდეს, „დედა-ინკუბატორის“ სახით კი სასურველია უნაყოფო ქალის დების,

ახლო ნათესავების ან მეგობრების გამოყენება; ამასთან ანაზღაურებულ უნდა იქნას მხოლოდ ობიექტურად დასაშვები ხარჯები“.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ყველა საკითხი, რომელიც კი ეხება საოჯახო ცხოვრებას, წყდება მეუღლეთა თანხმობით. აქედან გამომდინარე, ქორწინებაში მყოფი ქალის ხელოვნური განაყოფიერებისათვის აუცილებელია მეუღლის წერილობითი თანხმობა.

არ არის გამორიცხული, რომ უშვილო ქალი ქმრისაგან საიდუმლოდ თხოულობდეს გაუკეთდეს ხელოვნური განაყოფიერების ოპერაცია. ამ დროს ქალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სცილდება საკუთარი სხეულის გამგებლობისათვის ქმრის თანხმობის საზღვრებს, რამდენადაც მას სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მეუღლის, ექიმის, ღონორისა და მომავალი ბავშვისათვის.

¹ Пчелинцева Л.М., Семейное право России. М., 1999, с. 266.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ მოიცავს მხოლოდ მედიცინაში წამოჭრილ პრობლემათა სფეროს და ლოგიკურად ისმის კითხვა, რომელიც სამართლისათვის არის და იქნება პრობლემურიც და აუცილებლად შესასწავლიც, რამეთუ დღეს ჩვენს სინამდვილეში ფეხს იკიდებს ხელოვნური განაყოფიერება, რომლის სამართლებრივი მოწესრიგება ჯერ კიდევ დასახვეწია და არ შევცდებით, თუ ვიტყვით – შესასწავლიც კი.

ხელოვნური განაყოფიერებისას ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ასეთი გზით დაბადებული ბავშვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემა. ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვებს მშობლებთან მიმართებაში გააჩნიათ ანალოგიური უფლება-მოვალეობანი, ბუნებრივად დაბადებული ბავშვების მსგავსად.

სწორედ ამ საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას ითვალისწინებდა 1990 წლის 10 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს ბრძანებულება – „საქართველოს საქორწინო – საოჯახო კოდექსის 52-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“, კერძოდ, „ქმარი, რომელიც თანახმაა დონორის მეშვეობით თავისი ცოლის ხელოვნურ განაყოფიერებაზე, იწერება ამ ქალის მიერ დაბადებული ბავშვის მამად და უფლება არა აქვს სადავო გახადოს ჩანაწერი“ (საქართველოს საქორწინო-საოჯახო კოდექსის 52-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

იმის გათვალისწინება, რომ მედიცინა გარკვეულ პროგრესულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით და იზრდება ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა გაჩენის მსურველთა რიცხვი, დღის წესრიგში დგება ამ მოვლენასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების მოწესრიგების საკითხი. სამწუხაროა, რომ ახალმა სამოქალაქო კოდექსმა გვერდი აუარა მათ და პრაქტიკულად უპასუხოდ დატოვა ისეთი კითხვები, როგორიცაა:

ა) ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის სამართლებრივი სტატუსი; ბ) მათი პირადი უფლებები და მოვალეობები მშობლებთან მიმართებაში; გ) დაქორწინებული მეუღლის თანხმო-

ბის გარეშე ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა და ა.შ.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისეთი პრობლემის შესახებ მსჯელობა, როგორცაა ამ გზით დაბადებული ბავშვისათვის საიდუმლოს უზრუნველყოფის საკითხი. კერძოდ, დღის წესრიგში დგება კითხვა, აუცილებელია იცოდეს ბავშვმა მისი ასეთი წარმოშობის შესახებ თუ არა? მ. მაღლინა მიიჩნევს, რომ უფრო სამართლიანი იქნებოდა მშობელთათვის არა საიდუმლოების შენახვის მოვალეობის დაკისრება, არამედ საიდუმლოს შენახვის უფლების მინიჭება. ეს მოსაზრება მართლდება საოჯახო სამართალში არსებული ანალოგიით, რომელიც დაკავშირებულია შვილად აყვანასთან, და უფლებას აძლევს მშვილებელს შეინახოს ფაქტი საიდუმლოდ¹. სასურველია უფლებისა და მოვალეობის ასეთი ნორმა გათვალისწინებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის გზით.

ვიმედოვნებთ, რომ კანონმდებელი უპასუხებს ცხოვრების მოთხოვნებს და შესაბამის ცვლილებებსა და დამატებებს შეიტანს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში. მით უმეტეს, რომ დღეს საქართველოში ამ კუთხით საკმაო წარმატებებს აღწევს ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის კედლებშიც ექიმთა დიდი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ათეულობით ბავშვია დაბადებული სწორედ ხელოვნური განაყოფიერების მეშვეობით.

თავი მეშვიდე

მშობლებისა და შვილების პირადი უფლებები და მოვალეობები

§ 1. შვილების პირადი უფლებები

მშობლებისა და შვილების პირადი უფლებები და მოვალეობები ატარებენ პირად არაქონებრივ ხასიათს და გამორიცხავენ მათ ქონებრივ შინაარსს. მათ მიეკუთვნება: შვილისათვის გვარის, სახელისა და მამის სახელის მიცემა, მშობლების უფლება და მოვალეობა შვილების აღზრდასა და სწავლაზე, მშობლების უფლება, წარმოადგინონ და დაიცვან შვილების ინტერესები და სხვ. კანონში შვილების უფლებები საკმაოდ ფართოდ არის რეგლამენტირებული, რაც საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნეს ტრადიციული მიდგომა ბავშვისადმი, როგორც მშობელთა ზრუნვის პასიური ობიექტისადმი. ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია (1990 წლის 15 სექტემბერი) ბავშვს იხილავს როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი უფლებები და მათი გარკვეულწილად დამოუკიდებლად განხორციელებისა და დაცვის უნარი. აღნიშნული კონვენციის თანახმად, ბავშვად ითვლება პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის (სრულწლოვანებისათვის). ბავშვის უნარი, იქონიოს საოჯახო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, წარმოიშობა მისი დაბადების მომენტიდან (საოჯახო უფლებაუნარიანობა).

ბავშვის მიერ სრული ქმედუნარიანობის მოპოვება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე არ გულისხმობს იმას, რომ ამ პირის ბავშვად განზილვა აღარ შეიძლება, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. ამასთან, ტერმინი „ბავშვი“, „არასრულწლოვანის“ იდენტურია.

არასრულწლოვან ბავშვთა უფლებები იყოფა ორად – პირადი და ქონებრივი უფლებები.

¹ Н.М. Маленин. Человек и медицина в современном праве. Москва, 1996 год.

პირად უფლებებს მიეკუთვნება:

- ა) ოჯახში ცხოვრებისა და აღზრდის უფლება;
- ბ) მშობლებსა და სხვა ნათესავებთან ურთიერთობის უფლება;
- გ) დაცვის უფლება;
- დ) საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება;
- ე) სახელის, გვარისა და მამის სახელის უფლება.

არასრულწლოვანს მშობლებთან ერთად ცხოვრების უფლება უნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი აიღებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

საერთაშორისო სამართლის ნორმათა მიხედვით, ბავშვის განშორება მშობლებთან დაიშვება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და ბავშვის ინტერესების შესაბამისად.

შვილების გვარი განისაზღვრება მშობლების მიერ მისი დაბადების რეგისტრაციის დროს. სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლით, შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით. გამორჩეული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ საერთო მშობლებისაგან წარმოშობილმა შვილებმა ატარონ სხვადასხვა გვარი, ერთმა, ვთქვათ, მამის, მეორემ კი – დედის.

როცა ბავშვი შეეძინება დედას, რომელიც დაუქორწინებელია და არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ბავშვის მამობის შესახებ ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის გვარად ჩაიწერება დედის გვარი. ბავშვის მამის სახელის ჩანაწერის შეტანა ბავშვის დაბადების შესახებ რეგისტრირებულ წიგნსა და დაბადების მოწმობაში ხდება დედის მითითებით (სამოქალაქო კოდექსის 1193-ე მუხლი 1). ეს წესი წარმოადგენს დედის უფლებას და არა მოვალეობას. გასათვალისწინებელია ის, რომ თუ მამის შესახებ ჩანაწერი განხორციელდა დედის მითითებით, ეს გარემოება არ შეიძლება იყოს დაბრკოლება შემდგომში პირის მიერ მამობის ნებაყოფლობით აღიარებისათვის,

ანდა სასამართლოს მიერ მამობის დადგენისათვის. არ არის გამორიცხული, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ ერთი და იმავე გვარის პირები, რომელთა შორის არ არსებობს სისხლით ნათესაობა, აგრეთვე არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვს დედის მითითებით მიეცეს საკუთარი გვარი, რომელიც ემთხვევა ბავშვის საგარეულო მამის გვარს. ეს უკანასკნელი თავისთავად გამორიცხავს ამ ბავშვის სამართლებრივ ურთიერთობას საგარეულო მამასთან (მემკვიდრეობის, საალიმენტო ვალდებულების და ა.შ.).

ბავშვს, რომლის მშობლები ცნობილნი არ არიან, გვარი, სახელი და მამის სახელი ეძლევა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მითითებით. ასეთივე უფლებები აქვს მინიჭებული იმ საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც ბავშვი იმყოფება, აგრეთვე იმ პირს, რომელმაც ბავშვი აიყვანა აღსაზრდელად.

არასრულწლოვანმა შეიძლება არ შეიძლება ატაროს მამის ან დედის გვარისაგან განსხვავებული გვარი. შეილისათვის დაბადებისას მიცემული გვარი შეიძლება შემდგომში გამოიცვალოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

არასრულწლოვანი შეილის გვარის გამოცვლას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მშობელთა შორის ოჯახური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, არასრულწლოვანი შეილის გვარის გამოცვლის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფი მშობლების მიერ ქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ან როდესაც მშობლები ერთობლივად აღიარებენ თავს ბავშვის დედად და მამად. მაგრამ მართო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, ან ნებაყოფლობით მისი აღიარება თავისთავად არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ბავშვს გამოეცვალოს გვარი, თუ იგი უკვე მიკუთვნებული აქვს დედის მიერ. ამ დროს საჭიროა მშობლების შეთანხმება. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შეილის გვარი მიეკუთვნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მითითე-

ბით, რომელიც ხელმძღვანელობს ბავშვის ინტერესებით.

შვილების გვარის გამოცვლის საკითხი შეიძლება დადგეს მათი მშობლების მიერ გვარის გამოცვლის დროსაც. ამ შემთხვევაში საკითხი შვილების გვარის შესახებ წყდება იმის გათვალისწინებით, არის თუ არა იგი სრულწლოვანი, ან ორივე მშობელი იცვლის გვარს თუ მხოლოდ ერთ-ერთი. მამისა და დედის გვარის გამოცვლა არ იწვევს სრულწლოვანი შვილების გვარის გამოცვლას. თუ გვარს იცვლის ორივე მშობელი, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, მაშინ შვილების გვარიც ავტომატურად იცვლება; თუ გვარი მხოლოდ ერთ-ერთმა მშობელმა შეიცვალა, არასრულწლოვანი ბავშვის გვარის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, გვარის შეცვლის საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

სხვანაირად წყდება სრულწლოვანი შვილის გვარის გამოცვლის საკითხი. სრულწლოვანებს მიღწეულ შვილებს შეუძლიათ მიიღონ ის გვარი, რომელსაც მოისურვებენ. უფრო მეტიც, იგი შეიძლება არ ემთხვეოდეს დედისა ან მამის გვარს. გვარის შეცვლა შეიძლება იყოს სარო-ს დამოუკიდებელი აქტი, რაც დაკავშირებული არ არის საქორწინო და საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლასთან. გვარის გამოცვლის საფუძველი შეიძლება იყოს: გვარის არაკეთილხმოვანება ან მისი გამოთქმის სიძნელე; მეუღლის სურვილი, ატაროს მეორე მეუღლესთან ერთად საერთო გვარი, ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი, თუ ამის შესახებ გაცხადებული არ ყოფილა განქორწინების დროს; სურვილი, ატაროს თავისი გამზრდელი დედინაცვლის ან მამინაცვლის გვარი და ა.შ.

გვარის არაკეთილხმოვანებასა და მის ძნელად გამოთქმასთან ერთად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები გვარის გამოცვლის პატივსადებ მიზეზებად მიიჩნევენ აგრეთვე მეუღლეთა სურვილს გამოიცვალონ გვარი, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას, ან უარყოფით რეაქციას იწვევს გარშემო მყოფთა შორის.

გასათვალისწინებელია აგრეთვე მოქალაქის სურვილი, გაამარტი-

ვოს მისი ორმაგი გვარი. მას უფლება აქვს მიიღოს ამ ორიდან ერთ-ერთი ან საერთოდ უარი თქვას მათზე. საფუძვლიანია მიზეზი მაშინაც, როდესაც პირს სურს შეიცვალოს მამის გვარი, ვინაიდან მამას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მის აღზრდაში. ამ შემთხვევაში განმცხადებელს მიენიჭება მის მიერ შერჩეული რომელიმე გვარი (მაგალითად, დედის, პაპის, ნათესავის და ა.შ.).

შვილს სახელი ეძლევა მშობლების თანხმობით, მამის სახელი კი – მამის სახელის მიხედვით, ხოლო თუ ბავშვი შეეძინა დედას, რომელიც დაუქორწინებელია, ან არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება, ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, მამის სახელი მიეცემა იმ პირის სახელის მიხედვით, რომელიც მამად არის ჩაწერილი.

თუ მშობლებს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება ბავშვის სახელის შესახებ, დავას გადაწყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მოქალაქის სახელი არის საზოგადოებასა და სამოქალაქო ბრუნვაში პიროვნების ინდივიდუალიზაციის საშუალება. სახელის უფლება წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1996 წლის პაქტით განსაზღვრულ მოქალაქის განუყოფელ უფლებას. მოქალაქე უფლებებსა და მოვალეობებს იძენს მხოლოდ მისი საკუთარი სახელით, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოიცავს სახელსა და გვარს. ნიშანდობლივია, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ფიზიკურ პირს აქვს უფლება ურთიერთობებში გამოიყენოს „გამოგონებული სახელი“, ე.წ. ფსევდონიმი. სახელი მტკიცდება ოფიციალურად გაცემული დოკუმენტებით (პასპორტით, დაბადების მოწმობითა და სხვა), რითაც დასტურდება მოქალაქის პირადობა.

ბავშვისათვის სახელის დარქმევა მშობელთა სურვილის გაუთვალისწინებლად, შეიძლება დაბადების შესახებ ჩანაწერის შეცვლის საფუძველი გახდეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მშობლებს უფლება აქვთ დაარქვან შვილებს სამარცხვინო სახელი. შვილისათვის

ასეთი სახელის დარქმევა, უეჭველია, ეწინააღმდეგება მის ინტერესებს (სასწავლებელში, სამუშაო ადგილას და ა.შ.) და ამიტომ მისი შეცვლის დაუშვებლობა არ შეიძლება სამართლებრივად იქნეს დაცული.

ბავშვს სახელი, როგორც წესი, ენიჭება სამისდღემშიოდ, მაგრამ განსაკუთრებული პირობების არსებობისას დასაშვებია მისი შეცვლის შესაძლებლობა. ბავშვის სახელის შეცვლა შეიძლება სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, თუ საამისოდ არსებობს პატივსადები მიზეზი. გარდა ამისა, ბავშვის სახელის შეცვლა დაიშვება მშვილებლის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში ნაშვილებისათვის სახელის გამოცვლა უნდა აღინიშნოს შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში. თუ ნაშვილებს შეუსრულდა ათი წელი, აუცილებელია მისი თანხმობაც.

არასრულწლოვანი შვილის მამის სახელი შეიძლება შეიცვალოს შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში: მამის მიერ სახელის შეცვლისას; არასრულწლოვანის დედის იმ პირზე დაქორწინებისას, რომლისგანაც ჰყავს მას შვილი და რომელიც ცნობს თავს ამ ბავშვის მამად; მამობის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ან როდესაც მამობის დადგენის შესახებ მშობლები შეიტანენ ერთობლივ განცხადებას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში; შვილად ამყვანის თხოვნით (თუ მშვილებელი ქალია, მაშინ მამის სახელი ნაშვილებს მიეცემა მისი მითითებით). ნაშვილების მამის სახელის შეცვლა, რომელმაც მიაღწია ათი წლის ასაკს, არ შეიძლება მისი თანხმობის გარეშე (ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობს და მას თავის მშობლად თვლის); მამის სახელის შეცვლას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, თუ იგი არ შეესაბამება იმ გვარსა და ეროვნებას, რომელიც შერჩეულია დედის გვარისა და ეროვნების მიხედვით.

18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქის მიერ სახელის, მამის სახელის, გვარისა და ეროვნების გამოცვლას, გვარისა და ეროვნების

აღდგენას აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ადგილობრივი ორგანო, მისი განცხადების საფუძველზე, განმცხადებლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 16 წლის ასაკიდან სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლა, გვარისა და ეროვნების აღდგენა დაიშვება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით. პატივსადები მიზეზების არსებობისას განცხადებას აკმაყოფილებს იუსტიციის სამინისტრო.

სახელის, მამის სახელის, გვარისა და ეროვნების გამოცვლის საფუძველს წარმოადგენს:

ა) სახელის, მამის სახელის, გვარის შეუსაბამობა მოქალაქის ეროვნებასთან;

ბ) მოქალაქის სურვილი – მიიღოს მეორე მშობლის ეროვნება და გვარი;

გ) სახელის, მამის სახელის არაკეთილხმოვანება, მისი წარმოთქმის სიძნელე;

დ) მეუღლეთა სურვილი – ატარონ საერთო, ორმაგი ან ქორწინებამდელი გვარი;

ე) მოქალაქის სურვილი – მიიღოს სახელი, რომელსაც ფაქტობრივად ატარებს;

ვ) ნაშვილები მოქალაქის სურვილი – დაიბრუნოს ნამდვილი მშობლების (მშობლის) ეროვნება და გვარი, შვილად აყვანის გაუქმების გარეშე;

ზ) მოქალაქის სურვილი – ატაროს ქორწინებამდელი გვარი, თუ ქორწინება შეწყვეტილია;

თ) მოქალაქის სურვილი – შვილებთან ერთად ატაროს გვარი, თუ მეუღლე გარდაცვლილია ან განმცხადებელს არა აქვს მიღებული მეუღლის გვარი;

ი) მოქალაქის სურვილი – მიიღოს ფაქტობრივად გამზრდელი მამინაცვლის, დედინაცვლის, პაპის, ბების, პატივსადები მიზეზების არსებობისას, სხვა პირის გვარი, თუ მშობლებს მის აღზრდაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

გვარისა და ეროვნების აღდგენის საფუძვლებია მოქალაქის მიერ მისი ისტორიული გვარისა და ეროვნების დაბრუნების სურვილი და კომპეტენტური დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნა მისი წარმოშობის შესახებ.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ადგილობრივი ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირი მოვალეა მოქალაქის მიერ სახელის, მამის სახელის, გვარისა და ეროვნების გამოცვლასთან ან გვარისა და ეროვნების აღდგენასთან დაკავშირებით აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოს.

განმცხადებელიც, თავის მხრივ, ვალდებულია გამოცვალოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოწმობა, პასპორტი) ერთი თვის ვადაში.

მამის მიერ სახელის გამოცვლისას არასრულწლოვანი შვილის მამის სახელის გამოცვლა ხდება მამის სახელის შესაბამისად, ხოლო 18 წლის მიღწევისას მამის სახელი შეიცვლება მისი შუამდგომლობით, საერთო საფუძველზე.

18 წლამდე ასაკის ბავშვის სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლა ხდება ორივე მშობლის განცხადებით, 10 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ – ბავშვის თანხმობით. მშობელს, რომელთანაც ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ არასრულწლოვანი შვილი დარჩა, უფლება აქვს შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს შვილისათვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობა (მუხლი 1196-ე).

აქედან გამომდინარე, მოცემული საკითხი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით შესაძლებელია თან სდევდეს სასარჩელო განცხადებაში განქორწინების შესახებ საკითხს ან დამოუკიდებელი სარჩელის სახით იყოს წარმოდგენილი. ამ მიმართებით სპეციფიკური გადაწყვეტის გზა არც ერთ შემთხვევას არ ახასიათებს, მთავარია, რომ ამ დროს სასამართლომ საფუძვლიანად იმსჯელოს არასრულწლოვანი შვილისათვის გვარის გამოცვლის შესახებ, რამაც, თავის მხრივ, ასახვა

უნდა პოვოს სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში. თუმცა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოები არცთუ იშვიათად კმაყოფილდებიან მოცემული ნორმის (სამოქ. კოდექსის 1196-ე მუხლი) მხოლოდ მშრალი დეფინიციით და არ ასაბუთებენ ნორმით გათვალისწინებულ „შვილის ინტერესებს“.

მაგალითად, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლომ განიხილა განქორწინებული ნ.ს-ს განცხადება მისი შვილის, გ. ს-სათვის გვარის გამოცვლის შესახებ. მოსარჩელე სასამართლო მოთხოვნას საფუძვლად უდებდა შვილის ინტერესებს და ითხოვდა სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის გათვალისწინებით მის განხილვას. ამასთან, იგი შვილის ინტერესებში გულისხმობდა ბავშვის მამის მხრიდან ინდეფერენტულობასა და მატერიალურ დაუხმარებლობას. სასამართლომ, როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, არ იმსჯელა ამ ინტერესთა საფუძვლიანობასთან დაკავშირებით და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რის შედეგადაც გ. ს-ს გვარად განესაზღვრა დედის გვარი, ხოლო მამის სახელი დარჩა უცვლელი¹. სასამართლოების ამგვარი დამოკიდებულების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ნორმის არასრულფასოვნება.

ცალკე მცხოვრები მშობლის თანხმობის გარეშე ბავშვისათვის მიკუთვნებული გვარის გამოცვლა, თუნდაც შვილის ინტერესების გათვალისწინებით, არ არის მართებული. უფრო მეტიც, ბავშვთან მცხოვრებ მშობელს არ უნდა ჰქონდეს უფლება „შვილის ინტერესების“ დასაბუთების მიზნით მოიყვანოს მოტივად, რომ სკოლაში მიყვანასთან დაკავშირებით მას ჰქონდეს მისი გვარი, ან აღარ „სიამოვნებს“ მშობელს მასთან ერთად მცხოვრებმა შვილმა ატაროს განქორწინებული მეუღლის გვარი, ან გვარის გამო ბავშვს არ ჰქონდეს ურთიერთობა ამავე გვარის მქონე ბიძაშვილებთან და სხვა. მიგვაჩნია, რომ ცალკე მცხოვრები მშობლის თანხმობის გარეშე ბავშვის გვარის გამოცვლა უნდა დაიშვებოდეს იმ შემთხვევაში, როდესაც შვილის

იხ. ვაკე-საბურთალოს სასამართლოს არქივი, 2-248-99.

ინტერესები ირღვევა ცალკე მცხოვრები მშობლის უზნეო, ამორალური ან დანაშაულებრივი მოქმედებით, მაგალითად: ლოთობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, სამშობლოს ღალატი, ან სხვა სისხლის მიძიმე დანაშაულის ჩადენა. სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათად იმის საკითხი გვართან ერთად მამის სახელის გამოცვლასთან დაკავშირებით. აღნიშნულის თაობაზე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლი ითვალისწინებს მშობლების უფლებას, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა (ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ), მიმართონ სასამართლოს შვილისათვის მხოლოდ თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ. მამის სახელის შეცვლის შესაძლებლობაზე აქ საუბარიც არაა. ამდენად, არ შეიძლება მოხდეს მამის სახელის შეცვლა.

საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი მე-12) განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის საფუძვლებს, ხოლო საქართველოს ორგანული კანონი – „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ადგენს მისი მოპოვების წესსა და პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შვილების მოქალაქეობა განისაზღვრება მათი მშობლების მოქალაქეობით.

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტი-სათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად.

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტი-სათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ: ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე; გ) ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტი-სათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტი სათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

იმ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად. საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე¹.

ორივე მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლისას, შესაბამისად იცვლება მათი შვილების მოქალაქეობაც, რომელთაც არ მიუღწევიათ 14 წლის ასაკისათვის. შვილების მოქალაქეობის შეცვლა 14-დან 18 წლის ასაკამდე დაიშვება მხოლოდ მათი თანხმობით. ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეცვლისას ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება. თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიუღწეველ ბავშვთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვს უწყდება საქართველოს მოქალაქეობა. ერთ-ერთი მშობლის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან მოქალაქეობის დაკარგვა არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეწყვეტას. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვ-

¹ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც ძალაშია 1996 წლის 1 ნოემბრიდან.

ლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება.

– თუ ერთ-ერთი მშობელი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით ბავშვი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე.

– თუ ერთ-ერთი მეუღლე მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.

– თუ მშობლებს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ და ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, პირი სრულწლოვანების მიღწევისას სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობას.

– ბავშვი, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბავშვის ეროვნული კუთვნილება დამოკიდებულია მშობლების ეროვნებაზე. თუ მშობლები ერთი ეროვნების არიან, მათი შვილების ეროვნებაც იგივე იქნება. ეროვნების შერჩევის საკითხი დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც მშობლები სხვადასხვა ერის შვილები არიან. ამ შემთხვევაში ეროვნების შერჩევის უფლება ეკუთვნის თვითონ შვილს და არა მშობლებს.

ბავშვები – საზოგადოების ცოცხალი ძალაა, მათ გარეშე იგი ცივი და უსისხლოა, სწორედ ამიტომ მშობელთა პირადი უფლება, აღზარდონ შვილები – მშობელთა მოვალეობაცაა საზოგადოების წინაშე, ვინაიდან საკითხი ეხება შვილების აღზრდას საზოგადოებაში მისაღები ზნეობისა და მორალის შესაბამისად. მშობლებმა უნდა იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისა და განათლებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მათ მოსამზადებლად, უნდა ჩაუწერონ მაღალი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარ-

ლევისადმი, ამხანაგური ურთიერთდახმარების გრძნობა, პატიოსნება, სამართლიანობა. ჩვენს ქვეყანაში შვილების ოჯახური აღზრდა თავისი ამოცანებითა და პრინციპებით, სავსებით შეესაბამება საზოგადოებრივ აღზრდას. სწორედ ოჯახში ეყრება საფუძველი და ყალიბდება ბავშვის ჩვევა, შეხელულება გარემომცველ სინამდვილეზე, მისი ხასიათი, წარმოდგენები კარგსა თუ ცუდზე, სხვა პირებთან დამოკიდებულება და სხვა.

მშობლები მოვალენი არიან უზრუნველყონ შვილების მიერ ძირითადი ზოგადი განათლების მიღება. განათლების შინაარსი უშუალოდ მიმართული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი მიზნების მისაღწევად: ა) ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება; ბ) ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩანერგვა; გ) მშობლებისადმი, ენისა და იმ ქვეყნის ღირებულებებისადმი პატივისცემის ჩანერგვა, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს; დ) მომზადება შეგნებული ცხოვრებისათვის ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცისა და ქალის თანასწორობისა და ხალხებს, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით; ე) გარემოსადმი მზრუნველობით მოპყრობა.

არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე შვილების ყოლაა, მაგრამ, ალბათ, არც იმაზე ძნელი საქმეა რამე, ვიდრე მათი აღზრდა. თუ თქვენ გააჩინეთ ბავშვი, – წერდა ცნობილი რუსი პედაგოგი ა. მაკარენკო, – ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალი წლით ადრე თქვენ გადაეცით მას თქვენი აზრების მთელი დაძაბულობა, მთელი თქვენი ყურადღება და მთელი თქვენი ნებისყოფა¹.

ოჯახი ბავშვებით მდიდრდება, მათი მაღალზნეობრივი აღზრდისათვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშობლების მეგობრულ დამოკიდებულებას, მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, შეთან-

¹ А.С. Макаренко, Соч. т.IV, с. 26.

ხმებულობის, გულწრფელობისა და სამართლიანი მოქმედების პირადი მაგალითების ჩვენებას.

ბავშვები განსაზღვრულ ასაკში მიმბაძველები არიან. პირველ რიგში კი, ისინი მშობლებს ბაძავენ. ისინი აძლევენ მათ კარგი თუ ცუდი ყოფაქცევის მაგალითს. მშობლების დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი შვილების მიერ აღიქმება, როგორც ქცევის ნორმა. ამიტომ მშობლები თავად უნდა იყვნენ ისეთები, როგორც უნდათ იყვნენ მათი შვილები. „თქვენი საკუთარი ყოფაქცევა, – წერდა ა.ს. მაკარენკო, მიმართავდა რა მშობლებს, – ყველაზე გადამწყვეტი რამ არის. თქვენ ფიქრობთ, რომ ზრდით ბავშვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მასთან ლაპარაკობთ ან ასწავლით რაიმეს, ანდა უბრძანებთ ხოლმე. თქვენ ზრდით მას თქვენი ცხოვრების ყველა მომენტში, მაშინაც კი, როდესაც შინ არა ხართ. როგორ იცვამთ, როგორ ლაპარაკობთ სხვა ადამიანებთან და სხვა ადამიანებზე, როგორ მხიარულობთ ან განიცდით მწუხარებას, როგორ ეპყრობით სხვა ადამიანებს, მეგობრებსა და მტრებს, როგორ იცინით, კითხულობთ გაზეთს – ყოველივე ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისთვის“¹.

ცალკეული შემთხვევების ერთობლიობა და მაგალითი ბავშვში პატიოსნების გრძნობასა და კეთილშობილურ თავმოყვარეობას ზრდის. თუ ასეთ მომენტებს მშობელი მიზნობრივად გამოიყენებს და პირადი მაგალითით დაარწმუნებს ბავშვს სიმართლისა და პატიოსნების სიკეთეში, ახალგაზრდა დიდ საქმეებშიც პირნათლად დაიცავს ოჯახის ღირსებას.

სამწუხაროდ, ყველა მშობელს არა აქვს საუკეთესო ზნეობრივი თვისებები, ან ყველა მშობელმა ერთნაირად კარგად არ იცის, თუ როგორ უნდა ჩაუნერგოს ბავშვს ზნეობრივი ჩვევები.

სახელმწიფოს დამოკიდებულება მშობლის მიმართ მხოლოდ მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრით კი არ შემოიფარგლება, არამედ

¹ А.С. Макаренко, Соч. т. IV, с. 34-35.

მშობლის უფლება დაცულია სახელმწიფოს მიერ. შვილების აღზრდის საკითხს მშობლები ერთად წყვეტენ. მართალია, დედა თავისი შვილის „მფარველი ანგელოზია“, რომელმაც ყველაზე სწორად, 'ხუსტად და ღრმად იცის საკუთარი, ღვიძლი არსების „მთელი საილუმოება“, იცის, რომ იგი მისი სხეულისა და სულის ნაწილია, რომლის გარეშე მას არსებობაც ვერ წარმოუდგენია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ამცირებს მამის უფლებას, მის ღირსებას და უდიდეს როლს შვილის აღზრდაში. აქედან გამომდინარე, დედა და მამა სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით თავიანთი შვილების მიმართ (მუხლი 1197-ე), ამასთანავე, შვილების აღზრდის პირად უფლებებსა და მოვალეობებს მშობლები ახორციელებენ არა მარტო თანასწორობის საწყისზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვების ინტერესების სასარგებლოდ. ამიტომ მათ შვილების აღზრდის საკითხები უნდა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით. თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან, უფლება აქვთ მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც სადავო საკითხს გადაწყვეტს მშობლების მონაწილეობით.

შვილების აღზრდასა და სწავლაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპი გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებშიც. ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციაში მითითებულია, რომ მშობლებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის, რომლის უპირატესი ინტერესები უნდა წარმოადგენდეს მშობელთა ზრუნვის ძირითად საგანს. მშობლების უფლებები დაფუძნებულია შვილების წარმომობაზე, რომელიც დადასტურებულია კანონით გათვალისწინებული წესით, ე.ი. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში დაბადების რეგისტრაციის გზით. საოჯახო სამართლით გათვალისწინებულ მშობლების უფლებათა დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული უფლებები ორგანულად მოიცავს არა მარტო უფლებებს, არამედ მშობლების მოვალეობებსაც. ამიტომ მშობლებს არა მარტო უფლება აქვთ, არამედ ვალდებულნიც არიან

განახორციელონ თავიანთი უფლებები. მშობლების უფლებებს შეესატყვისება შესაბამისი მოვალეობები, რომელთა შეუსრულებლობამ მშობლებისათვის შეიძლება გამოიწვიოს განსაზღვრული სანქციები. მშობლებს არა აქვთ უფლება თვითნებურად, თავისი შეხედულებებისამებრ, მიიღონ გადაწყვეტილება სხვა პირებისათვის თავიანთი უფლებების გადაცემის შესახებ, ე.ი. მშობლის უფლებები გაუსხვისებადი ხასიათისაა. მშობლების უარი თავიანთ უფლებებზე შეილების მიმართ და თანხმობა სხვა პირთა მიერ მათ შეილებაზე შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით დადგენილი წესის განუხრელად დაცვისას.

ბავშვის ერთ-ერთ მშობელზე გადაცემა არ ნიშნავს მეორე მშობლისათვის ბავშვთან ურთიერთობის უფლების ჩამორთმევას. შეილების მიმართ მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი განქორწინებულნი არიან. ამ დროს მშობელს, სარჩოს მიცემასთან ერთად, ევალდება ისიც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს შეილების აღზრდაში.

მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრებას განქორწინების ან სხვა მიზეზების გამო, ყოველთვის როდი ახლავს თან მათ შორის მტრული განწყობილება, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს მეუღლეების ურთიერთობა, რა გარემოებამაც არ უნდა უბიძგოს მათ ცოლქმრული ცხოვრების შეწყვეტისა და განქორწინებისაკენ, სრულიად უცხონი ერთმანეთის მიმართ მაინც ვერ დარჩებიან, ვინაიდან მათ აკავშირებთ შეილები, რომელთა შენახვა და აღზრდა ორივეს თანაბრად ეკისრება. კანონი ეხმარება მათ ამ საკმაოდ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა, რათა ბავშვებს არ მიადგეთ სულიერი ტრავმა იმ მშობელთა უსულგულო დამოკიდებულების გამო, რომელთაც არ სურთ გამონახონ საერთო ენა ერთმანეთთან.

შეილების ინტერესების გათვალისწინებით ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლები მოვალენი არიან მაქსიმალურად შეეცადონ, რომ შეთანხმ-

დნენ შვილის აღზრდის საკითხში. ეს კი მიუღწეველი იქნება, თუ მშობლებს არ ექნებათ შესაძლებლობა იქონიონ ურთიერთობა შვილთან (შვილებთან).

კანონი ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, ურთიერთობა იქონიოს თავის მშობლებთან და სხვა ნათესაებთან ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი (დაკავება, დაპატიმრება და სხვ.). საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, ბავშვს უფლება აქვს გაიგოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება საკუთარი მშობლებისაგან ანდა ნათესაებისაგან (მეურვეებისა და მზრუნველებისაგან) და მიიღოს სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარება მათი მხრიდან.

ექსტრემალურ სიტუაციაში იგულისხმება აგრეთვე მძიმე ცხოვრებისეული სიტუაციები (ინვალიდობა, ობლობა, საცხოვრებელი ადგილის არქონა, კონფლიქტი და სასტიკი მოპყრობა ოჯახში, მართობა და სხვ.).

ექსტრემალურად ითვლება სიტუაცია, როდესაც ბავშვი მიეცა ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს, მშობლებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ინტერესები, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საქმეზე არასრულწლოვანი პირის დამცველად შეიძლება გამოვიდეს ახლო ნათესავი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო საქმის ფაქტობრივ გარემოებათა შესწავლის საფუძველზე გამოიტანს დადგენილებას, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ორივე მშობლისათვის. დადგენილებაში მითითებულ უნდა იქნეს რა ვითარებაში, რა დროს (საათი, დღე, კვირა) და როგორ უნდა განხორციელდეს ცალკე მცხოვრები მშობლის ურთიერთობა შვილთან. ვინაიდან ცალკე მცხოვრებ მშობელს აქვს შვილთან ურთიერთობისა და მისი აღზრდის ხელშეუვალი უფლება, ეს ურთიერთობა არ უნდა შემოიფარგლოს ბავშვის ხანმოკლე მონახულებით. პირიქით, ასეთი შეხვედრები უნდა იყოს ხანგრძლივი, რათა მშობელმა ნამდვილად შეძლოს სრულყოფი-

ლად განახორციელოს ბავშვის აღზრდის უფლება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ცალკე მცხოვრებ მეუღლეს უფლება აქვს მოითხოვოს შვილთან ურთიერთობა ნებისმიერ დროს და განუსაზღვრელი ვადით, დაარღვიოს ბავშვის ნორმალური ცხოვრების რიტმი, მიიღოს ბავშვის მიმართ ისეთი გადაწყვეტილება, რაც შეთანხმებული არ იქნება მშობელთან, რომელთანაც შვილი ცხოვრობს.

ცალკე მცხოვრები მშობლის შვილთან ურთიერთობაზე შეიძლება უარი განაცხადოს მშობელმა, ვინც შვილთან ერთად ცხოვრობს, თუ დამტკიცებულ იქნება, რომ ასეთი ურთიერთობა ხელს უშლის ბავშვის ნორმალურ აღზრდას და მავნე გავლენას ახდენს მასზე. სხვა საფუძველზე მშობლისათვის უარის თქმა, ჰქონდეს ურთიერთობა შვილთან, მშობლის უფლებების უხეში შელახვა იქნებოდა. იურიდიულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია საკვებით სწორი მოსაზრება, რომ უმრავლეს შემთხვევაში მშობლის უფლებების ასეთი შელახვა სრულიადაც არ აიხსნება ბავშვის ინტერესებით, თუმცა ამ ინტერესზე ჩვეულებრივ ხშირად მიუთითებენ მშობლები, რომელთაც სურთ შენიღბონ თავიანთი მოქმედება. ის მშობლები, რომლებიც ხელს უშლიან მეორე მშობელს ჰქონდეს ურთიერთობა თავის შვილთან, ყოფილი მეუღლის მიმართ ხშირად ხელმძღვანელობენ ღვარძლისა და შურისძიების გრძნობით. ასეთი საქციელი არა მარტო უხეშად არღვევს ცალკე მცხოვრები მშობლის უფლებას, არამედ ეწინააღმდეგება თვითონ ბავშვის ინტერესებსაც, რომელიც ამის გამო „ნახევრად ობოლი“ ხდება, თუმცა მას დედაც ცოცხალი ჰყავს და მამაც. ასეთი მტკიცების სამართლიანობა დასტურდება მრავალრიცხოვანი მაგალითებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა პრაქტიკიდან.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება აქვს ცალკე მცხოვრებ მშობელს განსაზღვრული ვადით (რაც აღინიშნება დადგენილებაში) ჩამოართვას შვილთან ურთიერთობის უფლება, თუ ასეთი ურთიერთობა ხელს უშლის შვილის ნორმალურ აღზრდას და მავნე გავლენას ახდენს მასზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბავშვთან ურთიერთობის უფლება კვლავ განახლებადია. არ შეიძლება

მშობელს სამუდამოდ წაერთვას შვილთან ურთიერთობის უფლება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ადგილი აქვს მშობლის უფლების ჩამორთმევას.

თუ ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლები ვერ შეთანხმდებიან შვილთან ურთიერთობის წესსა და მის აღზრდაში მონაწილეობის თაობაზე, არ დაემორჩილებიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მითითებას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს (ამ შემთხვევაში მშობლებს არა აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოს). ასეთი რამ უფრო ხშირად ხდება მაშინ, როდესაც არ არსებობს საფუძველი ცალკე მცხოვრები მშობლის მიმართ შვილთან ურთიერთობაზე უარის თქმისათვის, მაგრამ მშობელი, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, ხელმძღვანელობს რა ყოფილი მეუღლის მიმართ მტრული განწყობილებითა და შურისძიების გრძნობით (ოჯახის დანგრევის გამო), არ აძლევს მას შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობის უფლებას, არ ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მითითებას.

სასამართლოს უფლება აქვს შეცვალოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილი წესი, ან უარი უთხრას მას სარჩელზე. ამ შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს, შეესაბამება თუ არა დადგენილი წესი ბავშვების ინტერესებს, ხომ არ არღვევს იგი მშობლების უფლებებს ბავშვის აღზრდაში. დავის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბავშვის აღზრდის კონკრეტული პირობები, მისი ასაკი, განვითარების თავისებურებანი, მშობელთა ურთიერთობის ხასიათი, ბავშვების მათდამი დამოკიდებულება, ბავშვისგან ცალკე მცხოვრები მშობლების ცხოვრების პირობები, ბავშვებზე მათი დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა, აგრეთვე ყველა სხვა გარემოება, რაც გამომოქალაქნდება საქმის განხილვისას.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ერთ-ერთი მშობელი ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას, სასამართლოს არა მარტო იმის უფლება აქვს, რომ დაადასტუროს მოპასუხის მოვალეობა, დაემორჩილ-

ოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, არამედ იმისაც, რომ გადასინჯოს საკითხი, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს ბავშვა, ხოლო თუ მშობელთა მოქმედება გამოიწვევს მძიმე შედეგებს, ჩამოართვას მშობლის უფლება ორივეს ან ერთ-ერთ მათგანს, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის შვილის ნორმალურად აღზრდას.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ბავშვის აღზრდაში, ცალკე მცხოვრები მშობლის მონაწილეობის შესახებ, აქვს სავალდებულო ხასიათი როგორც მშობლებისათვის, ისე მესამე პირებისთვისაც (ბებიები, პაპები, დეიდები, საბავშვო ბაღები, სკოლები და სხვა). ზშირად საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაცია ან აღმზრდელები იმ მშობლის ზეგავლენით, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, ხელს უშლიან მეორე მშობელს, ნახოს ბავშვი საბავშვო ბაღში ან სკოლაში. სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, საბავშვო დაწესებულებათა მხრივ ასეთი დამოკიდებულება გამორიცხება.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ხოლო სათანადო შემთხვევებში სასამართლოს მიერ, ბავშვთან ურთიერთობის დადგენილი წესი არ შეიძლება უცვლელი დარჩეს ბავშვის აღზრდის მთელი პერიოდისათვის. ამიტომ ბავშვის ცხოვრების პირობების შეცვლასთან ერთად (ასაკი, მშობლის ხელახალი დაქორწინება, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, მშობლის სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასვლა და სხვა), შეიძლება დადგეს საკითხი ბავშვთან ურთიერთობის დადგენილი წესის შეცვლის თაობაზე.

ძველი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ახალ კოდექსში გაფართოებულია ნათესავების წრე, რომლებთანაც ურთიერთობის უფლება გააჩნია ბავშვს; ამ შემთხვევაში ბებიასა და პაპას ემატება ბავშვის და-ძმა, დეიდა, ბიძა და სხვა ნათესავები.

სხვადასხვა გარემოებათა გამო (მეუღლეთა განქორწინება, ოჯახური კონფლიქტები, ერთ-ერთი მშობლის სიკვდილი), ზოგიერთი მშობელი არ უშვებს იმას, რომ ბებიამ, ბაბუამ და სხვა ნათესავებმა მონაახლონ ბავშვი. აღნიშნული სადავო საკითხების გადაწყვეტა

შეუძლიათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, რომელთა გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავად მშობლებს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

სასამართლო დაეას წყვეტს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი აზრის გათვალისწინებით.

სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მშობელს ეკისრება ჯარიმა.

საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია პაპისა და ბების უფლება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლი). მათ ხშირად მშობლებზე არანაკლები ამაგი აქვთ თავიანთი შვილიშვილების აღზრდაში. ბებია და პაპა შვილიშვილებისათვის გულითადი, უსაყვარლესი, ჩეტად ახლობელი და გულშემატკივარი ადამიანები არიან, რომელთა სიკეთე ბავშვების ცხოვრებაში საინტერესო ამბებით, ზღაპრებით, ლეგენდებით, გმირული ეპიზოდებით სახიერდება და ცოცხლდება. შვილიშვილებთან ურთიერთობა პაპისა და ბებიას ბევრ სიხარულსა და მორალურ კმაყოფილებას ანიჭებს, მაგრამ ცხოვრებაში გეხვდება შემთხვევები, როდესაც განქორწინების ან ბავშვის ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემდეგ, მეორე მშობელი, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, არ აძლევს უფლებას პაპისა და ბებიას ჰქონდეს ურთიერთობა შვილიშვილთან.

პაპისა და ბების ინტერესების დაცვის მიზნით კანონი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები უარს ეუბნებიან პაპისა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები, საშუალება მისცენ პაპისა და ბებიას ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვის ნორმალურ აღზრდასა და ცუდ გავლენას არ მოახდენს მასზე. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პაპისა და ბების ურთიერთობა შვილიშვილთან ხელს უშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას ახდენს

მათზე (მაგალითად, პაპა ან ბებია ამხედრებენ შვილიშვილებს რომელიმე მშობლის წინააღმდეგ, აერთიანებენ მათ რელიგიურ სექტებში და ა.შ.), მაშინ სასამართლოს უფლება აქვს უარი უთხრას პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე.

კანონი უზრუნველყოფს მშობლებისა და შვილების ერთად ცხოვრების იურიდიულ გარანტიებს და ამით აუცილებელ პირობებს ქმნის მშობლების მიერ შვილების აღზრდის უფლების განხორციელებისათვის.

დავით სოსელია და ირმა ჯავახიშვილი იმყოფებოდნენ ქორწინებაში. მათ შეეძინათ შვილი. 1998 წელს მათი ქორწინება შეწყდა.

სოსელიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მისი ბინის განსაზღვრა იმ ვარაუდით, რომ მოპასუხე ერთპიროვნულად წყვეტდა შვილის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხელს უშლიდა მასთან ურთიერთობაში.

შეგებებული სარჩელით ჯავახიშვილმა მოითხოვა შვილის ნორმალური რჩენისა და აღზრდისათვის სოსელიასთვის აღიმენტი დაკისრება, თვეში 70 ლარის ოდენობით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სოსელიას სარჩელის მოთხოვნა. მხარეთა შვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა ჯავახიშვილის ბინა. სოსელიას მიეცა შვილთან შეხვედრის უფლება მცოცავი გრაფიკით.

ჯავახიშვილს უარი ეთქვა შეგებებულ სარჩელზე.

სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით ჯავახიშვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, სოსელიას დაეკისრა აღიმენტის 80 ლარის გადახდა ყოველთვიურად, ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ჯავახიშვილმა შეიტანა საკასაციო საჩივარი ამ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი, რომლის შესაბამისად:

1. შვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა ჯავახიშვილის საცხოვრებელი ბინა.

2. სოსელიას შვილის ნახვის უფლება მიეცა მცოცავი გრაფიკით

– ყოველ მეორე შაბათ-კვირას; იგი ამ უფლებას გამოიყენებს, როგორც ჯავახიშვილის საცხოვრებელ ადგილზე, ასევე ბავშვის თავისთან წაყვანით. ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია აცნობოს ჯავახიშვილს ბავშვის ადგილსამყოფელი.

შეხვედრების დროდ განისაზღვრა პარასკევი, 19 სთ-დან კვირა დღის 19 სთ-მდე.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ივნისისა და ივლისის თვეებში, სოსელია ბავშვს 2-2 კვირით თავისთან წაიყვანს. სასურველია ამ უფლების გამოყენების შესახებ, ვადის მითითებით, წინასწარ განსაზღვრულ თარიღამდე არა უგვიანეს 7 დღისა აცნობოს ჯავახიშვილს.

თუ ბავშვი შეთანხმებით გათვალისწინებული დროისათვის და განმავლობაში იქნება ავად, სოსელიას ბავშვის მონახულების უფლება ექნება ჯავახიშვილის საცხოვრებელ ადგილზე.

3. თუ ბავშვი შეთანხმებით განსაზღვრული დროის პერიოდში იქნება სპორტული, აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და სხვა საქმით დაკავებული, სოსელია ვალდებულია, ხელი შეუწყოს მას (ადგილზე დროული მიყვანით, წამოყვანით).

4. სოსელია შეუქმნის შვილს აღზრდისა და განათლების შესაბამის პირობებს; დაეხმარება დაეალების მომზადებაში.

5. სოსელია ყოველთვიურად გადაიხდის 50 ლარს, არა უგვიანეს მომდევნო თვის პირველი რიცხვისა. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სოსელიას დაეკისრება პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

6. დადგენილი ვადების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

მშობლების უფლება, განსაზღვრონ შვილების საცხოვრებელი ადგილი, დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2001, №10, განჩინება №3კ/579-01.

მე-2 ნაწილით, რომელიც მიუთითებს, რომ არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მათი მშობლების, მშვილებლების ან მეურვეების საცხოვრებელი ადგილი. იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული ვისთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დაეას გადაწყვეტს სასამართლო. ამასთან ერთად, სასამართლო, უწინარეს ყოვლისა, მოვალეა გამოდიოდეს ბავშვების ინტერესებიდან, გაითვალისწინოს თითოეული მშობლის ცხოვრების წესი და პირობები, შვილების ასაკი, აგრეთვე ამა თუ იმ მშობლისადმი მეტი სიანხლოვე.

მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში, შვილის საცხოვრებელი ადგილის საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც განქორწინების დროს, ისე მისგან დამოუკიდებლად.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა არ გამორიცხავს მომავალში კონკრეტულად ჩამოყალიბებული ფაქტობრივი ვითარების შეცვლისას, სასამართლო წესით, ბავშვის საცხოვრებლად მეორე მშობლისათვის გადაცემის შესახებ საკითხის დაყენების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა გერმანიის სამოქალაქო სამართლის მიდგომა ასაკობრივ ჯგუფებთან მიმართებაში, რამაც, ცხადია, ასახვა პოვა ასაკთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინსტიტუტებში. გამონაკლისი ამ შემთხვევიდან არც არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა აღმოჩნდა. მიგვაჩნია, რომ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ემანსიპაციაზე (რომლის თანახმადც განსაზღვრული პირობების არსებობისას არასრულწლოვანები ხდებიან ქმედუნარიანი პირები და სამეწარმეო ურთიერთობებში უთანაბრდებიან მათ), ითვალისწინებს მათ შეუზღუდავ ქმედუნარიანობას მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობებში, ამ ურთიერთობების გარეთ იგი ჩვეულებრივად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ რჩება. ეს კი ნიშნავს მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის დამოუკიდებლად არჩევის შეუძლებლობას.

მშობლების უფლება აღზარდონ შვილები, გულისხმობს იმასაც, რომ შვილები მათთან იმყოფებოდნენ.

საკითხი ბავშვის მშობელზე გადაცემის შესახებ ყველაზე ხშირად წამოიჭრება მაშინ, როდესაც გარდაიცვლება მშობელი, რომელთანაც ცხოვრობდა ბავშვი, ხოლო გარდაცვლილის ნათესაები (დეიდა, ბიძა, ბებია და სხვა) უარს აცხადებენ გადასცენ ბავშვი მეორე მშობელს. ბავშვები შეიძლება აღსაზრდელად აღმოჩნდნენ აგრეთვე სხვა პირებთანაც სტიქიური უბედურების, ომიანობის, მშობელთა მძიმე ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო.

მშობლებს, სხვა პირებთან შედარებით, აქვთ უპირატესი უფლება აღზარდონ თავიანთი შვილები. ამიტომ, თუ ვინმე უკანონოდ ამყოფებს ბავშვებს თავისთან და ამით ხელს უშლის მშობელს განახორციელოს მისი აღზრდა, მაშინ მას უფლება აქვს, სასამართლო წესით, მოსთხოვოს არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირს, რომელიც კანონიერი საფუძვლის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ამყოფებს მას თავისთან. სარჩელს, ბავშვის დაბრუნების შესახებ, განიხილავს სასამართლო ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქმის განხილვაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მოგვაქვს მაგალითი:

... ცხრა წლის ცისანა, მძიმე ავადმყოფ დედასთან ერთად ცხოვრობდა დეიდამისის კ-ს ოჯახში. უშვილო კ-ს ერთადერთი მისწრაფება იყო, რომ საყვარელი დისწული ყოველთვის გვერდით ჰყოლოდა. ეს სურვილი კიდევ უფრო გაუმძაფრდა მას გოგონას დედის გარდაცვალების შემდეგ. დეიდა კ-ს ცისანას გარეშე სიცოცხლე ვერც კი წარმოედგინა, ამიტომ მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ხელი შეეშალა ცისანას მამასთან დაბრუნებისათვის. ბავშვის მამამ მიმართა სასამართლოს სარჩელით მისი დაბრუნების შესახებ. სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა. სასამართლომ ამ შემთხვევაში იხელმძღვანელა სხვა პირის მიმართ მშობლის მიერ შვილის აღზრდის უპირატესი უფლებით.

მოთხოვნას ბავშვის დაბრუნების შესახებ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყველა სიტუაციაში, მაშინაც კი, როდესაც ბავშვი სხვა ოჯახში კარგად ცხოვრობს.

აღძრულ სარჩელს, ფაქტობრივი აღმზრდელისათვის ბავშვის ჩამორთმევის შესახებ, ყოველთვის როდი აკმაყოფილებს სასამართლო. თუ დადგენილ იქნება, რომ ბავშვს დიდი ხნის განმავლობაში ფაქტობრივად ზრდიდა გარეშე პირი, რომელსაც იგი თავის მშობლად თვლის, მაშინ შეიძლება სასამართლომ არ დააკმაყოფილოს მშობლის მოთხოვნა მისთვის ბავშვის ჩამორთმევის შესახებ, თუ ეს ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო იქნება. ასეთივე გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი მაშინაც, როდესაც მშობლის მისწრაფება, აღსაზრდელად დაიბრუნოს შვილი, ნაკარნახევია არა მასზე ზრუნვით, არამედ სურვილით, გათავისუფლდეს შვილისთვის სარჩოს მიცემისაგან ან სხვა მოსაზრებებით.

ასეთი დაკების დროს მხედველობაში მიიღება 10 წელზე მეტი ასაკის მქონე ბავშვის სურვილი, იცხოვროს მშობლებთან, მაგრამ ამას არ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, იგი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ საქმის გარემოებებთან ერთად.

§ 2. მშობლის უფლების ჩამორთმევა

მშობლები, როგორც წესი, სათანადოდ ახორციელებენ თავიანთი შვილების აღზრდის უფლებას, ამზადებენ მათ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ მშობლიურ უფლებებს და ახორციელებენ მათ ბავშვების ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასეთ პირობებში კანონი ითვალისწინებს მშობლის უფლების ჩამორთმევას, როგორც უკიდურეს ღონისძიებას. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის (1990 წლის 15 სექტემბერი) მე-9 მუხლის თანახმად, ბავშვი არ შეიძლება დააშორონ მშობლებს მათი ნების საწინააღმდეგოდ, გამონაკ-

ლისის გარდა, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ მიიღება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე (მაგალითად, როდესაც მშობლები სასტიკად ეპყრობიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე და ა.შ.). მშობლის მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ და, იმავდროულად, უმაღლეს ზომას წარმოადგენს მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა, რაც დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესითა და საფუძველებით.

მშობლის უფლების ჩამორთმევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, თუ ორივე მშობელი ან ერთ-ერთი მათგანი: ა) სისტემატურად არიდებს თავს შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას; ბ) ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას და სასტიკად ეპყრობა შვილებს; გ) მავნე გავლენას ახდენს მათზე თავისი ამორალური ყოფაქცევით; დ) არის ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანი.

კოდექსის 1205-ე მუხლში ჩამოთვლილი პირობები ამომწურავია და სასამართლოს მიერ სხვა საფუძველებით მისი განხორციელება დაუშვებელია.

მშობლის უფლების ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე მათ მიერ შეგნებულად სწავლისა და განათლების მიღებისას ხელის შეშლაში, ნარკოტიკებისა და სპირტიანი სასმელების მიღებასა და დანაშაულის ჩადენისას ხელის შეწყობაში ან მათ გამოყენებაში. ყველაზე უფრო შემზარავია ბავშვების იძულებითი ჩაბმა მათხოვრობასა და პროსტიტუციაში. ცხადია, ყველა ზემოაღნიშნული პირობა არის სასამართლოს მსჯელობის საფუძველი მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ორივე მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, ბავშვები უნდა გადაეცეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. თუ მშობლის უფლების ჩამორთმევა ეხება მხოლოდ ერთ მშობელს, მაშინ საკითხს ბავშვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ან მეორე მშობლისათვის გადაცემის შესახებ წყვეტს სასამართლო, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. ასე მაგალითად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ აღძრა სარჩელი სასამართ-

ლოში მოქალაქე ფ-სთვის ორი შვილის მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ. სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ ბავშვების დედა არსად არ მუშაობდა, არ ზრუნავდა ბავშვების აღზრდაზე, ეწეოდა ამორალურ ცხოვრებას, ხშირად არ მიდიოდა სახლში; მამა კი დადებითად ხასიათდებოდა, ზრუნავდა ბავშვებზე, ბავშვებსაც უყვარდათ იგი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლომ მშობლის უფლება ჩამოართვა მხოლოდ დედას; ბავშვები აღსაზრდელად მამასთან დარჩნენ.

მშობლის უფლების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მშობლის დანაშაულებრივი მოქმედების გამო და, როგორც წესი, გამოიყენება მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, აგრეთვე ოჯახის წევრთა და ახლობელი ადამიანების მხრივ დარწმუნება ვერ ახდენს მათზე სასურველ შედეგს, ვერ ცვლის მათ დამოკიდებულებას შვილისადმი (ან შვილებისადმი). ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: მრავალი წლის განმავლობაში აღრიცხვაზე ჰყავდათ ვინმე კ-ს ოჯახი, როგორც სახელგატეხილი. კ-ს ჰყავდა 15 წლის გოგონა. იგი არ ზრუნავდა შვილის აღზრდაზე, ეწეოდა პარაზიტულ ცხოვრებას, ბინაში მოაწყობდა გარყვნილების ბუდე. ამ ბუნაგის ერთ-ერთმა ხშირმა „სტუმარმა“ გააუპატიურა კ-ს ქალიშვილი, მაგრამ დედამ დაფარა ეს დანაშაული. იგი გამოიძახეს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში, გაესაუბრნენ, გააფრთხილეს დაეწყონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მაგრამ იგი კვლავ თავისას განაგრძობდა. სარჩელი მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ მის მიმართ აღიძრა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გოგონამ მიმართა პოლიციის ბავშვთა ოთახს დახმარებისათვის, იმასთან დაკავშირებით, რომ დედა აიძულებდა მას სქესობრივ ურთიერთობაზე მათთან ოჯახში შემთხვევით მოსულ პირებთან.

მიუხედავად იმისა, რომ შეილად აყვანით მშვილბეელი უთანაბრდება ნაშვილების ღვიძლი მშობლების სამართლებრივ მდგომარეობას, არ შეიძლება მშობლის უფლების ჩამორთმევა შეილად ამყვანისათვის.

შვილად ამყვანის მიერ ბავშვის აღზრდისა და მასზე ზრუნვის მოვალეობის არასათანადოდ განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ შვილად აყვანის გაუქმება.

არ შეიძლება მშობლის უფლების ჩამორთმევა იმ პირისათვის, რომელიც თავის მშობლიურ მოვალეობებს ვერ ასრულებს სულით ავადმყოფობის, ჭკუასუსტობის, ან სხვა ქრონიკული დაავადების (ქრონიკული ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გარდა), აგრეთვე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ბავშვის (ბავშვების) მიმართ. არ შეიძლება მშობლის უფლების ჩამორთმევა იმ შვილების მიმართ, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან (ე.ი. სამომავლოდ).

მშობლის უფლების ჩამორთმევა ვრცელდება მხოლოდ იმ შვილებზე, რომელთა მიმართაც მშობელი სჩადის ზემოთ აღნიშნულ არაკანონიერ და მიუღებელ მოქმედებას. ამიტომ დასაშვებია, რომ მშობელს (ან მშობლებს) მშობლის უფლება ჩამოერთვას მხოლოდ ერთ-ერთი თავისი შვილის მიმართ (მაგალითად, იმ შვილის (ან შვილების) მიმართ, რომელსაც სასტიკად ეპყრობა, ცუდ გავლენას ახდენს მასზე თავისი ამორალური ყოფაქცევით და სხვა). მშობლის უფლების ჩამორთმევა გამოხატულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ თითოეული ბავშვის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებაში, თუნდაც საქმე ეხებოდეს მრავალშვილიან ოჯახს.

ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა მიეკუთვნება მშობლის უფლებებს ყველა შვილის მიმართ, ვინაიდან მისი არამართლზომიერი ყოფაქცევა იმაზე მიუთითებს, რომ იგი საერთოდ არ არის ღირსი სარგებლობდეს მშობლის უფლებით.

უფლებაჩამორთმეული მშობელი კარგავს ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას იმ შვილისადმი, რომლის მიმართაც მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება. კერძოდ, იგი კარგავს შვილის აღზრდის უფლებას და, აქედან გამომდინარე, ყველა უფლებამოსილებას, როგორ-

იცაა: შეილთან ერთად ცხოვრება, მისი დაბრუნება სხვა პირებისაგან, რომლებიც ფაქტობრივად ზრდიან მას, შეილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა და სხვა. მშობლები კარგავენ აგრეთვე ალიმენტის მიღების უფლებას სრულწლოვანებას მიღწეული შეილებისაგან, მეძველდრეობასა და პენსიას შეილების სიკვდილის შემთხვევაში. ამავე დროს, მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად, სასამართლო წყვეტს ამ პირისაგან ალიმენტის გადახდის საკითხს.

მშობლის უფლებაჩამორთმეული პირის თხოვნით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია დართოს მას ბავშვის ნახვის ნება, თუ ის ცუდ გავლენას არ მოახდენს ბავშვზე.

საქმეს მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო განიხილავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვის მეურვის (მზრუნველის) სარჩელით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასახელებული პირები მოსარჩელენი არ არიან. მოსარჩელედ ყოველთვის არის ის ბავშვი, რომლის მშობლის მიმართაც აღიძვრება საკითხი მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ. ყველა სხვა პირი, რომელიც სასამართლოს მიმართავს განცხადებით, მოქმედებს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ბავშვების აღსაზრდელად გადაცემის გამო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი. სასამართლოები, მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი მიუთითებენ, თუ ვის უნდა გადაეცეს ბავშვები აღსაზრდელად და მხოლოდ იმით იფარგლებიან, რომ გადაწყვეტილების ასლს უგზავნიან განათლების ადგილობრივ ორგანოს შემდგომი აღსრულებისათვის. სასამართლოს აღმასრულებელი, ჩვეულებრივ, ჩამოშორებულია ამ საქმეს, მაშინ, როდესაც ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის გამო გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უნდა ხდებოდეს სწორედ სასამართლოს აღმასრულებლების მიერ იმ პირთა მონაწილეობით, რომელთაც გადაეცა ბავშვი აღსაზრდელად. ცხადია, ყოველივე ეს უარყოფითად

მოქმედებს ბავშვის ინტერესების დაცვაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება დიდ სიძნელეებს აწყდება. ამავე დროს, სასურველია კანონით განისაზღვროს ვადა, თუ როდის უნდა გადაეცეს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ჩვენი აზრით, ასეთი ვადა შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა იყოს ხანმოკლე, 3-5 დღის ფარგლებში. მოვიყვანთ მაგალითს:

... სასამართლომ გ-ს მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სარჩელის განხილვისას დაადგინა, რომ დედა ძძობე ავადყოფობის გამო ვერ ზრუნავდა შვილის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე და ვერ უქმნიდა მას აღზრდისათვის საჭირო ნორმალურ პირობებს. ამიტომ მან არ დააკმაყოფილა სარჩელი მოპასუხისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ და, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია ჩამოერთმია იგი დედისათვის და გადაეცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის სკოლა-ინტერნატში მოსაწყობად. სასამართლოს გადაწყვეტილების პირველი ნაწილი ეჭვს არ ბადებს, მაგრამ არ შეიძლება მისი მეორე ნაწილის სწორად მიჩნევა. ბავშვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის გადაცემისას სასამართლოს უფლება არა აქვს მიუთითოს იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყვიტონ ამ ორგანოებმა ბავშვის ბედი (მოათავსონ საბავშვო დაწესებულებაში, სკოლა-ინტერნატში, დაუნიშნონ მეურვე და ა.შ.), რამდენადაც ბავშვის მოწყობის საშუალებათა შერჩევა მიეკუთვნება ამ ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევას, როდესაც სასამართლოებს მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გაცემული დასკვნის ნაცვლად, წარედგინება საყოფაცხოვრებო პირობათა შესახებ აქტი, რასაც ხელს აწერენ საზოგადოებრივი ინსპექტორები, სკოლების, საბავშვო ბაღის, პოლიციის ბავშვთა ოთახის მუშაკები, მშობელთა კომიტეტის წევრები, სახლის ბინადარნი. ასეთი აქტები კი ხშირად არ

შეიცავენ სარწმუნო ცნობებს ნამდვილი ვითარების შესახებ. ამიტომ საჭიროა ერთმანეთისაგან ვასხვავებდეთ გამოკვლევის აქტსა და დასკვნას. თუ აქტში ასახვას პოულობს გამოკვლევის პირადი დაკვირვება და თვალსაზრისი, დასკვნაში, რომელსაც იძლევა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თავისი სახელით, გადმოიცემა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილი ესა თუ ის სადავო საკითხი. თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ დასკვნა არ პასუხობს სათანადო მოთხოვნებს ან გამოკვლევა ზერელედაა ჩატარებული, მას უფლება აქვს დაავალოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაატაროს პირობების დამატებითი გამოკვლევა და შეავსოს დასკვნა. ახალი დასკვნის მიღების შემდეგ სასამართლოს შეუძლია განმეორებით დანიშნოს საქმის განხილვის დრო.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაუბმელობა საქმეში, რომელშიც მათი მონაწილეობა კანონმდებლობითა და დადგენილი წესით აუცილებელია, უეჭველი საფუძველია გადაწყვეტილების გასაუქმებლად.

ლელა ანთაძე და კახა მატარაძე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1999 წლიდან. 2002 წელს შეეძინათ ვაჟი. 2002 წელს მხარეები განქორწინდნენ. ანთაძემ 2002 წელს შეიტანა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა მატარაძისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა იმ საფუძველით, რომ ამ უკანასკნელს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბავშვის აღზრდაში, მატერიალურად არ ეხმარება და არ ნახულობს ბავშვს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ მამობის ჩამორთმევის ძირითადი მიზანია ბავშვის გვარის გამოცვლა და მოსარჩელის ამჟამინდელი მეუღლის გვარზე რეგისტრაცია, რაც იმასთან ერთად, რომ მატარაძე წასულია საქართველოდან ობიექტური მიზეზების გამო, მოსარჩელის მოთხოვნას უსაფუძვლოს ხდის. ანთაძემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ სამოქალაქო კოდექსის 1205 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მშობლებს შეიძლება ჩამოერთვათ

მშობლის უფლება, თუ გამოირკვა, რომ ისინი (ან ერთ-ერთი მათგანი) სისტემატურად არიდებენ თავს შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მატარაძე შვილს არ უზღვის ალიმენტს, არ ზრუნავს მის ჯანმრთელობაზე, არაერთი ყურადღება არ გამოიჩინა, როცა შვილმა ზედიზედ სამი ოპერაცია გაიკეთა, არ აინტერესებს ბავშვის ბედი.

მატარაძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე, მოსთხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღება. მან მიუთითა საპროცესო ნორმების დარღვევებზე. კასატორის მითითებით, ასევე სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლი, რადგან მშობლის უფლების ჩამორთმევა კანონმდებლის მიერ მიჩნეულია უკიდურეს ღონისძიებად და მისი გამოყენებისათვის დაწესებულია ისეთი აუცილებელი პირობები, რაც საქმეში მოცემული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლომ საჩივარი დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა 1205-ე მუხლი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

პალატა თვლის, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა უკიდურესი ღონისძიებაა, რომლითაც წყდება შვილსა და მშობელს შორის როგორც იურიდიული, ისე სოციალური კავშირი, კანონის ნორმა სისტემატურ თავის არიდებაში გულისხმობს შემთხვევას, როცა მშობელს აქვს როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდაში, მაგრამ შეგნებულად ასეთი არ ახორციელებს.

მატარაძე ფიზიკურად არ იმყოფებოდა საქართველოში, რის გამოც, ბუნებრივია, მხარეს ესპობა ან შეზღუდული აქვს საშუალება მშობლიური მზრუნველობა გამოიჩინოს შვილისადმი. მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რითაც დადასტურებოდა, რომ მატარაძის მატერიალური მდგომარეობა იძლევა საშუალებას დაეხმაროს შვილს ფინანსურად, მაგრამ ასეთს ადილი არ ჰქონია.

აქედან გამომდინარე, პალატა თელის, რომ სააკულაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები მშობლის, მატარადის მიერ შეიღის მიმართ ნაკლები მზრუნველობისა და უყურადღებობის გამომხატველი კი არის, მაგრამ არ შეიძლება მისი აღზრდის მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდების ბრალეულ ქმედებად იქნეს მიჩნეული.

პალატამ გააუქმა სააკულაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება. ანთადის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.¹

საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მშობლის უფლებამართებული პირისათვის ამ უფლების აღდგენის შესაძლებლობას (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1209-ე), რაშიც კიდევ ერთხელ ვლინდება კანონის ჰუმანური ბუნება.

ამ წესის აღმზრდელობითი და მასტიმულირებელი მნიშვნელობა მართლაც რომ დიდია. მშობლის უფლების აღდგენის შესაძლებლობა ხელს უწყობს მშობლის მოვალეობისადმი დამოკიდებულების გადასინჯვას და მის მიერ ისეთ მოქმედებების განხორციელებას, რომელიც შესაძლებელს ხდის დაკარგული უფლებების აღდგენას. მოგვაქვს მაგალითი:

... ბ-ს 1991 წელს ჩამოერთვა მშობლის უფლება და გასახლებულ იქნა ქალაქიდან პარაზიტული ცხოვრებისათვის. მალე დედა სევდამ მოიცვა შვილების გამო, ხოლო ადრე მის მიერ გატარებული ცხოვრება მთელი სიგრძე-სიგანით წარმოუდგა თვალწინ. მან მტკიცედ გადაწყვიტა შეეცვალა ცხოვრების პირობები. გადასახლების ადგილზე კარგად მუშაობდა და სანიმუშოდ იქცეოდა, მას ვადაზე ადრე მიენიჭა უფლება დაბრუნებულიყო ქალაქში. ჯერ კიდევ დაბრუნებამდე მატერიალურად ეხმარებოდა ბავშვებს, სწერდა მათ წერილებს. იმავე ქალაქში საბუშაოზე მოეწყო, ხშირად ხვდებოდა შვილებს. მან მოქალაქე ვ-სთან შექმნა მტკიცე ოჯახი. ყველაფერი კარგად წარიმართა, მაგრამ მშობლის უფლების ჩამორთმევის

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2002. №2, განჩინება №3კ/480-01.

სირცხვილი გულს უკლავდა დედას. მან ყველაფერი იღონა, რათა მიეღწია სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგინა მშობლის უფლება.

მშობლის უფლების ჩამორთმევა შეზღუდული არ არის რაიმე ვადით, ამავე დროს, კანონი გამორიცხავს მისი ავტომატურად აღდგენის შესაძლებლობას.

მშობლის უფლების აღდგენისათვის აუცილებელია ძირეულად შეიცვალოს მშობელთა ყოფაქცევა. საამისოდ საჭიროა გაიაროს გარკვეულმა დრომ, რაც პრაქტიკულად, როგორც წესი, წლობით გრძელდება, მაგრამ, ვინაიდან განმსაზღვრელია არა განვლილი წლების რაოდენობა, არამედ მშობელთა ყოფაქცევაში მომხდარ ცვლილებათა ხარისხი, კანონში კონკრეტული ვადის მიუთითებლობა, რომლის გასვლის შემდეგაც მშობელს შეუძლია მიმართოს განცხადებით მშობლის უფლებების აღდგენის შესახებ, არ იწვევს რაიმე საწინააღმდეგო აზრს.

მშობლის უფლების აღდგენა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლის უფლებჩამორთმეულმა პირმა შეიცვალა ყოფაქცევა, ცხოვრების წესი და პირობები, მას შეუძლია აღზარდოს შვილი, თუ მშობლის უფლების აღდგენას მოითხოვს ბავშვის ინტერესები. მაგალითად, ბავშვის დედა მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ მოეწყო სამუშაოზე, იჩენდა შრომისა და გარშემო მყოფი საზოგადოებისადმი უკეთეს დამოკიდებულებას, მაგრამ ამას ვერ იტყოდით შვილებისადმი მის დამოკიდებულებაზე. მას შვილები არც შემდგომ აინტერესებდა, არ უწევდა მათ მატერიალურ დახმარებას. სასამართლომ მას, ჩვენი აზრით, სამართლიანად უთხრა უარი მშობლის უფლების აღდგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან დედის ასეთი ყოფაქცევა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მის მიერ დაკარგული მშობლის უფლების აღდგენის საფუძველი.

გამორიცხული არ არის, რომ თავის დამოკიდებულებას უკეთესისაკენ მშობელი ცვლიდეს არა ყველა თავისი შვილის, არამედ მხოლოდ ზოგიერთის მიმართ. ამ შემთხვევაში სასამართლო უნდა გამოვიდეს ბავშვების ინტერესებიდან, და თუ შესაძლებლად მიიჩნევს, აღადგინოს მშობლის

უფლება მათ მიმართ, რომლებთანაც მან შეიცვალა თავისი დამოკიდებულება (ზრუნავს მათ აღზრდასა და რჩენაზე).

საქმეები მშობლის უფლების აღდგენის შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა მონაწილეობით. საქმის განსახილველად მომზადების დროს სასამართლოსათვის აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა, რომელიც ექვემდებარება შეფასებას და მხედველობაში მიიღება გადაწყვეტილების გამოტანის დროს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მშობლის უფლების აღდგენა იმ ბავშვის მიმართ, რომელიც 10 წელზე მეტი ასაკისაა, შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით (მუხლი 1209-ე).

ასეთი სარჩელის გამო მოპასუხედ ჩაბმულ უნდა იქნეს მეორე მშობელი ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

არ დაიშვება მშობლის უფლების აღდგენა იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვა პირმა იშვილა (იქვე, 1209-ე მუხლი). მშობლის უფლება ჩამორთმეული პირის თანხმობის მიუღებლად ბავშვის გაშვილება დასაშვებია ერთი წლის შემდეგ ამ უფლების ჩამორთმევის დღიდან.

მშობლის უფლების ჩამორთმევის გარდა, კანონი უშვებს მშობლებისაგან ბავშვის ჩამორთმევას, მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე. თუ მშობლის უფლების ჩამორთმევისათვის აუცილებელია მშობელთა ბრალეული ქმედება, მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე ბავშვის ჩამორთმევისას ერთადერთი პირობაა მათი მშობლებთან ან სხვა პირებთან დარჩენის საშიშროება, მიუხედავად იმისა, ეს საშიშროება მშობელთა ან სხვა პირთა ბრალით წარმოიშვა, თუ მათი ბრალის გარეშე. აქ მხედველობაში გვაქვს საფრთხე, რომელიც ემუქრება არა მხოლოდ ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არამედ მის აღზრდასაც. ასეთი საფრთხე შეიძლება წარმოიშვას სულით ან მძიმე ინფექციური სენით დაავადების, ჭკუასუსტობის, ფიზიკური ნაკლის გამო, რაც დაკავშირებულია მშობელთა ქრონიკულ დაავადებასთან. ამ შემთხვევაში, მშობელთა უფლებები შვილების მიმართ

განსაზღვრულ შეზღუდვას ექვემდებარება. მათ არ შეუძლიათ განახორციელონ შეილის აღზრდის უფლება, გადაწყვიტონ საკითხი მათი სწავლის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვათა შესახებ, მაგრამ მშობლისათვის ბავშვის ჩამორთმევა ყველა თვალსაზრისით არ იწვევს მშობლიური ურთიერთობის შეწყვეტას. როგორც ბავშვი, ასევე მშობელიც ინარჩუნებს ალიმენტის მიღების უფლებას, ხოლო ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში – უფლებას მემკვიდრეობაზე, პენსიაზე, დახმარებაზე.

საკითხს მშობლისათვის (მშობლებისათვის) ბავშვის ჩამორთმევის შესახებ წყვეტს სასამართლო.

სამოქალაქო კოდექსიდან არ ირკვევა, თუ ვინ შეიძლება იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე შეილის ჩამორთმევის შესახებ დავათ გამო. ვფიქრობთ, მოსარჩელე ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, მოპასუხე კი – მშობლები და სხვა პირები, რომლებთანაც ბავშვის დატოვება საზიანოა.

იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი, შეუძლია თუ არა მშობელს იყოს მოსარჩელე ბავშვის ჩამორთმევის საქმეზე. ავტორთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ მშობლებს შეუძლიათ გამოვიდნენ მოსარჩელედ ამგვარ საქმეებზე, ხოლო მეორენი უარყოფენ მშობლების მიერ ასეთი უფლების განხორციელების შესაძლებლობას.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ არ შეიძლება მშობელი იყოს მოსარჩელე ბავშვის ჩამორთმევის შესახებ საქმეზე. თუ ბავშვი სხვა პირთან იმყოფება, მაშინ მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ მისი დაბრუნება სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის საფუძველზე.

სასამართლო განხილვა დაინიშნება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სასამართლოს წარუდგენს აქტს ბავშვების ცხოვრების პირობების გამოკვლევის შესახებ, რომელშიც კონკრეტულად იქნება მითითებული, თუ რა საფრთხე ემუქრება ბავშვს.

სასამართლო მიღებულ გადაწყვეტილებას ბავშვის ჩამორთმევის

შესახებ, გადასცემს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. საკითხს, თუ ვის ან რომელ დაწესებულებას უნდა გადაეცეს ბავშვი, წყვეტს არა სასამართლო, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, საქმის კონკრეტული ვითარებისა და, განსაკუთრებით, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით.¹

სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ბავშვის ჩამორთმევის შესახებ, რომელიც საშიშ მდგომარეობაში იმყოფება, უნდა აღსრულდეს მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, მაგრამ საშიშროების ხასიათისა და ბავშვის შექმნილ სიტუაციაში დატოვების შეუძლებლობის გათვალისწინებით, შეიძლება დადგეს საკითხი ბავშვის ჩამორთმევის შესახებ ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ამ საკითხს სასამართლო განიხილავდეს. სხვათა შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ასეთ ნორმებს.

არასრულწლოვანი ბავშვების უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალურად დაცვისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატოს ანალოგიური ნორმა.²

მშობლისათვის ბავშვის ჩამორთმევასთან ერთად, შეიძლება დადგეს საკითხი ბავშვისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ მშობელი, რომელსაც ჩამორთვეს შვილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოვალეა უზრუნველყოს იგი მატერიალურად. სხვა დასკვნა, ჩვენი აზრით, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან, თუ კანონი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშობლის უფლების ჩამორთმევისას არ ათავისუფლებს მშობელს ბავშვისათვის სარჩოს მიცემის მოვალეობისაგან, მშობლის ასეთი მოვალეობა მით უმეტეს უნდა დარჩეს ძალაში მაშინ, როდესაც მას დროებით ჩამოერთმევა შვილი.

¹ Е. Белгородская. Отобрание детей без лишения родителей родительских прав. "Советская юстиция", 1976, №20, с.12.

² А. Нечасва. Охрана интересов детей, "Социалистическая законность", 1972, №9, с. 36.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სასამართლომ, ბავშვის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად, უნდა გადაწყვიტოს ალიმენტის საკითხიც.

შვილის (შვილების) ჩამორთმევა დროებითი ღონისძიებაა. იმ მიზეზების მოსაპობის შემდეგ, რომლებიც საფუძველად დაედო შვილის ჩამორთმევას, სასამართლოს, მშობლებისა, მეურვეებისა და მზრუნველობის ორგანოთა სარჩელით, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მშობლებისათვის (მშობლისათვის) შვილის (შვილების) დაბრუნების შესახებ.

თავი პირველი

მშობლების, შვილებისა და ოჯახის სხვა წევრთა ქონებრივი უფლება-მოვალეობანი

ქალაქად ოჯახში საერთო თანასაკუთრების მონაწილენი შეიძლება იყვნენ მეუღლეები. შვილებს მშობლების სიცოცხლეში უფლება არა აქვთ მათ ქონებაზე, ისევე როგორც არც მშობლებს აქვთ უფლება შვილების ქონებაზე, თუნდაც ეს უკანასკნელი შეძენილი იყოს მშობლების მიერ შვილების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მშობლები და შვილები შეიძლება აღმოჩნდნენ საერთო წილადი საკუთრების მონაწილენი მხოლოდ იმ საფუძვლების არსებობის პირობებში, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობით (ქონების ერთად შექმნა, თანამემკვიდრეობა და ა.შ.).

ასეთი წესი უშუალოდ არის განმტკიცებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

მშობლებისა და შვილების კუთვნილი ქონება მათი პირადი საკუთრებაა. შვილებს ასეთი უფლება ქონებაზე წარმოეშობათ, მაგალითად, ჩუქების, მემკვიდრეობისა და ა.შ. საფუძველზე.

იმ ქონების მართვასა და გამგებლობას, რომელიც ეკუთვნის 7 წლის ასაკს მიუღწეველ მცირეწლოვანს პირადი საკუთრების უფლებით, ახორციელებენ მშობლები, რომლებიც მათ კანონიერ წარმომადგენლებად ითვლებიან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი). არასრულწლოვანი 7-დან 18 წლის ასაკამდე თვითონ განაგებს თავის კუთვნილ ქონებას მშობლის, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობითა და კონტროლით, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (დაწვრილებით იხილეთ მომდევნო თავებში).

ანაბარი არასრულწლოვანის სახელზე შეიძლება შეიტანონ როგორც თვითონ არასრულწლოვანმა პირებმა, ისე სხვა პირებმა. ამ შემთხვევაში 7 წლის ასაკის მიღწევამდე ანაბარს განკარგავენ

მკირეწლოვანის კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები და მეურვეები), ხოლო 7 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, არასრულწლოვანს უფლება ენიჭება თვითონ განკარგოს ანაბარი, ოღონდ თავისი მშობლების (მშვილებლების) ან მზრუნველის თანხმობით.

მშობლებისა და შვილების ქონების განცალკევებულობა ქალაქად არ გამოირიცხავს მათი საერთო წილადი საკუთრების შექმნის შესაძლებლობას. შვილებს შეუძლიათ მშობლებთან ერთად ეკუთვნოდეთ ქონება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძენილია მშობლებისა და შვილების ერთობლივი შრომით, მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ანდა შეძენილია მათ მიერ საერთო სახსრებით. საერთო შრომითი შემოსავლებით ოჯახის წევრები იძენენ ისეთ ქონებას, რაც განკუთვნილია საერთო-საოჯახო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ტელევიზორი, მაცივარი და სხვ.). ასეთი ქონება იმყოფება მათ საერთო სარგებლობაში. აღნიშნული ქონებით სარგებლობის, მფლობელობისა და განკარგვის უფლებიდან გამომდინარე, ურთიერთობანი მოწესრიგებულია არა საოჯახო კანონმდებლობის ნორმებით, არამედ საერთო წილადი საკუთრების შესახებ წესებით, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები, შვილები და ოჯახის სხვა წევრები საერთო წილადი საკუთრების მონაწილენი აღმოჩნდებიან, თითოეულ მათგანს უფლება აქვს ყოველ მომენტში მოითხოვოს მისი კუთვნილი წილის გამოყოფა საერთო ქონებიდან.

წილის გამოყოფა საერთო ქონებიდან, როგორც წესი, ხდება ნატურით. ამასთან, იგი უნდა განხორციელდეს ქონების სამეურნეო დანიშნულებისათვის ზიანის მიუყენებლად¹.

¹ საერთო ქონებიდან წილის გამოყოფისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ოჯახის წევრს უფლება არა აქვს მოითხოვოს მისთვის საკუთრებად იმ ნივთის გადაცემა, რაც ცალკეულ საგანთა ისეთ ერთობლიობაში შედის, რომლებიც, მართალია, ფიზიკურად ერთმანეთს არ უკავშირდებიან, მაგრამ დანიშნულება კი მათ ერთი აქვთ (ასეთია, მაგალითად, ბიბლიოთეკა, გარნიტური, სერეიზი, პროფესიული საქმიანობის იარაღები და ა.შ.).

თუ არ არის შეთანხმება გამოყოფის წესის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს გამოსაყოფი წილის შეცვლა ფულადი კომპენსაციით. როდესაც ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, ოჯახის წევრს, რომელიც გამოყოფას აპირებს, მიეცემა (თუ იგი ამას თვითონ მოითხოვს) ფულადი კომპენსაცია მესაკუთრის ოჯახის სხვა წევრებისათვის კუთვნილი ქონების ხარჯზე. ფულადი კომპენსაციის გადახდა შეიძლება განხორციელდეს როგორც საერთო ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ნაწილებად გაყოფით, ისე საერთო წილადი საკუთრების ერთ-ერთი ან რამდენიმე მონაწილის მიერ წილის შესყიდვის გზით.

გამოყოფას საერთო წილადი ქონებიდან შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, თუ საერთო წილადი საკუთრების მონაწილე პირის კრედიტორი აღძრავს სარჩელს თავისი მოვალის წილის გამოყოფის შესახებ, ამ წილიდან გადახდევინების მიზნით.

საერთო ქონებიდან წილის გამოყოფისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახის წევრთა ინტერესები, რეალურად ისარგებლონ იმ ნივთებით, რომლებიც ოჯახის წევრებს ეკუთვნით საერთო წილადი საკუთრების უფლებით.

მშობლების, შვილებისა და ოჯახის სხვა წევრთა ქონების განცალკევებულობა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მათი ქონებით ისარგებლოს ოჯახის იმ წევრმაც, რომელიც ამ ქონების მესაკუთრე არ არის. ასეთი სარგებლობის საფუძველი შეიძლება იყოს მესაკუთრესთან განსაზღვრული დამოკიდებულება: შვილები სარგებლობენ ქონებით, რაც მათ მშობლებს ეკუთვნით საკუთრების უფლებით, პირადი ხასიათის იმ ურთიერთობის გამო, რაც წარმოიშობა ახლო ნათესაობის, ერთად ცხოვრების, საერთო მეურნეობის წარმოებისა და ურთიერთზრუნვის შედეგად. მშობლები მოეალენი არიან უფლება მისცენ მათთან მცხოვრებ შვილებს, ისარგებლონ განსაზღვრული ქონებით (საცხოვრებელი სახლი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა), რაც მშობლებს ეკუთვნით საკუთრების უფლებით. თავის მხრივ მშობლებსაც, რომლებიც შვილების კანონი-

ერ წარმომადგენლებად ითვლებიან, აქვეთ შვილების ქონების (მაგალითად, შვილებისათვის ანდერძით დატოვებული საცხოვრებელი ბინის) მფლობელობისა და სარგებლობის უფლება.

მესაკუთრის ოჯახის წევრებს საკუთრებაზე სარგებლობისათვის აქვეთ მხოლოდ წარმოებული უფლება.

მშობლები პასუხს აგებენ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ვალებისათვის. მშობელთა პასუხისმგებლობა შვილების სახელმწიკრულებო ვალდებულებათა გამო წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი თანახმა არიან მათმა არასრულწლოვანმა შვილებმა დადონ ხელშეკრულება, რისთვისაც მათ ეკისრებათ დამატებითი ქონებრივი პასუხისმგებლობა.

მშობელთა პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს აგრეთვე მათი არასრულწლოვანი შვილის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

10 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მისი კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები, მშვილებლები, მეურვე ან მზრუნველი) თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ მათ ზიანის მიყენებაში ბრალი არ მიუძღვით. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.

თუ 10 წლის ასაკს მიუღწეველმა ზიანი მიაყენა იმ დროს, როდესაც იგი სასწავლო დაწესებულების, აღმზრდელიობითი ან სამკურნალო დაწესებულების ზედამხედველობაში იმყოფებოდა, ეს უკანასკნელნი პასუხს აგებენ ამ ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანის მიყენებაში მათ ბრალი არ მიუძღვით.

მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლები პასუხს აგებენ არა სხვისი ბრალისათვის, არამედ საკუთრივ მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, რაც არასრულწლოვანზე არასათანადო მეთვალყურეობასა და მათ აღზრდაში დაშვებულ იმ შეცდომებში გამოიხატება, რამაც გამოიწვია არასრულწლოვანის მიერ ზიანის მიყენება.

სხვანაირად წყდება მშობელთა და მზრუნველთა პასუხისმგე-

ბლობის საკითხი, როდესაც ზიანის მიმყენებელია არასრულწლოვანი 10-დან 18 წლის ასაკამდე.

ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიყენა, იმ შემთხვევების გარდა, როცა ზიანის მიყენებისას, მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.

ვინაიდან მშობლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ შვილების მიმართ, არასრულწლოვანი შვილის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში, ორივე მშობელმა ქონებრივად უნდა აგოს პასუხი მისი ქმედებისათვის. მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრება არ ათავისუფლებს მათ ბავშვების აღზრდის მოვალეობისაგან და არასრულწლოვანი შვილების მიერ მიყენებული ზიანისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობისგანაც.

მშობლები და მზრუნველები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან (რაც დამატებით ხასიათს ატარებს), როდესაც ზიანის მიმყენებელი არასრულწლოვანი პირი სრულწლოვანებას მიაღწევს.

სხვა პირები (ბებია, პაპა, ძმა, და) არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი კანონით დადგენილი წესით დანიშნული არიან არასრულწლოვანის მეურვედ ან მზრუნველად.

მშობლების, შვილებისა და ოჯახის სხვა წევრთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები კომლში მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება.

კომლის ცნება გულისხმობს პირთა ისეთ გაერთიანებას, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია საადგილმამულო მეურნეობის წარმოებასთან. კომლის წევრთა შორის ნათესაური კავშირი, როგორც კომლის წევრობის მოპოვების სავალდებულო პირობა, აუცილებელი არ არის. არც იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ არსებობ-

დეს ერთი პირისაგან შემდგარი კომლი.

კომლის წევრები არიან ოჯახის წევრები (მათ შორის ბავშვები, ღრმად მოხუცი და შრომისუუნარო პირები), რომლებიც მონაწილეობენ კომლის საერთო მეურნეობაში.

კომლის შემადგენლობა ბუღმივი არ არის. იგი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. კომლი იზრდება ქორწინებისა და ბავშვის დაბადების (შვილად აყვანის) საფუძველზე, და მაშინაც, როდესაც წევრად მიიღება ისეთ პირი, რომელიც კომლის წევრებთან ნათესაურ დამოკიდებულებაში არ იმყოფება. კომლის წევრთა შვილები იმ კომლის წევრებად ითვლებიან, რომლის შემადგენლობაშიც მათი მშობლები შედიან. თუ მშობლები სხვადასხვა კომლის წევრები არიან, მაშინ შვილები იქ არიან რეგისტრირებულნი, რომელშიც ფაქტობრივად ცხოვრობენ. მშობელთა შორის წარმოშობილ დავას, შვილების კომლის წევრებად ჩარიცხვის თაობაზე, წვეეტს სასამართლო, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. თუ სხვადასხვა კომლში მცხოვრები მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან, მაშინ შვილები ჩაირიცხებიან იმ კომლის წევრებად, სადაც მათი დედა ცხოვრობს. როდესაც მშობელთაგან ერთ-ერთი კომლის წევრია, ხოლო მეორე – მუშა ან მოსამსახურე, შეიძლება ბავშვის აღიარება იმ კომლის წევრად, რომელშიც მისი მშობელი შედის. მშობელთა შორის ამის გამო წამოჭრილი დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

იმ პირის კომლის წევრად ჩარიცხვისათვის, რომელიც კომლის წევრებთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფება (ცოლი, ქმარი, შვილები) ან ნაშვილებია კომლის წევრის მიერ, საჭიროა კომლში შემსვლელმა ან მისმა წარმომადგენელმა (მშობელმა, მშვილებელმა, მეურვემ) განცხადება შეიტანოს თვითმმართველობის (მმართველობის) ადგილობრივ ორგანოში. კომლის შემადგენლობაში იმ პირის მისაღებად, რომელიც კომლის წევრებთან ნათესაურ კავშირში არ იმყოფება, საჭიროა როგორც ამ პირის ან მისი მეურვის, ისე მოცემული კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა.

კომლის წევრობა ფორმდება თვითმმართველობის (მმართველო-

ბის) ადგილობრივ ორგანოში, კომლის შემადგენლობისა და მასში მომხდარი ცვლილებების რეგისტრაციის გზით. რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მტკიცებულებაა იმისა, რომ ესა თუ ის პირი ნამდვილად იყო ამა თუ იმ კომლის წევრი. ასეთი რეგისტრაციის უქონლობა ყოველთვის როდია იმის დამადასტურებელი, რომ მოცემული პირი კომლის წევრი არ არის. ბავშვები ითვლებიან მშობელთა კომლის წევრებად, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულნი არიან თუ არა ისინი მოცემული კომლის წევრებად.

მეუღლის, როგორც კომლის წევრის, რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, აქვს არა საკომლო წიგნებში რეგისტრაციას, არამედ კომლის საერთო მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის ფაქტს. ამიტომ კომლის ერთ-ერთ წევრთან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფ პირს, რომელიც ამ კომლში ცხოვრობს და მონაწილეობას იღებს კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში, სასამართლო პრაქტიკა კომლის წევრად აღიარებს.

საკომლო წიგნში რეგისტრაციას, როგორც კომლის წევრის უფლებათა წარმოშობის საფუძველს, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებიც კომლის წევრებთან ნათესაურ კავშირში არ იმყოფებიან.

კომლის შემადგენლობა შეიძლება შემცირდეს კანონით დადგენილი წესით, ცალკეული წევრის გასვლით, აგრეთვე კომლის წევრის სიკვდილით ან კომლიდან წევრების გამოყოფით.

კომლის საკუთრების დანიშნულებაა მის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

კომლს საკუთრებად შეიძლება ჰქონდეს დამხმარე მეურნეობა მის სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, პირუტყვი, ფრინველი, ფუტკარი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი საკარმიდამო ნაკვეთზე საშუალოდ. გარდა ამისა, კომლს ეკუთვნის კომლის წევრების მიერ კომლი-

სათვის საკუთრებად გადაცემული შრომითი შემოსავალი, რომელიც მათ საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობით მიიღეს, ან მათ მიერ კომლის საკუთრებად გადაცემული სხვა ქონება, აგრეთვე საერთო სახსრებით შექმნილი საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები.

როდესაც კომლის წევრი კომლის სახსრებს სხვა წევრების დაუკითხავად იყენებს, ასეთი მოქმედება არამართლზომიერია. ცნობილია ფაქტები, როდესაც კომლის სახსრები შეტანილი იყო ბანკში კომლის ერთ-ერთი წევრის სახელზე, ხოლო შემდეგ ეს წევრი უარს ამბობდა მიეცა შესაძლებლობა კომლის სხვა წევრებისათვის ესარგებლათ ამ სახსრებით. მართალია, ამ შემთხვევაში ანაბრის განაწილება დაუშვებელია, მაგრამ იგი მხედველობაში მიიღება კომლის ამ წევრის წილის განსაზღვრისას.

კომლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე უფლების ანალიზისას, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ ქონებრივ ურთიერთობათა სირთულეს, რაც წარმოიშობა კომლის წევრთა შორის. კომლში ადგილი აქვს საკუთრების სამ სახეს: 1) კომლის ყველა წევრის საერთო საკუთრება; 2) მეუღლეთა თანასაკუთრება; 3) კომლის წევრთა ინდივიდუალური საკუთრება.

კომლის საერთო თანასაკუთრებას შეადგენს:

1. საგნები, რომლებიც მხოლოდ კომლს შეიძლება ეკუთვნოდეს;
2. კომლის წევრების მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი და კომლის საერთო საკუთრებაში გადაცემული ნივთები;
3. კომლის საერთო სახსრებით შექმნილი ნივთები, მათი დანიშნულებისა და შემდგომი გამოყენების ხასიათის მიუხედავად.

კომლის საკუთრება კომლის წევრთა საერთო განუყოფელი თანასაკუთრებაა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით მათ შორის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კომლის არც ერთ წევრს არა აქვს წინასწარ რაიმე წილი კომლის ქონებაში. ყველას, მათი სქესისა და კომლის შემადგენლობაში შესვლის დროის მიუხედავად, თანაბარი უფლება აქვს კომლის საერთო ქონებაზე. კომლის არასრულწლოვან და შრომისუნარო წევრებს აქვთ თანაბარი წილი, მიუხედავად იმი-

სა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი პირადი შრომით ანდა სახსრებით კომლის საერთო ქონების შექმნასა და შექენაში. არ შეიძლება მათი წილის შემცირება არც იმ მიზეზით, რომ მათმა მშობლებმა უმნიშვნელო მონაწილეობა მიიღეს კომლის ქონების შექენაში.

საერთო ქონებაზე კომლის ყველა წევრის თანაბარი უფლების საერთო პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს იმის შესაძლებლობა, რომ კომლის შრომისუნარიანი წევრის (16 წლიდან) წილი შეიძლება შემცირებულ იქნეს კომლის შემადგენლობაში მისი ხანმოკლე ყოფნის გამო, ან კომლის მეურნეობაში პირადი შრომით ან სახსრებით მისი უმნიშვნელო მონაწილეობის მიზეზით ან მაშინ, როდესაც კომლის წევრი თავს არიდებდა შრომაში მონაწილეობას, ანდა ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. კომლის წევრის წილის შემცირების შესაძლებლობა და ასეთი შემცირების ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე.

კომლის რომელიმე წევრის სიკვდილის შემთხვევაში, ქონება რჩება კომლის სხვა წევრთა საკუთრებად და შესაბამისად იზრდება მათი წილი.

კომლის საერთო თანასაკუთრების განუყოფელი ხასიათის გამო მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებს კომლის ყველა წევრის თანხმობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ცალკეულ წევრს არა აქვთ უფლება დამოუკიდებლად განკარგონ ქონება, რომელიც მთლიანად ეკუთვნის კომლს. გარიგება დადებული აღნიშნული პირობის დარღვევით – ბათილია.

კომლის მეთაურის მიერ გარიგების დადებისას, კომლის სხვა წევრების თანხმობა საჭირო არ არის, იგი თავისთავად იგულისხმება, ხოლო როდესაც კომლის ინტერესებისათვის მოქმედებს მისი რომელიმე სხვა წევრი, საჭიროა დანარჩენთა ნების გამოხატვა. კომლის მეთაურმა, როგორც კომლის კანონიერმა წარმომადგენელმა, მთელი თავისი საქმიანობა, იქნება ეს კომლის ქონების განკარგვა თუ გარიგებათა დადება ამ ქონების გამო, უნდა განახორციელოს კომლის ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინებით, ვინაიდან მათ თანა-

ბარი უფლება აქვთ კომლის ქონებაზე. თუ კომლის წევრებს შორის წარმოიშობა დავა კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესახებ, მას გადაწყვეტს სასამართლო კომლის ნებისმიერი წევრის სარჩელის საფუძველზე. კომლის წევრი, შვიდიდან თერამეტი წლის ასაკამდე, ასეთ სარჩელს აღძრავს თავისი მშობლების ან მზრუნველის თანხმობით, ხოლო სარჩელს კომლის იმ წევრის ინტერესების დასაცავად, რომელსაც შვიდი წლის ასაკს არ მიუღწევია, აღძრავენ მისი მშობლები, მშვილებლები ან მეურვე.

კომლის მეთაურის მიერ დადებული გარიგების მიხედვით, კომლი პასუხს აგებს თავისი ქონებით, თუ საქმის გარემოებებიდან არ გამოდინარეობს, რომ გარიგება დადებულია თვითონ კომლის მეთაურის პირადი ინტერესებისათვის.

კომლის სხვა წევრები პასუხს აგებენ თავიანთი ვალდებულებების მიხედვით პირადი ქონებითა და აგრეთვე თავისი წილით კომლის ქონებაში, თუ საქმის გარემოებათაგან არ გამოდინარეობს, რომ გარიგება დადებულია კომლის ინტერესებისათვის. იმ საკითხის გადასაწყვეტად, იყო თუ არა გარიგება დადებული კომლის ინტერესებისათვის, აუცილებელია ორი გარემოების გათვალისწინება: 1. ჰქონდა თუ არა ადგილი კომლის ყველა წევრის თანხმობას მოცემული გარიგების დადებისას და 2. ვის შეეძლო ესარგებლა გარიგების შედეგებით, მის ღამდებს, თუ აგრეთვე კომლის სხვა წევრებსაც.

სხვაგვარად წყდება საკითხი კომლის პასუხისმგებლობის თაობაზე, იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების გამო, რაც მიყენებულია მისი წევრის დანაშაულებრივი მოქმედებით.

ასეთი სარჩელების გამო გადახდევინება შეიძლება მოხდეს კომლის საერთო ქონებიდან, თუ სასამართლოს მიერ დადგენილი იქნება, რომ ეს ქონება შეძენილი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით, ან გაიზარდა ამ სახსრების ხარჯზე.

კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ მას სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურ-

ნეობის წარმოებაში. მაშასადამე, იმისათვის, რომ კომლის წევრმა შეინარჩუნოს უფლება კომლის ქონებაზე, საკმარისია, რომ მან შრომითი მონაწილეობა მიიღოს კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში, ან აღმოუჩინოს კომლს მატერიალური დახმარება. ამიტომ კომლის წევრი, რომელიც სხვაგან ცხოვრობს და თუნდაც უმნიშვნელო დახმარებას უწევს კომლს, არ შეიძლება უფლებდაკარგულად ვაღიაროთ კომლის ქონების წილზე. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არასწორად მიგვაჩნია. კანონით დადგენილი უნდა იყოს პირობა, რომ კომლის წევრობის შესანარჩუნებლად აუცილებელია კომლის წევრები მონაწილეობდნენ კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში როგორც თავიანთი შრომით, ისე ფულადი ან სხვაგვარი სახსრებითაც. თუ კომლის ფარგლებს გარეთ მცხოვრები კომლის წევრები კომლს მხოლოდ მატერიალურ დახმარებას უწევენ, თუნდაც მნიშვნელოვანი ოდენობით, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მისი კომლის წევრად აღიარებისათვის.

კომლის საერთო მეურნეობაში მონაწილეობის მიუღებლობა, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს იგი, არ ართმევს პირს კომლის წევრობის უფლებას შემდეგი საფუძველებით: 1) ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევა; 2) სასწავლებელში სწავლა; 3) ხანგრძლივი ავადმყოფობა. ეს ჩამონათვალი არ ექვემდებარება გაფართოებულ ახსნა-განმარტებას.

კომლის საერთო თანასაკუთრება არსებითად განსხვავდება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებისაგან. ჯერ ერთი, უკანასკნელის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ცოლქმარი, მაშინ, როდესაც კომლის საერთო საკუთრების სუბიექტად ითვლება ყველა მისი წევრი (მათ შორის, არასრულწლოვანი ბავშვებიც); მეორეც, კომლის საკუთრება განკუთვნილია დამხმარე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საკარმიდამო ნაკვეთზე, მაშინ, როდესაც მეუღლეთა საკუთრებას ქალაქად უშუალოდ კულტურულ-სამომხმარებლო დანიშნულება აქვს.

კომლის წევრ-მეუღლეთა ქონება შეადგენს მათ საერთო თანა-

საკუთრებას, თუ იგი შეძენილია ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა პირადი სახსრებით და გადაცემული არ არის კომლის საერთო საკუთრებად, ან საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კომლის წევრ-მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ პირადი მონძარების საგნები, პირადი შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, აგრეთვე ქონება, რაც შეძენილია მეუღლეთა მიერ პირადი სახსრებით.

კომლის წევრ-მეუღლეებს არ შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეთ ქონება, რაც შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ კომლს.

ამასთან დაკავშირებით, კომლის წევრ-მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობა ბევრად განსხვავდება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობებისაგან ქალაქად. კომლის წევრ-მეუღლეთა მიმართ არ შეიძლება უპირობოდ იქნეს გამოყენებული საოჯახო კანონმდებლობის ნორმები, რომლის თანახმადაც ქონება, რომელიც მეუღლეებს ეკუთვნოდათ დაქორწინებამდე, თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. კომლის სინამდვილეში კი, თუ ეს ქონება საწარმოო-სამეურნეო დანიშნულებისაა, იგი ხდება კომლის საერთო საკუთრება და, ამდენად, მეორე მეუღლის კუთვნილი ქონებაც.

კომლის წევრ-მეუღლეთა შორის იმ ქონების გაყოფის თაობაზე დავის წამოჭრის შემთხვევაში, რაც მათ საერთო თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნის, საკითხი გადაწყდება საოჯახო კანონმდებლობის იმ ნორმებით, რომლებიც აწესრიგებენ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში წილის განსაზღვრას ქალაქად. ქონების გაყოფის დროს, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია კომლის წევრ-მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება გამოიყოს კომლის საკუთრებისაგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქონება ინდივიდუალური საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეს აგრეთვე კომლის ცალკეულ წევრსაც. მათ პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ ისეთი ქონება, რაც განცალკევებულია (განკერძოებულია). კომლის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებას შეადგენს პირადი შრომითი შემოსავა-

ლი და დანაზოგი, აგრეთვე პირადი სახსრებით შეძენილი, ან მემკვიდრეობითა და ჩუქებით მიღებული ქონება, თუ ისინი გადაცემული არ არის კომლისათვის. ასეთი საკუთრების ობიექტთა წრე რამდენადმე განსხვავდება იმ ობიექტებისაგან, რომლებიც შეიძლება საკუთრების უფლებით ჰქონდეთ მოქალაქეებს ქალაქად. კომლის წევრის პირად საკუთრებად არ შეიძლება იყოს ქონება, რომელიც შეიძლება თავისი დანიშნულებით ეკუთვნოდეს მხოლოდ კომლს (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ა.შ.), თუ კომლის ერთ-ერთი წევრი მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიიღებს ქონებას, რაც თავისი დანიშნულებით შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ კომლს, მას უფლება აქვს გადასცეს იგი კომლს. კომლის საკუთრებად გადაცემის შემთხვევაში ამ პირს, კომლის შემადგენლობიდან გამოსვლისას, უფლება არა აქვს მოითხოვოს ასეთი ქონების უკან დაბრუნება. ამ შემთხვევაში ეს პირი მიიღებს მხოლოდ თავის წილს კომლის ქონებიდან საერთო საფუძველზე.

კომლის საერთო თანასაკუთრების განუყოფელი ხასიათი არ ნიშნავს კომლის ცალკეული წევრის მიერ მისი კუთვნილი წილის გამოყოფის შეუძლებლობას. კომლის ქონებაში კომლის წევრის წილი განისაზღვრება: 1) მისი გასვლისას კომლის შემადგენლობიდან, ახალი კომლის შეუქმნელად (გამოყოფა); 2) ერთი კომლიდან ორი ან მეტი კომლის შექმნისას (გაყრა); 3) კომლის წევრის პირადი ვალდებულებების (დავალიანებათა) მიხედვით გადახდევინებისას; 4) კომლის არსებობის შეწყვეტისას.

კომლის გაყრის ან მისგან გამოყოფის მოთხოვნის უფლება ყველას როდი აქვს. კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება, რამდენადაც იგი დაკავშირებულია ახალი კომლის შექმნასა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის სარგებლობაში მიღებასთან, შეუძლია განაცხადოს მხოლოდ მოცემული კომლის სრულწლოვანმა წევრმა.

კომლის ქონების შექმნაში პირადი შრომითი მონაწილეობა მხოლოდ მოცემული კომლის წევრებისათვის წარმოშობს უფლებას წილზე ამ ქონებაში და არა სხვა პირებისათვის. პირს, რომელიც

კომლში ფაქტობრივად ცხოვრობს, მაგრამ ამ კომლის წევრი არ არის, უფლება არა აქვს მოითხოვოს კომლიდან გამოყოფა ან ამ კომლის გაყრა. მათ შეუძლიათ დააყენონ მხოლოდ სავალდებულო ხასიათის მოთხოვნა მათ მიერ კომლის მეურნეობაში დაბანდებული შრომისა და სახსრების კომპენსაციის შესახებ.

კომლიდან გასვლისას წილის გამოყოფა უნდა ხდებოდეს იმ ვარაუდით, რომ კომლს არ მოაკლდეს დამხმარე მეურნეობისათვის აუცილებელი ნაგებობები, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ამისათვის, საწარმოო დანიშნულების მთელი ქონება რჩება კომლის წევრთა საკუთრებად, ხოლო კომლიდან გასულს, კომპენსაციის სახით, გადაეცემა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ქონება ნატურით. თუ ნატურით ასეთი ქონების გამოყოფა შეუძლებელია, მას უნდა მიეცეს ფულადი კომპენსაცია კომლის ქონებიდან მისი კუთვნილი წილის სანაცვლოდ.

თუ კომლის საერთო ქონებაში აღმოჩნდება წარმოების რომელიმე სპეციალური იარაღი (მაგალითად, საპარსი ან სახარაზო ინსტრუმენტები), იგი გადაეცემა კომლის იმ წევრს, რომელიც სარგებლობდა ამ ინსტრუმენტებით, ოღონდ მათი ღირებულება გამოირიცხება ამ პირის წილს კომლის საერთო ქონებაში.

კომლის გაყრისას ქონება იმდაგვარად იყოფა, რომ ახლად შექმნილმა კომლმა შეძლებისდაგვარად მიიღოს ყველაფერი, რაც აუცილებელია მეურნეობის საწარმოებლად, ე.ი თითოეულ შექმნილ კომლს შეძლებისდაგვარად გამოეყოფა ნატურით როგორც საწარმოო, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქონება.

ქონების განაწილებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გასაყრელ პირთა ინტერესები. ამ მიზნით გაყოფისას დაიშვება ერთი საგნის შეცვლა მეორეთი, აგრეთვე გადახდა ფულით ან პროდუქტებით, მათი კუთვნილი წილის თანაზომიერად.

ზოგჯერ კომლის თავკაცს (სახლის უფროსს) საკრედიტო დაწესებულებაში შეაქვს ფული, რაც მიიღო კომლის საერთო თანასაკუთრების, მაგალითად, დამხმარე საკარმიდამო მეურნეობის პროდუქციის რეალ-

იზაციით. ამის გამო პრაქტიკაში კომლის გაყოფასთან (გაყრასთან) დაკავშირებით ხშირად წარმოიშობა საკითხი იმ ანაბრებზე გადახდევინების მიქცევის შესაძლებლობის შესახებ, რაც კომლის წევრებმა შეინახეს ბანკში. ვფიქრობთ, სწორად იქცევიან სასამართლოები, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ ასეთი ანაბრების გაყოფის შესაძლებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას შეადგენს. თუ კომლი შედგება ცოლ-ქმრისა და მათი შვილებისაგან, მაშინ ერთ-ერთი ამ მეუღლის სახელზე შეტანილი ანაბარი აღიარებული იქნება არა მის პირად საკუთრებად, არამედ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად, ე.ი. მეუღლეს კომლის გამოყოფის ან გაყრის შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს გადახდევინება ამ ანაბრიდან. ამავე დროს, კომლის სხვა წევრებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ ანაბრის გაყოფა მაშინაც კი, როდესაც იგი შეტანილია კომლის საერთო ქონების ხარჯზე.

ასეთ შემთხვევებში სასამართლოები უმცირებენ წილს კომლის იმ წევრს, რომლის სახელზეც არის შეტანილი ანაბარი, ანდა ნატურით გამოყოფილი ქონების ნაწილს ცვლიან ფულადი კომპენსაციით, იმ ანაბრის ოდენობის გათვალისწინებით, რომელიც ინახება ბანკში და შექმნილია საერთო საკუთრების ხარჯზე.

ანაბრის მოთხოვნის უფლება არა აქვთ იმ პირებსაც, რომელთაც კომლის წევრ-მეუღლეებს მისცეს თავიანთი სახსრები, რაც მათ შემდეგ ბანკში შეიტანეს. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ წარუდგინონ სარჩელი კომლის წევრ-მეუღლეებს მათი კუთვნილი ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დაკისრებული თანხის გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს ანაბარზე, იგი გადახდილ უნდა იქნეს სხვა ქონების ხარჯზე.

ნებაყოფილობით გამოყოფის (გაყრის) დროს კომლის წევრები თვითონ განსაზღვრავენ კომლის ქონების განაწილების წესსა და პირობებს და მიღწეულ შეთანხმებას განამტკიცებენ ქონების გაყოფის შესახებ ჩანაწერით. კომლის წევრების შეთანხმება, ქონების ნებაყოფლობით გაყოფისა და გამოყოფის შესახებ, თავისი სამართ-

ლებრივი ბუნებით სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების სახესხვაობაა. ამიტომ, თუ შემდეგში ასეთ პირთა შორის წამოიჭრება დავა, მაშინ მისი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით. კომლის წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ქონების ნებაყოფლობით გაყოფის შეთანხმების ბათილად აღიარების შესახებ.

თუ კომლის წევრები ნებაყოფლობით ვერ შეთანხმდებიან ქონების გაყოფაზე, მაშინ დავას წყვეტს სასამართლო.

სასამართლო განხილვას ექვემდებარება აგრეთვე კომლის წევრთა მოთხოვნა იმ წევრის გამოყოფის შესახებ, რომელიც თავისი უღირსი მოქმედებით შეუძლებელს ხდის ერთ კომლში თანაცხოვრებას.

კომლის წევრთა შორის წამოჭრილ დავებს, კომლიდან გამოყოფის ან კომლის გაყრის შესახებ, გადაწყვეტს სასამართლო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, მოდავე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, სარჩელი გამოყოფის შესახებ წარედგინება მთლიანად კომლს და არა მის ცალკეულ წევრს. ფულადი კომპენსაციის დაკისრებაც მთლიანად კომლის საერთო ქონების ხარჯზე ხდება და არა თითოეული მისი წევრისათვის ცალ-ცალკე.

სასამართლო, ქონების გაყოფისა და გამოყოფის შესახებ საქმეთა განხილვისას, გამოითხოვს კომლში ქონების აღწერასა და შეფასებას, აგრეთვე ამონაწერს საკომლო წიგნიდან მოცემულ კომლში წევრობის შესახებ.

წილის განსაზღვრა, გამოყოფის ან გაყრის დროს ხდება მას შემდეგ, როდესაც კომლის ქონებისაგან გაიმიჯნება ქონება, რომელიც მეუღლეებს ეკუთვნით (მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება), აგრეთვე ის ქონება, რომელიც კომლის წევრებს ეკუთვნით ინდივიდუალური საკუთრების უფლებით. ამის შემდეგ შეფასდება თითოეული საგანი, რომელთა საერთო თანხაც კომლის მთელი ქონების ღირებულებას შეადგენს.

ქონება უნდა შეფასდეს კომლის წევრთა შეთანხმებით მოცემულ ადგილზე არსებული ფასების შესაბამისად. თუ კომლის წევრები ვერ

შეთანხმდებიან, მაშინ ქონების შეფასებას მოახდენს თვითმმართველობის (მმართველობის) ადგილობრივი ორგანოები. თუ მხარეები არ ეთანხმებიან ამ შეფასებას, საკითხს წყვეტს სასამართლო. კომლის ქონების ღირებულების დადგენის შემდეგ, განისაზღვრება ის წილი, რომელიც ეკუთვნის კომლის იმ შრომისუნარიან წევრს, რომელსაც სასამართლო შეუმცირებს წილს ან უარს ეტყვის წილის გამოყოფაზე. შემდეგ დარჩენილი საერთო ქონება თანაბრად ნაწილდება კომლის სხვა დანარჩენ წევრებზე, მათ შორის არასრულწლოვანებსა და შრომისუნაროებზე.

გაყოფის ან გაყრის შემთხვევაში კომლის არასრულწლოვანი წევრის კუთვნილ წილს მიიღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები: მშობლები, მშვილებლები ან ძეურვეები.

ნებაყოფლობით გაყოფის შემთხვევაში, გაყოფის შესახებ ჩანაწერი ან სასამართლოს გადაწყვეტილება ქონების გაყოფის თაობაზე რეგისტრირებულ უნდა იქნეს შესაბამის ორგანოში.

ქონების გაყოფის რეგისტრაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომლის ფიქციურად გაყოფის დაუშვებლობას. ასეთი გაყოფის გამოძღვლების შემთხვევაში (თუ იგი მიზნად ისახავს მეორე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიღებას, ან პირად მეურნეობაში პირუტყვის სულადობის გადიდებას), რეგისტრაცია აღარ ხდება და დგება საკითხი გაყოფის თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად აღიარების შესახებ.

კომლის ქონებიდან წილის გამოყოფა შეიძლება გამოიწვიოს კომლის წევრის სხვა კომლის შემადგენლობაში გადასვლამ, ქალაქში სამუშაოდ წასვლამ და ა.შ. ვინაიდან გამოყოფის დროს კომლი არ წყვეტს თავის არსებობას, იგი არ საჭიროებს რეგისტრაციას. კომლის შემადგენლობის შეცვლა გაყრის შედეგად, აუცილებლად უნდა იქნეს ფიქსირებული საადგილმამულო წიგნში. კომლთან ქონებრივი კავშირი წყდება კომლის შემადგენლობიდან გასვლისას, კომლის ქონებიდან წილის გამოყოფის მომენტში.

თავი მეცხრე

საალიმენტო ვალდებულება

§1. ზოგადი დებულებანი

საოჯახო სამართალში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საალიმენტო ურთიერთობები, მაგრამ ის მეტად მნიშვნელოვანი გახდა საზოგადოების განვითარების თანამედროვე პერიოდში. უმუშევართა რიცხვის გაზრდას, ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუარესებას მიეყვართ იმისაკენ, რომ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, უპირველეს ყოვლისა კი ბავშვები, არსებობისათვის საჭირო აუცილებელი თანხების გარეშე დარჩენის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ოჯახის წევრები მოვალენი არიან მორალურად და მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს.

ეს პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, სადაც მითითებულია, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“ (მუხლი 36-ე). ამ პრინციპს სახელმწიფო ახორციელებს მრავალმხრივი დახმარების სახით, მაგრამ მაინც ზრუნვის უდიდესი ნაწილი ოჯახის წევრებმა უნდა იკისრონ თავის თავზე.

ურთიერთობა მეუღლეებს, მშობლებსა და შვილებს, ოჯახის სხვა წევრებს შორის – ეს არის, უწინარეს ყოვლისა, პირადი ურთიერთობა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ნათესაობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. თავიანთ ურთიერთობაში ისინი ხელმძღვანელობენ ზოგადი ზნეობრივი პრინციპებითა და მორალის ნორმებით.

ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება ემყარება და სავსებით ემთხვევა ამ პრინციპებს. სათანადო შემთხვევაში კანონი ხაზს უსვამს ოჯახის წევრთა მოვალეობას – იზრუნონ თავიანთი ახლობლებისათვის. ამასთან, კანონი ადგენს ოჯახის წევრთა ურთიერთრჩენის ნებაყოფლობით წესს, რაც ყველაზე უკეთ შეესაბამება საზოგადოებაში მოქალაქეებს შორის დამკვი-

დრებული ურთიერთობის დამყარების ზნეობრივ კატეგორიას. კერძოდ, მოქალაქეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ალიმენტის ოდენობა, მისი გადახდის წესი და ფორმა, ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს მისი გადახდა საალიმენტო შეთანხმების მეშვეობით, რომელსაც საალსრულებლო ფურცლის ძალა გააჩნია. სხვადასხვა საშუალებით ალიმენტის გადახდის შესაძლებლობა გაცილებით მოსახერხებელია როგორც ალიმენტის გადამხდელისათვის, ისე მისი მიმღებისათვის. ამასთან დაკავშირებით, უნდა ვახსენოთ ალიმენტის გადახდის ისეთი საშუალება, როგორიცაა ქონების (ბინის, საცხოვრებელი სახლის, მიწის და სხვ.) გადაცემა ფულადი თანხის პერიოდული გადახდის მოთხოვნის სანაცვლოდ. რა თქმა უნდა, ალიმენტის ყოველთვიური გადახდა უფრო მეტად შეესაბამება საალიმენტო ვალდებულების არსს, რომლის ძირითადი მიზანია – უზრუნველყოს ალიმენტის მიმღებისათვის მუდმივი და რეგულარული მატერიალური დახმარების გაწევა, მაგრამ თანამედროვე პირობებში, რიგ შემთხვევებში, შეიძლება უფრო გამართლებული იყოს ერთჯერადი დიდი თანხის გადახდა ან მისთვის საკუთრებაში ბინის, საცხოვრებელი სახლის, მიწის და ა.შ. გადაცემა. თუ ალიმენტის გადამხდელი დიდი ხნით მიემგზავრება საზღვარგარეთ, არ შეუძლია გადაიხადოს საალიმენტო თანხა (უმუშევრობის ან სასჯელის მოხდის გამო და ა.შ.), აუცილებლობის შემთხვევაში ოჯახის წევრს შეუძლია მატერიალური დახმარება მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილების ძალითაც.

საოჯახო ურთიერთობა ეს არის ურთიერთობა არა მარტო ცოლსა და ქმარს შორის, არამედ, ამავე დროს, მშობლებსა და შვილებს შორის, თვით შვილებს შორის და ა.შ.

ერთი პირის მიერ მეორე პირის რჩენის მოვალეობა, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, მართალია, შეესაბამება მორალის მოთხოვნებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას, ვინც დახმარებას საჭიროებს, ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს სხვა პირისაგან მატერიალური დახმარება.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ

ვინ, ვის მიმართ და რა ზომითაა ვალდებული აღმოუჩინოს მატერი-
ალური დახმარება.

ოჯახის წევრთა შორის სარჩოს მიცემის ქონებრივი ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონით აღიარებული საკმარისი და აუცილებელი საფუძველი ასეთი მატერიალური დახმარების აღმოჩენისათვის. ამასთან, ოჯახური ურთიერთობა აუცილებლად არ გულისხმობს შთამომავლობით ნათესაობას. კანონი ითვალისწინებს საალიმენტო ვალდებულებას ისეთ პირთა შორისაც, რომლებიც ერთმანეთის მიმართ შთამომავლობით ნათესაობაში არ იმყოფებიან (შვილად ამყვანი და შვილად აყვანილი, მამინაცვალი და გერი, დედინაცვალი და გერი, ფაქტობრივი აღმზრდელი და აღსაზრდელი).

საოჯახო სამართალში ალიმენტის ქვეშ (ლათინურიდან *alimantum* – „სარჩო“, „საზრდო“) იგულისხმება რჩენისათვის განკუთვნილი სახსრები¹, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ოჯახის ერთმა წევრმა უნდა გადაიხადოს ოჯახის სხვა წევრის სასარგებლოდ. საალიმენტო მოვალეობათა საფუძველს წარმოადგენს საოჯახო ურთიერთობები, ხოლო მიზანს – კანონით გათვალისწინებული წევრების რჩენა. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ალიმენტის გადახდა ხდება სასამართლო წესით ან მხარეთა შეთანხმებით (ნებაყოფლობით). ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმების არსებობისას მათი გადახდევინება სასამართლო წესით დაუშვებელია. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსში ნახსენები „ალიმენტისა“ და „სარჩოს“ ცნებები არ ემთხვევა ერთმანეთს. ალიმენტი – ეს არის სარჩოს ნაირსახეობა (ე.ი. უფრო ვიწრო ცნებაა), რომლის გადახდა განსაზღვრული პირის სასარგებლოდ ხდება მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

იურიდიულ ლიტერატურაში საალიმენტო მოვალეობის ქვეშ იგულისხმება საოჯახო სამართალურთიერთობა, რომლის ძალით

¹ შ. ჩიკვაშვილი, „საალიმენტო ვალდებულება“, 1976, გვ. 9-10.

ოჯახის რიგი წევრები მოვალენი არიან გადაუხადონ ალიმენტი ოჯახის სხვა წევრებს, ხოლო ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ მოითხოვონ იგი. საალიმენტო მოვალეობა წარმოიშობა კანონით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების საფუძველზე: ა) სუბიექტთა შორის საოჯახო ურთიერთობათა არსებობა; ბ) ალიმენტირებისათვის აუცილებელი პირობების არსებობა, რომლებიც დადგენილია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით (მაგალითად, ალიმენტის მიმღები პირის არასრულწლოვანება ან შრომისუუნარობა, მის მიერ მატერიალური დახმარების საჭიროება და სხვ.); გ) ალიმენტის გადახდის შესახებ მხარეთა შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

საალიმენტო ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფენ სასამართლო ორგანოები.

კანონის თანახმად, არასრულწლოვანებს, მოხუცებსა და აგრეთვე შრომისუუნარო პირებს, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ, უფლება აქვთ მიიღონ ალიმენტი თავიანთი ნათესავებისა და ახლობლებისაგან.

ალიმენტის გადახდის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როგორც წესი, ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა ბუნებრივი ოჯახური კავშირი და ამის გამო აუცილებელი ხდება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის რჩენისათვის საჭირო სახსრების ოდენობის განსაზღვრა, აგრეთვე შესაძლებელია საალიმენტო ვალდებულების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა.

საალიმენტო ვალდებულება ოჯახის წევრთა შორის თანაზიარ ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს თანაზიარობა განსაკუთრებულია და განსხვავდება სამოქალაქო სამართლის ურთიერთვალდებულების ცნებისაგან. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ერთდროულად არ არსებობს, მეორეც, მისი წარმოშობა, როგორც წესი, დამოკიდებული არ არის იმაზე, შეასრულა თუ არა მეორე მხარემ თავისი მოვალეობა წარსულში, იმ შემთხვევის გარდა, რაც მითითებულია კანონში. ასე მაგალითად, მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს ყველა სხვა უფლებასაც, რაც გამომდინარეობს

იმ ბავშვთან ნათესაობის ფაქტიდან, რომლის მიმართაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, მათ შორის ალიმენტის მიღების უფლებაც, ამავე დროს, ასეთი მშობელი არ თავისუფლდება შვილების რჩენის მოვალეობისაგან.

ოჯახის იმ წევრთა მიერ ალიმენტის დაკისრების მოთხოვნა, რომელთაც აქვთ ამის უფლება, ვრცელდება ოჯახის სხვა წევრებზეც განსაზღვრული მორიგეობის დაცვით. გამომდინარე აქედან, იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია ოჯახის წევრთა დაყოფა ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან უფრო ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი ოჯახის წევრები – მეუღლეები, მშობლები და შვილები. როდესაც ალიმენტის გადახდა შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთს ამ პირთაგან, მაშინ დაუშვებელია საალიმენტო მოთხოვნების აღძვრა ოჯახის სხვა წევრების მიმართ. თუ შეუძლებელია საალიმენტო მოთხოვნების წაყენება მეუღლეების, მშობლების ან შვილების მიმართ (მაგალითად, მათი სიკვდილის გამო), მაშინ ალიმენტის გადახდის ვალდებულება შეიძლება დაეკისროს ოჯახის სხვა წევრებს, რომლებიც მეორე ჯგუფში შედიან – ძმა, და, პაპა, ბებია, შვილიშვილი, დედინაცვალი, მამინაცვალი, გერი, ფაქტობრივი აღმზრდელი (აღსაზრდელი). ოჯახის წევრთა დასახელებული ჯგუფების ფარგლებში იმ პირს, რომელსაც უნდა წარედგინოს საალიმენტო მოთხოვნა, განსაზღვრავს თვითონ საალიმენტო მოთხოვნის წამყენებული პირი.

საალიმენტო უფლება-მოვალეობა მკაცრად განსაზღვრულ პირადულ ხასიათს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში იგი ზუსტად არის დადგენილი კანონის მიერ გარკვეულ პირთა მიმართ და არ შეიძლება მისი სხვა პირებისათვის დაკისრება.

ოჯახის წევრებს უფლება არა აქვთ ურთიერთშეთანხმებით აიცილონ თავიდან მათზე კანონით დაკისრებული საალიმენტო ვალდებულების შესრულება ან შეზღუდონ მისი გამოყენების ფარგლები. ბათილია უარის თქმა ალიმენტის მიღებაზე მომავლისათვის, თუნდაც საამისოდ არსებობდეს ალიმენტის მიმღები პირის წერილობითი თანხმობა. ალიმენტის მიმღებ პირს შეუძლია მოითხოვოს ალიმენ-

ტის გადახდა მოვალისაგან ამ უფლების არსებობის მთელი დროის განმავლობაში.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე, ამ წესის დარღვევით, აყენებს საკითხს განქორწინების შესახებ და ხაზს უსვამს, რომ იგი უარს ამბობს ალიმენტის მიღებაზე არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ.

ბათილია, აგრეთვე, ვინმეს მიმართ ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის ვალდებულების თავის თავზე აღება, თუ იგი კანონს არ ეფუძნება.

საალიმენტო ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესრულება თითქმის ყოველთვის პერიოდული (თვიური) გადასახდელების სახით ხდება, აქვს განგრძობითი ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ პირის უფლება – მიიღოს ალიმენტი, შეიძლება განზოცვილდეს მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე არსებობს ის პირობები, რომლებიც საფუძვლად უდევს საალიმენტო უფლება-მოვალეობათა წარმოშობას. ამიტომ ალიმენტის გადახდის მოთხოვნა შეიძლება აღიძრას ყოველთვის, სანამ შვილები სრულწლოვანებას არ მიაღწევენ; ხოლო შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილების მიმართ იგი გაგრძელდება იმ მომენტამდე, ვიდრე ისინი არ აღიდგენენ შრომის უნარს ან მათთვის მატერიალური დახმარების გაწევა საჭირო აღარ იქნება.

საალიმენტო ვალდებულების განგრძობადი ხასიათის გამო მასზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მიღების უფლება, შეუძლია მოითხოვოს მისი გადახდა სასამართლო წესით, ამ უფლების წარმოშობის დროის მიუხედავად.

მშობლების მიერ არასრულწლოვანი შვილების რჩენის მოვალეობა უპირობო ხასიათს ატარებს, ე.ი. დამოკიდებული არ არის ისეთი პირობებისაგან, როგორცაა შრომისუუნარობა, დახმარების საჭიროება და ა.შ.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ოჯახის სხვა წევრთა ურთიერთ-საალიმენტო ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისი არ არის

მათ შორის მხოლოდ ნათესაობის ფაქტის არსებობა.

ალიმენტი ეს ისეთი ქონებრივი ვალდებულებაა, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული მისი გამამხდელის პიროვნებასთან. საალიმენტო ვალდებულება განუსხვისებელია. დაუშვებელია მისი გადაცემა სხვა პირზე. ამიტომ არის, რომ საალიმენტო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის სიკვდილი იწვევს ამ ვალდებულების მოსპობას. საალიმენტო უფლება-მოვალეობა არ შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს. ცნობილია ბევრი შემთხვევა, როდესაც მშობლების სიკვდილის შემდეგ საალიმენტო ვალდებულება დაეკისრება, მაგალითად, ბებიასა და პაპას (ბაბუას), მაგრამ ამ დროს საალიმენტო ვალდებულების მემკვიდრეობით გადასვლასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ სხვა შინაარსის მქონე ახალ საალიმენტო ვალდებულებასთან.

დაბოლოს, საალიმენტო ვალდებულება უსასყიდლოა. ოჯახის წევრთა ურთიერთრჩენის მოვალეობა ხორციელდება დახმარების აღმოჩენის სახით. ოჯახის ის წევრი, რომელიც ასეთ დახმარებას მიიღებს, ვალდებული არ არის ჩაიდინოს რაიმე საპასუხო მოქმედება დახმარების მიმცემი პირის სასარგებლოდ.

იმ გარემოებიდან, რომ ალიმენტი არსებობის წყაროა, გამომდინარეობს მისი დაბრუნების დაუშვებლობა მაშინაც კი, როდესაც იგი შეცდომით იყო გადახდილი (მაგალითად, იმ პირისაგან, რომელსაც კანონით იგი არ უნდა გადაეხადა). გამონაკლისია მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც ალიმენტის გადახდის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო მოსარჩლის მიერ წარმოდგენილი ყალბი ცნობები ან საბუთები.

საალიმენტო ვალდებულების ზოგადი ნიშნების გამოვლინების შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით განვიხილოთ საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა უფლება-მოვალეობანი.

შვილების რჩენა და მათზე ზრუნვა მშობლების უპირველესი მორალური და სამართლებრივი მოვალეობაა. „მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ“ (სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი). ეს მოვალეობა თანაბრად აკისრია როგორც მამას, ისე დედას.

მშობლის უფლებები განისაზღვრება გარკვეული ვადით. ისინი წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან და წყდება ბავშვის მიერ 18 წლის ასაკის (სრულწლოვანების) მიღწევისას; ხოლო სრულწლოვანი შრომისუნარო შვილისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, მშობლებს ალიმენტი გადახდებათ სრულწლოვანი შვილის შრომისუნარიანობის აღდგენამდე.

მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი შვილები 18 წლის ასაკამდე, ე.ი. სრულწლოვანების მიღწევამდე. ოჯახებში, სადაც მეუღლეები მეგობრულად ცხოვრობენ, ერთად ზრდიან და ზრუნავენ შვილებზე, საკითხი ბავშვების სარჩენად ალიმენტისა და ხარჯების შესახებ, როგორც წესი, არ დგას. უმეტეს შემთხვევაში, მშობლები შვილების რჩენის მოვალეობას ასრულებენ ნებაყოფლობით, შეძლებისდაგვარად ხარჯავენ სახსრების საჭირო რაოდენობას თავიანთი შვილების სარჩენად. უფრო მეტიც, მშობლები ჩვეულებრივ არჩენენ არა მარტო არასრულწლოვან შვილებს, არამედ სრულწლოვან შრომისუნარიან შვილებსაც, რომლებსაც არა აქვთ საკმაო სახსრები თავის სარჩენად (მაგალითად, იმის გამო, რომ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ა. შ.). ზუსტად ასევე შვილებიც, თავის მხრივ, ეხმარებიან თავიანთ მშობლებს, მიუხედავად იმისა, შრომისუნარო არიან და დახმარებას საჭიროებენ თუ არა.

მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო მოვალეობების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს შვილების წარმოშობა, რომელ-

იც დადგენილია კანონით გათვალისწინებული წესით.

ნებაყოფლობით ალიმენტის გადახდის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მშობელთა შორის ალიმენტის გადახდის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) დადებას. აღნიშნული შეთანხმება იდება ალიმენტის გადახდისათვის ვალდებულ პირსა და მის მიმღებს შორის. ამ პირთა ქმედუნარობის შემთხვევაში კი ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმება მათი სახელით იდება კანონიერ წარმომადგენელთა შორის. ასეთი შეთანხმება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით, ე.ი. მხარეთა მიერ ხელმოწერილ შეთანხმებაზე (ხელშეკრულებაზე) ხორციელდება ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერა.

ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმებაში განისაზღვრება:

- ა) ალიმენტის გადახდის წესი, ოდენობა, პირობები და საშუალებები (მაგალითად, პერიოდულად ან ერთდროულად მყარი ფულადი თანხის სახით) გამაძღვლის შემოსავლიდან (ხელფასიდან) წილის სახით, ქონების გადაცემის გზით ან სხვა საშუალებებით). აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული;
- ბ) შეთანხმების შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლები;
- გ) ალიმენტის დროულად გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და პირობები;
- დ) შეთანხმების მოქმედების ვადა.

თუ მშობლები და შვილები ნებაყოფლობით არ ასრულებენ კანონით მათთვის დაკისრებულ ურთიერთრჩენის მოვალეობას, მაშინ შეიძლება მათი იძულება სასამართლო წესით თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად.

არასრულწლოვანი შვილების რჩენის თაობაზე ღვაწები უმთავრესად წარმოიშობა მშობელთა განქორწინებასთან დაკავშირებით, თუმცა საალიმენტო ვალდებულება შეიძლება აღმოცენდეს მათ შორის ქორწინების არსებობის შემთხვევაშიც. ალიმენტის დაკისრება ხდება სასამართლოს წესით მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს ნებაყოფლობით აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება შვილებს, არ ეწევა ხარჯებს საოჯახო მეურნეობაში, ანიავეს იმ სახსრებს,

რაც აუცილებელია არასრულწლოვანი შვილების რჩენისათვის ან მამინ, როდესაც განქორწინებასა და ოჯახის დაშლასთან დაკავშირებით აუცილებელია განისაზღვროს თითოეული მშობლის მატერიალური მონაწილეობა ბავშვების რჩენაში.

საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია შვილების მშობლებისაგან შთამომავლობითი წარმომავლობა.

სისხლით ნათესაობის პრინციპი, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლებამოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლი).

საალიმენტო ვალდებულების სუბიექტია ბავშვი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სარჩო თავისი მშობლებისაგან.

ალიმენტი, რომელსაც სასამართლო ადგენს, გათვალისწინებულია ბავშვის სარჩენად და მის ალიმენტვალდებული პირი იხდის ბავშვის სასარგებლოდ, თუმცა მშობლის ან მათი შემცველი პირების (მეუღლე, მზრუნველი...) განკარგულებაში გადადის და მათ მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს ბავშვის სარჩენად, აღზრდისა და განათლებისათვის. მშობელი, რომელიც აყენებს საალიმენტო მოთხოვნას, გამოდის ბავშვის ინტერესებიდან მისი სახელით, როგორც მისი კანონიერი წარმომადგენელი.

საალიმენტო ვალდებულება არის გარიგება და ეფუძნება კანონს. ბავშვის რჩენის მოვალეობა არ შეიძლება გახდეს შეთანხმების საგანი მშობელთა შორის. თუ ასეთი შეთანხმება მაინც დაიდება, იგი შეიძლება ყოველ მომენტში იქნეს ცნობილი ბათილად, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს მეუღლეთა შორის შეთანხმებას ალიმენტის ოდენობის შესახებ, რომელიც მშობლებს გადახდებთ არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუნარო შვილების სარჩენად.

საალიმენტო ხელშეკრულება იდება იმ პირებს შორის, ვინც მოე-
ალეა გადაიხადოს ალიმენტი და ვისაც უფლება აქვს, მიიღოს ალი-
მენტი. ქმედუნარობის არსებობის შემთხვევაში მხარედ გამოდის ასე-
თი პირის კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

რაც შეეხება შეზღუდულქმედუნარიან პირებს (რომლებიც ოჯახს
აყენებენ მძიმე მდგომარეობაში ნარკოტიკული ნივთიერებების ან ალკო-
ჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენების გამო), ისინი ხელშეკ-
რულებაში მხარედ გამოდიან მზრუნველის საშუალებით (მისი თანხ-
მობით).

არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდის თაობაზე
დადებულ ხელშეკრულებაში მხარეებად გამოდიან მშობლები. 7-18
წლამდე არასრულწლოვნები საალიმენტო ხელშეკრულებას დებენ
კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით (მშობელი, მზრუნველი,
დედინაცვალი ან მამინაცვალი).

საალიმენტო ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი
შეიძლება იყოს ალიმენტის მიმღების, კერძოდ, არასრულწლოვანი
ბავშვისა და სრულწლოვანი ქმედუნარო ოჯახის წევრის არსები-
თი ინტერესების დარღვევა (შელახვა).

ინტერესების დარღვევა კოდექსით განმარტებული არ არის და
ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებითი ხასიათი გააჩნია. აღნიშ-
ნული ხელშეკრულების ბათილად აღიარება სასამართლოს პრეროგ-
ატივაა.

ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა ოჯახური და მა-
ტერიალური მდგომარეობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი ბავშვებისათვის გადა-
სახდელი ალიმენტის ოდენობა არ შეიძლება იყოს კანონით დადგე-
ნილი ალიმენტის ოდენობაზე ნაკლები (რაც ეკისრება პირს სასა-
მართლო წესით). აღნიშნული წესის დაუცველობამ შეიძლება გამ-
ოიწვიოს ხელშეკრულების ბათილად აღიარება სასამართლო წესით,
ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვეობისა და მზრუნ-
ველობის ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე.

საალიმენტო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ალიმენტის გადახდის სხვადასხვაგვარი წესი – ალიმენტის გადახდა პირადად; ალიმენტის გადახდა მესამე პირის საშუალებით (ბებია, პაპა და სხვა ნათესავები); ალიმენტის გაგზავნა ფოსტის საშუალებით; ალიმენტის თანხის გადარიცხვა ანგარიშზე ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში; ალიმენტის გადახდა შემნახველი სერტიფიკატის საშუალებით და სხვ.

თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. სასამართლო განსაზღვრავს რა ალიმენტის ოდენობას შვილების სასარგებლოდ, მხედველობაში იღებს ხელფასისა და დამატებითი ანაზღაურების ყველა სახეობას, იქნება ის ძირითადი, თუ შეთავსებითი სამუშაო, სადაც სადაზღვევო შენატანები ირიცხება. აქ იგულისხმება ხელფასის ყველა სახეობა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი, სტიპენდიები, პენსიები (იმ დანამატის გარდა, რომელიც I ჯგუფის ინვალიდებს ეძლევათ მოსაველეად); პრემიები, ზეგანაკვეთური კომპენსაციები, დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, აგრეთვე გამოუყენებელი შევებულებისათვის; დროებითი შრომისუნარობისას სახელმწიფო სოციალური დაზღვევიდან მიღებული დახმარება; დამატებითი შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთზე მოწყობილი დამხმარე მეურნეობიდან; ალიმენტის გადახდევინება ხდება აგრეთვე იმ თანხებიდან, რაც განკუთვნილია დასახიჩრების ან

ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით გამოწვეული შრომისუნარობის საკომპენსაციოდ, იმ თანხების გამოკლებით, რაც დაზარალებულს ეძლევა სანატორიული მკურნალობის, დამატებითი კვებისა და პროთეზირებისათვის. სასამართლო განსაზღვრავს რა ალიმენტის ოდენობას შვილების სასარგებლოდ, მხედველობაში იღებს აგრეთვე თანხებს საავტორო ჰონორარის ყველა სახეობიდან, ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს პირი ალიმენტს იხდის ხელფასიდან.

მწერლებს, კომპოზიტორებსა და შემოქმედებით მუშაობს ალიმენტი გადახდებთ ჰონორარის თანხებიდან, აგრეთვე იმ გასამრჯელოდან, რასაც ისინი იღებენ მათი ნაწარმოებების საჯარო შესრულებისათვის, საჯარო ლექციების წაკითხვისათვის; ადვოკატებს ალიმენტი გადახდებთ გამოძევაების ყველა სახეობიდან, რასაც ისინი იღებენ იურიდიულ კონსულტაციებში; შტატგარეშე ლექტორებს – ლექციების საფასურიდან; ექიმებს, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწევიან – მათი გამოძევაებიდან; სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგით მუშაკებსა და მეთაურთა შემადგენლობას – თანამდებობრივი განაკვეთებიდან, აგრეთვე ყველა იმ შემოსავლიდან (სამხედრო წოდების სარგო, სარგოზე პროცენტული დანამატი და სხვ.), რაც მუდმივ ხასიათს ატარებს.

ალიმენტის დაკავება მისი გადამხდელი პირის ხელფასიდან (შემოსავლიდან) ხდება ამ ხელფასიდან (შემოსავლიდან) დადგენილი სავალდებულო გადასახადების დაკავების შემდეგ.

არ შეიძლება ალიმენტის დაკავება საკომპენსაციო თანხებიდან მივლინებებისა და სხვა ადგილებში გადასვლის დროს, აგრეთვე გამოსასვლელი დახმარებიდან, რომელსაც პირი იღებს სამუშაოდან დათხოვნისას და იმ ერთდროული პრემიებიდან, რომლებზედაც ირიცხება სადაზღვევო შენატანები (აქ იგულისხმება სახელმწიფო პრემია და სხვ.), მატერიალური დახმარების თანხიდან, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გაცემული ერთდროული თანხებიდან და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონი ითვალისწინებს დამატებით

სალიმენტო გადასახადს არასრულწლოვან შვილებზე მშობლების შემოსავლის დამატებითი ნაწილიდან, რაც მათ გააჩნიათ საკარმიდამო ნაკვეთში მოწყობილი დამხმარე მეურნეობიდან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ალიმენტს იხდიან ხელფასიდან. ამ თანხის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მტკიცე ფულადი თანხის სახით.

საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს მიაკუთვნოს არასრულწლოვან შვილებს ალიმენტი ფულადი თანხის სახით.

იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვები რჩებიან ორივე მშობელთან ცალ-ცალკე, სასამართლო ერთი მშობლის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობას მეორე, მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი მშობლის სასარგებლოდ განსაზღვრავს ფულადი სახით.

მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლის I ნაწილი). მისი შემცირება სასამართლოს შეუძლია შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

ა) თუ მშობელი, რომელიც მოვალეა იხადოს ალიმენტი, აღმოჩნდება მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილ მდგომარეობაში, მაშინ, როდესაც მოპასუხე ალიმენტს იხდის პირველი ქორწინების დროს შექმნილი ბავშვისათვის, ხოლო მეორე ქორწინებაში მას უკვე ჰყავს რამდენიმე შვილი, ალიმენტის ოდენობის ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოპასუხის ბავშვების მატერიალური მდგომარეობა. ამასთან, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ღვიძლი შვილები და შვილად აყვანილები; გერებსა და აღსაზრდელებს ეს არ ეხებათ, იმ შემთხვევების გარდა, როცა არასრულწლოვან და შრომისუუნარო გერებსა და აღსაზრდელებს, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, არ შეუძლიათ სარჩენი სახსრები მიიღონ მშობლებისაგან. ამ შემთხვევაში როგორც მამინაცვალი და დედინაცვალი, ისე ფაქტობრივი აღმზრდელი ვალდებული

ბულია არჩინოს ისინი, რა თქმა უნდა, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ კი, მამინაცვალსა და დედინაცვალს რომ დაეკისროთ სარჩოს გადახდა, მათ უნდა გააჩნდეთ საკმაო სახსრები, ამასთან, არასრულწლოვანი და შრომისუუნარო გერები უნდა საჭიროებდნენ დახმარებას და მათთან აღსაზრდელად ან სარჩინად იმყოფებოდნენ, თან მათ არ უნდა ჰყავდეთ მშობლები ან არ უნდა შეეძლოთ მათგან სარჩოს მიღება. იგივე პირობებია გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით იმისათვის, რომ ფაქტობრივ აღმზრდელს დაეკისროს სარჩოს გადახდა იმ განსხვავებით, რომ მას მუდმივ აღსაზრდელად და სარჩინად უნდა ჰყავდეს აყვანილი აღსაზრდელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს, სარჩოს დაკისრებისათვის სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით ზემოთ დასახელებული შემთხვევისაგან, არ მოითხოვს იმას, რომ ფაქტობრივ აღმზრდელს ჰქონდეს საკმაო სახსრები.

ამიტომ აღიშენების გადამხდელის კმაყოფაზე ყოფნა იმ არასრულწლოვანი ბავშვებისა, რომლებიც ნაშვილები არ არიან (მაგალითად, ცოლის ბავშვები პირველი ქორწინებიდან) და, ამასთან, შეუძლიათ სარჩო მიიღონ საკუთარი მშობლებისაგან, არ მიიღება მხედველობაში როგორც ისეთი გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აღიშენების ოდენობაზე.

ბავშვების მატერიალური მდგომარეობის განსაზღვრისას, ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღიშენების გადამხდელის ხელფასი, აგრეთვე ოჯახის შრომისუუნარო წევრები, რომელთა რჩენაც მას კანონით ევალება.

სასამართლომ ამ დროს მხედველობაში არ უნდა მიიღოს ბავშვის დედის ხელფასი და იმ უახლოესი ნათესავების შემოსავალი, რომლებთანაც ბავშვები ცხოვრობენ.

ბ) თუ აღიშენტკვალდებული მშობელი გახდა, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი, იძულებულია გაიღოს ზედმეტი ხარჯები (მკურნალობისათვის, გაძლიერებული კვებისათვის და სხვ.), რაც მას მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მშობლის პირველი ან მეორე ვჯუფის ინვალიდობა თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ უცილობელ საფუძველს, რომ სასამართლომ მიიღოს მხედველობაში გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემცირებისას.

გ) თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

არასრულწლოვნებს, რომლებიც მშობლისაგან ალიმენტს იღებენ, 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ უფლება აქვთ დაიწყონ მუშაობა და ჰქონდეთ ისეთი ხელფასი, რაც ზოგჯერ აჭარბებს კიდევ ალიმენტვალდებული მშობლის ხელფასის (შემოსავლის) ოდენობას. თუ სასამართლო დაადგენს, რომ არასრულწლოვანი იძულებული იყო მიეტოვებინა სკოლა და დაეწყო მუშაობა იმიტომ, რომ მშობელი თავს არიდებდა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდას, მაშინ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლოს მიერ აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც შვილის არასასურველი მატერიალური მდგომარეობა.

ჩამოთვლილ და სხვა პატივსაღებ გარემოებათა არსებობის შემთხვევებში, სასამართლოს უფლება აქვს (მაგრამ ვალდებული არ არის) შეამციროს ალიმენტის ოდენობა. ის ზღვარი, სადამდეც სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს ალიმენტი, კანონით დადგენილი არ არის. ის, თუ რა მოცულობით შეიძლება შემცირდეს იგი – უნდა გადაწყდეს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. სასამართლოს აგრეთვე უფლება აქვს, მოსარჩელე გაათავისუფლოს ალიმენტის გადახდისაგან (1237-ე მუხლი).

ზემოთ ჩამოთვლილი პირობები, რაც სასამართლოს უფლებას ანიჭებს შეამციროს გადასახდელი ალიმენტის ოდენობა, არ არის ამომწურავი და სასამართლოს კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია მხედველობაში მიიღოს ყველა მოტივი, რომელსაც იგი მიიჩნევს პატივსაღებად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საალიმენტო მოთხოვნა შვილების სასარგებლოდ შეიძლება წარედგინოს სასამართლოს იმისაგან დამოუკიდებლად, მშობლები ერთად ცხოვრობენ თუ განქორწინებული არიან.

ქორწინებაში მყოფ მეუღლეს უფლება აქვს აღძრას საალიმენტო მოთხოვნა მასთან ერთად მცხოვრები მეუღლის მიმართ ბავშვებისათვის სარჩოს მიცემის თაობაზე იმ მოტივით, რომ მეუღლე თავს არიდებს ბავშვების რჩენის მოვალეობას. როგორც წესი, ასეთ სარჩელებს სასამართლო აკმაყოფილებს. მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება: ქორწინებაში მყოფი მეუღლეები, რომლებიც ნორმალურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, ურთიერთშეთანხმებით აღძრავენ სასამართლოს წინაშე საალიმენტო მოთხოვნას ბავშვების სარჩენად ერთერთი მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების შესახებ. ასეთი სარჩელები, როგორც წესი, ნიღბავენ მეუღლეთა მისწრაფებას – მიაღწიონ იმ ალიმენტის ოდენობის შემცირებას, რომელსაც ერთერთი მეუღლე იხდის სხვა ქორწინებაში შექმნილი შვილის (ან შვილების) სასარგებლოდ. თუ მას ახალ ოჯახშიც ჰყავს ბავშვი და სასამართლო მისი რჩენისათვის მას დააკისრებს ალიმენტის გადახდას, მაშინ მან ორივე შვილის სარჩენად, კანონის თანახმად, უნდა გადაიხადოს ალიმენტი. თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ საალიმენტო მოთხოვნა აღძრულია კანონის გვერდის ავლით იმ ალიმენტის ოდენობის შემცირების მიზნით, რასაც მოპასუხე პირველ ქორწინებაში შექმნილი შვილის (შვილების) სასარგებლოდ იხდის, მან უარი უნდა თქვას ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შვილად აყვანის გაუქმების შემთხვევაში, მშვილებელსა და ნამვილებს შორის არსებული უფლება-მოვალეობანი ისპობა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს უფლება აქვს დაავალდებულოს მშვილებელი მისცეს სარჩო ნამვილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილად აყვანა გაუქმებულია მშვილებლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო (1270-ე მუხლი). ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ.

სულ სხვა შედეგებთან გვაქვს საქმე, როდესაც სასამართლო შვილად აყვანის ფაქტს ცნობს ბათილად. სასამართლოს, ამ შემთხვევაში, უფლება არა აქვს შვილად ამყვანს დააკისროს ალიმენტი ბავშვის სარჩენად.

მოქმედი კანონმდებლობით საქორწინო ასაკი დგება სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად, თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. ამ უკანასკნელზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსაღები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეუძლია გაცეცეს სასამართლომ. ასეთ შემთხვევაში ეს პირები იძენენ სრულ ქმედუნარიანობას.

ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თავისუფლდებიან თუ არა მშობლები იმ პირთა აღზრდისა და რჩენის მოვალეობისაგან, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვანებისათვის, მაგრამ კანონის ძალით დაქორწინდნენ, შექმნეს ოჯახი და ახლა უკვე თვითონ არიან მოვალენი აღზარდონ და არჩინონ თავიანთი ბავშვი (ან ბავშვები). ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი კანონით დადგენილი წესით დაქორწინდა თექვსმეტიდან თერამეტი წლის ასაკის მიღწევამდე და ამით შეიძინა ქმედუნარიანობა, არ ართმევს მას უფლებას მიიღოს დახმარება (ალიმენტი) მშობლებისაგან. არც არასრულწლოვანის ემანსიპაცია არ არის მშობლის საალიმენტო ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი მშობლებს აკისრებს მოვალეობას არჩინოს თავიანთი შვილები, ვიდრე ისინი არ მიაღწევენ სრულწლოვანებას. მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის მომენტიდან წყდება მშობლების მიერ შვილებისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა შვილი, მართალია, სრულწლოვანია, მაგრამ არაშრომისუნარიანია და არავითარი საარსებო მატერიალური წყარო არ გააჩნია, ე. ი. საოჯახო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს

მშობლების უფლებას მოითხოვონ ასეთი არასრულწლოვანი ბავშვებისათვის ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება. თუმცა აღნიშნული ფაქტი სასამართლოს მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას. თუ დაქორწინებული არასრულწლოვანი შვილები მუშაობენ და აქვთ საკმარისი ხელფასი, მაშინ გადასახდელი ალიმენტის ოდენობა შეიძლება შემცირებული იქნეს სასამართლოს მიერ.

იმ შემთხვევებში, როცა ბავშვები იზრდებიან ბებიასთან, დასთან, დეიდასთან, მამიდასთან და ა.შ. და არა მშობლებთან, მაშინ მშობლები ვალდებული არიან იხადონ ალიმენტი შვილების სარჩენად სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით.

ხშირად ბავშვები, რომელთა სარჩენადაც ხდება ალიმენტის გადახდა, იმყოფებიან სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე. საბავშვო დაწესებულებებში ბავშვების მოთავსება ხდება მშობლების მიერ თავიანთი მოვალეობების შეუსრულებლობის, მშობლების სიკვდილის ან მშობლისათვის ბავშვის ჩამორთმევის შემთხვევაში. ზოგჯერ ბავშვს საბავშვო დაწესებულებაში ათავსებენ ერთადერთი მშობლის ქრონიკული დაავადების ან იმის გამო, რომ მშობელს არ გააჩნია სახსრები მისი რჩენისათვის.

ასეთ დროს დგება საკითხი მშობლებსა (აქ ერთ-ერთი მათგანი გამოდის როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი) და საბავშვო დაწესებულებათა შორის საალიმენტო ვალდებულების შესახებ.

საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული შვილების შესანახი ხარჯები შეიძლება გადახდეს მშობლებს ამ დაწესებულების სასარგებლოდ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1216-ე მუხლი). ალიმენტის ოდენობას ამ შემთხვევაში განსაზღვრავს სასამართლო და აღნიშნული თანხები გადაირიცხება ამ დაწესებულების ანგარიშზე. ასეთ დაწესებულებაში მოთავსებულ ბავშვთა ინტერესების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, მართებულად მიგვაჩნია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ თითოეული ბავშვისათვის აწარმოოს მისთვის განკუთვ-

ნილი ალიმენტის აღრიცხვა, რათა შემდგომში, სრულწლოვანების მიღწევასთან ერთად, ბავშვებს ჰქონდეთ მინიმალური სახსრები შემდგომი (გარკვეული დროით) არსებობისათვის.

იმ ალიმენტის ოდენობა, რომელიც ვალდებულ პირს გადახდება შვილების სარჩენად მეორე მშობლის (მეურვის) სასარგებლოდ, შეიძლება სასამართლომ შეამციროს, ან მოვალე მთლიანად გაათავისუფლოს ამ სახსრების გადახდისაგან, თუ ეს ბავშვები სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე იმყოფებიან.

კანონი ამ შემთხვევაში სასამართლოს უფლებას აძლევს გადაახდევინოს მშობლებს ალიმენტი თუნდაც შემცირებული ოდენობით, თუ ამას მოითხოვს საბავშვო სპეციალურ სასწავლებლებში მოთავსებული არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესები. არ შეიძლება ალიმენტისაგან გათავისუფლდეს მშობელი იმის გამო, რომ საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვი არდადეგებს ატარებს სახლში მეორე მშობელთან, რაც გარკვეული ხარჯების გაწევასთან არის დაკავშირებული (მისთვის ტანსაცმლის შექმნა, კვება და სხვ.).

ალიმენტის გადახდის შეწყვეტა ან მისი ოდენობის შემცირება იმ მშობლის სასარგებლოდ, რომლის ბავშვიც საბავშვო დაწესებულებაშია მოთავსებული, არ ნიშნავს მშობელთა საალიმენტო ვალდებულების მოსპობას. საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული შვილების შესანახი ხარჯები გადახდება ორივე მშობელს. ამ გზით მიღებული სახსრები ხმარდება საბავშვო დაწესებულების საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

მშობლებს არ გადახდებათ ალიმენტი საბავშვო დაწესებულების სასარგებლოდ, თუ კანონით არიან გათავისუფლებული ბავშვების რჩენისათვის საჭირო გადასახადისაგან. კერძოდ, ასეთი გადასახადისაგან თავისუფლდებიან მარტოხელა დედები, რომლებმაც ბავშვები საბავშვო დაწესებულებაში მოათავსეს. სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილ განჩინებაში მიუთითა, რომ რამდენადაც შ., როგორც მარტოხელა დედა, კანონით გათავისუფლებულია შვილის

სარჩენად საბავშვო დაწესებულებაში გადასახადის შეტანისაგან, სასამართლომ დაუსაბუთებლად დააკმაყოფილა შ-ს მიმართ საბავშვო სახლის ადმინისტრაციის მიერ აღძრული სარჩელი.

მარტოხელა დედას შეიძლება დაეკისროს ალიმენტის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემდეგ ბავშვი აღსაზრდელად გადაეცემა საბავშვო დაწესებულებას ან მეურვეს.

ამასთან დაკავშირებით, მართებულად მიგვაჩნია, განვმარტოთ მარტოხელა დედის სამართლებრივი სტატუსი. მარტოხელა დედად ითვლება ქალი, რომელმაც არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადა ბავშვი, ამ ბავშვის მიმართ არ არის აღიარებული მამობა და არც სასამართლოს მიერ არის იგი დადგენილი. მარტოხელა დედა იღებს სახელმწიფო დახმარებას ბავშვის მოვლა-პატრონობისა და აღზრდისათვის.

გარდა ამისა, ალიმენტის გადახდისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის მშობლებიც, რომელთა შვილებიც მოთავსებული არიან სპეციალურ საბავშვო დაწესებულებებში ფიზიკური ან სულიერი დეფექტების გამო.

სასამართლოს, მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ისინი ამ სახსრების გადახდისაგან. ამავე დროს, არ შეიძლება ამ მოტივით გათავისუფლდნენ მშობლები საბავშვო დაწესებულების სასარგებლოდ დამატებითი ხარჯების გადახდისაგან, თუ მათი ბავშვები საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული არიან მათ მიერ მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან ამ უფლების ბოროტად გამოყენების გამო, და, პირიქით, თუ ბავშვის მოთავსება საბავშვო დაწესებულებაში გამოწვეულია მშობლის ავადმყოფობის, ბავშვის აღზრდისა და რჩენისათვის არასაკმარისი სახსრებისა და სხვათა გამო, მაშინ მიზანშეწონილი იქნება მშობელი მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი ხარჯების გადახდისაგან საბავშვო დაწესებულების სასარგებლოდ.

საბავშვო დაწესებულებიდან ბავშვის კვლავ მშობლებთან დაბრუნების შემთხვევაში, წყდება ხარჯების გადახდა ამ დაწესებულების სასარგებლოდ. მომავალში ხარჯების გადახდა განახლება იმ მშობლის სასარგებლოდ, რომელიც აღზრდის და შეინახავს ბავშვს.

ალიმენტის შემცირების ან მისი გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ მოქმედი წესები ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ალიმენტის გადახდა ხდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ალიმენტი, მისი ოდენობის ხელახლა განსაზღვრის შემთხვევაში, მოვალეს გადახდება სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან, მაგრამ თუ ახალი სააღსრულებო ფურცლის წარდგენამდე მოპასუხემ უკვე გადაიხდა ალიმენტი ადრე დადგენილი ოდენობით, მაშინ, ზედმეტი გადახდილი თანხა უკან აღარ დაბრუნდება და არც მომავალ გადასახდელში ჩაეთვლება.

ალიმენტის ოდენობის იმაზე მეტად გაზრდა, რაც დადგენილია სასამართლოს მიერ, დაუშვებელია.

მაგრამ ცხოვრებაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც მშობლების მიერ შევილების სარჩენად გადახდილი ალიმენტი, განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, საკმარისი არ არის. სწორედ ამას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლი, როდესაც ადგენს: „მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით, პროთეზირებითა და ინვალიდთათვის განკუთვნილი ავტომანქანების შეძენისათვის და სხვა)“. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში მშობლები ასრულებენ რა თავიანთ მშობლიურ მოვალეობას, ნებაყოფლობით მონაწილეობენ აუცილებელი დამატებითი ხარჯების გაღებაში, მაგრამ, თუ მშობელი ნებაყოფლობით არ მონაწილეობს მათში, მაშინ მას შეიძლება ითულებითი წესით დაეკისროს დამატებითი ხარჯების დაფარვა.

ამასთან, ამ დროს გაწეული ხარჯები არ შედის საალიმენტო ვალდებულებაში. დამატებითი ხარჯების ოდენობა განისაზღვრება მტკიცე ფულადი თანხით. აქ მხედველობაში მიიღება როგორც რეალურად აუცილებელი ხარჯები, ისე თითოეული მშობლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა.

სასამართლო უფლებამოსილია დაავალდებულოს მშობელი მონაწილეობა მიიღოს როგორც ფაქტობრივ, ისე სამომავლო ხარჯების გადახდაში.

არასრულწლოვანი ბავშვების შესანახად ალიმენტის დაკავება წარმოებს შემოსავლის ყველა სახეობასა (სარჩო, ფულადი ჯილდო) და დამატებით ჯილდოზე (ძირითადი საშუალო ადგილსა და ერთობლივი საშუაოს შესრულების შედეგად მიღებული), რომელსაც იღებენ მშობლები ფულადი თანხის სახით ან ნატურით (ეროვნული ან უცხოური ვალუტა), მათ შორის: ა) სამსახურის გაწევის ან საშუაოს შესრულების შედეგად მიღებული ანაზღაურება; ტარიფით გათვალისწინებული ფულადი თანხები; პროდუქციის რეალიზაციით მიღებული პროცენტი; ბ) ტარიფით დადგენილ თანხაზე დანამატები (საშიში პირობების მქონე საშუაოს შესრულებისათვის, ღამის საშუაოებისათვის, მიწისქვეშა საშუაოებისათვის, დროებითი შეცვლა პირის, სამეცნიერო წოდება და ხარისხი, მუშაობის სტაჟი და სხვა); გ) პრემიები (ჯილდოები), რომელსაც აქვს რეგულარული ან პერიოდული ხასიათი; დ) ზეგანაკვეთური საშუაოების შესრულებისათვის მიღებული თანხები (ან მუშაობისათვის დასვენებისა და დღესასწაულების დღეებში); ე) ხელფასი, რომელიც პირს უნარჩუნდება შვილების დროსაც, ასევე ფულადი კომპენსაცია იმისათვის, რომ პირს არ უსარგებლია შვილებით რამდენიმე წლის განმავლობაში; ვ) ხელფასზე დანამატები; ზ) საშუალო ხელფასის ოდენობის თანხა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებისას; თ) საშუაოს მიძღვრის მიერ დადგენილი დამატებითი ფულადი თანხები; ი) კვებისათვის საჭირო ფულადი თანხები; კ) სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობისათვის საჭირო ფულადი თანხები; ლ) საკომისიო ანაზღაურება (კომისია); მ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუაოს შეს-

რულებისათვის მიღებული თანხები; ნ) საავტორო ჰონორარები, რაც აგრეთვე გაცემა ჟურნალისტებზე, კორესპონდენტებზე და ა.შ; ო) საარჩევნო კომისიის წევრობისათვის მიღებული თანხები.

ალიმენტის დაკავება ხდება აგრეთვე: ა) ყველა სახეობის პენსიებიდან და კომპენსაციებიდან; ბ) სტიპენდიებიდან; გ) დახმარებებიდან (ორსულობის ან უმუშევრობის გამო); დ) პირის სამსახურიდან დათხოვნისას ერთჯერადი განაცემიდან; ე) ფიზიკურ პირთა შემოსავლებიდან; ვ) სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; ზ) ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლიდან; თ) აქტივიდან მიღებული შემოსავლებიდან; ი) მატერიალური დახმარებიდან.

არ შეიძლება ალიმენტის დაკავება შემდეგი შემოსავლებიდან: ა) პენსიონრებისათვის დანიშნული პენსიის დანამატებიდან, ასევე იმ კომპენსაციიდან, რომელსაც იღებს პირი პენსიონრის მოვლისათვის; ბ) ჯანმრთელობის დაზიანების გამო (შრომითი მოვალეობის შესრულებისას) მიღებული თანხები (სამედიცინო ხარჯებისათვის შრომისუნარიანობის აღსადგენად); გ) სტიქიური უბედურების შედეგად მოქალაქეებზე გაცემული მატერიალური დახმარებიდან და სხვ.

იმ პირებს, რომლებიც საქმიანობენ საზღვარგარეთ, ალიმენტი დაუკავდებათ ყველანაირი შემოსავლიდან (მიღებული ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაში).

იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან კოლონიებში, ციხეებში, აღმზრდელი კოლონიებში, ფსიქიატრიულ დისპანსერებში ან სტაციონარებში ალიმენტი დაუკავდებათ ხელფასიდან.

სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს მტკიცე თანხა ალიმენტის სახით, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:

ა) თუ მშობელს გააჩნია რეგულარული ხელფასი ან სხვა შემოსავალი;

ბ) თუ მშობელი იღებს ხელფასს ან სხვა შემოსავალს ნატურით (მთლიანად ან ნაწილობრივ);

გ) თუ მშობელი იღებს ხელფასს ან სხვა შემოსავალს;

დ) თუ მშობელს არ გააჩნია ხელფასი ან სხვა შემოსავალი.

ასეთ შემთხვევაში, ალიმენტის გადახდევინება წარმოებს მშობლის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის საშუალებით. ამასთან, აუცილებლად უნდა იქნეს დადგენილი (ალიმენტი) განსაზღვრული თანხა.

ე) ალიმენტის გადახდევინება მშობლის ხელფასზე ან სხვა შემოსავლებზე შეუძლებელია, გართულებულია ანდა ამით შეილახება ერთ-ერთი მხარის ინტერესები.

შვილების სასარგებლოდ ალიმენტი გადახდებთ მშობლებს, ვიდრე ბავშვები სრულწლოვანები არ გახდებიან. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შვილები კარგავენ უფლებას მიიღონ ალიმენტი მშობლებისაგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ მუშაობენ, ან სწავლობენ და არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები.

სრულწლოვან შვილებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, მაგრამ შრომისუნარიანი არიან, უფლება არა აქვთ მოითხოვონ მშობლებისაგან ალიმენტის გადახდა; მათ ამის უფლება არა აქვთ მაშინაც, როდესაც ისინი, მართალია, შრომისუუნარონი არიან, მაგრამ დახმარებას არ საჭიროებენ.

სრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ორი იურიდიული ფაქტის ერთობლიობა: სრულწლოვანი შვილის შრომისუუნარობა და ის, რომ იგი საჭიროებს დახმარებას. სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, მშობლებს ალიმენტი გადახდებთ სრულწლოვანი შვილის შრომისუნარიანობის აღდგენამდე, ხოლო თუ შვილი ინვალიდი დარჩება, მაშინ – სამუდამოდ. საკითხს იმის შესახებ, სრულწლოვანი შვილი საჭიროებს თუ არა მატერიალურ დახმარებას, წყვეტს სასამართლო კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

ისეთ პირად, რომელიც დახმარებას საჭიროებს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილი (ინვალიდობის ჯგუფის მიუხედავად) მაშინაც კი, თუ იგი იღებს ხელფასს, პენსიას ან სტიპენ-

დიას, უკეთუ სასამართლო ადგენს, რომ ეს სახსრები საკმარისი არ არის.

მშობელთა საალიმენტო ვალდებულება დამოკიდებული არ არის შრომისუუნარობის ან დახმარების საჭიროების დადგომის დროზე, ე.ი. იმაზე, ამას ადგილი ექნება სრულწლოვანების მიღწევამდე თუ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილის რჩენა, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ორივე მშობლის თანაბარი მოვალეობაა, მაგრამ სასამართლოს, თითოეული მშობლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია დაადგინოს გადასახდელი ალიმენტის განსხვავებული ოდენობა. მშობლებს ალიმენტი გადახდებათ შემოსავლიდან ყოველთვიურად მტკიცე თანხის სახით, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო.

სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, გადასახდელი ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს შვილებისა და მშობლების მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მხედველობაში უნდა ჰქონდეს სრულწლოვანი შვილების მიერ პენსიის მიღების შესაძლებლობა შრომისუუნარობის გამო, აგრეთვე მეუღლეებისა და სრულწლოვანი შვილებისაგან, რომელთაც მათი რჩენა ევალებათ.

მშობლების ან შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლა წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის გაზრდის ან შემცირების შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველს. მოსარჩელე, აღნიშნული საკითხის დაყენებისას ვალდებულია მიუთითოს იმ გარემოებებზე, რაც საფუძველად უნდა დაედოს ალიმენტის ოდენობის შეცვლას. სარჩელი აღნიშნულის თაობაზე შეაქვს ალიმენტის გადამხდელ მშობელს. ალიმენტის ოდენობის შეცვლის მოტივები წინასწარ დადგენილი წესით არ არის განსაზღვრული და იგი დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაზე.

სასამართლოს მხარეთა მატერიალური და ოჯახური პირობების

გათვალისწინებით შეუძლია შეამციროს ან გააღიღოს ალიმენტის ოდენობა, ხოლო თუ მოისპო ის პირობები, რაც საფუძვლად დაედო ალიმენტის დაკისრებას, მაგალითად, შვილებისათვის საკმარისი სახსრების არსებობა, რაც მათთვის მატერიალურ დახმარებას ზედმეტს ხდის, შრომისუნარიანობის აღდგენა და სხვ., მაშინ სასამართლოს შეუძლია მთლიანად გაათავისუფლოს მშობლები ალიმენტის გადახდისაგან.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი, თავისუფლებიან თუ არა მშობლები ალიმენტის გადახდისაგან იმ შემთხვევაში, თუ მათი სრულწლოვანი შვილი მძიმე დაავადების გამო ინვალიდთა სახლშია მოთავსებული?

ასეთი საკითხის განხილვისას სასამართლო უნდა გამოდიოდეს იქიდან, რომ შვილების ინვალიდთა სახლში მოთავსების ფაქტი არ ათავისუფლებს მშობლებს ალიმენტის გადახდის მოვალეობისაგან.

საალიმენტო ვალდებულებათა შესახებ საქმეთა განხილვის დროს ყოველთვის როდია შესაძლებელი საბოლოო გადაწყვეტილების დროულად მიღება (იგულისხმება ერთ-ერთი მხარის ავადმყოფობა, მივლინებაში ყოფნა, მოწმის გამოუცხადებლობა, დამატებითი დამატკიცებელი საბუთების შეკრების აუცილებლობა და სხვ.).

არის გარემოებანი, რომელთა გათვალისწინებითაც სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ განიხილოს საკითხი ბავშვის შესანახი სარჩოს გადახდევინების შესახებ, რადგანაც საქმის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ვადები და ხშირ შემთხვევაში მათი გაჭიანურება უარყოფითად მოქმედებს იმ შედეგებზე, რასაც ბავშვის აღზრდისა და რჩენის მოვალეობა ისახავს მიზნად.

სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებითად განხილვამდე და მასზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გამოიტანოს განჩინება შვილის შესანახი სარჩოს გადახდევინების შესახებ. ამ დროს გადასახდელი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე ფულადი თანხით.

სხვა გარემოებათა არსებობისას ზემოაღნიშნული წესების გამოყ-

ენება სასამართლოს მიერ დაუშვებელია. მაგალითად, არ დაიშვება ალიმენტის წინასწარი ან დროებითი გადახდევინების შესახებ განჩინების გამოტანა, თუ მასთან ერთად სასამართლოს განჩილების საგანს წარმოადგენს მამობის დადგენა.

ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ ფულადი თანხით, საქმის არსებითად განჩილების დასასრულამდე პერიოდის გათვალისწინებით.

თუ შემდგომში სარჩელი ალიმენტის გადახდის შესახებ დაკმაყოფილებული არ იქნება ან სასამართლო შეამცირებს ალიმენტის ოდენობას, მაშინ ზედმეტი გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. მაგრამ, თუ ალიმენტი დაკისრებულია უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე ეს წინასწარ იყო გადახდილი, მაშინ განსხვავება უნდა დაიფაროს. ეს წესი გამოძღინარეობს მოთხოვნიდან იმის შესახებ, რომ ალიმენტის დარიცხვა წარმოებს სარჩელის წარდგენის მომენტიდან.

საქმის არსებითად განჩილებამდე განჩინების გამოტანა, შვილის შესანახი სახსრების გადახდევინების შესახებ, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ მშობელთა ქორწინება რეგისტრირებულია დადგენილი წესით ან მოპასუხის მამობა დადგენილია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საალიმენტო მოთხოვნას სასამართლოში, როგორც წესი, წარადგენენ თვითონ სრულწლოვანი შრომისუუნარო, მაგრამ ქმედუნარიანი შვილები და არა მათი მშობლები.

§3 შვილების მიერ მშობლების რჩენის მოვალეობა

კანონი ითვალისწინებს არა მარტო მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობას, არამედ, კაცთმოყვარეობის პრინციპიდან გამომდინარე, იგი სრულწლოვან შრომისუუნარიან შვილებს ავალდებულებს არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ და იზრუნონ მათზე, რაც ნიშნავს, მათ უზრუნველყოფას მოხუ-

ცებულობის ჟამს დახმარებებითა და პენსიით, სამედიცინო მომსახურებით.

შვილების ასეთი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც მშობელს, კანონის თანახმად, არა აქვს პენსიის მიღების უფლება ან მისი ოდენობა არასაკმარისია.

ოჯახში, როგორც წესი, სრულწლოვანი შვილები არჩენენ მშობლებს და ზრუნავენ მათზე ყოველგვარი იძულების გარეშე, მაგრამ თუ მაინც არიან ისეთი შვილები, რომლებიც უარს ამბობენ აღმოუჩინონ თავიანთ მშობლებს მატერიალური დახმარება, მაშინ კანონის საფუძველზე მათ შეიძლება დაეკისროთ ასეთი დახმარების აღმოჩენა იძულებითი წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის თანახმად, სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, აგრეთვე იზრუნონ მათზე.

შვილების საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა სრულწლოვანების, ე.ი. 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ (იმ შემთხვევების გარდა, როცა სრულწლოვანი პირი შრომისუნაროა), ვინაიდან ამ ასაკის მიღწევამდე მათ თვითონ აქვთ უფლება მიიღონ ალიმენტი მშობლებისაგან. არასრულწლოვანი შვილის მიერ დამოუკიდებელი ხელფასის (შემოსავლის) ქონა არ არის საფუძველი იმისათვის, რომ მას გადახდეს ალიმენტი მშობლების სარჩენად, ისევე როგორც სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილის უსახსრობა არ ათავისუფლებს მას მშობლების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის მოვალეობისაგან (მაგალითად, გათხოვილ ქალიშვილს, რომელსაც არა აქვს დამოუკიდებელი ხელფასი, შემოსავალი, შეიძლება დაეკისროს მშობლების რჩენის მოვალეობა სათანადო წესების დაცვით).

მშობლებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ ალიმენტი იმ შვილებისაგან, რომლებიც გაშვილებული არიან სხვა პირებზე, რამდენადაც შვილად აყვანილი პირი კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება თავისი მშობლებისა და ნათესავების მიმართ ვალდებულებებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაშვილებს სასა-

მართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ერთ-ერთ მშობელთან შენარჩუნებული აქვს სამართლებრივი ურთიერთობა.

ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, რომ შვილებს დაეკისროს მშობელთა რჩენის მოვალეობა არის ის, რომ მშობელი იყოს შრომისუნარი და საჭიროებდეს მატერიალურ დახმარებას (იმაზე, თუ ვინ ითვლება შრომისუნარო პირად, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი). ზემოაღნიშნული ერთ-ერთი პირობის არარსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება დაისვას საკითხი შვილების მიერ მშობლების რჩენის მოვალეობის შესახებ.

მშობლების მიერ სრულწლოვანი შვილებისაგან ალიმენტის მიღების უფლება არ უკავშირდება იმას, თუ რამდენი წლის განმავლობაში ზრდიდნენ ისინი თავიანთ შვილებს, ან რამდენ ხანს ცხოვრობდნენ მათთან ერთად. აქ მნიშვნელობა აქვს არა დროს, რომლის განმავლობაშიც შვილები მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ, არამედ იმას – მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას თუ არა.

შრომისუნარო მშობლის რჩენის მოვალეობა თანაბრად შეეხება ყველა სრულწლოვან შრომისუნარიან შვილს, ოღონდ თითოეული მათგანი მონაწილეობს მშობლების რჩენის მოვალეობაში მხოლოდ იმ ოდენობით, რაც მის მიმართ არის დადგენილი სასამართლოს მიერ. ამიტომ, თუ შრომისუნარო მშობელი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ამა თუ იმ მოსაზრების გამო უარს იტყვის მიიღოს ალიმენტი რომელიმე სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილისაგან, მაშინ სასამართლო გამოარკვევს, თუ რა საერთო თანხა ერგება მას ყველა სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილისაგან და გამოიტანს გადაწყვეტილებას მშობლებისათვის სარჩოს მიკუთვნების შესახებ იმ წილის გამოკლებით, რომელიც ერგებოდა მას იმ სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილისაგან, ვის მიმართაც მან უარი განაცხადა ალიმენტის მიღებაზე (მუხლი 1219-ე). თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუნარო მშობლების რჩენაში, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხ-

ის (და არა წილის) სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ დროს მხედველობაში მიიღება მშობლების შრომისუნარობისა და მათთვის დახმარების საჭიროების ხარისხი, აგრეთვე ის დამატებითი ხარჯები, რაც მათი მოვლისათვის უნდა მიეცეს სხვა პირს. მშობლების ან შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის ან მშობლების შრომისუნარიანობის აღდგენის შემთხვევაში, სასამართლო უფლება აქვს დაინტერესებული პირის მოთხოვნით შეამციროს ან გაზარდოს ალიმენტის ოდენობა.

არ შეიძლება შვილებს მორიგეობით დაეკისროთ მშობლების რჩენის მოვალეობა განსაზღვრული დროის განმავლობაში. აღნიშნული მოვალეობის გადასვლა ერთ-ერთი შვილიდან მეორეზე შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმების და არა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მშობლის უფლება მოითხოვოს ალიმენტი თავისი სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილისაგან, შეზღუდული არ არის დროით. იგი სამისდღემშო ხასიათს ატარებს და შეწყდება იმ პირობების შეცვლისას, რაც მისთვის ალიმენტის დანიშვნის საფუძველი გახდა (მაგალითად, შრომისუნარიანობის აღდგენა, მშობელთა ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესება და სხვა), აგრეთვე იმ მშობლის ან შვილის სიკვდილის შემთხვევაში, რომლის სარჩენადაც ხდებოდა ალიმენტის გადახდა, ანდა რომელიც მოვალე იყო ერჩინა თავისი მშობლები.

შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავის დროზე თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას (1218-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მშობლის მოვალეობის შესრულებაზე თავის არიდება გულისხმობს მშობლების მხრივ განზრახ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (უმოქმედობას), როდესაც ისინი შეგნებულად არიდებდნენ თავს მიეღოთ მონაწილეობა იმ ბავშვის აღზრდასა და რჩენაში, რომელიც მათგან დახმარე-

ბას მოითხოვდა. პრაქტიკაში ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ღრმად მოხუცი მშობელი, რომელმაც ერთ დროს ბედის ანაბარად მიატოვა შვილები, სასამართლოში სრულწლოვანი შვილებისაგან მოითხოვს ალიმენტის დანიშვნას. ამასთან, მოთხოვნა მისთვის ალიმენტის დანიშვნის შესახებ, როგორც წესი, მოტივირებულია მისი ხანდაზმულობით, ხელმოკლეობითა და მისადმი შვილების უსულგულო დამოკიდებულებით. მშობლები ამგვარ მოთხოვნას სასამართლოები, როგორც წესი, არ აკმაყოფილებენ.

სასამართლო პრაქტიკამ ვერ გამოიმუშავა ერთიანი კრიტერიუმი იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა მშობლის მოვალეობის შესრულებაზე თავის არიდებას მარტოხელა დედის მიერ შვილის საბავშვო დაწესებულებაში მოთავსება.

რა თქმა უნდა, შვილის საბავშვო დაწესებულებაში მოთავსება თავისთავად მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არ არის, მაგრამ დედა არც ამ შემთხვევაში თავისუფლდება მოვალეობისაგან გამოიჩინოს ზრუნვა და ყურადღება ბავშვისადმი. ამიტომ სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას მშობელს მისთვის ალიმენტის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ეს მშობელი ბავშვის არასრულწლოვანების პერიოდში შეგნებულად არიდებდა თავს მშობლის მოვალეობის შესრულებას. მაგალითად, სასამართლომ განიხილა ზ-ს სარჩელი მისი სრულწლოვანი შვილის კ-ს მიმართ ალიმენტის დანიშვნის შესახებ. კერძოდ, ზ-მ, როგორც მარტოხელა დედა, თავისი შვილი აღსაზრდელად ჩააბარა ბავშვთა დაწესებულებაში. ზ. გათხოვდა და სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. 20 წლის შემდეგ ზ. განქორწინდა და დაბრუნდა იმ შვილის საცხოვრებელ ადგილზე, ვისგანაც ალიმენტი მოითხოვა. კ-მ უარი განაცხადა ნებაყოფლობით ეძლია სარჩო დედისათვის იმ მოტივით, რომ მისი არასრულწლოვანების პერიოდში ზ-ს არ გამოუჩენია ზრუნვა მისადმი და მან მისი აღზრდა მთლიანად საბავშვო დაწესებულებას მიანდო.

საქმის განხილვის პროცესში სასამართლომ დაადგინა, რომ ზ.

საბავშვო სახლში მისი შვილის კ-ს ყოფნის პერიოდში ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა მას. როგორც წესი, თვეში ორჯერ მიდიოდა მასთან სანახადად, მიჰქონდა სათამაშოები, ტანსაცმელი და სხვა საბავშვო ნივთები. გარდა ამისა, სასამართლომ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში მიუთითა ისიც, რომ გათხოვება და საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მშობლის მოვალეობის შესრულებისათვის თავის არიდებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით სასამართლომ დააკმაყოფილა ზ-ს სარჩელი.

არსებული წესი, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას მშობელს საალიმენტო სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ იგი თავს არიდებდა მშობლის მოვალეობის შესრულებას, ხაზს უსვამს საალიმენტო ვალდებულების აღზრდებლობით მნიშვნელობას, ხელს უწყობს მშობელთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მიმართ, აგრეთვე იმას, რომ აღიკვეთოს იმ მშობელთა მხრივ უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც ფაქტობრივად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, ხოლო მოხუცებულობის ჟამს, როდესაც შრომისუუნარონი ხდებიან და დახმარებას საჭიროებენ, როგორც მშობლები მოითხოვენ სარჩოს თავიანთი შვილებისაგან.

იმის უცილობელ საფუძველს, რომ სრულწლოვანი შრომისუუნარიანი შვილები გათავისუფლდნენ მშობლის რჩენის მოვალეობისაგან, მათ შორის ალიმენტის გადახდისაგან, წარმოადგენს მშობლის უფლების ჩამორთმევა.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დგება პრობლემა – წარმოადგენს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებით მშობლის მიერ შვილებისათვის ალიმენტის გადახდა იმის დამადასტურებელ ფაქტს, რომ იგი თავს არიდებდა მშობლის მოვალეობის შესრულებას?

მოგვაქვს მაგალითი:

... ვინმე ბ-მ მიმართა სასამართლოს სარჩელით შვილისაგან სარჩოს მიღების თაობაზე.

სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო ზემდგომმა საკასაციო ინსტანციამ სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

სასამართლომ გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ მოსარჩელე ბოროტად არიდებდა თავს ალიმენტის გადახდას თავისი შვილის ი-ს სასარგებლოდ, როდესაც იგი არასრულწლოვანი იყო. ამასთანავე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტიც, რომ ბ. ალიმენტს იხდიდა თავისი შვილის სარჩენად იძულებითი წესით, ე.ი. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემდგომში უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება და გამოტანილ დადგენილებაში, ჩვენი აზრით, სამართლიანად აღნიშნა, რომ წარსულში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბავშვების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის ფაქტი თავისთავად ჯერ კიდევ არ ადასტურებს მშობლების მიერ მოვალეობის შესრულებაზე თავის არიდებას და არ წარმოადგენს საფუძველს, რათა მშობლებს უარი ეთქვას შვილებისაგან სარჩოს მიღების მოთხოვნაზე.

აღიარებს რა სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილების მოვალეობას, არჩინონ შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, კანონი ამ მოვალეობის რეალურად განხორციელების გარანტიასაც იძლევა.

როგორც უკვე აღენიშნეთ, კანონი არა მარტო იმას ავალებს შვილებს, რომ არჩინონ თავიანთი მშობლები, არამედ იმასაც, რომ იზრუნონ მათზე.

სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილების მიერ მშობლების მიმართ საალიმენტო ვალდებულების არსებობა არ გამორიცხავს მათ მიერ იმ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღებას, რაც აუცილებელია მათი (მშობლების) ნორმალური ყოფისათვის (მაგალითად, წამლების შექენისათვის, ინვალიდობის შემთხვევაში გადაადგილების საშუალებათა შექენაში, აუცილებლობის შემთხვევაში, სამკურნალო

დაწესებულებებსა და დასასვენებელ სახლებში განთავსებისათვის, დასვენებისათვის და ა.შ.).

თუ სრულწლოვანი შრომისუნარიანი შეილება ნებაყოფლობით არ ასრულებენ ამ მოვალეობას, სასამართლო უფლებამოსილია მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (მეურვე, მზრუნველი) სარჩელის საფუძველზე, დააკისროს მათ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღება როგორც ფულადი სახით, ისე სხვაგვარი ფორმით.

ზრუნვა მშობლებზე შეილების მოვალეობაა და დამოკიდებული არ არის იმაზე, არსებობს თუ არა მათ შორის საალიმენტო ვალდებულება. შეილებისათვის მოვალეობის დაკისრებას, იზრუნონ მშობლებზე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როდესაც მშობელი მატერიალურად უზრუნველყოფილია, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს არამატერიალური ხასიათის დახმარებას – მეთვალყურეობას, დახმარებას მეურნეობის გაძლოლაში, საავადმყოფოში მოთავსების დროს და ა.შ.

კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს სანქციას მშობლებისათვის ზრუნვის მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მაგრამ სასამართლოები ამ გარემოებას მხედველობაში იღებენ საქმეთა განხილვის დროს.

გარდა ამისა, შეილების მიერ მშობლებზე ზრუნვის მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მათთვის ისეთი სახსრების დაკისრება, რაც აუცილებელია შრომისუნარო მშობლის მიერ მომვლელი პირის დაქირავებისა და ღრმად მოხუცებულთათვის განკუთვნილ სახლებში მოთავსებისათვის.

მშობლებს, შვილებსა და მეუღლეებს მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ყოველთვის როდი შეუძლიათ აღმოუჩინონ ერთმანეთს მატერიალური დახმარება. აქედან გამომდინარე, საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს ოჯახის სხვა წევრთა ურთიერთმოვალეობას – აღმოუჩინონ მატერიალური დახმარება ერთმანეთს. ოჯახის სხვა წევრებში იგულისხმებიან დები და ძმები, შვილიშვილები, პაპები, ბებიები, მამინაცვალი და დედინაცვალი, გერები, ფაქტობრივი აღმზრდელები და აღსაზრდელები.

დასახელებულ პირთა ჩამონათვალი ამომწურავია და არ ექვემდებარება შემდგომ გაფართოებას.

ოჯახის სხვა წევრთა საალიმენტო ვალდებულება ამ შემთხვევაში ატარებს დამატებითი (სუბსიდიური) მატერიალური უზრუნველყოფის ხასიათს ოჯახის არასრულწლოვანი ბავშვებისა და იმ სრულწლოვანი შრომისუუნარო წევრების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. იგი წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ მათ არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან, შვილებისაგან ან მეუღლისაგან.

მამინაცვალსა და დედინაცვალს, აგრეთვე ფაქტობრივ აღმზრდელს გერებისა და აღსაზრდელების მიმართ საალიმენტო ვალდებულება დაეკისრებათ მშობლების შემდეგ დამოუკიდებლად იმისა, ჰყავთ თუ არა მათ მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახის წევრები და ნათესავები, რომელთაც საკმარისი სახსრები გააჩნიათ მათთვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

ოჯახის სხვა წევრებს – ძმას, დას, პაპასა და ბებიას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრებათ საალიმენტო მოვალეობა, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო მშობლებისაგან, შვილებისაგან, მეუღლისაგან, აგრეთვე მამინაცვლის, დედინაცვლისა და ფაქტობრივი აღმზრდელისაგან.

იმისათვის, რომ ძმას, დას, დედინაცვალს, მამინაცვალს, ბებიას ან პაპას დაეკისროთ საალიმენტო ვალდებულება, აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ საკმაო სახსრები.

არ შეიძლება მამინაცვალსა და დედინაცვალს, ძმასა და დას, ბებიასა და პაპას, აგრეთვე ფაქტობრივ აღმზრდელს გადახდეთ საბავშვო დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების შესანახი ხარჯები. ასეთი ხარჯები საბავშვო დაწესებულებათა სასარგებლოდ გადახდებთ მხოლოდ მშობლებს.

ალიმენტი მამინაცვალს, დედინაცვალს, გერს, პაპას, ბებიას, ძმებსა და დებს, ფაქტობრივ აღმზრდელსა და აღსაზრდელს გადახდებთ მტკიცე თანხის სახით. გადასახდელი ალიმენტის ოდენობას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიური გადასახდელის სახით, ალიმენტის გადამხდელისა და მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

იმ პირს, რომელიც მოვალეა არჩინოს არასრულწლოვანი შვილები და ოჯახის ის სრულწლოვანი შრომისუუნარო წევრები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, უფლება აქვს ალიმენტი ნებაყოფლობითი წესით გადაიხადოს. იმ შემთხვევაში, თუ იგი თავს არიდებს ამ მოვალეობას, მას ალიმენტი გადახდება სასამართლო წესით.

საალიმენტო ურთიერთობის მონაწილეთა ოჯახური და მატერიალური მდგომარეობის შეცვლისას, თითოეულს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ალიმენტის ოდენობის შემცირების ან გადიდების შესახებ.

სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტის გადახდევინებისაგან გაათავისუფლოს ვალდებული პირი, თუ მოიხსნება ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ალიმენტის დანიშვნას. ასე მაგალითად, თუ შრომისუუნარო პაპა აღარ საჭიროებს მატერიალურ დახმარებას (პენსიის მომატების, ლატარეის ბილეთით დიდი მოგების, მემკვიდრეობის მიღებისა და სხვა გარემოების გამო), ალიმენტის გადამხდელ შვილიშვილს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თხოვნით, აღი-

მენტის შემდგომი გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

საოჯახო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას საალიმენტო ვალდებულების შესრულებისას. ამიტომ თუ ოჯახის წევრის რჩენა ერთდროულად რამდენიმე პირის მოვალეობაა, სასამართლო, მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს თითოეულის წილის ოდენობას ამ მოვალეობის შესრულებაში. ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელ ყველა პირს, იმისდა მიუხედავად, ალიმენტს სთხოვენ ყველა ამ პირს, თუ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანს. მაგალითად, შრომისუუნარო პაპამ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, წარადგინა სარჩელი ორიდან ერთ-ერთი შვილიშვილის მიმართ, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს. სასამართლომ უნდა დაადგინოს გადასახდელი ალიმენტის ოდენობა მეორე შვილიშვილის გათვალისწინებით, რომელიც აგრეთვე მოვალეა გადაუხადოს პაპას ალიმენტი.

ა) დისა და ძმის საალიმენტო მოვალეობანი

ღები და ძმები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ღები და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან.

ადრე მოქმედი საოჯახო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ასეთი მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი ღებისა და ძმების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან. ამასთან, მათ ეს უფლება აქვთ ყოველთვის, მიუხედავად იმისა, როდის გახდნენ შრომისუუნარონი (რის გამოც დახმარებას საჭიროებენ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე თუ მისი შემოღების შემდეგ.

ალიმენტის მოთხოვნის უფლება აქვთ (თუ არსებობს საამისოდ ყველა პირობა) როგორც ლეიძლ ღებსა და ძმებს, ე.ი. მათ, რომელთაც

საერთო მამა და დედა ჰყავთ, ისევე არადვილდ დებსა და ძმებსაც, ანუ რომელთაც ან მხოლოდ მამა ჰყავთ საერთო ან მხოლოდ დედა. გერებს, რომლებსაც არ ჰყავთ საერთო მშობლები (მაგალითად, ქმრის შვილს წინა ქორწინებიდან და ცოლის შვილს ასევე წინა ქორწინებიდან) არ ეკისრებათ ერთმანეთის მიმართ არავითარი უფლებამოვალეობა, მათ შორის არც საალიმენტო.

დებისა და ძმების საალიმენტო მოვალეობა წარმოიშობა მაშინ, თუ: ა) მათ აქვთ საკმაო სახსრები, რათა არჩინონ თავისი არასრულწლოვანი დები და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ; ბ) არასრულწლოვან დებსა და ძმებს არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო მშობლებისაგან; გ) სრულწლოვან შრომისუუნარო დებსა და ძმებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

დებისა და ძმების საალიმენტო ვალდებულებას საფუძვლად უდევს სისხლით ნათესაობა. იგი თვით ამ ფაქტის ძალით წარმოიშობა. ამიტომ ამ დროს საკითხი იმის შესახებ, მიიღო თუ არა ძმამ ან დამ, რომელსაც მატერიალური დახმარება სჭირდება, მონაწილეობა თავისი იმ ძმებისა ან დების აღზრდასა და რჩენაში, რომელთაგანაც ახლა ალიმენტს ითხოვს, არ დგება.

არ შეიძლება დებს ან ძმებს გადახდეთ საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული თავიანთი არასრულწლოვანი დების ან ძმების შესანახი ხარჯები. ასეთ დროს ხარჯები საბავშვო დაწესებულებათა სასარგებლოდ გადახდებამ მხოლოდ მშობლებს.

ბ) პაპის, ბებუისა და შვილიშვილების საალიმენტო მოვალეობანი

განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში, არასრულწლოვან შვილიშვილებს, აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვან შვილიშვილებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, უფლება აქვთ მოითხოვონ ალიმენტი პაპისა და ბებუისაგან.

პაპისა და ბებიის მოვალეობა, არჩინონ არასრულწლოვანი შვილი-შვილი, რომელსაც დახმარება სჭირდება, წარმოიშობა მაშინ, თუ: ა) პაპისა და ბებიას საკმაო სახსრები აქვთ; ბ) შვილიშვილს არ შეუძლია სარჩო მიიღოს მშობლებისაგან (მათი სიკვდილის, სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების გამო, სასამართლოს წესით გარდაცვლილად გამოცხადების გამო, იმის გამო რომ მათი ადგილსამყოფელი უცნობია) და ა.შ.

პაპისა და ბებიისაგან ალიმენტის მიღების უფლება განსაზღვრულ პირობებში აქვთ აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვან შვილიშვილებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ისინი ამ დახმარებას მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ ანალოგიური დახმარება თავისი მშობლების, მეუღლეებისა ან შვილებისაგან, ხოლო პაპისა და ბებიას აქვთ საკმაო სახსრები.

როგორც მამის მხრივ, ისე დედის მხრივ პაპისა და ბებიას ეკისრებათ შვილიშვილების რჩენის მოვალეობა. ამ დროს საკითხს, თუ რომელ პაპს ან ბებიას უნდა გადახდეს ალიმენტი შვილიშვილების სარჩენად, წყვეტს სასამართლო თითოეული საქმის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე (პაპისა და ბებიის საცხოვრებელი ადგილი, მათი მატერიალური მდგომარეობა და სხვ.).

დაუშვებელია პაპისა და ბებიას გადახდეთ საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვების შესანახი ხარჯები. ამ შემთხვევაშიც ხარჯები საბავშვო დაწესებულებათა სასარგებლოდ გადახდებთ მხოლოდ მშობლებს.

საოჯახო კანონმდებლობა, თავის მხრივ, შვილიშვილებსაც ავალდებულებს არჩინონ თავიანთი პაპები და ბებიები. ასეთი ვალდებულება დგება მაშინ, თუ: ა) შვილიშვილს აქვს საკმაო სახსრები; ბ) პაპა და ბებია შრომისუუნარონი არიან და საჭიროებენ მატერიალურ დახმარებას; გ) მათ არ შეუძლიათ მიიღონ დახმარება თავიანთი შვილებისაგან ან ერთმანეთისაგან.

ასეთ დროს საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძვე-

ლია შთამომავლობითი ნათესაობა შვილიშვილებსა და პაპა-ბებიას შორის.

პაპებისა და ბებიების რჩენის ვალდებულება ვრცელდება არა ერთი რომელიმე კონკრეტული, საკმაო სახსრების მქონე შვილიშვილის მიმართ, არამედ ყველას მიმართ ერთდროულად, რომელთაც საკმაო სახსრები გააჩნიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც არ უნდა მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს ერთ-ერთი შვილიშვილი, არ შეიძლება მხოლოდ მას დააკისროს სასამართლომ პაპის ან ბებიის რჩენის ვალდებულება. სასამართლოს მიერ განსაზღვრული სარჩოს ოდენობა პროპორციულად ნაწილდება საკმაო სახსრების მქონე შვილიშვილების რაოდენობაზე და მასაც, ვის მიმართაც პაპამ ან ბებამ აღძრა რჩენის ვალდებულების შესახებ სარჩელი, დაეკისრება მხოლოდ მისი პროპორციული წილის შესაბამისი ფულადი თანხა.

გ) მამინაცვლის, დედინაცვლისა და გერის ურთიერთრჩენის მოვალეობანი

მამინაცვალს, დედინაცვალსა და გერს შორის საალიმენტო ვალდებულება ყველაზე ხშირად წარმოიშობა მამინ, როდესაც ქვრივი ან განქორწინებული ქალი მეორედ თხოვდება და ბავშვებიც თან მიჰყავს მეორე ქმრის ოჯახში. ამ შემთხვევაში ქმარი წარმოადგენს მამინაცვალს თავისი ცოლის ბავშვებისათვის, ხოლო ბავშვები დედის მეორე ქმრისათვის გერები არიან. სხვა შემთხვევაში, როდესაც ქვრივ ან განქორწინებულ მამას მოჰყავს მეორე ცოლი, მამინ ეს უკანასკნელი მათთვის იქნება დედინაცვალი, ხოლო ბავშვები – გერები.

იმისათვის, რომ წარმოიშეას მამინაცვლისა და დედინაცვლის მიერ გერების რჩენის მოვალეობა, აუცილებელია არსებობდეს ორი პირობა, კერძოდ, მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და შრომისუნარიო გერი, რომელსაც დახმარება სჭირდება, იმ შემთხვევაში, თუ: 1. გერი იმყოფება მათთან აღსაზრდელად

ან სარჩენად და 2. გერს არ ჰყავს მშობლები ან მათგან არ შეუძლია მიიღოს სარჩენი სახსრები. გერს რომ ჰყავდეს თუნდაც ერთი მშობელი, რომელსაც შეუძლია სარჩო მიაწოდოს შვილს, მაშინ მამინაცვალი ან დედინაცვალი თავისუფლდება საალიმენტო ვალდებულებისაგან. აქედან გამომდინარე, მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო ვალდებულებას აქვს დამატებითი ხასიათი. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ ბავშვებს არ ჰყავთ მშობლები ან მათგან არ შეუძლიათ მიიღონ სარჩენი სახსრები. მამინაცვლის ან დედინაცვლის მოვალეობა, არჩინონ თავიანთი გერები, ძალაში რჩება ამ ბავშვების მამასთან ან დედასთან განქორწინების შემთხვევაშიც.

ეს ურთიერთობა შეწყდება, თუ: 1) გერებს უკვე შეუძლიათ მიიღონ მშობლებისაგან სარჩენი სახსრები; 2) დედინაცვალს ან მამინაცვალს არ ექნებათ საკმარისი სახსრები, რათა გაუწიონ მატერიალური დახმარება გერებს; 3) გერები მიაღწევენ სრულწლოვანების ასაკს; 4) არასრულწლოვნები ანდა შრომისუნარიანი აღარ საჭიროებენ მატერიალურ დახმარებას; 5) შრომისუნარო გერები გახდნენ შრომისუნარიანნი.

თავის მხრივ, გერები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი შრომისუნარო მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება სჭირდებათ, თუ მამინაცვალი და დედინაცვალი ზრდიდნენ ან არჩენდნენ გერებს. ამასთან, საოჯახო კანონმდებლობა გვერდს უვლის იმ ფაქტს, ჰყავს თუ არა მამინაცვალს ან დედინაცვალს მეუღლე, მშობლები ან სრულწლოვანი შვილები, რომელთაგანაც შეუძლია ალიმენტის მიღება (ამ გარემოებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს). ამიტომ სასამართლომ ალიმენტის დანიშვნისა და მისი ოდენობის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს მომენტიც.

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს გერი მამინაცვლის ან დედინაცვლის რჩენის მოვალეობისაგან, თუ ისინი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აგრეთვე,

თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის აღზრდის მოვალეობას (სამოქალაქო კოდექსის 1227-ე მუხლი).

საკითხს იმის შესახებ, არჩინოს გერმა თავისი მამინაცვალი და დედინაცვალი, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, ყველა შემთხვევაში წყვეტს სასამართლო. ამასთან, სასამართლოს შეუძლია კონკრეტული საქმის განხილვისას მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია ალიმენტის გადახდა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხნის განმავლობაში ზრდიდნენ ან არჩენდნენ თავიანთ გერს მამინაცვალი და დედინაცვალი.

დ) ფაქტობრივი აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთრჩენის მოვალეობა

საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც შრომისუუნარო სრულწლოვანის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ისე არასრულწლოვანი აღსაზრდელის რჩენის მოვალეობას, იმ პირის მიერ, რომელმაც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანა იგი, ხოლო შემდეგ უარი თქვა მის აღზრდასა და რჩენაზე. თუ მათ არა ჰყავთ მშობლები ან არ შეუძლიათ მიიღონ მათგან სარჩო. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელიც ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფება ბავშვის დედასთან (ან მამასთან).

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: რა იგულისხმება „ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის“ ცნების ქვეშ? ამ ტერმინით, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ ქალსა და მამაკაცს შორის შედარებით ხანგრძლივი ურთიერთობის არსებობას, მეურნეობის ერთად გაძლლას, ერთად თანაცხოვრებასა და საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშან-თვისებებს, განსხვავებით იმ ხანმოკლე შემთხვევითი კავშირისაგან, რასაც ზოგჯერ აქვს ადგილი ქალსა და მამაკაცს შორის. ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას არ ახასიათებს ყველაზე მთავარი მომენტი, ამ ურთ-

იერთობის გაფორმება (რეგისტრაცია) კანონით დადგენილი წესით არავის არ ეკისრება ვალდებულება აღზარდოს და არჩინოს სხვისი შვილები, მაგრამ თუ ბავშვი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იზრდება სხვა პირთან, რომელიც ნებაყოფლობით არჩენს მას, ხოლო შემდგომ უარს იტყვის მის აღზრდასა და რჩენაზე, მაშინ ასეთ პირს შეიძლება დაეკისროს ამ ბავშვის რჩენა.

ფაქტობრივი აღმზრდელის საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ბავშვის მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აყვანის ფაქტი, თუ იგი ხორციელდება შვილად აყვანის, მეურვეობის ან მზრუნველობის გარეშე.

ფაქტობრივ აღმზრდელზე საალიმენტო ვალდებულების დაკისრებისას საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დადგინდეს, რომ მან ნამდვილად მუდმივი აღზრდისა და რჩენის მიზნით აიყვანა ბავშვი აღსაზრდელად, რომ ეს მოხდა შეგნებულად და ნებაყოფლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის საალიმენტო ვალდებულების დაკისრება დაუშვებელია.

საალიმენტო ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ბავშვის სარჩენად აყვანა გამოწვეულია რაიმე დროებითი გარემოებით: სურვილით მძიმე წუთებში დახმარება გაუწიო ვინმეს (ავადმყოფობა, ხანგრძლივი მივლინება და სხვ.) და არა იმ განზრახვით, რომ მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანო ბავშვი.

ბავშვის ხანგრძლივად ფაქტობრივი აღზრდა თავისთავად არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ამ პირს დაეკისროს ალიმენტის გადახდა აღსაზრდელის სასარგებლოდ. ეს გარემოება მხოლოდ ადასტურებს ბავშვის აღსაზრდელად და სარჩენად აყვანის ფაქტს. ასევე არც ის ფაქტი გამოდგება ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველად, რომ ბავშვი დიდი ხნით არ იმყოფებოდა ფაქტობრივი აღმზრდელის კმაყოფაზე. ბავშვის მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აყვანის ფაქტს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ადგენს სასამართლო საქმის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

ფაქტობრივი აღმზრდელის საალიმენტო ვალდებულება წარმოიშო-

ბა იმ პირობით, თუ არასრულწლოვან აღსაზრდელს ან შრომისუნარიან სრულწლოვანს, რომელიც დახმარებას საჭიროებს, არა ჰყავთ მშობლები ან არ შეუძლიათ მიიღონ მათგან სარჩო (იგულისხმება, რომ მშობლები გამოცხადებულნი არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულად, სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილნი არიან გარდაცვლილად ან მათი ადგილსამყოფელი უცნობია).

მაშასადამე, იმისათვის, რომ ფაქტობრივ აღმზრდელს დაეკისროს ალიმენტის გადახდა, საჭიროა ორი პირობის ერთობლიობა: ა) ბავშვის მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აყვანა და ბ) მშობლებისაგან სახსრების მიღების შეუძლებლობა. ფაქტობრივი აღმზრდელის მხრივ ალიმენტის გადახდის მოვალეობა შეწყდება, თუ მოიხსობა ის საფუძველი, რამაც განაპირობა ალიმენტის დაკისრება (აქ მხედველობაში გვაქვს აღსაზრდელის მიერ სრულწლოვანების მიღწევა, მშობლებისაგან სარჩოს მიღების შესაძლებლობა, სრულწლოვანი აღსაზრდელის შრომის უნარის აღდგენა, მატერი-ალური დახმარების აღმოჩენის საჭიროების არარსებობა აღსაზრდელი-სათვის).

ფაქტობრივი აღმზრდელის საალიმენტო ვალდებულება, რომელმაც უარი თქვა ბავშვის აღზრდასა და რჩენაზე, ძალაში დარჩება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ბავშვი დახმარებას საჭიროებს და მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო ოჯახის სხვა წევრებისაგან, რომელიც მას აიყვანს აღსაზრდელად.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ადგენს ფაქტობრივი აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთრჩენის უფლება-მოვალეობასაც. აღზრდილის საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ფაქტობრივი აღმზრდელი შრომისუნაროა. საჭიროებს დახმარებას, მაგრამ მისი მიღება არ შეუძლია თავისი შვილების ან მეუღლისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, მუხლი 1229-ე).

აღზრდილზე ალიმენტის დაკისრებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ როგორ ეკიდებოდა ფაქტობრივი აღმზრდელი თავი

მოვალეობას აღსაზრდელის მიმართ. კერძოდ, ეს აღზრდა და რჩენა ატარებდა თუ არა მუდმივ ხასიათს. თუ აღზრდა და რჩენა დროებით ხასიათს ატარებდა, მაშინ არ შეიძლება აღზრდილს დაეკისროს ალიმენტი ფაქტობრივი აღმზრდელის სასარგებლოდ.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ისმის კითხვა იმის შესახებ, დაეკისროს თუ არა ფაქტობრივ აღმზრდელებს ხარჯები საბავშვო დაწესებულებათა სასარგებლოდ იმ ბავშვების სარჩენად, რომლებიც საბავშვო დაწესებულებებში არიან მოთავსებული?

საბავშვო დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების შესანახი ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1216-ე მუხლი), შეიძლება გადახდეთ მხოლოდ მშობლებს ამ დაწესებულებათა სასარგებლოდ. ბავშვების შესანახი ხარჯების დაკისრება საბავშვო დაწესებულებების სასარგებლოდ სხვა პირებზე, მათ შორის ფაქტობრივ აღმზრდელებზე, კანონით გათვალისწინებული არ არის.

საალიმენტო ვალდებულება არ დაეკისრება პირს ბავშვების აღზრდისათვის, თუ იგი მეურვის ან მზრუნველის ფუნქციებს ახორციელებს, აგრეთვე პირს, რომელიც ბავშვს ზრდის ხელშეკრულების საფუძველზე (პატრონატი).

§5 ალიმენტის გადახდის წესი

საოჯახო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ოჯახის წევრთა საალიმენტო უფლებების დაცვისა და საალიმენტო ვალდებულებების დროულად შესრულების უზრუნველყოფის მთლიან, მწყობრ და სრულყოფილ სისტემას.

ალიმენტის გადახდა ხდება ნებაყოფლობით ან იძულებითი წესით. იძულებითი წესით (სასამართლოს გადაწყვეტილებით) ალიმენტის გადახდევინების აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც პირი უარს აცხადებს ნებაყოფლობით გადაიხადოს ალიმენტი, ან თუ ადგილი აქვს დავას ალიმენტის ოდენობის შესახებ, აგრეთვე მაშინ-

ნაც, როდესაც სახეზეა დავალიანება ალიმენტის გამო და დგება ალიმენტის ოდენობის შემცირების ან ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლების აუცილებლობა.

ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ალიმენტს იხდის პირადად ალიმენტკვალდებული პირი თავისი მუშაობის, პენსიის ან სტიპენდიის მიღების ადგილის მიხედვით.

პირს, რომელიც გამოთქვამს სურვილს ნებაყოფლობით გადაიხადოს ალიმენტი, უფლება აქვს წერილობითი განცხადებით მიმართოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას განმცხადებლის სამუშაო ადგილის ან მის მიერ პენსიის, სტიპენდიის მიღების ადგილის მიხედვით, რათა დაუკავონ ალიმენტი და გადაუხადონ იგი განცხადებაში მოხსენიებულ პირს.

ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიძღვრის უფლებას, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ალიმენტის გადახდევინების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1232-ე მუხლი).

ასეთი სარჩელის წარდგენა შეიძლება მაშინაც, როდესაც ალიმენტის გადამხდელი სადავოდ არ ხდის მას და სათანადოდ ასრულებს ალიმენტის გადახდის მოვალეობას.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, ალიმენტის გადამხდელის განცხადების ან სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ყოველთვიურად უკავებს მას ალიმენტს და გადაუხდის ან გადაუგზავნის განცხადებაში ან სააღსრულებო ფურცელში მოხსენიებულ პირს ხელფასის (დახმარების, პენსიის, სტიპენდიის და სხვ.) გაცემის დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა. პირს, რომელიც ნებაყოფლობით იხდის ალიმენტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაზარდოს მისი ოდენობა ან შეწყვიტოს გადახდა, რის შესახებაც შეაქვს წერილობითი განცხადება. ბულალტერია (საანგარიშსწორებო განყოფილება) ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ალიმენტის მიძღვრ პირს მოქალაქისაგან ასეთი განცხადების შეტანის შესახებ (იხ. ინსტრუქცია „ალიმენტის დაკავების წესის შესახებ“, პუნქტი მე-6).

ვინაიდან განცხადება ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის შესახებ არ ხასიათდება სააღსრულებო ფურცლის ძალით, რომელიც გაცემულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სხვა სამუშაო ადგილზე გადასვლის ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას, ალიმენტი დაუკავდება პირს მის მიერ ხელახლა შეტანილი განცხადებით. ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის გამო დავალიანება შეიძლება დაკავებულ ან გადახდევინებულ იქნეს სასამართლო წესით მოვალის განცხადებით.

სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ალიმენტის დაკავება ხდება იმ ოდენობით, რაც აღნიშნულია სააღსრულებო ფურცელში.

თუ მოვალეს წარედგინება გადასახდელად რამდენიმე სააღსრულებო ფურცელი და საერთო თანხა, რომელიც დაკავებულ უნდა იქნეს სააღსრულებო დოკუმენტების საფუძველზე და, ამასთან, იგი აღემატება მოვალის კუთვნილი ხელფასისა და მასთან გათანაბრებული სხვა შემოსავლის 50 პროცენტს, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაკავებული თანხა თანაბრად გაანაწილდება ალიმენტის მიმღებთა შორის. აღმასრულებლის გაანგარიშებას ამტკიცებს სასამართლო, რის შემდეგაც სააღსრულებო ფურცელი გადაიგზავნება მოვალის სამუშაო ადგილის მიხედვით. თუ მოვალის სამუშაო ადგილზე გადაიგზავნება სხვადასხვა ხასიათის რამდენიმე სააღსრულებო ფურცელი (დავალიანება ალიმენტის კრედიტის, ბინის გადასახადისა და სხვათა გამო), მაშინ სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა დაადგინოს დავალიანების გადახდის რიგითობა. პირველ რიგში, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს საალიმენტო მოთხოვნა.

იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ, რომელიც აკავებს ალიმენტს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სამი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს სასამართლოს აღმასრულებელსა (გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის მიხედვით) და ალიმენტის მიმღებ პირს სამსახურიდან ალიმენტის გადაუმხდელი პირის წასვლის შესახებ, აგრეთვე მისი ახალი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს მისთვის ცნობილია.

თუ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ბრალით, სადაც ალიმენტის გადამხდელი მუშაობს, არ იქნება დაკავებული გადასახდელი თანხა, ალიმენტის მიძღვრულ უფლება აქვს წარადგინოს სარჩელი მისი გადახდის შესახებ. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას უფლება აქვს დააყენოს საკითხი იმ პირის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. რომელსაც ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში (იხ. ინსტრუქცია „ალიმენტის დაკავების წესის შესახებ“, პუნქტი 36-ე).

ალიმენტის გადამხდელი პირი მოვალეა სამი დღის განმავლობაში აცნობოს სასამართლოს აღმსრულებელს სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და, აგრეთვე დამატებითი ხელფასის (შემოსავლის) შესახებ.

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც პირები, რომლებიც მოვალენი არიან იხადონ ალიმენტი, ცდილობენ გვერდი აუარონ სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას, ხშირად იცვლიან სამუშაოსა და საცხოვრებელ ადგილებს, ეწყობიან დაბალხელფასიანი სამუშაოებზე, რათა ამ გზით ხელოვნურად აარიდონ თავი ალიმენტის გადახდას ან შეამცირონ ალიმენტის ოდენობა იმ არასრულწლოვანი ბავშვების საზიანოდ, რომლებიც ალიმენტს ღებულობენ ხელფასიდან.

ალიმენტგაღებული პირის კანონით დადგენილი რჩენის ვალდებულებიდან გამომდინარეობს მშობელთა მოვალეობა – მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი კვალიფიკაციის შესაბამისად. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც ის პირი, რომელიც მოვალეა იხადოს ალიმენტი, შეგნებულად ცდილობს ნაკლები გამოიმუშაოს მის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემცირების მიზნით, სასამართლოს შესაძლებლობა უნდა მიეცეს მოპასუხის შრომითი შესაძლებლობების, მისი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის აუცილებელი გათვალისწინებით, განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა მტკიცე თანხის სახით, რაც აუცილებელია რჩენისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება, რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომითი ვადით ასოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

ალიმენტით გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდება იმას ნიშნავს, რომ ალიმენტის გადამხდელი პირი სისტემატურად არ იხდის მას, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ალიმენტის გადახდა. ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს, მალავს თავის ნამდვილ შემოსავალს, წარმოადგენს უმუშევრობის დამადასტურებელ ყალბ საბუთებს, თავს ანებებს სამუშაოს და ა.შ.

ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდებად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა დროებით დაანება თავი სამუშაოს რაიმე საპატიო გარემოების გამო (მაგალითად, ასპირანტურაში განაგრძო სწავლა), ან როდესაც პირს არა აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითი ან მუდმივი ინვალიდობის გამო, რამაც მას შრომის უნარი დაუკარგა დროებით ან მუდმივად.

იმ პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, კანონით დადგენილი წესით, ამ უფლების დაკარგვამდე ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება, მიუხედავად ვადისა, რომელიც გასულია ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროიდან.

თუ სასამართლოს მიერ პირს დაკისრებული აქვს ალიმენტი, მაგრამ იგი თავს არიდებს მის გადახდას, მას, ვის სასარგებლოდაც ალიმენტვალდებულ პირს გადახდება ალიმენტი, ნებისმიერ დროს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნის მოტივით. ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს, რომ ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. საგულისხმოა, რომ სარჩელის წარდგენა შეიძლება

მხოლოდ ალიმენტის მიღების უფლების არსებობისას.

ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან მხოლოდ მომავალი დროისათვის. რაც შეეხება ალიმენტს წარსული დროისათვის, იგი, საქმის გარემოებათა მიხედვით, შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოსათვის, მაგრამ ალიმენტი არ იყო მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას ან, თუ პირი, რომელიც ალიმენტს იხდიდა თავისი განცხადების საფუძველზე, გადავა სხვა სამუშაოზე ან გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს. ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის გამო დავალიანება შეიძლება დაკავებულ იქნეს როგორც მოვალის განცხადებით, ისე სასამართლოს წესით. ამ დროს სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების გამოტანა არ ხდება. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დავალიანების გადახდევინება წარსული დროისათვის შეიძლება არა უმეტეს სამი წლისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდელად წარმოდგენამდე (1235-ე მუხლი).

ალიმენტის დავალიანება გადაიხდება მტკიცე ფულადი თანხის სახით, რომელიც უნდა განისაზღვროს მოვალის მიერ დავალიანების პერიოდში მიღებული ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან. თუ მოვალე ამ პერიოდში არ მუშაობდა ან იგი არ წარმოადგენს მისი ხელფასის (შემოსავლის) დამადასტურებელ საბუთებს, მაშინ დავალიანება განისაზღვრება იმ ხელფასიდან (შემოსავლიდან) გამოძინარე, რასაც მოვალე ღებულობს დავალიანების დაკავების დროისათვის.

საალიმენტო დავალიანების ოდენობას ფულადი თანხით განსაზღვრავს სასამართლოს აღმასრულებელი.

მოვალე ვალდებულია წარუდგინოს აღმსრულებელს დოკუმენტები მისი ფაქტობრივი ხელფასის შესახებ ან დოკუმენტები იმის თაობაზე, რომ იგი ამ პერიოდისათვის უმუშევარი იყო. ასეთი დოკუმენტების წარუდგენლობა განიხილება, როგორც ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება.

მტკიცებულებანი, რომ ალიმენტვალდებული პირის შემოსავალ-
მა მნიშვნელოვნად გადააჭარბა იმ ფაქტობრივ ხელფასს, საიდანაც
სასამართლომ განსაზღვრა ალიმენტის ოდენობა, არ ცვლის იმ
პირის მდგომარეობას, ვის სასარგებლოდაც ალიმენტვალდებულ პირს
გადახდება ალიმენტი.

ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მიმარ-
თოს სასამართლოს ალიმენტის დავალიანების განსაზღვრისათვის.
სასამართლო, ყველა კონკრეტული გარემოებისა და მხარეთა მატე-
რიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს ალიმენ-
ტის დავალიანებას ფულადი სახით.

თუ დავალიანების დაფარვისას მოვალეს უკვე დაუკავეს ხელფა-
სის 50 პროცენტი, მაშინ საალიმენტო დავალიანება შეიძლება დაი-
ფაროს მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ძებნასთან დაკავშირებით ვერ
მოხერხდა გადასახდელად წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის
მიხედვით ალიმენტის დაკავება, ალიმენტის დავალიანებას ახდევინებენ
მთელი გასული პერიოდისათვის, ხანდაზმულობისდადგენილი ვადის
გასვლისა, ანდა ალიმენტის მიძღები პირის სრულწლოვანების მიღწ-
ევის მიუხედავად (მუხლი 1235-ე, მე-2 ნაწილი).

მოვალეს, რომელსაც დაუგროვდა ალიმენტის დავალიანება, შეუ-
ძლია მიმართოს სასამართლოს თხოვნით ალიმენტის გადახდისაგან
გათავისუფლების ან დავალიანების შემცირების შესახებ.

ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან ალიმენტის დავალ-
იანების შემცირება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწ-
ყვეტილებით.

სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტის გადამხდელი მთლი-
ანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ალიმენტის დავალიანების
გადახდისაგან, თუ დაადგენს, რომ ალიმენტის გადაუხდელობას
ადგილი ჰქონდა ამ პირის ავადმყოფობის ან სხვა პატივისადები
მიზეზების გამო.

თუ ალიმენტის გადახდა ხდება მხარეთა შეთანხმების საფუძ-

ველზე, მაშინ ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან ალიმენტის დავალიანების შემცირება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რაც არ საჭიროებს არც წერილობით ფორმის დაცვას და არც სანოტარო წესით დამოწმებას. ამ დროს, რა თქმა უნდა, ზეპირი შეთანხმება საკმარისია გარიგების ნამდვილობისათვის, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ ის ფორმა, რომელსაც ისინი დაუკავშირებენ ამ გარიგების ნამდვილობას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ფორმის არჩევის თავისუფლებას, თუ კანონით იგი არაა განსაზღვრული.

თუ ალიმენტის დაკისრება მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან დავალიანების შემცირება დაიშვება მხოლოდ სასამართლო წესით. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად იბადება კითხვა: წარმოიშობა თუ არა ალიმენტის დავალიანება იმ პირის მიმართ, რომელიც მოვალეა იხადოს ალიმენტი, როდესაც ის უხელფასო შვებულებაში იმყოფება?

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტის გადამხდელი პირის სარჩელის საფუძველზე გაათავისუფლოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ ალიმენტის დავალიანებისაგან, თუ დაადგენს, რომ ალიმენტის გადაუხდელობას ადგილი ჰქონდა პატივსადები მიზეზების გამო.

რაც შეეხება მხარეთა შეთანხმებით წარმოშობილი საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას, მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარკვეული პირობების არსებობისას, რომელსაც განეკუთვნება: ა) საალიმენტო ვალდებულების ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება; ბ) შეთანხმების ვადის გასვლა და გ) მხარეთა შორის შეთანხმებაში გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

რამდენადაც საალიმენტო ვალდებულება წარმოადგენს პირადი ხასიათის ვალდებულებას, მხარის გარდაცვალება არ იწვევს მის გადასვლას ვალდებული პირის მემკვიდრეებზე. პირის გარდაცვალება წარმოადგენს ერთ-ერთ უდავო ფორმას ალიმენტის შეწყვეტისათვის.

იმ პირის სიკვდილი, რომელიც მოვალე იყო ეხადა ალიმენტი,

არ წარმოადგენს საფუძველს საალიმენტო დავალიანების დაფარვის მოვალეობისაგან გათავისუფლებისათვის. დავალიანება ამ შემთხვევაში დაიფარება სამკვიდრო ქონებიდან.

შეთანხმების ვადის გასვლა საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები გათვალისწინებულ ვადაში ასრულებდნენ საალიმენტო ვალდებულებას.

რაც შეეხება მესამე პირობას – შეთანხმებაში გათვალისწინებული სხვა საფუძველების არსებობას, შეიძლება იყოს სხვადასხვა გარემოება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს და საალიმენტო ურთიერთობის იურიდიულ ბუნებას.

თავი მათი

შვილება

§1. შვილების ცნება და მნიშვნელობა

შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორც მშობელსა და შვილს შორის. აქედან გამომდინარე, ნაშვილები და მისი შთამომავლობა მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები – ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს, რის საფუძველზეც ადგილი აქვს:

ა) სამართლებრივი კავშირის დადგენას მშვილებელსა და ნაშვილებს შორის, აგრეთვე ნაშვილებსა და მშვილებლის ნათესავებს შორის;

ბ) სამართლებრივი კავშირის შეწყვეტას ნაშვილებსა და მის ნამდვილ მშობლებს და მათთან დაკავშირებულ ნათესავებს შორის.

ამრიგად, შვილება ერთდროულად წარმოადგენს როგორც სამართალწარმომშობ, ისე სამართალშემწყვეტ იურიდიულ ფაქტს.

შვილება საოჯახო სამართლის უძველესი ინსტიტუტია, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან.

რომაული სამართალი შვილად აყვანას განიხილავდა, როგორც მშვილებლის ძალაუფლების დამყარებას სხვის შვილებზე ნათესაობის მსგავს ურთიერთობათა წარმოშობასთან ერთად. ნაშვილები თავისუფლდებოდა უწინდელი მამობრივი მოვალეობისაგან და მთლიანად შედიოდა შვილად ამყვანის ოჯახში.

შვილად აყვანის ძირითად დანიშნულებას მისი განვითარების პირველ ეტაპზე წარმოადგენდა ოჯახისათვის ვაჟის აუცილებელი ყოლა, რადგან რელიგიური ადათი ოჯახის უფროსისაგან მოითხოვდა ვაჟის ყოლას

კერიის სიწმინდის დასაცავად, და თუ ბუნება არ აძლევდა ოჯახის უფროსს ღვიძლ შვილს ვაჟის სახით, მას ოჯახში უცხო, სხვისი ვაჟიშვილი უნდა მიეღო. რომაული საზოგადოების კლასობრივ ფენებად დაყოფის პერიოდში, შვილად აყვანა იქცა პოლიტიკურ ხერხად დიდგვაროვანი პატრიციუსების გვარების შესანარჩუნებლად, გასაგრძელებლად და თვით პატრიციატის საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენელთა შესავსებად და გასაახლებლად.

რომის სამართალში ფენმოკიდებულმა ამ ინსტიტუტმა კვალი დაამჩნია კანონმდებლობის განვითარებას როგორც რომის იმპერიის შემავალ ქვეყნებში, ასევე მისი რღვევის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებში. შესაბამისად, აღნიშნულმა თავისებური გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების კანონმდებლობათა განვითარებაზე და, მათ შორის, გარკვეულწილად საქართველოში ჩამოყალიბებულ სამართალზეც.

საქართველოში შვილად აყვანის განვითარების ისტორია არ ყოფილა ერთგვაროვანი. იგი ძირითადად უკავშირდებოდა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც არის ანდერძის ინსტიტუტი.

შვილად აყვანა (შვილება) ქართული სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი. ამას მოწმობს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში შემონახული კანონმდებლის დადგენილება შვილებული სიძის შესახებ.

აღნიშნულის თანახმად, სიძე, თუ იგი სიმამრის სახლში „წიგნით“ იქნებოდა შესული, ნამდვილი და კანონიერი შვილის უფლებებით სარგებლობდა. „წიგნით“ ნაშვილები სიძე თავისი სიმამრის უძრავი ქონების – მამულის მემკვიდრედაც შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც აკრძალული მფლობელობის ფაქტობრივად გასხვისების საშუალება იყო. ამ მოვლენას ისტორიულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ „ფსევდოშვილებას“ უწოდებენ.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა წლებში, რიგი მონაცემების მიხედვით, ძველ აღმოსავლეთში ადგილ-მამული მასო-

ბრივად იყო ქცეული ფაქტობრივი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად. მსხვილი მევახშეები ყიდულობდნენ მიწებს ღიდი ოდენობით, რადგანაც კერძო საკუთრება მიწაზე ფორმალურად არ იყო აღიარებული, უძრავი ქონების ნასყიდობა ხდებოდა ე.წ. „ფსევდოშვილების“ გზით.

გამყიდველს შვილად აჰყავდა მიწის მყიდველი და მას, როგორც „შვილს“, სასოფლო-სათემო ნაკვეთიდან გამოეყოფოდა „სამკვიდრო წილი“, რომელიც ამ მომენტიდან, განსხვავებით მიწის სხვა ნაკვეთებისაგან, პერიოდულად გადანაწილებას არ ექვემდებარებოდა. ამასთან დაკავშირებით, მყიდველი (შვილად აყვანილი, შვილებული) გამყიდველს (მშვილებელს) აძლევდა მიწის ფასის შესაბამის „საჩუქარს“.

ზოგჯერ შვილად აყვანის აქტებში ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ბეგრას ხსენებულის მეშვეობით მიღებული მიწიდან ასრულებდა „მშვილებელი“ ანუ გამყიდველი, რომელიც ფაქტობრივად მევახშე „შვილებულთან“ კაბალურ ურთიერთობაში ვარდებოდა.

შვილად აყვანას, როგორც უძრავი ქონების ფაქტობრივად ყიდვა-გაყიდვის საშუალებას, ფეოდალური საქართველოს სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორც წესი, ვერ ვხვდებით.

მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის ფეოდალურ საქართველოში მეტი ლეგალური შესაძლებლობა იყო, ვიდრე ძველ აღმოსავლურ ხურიტულ საზოგადოებაში და ამიტომაც აქ არ წარმოშობილა „ფსევდოშვილების“ პრაქტიკა.

მაშინდელი მართლშეგნება ფეოდალს უკარნახებდა თავისი თავი უფლებამოსილად ეცნო, მამულიდან გაეყიდა რომელიმე სოფელი, მაგრამ ფეოდალის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შემზღუდველად მამულის გასხვისების საქმეში გვევლინება მეორე თვალსაზრისი, რომელიც მამულს, მემკვიდრეობით მიღებულ მიწათმფლობელობას, მემკვიდრეთა კუთვნილებად თვლიდა. მამული, როგორც სამკვიდრო ქონება, მეპატრონის გარდაცვალების შემდეგ, პირველ რიგში, ეკუთვნოდა შვილს ან შვილად აყვანილს.

საერთოდ, შვილად აყვანა ანდერძის თავისუფლების სუროგატს

წარმოადგენდა; თუ არ არსებობდა ანდერძის თავისუფლების პრინციპი მოცემული სამართლის სისტემაში, მაშინ შეილად აყვანის გზით სამკვიდროს დამტოვებელი აღწევდა თავის მიზანს ქონების სასურველ პირზე გადაცემით.

იცნობდა თუ არა ქართული სამართალი შეილად აყვანის ინსტიტუტს? და რა დამოკიდებულება იყო მასა და ანდერძის ინსტიტუტს შორის?

ანდერძის ინსტიტუტი ისტორიული კატეგორიაა. იგი კლასობრივი საზოგადოების, მემკვიდრეობის სამართლისა და საოჯახო ურთიერთობების განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს გულისხმობს. ანდერძი და მასთან დაკავშირებული შეილად აყვანა მხოლოდ განვითარებული საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის აუცილებელი თანამგზავრია.

ანდერძს ქართული სინამდვილე დიდი ხნის წინათ იცნობდა. ლეონტი მროველის მიხედვით, ოსეთზე ლაშქრობის წინ ვახტანგ გორგასალმა „...დაწერა ანდერძი“¹.

ანდერძის შესახებ აღნიშნულია ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულეს თხზულებებშიც.

დავით აღმაშენებლის, გრიგოლ – ქართლის ერისთავთ-ერისთავისა და მრავალი სხვა ანდერძის წიგნი უფრო გვიანი პერიოდისათვის ადასტურებს, რომ ანდერძი საკმაოდ იყო ცნობილი ქართული სინამდვილისათვის, მაგრამ ცხადია, რომ ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების არსებობის პირობები იმგვარი იყო, რომ ანდერძის თავისუფლებას არ შეიძლებოდა სავსებით გამოერიცხა შეილად აყვანის ინსტიტუტი სამართლის სისტემიდან.

ვახტანგის სამართლის წიგნის 261-ე მუხლი ისევ უბრუნდება ანდერძის საკითხს: „თუ ერთმან კაცმან უძმომ, უსახლისკაცომ, გაყრილმან, უშვილომ, ცოლმან და ქმარმან ერთის სხვის კაცის შვილი დედამიანი თუ უდედამოდ ნაპოვნი, ობოლი ვინმე გაგდებული იყიდოს, თუ იპოვნოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 151.

ქონება შვილისებრ მიასაკუთროს მას და უანდერძოს“¹.

სამართლის წიგნის 261-ე მუხლის სხვა ვარიანტში ვკითხულობთ: „ვინც აიყვანოს ყმაწვილი ან იპოვნოს და გაზარდოს, იმის ასრე იქნეს, იმ კაცზე კიდია, თუ უნდა, თავის შვილად გაზარდოს და, თუ უნდა თავის ყმად“².

ცხადია, ფეოდალურ საქართველოში ანდერძით მემკვიდრეთა შორის შვილად აყვანილებიც იყვნენ. შესაძლებელი იყო ანდერძით სიძის შვილებაც.

როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ფეოდალურ საქართველოში საბუთს, რომელშიც ვისიმე შვილად აყვანის გარემოება და პირობები იყო აღნუსხული, „ნაშვილობის წიგნი“, ანუ სიგელი ეწოდებოდა. საეციალური დოკუმენტის შექმნა მიუთითებს ფეოდალურ საქართველოში შვილად აყვანის ინსტიტუტის ფართო გავრცელებაზე. შვილად აყვანილი – ნაშვილები, მემკვიდრეობის შემთხვევაში, ისეთივე უფლებით სარგებლობდა, როგორც შვილი.

ერთ-ერთ საბუთში (1460 წ.), მაგალითად, მითითებულია, რომ „ურდოელაშვილისა ნაშვილებიცა იყვენით და ნაშვილეობისა ნიშანიც გქონდა..., ურდოელაშვილისაგან ნაშვილებობისა სიგელი და ნიშანი თქვენ გქონდათ“ (ისტ. საბ., III, 35)³.

როგორც ჩანს, ვახტანგის სამართლის წიგნის 261-ე მუხლის ვრცელ ვარიანტში ლაპარაკია უძმო, უსაზღკაცო, გაყრილ და უშვილო პირთა მიერ დედამიანი თუ უდედამამო სუბიექტის შვილად აყვანაზე. ამავე დროს, კანონმდებელი ერთმანეთის გვერდით იხსენიებს ობოლის, გაგდებულის, უდედამამოდ ნაპოვნის შვილად აყვანას. უშვილო კაცს შეეძლო სხვადასხვა გზით, თუნდაც ნასყიდობის საშუალებით, შვილად აყვანა სასურველი პირი. მშვილებელს სრუ-

¹ გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, მეცნიერება, 1965, გვ. 191.

² გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართალი, გამოც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974, გვ. 136.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართულ სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 47.

ლი უფლება ჰქონდა ნაშვილებისათვის მიეკუთვნებინა და ეანდერძებინა მთელი თავისი „მამული და ქონება“¹

კანონმდებელი ავალდებულებდა მებატონეს, რომ შეიღადა ამყვანის (მშვილებელის) სიკვდილის შემდეგ მას არ მოეშალა მისი ანდერძი და შვილობილისათვის შეენარჩუნებინა ნაანდერძევი მამული და ქონება, რაც თავის მხრივ შვილობილს ავალდებულებდა მშვილებლის მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული სამსახურისა და ბეგარის შესრულებას.

ოჯახები, რომლებსაც ერთადერთი შვილი, ქალიშვილი ჰყავდათ, ცდილობდნენ სახლის გარეთ არ გაეთხოვებინათ იგი. ამ შემთხვევაში ოჯახში შვილად (ნაშვილების სახით) შემოჰყავდათ სიძე. ეს უკანასკნელ ქართულ საკანონმდებლო წიგნშიც იხსენიება. სიძის შვილად აყვანის საკმაოდ მრავალი ფაქტია მოღწეული XV-XVIII საუკუნეების საქართველოდან.

აღსანიშნავია, რომ შვილად ამყვანი, მშვილებელი შეიძლება ყოფილიყო არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირიც.

შემონახულია 1545 წლით დათარიღებული საბუთი, რომ მელქისედექ საყვარელიძე იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს სთხოვს, რომ მან, მეფემ მელქისედექის მიერ აღზრდილი ივანე ცაგრილაძე ცნოს ეკლესიის ნაშვილებად, რაც მეფის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა, რისთვისაც მან ცაგრილაძეს უწყალობა მამული და სამოსახლო ადგილი, აგრეთვე გელათის სამრეკლოს ქვეშ სასოფლო და ოთხი კომლი გლეხი ს. ოლონგანში².

აღნიშნული სახით საქართველოში შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობები არსებობდა, ვიდრე არ დამყარდა სრულიად ახალი წყობა სოციალისტური საზოგადოების სახით, რომელსაც შესაბამისად გააჩნდა თავისი სამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართ და მათ შორის

¹ გ. ნადარეიშვილი. ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, „მეცნიერება“, 1965, გვ. 195.

² დ. ფურცელაძე, Грузинские дворянские грамоты, с. 39-40.

საოჯახო სამართალში არსებული, კერძოდ კი, შვილად აყვანის ინსტიტუტის მიმართაც.

საზოგადოების განვითარების ისტორიულ ეტაპებზე ყოველთვის როდი იყო განსაზღვრული იმ სამართლებრივი ნორმების მიზნები და ამოცანები, რომლებიც აწესრიგებდნენ შვილად აყვანას¹.

შვილად აყვანის თანამედროვე ისტორია არ ყოფილა მშრალი და ერთგვაროვანი. მან საქართველოს პირობებში პრაქტიკულად განვლს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სამართლისათვის დამახასიათებელი ისტორიული გზა.

თვით სოციალისტური წყობის დროსაც კი შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირება და მის მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის არ იყო ერთნაირი. იყო ეტაპები ყოფილ საბჭოთა პერიოდში, როდესაც კანონმდებლობა კრძალავდა შვილად აყვანას. ამის ერთადერთი მიზეზი მაშინ გახლდათ უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების ფაქტობრივად ექსპლუატაციაში გადაცემა შვილად აყვანის გზით იმ პირობების, რომლებიც განსაზღვრულ ფარგლებში ეწეოდნენ კერძო მეწარმეობას.

ამ დროისათვის ქვეყანაში იყო არაერთი კულაკური ტიპის მეურნეობა. კულაკები და ქვეყნის წვრილი ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობდა და იყენებდა ყველა საშუალებას, რათა მოეხდინათ სხვისი შრომის ექსპლუატაცია. კერძოდ, რევოლუციამდე შვილად აყვანა ხშირად გამოიყენებოდა ბავშვთა შრომის ექსპლუატაციისათვის, რაც არ გამორიცხავდა მათდამი ისეთივე დამოკიდებულებას რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც. თუმცა იყო სხვა მიზეზიც. შვილად აყვანით შესაძლებელი ხდებოდა გვერდი აეკლოთ 1919 წლის „მემკვიდრეობის გაუქმების შესახებ“ დეკრეტის მოთხოვნებისათვის, რომლითაც შეზღუდული იყო სამემკვიდრეო მასა და არ დაიშვებოდა მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი პირების მემკვიდრეობა (მათ შორის ნაშვილები ბავშვებისაც). თუმცა აღნიშნული მიზეზები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ

¹ ლ. ნადიბაიძე, საკანდიდატო დისერტაცია, „შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები“, თბ., 1998.

გაგრძელებულა. სახელმწიფომ გარკვეული კონტროლი დააწესა წერილი ბურჟუაზიული ელემენტების მიერ უპატრონო ბავშვთა მიმართ ექსპლუატაციის ფაქტებზე და გააუქმა მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი პირების მემკვიდრეობის შეზღუდვის საკითხი. ამავე დროს, გამუდმებით იზრდებოდა მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა რიცხვი, რომლებიც აუცილებლად საჭიროებდნენ ოჯახურ პირობებში აღზრდას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიღალ აყვანა 1926 წელს კანონმდებლობით იქნა აღიარებული, რამაც შემდგომში პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ფართო ხასიათი მიიღო.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა კანონმდებლობაც. თუმცა მისი ამოსავალი წერტილი მაინც ბავშვის ინტერესები იყო. სწორედ ამ თვალსაზრისით, 1943 წლის 8 სექტემბერს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება „შვილად აყვანის შესახებ“, რომელმაც მშვილებელი არა მხოლოდ ფაქტობრივად გაათანაბრა ღვიძლ მშობელთან, არამედ საშუალება მისცა აღნიშნული ფაქტის რეგისტრაციის დროს ღვიძლ მშობლად ჩაწერილიყო, რაც გარკვეულწილად თვით ნაშვილების მიმართ უხერხულობასაც ხსნიდა. ასეთი ფორმა გააჩნდა შვილად აყვანის სამართლებრივ მოწესრიგებას საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

კანონმდებელმა გააანალიზა რა განვლილი წლების თეორია და პრაქტიკა შვილად აყვანის შესახებ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შვილად აყვანა არ შემოფარგლულიყო მხოლოდ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნებით, არამედ ნორმებში ასახვა ეპოვა იმ პოზიტიურ შეხედულებებს, რომლებმაც გაუძლეს დროის გამოცდას და ხელი შეუწყეს საოჯახო ურთიერთობების აღნიშნული ინსტიტუტის დღემდე მოტანას, რამაც საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

შვილების (შვილად აყვანის) მომწესრიგებელმა ნორმებმა გარკვეული ცვლილებები განიცადეს, მაგრამ მის მთავარ მიზნად მაინც დარჩა არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვა.

მართალია, მოცემულ კანონში ცნებები „ინტერესების დაცვა“ და „კეთილდღეობა“ ძალიან ფართოა, მაგრამ შესაძლებელია მისი კონკრეტიზაციაც. კერძოდ, შეილად აყვანის მომწესრიგებელ ნორმათა რეალიზაციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება მშობლიურ ზრუნვას მოკლებული არასრულწლოვანი ბავშვებისათვის შეიქმნას სრულყოფილი ოჯახური გარემო, პირობები, რაც გამოხატულებას პოვებს მათი ფიზიკური, სულიერი და ფსიქოლოგიური განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაში. მაგრამ, რაც მთავარია, შეილად აყვანით ბავშვი, უპირველეს ყოვლისა, გამუდმებით უნდა განიცდიდეს და გრძნობდეს მშვილბებელი (შემდგომში უკვე მშობლიური) ოჯახის კეთილგანწყობას, მშობლიურ სიყვარულს, ზრუნვასა და აღერსს. ყოველივე აღნიშნული კი საკმარისი და აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ნაშვილები (შემდგომში შვილი) საზოგადოების სრულყოფილებიანი და სრულფასოვანი (კულტურული, ყოველმხრივ განვითარებული) წევრი გახდეს.

შეილად აყვანის ესოდენ დიდი მნიშვნელობა განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ უმეთვალყურეოდ და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შვილებით (შეილად აყვანით) შესაძლებელია მათი ინტერესების დაცვა მშობლიური სიყვარულისა და აღზრდისათვის აუცილებელ მატერიალურ პირობებში. კანონმდებელმა გაითვალისწინა რა საზოგადოებაში მიმდინარე რთული ბიოლოგიური პროცესები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უშვილობაში იჩენს თავს, შეილად აყვანის გზით შესაძლებლობა მისცა ასეთ ადამიანებს ბუნებისგან დაჩაგრულად არ ეგრძნოთ თავი და ეცხოვრათ ისე, როგორც ყველა სრულყოფილ ოჯახს, ე. ი. ჰყოლოდათ შვილები და ყოფილიყვნენ მშობლები. მით უმეტეს, რომ მსოფლიოში ქორწინებათა 10% უნაყოფოა და შექმნილ ოჯახთა 20% განიცდის უშვილობას სხვადასხვა მიზეზით; მაგალითად, ხელოვნური აბორტით გამოწვეული ორსულობის შეწყვეტით. სწორედ აქ არის საჭირო იმ ე. წ. „მაკრატილის“ პრინციპის გამოყენება, როდესაც კანონმდებელმა შვილების (შეილად აყვანის) ნორმათა

დადგენით უნდა მოაწესრიგოს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური პროცესებიდან გამომდინარე უარყოფითი შედეგები, ე. ი. მისცეს საშუალება ასეთ ადამიანებს კანონიერი გზით მოახდინონ ოჯახის, ამ თვალსაზრისით, ნაკლოვანი მხარის შევსება. თუმცა კანონი არ ზღუდავს სრულფასოვანი ოჯახის მფლობელთ (მეუღლეებს) თავიანთი კანონიერი შვილების გვერდით აღზარდონ შვილად აყვანილი ბავშვებიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიშველიოთ აშშ-ის მეცნიერ-მკვლევრის ელიზაბეთ ბარტოლეთის შეხედულება აშშ-ის სინამდვილეში შვილად აყვანის მიზნებსა და მოტივებსზე. კერძოდ, ამერიკელები შვილად იყვანენ იმიტომ, რომ უბრალოდ სურთ ჰყავდეთ ბავშვები. ისინი სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ბავშვის აყვანა ოჯახის განმტკიცების ხელსაყრელი საშუალება და რეპროდუქციის მნიშვნელოვანი ალტერნატივაა. ზოგიერთ ამერიკელს ბავშვები აჰყავთ უნაყოფობის გამო, მაგრამ უფრო მეტნი არიან ისინი, ვისაც ურჩევნიათ სითბო და მზრუნველობა გამოიჩინონ მშობლიურ ალერსს მოკლებულ ბავშვებთან მიმართებაში, ვიდრე იყოლიონ საკუთარი შვილები.

შვილად აყვანის ინსტიტუტი არსებით გამოხატულებას პოულობს უმეტესადაა დარჩენილი ბავშვების შემდგომი სამართლებრივი რეგულირების საკითხში. აღნიშნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ინტერესთა დაცვის საქმეში, არამედ ის ხელს უწყობს საზოგადოებას, რაც შეიძლება მინიმუმამდე შეამციროს ასეთი ბავშვების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, ჯანსაღი საზოგადოების შექმნისა და ქვეყნის უკეთესი მომავლის გარანტიაა.

მართალია, შვილების (შვილად აყვანის) ძირითადი მიზანი არასრულწლოვანი ბავშვების კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფაა, მაგრამ კანონმდებელი ითვალისწინებს რა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებულ ფაქტობრივ ურთიერთობებს, შესაძლებელს ხდის სრულწლოვანი პირის შვილებას; მთავარი ასეთ შემთხვევაში არის ის, რომ შვილება

არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მშვილბების ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და იგი ზნეობრივად გამართლებული უნდა იყოს.

შვილება (შვილად აყვანა) მხოლოდ სრულყოფილი ოჯახური გარემოს შექმნის საშუალება არ არის. იგი მიზნად ისახავს ბავშვის აღზრდას ისეთ ოჯახში, რომელიც მთლიანად შეუცვლიდა მას ნამდვილ ოჯახს. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი არსით უთანაბრდება ბავშვის დაბადებას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ფაქტობრივ ურთიერთობებს, არამედ სამართლებრივ შედეგებსაც. ეს არის იურიდიული აქტი, რომლითაც ნაშვილები და მისი შთამომავლობა მშვილბებისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილბები და მისი ნათესავები ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს.

ნაშვილები შვილად აყვანით მშვილბებლებთან მიმართებაში იძენს რა მშობლიურთან გათანაბრებულ უფლება-მოვალეობებს, ღვიძლი მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს; ამავე დროს, თავისუფლდება ღვიძლი მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ არსებული მოვალეობებისაგან. თუმცა არსებობს გამონაკლისიც, როდესაც ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანისას, ნაშვილები ინარჩუნებს აღნიშნულ უფლება-მოვალეობებს – დედის სურვილით თუ მშვილბები მამაკაცია, ან მამის სურვილით – თუ მშვილბები ქალია. აღნიშნულმა აუცილებლად უნდა პოვოს ასახვა სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

მშვილბებელსა და შვილად ასაყვანს შორის ნათესაური კავშირი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება შვილობისათვის (შვილად აყვანისათვის). სისხლით ნათესავები შვილად აყვანის რეგისტრაციისას, მათი სურვილის შემთხვევაში, ეწერებიან როგორც მშობლები.

გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ რეგისტრირებულ უნდა იქნეს სარო-ში გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

მართალია, მშვილბებელსა და ნაშვილებს, აგრეთვე მათ ნათესავ-

ებს შორის უფლება-მოვალეობანი წარმოიშობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, მაგრამ მის რეგისტრაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, რეგისტრაცია ამტკიცებს შვილად აყვანის ფაქტს და ხელს უწყობს შვილად აყვანის შესახებ საიდუმლოების უზრუნველყოფას, რადგან რეგისტრაციის დროს გაიცემა დაბადების მოწმობა მასში სრულიად ახალი და განსხვავებული მონაცემებით როგორც მშობლების, ისე თვით ნაშვილების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შვილად აყვანა იწვევს გარკვეული სახის სამართლებრივ შედეგებს, რაც საბოლოოდ ასახვას პოვნებს სამართლებრივ ნორმებში, რომლის ძალითაც მშვილებლები და ნაშვილები, როგორც შვილები და მშობლები ნებისმიერ ურთიერთობაში, ყოველგვარი მინიშნების გარეშე, გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან. თუმცა ეს პრინციპი ყოველთვის არ არის დაცული. მაგალითისათვის საკმარისია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი, სადაც პირველი რიგის მემკვიდრეთა შორის მშვილებლები მოხსენიებულნი არიან, როგორც მშობლები. ამგვარი მითითება, კანონის მიერ მათი უფლება-მოვალეობათა გათანაბრებიდან გამომდინარე, საჭირო აღარ იყო. ვფიქრობთ, აღნიშნულით ირღვევა შვილად აყვანის საიდუმლოება და ადგილი აქვს მასთან დაკავშირებული საიდუმლოების უზრუნველყოფის დარღვევას. ვინაიდან, სადავო შემთხვევებში, მშვილებლებსაც და ნაშვილებსაც, ალბათ, მოუწევთ იმის მტკიცება, რომ ისინი არიან მშვილებლები და ნაშვილები. ცხადია, აქ საუბარი შვილად აყვანის საიდუმლოებაზე ზედმეტია.

§2. შვილად აყვანის წესი, პირობები და
სამართლებრივი შედეგები

ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ იმის თაობაზე, რომ შვილად აყვანა დაიშვება არასრულწლოვანის ინტერესებისა და ზნეობრივი ნორმების გათვალისწინებით. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის გარკვევა, როგორცაა შვილად აყვანის სუბიექტთა საკითხი ანუ იმ პირთა წრის განსაზღვრა, თუ ვინ შეიძლება იყოს მშვილბელი და ნაშვილები.

შვილად აყვანის ურთიერთობების სუბიექტებს წარმოადგენენ მშვილბელები და ნაშვილები, რა თქმა უნდა, კოდექსის ნორმით დადგენილი ასაკის გათვალისწინებით.

იმ პირებს, რომლებსაც სურთ იყვნენ მშვილბელები, კანონმდებელმა წაუყენა გარკვეული (შეიძლება ითქვას მრავალრიცხოვანი) მოთხოვნები. უპირველეს ყოვლისა, მშვილბელები უნდა იყვნენ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირები. არასრულწლოვან პირებს არ შეუძლიათ იყვნენ მშვილბელები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოიპოვეს სრული ქმედუნარიანობა სრულწლოვანების მიღწევამდე. თუმცა კანონმდებლის დამოკიდებულება მშვილბელების ასაკთან არ ამოიწურება მისი სრულწლოვანების განსაზღვრით. იგი კონკრეტულად განსაზღვრავს იმ ასაკს, რომლითაც მშვილბელი უფროსი უნდა იყოს ნაშვილებზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ სხვაობად მიიჩნევს 16 წელს, თუმცა, ამავე დროს, უშვებს შესაძლებლობას პატრისადები მიზეზების არსებობისას, სასამართლომ შეამციროს სუბიექტთა შორის ასაკობრივი სხვაობა (ამასვე ითვალისწინებს რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთისა და ა. შ. ქვეყანათა კანონმდებლობაც). კანონმდებლის მიერ მშვილბელსა და შვილად ასაყვანს შორის ასაკობრივი სხვაობის განსაზღვრა 16 წლით მიზნად ისახავს ისეთივე ბუნებრივი სხვაობის არსებობას, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მშობლებსა და შვილებს შორის. ამავე დროს, გათვალისწინებულია მშვილბელის უნარი აღნიშნულ ასაკში გარკვეულად კონტროლი გაუწიოს თავის მოქმედებას და მაქსიმალურ-

რად უზრუნველყოს იმ ამოცანების შესრულება, რაც გათვალისწინებულია ამ ინსტიტუტის (შვილად აყვანის) მიზნებით, კერძოდ, არასრულწლოვანის ინტერესების დაცვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს თურქეთის კანონმდებლობა, რომელიც სამოქალაქო კანონის 253-ე მუხლის საფუძველზე ითვალისწინებს შვილად ამყვანისათვის მკაცრად დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს – 35 წლის ასაკს. ამასთან, ზედა ზღვარი არ არის შეზღუდული. თურქეთის კანონმდებლებმა აღნიშნული ასაკის განსაზღვრას საფუძვლად დაუდეს პირის მოწიფულობა, რომ შვილის ყოლისა და შვილად აყვანის ინსტიტუტის მფარველობის ქვეშ ყოფნის მსურველ და, ამავე დროს, ქორწინების მოწინააღმდეგე ახალგაზრდებს მისცემოდათ უშვილობის ადვილად გადაჭრის შესაძლებლობა; რომ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ბავშვების ყოლის შემთხვევაში, შვილად აყვანა არ აღმოჩნდეს მოწიფულობის ასაკს ჯერ არ მიღწეული მშვილებლისა და ნაშვილებს შორის არაჯანსაღი და არაზნეობრივი ურთიერთობებისათვის ხელშემწყობი გარემოება. ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა მიზეზთა გამო, 35 წლის ასაკამდე შვილად აყვანის მსურველთათვის ამ უფლების გამოყენება აკრძალულია. ასაკობრივ ცენზთან ერთად, თურქეთის კანონმდებლობა აწესებს, რომ მშვილებელი შვილად ასაყვანზე უნდა იყოს არანაკლებ 18 წლით უფროსი. ამით ნათელია კანონმდებლის მცდელობა, რაც შეიძლება ბუნებრივი სახე ქჰონდეს შვილად აყვანით შექმნილ ურთიერთობებს. სულ მცირე 18 წლის ასაკობრივ სხვაობას ზნეობრივი საფუძვლებიც აქვს. ამ გზით ნავარაუდევია მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ინტიმური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობის ნაწილობრივი აღკვეთა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლის მიერ ნაშვილებსა და მშვილებელს შორის დაწესებული ასაკობრივი სხვაობა საბოლოოდ არ წყვეტს შვილად აყვანის საკითხს. სასამართლო, გადაწყვეტილების გამოტანისას, მხედველობაში იღებს არა მხოლოდ მშვილებლის ასაკს,

არამედ ითვალისწინებს შვილად ამყვანის პირად თვისებებს, მისი და ოჯახში მცხოვრებ სხვა წევრთა ჯანმრთელობას.

თუ მამინაცვალს ან დედინაცვალს შვილად აპყავთ თავიანთი გერები, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სასამართლომ აღნიშნული გარემოება ჩათვალოს პატივისცემად მიზეზად და სხვა პირობების გათვალისწინებით, მათზე არ გაავრცელოს მოთხოვნა ასაკობრივი სხვაობის თაობაზე.

გარდა ამისა, მკაცრად არის განსაზღვრული იმ პირთა წრეც, რომელთაც არა აქვთ უფლება იყვნენ მშვილებლები. ასეთებს განეკუთვნებიან პირები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება ან რომლებსაც ადრე ჰყავდათ ნაშვილები, მაგრამ შვილება გაუქმდა მათ მიერ მშვილებლის მოვალეობის წარსულში არაჯერონად შესრულების გამო; აგრეთვე პირები, რომლებსაც ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისებების გამო, არ შეუძლიათ განახორციელონ მშობლის მოვალეობები. რაც შეეხება ავადმყოფ პირთათვის შვილად აყვანის უფლების მინიჭებას, ის მოწესრიგებულია 1997 წლის 17 ოქტომბრის საქართველოს კანონით „შვილად აყვანის წესის შესახებ“, რომლითაც ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა დაემტკიცებინა იმ დაავადებათა სია, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მშვილებელს ეკრძალება ბავშვის შვილად აყვანა.

კანონმდებელმა ყურადღების მიღმა არ დატოვა ისეთი საგულისხმო პირობა, რომელიც ხელს უშლის პირს იყოს მშვილებელი. ეს არის მორალური და სხვა პირადი თვისებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სხვა რაიმე მოთხოვნას მშვილებლისათვის შვილად ამყვანის უფლების მინიჭების თაობაზე, თუმცა მთელი რიგი ქვეყების (მაგალითად, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის და ა. შ.) კანონმდებლობა ზრდის მშვილებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ითვალისწინებს აკრძალვას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მეუღლეთაგან ერთერთი სასამართლოს მიერ აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიან ან ქმედუნარო პირად.

სამოქალაქო კოდექსი, მართალია, არ ითვალისწინებს უცხოელ მოქალაქეთათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შვილად აყვანის აკრძალვას, მაგრამ 1997 წლის 17 ოქტომბრის „შვილად აყვანის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის სპეციალური მუხლით მოწესრიგებულია ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილების საკითხი. კერძოდ, თუ საქართველოში არ მოიძებნება შესაფერისი მშვილებელი, ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მასზე მოვლა-პატრონობის ალტერნატიული საშუალება.

დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი, ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კოდექსისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად ცვლის შვილად აყვანის პროცედურასთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის ნორმა, რომლის თანახმადაც, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო (ისე, როგორც ეს არის ევროპის უმეტეს ქვეყანაში).

ასეთი მიდგომა საკითხის მოწესრიგების მიზნით სრულიად მართებულია, რამეთუ თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას, როგორც პრაქტიკა ცხადყოფდა, მეტად ფორმალურად და ზერელედ ეკიდებოდნენ, რაც გარკვეულად განპირობებული იყო კანონმდებლობის ზედაპირული ცოდნით. რაც შეეხება სასამართლო ორგანოებისათვის შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მიკუთვნებას, იგი არ არის მოკლებული საფუძველს, რადგან მას, როგორც უფლება-მოვალეობათა დამდგენ ორგანოს, აქვს პროცესუალურად მეტი შესაძლებლობები, საფუძვლიანად და დეტალურად მოახდინოს საკითხის ირგვლივ არსებითი ხასიათის მტკიცებულებათა შესწავლა და ანალიზი. ამ გზით მოპოვებულ მტკიცებათა ხასიათის გარემოებანი იმის გარანტიანია, რომ შემდგომში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სასამართლოებში შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილად ცნობასთან დაკავშირებული დავები.

სასამართლო სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს და გადაწყვეტს როგორ ასრულებს ბავშვების მომავლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შვილების შესახებ კანონმდებლობის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასამართლოს უფლებებსა და კომპეტენციის საზღვრებს, აგრეთვე იმას, რომ ეს სამართლებრივი ჩარჩოები მკაფიოდ იყოს დადგენილი და აღქმული. სასამართლო შეისწავლის ბავშვის წინაშე არსებულ ყოველგვარ არჩევანს და გადაწყვეტილებას შვილების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ დარწმუნდება, რომ ეს ბავშვისათვის საუკეთესო არჩევანია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთსა და იმავე ბავშვის შვილება რამდენიმე პირს სურს, უპირატესი უფლება ენიჭებათ ბავშვის ნათესაებს, მშვილებლის პიროვნებისა და გასაშვილებელი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა, რომლის მომზადების წესი და პირობები მოწესრიგებულია კანონით „შვილად აყვანის წესის შესახებ“.

დასკვნაში ასახვა უნდა პოვოს შვილად აყვანის მიზანმა და მოტივებმა, მშვილებელთა და ნამდვილი მშობლების სოციალურმა და ჯანმრთელობის მდგომარეობამ, გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიულმა მონაცემებმა.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს განცხადებით უფლება აქვთ მიმართონ, როგორც შვილად აყვანის მსურველმა ცალკეულმა პირმა, ასევე მეუღლეებმა ერთობლივი განცხადების საფუძველზე. განმცხადებლები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

თუ შვილად აყვანა ხდება ერთ-ერთი მეუღლის მიერ, ასეთ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. ეს უკანასკნელი საჭირო არ არის, თუ მეორე მეუღლე სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუენაროდ, ანდა, თუ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე

მეტი ხნით ფაქტობრივად შეწყვეტილია, ან არ არის ცნობილი მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი.

როდესაც ვსაუბრობთ თანხმობაზე, როგორც შევიღად აყვანის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტზე, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს მისი უდიდესი მნიშვნელობა.

იმ ბავშვთა შევიღად აყვანისათვის, რომელთაც ჰყავთ მშობლები, აუცილებელია მათი წერილობითი თანხმობა, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ ისინი ერთად თუ არა. ამასთან, აღნიშნული თანხმობები უნდა ატარებდეს ინდივიდუალურ და დამოუკიდებელ ხასიათს. დაუშვებელია ორივე მშობლის თანხმობამ ასახვა პოვოს ერთ თანხმობაში. ასეთი თანხმობა უნდა იყოს აუცილებლად უპირობო, არაორაზროვანი და ყოველგვარი დათქმის გარეშე.

საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის დამოკიდებულება. კერძოდ, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს შევიღად აყვანის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, დედას ეკრძალება მისცეს წერილობითი თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე ბავშვის დაბადებიდან სულ მცირე, ექვსი კვირის განმავლობაში. ამის მიზეზი ის არის, რომ მშობიარობის პერიოდი, ემოციური თვალსაზრისით, მეტისმეტად რთული პერიოდია და ამ ფონზე მიღებული გადაწყვეტილება შემდგომში შეიძლება სანანებელი გახდეს. დედას საკმარისი დრო უნდა ჰქონდეს საიმისოდ, რომ კარგად გაიაზროს, სანამ ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, რომელსაც სამუდამო გავლენა ექნება თვით მასზე და მის შვილზე. ნიშანდობლივია, რომ თანხმობის მიცემის აკრძალვისათვის დადგენილი ვადა (6 კვირა) უფრო მეტად არის გაზრდილი გერმანიის კანონმდებლობით, სადაც გაშვილებაზე თანხმობის მიცემა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როდესაც ბავშვი 8 კვირის ასაკს მიაღწევს.

საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონით – „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს სამო-

ქალაქო კოდექსის 1252-ე მუხლში, დადგინდა მსგავსი ნორმა. კერძოდ, „ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანისას აუცილებელია დედის წერილობითი თანხმობა, რომელსაც იგი გასცემს ბავშვის დაბადებიდან ექვსი კვირის შემდეგ“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის გაშვილებისას მოითხოვს დედისაგან ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე ბავშვის დაბადებიდან გავიდეს 6 კვირა, რის შემდეგაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის დედას უფლება აქვს გასცეს წერილობითი თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე.

ასეთი ბავშვის შვილად აყვანის დროს გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია, თუ სარო-ში ან სასამართლოში უკვე არსებობს განცხადება მამის მიერ მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ.

ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია არასრულწლოვან მშობელთა შვილის გაშვილებისას მათი თანხმობის საკითხი. არასრულწლოვანი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ქორწინების უფლება აქვს, თავისთავად ხდის მას ქმედუნარიანს ყველა სხვა ურთიერთობაში (მუხლი მე-12). აქედან გამომდინარე, არასრულწლოვან მშობელთა შვილის გაშვილებისათვის საკმარისია მხოლოდ მათი თანხმობა.

თუ გავითვალისწინებთ მშობელთა ან კანონმდებლობით დადგენილ პირთა თანხმობის მნიშვნელობას შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა ითქვას, რომ ასეთი დადასტურებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით, ხოლო იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა, არ დაიშვება მისი თანხმობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული 1251-ე და 1252-ე მუხლების მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ბავშვის გაშვილება ხდება სხვა სახელმწიფოში. 2003 წლის 26 აგვისტოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ შევიდა ცვლილებები აღნიშნულ მუხლებში და განსაზღვრა, რომ ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილებისას ეს მუხლები არ მოქმედებენ და ურთიერთობებს აწეს-

რიგებს საქართველოს კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ“.

მეურვის ან მზრუნველისათვის აღსაზრდელად გადაცემული ბავშვის გაშვილებისას აუცილებელია მათი წერილობითი თანხმობა.

რაც შეეხება საბავშვო დაწესებულებაში მყოფი ბავშვების გაშვილებას, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობის გათვალისწინებით. საბავშვო დაწესებულებაში აღსაზრდელად ისეთი ბავშვის მიღებისას, რომელსაც ჰყავს მშობლები, კანონი ითვალისწინებს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მშობლებისაგან ბავშვის შემდგომი გაშვილებისთვის მათი თანხმობის შესახებ საკითხის გარკვევას, კერძოდ, თანახმა არის თუ არა მშობელი ბავშვის გაშვილებაზე.

მართალია, კოდექსი გაშვილებისათვის ერთ-ერთ ძირითად პირობად აყენებს მშობლის, მზრუნველის ან მეურვის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა ადმინისტრაციის თანხმობებს, მაგრამ ამავე კოდექსით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კანონმდებელი აღარ თვლის საჭიროდ ასეთი თანხმობის აუცილებლობას და უშვებს ბავშვების გაშვილებას მათი თანხმობის გარეშე. ეს უკანასკნელი საჭირო არ არის, თუკი მშობლები (ან მშობელი) სასამართლოს მიერ აღიარებული არიან ქმედუვნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ სასამართლოს წინაშე დაისვას საკითხი ისეთი ბავშვის შვილად აყვანის შესახებაც, რომელთა მშობლების ვინაობა არ არის ცნობილი (მიგდებული ბავშვები). ბუნებრივია, ანალოგიურ შემთხვევაში, მშობლების თანხმობაზე საუბარი ზედმეტია. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა კანონმდებელს გაეთვალისწინებინა მსგავსი შემთხვევები და სამართლებრივი გზით მოეწესრიგებინა აღნიშნული.

რაც შეეხება მშობლის უფლებაჩამორთმეული პირის თანხმობის მიუღებლად ბავშვის გაშვილებას, ასეთი დასაშვებია ერთი წლის შემდეგ ამ უფლების ჩამორთმევის დღიდან.

ეს ჩამონათვალი ამომწურავია და გავრცობას არ ექვემდებარება. ქმედუვნაროდ გამოცხადებული პირისაგან განსხვავებით, სასამართ-

ლოს მიერ მშობლის შეზღუდულქმედუნარიანად გამოცხადება არ ართმევს მას უფლებას, განაცხადოს თანხმობა ან უარი ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გამშვილებელს, შვილად აყვანსა და 10 წლის ასაკს მიღწეულ შვილად ასაყვანს, უფლება აქვთ უარი განაცხადონ უკვე გაცემულ თანხმობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება საჭიროებს რეგისტრაციას სარო-ში, რომლითაც ხდება ბავშვისათვის სახელის მიკუთვნება (სახელი, გვარი) და მშობელთა შესახებ ჩანაწერის შესრულება.

ნაშვილებს მიეკუთვნება მშვილებლის გვარი, თუმცა კანონი ითვალისწინებს მშვილებლის თხოვნით ბავშვის სახელის შეცვლის შესაძლებლობასაც. რაც შეეხება 10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვისათვის სახელის შეცვლას, იგი დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით. ნაშვილები ბავშვის სახელისა და გვარის გამოცვლის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

რამდენადაც შვილად აყვანა თავისი არსით საოჯახო სამართლის ერთ-ერთი ჰუმანური ინსტიტუტია, კანონმდებელიც ხშირ შემთხვევაში მეტი სიფრთხილით ეკიდება მას და ცდილობს გაითვალისწინოს ყველა შესაძლებლობა ნაშვილებსა და მშვილებელს შორის სწორი და ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის. დღეს არსებული საოჯახო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები ხელს უწყობს შვილად აყვანის საიდუმლოების შენარჩუნების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის უმრავლესი ნორმა დისპოზიციურ ხასიათს ატარებს და მშობლებს შესაძლებლობას აძლევს თვითონ გააკეთონ არჩევანი დაბადების შესახებ ჩაწერის წიგნში რეგისტრაციისას მშვილებლებად ჩაეწერონ თუ მშობლებად. აღნიშნულმა ასახვა უნდა პოვოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

როდესაც ბავშვი შვილად აჰყავთ მეუღლეებს, როგორც წესი, თითოეული მათგანი შვილად აყვანილის მამად და დედად იწერება.

მარტოხელა დედების მიერ ბავშვების გაშვილების დროს მშვილგბლის სურვილის მიხედვით ბავშვს შეიძლება დარჩეს საკუთარი გვარი ან მიენიჭოს მშვილგბლის გვარი.

შვილად აყვანის საიდუმლოს უზრუნველსაყოფად, ზემოთ აღნიშნულ დებულებათა გარდა, კანონი ითვალისწინებს დამატებით პირობას, კერძოდ, ნაშვილების დაბადების ადგილის შეცვლის შესაძლებლობას.

შვილად აყვანის რეგისტრაციისას, ბავშვისათვის სახელის დაბადების ადგილის, თვისა და რიცხვის შეცვლას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად. შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება, მშვილგბლის თანხმობის გარეშე, აკრძალულია.

კანონი ისწრაფვის რა შვილად აყვანის საიდუმლოს უზრუნველყოფისკენ, ითვალისწინებს დამატებით ზომებს შვილად აყვანის საიდუმლოს დაცვისათვის და ადგენს რიგ შეღავათებს მშვილგბელი ქალებისათვის ბავშვის უშუალოდ სამშობიარო სახლიდან აყვანის დროს, მაგრამ, ნიშანდობლივია, რომ მსგავს შემთხვევებში შვილად აყვანა სულაც არ წარმოადგენს სპეციფიკურ ფორმას. ასეთ შემთხვევებზე ვრცელდება შვილად აყვანის შესახებ კანონმდებლობის ყველა დებულება.

სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია შვილად აყვანის საიდუმლოების გამომჟღავნება მშვილგბლის ნება-სურვილის გარეშე, რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იმავე ქმედებას, თუ იგი ჩადენილია: ა) იმის მიერ, ვინც მოვალეა დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება; ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

„შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება“ ნიშნავს ბრალდებულის მიერ ნაშვილების ან სხვა პირისათვის მისი ნამდვილი წარმოშობის შესახებ ცნობების შეტყობინებას. შეტყობინების ფორმას – ზეპირია იგი, წერილობითი თუ ანონიმური, იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. სხვანაირად თუ ვიტყვი, შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება გულისხმობს ამ საიდუმლოს შეტყობინებას მშვილებელთა ნების საწინააღმდეგოდ თუნდაც ერთი პირისათვის. შვილად აყვანილის მიერ სრულწლოვანების მიღწევა არ გამორიცხავს სსკ-ის 175-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას საიდუმლოს გამჟღავნებლის მიმართ. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებად უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როცა ასეთი რამ ხდება მშვილებლის სიკვდილის შემდეგ. თუ შვილად აყვანა იურიდიულად გაუფორმებელია, მაშინ საიდუმლოს გამჟღავნება მოცემული დანაშაულის შემადგენლობას არ მოგვცემს. როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კანონი შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებას მშვილებლის ნება-სურვილს უკავშირებს, ამდენად, საიდუმლოების გამჟღავნებაზე მათი თანხმობის შემთხვევაში მოცემული დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება. 175-ე მუხლით არ შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს და დაისაჯოს ის პირი, რომელიც სათანადო წესების დაცვით მიმართავს ოფიციალურ ორგანოს, რათა გაუქმებულ ან ბათილად იქნეს ცნობილი შვილად აყვანის სასამართლო გადაწყვეტილება.

დაბოლოს, 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული „მძიმე შედეგი“, რაც შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებას მოჰყვა (რა თქმა უნდა, მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე) გულისხმობს: თვითმკვლელობას, თვითმკვლელობის მცდელობას, ჯანმრთელობის განზრახ სხვადასხვა ხარისხით დაზიანებას და ა.შ.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კანონის თანახმად შეიძლება დაეკისროს შვილად აყვანის ფაქტის გამჟღავნებისათვის როგორც სახელმწიფო მოხელეებს – განათლების, ჯანდაცვის, სარო-

თა ყველა მუშაკს, ვინც კი მონაწილეობდა შვილად აყვანის პროცესში, ასევე სხვა ორგანოების თანამშრომლებს, ვინც შვილად აყვანის ფაქტის შესახებ თავისი სამსახურებრივი მოღვაწეობის შემთხვევებით შეიტყო.

§3. შვილად აყვანის გააქმება

მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები გათანაბრებულია ღვიძლ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებთან, კანონმდებელი მათ საფუძველზე წარმოშობილ უფლება-მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში სხვადასხვაგვარად აყენებს მათი (მშობლების ან მშვილებლების) პასუხისმგებლობის საკითხს.

გარემოებები, რომელთა არსებობამაც შეიძლება განაპირობოს მშობლის უფლების ჩამორთმევა, ყველა შემთხვევაში არის საფუძველი შვილად აყვანის გაუქმებისათვის. ის გარემოებანი კი, რომლებმაც პრაქტიკულად განაპირობა შვილად აყვანის გაუქმება, ყოველთვის არ შეიძლება იყოს მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძველი, მაგრამ სიტყვა „გარემოებანი“ მრავლისმომცველია და საჭიროებს კონკრეტიზაციას.

პრაქტიკაში ასეთი გარემოებები პირობითად შეიძლება დაიყოს როგორც მშვილებელზე დამოკიდებულ, ისე მისგან დამოუკიდებელ გარემოებებად. პირველს განეკუთვნება ნაშვილებისადმი სასტიკი მოპყრობა, სისტემატური უყურადღებობა, მიდრეკილება ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისადმი და ა. შ., მეორეს – მშვილებლის მიერ მშობლის უფლება-მოვალეობათა შესრულების ობიექტური შეუძლებლობა (ხანგრძლივი ავადმყოფობა, მშვილებლისგან დამოუკიდებლად ნაშვილებთან ერთად ხანგრძლივად ცხოვრების შეუძლებლობა და სხვა), შვილად აყვანის შემდგომ ისეთი გარემოებების შეცვლა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ნაშვილებისათვის. მაგალითად, ერთ-ერთი მშვილებლის გარდაცვალებისას, მეორის

მიერ სათანადო ყურადღების მიქცევის შეუძლებლობა ნაშვილები-სადმი და ა. შ.

მშვილელის მიერ მშობლიური უფლებების შეუსრულებლობისათვის ობიექტური მიზეზების არსებობისას, შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ნაშვილების ინტერესები, მით უმეტეს, თუ იგი მიღწეულია 10 წლის ასაკს.

შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს სხვა საფუძვლებითაც. კერძოდ, თუ ნაშვილები სასტიკად ეპყრობა მშვილელსა და მის ნათესავებს, აშკარა უპატივცემულობას იჩენს მათ მიმართ ან ეწევა დანაშაულებრივ და გარყვნილ ცხოვრებას.

შვილად აყვანის გაუქმებას შესაძლებელია საფუძვლად დაედოს იმ მშობელთა წერილობითი თანხმობის არარსებობა, რომელთა თანხმობაც აუცილებელია შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

მშობელთა თხოვნით შვილად აყვანის გაუქმება, თუ ნაშვილებს შეუსრულდა 10 წელი, დაიშვება მხოლოდ ნაშვილების თანხმობით.

შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს მოსარჩელე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1268-ე მუხლი მოიცავს შვილად აყვანის გაუქმების თაობაზე მოთხოვნათა წარდგენის უფლების მქონე პირთა ამომწურავ ჩამონათვალს.

სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ. კანონით, თუ ცალკეულ პირებს მიაჩნიათ, რომ შვილად აყვანა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს და იგი უნდა გაუქმდეს, მაშინ მათ უნდა აცნობონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც წყვეტს შვილად აყვანის გაუქმების თაობაზე მოთხოვნის წარდგენის საკითხს.

სამოქალაქო კოდექსის 1262-ე მუხლი შესაძლებელს ხდის

შვილად აყვანის გაუქმებას არა მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თვით მშვილეობლისა და უფრო მეტიც, მისი ნათესავების ინტერესებიდან გამომდინარე. თუ შვილად აყვანის გაუქმება დაიშვება მშვილეობლის (აგრეთვე მათი ნათესავების, რომლებშიც ალბათ იგულისხმება ცალკეული პირები), ინტერესების გათვალისწინებით, მაშინ სამოქალაქო კოდექსში არის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა მშვილეობლის ინტერესების დაცვასა და მისი განხორციელების მექანიზმს შორის, კერძოდ, მშვილეობლისათვის შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენის შეუძლებელობის სახით¹.

მშვილეობლის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შესახებ საკითხი შვილად აყვანის გაუქმების თაობაზე სადავოა სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, მშვილეობლებს შვილად აყვანის გაუქმების თაობაზე სასამართლოსათვის უშუალოდ მიმართვის უფლების მქონე პირებად თვლიან მხოლოდ ორ ქვეყანაში – ლიტვასა და ესტონეთში, სადაც მათ ეძლევათ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ნაშვილები სულის ავადმყოფი ან გონებრივად განუვითარებელი აღმოჩნდება. ამასთან, ეს გარემოებები მშვილეობლისათვის უცნობი უნდა იყოს შვილად აყვანისას.

კანონმდებლის მიერ მშვილეობლისათვის სარჩელის წარდგენის უფლების მინიჭება თავისთავად დღის წესრიგში დააყენებს მოპასუხის საკითხს, ამასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 1267-ე მუხლში „შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენის თაობაზე“ მითითებულია, რომ სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ წარედგინება გამშვილეობელს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლისათვის უცნობია მათი ბავშვის მშვილეობლის საცხოვრებელი ადგილი, მაშინ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

¹ ლ. ნადიბაძე, საკანდიდატო დისერტაცია „შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები“, 1998, გვ. 102-104.

ასეთ შემთხვევაში, საქმის აღბერის შესახებ უნდა ეცნობოს მშვილებელს, რომელსაც უფლება აქვს ჩააბას საქმეში ან მიანდოს თავისი ინტერესების დაცვა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, სასამართლოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მშვილებელი გამოიწვიოს მოპასუხედ.

დაუშვებელია შვილად აყვანის გაუქმება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს თანხმობა ნაშვილებს, მის მშვილებელსა და მშობლებს შორის.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ნაშვილების სრულწლოვანების მიზეზით მშვილებელს უარს უცხადებენ შვილად აყვანის გაუქმებაზე. 2001 წელს ნ. პაპავამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში ქ. პაპავას შვილად აყვანის გაუქმების შესახებ იმ საფუძველით, რომ ქ. პაპავა მას აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და შეუძლებელი იყო ურთიერთობის გაგრძელება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა. მან მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1269-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია შვილად აყვანის გაუქმება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შვილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს ნაშვილების, მისი მშობლებისა და მშვილებლის თანხმობა. ვინაიდან ქ. პაპავა სრულწლოვანია და წინააღმდეგია შვილად აყვანის გაუქმებისა, სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა სასარჩელო მოთხოვნა.¹ ანალოგიურად წყვეტს საკითხს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საქმეზე. თავის განჩინებაში² ის უთითებს, რომ ამ საქმეზე 1262-ე მუხლით გათვალისწინებული შვილად აყვანის გაუქმების საფუძვე-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2002. №4, 12 განჩინება 3კ-848-02.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2003. №6, 2 განჩინება 3კ-820-02.

ლი დადასტურებული რომც იყოს, შეილად აყვანა ვერ გაუქმდება, ვინაიდან სკ-ს 1269-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია შეილად აყვანის გაუქმება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს ნაშვილების, მისი მშობლებისა და მშვილებლის თანხმობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს შეილად აყვანის შეწყვეტის მომენტის განსაზღვრას, რადგანაც სწორედ აქ წარმოიშობა ის იურიდიული შედეგები, რაც თან ახლავს აღნიშნული ფაქტის გაუქმებას.

კანონით შეილად აყვანა შეწყვეტილად ჩაითვლება მისი გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შეილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის თაობაზე, ვალდებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი ერთი კვირის ვადაში გადაუგზავნოს სარო-ს შეილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

შეილად აყვანის გაუქმებას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მოტივები, რამაც განაპირობა მისი გაუქმება.

შეილად აყვანის გაუქმებისას წყდება ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესაებს შორის არსებული ურთიერთუფლება-მოვალეობანი და ის აღდგება – შეილსა და მის მშობლებს, აგრეთვე შთამომავლობით ნათესაებს შორის.

თუმცა აღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ ამ უფლებამოვალეობათა აღდგენა ყველა შემთხვევისათვის ავტომატურად შესაძლებელი და დასაშვებია. ამასვე ადასტურებს კანონის მოთხოვნაც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი გადაეცემა მშობლებს, ხოლო თუ ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეილად აყვანის გაუქმებით

შვილსა და მშობლებს, აგრეთვე შთამომავლობით ნათესავეებს შორის ურთიერთუფლება-მოვალეობათა აღდგენა დღის წესრიგში აყენებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც არის ბავშვისათვის სახელის (სახელისა და გვარის) შენარჩუნება. კანონმდებელმა ნება დართო სასამართლოებს, ბავშვის ინტერესების შესაბამისად, გადაწყვიტონ შვილად აყვანისას ბავშვისათვის მიკუთვნიებული გვარისა და სახელის საკითხი. სასამართლომ აქაც უნდა გაითვალისწინოს ბავშვის სურვილი, თუკი მას უკვე შეუსრულდა ათი წელი. შესაბამისმა ცვლილებამ ჩანაწერის სახით ასახვა უნდა პოვოს სარო-ში არსებულ სააქტო წიგნში.

შვილად აყვანის გაუქმების საფუძველთაგან მხოლოდ და მხოლოდ მშვილებლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არაჯერონად შესრულება არის პირობა იმისა, რომ ბავშვს ჰქონდეს მშვილებლისაგან აღიქმის მიღების უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ბავშვის აყვანის გაუქმების შესახებ უნდა აღინიშნოს ყოფილი მშვილებლის მოვალეობა ნაშვილებისათვის აღიქმის გადახდის თაობაზე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. აღიქმის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო მხარეთა ოჯახური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მართალია, შვილად აყვანის გაუქმება, თავისი საფუძველებითა და სამართლებრივი შედეგებით გვაგონებს მშობლის უფლების ჩამორთმევას, მაგრამ მათ შორის მაინც არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და არსებითი სხვაობა. კერძოდ, მშობლის უფლების ჩამორთმევას, კანონი შესაძლებლად მიიჩნევს მის აღდგენას გარკვეული პირობების არსებობისას (მუხლი 1209-ე), რაც შეეხება შვილად აყვანის გაუქმებას, იგი საბოლოოა და არავითარი გარემოებებისა და მოტივების არსებობისას მისი აღდგენა არ შეიძლება.

თუ შვილად აყვანა განხორციელებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით, საოჯახო კანონმდებლობა შვილად აყვანის გაუქმებასთან ერთად ცნობს შვილად აყვანის ბათილად აღიარებასაც. ამ ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები კარგავენ ძალას.

კანონის მოთხოვნათა დარღვევაში იგულისმება ისეთი გარემოებანი, როგორც არის: ა) ყალბ დოკუმენტებზე დამყარებული შვილად აყვანა; ბ) შვილად აყვანის ფიქციურობა; გ) სასამართლოს მიერ მშვილებლის ქმედუნაროდ ცნობა და დ) მშვილებლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა.

აღნიშნული გარემოებების ნათელსაყოფად, განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. ყალბი დოკუმენტების საფუძველზე დაყრდნობით შვილად აყვანით წარმოიშობა ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც ვერ იარსებებდნენ ამ ფაქტის (შვილად აყვანის) გარეშე; ამიტომ დოკუმენტების გაყალბება კანონმდებელმა წარმოშობილი ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველად მიიჩნია და, აქედან გამომდინარე, მასზე დაამყარა უფლება-მოვალეობათა შეწყვეტაც (მაგალითად, ყალბი ცნობის წარმოდგენა მშვილებლის ჯანმრთელობის შესახებ, მშობლის წერილობითი თანხმობის გაყალბება შვილად აყვანაზე, მეუღლის თანხმობის გაყალბება და ა. შ.). თუმცა არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა საშუალებებით არის მიღწეული დოკუმენტის გაყალბება – დოკუმენტია მთლიანად გაყალბებული, თუ ამავე დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი მონაცემია გადასწორებული ან ამოშლილი.

შვილად აყვანის ფიქციურობა ნიშნავს იმას, რომ შვილად აყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეყრდნობა კანონის მოთხოვნათა დაცვით შესრულებულ დოკუმენტს, მაგრამ თვითონ ფაქტი არ ისახავს მიზნად მისგან გამომდინარე ურთიერთობების წარმოშობას, კონკრეტულად კი წინა პლანზე არ არის წამოწეუ-

ლი ბავშვის ინტერესები და, აქედან გამომდინარე, შვილად აყვანის მიზანი. ფიქციური შვილად აყვანა, როგორც წესი, გამომდინარეობს ქონებრივი ინტერესებიდან (მაგალითად, მრავალშვილიანობისათვის დახმარების მიღების უფლება, მემკვიდრეობით მიღებული უფლებამოვალეობების ინტერესები და სხვა), თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ, თუ სასამართლო განხილვის დროს ფიქციური ურთიერთობანი გადასულია იმ რეალურ ურთიერთობაში, რომელიც შეიძლებოდა წარმოშობილი ყოფილიყო არაფიქციური შვილად აყვანისას, სასამართლოს შეუძლია აღნიშნული ჩათვალოს ბავშვის ინტერესების დაცვისათვის აუცილებელ პირობად და ამ მოტივით უარი თქვას შვილად აყვანის ბათილად ცნობაზე.

თუ დარღვეულია კანონის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მშვილბეელი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი და მშობლის უფლების მქონე პირი, ცხადია, მათი უგულებელყოფა კანონმდებლის მიერ სრულიად მართებულად არის მიჩნეული შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძველად. მაგრამ, თუ სასამართლო განხილვის დროისათვის ქმედუნარო პირს აღუდგა ქმედუნარიანობა ან ჩამორთმეული მშობლის უფლება, მაშინ სასამართლო, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, აღარ მსჯელობს შვილად აყვანის ბათილად ცნობის თაობაზე.

კანონმდებლის მიერ შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძველები ამომწურავია და დაუშვებელია სასამართლოს მიერ მათი გავრცობა.

შვილად აყვანის ბათილად ცნობისას, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არის თუ არა თანახმა ნაშვილები, რომელმაც ათი წლის ასაკს მიაღწია.

ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, თუ ვინ არის უფლებამოსილი დააყენოს საკითხი შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ. კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის ასეთი დასაშვებია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და იმ პირთა მოთხოვნით, რომლის უფლებაც დარღვეულია შვილად აყვანით (მუხლი 1272-ე).

შვილად აყვანის გაუქმების მსგავსად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი ბათილად ცნობის მომენტი და დღე. იგი ბათილად ითვლება სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის და არა მისი ბათილად ცნობის მომენტიდან.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ საქმის განხილვისას, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე (ისევე, როგორც მისი გაუქმების დროს), ყველა შემთხვევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ.

სასამართლოს მიერ შვილად აყვანის ბათილად ცნობა იწვევს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს. მისი ბათილად აღიარების მომენტიდან წყდება ურთიერთუფლება-მოვალეობანი მშვილებელსა და ნაშვილებს შორის და აღდგება ბავშვის პირადი და ქონებრივი უფლებები და მოვალეობები თავისი ღვიძლი მშობლებისა და წარმომობით ნათესავების მიმართ.

ყველა სახის ურთიერთობები მშვილებელსა და ნაშვილებს შორის, რომელსაც კი ადგილი ჰქონდა შვილად აყვანის ფაქტის მომენტიდან შემდგომი პერიოდისათვის, არარსებულად ითვლება. მაგრამ, რამდენადაც ქონებრივი ურთიერთობები იმ პერიოდისათვის სრულდებოდა კანონის შესაბამისად, ამ ურთიერთობების დროს გადახდილი თანხები და გადაცემული ქონება დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მართალია, კანონში მითითებული არ არის შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული ბავშვის სახელის (სახელი, გვარი) თაობაზე, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ბათილად ცნობა, რომელიც იწვევს მშობლებთან ურთიერთუფლება-მოვალეობათა აღდგენას, ავტომატურად არ ახდენს ბავშვის სახელის (სახელი, გვარი) შეცვლას ღვიძლი მშობლების გვარისა და სახელის მიმართ.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვი გადაეცემა მშობლებს, ხოლო, თუ ეს არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს – მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. უკანასკნელ შემთხვევაში, სრულიად დასაშვებია ბავშ-

ვისათვის იმ სახელის (სახელი, გვარი) შენარჩუნება, რომელიც მას ჰქონდა შეილად აყვანის დროისათვის. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია იმ ორგანოში, რომელმაც მოახდინა შეილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია, რათა აღდგეს ბავშვის პირველადი რეგისტრაციის მონაცემები.

არ არის გამორიცხული, რომ პრაქტიკაში ადგილი ჰქონდეს შეილად აყვანის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების შეწყვეტას ორივე (გაუქმებისა და ბათილად ცნობის) საფუძველით. ასეთ დროს სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება შეილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ, რადგან აღნიშნულით ძალას კარგავს ყველა ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბათილად ცნობამდე.

მართალია, შეილად აყვანის გაუქმებით ან ბათილად ცნობით ადგილი აქვს მსგავსი სამართლებრივი შედეგების წარმოშობას, მაგრამ მათ შორის მანც არის არსებითი ხასიათის სხვაობა. მსგავსება მდგომარეობს შემდეგში: მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ურთიერთობების შეწყვეტის ორივე ფორმა მიმართულია ბავშვის ინტერესების დაცვისაკენ და მიზნად ისახავს მათ შორის ურთიერთფლება-მოვალეობათა შეწყვეტას, ხოლო სხვაობა კი გამოხატულია შემდეგში – გაუქმებისას მართლზომიერია ყველა ის ურთიერთობა, რომელიც წარმოშობილია შეილად აყვანის გაუქმებამდე და უკუქცევითი ძალა არა აქვს; რაც შეეხება შეილად აყვანის ბათილად ცნობას, იგი იურიდიულ ძალას აკარგვინებს როგორც მისი წარმოშობის საფუძველებს, ასევე შემდგომში დამდგარ შედეგებს; აღნიშნულ აქტს უკუქცევითი ძალა აქვს. თუ შეილად აყვანის გაუქმება დაუშვებელია ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს ნაშვილების, მისი მშობლებისა და მშვილებლის თანხმობა), მისი ბათილად ცნობა დროით შემოფარგლული არ არის.

სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იმავე ქმედებას, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და რაც ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით სამიდან ექვს თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ეს ნორმა ახალია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის, მისი მიღება განაპირობა იმან, რომ ბოლო წლებში გავრცელება პოვა სხვადასხვა სახის ანტისაზოგადოებრივმა ქმედებებმა შვილად ან შვილობილად აყვანის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

§5. ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება

საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 17 ოქტომბერს მიიღო კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირებისა და უცხო სახელმწიფოების მოქალაქეების მიერ საქართველოში მცხოვრები, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, რაც ხორციელდება მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებისა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ბავშვთა უფლებების დაცვის საფუძველზე.

შვილად აყვანასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხე-

ბის მოწესრიგებას ახორციელებს საქართველოს განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ, ეწევიან გარკვეულ საქმიანობას მშვილელეებისა და შეილად ასაყვანი ბავშვების დასაკავშირებლად. აღნიშნული საქმიანობა აკრძალულია როგორც სხვა ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. შეილად აყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობას შეიძლება ეწეოდნენ მხოლოდ განათლებული, ზნეობრივად ამაღლებული პროფესიონალი მუშაკები.

შეილად აყვანის შესახებ საკითხის მომზადების, შესწავლისა და შესაბამისი პროცედურის განხორციელების შემდეგ, საქართველოს განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ტერიტორიული ორგანოები არსებული მონაცემების საფუძველზე ამზადებენ დასკვნას პედაგოგის, პედაგოგის, ბავშვთა ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის, აგრეთვე იურისტის მონაწილეობით, რაშიც ასახვა უნდა პოვოს ბავშვის სურვილებმა და გრძნობებმა, რომელსაც მას წარუდგენენ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა ცენტრალურ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს განათლების სამინისტრო, რომელსაც მონაცემებს აწვდიან სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების თანამდებობის პირები, რომლებსაც გარკვეული მონაცემები გააჩნიათ აღნიშნული კატეგორიის ბავშვების მიმართ. ასეთივე მონაცემები განათლების სამინისტროების ტერიტორიულ ორგანოებს შეიძლება მიაწოდონ მოქალაქეებმაც. ზემოთ მოხსენიებული თანამდებობის პირები ვალდებული არიან 7 დღის განმავლობაში აცნობონ ამის თაობაზე საქართველოს განათლების სამინისტროსა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროთა ტერიტორიულ ორგანოებს.

საქართველოს განათლების სამინისტრო მიღებული მონაცემების

გათვალისწინებით ქმნის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ მონაცემთა ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს. ასეთ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შეცვლის შემთხვევაში, განათლების სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანოებმა და შესაბამისმა დაწესებულებებმა უნდა აცნობონ საინფორმაციო ბანკს ერთი კვირის ვადაში, ბავშვის შესაბამისი აღრიცხვიდან მოხსნის მიზნით.

ცენტრალიზებულად აღრიცხვის წესს ექვემდებარება აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ იმ პირთა აღრიცხვაც, რომელთაც სურთ იშვილონ ბავშვი. ამისათვის მათ განცხადება შეაქვთ საქართველოს განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების ტერიტორიულ ორგანოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, აღრიცხავს ასეთ პირებს და მონაცემებს გადასცემს საინფორმაციო ბანკს.

საინფორმაციო ბანკში არსებულ მშვილებელთა და მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მონაცემების გათვალისწინებით თუ ვერ მოხერხდა მათი გაშვილება აღნიშნულ ტერიტორიაზე, საქართველოს განათლების სამინისტრო მომდევნო 3 თვის განმავლობაში უზრუნველყოფს ბავშვის გაშვილებას საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა ოჯახებში.

თუ საქართველოში, მშვილებელთა და ბავშვთა ინტერესებისა და კანონის გათვალისწინებით, არ მოიძებნა მშვილებელი, ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება. აღნიშნული საკითხის მომზადება შეიძლება მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ორგანოს – საქართველოს განათლების სამინისტროს მეშვეობით. საზღვარგარეთ ბავშვები შესაძლებელია გაშვილებულ იქნენ მხოლოდ მათი საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე აყვანიდან ექვსი თვის შემდეგ.

არსებობს განსხვავებული და წინააღმდეგობრივი შეხედულებები ბავშვების უცხო ქვეყნებში გაშვილების პრაქტიკის მიზანშეწონილობისა და უფრო მეტიც, მორალურობის შესახებ.

ერთნი, ამგვარ პრაქტიკაში უსახლკარო, სიღატაკესა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ბავშვების სახლ-კარით უზრუნველყოფას, მათთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის ერთ-ერთ ფორმას ხედავენ. მეორენი, პროტესტს გამოთქვამენ ბავშვების უცხო ქვეყნებში გაშვილების მიმართ, იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ქვეყნის სიღარიბით სარგებლობენ მდიდარი ქვეყნის მცხოვრებელი უშიშრო წყვილები და იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნებს.

თუ ბავშვს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ემუქრება რაიმე სახის საშიშროება, კანონი შესაძლებელს ხდის სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის შემცირებას.

ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილებისას საქართველოს განათლების სამინისტრო იღებს აუცილებელ ზომებს ბავშვის გამგზავრების ნებართვის, მათი სათანადო წესით გადაყვანისა და საჭიროების შემთხვევაში, მშობლების თანხლებით გამგზავრებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ზრუნავს რა ბავშვის ინტერესების დაცვისა და სამართლიანობის პრინციპის განმტკიცებისათვის, სხვა სახელმწიფოს მოქალაქის მიერ ბავშვის შეილად აყვანის შემთხვევაში, ცენტრალური ორგანო აწვდის ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურას.

შვილად აყვანის საკითხის სრულყოფისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქება, როგორც არის ბავშვის მოქალაქეობის საკითხი შვილად აყვანის შემთხვევაში, კერძოდ,

ა) ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია და მას შვილად აიყვანს საქართველოს მოქალაქე (მოქალაქეები), მშვილებლის (მშვილებელთა) შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბ) ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა,

მშვილდებელთა ერთობლივი შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

გ) ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში მშვილდებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა.

დ) ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა და შვილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა, ან საქართველოს მოქალაქე თუ მოქალაქეობის არმქონე მეუღლეებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ რამდენიმე ქვეყანასთან (მათ შორის უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, სასომხეთთან, თურქმენეთთან, რუსეთთან, თურქეთთან) „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ ხელშეკრულებათა დადების დროს გაითვალისწინა შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების პირობები. მაგალითად, უკრაინასთან დადებული ასეთი სახის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ხელშეკრულების მონაწილე მხარის უფლებები შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებისათვის. კერძოდ, შვილად აყვანისას გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის მშვილდებელი შუამდგომლობის წარდგენის მომენტში. ასეთივეს ითვალისწინებს რუსეთთან, უზბეკეთთან დადებული ხელშეკრულებები; მაგრამ, მაგალითად, აზერბაიჯანსა და თურქმენეთთან დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, თუ ერთ-ერთი მხარე აზერბაიჯანის ან თურქმენეთის მოქალაქეა, გადაწყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ნაშვილები.

თავი მეთერთმეტე

მეურვეობა და მზრუნველობა

§1. მეურვეობისა და მზრუნველობის ცნება და მნიშვნელობა

მშობლიური მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა ინტერესებისა და მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით საოჯახო სამართალი ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის არსებობას, რომლის დანიშნულებაც გამოხატულებას პოვებს მშობელთა და მშობლიური ზრუნვის გარეშე დარჩენილ ბავშვთა დროულად გამოვლენასა და აღრიცხვაში, ასეთი ორგანოების მიერ დანიშნულ მეურვეთა და მზრუნველთა საქმიანობაზე კონტროლში და, რაც მთავარია, ასეთ ბავშვებს უქმნის (ყოველ შემთხვევაში უნდა შეუქმნას) ცხოვრებისა და აღზრდისათვის ოპტიმალურ პირობებს და იცავს მათ პირად და ქონებრივ უფლებებს.

შვილების აღზრდა, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა მშობელთა უპირველესი მოვალეობაა. ამიტომ მათი უფლების დაცვის მომწესრიგებელი ნორმები მიმართულია არა მხოლოდ ამ უფლებამოვალეობათა განხორციელებისაკენ, არამედ ბავშვების აღსაზრდელად მათი პასუხისმგებლობის გაზრდისაკენაც.

კანონით მშობლებს ეკისრებათ თანაბარი უფლება-მოვალეობანი და თანაბარი პასუხისმგებლობაც მათი აღზრდის საქმეში. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა გაითვალისწინა რა მშობელთა მიერ მშობლის უფლების არასათანადოდ შესრულება ან საერთოდ შეუსრულებლობა, შემოიღო საოჯახო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორც არის მშობლის უფლების ჩამორთმევა.

ლოგიკურია, რომ ზემოაღნიშნული ინსტიტუტის პრაქტიკაში განხორციელების შედეგად ადგილი ექნება მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა არსებობას. მაგრამ მხოლოდ ეს არ

არის საფუძველი იმისათვის, რომ არასრულწლოვან ბავშვებს დაუწესდეს მეთვალყურეობის ისეთი ფორმა, როგორც არის მეურვეობა და მზრუნველობა.

ვიდრე თვით ამ ინსტიტუტთა (მეურვეობა და მზრუნველობა) არსის გაგებას შეეუდგებოდეთ, ურიგო არ იქნება გავარკვიოთ, თუ რა კატეგორიის არასრულწლოვან ბავშვებს უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა.

არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლების ქმედუნაროდ ცნობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

ჩამოთვლილი საფუძველების გარდა, მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს აგრეთვე სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლი).

მეურვეობა და მზრუნველობა არის სამართლის კომპლექსური ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს სამოქალაქო, სოჯახო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს. აღნიშნულის თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მეცნიერების ერთი ჯგუფი თვლის, რომ იგი საოჯახო სამართლებრივი ინსტიტუტია და ითვალისწინებს იმ მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვას, რომლებიც განსაკუთრებული ფორმით საჭიროებენ მას¹, ხოლო

¹ Ершова Н. М., Вопросы семьи в гражданском праве, М., 1977, с. 47.

სხვები აღნიშნულს არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებით, რომ მეურვეობა და მზრუნველობა არის სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საოჯახო სამართლებრივ ნორმებთან და ადგენს მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ არასრულწლოვანთა აღზრდისათვის აუცილებელ წესსა და პირობებს. ამდენად, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგების შემადგენელი ინსტიტუტების გააზრება¹.

მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ ნორმათა სამოქალაქო-სამართლებრივმა ხასიათმა განაპირობა ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, უზბეკეთის, ყაზახეთის, რუსეთის და ა.შ.) სამოქალაქო კოდექსში მათი გადმოტანა საოჯახო სამართლიდან და განთავსება ფიზიკურ პირებთან, რითაც წესრიგდება მეურვეობისა და მზრუნველობის ძირითადი საკითხები: მისი ცნება (1275-ე მუხლი), მეურვეობისა და მზრუნველობის მიზნები (1276-ე, 1277-ე მუხლები), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები (1278-ე მუხლი), მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება (1279-ე მუხლი), მეურვისა და მზრუნველის დანიშვნა და დანიშვნის წესი (1281-ე, 1282-ე მუხლები), მეურვისა და მზრუნველის უფლებები (1287-ე, 1298-ე მუხლები), მეურვისა და მზრუნველის გათავისუფლება მათი მოვალეობისაგან (1299-1300-ე მუხლები), მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტა (1302-ე მუხლი).

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალი სწავლობს მეურვეობისა და მზრუნველობის სამოქალაქო სამართლებრივ ასპექტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულმა ნორმებმა, ფუძემდებლური ნორმების სახით, ადგილი უნდა დაიკავოს სამოქალაქო კოდექსის პირველ წიგნში, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებით გათვალისწინებულ ნორმებში, კერძოდ, ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ნორმების გვერდით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ნორმების საოჯახო-სამართ-

¹ Маковский А. Л., "Концепция гражданского кодекса России", М., 1994, с. 29.

ლებრივი ხასიათიდან გამომდინარე, მათი ადგილი საოჯახო სამართალში განპირობებული უნდა იყოს მათი მოქმედებიდან იმ წიგნში, რომელიც განსაზღვრავს მეურვისა და მზრუნველის უფლებასა და მოვალეობას მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი არასრულწლოვნების აღზრდის საკითხებში, როგორც ეს არის სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში.

რაც შეეხება ამ ნორმათა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს, მათი მოქმედება უშუალოდ არის დაკავშირებული როგორც სამოქალაქო სამართლებრივ, ასევე საოჯახო-სამართლებრივ ნორმებთან.

სამწუხაროდ, სამოქალაქო კოდექსმა მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხები განათავსა მეხუთე წიგნის III კარში, რომელიც ეძღვნება საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს, მაშინ, როდესაც მეურვეობა და მზრუნველობა ენიშნებათ არა მხოლოდ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სფეროში მონაწილე პირებსაც, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებული არიან ქმედუნარიოდ ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო. აქედან გამომდინარე, მეურვეობა და მზრუნველობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქმედუნარიანობის ინსტიტუტთან და წარმოადგენს მის ლოგიკურ გაგრძელებას. ეს რომ ნამდვილად ასეა, თვალნათლივ ჩანს თუნდაც უზბეკეთისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე (მუხლი 30-36-ე).

საოჯახო სამართალში მეურვეობისა და მზრუნველობის მომწესრიგებელი ნორმები ანალიზირდება სპეციალურად ბავშვებთან მიმართებაში. კონკრეტულად მეურვეობისა და მზრუნველობის ნორმები ეძღვნება: ა) არასრულწლოვანთა მეურვეობისა და მზრუნველობის ცნებასა და მიზნებს; ბ) ბავშვებზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძვლებსა და წესს; გ) მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობებს; დ) მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტას; ე) მეურვეობისა და მზრუნველობის კოლიზიურ საკითხებს.

მეურვეობა ენიშნებათ ქმედუნარო პირებს, ხოლო მზრუნველობა წესდება შეზღუდულ ქმედუნარიან პირებზე.

ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს. ასეთები არიან:

ა) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა არასრულწლოვანი 7-დან 18 წლის ასაკამდე;

ბ) შეზღუდულქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. იმ პირთა ჩამონათვალი კი, რომელთაც სასამართლო უწესებს მზრუნველობას, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლში, კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს, ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ხდება უდავო წარმოების წესით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლით საქმე იმ მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, რომელიც ეძალეა ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რის გამოც თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, შეიძლება აღძრან მისი ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. განცხადება მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია შეზღუდულქმედუნარიანად, წარმოადგენს საფუძველს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მზრუნველის დასანიშნად.

მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდული ქმედუნარიანი პირების ოჯახის წევრებად კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს: მეუღლე,

შვილები, მშობლები, აგრეთვე სხვა ნათესავები და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების კმაყოფაზე მყოფი არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც მათთან ცხოვრობენ და მათთან ერთად ეწვეიან საერთო საოჯახო მეურნეობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1277-ე მუხლი არასრულწლოვანებთან (7-დან 18 წლამდე) და სასამართლოს მიერ აღიარებული შეზღუდულქმედუნარიან პირთა (სრულწლოვანი პირები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს) გვერდით იხსენიებს სხვა პირებს, რომლებზეც აგრეთვე შეიძლება დაწესდეს მზრუნველობა. ასეთებს წარმოადგენენ სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირები, რომელთაც შეგნებული აქვთ თავისი ქმედების მნიშვნელობა, მაგრამ ფიზიკური ნაკლის გამო (სმენის, მხედველობის დაქვეითების, მუნჯობის, ფიზიკურად გადაადგილების შეუძლებლობისა და სხვა გარემოებათა გამო) არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად განახორციელონ კანონით მათთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობანი. „ასეთ დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხი ისე მძიმე არ არის, რომ სამზრუნველო პირმა საერთოდ ვერ შეასრულოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები. მას სჭირდება დამხმარე მრჩეველი, რომელიც კი არ შეცვლის მას საზოგადოებრივ ურთიერთობებში, არამედ ხელს შეუწყობს თავისი უფლებებისა და მოვალეობების სრულყოფილ განხორციელებაში“¹.

სწორედ ამის გამო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს მიერ სამზრუნველო პირის თანხმობით ინიშნება მზრუნველი (ასეთი თანხმობა არაა აუცილებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მზრუნველის დანიშვნისას). სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია შეზღუდულქმედუნარიანად, არ წარმოადგენს საფუძვ-

¹ რ. შენგელია, საოჯახო სამართალი (კანონთა კომენტარები), თბ., 1999, გვ. 302.

ელს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის მზრუნველის დასანიშნად. მზრუნველი ამ შემთხვევაში ინიშნება სასამართლოს მიერ. ასეთ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში როგორც ქმედუნარიანმა პირებმა და ამისათვის საჭირო არაა მზრუნველის თანხმობა, ე.ი. არსებობს სამი კატეგორიის ფიზიკური პირი, რომელთაც შეიძლება ჰყავდეთ მზრუნველი:

ა) არასრულწლოვანები 7-დან 18 წლამდე;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრული პირები (სრულწლოვანი პირები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ, რის გამოც მათ სასამართლოს მიერ შეეზღუდათ ქმედუნარიანობა და დაენიშნათ მზრუნველი);

გ) სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირები, თუ მათ თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

ამასთან, არასრულწლოვნები 7-დან 18 წლამდე შეზღუდულქმედუნარიან პირებად ითვლებიან კანონის ძალით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პირები შეზღუდულქმედუნარიანად ჩაითვლებიან მას შემდეგ, რაც სასამართლო აღიარებს მათ შეზღუდულქმედუნარიანად, რის შემდეგადაც მათ უწესდებათ მზრუნველობა. 1277-ე მუხლით გათვალისწინებულ სრულწლოვან ქმედუნარიან პირებს შეიძლება ასევე დაუწესდეთ მზრუნველი, რისი საფუძველიც არის არა ამ პირთა შეზღუდული ქმედუნარიანობა, არამედ მათი ფიზიკური მდგომარეობა.

პირები, რომლებსაც შეეზღუდათ ქმედუნარიანობა იმის გამო, რომ ბოროტად იყენებდნენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებდნენ, უფლებამოსილნი არიან დადონ ქონების გან-

კარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგონ ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადების გარდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებაში მითითებულია, რომ შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვანები 7-დან 18 წლამდე სარგებლობენ ისეთივე ქმედუნარიანობით, როგორითაც არიან აღჭურვილნი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლში მითითებული პირები. კერძოდ, ისინი უფლებამოსილნი არიან დადონ ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგონ ხელფასი, პენსია და სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადების გარდა.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ყველა სხვა სახის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლით ასეთი თანხმობა არ არის აგრეთვე საჭირო იმ შემთხვევებში, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს (არასრულწლოვანებს 7-დან 18 წლამდე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ პირებს) არ სჭირდებათ მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადების დროს და აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი გარიგებით იღებენ სარგებელს; ყველა სხვა შემთხვევაში მათ მიერ დადებული გარიგებები ბათილ გარიგებათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

ამასთან, წვრილმან საყოფაცხოვრებო გარიგებათა ცნების ქვეშ იგულისხმება გარიგებები, რომლებიც დადებულია მცირე ოდენობით განსაზღვრულ ნაღდ ფულზე და მისი შესრულება ხდება გარიგების დადებისთანავე. აღნიშნული გარიგებები მიზნად ისახავენ შემძენის

პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას (საკანცელარიო ნივთების, სურსათისა და სხვათა შეძენას).

საკითხი ბუნდოვანი ხდება მაშინ, როდესაც არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებით შემოდის ისეთი ცნება, როგორც არის სარგებელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთი გარიგებები, რომლითაც შეზღუდულქმედუნარიანი პირები იღებენ სარგებელს, არ მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას, მაგრამ რას წარმოადგენს თვითონ სარგებელი – კოდექსი არ განმარტავს. მიჩნეულია, რომ აღნიშნული ცნება უნდა განისაზღვროს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე¹.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები ერთნაირად არიან შეზღუდული ქმედუნარიანობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობას ღებულობენ თანაბარი უფლებებით, რაც მართებულად არ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ შრომის კანონმდებლობა, მათი მსგავსი შეზღუდული ქმედუნარიანობის მიუხედავად, სხვადასხვაგვარად წყვეტს შრომით საქმიანობაში ჩაბმის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხს. კერძოდ, შრომითი საქმიანობა დაიშვება 16 წლის ასაკიდან, მაშინ აღნიშნულ ასაკში მყოფი პირი ქმედუნარიანობის თვალსაზრისით გათანაბრებულია, მაგალითად, 7, 8 და ა. შ. (18 წლამდე) ასაკის პირთან. იგივე შეიძლება ითქვას, სამეწარმეო კანონმდებლობასთან მიმართებაში, კერძოდ, თუ თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას (ემანსიპაცია), მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობაში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება; თუმცა საწარმოს გაძღოლის ნებართვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ დაიშვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით

¹ ლ. ჭანტურია, „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1997, გვ. 157.

(მუხლი 65-ე); აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვა: თუ 7-დან 18 წლამდე ასაკის პირები გათანაბრებული არიან ქმედუნარიანობის თვალსაზრისით და არიან შეზღუდულქმედუნარიანი, რატომ არ შეიძლება, რომ 7, 8 და ა. შ. 16 წლამდე ასაკის პირმა მონაწილეობა მიიღოს შრომით ურთიერთობაში ან მიენიჭოს მას საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება? უფრო მეტიც, საოჯახო სამართალში კანონმდებელი, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებს არა 7 წელს, არამედ მხოლოდ 10 წელს მიღწეული არასრულწლოვანის თანხმობას (მაგალითად, გვარის გამოცვლისას, გაშვილებისას, მშობლის უფლების აღდგენისას, შვილობის გაუქმებისას, შვილად აყვანის ბათილად ცნობისას).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუღებლად მიგვაჩნია ქმედუნარიანობის განსაზღვრა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით დაწესებულ ფარგლებში (7-დან 18 წლამდე).

ასეთი ასაკობრივი ამპლიტუდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში ათანაბრებს არასრულწლოვნებს (7-18 წლამდე) უფლებებთან მიმართებაში¹.

გერმანიის კანონმდებლობის მიერ სამი ასაკობრივი ჯგუფის გამოყოფა (რომლის მოდელზეც აგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმა) სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული უდავოდ იქნეს მიღებული ქართული სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში. მით უმეტეს, როცა ზოგიერთი ქვეყნის (ავსტრიის, რუსეთის და ა. შ.) სამოქალაქო კანონმდებლობა, გერმანიის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო მისაღები ფორმით ახდენს სამი ასაკობრივი ჯგუფის გამოყოფას – 7 წლამდე, 7-დან 14 წლამდე და 14-დან 19 წლამდე (მაგალითად, რუსეთში – 18 წლამდე).

აღსანიშნავია, რომ ყოველი მომდევნო ჯგუფის წევრთა შეზღუდუ-

¹ ლ. ჭანტურია, „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1997, გვ. 152-153.

ლი ქმედუნარიანობის მიუხედავად, მათი უფლებამოსილებანი უფრო ფართოა, ვიდრე წინა ჯგუფის.

მიგვაჩნია, რომ ყველაფერი ის რაც ძველია, ცუდი არ არის. სასურველია, ახალ სამოქალაქო კოდექსში შენარჩუნებული ყოფილიყო ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მე-13 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული ქმედუნარიანობის ფარგლები (15 წლამდე და 15-დან 18 წლამდე).

მეურვეობა ენიშნებათ არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ შვიდი წლის ასაკისათვის, აგრეთვე პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან ქმედუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. სასამართლოს გადაწყვეტილება პირის ქმედუნაროდ ცნობის შესახებ, ეყრდნობა ექიმის ან საექიმო კომისიის დასკვნას პირის სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ქმედუნარო პირთა ინტერესებიდან გამომდინარე, იურიდიულ მოქმედებებს ასრულებენ მათი მეურვეები.

სასამართლოს მიერ პირის ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას, რაც ლოგიკურად აუქმებს ზემოთქმული გარიგებების დადების დროს მზრუნველის თანხმობის აუცილებლობას.

თუ პირს, რომელსაც დაუწესდა მეურვეობა და მზრუნველობა, სხვა ადგილას აქვს ქონება, აუცილებლობის შემთხვევაში, კანონი მეურვისა და მზრუნველის თანხმობით, ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის დანიშვნას ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით სამოქალაქო კოდექსის (1286-ე მუხლი). იგივე შეიძლება ითქვას, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ქონებაზეც (მუხლი 21-ე). უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ რომელი ორგანოები არიან აღჭურვილნი მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის უფლებით.

ასეთად კანონი აღიარებს განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს. კერძოდ, არასრულწლოვანი პირის მზრუნველობა და მეურვეობა ეკისრება განათლების ადგილობრივ ორგანოს, სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის – ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო იმ ქმედუნარიანი პირის, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს მზრუნველობას – სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოს.

მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება მიზნად ისახავს არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების დაცვას არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი არ ცხოვრობს მშობლებთან, არამედ მაშინაც, თუ ბავშვი ცხოვრობს ოჯახში, მაგრამ მშობლები თავს არიღებენ ან არაჯეროვნად ასრულებენ აღზრდის მოვალეობებს; ასეთ შემთხვევებში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თხოვნით ბავშვის მშობლები-სათვის ჩამორთმევისა და (როგორც მშობლის უფლების შენარჩუნებით, ასევე რიგ შემთხვევაში ჩამორთმევიანაც) მისი მეურვეობაში ან მზრუნველობაში გადაცემის საკითხის გადაწყვეტის შესახებ. რაც შეეხება სამზრუნველო პირის თანხმობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მზრუნველის შერჩევა სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისათვის, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

ის ფაქტი, რომ ასეთ პირებს ჰყავთ ახლობელი ადამიანები, რომლებსაც კანონით ეკისრებათ მოვლა-პატრონობა და ზრუნვა მათზე, არ წარმოადგენს ხელშემშლელ გარემოებას მზრუნველის დანიშვნასთან დაკავშირებით. ასეთ დროს მხედველობაში მიიღება მისი პიროვნული თვისებები, დაკისრებული მოვალეობების შესრულების უნარი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც უკვე არსებობს მასა და სამეურვეო ან სამზრუნველო პირს შორის.

მეურვეობა და მზრუნველობა, როგორც ბავშვების მოწყობის ფორმა, არ გულისხმობს ბავშვებსა და მშობლებს შორის ურთიერთობის მთლიანად შეწყვეტას, როგორც ეს ხდება შვილად აყვანის დროს. უმეტესად, მეურვედ ან მზრუნველად ინიშნება ბავშვის ახლო ნათესავი, რომელსაც არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს ბავშვისა და მშობლის ურთიერთობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ურთიერთობები ეწინააღმდეგებიან ბავშვის ინტერესებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის არსებობის მიზანი არის არა ბავშვის აღზრდა, არამედ მათი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა.

§3. მუშაკმითა და მზრუნველთა უფლება-მოვალეობები

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება დავაკონკრეტოთ იმ პირთა წრე, რომლებიც კანონით შეიძლება დანიშნულ იქნენ მეურვედ ან მზრუნველად. მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დანიშნულ იქნეს:

- ა) 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი;
- ბ) სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირი;
- გ) მშობლის უფლებამართმეული პირი;
- დ) მშვილებელი, რომლებსაც სასამართლოს მიერ შვილად აყვანის გაუქმების საფუძველზე შეუწყდათ მშვილებლის უფლება.
- ე) პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა ამ მოვალეობას.

მართალია, კანონი არ აკონკრეტებს ვინ შეიძლება დანიშნოს მეურვედ ან მზრუნველად, მაგრამ არსებითად განსაზღვრავს პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ აღნიშნული პირები. ასეთად შესაძლებელია დანიშნონ პირები, რომლებიც შერჩეული არიან ახლო ნათესავებიდან, ან სხვა პირები, რომლებსაც შესწევთ უნარი სრულყოფილად განახორციელონ ის უფლებამოსილებანი, რაც მეურვეობით

ან მზრუნველობით ეკისრებათ მათ. მეურვეობისა და მზრუნველობის მოვალეობა შესაძლებელია დაეკისროს მხოლოდ ერთ პირს; კანონი არ ითვალისწინებს ერთ სამზრუნველო ან სამეურვეო პირზე ერთდროულად ორი მზრუნველის ან მეურვის დანიშვნას, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ერთი მზრუნველის ან მეურვის დანიშვნა რამდენიმე სამზრუნველო ან სამეურვეო პირისათვის. ასეთს ადგილი აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა რამდენიმე არასრულწლოვანი უმეტესა-ლყურედ და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი დაძმანი და ა. შ.

მეურვე ან მზრუნველი ინიშნება არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც უფლებამოსილი ორგანოსათვის ცნობილი გახდება მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების აუცილებლობის თაობაზე. ვიდრე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აღნიშნულის შესახებ მიიღებს გადაწყვეტილებას, მეურვისა და მზრუნველის ფუნქციას კისრულობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

კანონით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა მაქსიმალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ არის შეზღუდული, რომ ამ ვადაზე ადრეც, თუკი ამის შესაძლებლობა ფიზიკურად არსებობს, მოახდინოს მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა.

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის ქმედუნაროდ აღიარებისა და მისთვის მეურვის დანიშვნის თაობაზე, მოვალეა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 3 დღისა, აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ქმედუნაროდ აღიარებული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებულ წესს მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებით იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც იზრდებიან საბავშვო დაწესებულებაში და აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირების მიმართაც, რომლებიც იმყოფებიან სპეციალურ დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევაში მეურვის ან მზრუნ-

ველის მოვალეობის შესრულება ეკისრება არა მათ აღმზრდელებსა და პედაგოგებს, არამედ დაწესებულების ადმინისტრაციას.

ასეთი კატეგორიის ბავშვებსა და მოზარდებზე პასუხისმგებლობას კისრულობს რა სახელმწიფო, ის თავისი ორგანოების (ადმინისტრაციის) მეშვეობით იღებს ვალდებულებას მასზე მეურვეობისა და მზრუნველობის განხორციელებით.

იმ პირთა საქმიანობაზე, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეწევიან მეურვეობასა და მზრუნველობას, ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო ან სამზრუნველო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მეურვე და მზრუნველი ახორციელებს რა არასრულწლოვანების ან მათ დაქვემდებარებაში მყოფი სხვა კატეგორიის პირთა მოვალეპატრონობის ვალდებულებას, კანონმდებელმა აღჭურვა გარკვეული უფლებებით, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს მაქსიმალურად გამოავლინონ ის თვისებები, რაც აუცილებელია ამ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულებისათვის. მეურვეობა და მზრუნველობა ეყრდნობა ნებაყოფლობის პრინციპს და სრულდება უსასყიდლოდ.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია მეურვისა და მზრუნველის მოვალეობა იზრუნონ სამეურვეო ან სამზრუნველო პირის რჩენისა და მისთვის აუცილებელი ყოფითი პირობების შექმნისათვის, აგრეთვე მოვლისა და მკურნალობისათვის. მართალია, მეურვეობა და მზრუნველობა წარმოადგენს კანონით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მაგრამ იგივე კანონი იურიდიულად არ ავალდებულებს მათ ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას საკუთარი სახსრებით. თუ ხარჯების გარკვეული რაოდენობა აუცილებელია სამეურვეო ან სამზრუნველო პირის რჩენის, მოვლის ან მკურნალობისათვის და მათი დაფარვა შეუძლებელია სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ხელფასის, პენსიის ან ალიმენტის საშუალებით, დღის წესრიგში დგება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონების რეალიზაციისათვის მეურვისათვის (მზრუნველისათვის) თანხმობის მიცემის საკითხი.

ყველაზე უფრო ხშირად მეურვედ (მზრუნველად) ინიშნებიან ბავშვის ახლო ნათესავები (პაპა, ბებია, დეიდა, მამიდა, ბიძა, და-ძმა და ა.შ.). ამ დროს უფრო ოპტიმალურად შეიძლება იქნეს გათვალისწინებული მეურვის (მზრუნველის) პიროვნებისადმი წაყენებული მოთხოვნები და თვით ბავშვის სურვილი. თუმცა ასეთ შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს, რომელთა თანახმად შესაძლებელი გახდება გადაწყვეტილების მიღება ბავშვის მეურვედ (მზრუნველად) მისი ნათესავის დანიშვნის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაბრკოლებათა არსებობისას.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია აგრეთვე დაუნიშნოს ბავშვს მეურვე (მზრუნველი) თვით მის მშობელთა თხოვნით, თუ მათ ამა თუ იმ კონკრეტული მიზეზის გამო (ხანგრძლივი მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) არ შეუძლიათ პირადად განახორციელონ ბავშვის ქონებრივი და პირადი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ამასთან, მშობლებს შეუძლიათ შესთავაზონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეურვის (მზრუნველის) კანდიდატურა.

თუ მეურვე ან მზრუნველი დანიშნულია იმ პირთაგან, რომლებსაც კანონით ისედაც ეკისრებათ მათზე რჩენის ვალდებულება (მაგალითად, ბებია, პაპა, უფროსი ძმა, და, ან სხვა ახლო ნათესავები), ასეთ შემთხვევაში მათი მეურვეობა და მზრუნველობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეყრდნობოდეს ნათესაურ კავშირს და არა მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებას (მუხლი 1225-ე).

მეურვეები და მზრუნველები დანიშნული არიან რა კანონის საფუძველზე, არ საჭიროებენ განსაკუთრებული უფლებამოსილებით წარდგენენ სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან და თვით სასამართლოშიც კი. თუ პირები, რომლებიც ვალდებული არიან არჩინონ სამზრუნველო ან სამეურვეო პირები (მაგალითად, მშობლის უფლებამოსილებით დანიშნული პირები, მუხლი 1206-ე), უარს ამბობენ ბავშვის სასარგებლოდ სარჩოს გადახდაზე, მეურვე ან მზრუნველი უფლებამოსილია აღძრას სარჩე-

ლი მშობლის მიმართ აღიმენტიის გადახდევინების თაობაზე.

მეურვისა და მზრუნველის მოვალეობათა ჯეროვანი განხორციელების მიზნით, კანონი ვალდებულს ხდის მათ იცხოვრონ სამეურვეო ან სამზრუნველო არასრულწლოვან პირთან ერთად. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია კანონის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მეურვესა და მზრუნველს მიენიჭოთ უფლება სასამართლო წესით მოითხოვონ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი არასრულწლოვანი ბავშვების დაბრუნება ყველა იმ პირისა თუ დაწესებულება-ორგანიზაციისაგან, ვისთანაც არაკანონიერად იმყოფებიან ისინი. კანონი უშვებს გარკვეულ გამონაკლისსაც მათი ერთად ცხოვრების მოთხოვნის აუცილებლობიდან, კერძოდ, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს სამეურვეო ან სამზრუნველო ბავშვის ინტერესების დაცვის განხორციელებას მეურვის ან მზრუნველის მასთან თანაცხოვრების გარეშე, იგი შესაძლებელს ხდის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა თანხმობით, მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალ-ცალკე ცხოვრებას.

მეურვისა და სამეურვეო პირის ერთად ცხოვრების ვალდებულება არ ეკისრება ქმედუნარო სრულწლოვანი პირის მეურვესა და ქმედუნარო სრულწლოვანი პირის მზრუნველს.

შესაძლებელია, რომ სულით ავადმყოფი პირის მეურვეობაში ყოფნის პერიოდი არ გაგრძელდეს მისი სიცოცხლის ბოლომდე. არის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს ასეთი პირის გამოჯანმრთელებას. ასეთ დროს, მეურვე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით სამეურვეო პირის ქმედუნარიანად ცნობისა და მისთვის მეურვეობის მოხსნის შესახებ.

მეურვისა და მზრუნველისათვის კანონით დადგენილი წესით მინიჭებული უფლება-მოვალეობათა წრე განსაზღვრულია. არსებობს გარემოებანი, რომლებიც გარკვეულწილად ზღუდავენ მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებას; აღნიშნული ძირითადად ეხება სამეურვეო და სამზრუნველო პირის ქონებრივ უფლებებს; კერძოდ,

მეურვეს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე, უფლება არა აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს – სამზრუნველო პირის სახელით თანხმობა განაცხადოს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირაებას, ათ წელზე მეტი ვადით გაქირაებას, თხოვებას ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმის, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლის, სესხის აღების, ქონების გაყოფის, ან ისეთ მოქმედებებს, რომლებსაც შედეგად შესაძლებელია მოჰყვეს ქონების შემცირება; აქედან გამონაკლისს წარმოადგენს მალფუჭადი ქონების გასხვისება, რომელიც შესაძლებელია გაიყიდოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვის გარეშე. კანონმდებელი კატეგორიულად კრძალავს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადებას; გარდა ამისა, მეურვის ან მზრუნველის უფლება-მოვალეობათა ბოროტად გამოყენების აკრძალვის მიზნით, მეურვესა და მზრუნველს, მათ მეუღლეებსა და ახლო ნათესაებს უფლება არა აქვთ დადონ გარიგება სამეურვეო ან სამზრუნველო პირთან, აგრეთვე არ შეიძლება ისინი იყვნენ ამ პირთა წარმომადგენლები გარიგების დადებისას ან სასამართლოში საქმის წარმოებისას სამეურვეო ან სამზრუნველო პირსა და მეურვეს ან მზრუნველის მეუღლესა და მათ ახლო ნათესაებს შორის.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვის მიღება აუცილებელია მშობლების მიერ შვილების კუთვნილი ქონების გამო გარიგების დადების დროსაც, როცა ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი არასრულწლოვანი შვილების ინტერესების დარღვევა.

§4. მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტა

მეურვესა და სამეურვეო პირს, აგრეთვე მზრუნველსა და სამზრუნველო პირს შორის ურთიერთობა შესაძლებელია შეწყდეს შემდეგი საფუძვლებით: 1) მეურვის ან მზრუნველის გათავისუფლებით; 2) გადაყენებით; 3) ან სხვა საფუძვლებით.

მეურვე და მზრუნველი შეიძლება გათავისუფლდნენ თავიანთი მოვალეობისაგან: ბავშვის მშობლებისათვის აღსაზრდელად დაბრუნების, გაშვილების, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში. მეურვის ან მზრუნველის გათავისუფლება შესაძლებელია მათი პირადი თხოვნის საფუძველზე. ასეთ დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს თხოვნა პატივსაღებ მიზეზს ემყარება (ავადმყოფობა, სამეურვეო ან სამზრუნველო პირთან შეუთავსებლობა და სხვა). მზრუნველის გათავისუფლება არ ხდება მხოლოდ მისი თხოვნით. კერძოდ, სრულწლოვანი პირის მზრუნველი შეიძლება გათავისუფლდეს თავისი მოვალეობისაგან სამზრუნველო პირის თხოვნით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით, სამზრუნველო პირს შესაძლებელია მზრუნველად დაენიშნოს მისთვის სასურველი პირი.

მეურვის ან მზრუნველის მოვალეობებისაგან გათავისუფლების საფუძველი ატარებს ერთგვარ შეთანხმებით ხასიათს. ამგვარ შეთანხმებას მოკლებულია აღნიშნული მოვალეობისაგან გადაყენება, რომელიც ითვალისწინებს მეურვის ან მზრუნველის მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებას ან მათ მიერ მეურვეობის ან მზრუნველობის ანგარებით გამოყენებას; აგრეთვე იმ შემთხვევას, როცა სამეურვეო ან სამზრუნველო პირი დარჩა დახმარების გარეშე. ამ შემთხვევაში მეურვის ან მზრუნველის არა მხოლოდ გადაყენებას აქვს ადგილი, არამედ ისინი პასუხს აგებენ კანონით დადგენილი წესით.

ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლების გარდა მეურვეობის შეწყვე-

ტას იწვევს: 1) სამეურვეო პირის გარდაცვალება; ბ) სამეურვეო არასრულწლოვანი პირის 7 წლის ასაკს მიღწევა (კანონით დადგენილი წესით მისი ქმედუნაროდ აღიარების გარდა); გ) 7 წლის ასაკს მიუღწეული სამეურვეო პირის მშობლისათვის აღსაზრდელად დაბრუნება და დ) ქმედუნაროდ ცნობა. საინტერესოდ არის გადაწყვეტილი მეურვეობის შეწყვეტის საკითხი სამზრუნველო ასაკის მიღწევის გამო. თუ სამეურვეო არასრულწლოვანმა პირმა მიაღწია 7 წლის ასაკს, მეურვეობა წყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე; მეურვე ავტომატურად ხდება მზრუნველი. დანარჩენ სხვა შემთხვევაში, მეურვეობა წყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით; მზრუნველობის შეწყვეტისათვის აუცილებელ პირობებს კი განეკუთვნება: ა) სამზრუნველო პირის გარდაცვალება; ბ) სამზრუნველო არასრულწლოვანი პირის სრულწლოვანების მიღწევა; გ) სამზრუნველო არასრულწლოვანი პირის დაქორწინება დ) იმ მიზეზთა მოსპობა, რომლებმაც განაპირობა მზრუნველის დანიშვნა (1304-ე მუხლი). აქაც, ისევე როგორც მეურვეობის შეწყვეტისას, მზრუნველობა წყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება, მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის, გადაყენებისა და გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

თავი მეორე

ოჯახში შვილად მიღებული ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობა

ბავშვის მოწყობის კონკრეტული ფორმის შერჩევამდე მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები შესაძლებელია ცხოვრობდნენ სპეციალიზებულ დაწესებულებებში (მაგალითად, არასრულწლოვანთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში).

სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს №445 ბრძანებულების გამოცემა „საქართველოში მცხოვრებ უდემდამო ბავშვთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის დამატებით ღონისძიებათ შესახებ“.

აღნიშნული ბრძანებულება ითვალისწინებდა ბავშვების აღსაზრდელად გადაცემას ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც აღმზრდელები (მიმღები ოჯახის წარმომადგენლები) დებდნენ თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებთან, განსაზღვრული ვადით ან მის გარეშე. ამ ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, რომლებიც არსებითად განსხვავდებოდა, მაგალითად, ნაშვილები ან სამზრუნველო და სამეურვეო ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობისაგან.

ამ ბრძანებულებით წარმოშობილი ურთიერთობები ატარებდა ისეთ ხასიათს, რომელიც, სამწუხაროდ, არც სამოქალაქო კოდექსითა და არც სხვა ნორმატიული აქტით მოწესრიგებული არ იყო.

აღნიშნული ბრძანებულებით საქართველოში მცხოვრებ იმ ოჯახებს, რომლებიც ზრუნვისა და მეურვეობისათვის თავის წევრად მიიღებდნენ სახელმწიფო აღმზრდელობით დაწესებულებებში განთავსებულ უდემდამო ბავშვებს, დაუწესდათ საქართველოს პრეზიდენტის ერთჯერადი თანადგომა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე.

1998 წელს ამ მიზნით თანხები გამოიყო საქართველოს სახ-

ელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან (შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან) თვეში ორმაგი მინიმალური ხელფასის ოდენობით ბავშვის სრულწლოვანებამდე. დასახელებული თანხები მიმღებ ოჯახებს გამოეყოფოდათ გარკვეული მიზნებისათვის – ბავშვთა კვებისათვის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენისათვის, სამეურნეო დანიშნულების საგნების, პირადი ჰიგიენის ნივთების, სათამაშოების შეძენისათვის და ა.შ.

პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების აღზრდის ფორმა მსგავსი იყო ადრე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პატრონაჟისა, თუმცა ორივე ფორმა არსებითად განსხვავდება ოჯახის წევრად ბავშვის ფაქტობრივი მიღებისაგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მშობლების საალიმენტო ვალდებულებები გათანაბრებულია კანონიერ მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ვალდებულებებთან, რაც გამორიცხული იყო ბავშვის ოჯახში მიღების შემთხვევაში. თუ ბავშვის ოჯახში მიღებას საფუძვლად ედო ხელშეკრულება, ფაქტობრივ აღსაზრდელად ოჯახში მიღება ემყარება ბავშვის აღზრდის ფაქტს. რაც შეეხება მეურვეობასა და მზრუნველობას, იგი ეფუძნება პირის მიმართვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის მეურვის ან მზრუნველის დანიშნის შესახებ.

პირი, რომელიც ბავშვს მიიღებდა ოჯახში აღსაზრდელად, ღებულობდა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას. რაც შეეხება პატრონაჟის საფუძველზე ბავშვის ამყვან პირს, იგი სამართლებრივად უთანაბრდებოდა მეურვეს და მისი უფლებრივი მდგომარეობა წესრიგდებოდა მეურვისათვის დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმებით. შვილებულად მიღებული ბავშვის აღსაზრდელად დადებული ხელშეკრულების მიხედვით ბავშვის მიმღები ოჯახი ვალდებული იყო შეექმნა აუცილებელი პირობები განათლების მიღებისათვის, ეზრუნა მის ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, ფსიქიკურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე. ხელშეკრულება-

შივე უნდა ყოფილიყო მითითებული იმის თაობაზე, რომ შვილად მიმღები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფდა მის მკურნალობას.

ხელშეკრულებაში აღნიშნულ უფლება-მოვალეობებზე კონტროლს ახორციელებდნენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

იმის გამო, რომ ბრძანებულება ვერ ამოწურავდა მოწესრიგებულ ურთიერთობებს, სახელმწიფოს წინაშე მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მიმართ მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უმაღლესი ნორმატიული აქტის (კანონის) მიღება, რომლის მიზანიც იქნებოდა შვილობლად აყვანის სისტემის ამოქმედებით უზრუნველყო ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლება და ზედამხედველობის პროფილაქტიკა, სოციალური ობლობის მასშტაბების შემცირება, ბავშვის პიროვნებად ფორმირებისათვის ხელის შეწყობა, საზოგადოებაში მისი სოციალიზაცია და ადაპტაცია.

სწორედ ამ მიზნით საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“, რომლის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე.

კანონი განსაზღვრავს შვილობილად აყვანის სამართლებრივ პრინციპებს, აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც მათი განხორციელებისას წარმოიქმნება სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის, ადგენს შვილობილად აყვანის წესს, პროცედურასა და ამ პროცესის განხორციელების გარანტიებს.

საქართველოში ოდითგანვე მიღებული იყო უპატრონო (ობოლი) ბავშვების აყვანა ოჯახში, მათი აღზრდის მიზნით. ამისათვის ასეთ ოჯახებს გადაეცემოდათ თანხები ხაზინიდან. შემდგომში, ობოლი ბავშვების ოჯახში აღსაზრდელად მოწყობა არსებობდა სხვადასხვა ფორმებში (პატრონაჟი, პატრონატი). ომის შემდგომ სახელმწიფოს არ ჰქონდა შესაძლებლობა მატერიალური დახმარება გაეწია მიმღე-

ბი ოჯახისათვის და ამის გამო პატრონატის ინსტიტუტი შეუერთდა მეურვეობის (მზრუნველობის) ინსტიტუტს. ძველი კოდექსი (1964 წ.) უკვე აღარ ითვალისწინებდა პატრონატს, როგორც მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა ოჯახში მოწყობის ფორმას.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დაიწყო მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვების აღზრდის განხორციელების ახალი ეტაპი – ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლების შექმნის სახით. ეს არის ობოლი და მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მოწყობის ფორმა ხელშეკრულების საფუძველზე (ბავშვის გადაცემის შესახებ), რომელიც იდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და მიმღებ მშობლებს შორის. მიმღები ოჯახი შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის ოჯახში აღზრდის უფლება, რასაც კანონი აშკარა უპირატესობას ანიჭებს.

შვილობილად მიღებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების სამინისტრო, თავისი ტერიტორიული ორგანოების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და მათი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, შვილობილად აყვანის, ისევე როგორც შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საკითხებს, აწესრიგებს საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მონაცემები საქართველოს განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ტერიტორიულ ორგანოებს შეიძლება მიაწოდონ აგრეთვე ნებისმიერმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა.

სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, ბავშვთა სოციალური დაცვის, რეაბილიტაციის (თავშესაფარი), ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა დაწესებულებათა (მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) თანამდებო-

ბის პირები, რომლებსაც აქვთ მონაცემები ობოლი და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვების შესახებ, ვალდებული არიან ერთი კვირის ვადაში აცნობონ საქართველოს განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ტერიტორიულ ორგანოებს ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ.

საქართველოს განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ტერიტორიული ორგანოები ასეთი ინფორმაციის მიღებიდან 3 დღეში ამოწმებენ მონაცემებს და თუ დადასტურდა, რომ ბავშვი ობოლია ან დარჩენილია მშობლების მზრუნველობის გარეშე, უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი განთავსების საკითხის გადაწყვეტამდე.

საქართველოს განათლების სამინისტრო, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აწარმოებს ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ცენტრალურ აღრიცხვას და ამ მონაცემებს გადასცემს შესაბამის სამსახურს, მონაცემთა საინფორმაციო ბანკში შესატანად.

საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც სურთ აღსაზრდელად აიყვანონ ბავშვი, განცხადება შეაქვთ საქართველოს განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც აღრიცხავენ ასეთ მოქალაქეებს და მონაცემებს გადასცემენ შესაბამის სამსახურს საინფორმაციო ბანკში შესატანად.

განცხადებისა და მასზე დართული ცნობების საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ამოწმებენ შვილობილის აღზრდის მსურველ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებს, ადგენენ აქტს და ამზადებენ დასკვნას საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის თაობაზე.

დადებითი დასკვნის არსებობისას მეურვეობისა და მზრუნ-

ველობის ორგანოები შვილობილის აღზრდის მსურველებთან, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დებენ ერთთვიან ხელშეკრულებას ბავშვის გადაცემის შესახებ, რაც საჭიროა მისი ადაპტაციისათვის.

საადაპტაციო პერიოდი არ არის საჭირო სამ წლამდე ასაკის ბავშვისათვის.

თუ საადაპტაციო პერიოდის განმავლობაში ბავშვი ვერ შეეგუა მიმღებ ოჯახს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შემდგომი განთავსების შესახებ.

თუ საადაპტაციო პერიოდის განმავლობაში ბავშვი შეეგუა მიმღებ ოჯახს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და შვილობილის აღზრდის მსურველებს შორის ფორმდება ხელშეკრულება (ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ბავშვის მიმღებ ოჯახში გადაცემის შესახებ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვადით, რის საფუძველზეც, იმ დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, საიდანაც გადაეცა ბავშვი მიმღებ ოჯახს, იგი საბოლოოდ იხსნება აღრიცხვიდან.

მეურვისაგან (მზრუნველისაგან) განსხვავებით, მიმღები მშობლები იმყოფებიან ხელშეკრულებით ურთიერთობაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან და იღებენ ანაზღაურებას თავისი მოვალეობების შესრულებისათვის. გარდა ამისა, ბავშვებსა და მიმღებ მშობლებს შორის შეიძლება წარმოიქმნას უფრო მჭიდრო კავშირი, ვიდრე სამეურვეო პირებსა (ბავშვებს) და მეურვეებს (მზრუნველებს) შორის, რაზეც ასევე მიუთითებს მიმღები ოჯახის სუბიექტთა დასახელებები – „მიმღები ოჯახი“ და „შვილობილი“.

ბავშვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შინაარსი

ბავშვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს: ა) ბავშვის რჩენის (შენახვის), აღზრდისა და განათლების პირობებს; ბ) ვადას, რომლის განმავლობაშიც ბავშვი მოეწყობა

მიმღებ ოჯახში; გ) მიმღები ოჯახის უფლება-მოვალეობებს; დ) მიმღებ ოჯახთან მიმართებაში მეურვობისა და მზრუნველობის ორგანოს მოვალეობებს; ე) ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველსა და შედეგებს.

ხელშეკრულება იდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და მიმღებ მშობლებს შორის ბავშვის საცხოვრებელი (ადგილსამყოფელი) ადგილის მიხედვით. მოქალაქეები (მეუღლეები ან ცალკეული მოქალაქე), რომელთაც სურვილი აქვთ აიყვანონ ბავშვი აღსაზრდელად, დასახელდებიან ხელშეკრულებაში როგორც მიმღები მშობლები; ბავშვები, რომლებიც გადაეცემიან მიმღებ ოჯახს აღსაზრდელად, დასახელდებიან მისაღებ ბავშვებად, ხოლო ასეთი ოჯახი – მიმღებ ოჯახად.

ხელშეკრულებაში მითითებულია მოქმედების ვადა და მოწესრიგებულია მისი გაგრძელების წესი და პირობები. აუცილებელი ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში ბავშვის გადაცემის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა თანხმობით, კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის გათვალისწინებით.

ბავშვის მიმღებ ოჯახში აღსაზრდელად გადაცემის შესახებ ხელშეკრულება მიმღები მშობლების მიმართ ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მოვალეობებს:

ა) მიღებული ბავშვის აღზრდა ურთიერთპატივისცემის საფუძველზე;

ბ) აუცილებელი პირობების შექმნა ბავშვის მიერ განათლების მისაღებად; ბავშვის ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, ფსიქიკურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე ზრუნვა;

გ) ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის განხორციელება;

დ) ბავშვის მოვლის უზრუნველყოფა, მკურნალობა და ექიმის კონსულტაციის სისტემატური მიღება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე;

ე) ბავშვის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მონახულების უზრუნველყოფა, ბავშვის მასწავლებლებთან და

აღმზრდელლებთან კავშირი და მის აკადემიურ მოსწრებაზე ზედამხედველობა;

ვ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის შეტყობინება მიმღებ ოჯახში ბავშვის შენახვასთან, აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული არასასურველი პირობების შესახებ.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა მოვალეობებს მიმღებ ოჯახთან მიმართებაში:

– ყოველთვიურად მოახდინოს ფულადი თანხების გადაცემა მიმღები ოჯახისათვის ბავშვის შესანახად.

მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ურთიერთმოვალეობებსაც მიმღებ მშობლებსა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შორის.

მიმღები მშობლების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას აუცილებელია აყვანილი ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებაც.

მიმღები ოჯახისათვის კანონით მინიჭებული შეღავათები უნდა აისახოს ბავშვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაში.

მხარეებს შორის წარმოშობილი დავა ხელშეკრულების შესრულების პროცესში განიხილება მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მიერ.

ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა: ხელშეკრულება ბავშვის მიმღებ ოჯახში გადაცემის შესახებ იდება განსაზღვრული ვადით, როგორც წესი, ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. თუმცა კანონი ითვალისწინებს აღნიშნული ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის შესაძლებლობასაც. ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა შესაძლებელია როგორც მიმღები მშობლების, ისე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით. მიმღები მშობლების თხოვნით ამ ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა დასაშვებია, თუ არსებობს პატივსადები მიზეზები: მშობლების ავადმყოფობა, ბავშვთან ურთიერთგაგების არარსებობა; მშობლების ოჯახური ან ქონებრივი მდგომარეობის შეცვლა, ბავშვსა და ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტური

სიტუაციის შექმნა და სხვ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შესაძლებელია თუ არსებობს ისეთი გარემოებანი, როგორცაა: ბავშვის რჩენის შეუძლებლობა (ასევე აღზრდა-განათლების), ბავშვის მშობლებისათვის დაბრუნება ანდა შვილად აყვანა. გარდა ამისა, მხარეებს უფლება აქვთ მოშალონ ხელშეკრულება მასში გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს პირობებს, რომელთა შეუსრულებლობის დროსაც მხარეებს უფლება ენიჭებათ ვადაზე ადრე შეწყვიტონ აღნიშნული ხელშეკრულება). ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით წარმოშობილი ყოველგვარი ქონებრივი და ფინანსური საკითხები წყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო დავის არსებობისას სასამართლოს მიერ.

მიმღები მშობლების უფლებები და მოვალეობები

მიმღები მშობლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ სრულწლოვანი მოქალაქენი ორივე სქესის როგორც დაქორწინებული, ისე ქორწინებაში არმყოფი პირები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა აღზარდონ ბავშვები და შეუქმნან მათ ყოველმხრივი განვითარების პირობები. კანონით დაწესებულია შეზღუდვები გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ უფლება იყვნენ მიმღები მშობლები. აღნიშნული შეზღუდვა ეხება იმ პირებს, რომელთა შესაძლებლობები ბავშვისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნაზე ობიექტური მიზეზების გამო ეჭვს იწვევს. მათ მიეკუთვნებათ:

ა) სასამართლოს მიერ კმედუუნაროდ აღიარებული პირები ფსიქიკური მოშლილობის გამო, რომლის შედეგადაც მათ არ გააჩნიათ უნარი გაიგონ თავისი მოქმედებების ხასიათი და უხელმძღვანელონ მათ, ანდა შეზღუდულქმედუნარიანი პირები, ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების გამო, რის შედეგადაც მათი ოჯახები მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან;

ბ) სასამართლოს მიერ მშობლის უფლებაჩამორთმეული ან მშვილებლის უფლებაშეზღუდული პირები;

გ) პირები, რომლებიც გადაყენებულ იქნენ მეურვის (მზრუნველის) მოვალეობის შესრულებისაგან, მათ მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო (მეურვეობის ან მზრუნველობის გამოყენება ანგარების მიზნით, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ზედამხედველობის გარეშე დატოვება, დახმარების აღმოუჩენლობა და სხვ.);

დ) ყოფილი მშვილებლები, თუ შვილება გაუქმდა სასამართლოს მიერ მათი ბრალით (მშვილებლის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობის, მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების, ნაშვილებისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში და ა.შ.);

ე) პირები, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ განახორციელონ ბავშვის აღზრდის მოვალეობა.

იმ დაავადებათა ჩამონათვალი, რომელთა არსებობისას პირს არა აქვს უფლება იშვილოს ბავშვი, გაუწიოს მეურვეობა (მზრუნველობა), მიიღოს მიმღებ ოჯახში აღსაზრდელად, დამტკიცებულია შესაბამის ნორმატიულ აქტში.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აწარმოებს მიმღები მშობლების შერჩევას. პირებს, რომელთაც სურვილი აქვთ აღსაზრდელად მიიღონ ბავშვი თავის ოჯახში, შეაქვთ განცხადება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში მითითებულია პირების თხოვნა, მიიღონ დასკვნა მიმღებ მშობლებად ყოფნის შესაძლებლობის შესახებ. განცხადებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები: ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობისა და შრომის ანაზღაურების მითითებით; საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი; ქორწინებაში მყოფი პირების ქორწინების მოწმობის ასლი; სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებიდან სამედიცინო ცნობა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

განცხადებისა და აქტის საფუძველზე, მეურვეობისა და მზრუნ-

ველობის ორგანო, განცხადების შეტანიდან 20 დღის განმავლობაში ამზადებს დასკვნას პირების მიმღებ მშობლებად ყოფნის შესაძლებლობის შესახებ. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ პირის ზნეობრივი და სხვა თვისებები, რომელსაც სურს ბავშვის აყვანა მიმღებ ოჯახში, ბავშვის აღზრდა-განათლების შესაძლებლობა, ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთდამოკიდებულება და თუ შესაძლებელია თავად ბავშვის სურვილიც.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა წარმოადგენს საფუძველს ბავშვის შესარჩევად, მისი მიმღებ ოჯახში გადაცემის მიზნით. უარყოფითი დასკვნის გამოტანისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მოვალეა დადგენილ ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ მიმღებ მშობლებს. განმცხადებელს იმავდროულად უბრუნდება ყველა დართული დოკუმენტი და განემარტება გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა კონკრეტული პირების მიმღებ მშობლებად ყოფნის შესაძლებლობის შესახებ, ანიჭებს მათ უფლებას შეარჩიონ ბავშვები მისი საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) მიხედვით.

მიმღებ მშობლებს, ოჯახში მიღებული ბავშვის მიმართ, გააჩნიათ ისეთივე უფლება-მოვალეობანი, როგორც მეურვეს (მზრუნველს). მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბავშვისათვის საზოგადოების წინაშე, აქვთ ბავშვის აღზრდის უფლება და მოვალეობა, ასევე ბავშვის ჯანმრთელობაზე, ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნვის მოვალეობა, ცხოვრებისათვის საჭირო და განათლების მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნის მოვალეობა.

მიმღები მშობლების უფლებები არ შეიძლება განხორციელდეს ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მიმღები მშობლები არიან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები; იცავენ ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს სპეციალური უფლებამოსილების გარეშე; მცირეწლოვანი ბავშვის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად დებენ გარიგებებს; აძლევენ თანხმობას

7-18 წლამდე არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებებზე; აქვე უფლება მოათავსონ ბავშვი სკოლამდელ აღმზრდელობით დაწესებულებაში; კანონით დადგენილი წესის მიხედვით მართავენ ბავშვის ქონებას.

მიმღები მშობლები უფლებამოსილნი არიან სასამართლო წესით მოითხოვონ ბავშვის დაბრუნება ნებისმიერი პირისაგან, რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშე აკავებს ბავშვს, მათ შორის ბავშვის ახლო ნათესავეებისაგან.

ბავშვის მიმღებ ოჯახში მოწყობა არ წარმოშობს მიმღებ მშობლებსა და ბავშვს შორის საალიმენტო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს.

მიმღები მშობლები არ არიან უფლებამოსილნი ხელი შეუშალონ ბავშვის ურთიერთობას თავის მშობლებსა და ახლო ნათესავეებთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ასეთი ურთიერთობა ეწინააღმდეგება თვით ბავშვის ინტერესებს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმღებ მშობლებზე გასცემს დამადასტურებელ დოკუმენტს (მოწმობას), რომელშიც მითითებულია მიმღები მშობლების გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი, ხელშეკრულების დადების თარიღი და ნომერი, ასევე ბავშვის გვარი, სახელი, მამის სახელი და დაბადების თარიღი.

ოჯახში შეილად მიღებული ბავშვის უფლებები

ოჯახში აღსაზრდელად შეიძლება გადაცემულ იქნენ ბავშვები 18 წლის ასაკამდე, რომლებიც მშობლების (ან ერთ-ერთის) მზრუნველობის გარეშე დარჩნენ სხვადასხვა მიზეზების გამო: ობოლი ბავშვები; ბავშვები, რომელთა მშობლების ვინაობაც არ არის ცნობილი; ბავშვები, რომელთა მშობლებს ჩამოერთვათ ან შეეზღუდათ მშობლის უფლება; აღიარებულნი არიან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად; ბავშვები, რომელთა მშობლები სასამართლოს მიერ გარდაცვლილად არიან გამოცხადე-

ბული, ანდა გასამართლებულნი არიან და თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელს იხდიან სასჯელადსრულებით დაწესებულებებში (ანდა – ბრალდებული, ეჭვმიტანილი და დაკავებული არიან კანონით დადგენილი წესით); ბავშვები, რომელთა მშობლებიც თავს არიდებენ მათ აღზრდას ან მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას; ბავშვები, რომელთა მშობლებმაც უარი განაცხადეს მათ აყვანაზე სამკურნალო, აღმზრდელობითი ან სხვა ანალოგიური დაწესებულებიდან; ბავშვები, რომელთა მშობლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ პირადად განახორციელონ ბავშვის აღზრდა და შენახვა და ასევე ის ბავშვები, რომლებიც დარჩნენ მშობლების მზრუნველობის გარეშე და მოთავსებულნი არიან აღმზრდელობით, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სოციალური დაცვის დაწესებულებებში და სხვ.

იმ ბავშვის შესახებ, რომელიც გადაცემულ უნდა იქნეს მიმღებ ოჯახში აღსაზრდელად, დაწესებულების ადმინისტრაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს: ბავშვის დაბადების მოწმობა; დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სამართლებრივ საფუძვლებს ბავშვის მიმღებ ოჯახში გადასაცემად (მშობლების გარდაცვალების მოწმობა, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ბავშვის მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ ან მშობლის ქმედუნარიოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ და სხვ.); დასკვნა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების თაობაზე, რომელიც გაიცა სამედიცინო კომისიის მიერ, კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

კანონით დადგენილია, რომ ბავშვის წინასწარი შერჩევა წარმოებს მიმღები მომავალი მშობლების მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით. ბავშვის შესარჩევად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო: ა) მიმღებ მშობლებს წარუდგენს ინფორმაციას იმ ბავშვის შესახებ, რომელიც შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს მიმღებ ოჯახს; ბ) გასცემს თანხმობას ბავშვის მონახ-

ულების თაობაზე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აღმზრდელობითი დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა მიმღებ მშობლებს გააცნოს ბავშვის პირადი საქმე და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნა. გარდა ამისა, ადმინისტრაციას ეკისრება პასუხისმგებლობა წარმოდგენილი ცნობების ნამდვილობისათვის.

ბავშვის მიმღებ ოჯახში გადაცემისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მოვალეა ხელმძღვანელობდეს ბავშვის ინტერესებით. ბავშვის გადაცემა ხორციელდება მისი აზრის გათვალისწინებით და აღმზრდელობითი დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობით. იმ ბავშვის გადაცემა მიმღებ ოჯახში, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა, შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით. დაუშვებელია დაძმების ერთმანეთისაგან დაშორება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

მიმღებ ოჯახში ბავშვების საერთო რაოდენობა, საკუთარი ბავშვების ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს რვას. ასაკობრივი სხვაობა შვილობილსა და მიმღებ მშობლებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 15 წელი.

მიმღებ ოჯახში ინვალიდი ბავშვის, სუსტი ჯანმრთელობის მქონე, ავადმყოფი ან განუვითარებელი ბავშვის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთაც სურვილი აქვთ ოჯახში აღსაზრდელად მიიღონ ბავშვი და რომელთაც გააჩნიათ საამისო პირობები, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური და მატერიალური (საყოფაცხოვრებო) ხასიათის შესაძლებლობები. აღნიშნული პირობები მითითებული უნდა იყოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნაში.

ყოველი ბავშვის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ან აღმზრდელობითი დაწესებულების ადმინისტრაციამ მიმღებ მშობლებს მიზანშეწონილია გადასცეს შემდეგი დოკუმენტები: დაბადების მოწმობა, ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ ისტორიიდან ამონაწერი (ახალდაბადებულის ისტორია); მშობიარობის პერიოდში

დედის კვანძოვანობის მდგომარეობის ცნობა; განათლების დამა-
დასტურებელი დოკუმენტი (სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის);
მშობლების შესახებ დოკუმენტები (გარდაცვალების მოწმობის ასლი,
სასამართლოს განაჩენი ან გადაწყვეტილება, ავადმყოფობის შესახ-
ებ ცნობა და სხვ.); ცნობა დების ან ძმების რაოდენობისა და
ადგილსამყოფელის შესახებ; ბავშვის კუთვნილი ქონების აღწერა
და ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც პასუხს აგებენ მასზე;
სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ალიმენტის დაკისრების
თაობაზე; პენსიასა და დახმარებაზე უფლების დამადასტურებელი
დოკუმენტები და სხვ. აღნიშნული დოკუმენტები უშუალოდ მიმღებ
მშობლებს გადაეცემათ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კანონით
დადგენილ ვადაში.

ბავშვი, რომელიც აღსაზრდელად გადაეცემა მიმღებ ოჯახს, ინ-
არჩუნებს უფლებებს ალიმენტზე, პენსიაზე და სხვა სოციალურ
დახმარებასა და კომპენსაციაზე, რომელიც გადაირიცხება ბავშვის
სახელზე გახსნილ ანგარიშზე საბანკო დაწესებულებაში.

ალიმენტი, პენსია და დახმარება, რომელიც მიეკუთვნება მიმღებ
ოჯახში მოწყობილ ბავშვს, განკუთვნილია მიმღები მშობლების მიერ
განკარგვისათვის, როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები-
სა. მიღებულ თანხებს მიმღები მშობლები გამოიყენებენ ბავშვის
სარჩენად, აღსაზრდელად, განათლების მიღების უზრუნველსაყოფად,
იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც კანონმდებლობით დადგე-
ნილია მეურვეებისა და მზრუნველებისათვის.

ბავშვის მიმღებ ოჯახში აღსაზრდელად გადაცემის დროს ბავშ-
ვს უნარჩუნდება მის კუთვნილ ნივთებსა (ქონებაზე) და იმ ფართო-
ბზე სარგებლობის უფლება, სადაც ისინი ცხოვრობენ მიმღებ ოჯახ-
ში საცხოვრებლად გადასვლამდე.

ბავშვის მიერ ქონებასა და საცხოვრებელ ფართზე საკუთრების
ან სარგებლობის უფლების შენარჩუნებაზე კონტროლის განხორ-
ციელების მოვალეობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის
ორგანოს, ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

ბავშვის კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას წარმოადგენს მისი უფლება იქონიოს მშობლებსა და სხვა ახლო ნათესავეებთან ურთიერთობა, ბავშვების ურთიერთობა და კონტაქტი მშობლებთან დაიშვება მხოლოდ მიმღები მშობლების თანხმობით. დავის არსებობის შემთხვევაში, საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მიმღები ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა

ფულადი სახსრები ყოველთვიურად გამოეყოფათ მიმღებ მშობლებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველი მიღებული ბავშვის შესანახად (სარჩენად), ისეთი ხარჯების გათვალისწინებით, როგორცაა: ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სათამაშოებისა და წიგნების შეძენა. თუ ბავშვი მიმღებ ოჯახს გადაეცემა 1 წელზე მეტი ვადით, მაშინ დამატებით გამოიყოფა სახსრები ავეჯის შესაძენად. აღნიშნულ ფულად თანხებს გამოყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო მიმღები მშობლებისათვის ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი ვადის განმავლობაში.

ყოველთვიური ფულადი თანხის ოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო გამოძინარე მატერიალური უზრუნველყოფისათვის დადგენილი ნორმებიდან, იმ ფასების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია მოცემულ რეგიონში.

მიმღები მშობლები აწარმოებენ ხარჯების წერილობით აღწერას და აღნიშნულ ცნობებს ყოველწლიურად წარუდგენენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია კონტროლი განახორციელოს მიმღები მშობლების მიერ ბავშვის შენახვის, აღზრდა-განათლების, ფულადი სახსრების ხარჯვის მოვალეობის შესრულებაზე.

თავი მეცამეტე

უცხო ქვეყნის საოჯახო სამართლის ნორმების გამოყენების საფუძვლები

უკანასკნელ პერიოდში საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხებმა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მონაწილეობით მოიპოვეს განსაკუთრებით აქტუალური ხასიათი. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ ობიექტური ხასიათის მიზეზებთან: საბჭოთა კავშირის დაშლა და მის ტერიტორიაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება; მოსახლეობის ემიგრაციის გაძლიერება; მოქალაქეთა და უცხოელ მოქალაქეთა შორის საქმიანი და პირადი ხასიათის ურთიერთობების განვითარება. აღნიშნულ გარემოებათა შედეგად გაიზარდა უცხოელ მოქალაქეებთან დაქორწინებულთა რიცხვი, კონკრეტულად კი, წარმოიშვა სხვადასხვა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობანი უცხოური (საერთაშორისო) ელემენტის მონაწილეობით (ქორწინება, განქორწინება, ქორწინების ბათილად აღიარება, პირადი ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობები მეუღლეთა შორის, მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობები და სხვ.).

საერთაშორისო კერძო სამართალში¹ უცხო ელემენტის მონაწილეობით არსებულ ურთიერთობებს უწოდებენ იმ ურთიერთობებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქენი (მაგალითად, საქორწინო კონტრაქტის დადება მეუღლეთა შორის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქენი არიან). უცხოურ ელემენტს აქვს ადგილი საოჯახო ურთიერთობებში იმ შემთხვევაშიც, როცა იურიდიულ ფაქტს, რომელსაც უკავშირდება სამართლებრივი

¹ საერთაშორისო კერძო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის ფუძემდებელია ამერიკელი, დ. სტორი, მისი ნაშრომი სახელწოდებით „კანონთა კოლიზიის კომენტარი“, რომელიც გამოქვეყნდა 1834 წელს, იყო პირველი, სადაც მოხდა საერთაშორისო კერძო სამართლის პრობლემათა სისტემატიზაცია და ამავდროულად გამოყენებულ იქნა ტერმინი „საერთაშორისო კერძო სამართალი“.

ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, ადგილი ჰქონდა საზღვარგარეთ (მაგალითად, საქართველოს მოქალაქეებს შორის დაქორწინება, ან ქორწინების შეწყვეტის განხორციელება საზღვარგარეთ).

საოჯახო ურთიერთობებში უცხო ელემენტის არსებობისას დგება საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული და რომელ ქვეყნის ორგანოს გააჩნია საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება. აღნიშნული პრობლემური საკითხები მიეკუთვნება საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს. საერთაშორისო კერძო სამართლის საფუძველს შეადგენენ ე.წ. კოლიზიური ნორმები, რომლებიც მიუთითებენ, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ არ შეიცავს პირდაპირ პასუხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ესა თუ ის საკითხი. კოლიზიურ ნორმებს შეიცავს აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 29 აპრილს და ამოქმედდა 1998 წლის 1 ოქტომბერს, განსაზღვრავს თუ რომელი სამართლებრივი რეჟიმი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას და რომელი საპროცესო სამართლის ნორმები გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა, შიდასახელმწიფოებრივ აქტებთან შედარებით. მთავარია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები არ ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას (კონსტიტუციის მე-6 მუხლი).

უცხოური ელემენტების მონაწილეობით გართულებულ საოჯახო ურთიერთობათა გავრცელებამ წარმოშვა პრობლემები საქართველოს კანონმდებლობასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობას შორის; უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხშირად არიან ქართული სამართლის სფეროს

გავლენის ქვეშ, რის გამოც საჭირო გახდა შესაბამისი გარანტიების შექმნა მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხი იმ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელშიც ასევე მონაწილეობდა უცხოური ელემენტი ან მოქალაქეობის არმქონე პირი. ამიტომ დადგა აღნიშნული პრობლემური საკითხების სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაზუსტება იმისა, თუ ვინ არის მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი.

მოქალაქეობაში იგულისხმება პირის სამართლებრივი კავშირი კონკრეტულ სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება მხარეთა ურთიერთობების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობაში, ხოლო მოქალაქე – ეს არის პირი, რომელიც მიეკუთვნება მოცემულ სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძველზე. უცხოელ მოქალაქეს წარმოადგენს პირი, რომლის კუთვნილება რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით (პასპორტით). როგორც ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს ორმაგ მოქალაქეობას, მაგრამ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, თუ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას.

მოქალაქეობის არმქონე პირად მიიჩნევა ისეთი პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და არც სხვა სახელმწიფოს

მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვს (საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მუხლი I, „ბ“ პუნქტი). თუ პირი მოქალაქეობის არმქონეა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან ეწევა ძირითად საქმიანობას, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – საქართველოს სამართალი“.

ქართულ სამართალში (კანონმდებლობაში) განვითარების პროგრესული ტენდენცია შეიმჩნევა იმ მხრივ, რომ შესაძლებელი გახდა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენება აუცილებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ დებულებას განამტკიცებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის I პუნქტი, რომლის მიხედვითაც „უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში ეროვნულ-სამართლებრივ ნორმებს ენიჭება პრიორიტეტი უცხო ქვეყნის სამართლის ნორმებთან შედარებით (კანონის მე-12 მუხლი, ასევე მე-13, მე-14, მე-15, მე-16 მუხლები).

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა განსაზღვრა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსი საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

გარდა ამისა, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განმტკიცებულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. მუხლში აღნიშნულია, რომ „უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს“. ეს კანონი ასევე განსაზღვრავს გამონაკლის შემთხვევებს.

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სართაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები (მაგალითად: კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ). აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონებთან შედარებით იმ პირობით, თუ ასეთი ხელშეკრულებები და შეთანხმებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

§2. ქორწინებისა და განქორწინების სამართლებრივი რეგულირება უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მონაწილეობით

უცხო ქვეყნის მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირები უფლებამოსილები არიან საქართველოს ტერიტორიაზე იქორწინონ როგორც თავისი ქვეყნის მოქალაქესთან, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქესთან და მოქალაქეობის არმქონე პირთან. კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას მოქალაქეებისათვის, რომლებიც ქორწინდებიან საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ან რასობრივი ნიშნის მიხედვით. პირის დაქორწინების შესაძლებლობა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც იგი არის. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, ქორწინების პირობები თითოეულ დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება, მაგალითად, საქართველოს მოქალაქესა და უცხოელ მოქალაქეს შორის ქორწინების რეგისტრაციისას უცხოელი მოქალაქისათვის არ არის სავალდებულო მიღწეული იყოს 17 წლის ასაკს, თუ მისი ქვეყნის კანონმდებლობით დაიშვება დაქორწინება უფრო ადრეულ ასაკში.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეზე სა-

მართლებრივი დახმარებისა და სამართალურთიერთობის შესახებ“ კონვენციის 26-ე მუხლის მიხედვითაც ქორწინების პირობებს თითოეული მომავალი მეუღლისათვის განსაზღვრავს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი, ხოლო იმ პირათთვის, ვისაც მოქალაქეობა არა აქვს, ხელშემკვრელი მხარე, რომლის მუდმივი მაცხოვრებელიც არის ის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის თანახმად, „თუ ქორწინების პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება, თუ:

ა) სხვა ქვეყნის სამართალი ქართულ ჩვეულებებთან შედარებით ზღუდავს ქორწინების თავისუფლებას;

ბ) წინა ქორწინება ხელს არ უშლის ხელახალ ქორწინებას;

გ) წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოში ცნობილი გადაწყვეტილებით შეწყვეტილი ან ბათილია;

დ) დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე გამოცხადებულია გარდაცვლილად.

მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ცნობს ნამდვილად თავისი ქვეყნისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის ქორწინებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქორწინებელმა პირებმა მიიღეს ამისათვის თავისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს ნებართვა. სარო-ში განცხადების შეტანისას სარო მოვალეა გამოარკვიოს სჭირდება თუ არა განმცხადებელს აღნიშნული სახის ნებართვა.

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (1118-ე მუხლი) საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი (მაგალითად, საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეს შორის ქორწინების რეგისტრაციისას საქართველოს მოქალაქისათვის დაცულ უნდა იქნეს

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნები, ხოლო უცხოელ მოქალაქესთან მიმართებაში – უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნები დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართალურთიერთობის შესახებ კონვენციის 26-ე მუხლის მიხედვითაც ქორწინების დაბრკოლებებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს იმ ხელშემშლელი მხარის კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ქორწინება“.

საქართველოს ტერიტორიაზე დაქორწინების წესსა (ფორმას) და პირობებს დასაქორწინებელ პირთა მოქალაქეობის მიუხედავად, განსაზღვრავს საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე დაქორწინება წარმოებს სარო-ში. რელიგიური წესების დაცვით დაქორწინება, აგრეთვე ფაქტობრივი საქორწინო უფლებები არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. დაქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება დასაქორწინებელ პირთა თანდასწრებით, ზოგადი წესის თანახმად განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვალდებულების შემდეგ. სარო-ს უარი ქორწინების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში დაინტერესებული პირების მიერ, რომელთაც სურთ დაქორწინება. გამონაკლისს იმ წესიდან, რომლის თანახმადაც ქორწინების რეგისტრაციის წესები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც ქორწინების რეგისტრაცია საქართველოსა და უცხოელ მოქალაქეს შორის, წარმოებს უცხო სახელმწიფოს საკონსულოში, ასეთი ქორწინება აღიარებულია ნამდვილად.

ძველი კანონმდებლობით ქორწინების რეგისტრაცია საქართველოსა და უცხოელ მოქალაქეს შორის წარმოებდა ეროვნული სამართლის ნორმების მიხედვით, კონკრეტულად კი მოქმედებდა ე.წ. „ტერიტორიული“ მიდგომის პრინციპი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა გამოიყენება პირის დაქორწინებისას, როცა

იგი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელსაც პირი აირჩევს, ხოლო თუ ასეთი პირი ქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე, ქორწინების რეგისტრაციისას გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.

მოქალაქეობის არმქონე პირის ქორწინებისას საქართველოს ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესები, სადაც აღნიშნულ პირს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ არის სავალდებულო მოქალაქეობის შეცვლა იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ქორწინდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე. ამიტომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო უცხოელი – თავისი ქვეყნის მოქალაქეობას. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს იმის პრაქტიკა, რომ ცოლი იცვლის მოქალაქეობას ქმრის მოქალაქეობის მიხედვით.

საქართველოს მოქალაქეებს შორის ქორწინება საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულოებში, როგორც საქართველოს დაწესებულებებში. ასეთი მდგომარეობის შემოღება საშუალებას აძლევს საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს დასაქორწინებლად სპეციალურად არ მოუწიოთ ჩამოსვლა საქართველოში. აღნიშნული ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად. დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულოში რეგისტრირებული ქორწინება საქართველოს მოქალაქეებს შორის, შემდგომში სახელმწიფო რეგისტრაციას სარო-ში არ საჭიროებს. აღნიშნული ქორწინებები უთანაბრდება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებებს (სარო-ში).

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელთა დაქორწინების რეგისტრაცია წარმოებს არა სარო-ში, არამედ უცხოეთის სახელმწიფოს

დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულოში, თუ რეგისტრაციის მომენტში დასაქორწინებელი პირები იყვნენ მოცემული უცხოეთის ქვეყნის მოქალაქენი.

უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეთა შორის ქორწინების რეგისტრაციისას დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულოში საქართველოს ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქენიც არიან დასაქორწინებელი პირები და არა საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოს მოქალაქენი, რომლებიც იმყოფებიან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უფლებამოსილნი არიან დაქორწინდნენ არა მხოლოდ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულოში, არამედ მოცემული სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოშიც. აღნიშნულ კომპეტენტურ ორგანოებში დაქორწინების უფლება გააჩნიათ ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებსაც. ამასთან, ასეთი ქორწინების ფორმა, წესი და პირობები განისაზღვრება უცხო ქვეყნის კანონმდებლობით. გამორიცხული არ არის, რომ დაქორწინების ფორმა განსხვავებული იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმისაგან და რელიგიური ფორმა გააჩნდეს. ამიტომ საქართველოს მოქალაქის ქორწინება რელიგიურ ფორმაში იმ ქვეყანაში, სადაც ასეთ ქორწინებას იურიდიული ძალა გააჩნია, ჩაითვლება ნამდვილად საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება. თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება“.

საქართველოს მოქალაქეთა ქორწინების ნამდვილად ცნობისათვის, რომელიც რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოში, საჭიროა არა მხოლოდ მოცემული უცხო სახელმწიფოს კანონმ-

დებლობით დადგენილი წესების დაცვა, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებათა მხედველობაში მიღება. ამ მოთხოვნათა დარღვევით საზღვარგარეთ რეგისტრირებული ქორწინება საქართველოს მოქალაქეთა შორის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაითვლება ბათილად. სხვა შეზღუდვებს აღნიშნული სახის ქორწინების რეგისტრაციისათვის კანონი არ ითვალისწინებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის ქორწინება საქართველოს ფარგლებს გარეთ მიიჩნევა ნამდვილად საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი პირობებისა და შეთანხმების გარეშე. აღნიშნული ქორწინებები ითვლება ნამდვილად საქართველოს ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქორწინების რეგისტრაცია შეუძლებელი იქნებოდა (დაუშვებელია) საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის გამო. ეს განპირობებულია იმით, რომ უმთავრესია არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, არამედ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც რეგისტრირებულ იქნა ქორწინება უცხოელებს შორის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პირობას (მდგომარეობას) ითვალისწინებდა ძველი კანონმდებლობაც.

სამოქალაქო სამართლის მიერ „ტერიტორიული“ მიდგომის შეცვლა ქორწინების რეგისტრაციასთან მიმართებაში, უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის მონაწილეობით განხორციელებულ ქორწინებაში შესვლასთან დაკავშირებულ პირობებში, ახალი განსაზღვრებებისა და წესების შეტანა აისახა აგრეთვე ასეთი ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ საფუძვლებში. ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლები, რომელიც განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, გამოძინარეობს იმ ქვეყნის კანონმდებლობიდან, სადაც რეგისტრირებულ იქნა ასეთი ქორწინება. ამიტომ იმ ქორწინების ბათილად ცნობის დროს, რომელიც განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის, საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელ

მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა შორის რეგისტრირებული ქორწინება; ასევე უცხოელ მოქალაქეთა შორის ან მოქალაქეობის არმქონე პირთა შორის შემდგარი ქორწინება), შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის კანონმდებლობა. აღნიშნულის თაობაზე საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა იქნა გამოყენებული ქორწინების რეგისტრაციის დროს.

თუ ქორწინება მოქალაქეებს შორის რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ამ ქორწინების ბათილად აღიარების საფუძველი იქნება იმ ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევა, რომელიც გამოყენებულ იქნა ქორწინების რეგისტრაციის დროს (ქორწინების ფორმა, რეგისტრაციის წესი, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელსაც დასაქორწინებელი პირები განეკუთვნებიან).

მიზანშეწონილია აგრეთვე განისაზღვროს ქორწინების ბათილად აღიარების საფუძველები, ჩამოყალიბდეს იმ პირთა წრე, რომელსაც აქვთ უფლება მოითხოვონ ასეთი ქორწინების ბათილად ცნობა, დაბოლოს, განისაზღვროს ბათილად ცნობილი ქორწინების სამართლებრივი შედეგები. მიგვაჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ქორწინების ნამდვილობისა და ბათილად ცნობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გამოყენებულ იქნა ქორწინების რეგისტრაციის დროს.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართალურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის 30-ე მუხლით „ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე საქმეთა მიმართ გამოიყენება ხელშემკერული მხარის კანონმდებლობა, რომელიც ამავე კონვენციის 26-ე მუხლის შესაბამისად გამოყენებული იყო ქორწინების დროს. ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე საქმეთა დაწესებულების კომპეტენტურობა კი განისაზღვრება კონვენციის 27-ე მუხლის შესაბამისად.

§3. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობათა
სამართლებრივი რეგულირება უცხოელი ელემენტის
მონაწილეობით

ქორწინების შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ.

როდესაც უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება შეუძლებელია, იგი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამართლის შესაბამისად, თუ განქორწინების მსურველი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის მიხედვით კი „ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს: ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა; ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილ-სამყოფელი; გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი“.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი გამოიყენება აგრეთვე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ, თუ მათ სხვა ქვეყნის სამართალი არ აურჩევიათ. სამართლის არჩევა შესაძლებელია, თუ იგი მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე:

- ა) რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება;
- ბ) სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;
- გ) სადაც უძრავი ქონება იმყოფება.

შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა გამოიყენება, უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხ-

ოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ: ა) ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო; ბ) მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; გ) ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ შეიძლება არ იქნეს ცნობილი ნამდვილად იმ ქვეყნის მიერ, სადაც მეუღლეები ცხოვრობენ.

იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაიშვება განქორწინება სარო-ში, საქართველოს მოქალაქეთა ქორწინების შეწყვეტა, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, შეიძლება განხორციელდეს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულოში. სწორედ მითითებული ორგანოები აწარმოებენ განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციას. აღნიშნული ორგანოები უფლებამოსილნი არიან აწარმოონ როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ისე საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქის განქორწინების რეგისტრაცია.

საქართველოს მოქალაქე უფლებამოსილია განქორწინდეს მეუღლესთან, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, საქართველოს ფარგლებს გარეთ უცხო ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოში. აღნიშნული ორგანოების მიერ განხორციელებული განქორწინების რეგისტრაცია მიიჩნევა ნამდვილად საქართველოს მიერ. კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეთათვის რაიმე დაბრკოლებას განქორწინებისათვის საზღვარგარეთ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენების საფუძველზე. ამასთან, კანონი არ მოითხოვს,

რომ ერთ-ერთი მეუღლე (ან ორივე) არ ცხოვრობდეს აუცილებლად საქართველოს ტერიტორიაზე, რაც განპირობებულია კონსტიტუციით აღიარებული პრინციპით, როგორცაა საქართველოში თავისუფლად შემოსვლისა და გასვლის უფლება.

საქართველოში ნამდვილად მიიჩნევა უცხოელ მოქალაქეთა განქორწინება, რომელიც განხორციელდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართალურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის თანახმად, განქორწინებასთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ხელშემკვრელი¹ მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქენიც არიან მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტში. თუ ერთ-ერთი მეუღლე არის ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, ხოლო მეორე მეორე ხელშემკვრელი მხარისა, გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის დაწესებულებაც განიხილავს განქორწინების საქმეს (მუხლი 28-ე).

კანონმდებლობის შერჩევისას მეუღლეები არ არიან შეზღუდულები. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეთა შორის კონკრეტული დავის განხილვისას, საქართველოს სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა მიერ შერჩეული ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, მაშინ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება მოცემული დავის გადასაწყვეტად.

მეუღლეთა უფლება, აირჩიონ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ, არ გამოიყენება პირადი არაქონებრივი ურთიერთობების რეგულირების დროს.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართალურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით; 1. „მეუღლეთა პირადი და

¹ ხელშემკვრელი – ხელშეკრულებაში მონაწილე მხარე.

სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი. ხოლო, 2. თუ ერთ-ერთი მეუღლეთაგანი ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და, ამასთან, ორივე მეუღლეს ერთი და იგივე მოქალაქეობა აქვს, მათი პირადი და ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეა ისინი არიან. 3. თუ ერთ-ერთი მეუღლეთაგანი არის ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, ხოლო მეორე – მეორე მხარის მოქალაქე და ერთი მათგანი ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, მეორე კი – მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, მათი პირადი და ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ ჰქონდათ უკანასკნელი ერთობლივი საცხოვრებელი. 4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პირებს არ ჰქონდათ ერთობლივი საცხოვრებელი ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე, მათ მიმართ გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის დაწესებულებაც განიხილავს საქმეს. 5. მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ეხება მათ უძრავ ქონებას, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ეს ქონება მდებარეობს. 6. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობის საქმეში კომპეტენტური არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის კანონმდებლობაც გამოიყენება 27-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად“.

§4. მშობლებსა და შვილებს შორის და ოჯახის სხვა
წევრების პირადი და ქონებრივი ურთიერთობების
სამართლებრივი რეგულირება უცხო ქვეყნის
მონაწილეობით

მშობლებსა და შვილებს შორის უფლებამოვალეობების საფუძველია ბავშვის წარმოშობა კონკრეტული მშობლებისაგან. თუ არსებობს ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული დავა, საკითხი გადაწყდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი (კანონის 51-ე მუხლი). აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ შემდგომში ბავშვმა მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, რომელიც არეგულირებს მამობის ან დედობის სადავოდ გახდომასთან დაკავშირებულ საკითხებს, ბავშვის წარმოშობა დგინდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის 31-ე მუხლის მიხედვით: „მამობის ან დედობის დადგენა ან შეცვლა განისაზღვრება ხელშემკვერელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი დაბადებით“.

საქართველოს ტერიტორიაზე მამობისა და დედობის დადგენა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქედან გამომდინარე, ბავშვის მიმართ მამობის დადგენა, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე სარო-ში ან სასამართლოში, ხოლო ბავშვის მიმართ მამობის სადავოდ გახდომის შემთხვევაში, საკითხს წყვეტს სასამართლო. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით, „მამობის დადგენის და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს

მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს“.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით დაიშვება მამობის (დედობის) დადგენა სარო-ში, საზღვარგარეთ მცხოვრებ ბავშვის მშობლებს, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც საქართველოს მოქალაქეა, უფლება აქვთ მამობის დადგენის შესახებ განცხადება შეიტანონ საქართველოს დიპლომატიურ წარმომდგენლობაში ან საკონსულოში.

ზოგადი წესის თანახმად, იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელშიც უცხო ელემენტი (ან მოქალაქეობის არმქონე პირი) მონაწილეობს, მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მათ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი. აქედან გამომდინარე, მშობლებისა და შვილების ერთად ცხოვრება საქართველოს ტერიტორიაზე, მათი მოქალაქეობის მიუხედავად, განაპირობებს მათი პირადი და ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას საქართველოს კანონმდებლობით.

თუ მშობლები და შვილები ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში და არ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი, მათ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი.

კანონის 49-ე მუხლის შესაბამისად, „მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლის მზრუნველობის ჩათვლით, ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ამავე დროს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ბავშვი განეკუთვნება“.

კონვენციის 32-ე მუხლის მიხედვით, მშობელთა და შვილთა სამართალურთიერთობა განისაზღვრება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობენ შვილები. მშობლებსა და შვილებს შორის სამართალურთიერთობის საქმეებში კომპეტენტურია ხელშემკვრელი მხარის სასამართლო.

ღსთ-ს ქვეყნებში ალიმენტის გადახდევინების წესი ღსთ-ს ქვეყნების მოქალაქეებისთვის განისაზღვრება იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, სადაც პირი ცხოვრობს. ამასთან, ღსთ-ს ქვეყნები აღიარებენ იმ ფაქტს, რომ უზრუნველყოფენ ღსთ-ს ქვეყნების სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას საალიმენტო საკითხებზე.

ღსთ-ს ქვეყნების მიერ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფის აღიარება, რომელიც დაკავშირებულია მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებთან, ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად. ბავშვთა მატერიალური უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი კონტროლით ალიმენტების სრულ და დროულ გადახდაზე მშობლების მიერ.

კონვენციის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით, „შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინების საქმეთა მიმართ გამოიყენება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საცხოვრისი პირს, რომელიც ალიმენტების მიღებას ითხოვს“.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც პირს, რომელსაც რჩენა ესაჭიროება, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. თუ სარჩენ პირს ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. თუ სარჩენ პირს მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია არც ერთი ამ სამართლის მიხედვით, გამოიყენება საქართველოს სამართალი. არაპირდაპირი ხაზით ნათესავებს შორის რჩენის მოვალეობის არსებობისას მარჩენალს შეუძლია სარჩენი პირის მიმართ გამოიყენოს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. საერთო მოქალაქეობის

არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება მარჩენალის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი.

ამავე კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ განქორწინება მოხდა საქართველოში, მაშინ მეუღლეთა რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

თუ სარჩენი პირი და მარჩენალი საქართველოს მოქალაქენი არიან და ამ უკანასკნელს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში აქვს, გამოიყენება საქართველოს სამართალი.

სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სარჩენი პირის მოთხოვნილება და მარჩენალის ეკონომიური მდგომარეობა.

ალიმენტკალდებული პირი, რომელიც საზღვარგარეთ მიემგზავრება, უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულება ოჯახის წევრებთან ალიმენტის გადახდის შეთანხმების თაობაზე, ამასთან, ალიმენტის გადახდის შესახებ ნოტარიულად დადასტურებულ შეთანხმებაში შეიძლება განისაზღვროს ალიმენტის გადახდის ნებისმიერი საშუალება, კერძოდ, ალიმენტის მკაცრად განსაზღვრული ფულადი თანხის ერთდროული გადახდა ქვეყნიდან გასვლის დროს ან ფულადი თანხის გადმოგზავნა იმ ქვეყნიდან, სადაც მიემგზავრება პირი. ალიმენტის შესახებ შეთანხმება შეიძლება მხარეთა შორის დადებულ იქნეს იმისაგან დამოუკიდებლად, დადებულია თუ არა საქართველოსა და იმ სახელმწიფოს შორის, სადაც პირი მიემგზავრება, საერთაშორისო ხელშეკრულება „მოქალაქეთა საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ“.

იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს შეთანხმება პირთა შორის ალიმენტის გადახდის შესახებ, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს სარჩელით: ა) ალიმენტის მკაცრი ფულადი თანხით განსაზღვრისა და მისი ერთდროული გადახდის შესახებ; ბ) განსაზღვრული ქონების წარდგენისათვის გადასახდელის ანგარიშში (მაგალითად, ბინის, მიწის ნაკვეთის); გ) ალიმენ-

ტის სხვა საშუალებით გადახდისათვის, მაგალითად, კომერციულ ბანკში ანგარიშის გახსნა განსაზღვრულ თანხაზე და ა.შ.). საქმის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ვალდებული მხარის მხრიდან, რომელიც გადის საქართველოდან და მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში საცხოვრებლად, ალიმენტის გადახდევინების შესახებ; დაადგინოს მისი ოდენობა და განსაზღვროს ალიმენტის გადახდის წესი ალიმენტის მიღების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამასთან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, აგრეთვე სხვა გარემოებები, რაც ყურადღებას იმსახურებს.

არის შემთხვევები, როდესაც ალიმენტგაღებული პირი მიემგზავრება სხვა ქვეყანაში და ამ ვალდებულებას მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ნებაყოფლობით ასრულებს, მაგრამ, რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა პირი მიდის საქართველოდან, ალიმენტს კი არ იხდის? ალიმენტის გადახდევინება იძულების წესით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების შესახებ და აგრეთვე, საქართველოსა და იმ სახელმწიფოს შორის, სადაც მიემგზავრება ალიმენტგაღებული პირი დადებულია ხელშეკრულება „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ“. თუ ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულება დადებულია საქართველოსთან, მაშინ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებით (განცხადებას უნდა დაურთოს აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების თაობაზე), რომ მას სურს საზღვარგარეთ წასული ალიმენტგაღებული პირისაგან ალიმენტის გადახდის იძულებითი წესით აღსრულება, შემდგომ, იუსტიციის სამინისტრო შუამდგომლობით მიმართავს იმ ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს, სადაც ცხოვრობს ალიმენტგაღებული პირი. მოცემული ქვეყნის იუსტიციის სამინისტრო კი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომელიც შეამოწმებს საქართველოს

სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებას ალიმენტის დაკისრების შესახებ და მიაქცევს აღსასრულებლად.

საქართველოს ასეთი ორმხრივი ხელშეკრულებები დადებული აქვს შემდეგ სახელმწიფოებთან: თურქეთის, ბულგარეთის, საბერძნეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან. კერძოდ, არსებობს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის „სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება“, რომელიც მიღებულ იქნა 1986 წლის 4 მარტს და ძალაში შევიდა 1987 წლის 15 იანვარს; ბულგარეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება“, რომელიც მიღებულია 1985 წლის 15 იანვარს და ძალაში შევიდა 1986 წლის 6 ივნისს; საბერძნეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება“, რომელიც მიღებულია 1999 წელს; აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება“, მიღებულია 1997 წლის 18 თებერვალს. უკეთესი იქნება თუ საქართველოდან გასვლისას გამოვლინდებიან ალიმენტგაღებული პირები და მათ შეიძლება დროებით შეეზღუდოთ საქართველოდან გასვლა – ვალდებულების შესრულებამდე ან მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევამდე.

§6. შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირება უცხო ელემენტის მონაწილეობით

უკანასკნელ პერიოდში უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ საქართველოს მოქალაქე ბავშვთა შვილად აყვანამ მიიღო გავრცელებული ხასიათი.

შვილებასთან დაკავშირებული კოლიზიური საკითხები წყდება საქართველოს კანონმდებლობით. უცხოელ მოქალაქეთა მიერ ბავშვის (საქართველოს მოქალაქის) შვილად აყვანისას, აგრეთვე შვილების გაუქმებისას, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის მშვილებელი შვილად აყვანის ან გაუქმების შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის. შვილად აყვანა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოიყენება. თუ შვილება განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ და შვილად აყვანილ იქნა საქართველოს მოქალაქე ბავშვი, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც შვილების შესახებ განცხადების შეტანის მომენტში პირს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების აღრიცხვას, რომელთაც სურთ საქართველოში ბავშვის შვილად აყვანა, აწარმოებენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები.

საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება იმ ბავშვის შვილად აყვანისას, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს, განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, შვილად ასაყვანი ბავშვების ინტერესების დასაცავად, რომლებიც გაშვილების შემდეგ იცხოვრებენ უცხოელ მშვილებლებთან ერთად საზღვარგარეთ. შვილად აყვანისას იმ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება, რომლის მოქალაქენიც არიან მშვილებლები, უზრუნველყოფს ნაშვილები ბავშვის სამართლებრივი სტატუსის განმტკიცებას აღნიშნულ სახელმწიფოში.

გაშვილების საკითხის სრულყოფისათვის აუცილებელია ისეთი პრობლემის განხილვა, როგორცაა ბავშვის მოქალაქეობის საკითხი:

ა) ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია და მას შვილად აიყვანს საქართველოს მოქალაქე (მოქალაქეები), მშვილებლის (მშვილებელთა) შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბ) ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მო-

ქალაქეობის არმქონე პირია, იმ მეუღლეთა მიერ შევილად აყვანისას, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

გ) ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეუღლეების მიერ შევილად აყვანისას, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ დროს მშვილებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა.

დ) ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა და იგი შევილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან საქართველოს მოქალაქე, თუ მოქალაქეობის არმქონე მეუღლეებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

კანონის 52-ე მუხლის თანახმად, „შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილებელი შევილად აყვანის დროს. შვილად აყვანა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოიყენება“.

კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, „შვილება ან მისი გაუქმება განისაზღვრება იმ ხელშემკერელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის მშვილებელი შვილების ან მისი გაუქმების თაობაზე განცხადების შეტანის მომენტში“.

საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილად მიიჩნევა შვილება იმ ბავშვისა, რომელიც საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს საზღვარგარეთ, და რომელიც განხორციელდა უცხო სახელმწიფოში, რომლის მოქალაქენიც არიან მშვილებლები. თუმცა აუცილებელ პირობას წარმოადგენს წინასწარი თანხმობის მიღება შვილებაზე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ ბავშვი ან მისი მშობლები საზღვარგარეთ გამგზავრებამდე.

კანონის 53-ე მუხლით, „ბავშვის და მასთან საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში მყოფი პირის მიერ თანხმობის მიცემის

საკითხი შვილად აყვანაზე, აგრეთვე მამობის აღიარებასა და სახელის დარქმევაზე დამატებით ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალსაც, რომელსაც ეს ბავშვი განეკუთვნება. თუ ბავშვის ინტერესები-სათვის აუცილებელია, ამ ქვეყნის სამართლის ნაცვლად გამოიყენება საქართველოს სამართალი“.

„ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის 21-ე მუხლის თანახმად, ბავშვის შვილებისას უცხო ქვეყანაში, მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით, აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ისეთივე გარანტიები და ნორმები, რომლებიც გამოიყენება შვილად აყვანისას ქვეყნის შიგნით. ამიტომ, თუ შვილად აყვანის შედეგად შეიძლება შეილახოს ბავშვის ინტერესები, დადგენილი საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, იგი არ შეიძლება განხორციელდეს მშვილვების მოქალაქეობის მიუხედავად, ხოლო უკვე რეგისტრირებული შვილად აყვანა ექვემდებარება სასამართლოს მეშვეობით გაუქმებას. უპირველეს ყოვლისა, საუბარია შვილების სამართლებრივ შედეგებზე, რომლებიც მშვილვების ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით განსხვავებულია საქართველოს კანონმდებლობასთან შედარებით (და იწვევს უარეს შედეგებს). აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ბავშვის უფლებების შელახვაში (სამემკვიდრო უფლებები), ვინაიდან არა ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ნაშვილების ისეთივე უფლება-მოვალეობებს მშობლებსა და ნათესავებთან მიმართებაში, როგორც გააჩნიათ ღვიძლ შვილებს.

კონვენციის მიხედვით, „თუ ბავშვი მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, შვილების ან მისი გაუქმებისას საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის ან კომპეტენტური სახელმწიფოს ორგანოს თანხმობისა და აგრეთვე ბავშვის თანხმობის მიღება, თუ ამას მოითხოვს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის იგი. თუ ბავშვი შვილად აჰყავს ცოლ-ქმარს, რომელთაცან ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, ხოლო მეორე – სხვა ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, შვილება ან მისი გაუქმება

უნდა მოხდეს ორივე ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით. შვილების ან მისი გაუქმების საქმეებში კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის მოქალაქეც არის მშვილებელი შვილების ან მისი გაუქმების შესახებ განცხადების შეტანის მომენტში, ხოლო 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის ტერიტორიაზეც ცოლქმარს აქვთ ან ჰქონდათ ბოლო ერთობლივი საცხოვრისი ან ადგილსამყოფელი.

„ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის 21-ე მუხლის თანახმად, ბავშვის გაშვილებას უცხო სახელმწიფოში არ უნდა ახლდეს მშვილებლების ფინანსური გამორჩენა.

საქართველოს მოქალაქე ბავშვების უცხო სახელმწიფოში გამკვლევისას ბავშვთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად იმ დაწესებულებებში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებიან გასაშვილებელი ბავშვები სრულწლოვანების მიღწევამდე.

РЕЗЮМЕ

В работе на основе анализа действующего законодательства и использования отечественной и зарубежной специальной литературы исследуются все узловые проблемы семейного права Грузии, такие как: брак, права и обязанности супругов, родителей и детей, алиментные обязательства членов семьи, формы воспитания детей, оставшихся без попечения родителей, применение семейного законодательства с участием иностранных граждан и лиц без гражданства. Особое внимание уделено исследованию новелл действующего семейного законодательства — брачный договор, соглашение об уплате алиментов, судебный порядок усыновления детей и другие.

Исследуя предмет и метод семейного права, в работе делается вывод, что семейное право является составной частью, подотраслью гражданского права. Такое утверждение основывается на анализе 1⁰¹¹ статьи Гражданского Кодекса Грузии, которая устанавливает, что Гражданский кодекс регулирует основанные на равенстве лиц имущественные, семейные и личные отношения. Такой подход грузинского законодателя разрешает извечную проблему о том — является ли семейное право самостоятельной отраслью права или частью гражданского права.

До недавнего времени подавляющее большинство ученых считали, что в семейном праве на первый план выступают регулирование личных неимущественных отношений в семье (В.А. Рясенцев, Г.К. Матвеев, Е.М. Ворожейкин, В.Ф. Яковлев).

Анализ семейно-правовых отношений, регулируемых Гражданским Кодексом Грузии позволил автору настоящей работы прийти к противоположному мнению и присоединиться к точке зрения тех авторов, которые полагают, что семейные-правоотношения являются предметом регулирования Гражданского Кодекса, а само семейное право является составной частью гражданского права (О.С. Иоффе, М.В. Антокольская, А.Д. Егоров).

В работе, анализируя метод регулирования семейно-правовых отношений утверждается, что в семейном праве на первый план выступают регулирование имущественных отношений, а личные неимущественные отношения в семье регулируются императивными нормами постольку, поскольку они тесно связаны с имущественными отношениями и оказывают на них определенное влияние (брачный контракт, соглашение об алиментах и т.д.).

Современная семья является результатом многовекового исторического развития разноплановых отношений, связанных с браком и семьей. В связи с этим в работе дается обзор точек зрения, связанных с определением понятия семьи. Отмечается, что в законодательстве не представляется возможным сформулировать универсальное понятие "семьи" (хотя такая попытка в юридической литературе неоднократно предпринималась).

В книге выявляются основные принципы семейного права, к ним относятся:

1. Принцип признания брака заключенного только в органах регистрации актов гражданского состояния. Поэтому браки заключенные по религиозным, церковным и иным обрядам не имеют никакого правового значения. Не признается браком и фактическое сожительство мужчины и женщины без государственной регистрации в органах регистрации актов гражданского состояния, сколь бы длительным оно не было. Только брак заключенный в органах регистрации актов гражданского состояния получает общественное признание и защиту государства.

2. Принцип добровольности брачного союза мужчины и женщины. Это означает, что только муж и жена по своему собственному усмотрению добровольно решают вопрос — вступать или не вступать в брак.

3. Принцип равенства прав супругов в семье, который выражается в том, что муж и жена имеют равные права при решении всех вопросов в жизни семьи (материнство, отцовство, воспитание и образование детей и т.д.). Никто, в том числе органы государственной власти и должностные лица не вправе вмешиваться в дела семьи, при условии, что члены семьи осуществляют свою деятельность в соответствии с законом.

4. Принцип приоритетного воспитания детей. Семейное воспитание детей имеет целый ряд неоспоримых преимуществ перед общественным или иным несемейным воспитанием. Приоритет семейного воспитания детей сохраняется и в тех случаях, когда ребенок не имеет родителей или по той или иной причине утратил родительское попечение. В таких случаях возрастает роль органов опеки и попечительства, которые обязаны предпринять все необходимые меры, для того, чтобы обеспечить семейное воспитание ребенка (усыновление, договор с приемной семьей и и.д.).

5. Принцип разрешения внутрисемейных вопросов по взаимному согласию членов семьи. Этот принцип исключает диктат мужа, жены

или кого-либо из членов семьи. Этот же принцип исключает решение спорных вопросов в семье большинством голосов членов семьи. Нельзя в принудительном порядке заставить членов семьи решать спорные вопросы в семье. Государство и его органы вмешиваются в семейные дела, руководствуясь законом и принципом разрешения внутрисемейных споров по взаимному согласию членов семьи.

6. Принцип приоритетной защиты прав и интересов несовершеннолетних и нетрудоспособных членов семьи. Нарушение этого принципа обеспечивается судебной защитой.

В работе подробно рассматриваются система и источники семейного права. Под системой семейного права понимается его структура, состав отдельных его институтов и норм в их определенной последовательности. Система семейного права получает свое выражение в законодательстве, в актах кодификационного характера, в таких как в кодексах.

Источниками права признаются формы выражения правовых норм. К ним относятся соответствующие нормативно-правовые акты, которые в совокупности образуют семейное законодательство. Базой для семейного законодательства является Конституция Грузии.

Основным источником семейного права является Гражданский кодекс, и в особенности его пятая книга. Она состоит из 199 статей. В соответствии с Конституцией и Кодексом принимаются отдельные законодательные акты.

Пятая книга "Семейное право" посвящает свой первый раздел брачным отношениям. В юридической литературе дискуссировался вопрос о допустимости законодательного определения понятия "брака". Большинство ученых (Г.К. Матвеев, О.С. Иоффе) полагали, что поскольку брачные отношения затрагивают этические, моральные отношения, постольку дать определение "брака" в законодательном порядке невозможно. Другие авторы (Н.Б. Орлова) считали, что брак, хотя и является многообразным явлением, но в своем многообразии брак выступает и как отношение, урегулированное правом. А будучи таковым -- брак несомненно является категорией правовой.

В ст. 1106 брак определяется как добровольный союз мужчины и женщины с целью создания семьи, который зарегистрирован в государственном органе записи гражданского состояния.

В работе обосновывается необходимость законодательного определения брака и в то же время предлагается собственное определение брака.

Для заключения брака требуется достижение брачного возраста (18 лет) и согласие лиц, вступающих в брак. Кодекс в исключительных случаях допускает заключение брака по предварительному письменному согласию родителей или других законных представителей (опекунов и попечителей). В случае, если родители или другие законные представители без уважительных причин отказывают в согласии на вступление в брак (например, в случае принадлежности различным национальностям или при большом расхождении в возрасте) такое разрешение может быть дано судом.

В работе выявляется правовая природа помолвки – предварительное согласие лиц, желающих вступить в брак. Помолвка не порождает обязательства заключения брака, если бракосочетание не состоялось подарки, связанные с помолвкой, возвращаются сторонам.

Брак регистрируется в органах регистрации актов гражданского состояния. Заключение брака оформляется по истечении месяца со дня внесения желающими вступить в брак заявления в орган регистрации и оно сохраняет силу в течении двух месяцев после истечения месячного срока. При наличии уважительных причин месячный срок может быть сокращен органом регистрации актов гражданского состояния, а при наличии особых обстоятельств (рождение ребенка, беременность, реальная опасность для жизни одной из сторон и т.д.) регистрация может быть произведена и в день подачи заявления.

Подробно исследуются обстоятельства, препятствующие заключению брака. Обосновывается необходимость соблюдения принципа моногамии (единобрачия), т.е. недопустимость заключения брака лицами, из которых хотя бы одно уже состоит в браке с другим лицом. Тот факт, что лицо, вступающее в брак ранее неоднократно находилось в браке не является препятствием для вступления в повторный брак. В работе критически рассматривается запрет на вступление в брак между близкими родственниками по прямой восходящей и нисходящей линии, между полнородными и неполнородными сестрами и братьями. Отсюда следует, что действующий кодекс, также как и раннее действующий кодекс не предусматривает запрета на вступление в брак между такими близкими родственниками, как дяди и племянницы, двоюродные и троюродные братья и сестры, между сводными братьями и сестрами и т.д.

По медико-биологическим и морально-этическим соображениям браки между такими близкими родственниками чреваты серьезными отрицательными последствиями (болезнь Дауна и другие физиологические отклонения).

На базе сравнительного анализа отечественного и зарубежного законодательства, в работе вносится предложение о недопустимости вступления в брак между указанными лицами до определенной степени родства.

Не допускается заключение брака между усыновителями и усыновленными, поскольку их отношения приравниваются к отношениям родителей и детей по происхождению. В основу такого запрета положены нравственные и этические соображения. Если в будущем усыновление будет признано недействительным отпадут и условия препятствующие вступлению их в брак.

Не допускается заключение брака между лицами, из которых хотя бы одно признано судом недееспособным, вследствие душевной болезни или слабоумия.

Что касается других болезней, то они не являются препятствием для регистрации брака, но вступающие в брак обязаны заявить, что им известно о состоянии здоровья друг друга.

Брак заключенный в органах государственной регистрации порождает личные и имущественные правоотношения между супругами.

В книге подробно анализируются личные права, к которым относятся:

1) право выбора фамилии; 2) право выбора рода занятий; 3) право выбора места жительства. Личные правоотношения супругов в отличие от имущественных не имеют экономического содержания. В то же время они являются определяющими, что обусловлено сущностью брака, как добровольного союза мужчины и женщины.

Личные права и обязанности супругов тесно связаны с личностью супругов, а потому они неотделимы от них и не могут отчуждаться.

Имущественные отношения между супругами, урегулированные нормами семейного права в законе подразделяются на две группы: а) отношения по поводу супружеской собственности (т.е. имущества нажитого супругами во время брака), б) отношения по поводу взаимного материального содержания (алиментные обязательства). В отличие от ранее действовавшего законодательства новый Гражданский кодекс предоставляет право супругам самим определять содержание своих имущественных отношений путем заключения брачного договора (договорной режим имущества супругов) или соглашения об уплате алиментов супруга. При отсутствии такого брачного договора имущество супругов подразделяется на

индивидуальную собственность и общую совместную собственность.

Имущество, принадлежавшее супругам во время брака, может включать в себя не только вещи и имущественные права, но также обязательственные права (право требования, долги) супругов. Обязательства супругов перед лицом или лицами могут возникать из договоров (гражданско-правовых и трудовых), в результате причинение вреда, вследствие неосновательного обогащения, совершения преступления и по другим основаниям.

В книге анализируются как личные, так и общие обязательства супругов. К личным обязательствам супругов относятся те, которые возникли самостоятельно у каждого из них: а) до государственной регистрации брака; б) после заключения брака, но в целях удовлетворения сугубо личных потребностей супруга; в) вследствие долгов, обременяющих имущество, перешедшее по наследству во время брака одному из супругов; г) вследствие неисполнения супругом алиментных обязательств в отношении детей (от другого брака) или других членов семьи); д) из других оснований, порождающих обязательства, тесно связанные с личностью должника.

Общие обязательства супругов – это те обязательства, которые возникли по инициативе обоих супругов в интересах всей семьи (заём, кредит, деньги, которые были получены супругами на покупку земельного участка и др.). Обязательство, направленное на удовлетворение нужд семьи, может возникнуть из правоотношения, в котором должником выступает только один из супругов, однако все полученное им по обязательству израсходованы на нужды всей семьи. К общим относятся обязательства супругов по возмещению вреда, причиненного их несовершеннолетними детьми.

Подытоживая сказанное следует подчеркнуть, что для определения должника по обязательству (супруг или оба супруга) необходимо выяснить, время возникновения обязательства, его цель и назначение полученных по обязательству средств.

Взыскание по личным обязательствам одного из супругов обращается лишь на имущество этого супруга. При недостаточности личного имущества супруга, кредитор вправе требовать выдела доли супруга-должника, которое причиталось бы супругу-должнику при разделе общего имущества супругов, для обращения на нее взыскания.

По общим обязательствам супругов взыскание обращается на их общее имущество.

Исходя из равенства прав обоих супругов на совместную

собственность предполагается, что при совершении одним из супругов сделки по распоряжению общим имуществом он действует с согласия другого супруга. Это вытекает из презумпции (предположения) согласия другого супруга на распоряжение общим имуществом. Отсюда следует, что лицу, заключающему сделку не нужно проверять, согласен ли на сделку другой супруг или требовать предоставления доверенности от последнего. Если в дальнейшем окажется, что супруг, чье согласие на сделку получено не было, вправе обратиться за защитой своих нарушенных прав в суд и оспорить такую сделку. Для таких случаев законом срок исковой давности не установлен. Представляется, что отсутствие такого срока может отрицательно повлиять на стабильность и правовую определенность гражданского оборота. Поэтому в работе обосновывается необходимость установления срока исковой давности в 1 год, со дня когда супруг узнал или должен был узнать о совершении сделки другим супругом без его согласия.

Правило о презумпции согласия супруга на совершение сделки по распоряжению общим имуществом, не распространяется на сделки одного из супругов по распоряжению недвижимостью. Для совершения такого вида сделок одним из супругов необходимо получить нотариально удостоверенное согласие другого супруга. Супруг, чье право было нарушено совершением такой сделки вправе требовать в судебном порядке признания совершенной сделки недействительной. Такое требование, в силу прямого указания закона, может быть предъявлено в течение 1 года со дня совершения сделки.

Новеллой семейного законодательства является институт договорного режима имущества супругов (брачный контракт). Он дает право супругам самостоятельно определить содержание своих имущественных прав и обязанностей. Установление брачного договора вызывается тем, что многие лица, занимающиеся предпринимательской деятельностью хотели бы обеспечить свои имущественные права и интересы. К такому договору могут прибегнуть и лица, вступающие в брак при наличии большой возрастной разницы или те, которые в первом браке "почувствовали" отрицательный результат отсутствия такого соглашения.

Субъектами брачного договора могут быть как лица, вступающие в брак, так и уже вступившие в законный брак – супруги. Брачный договор может быть заключен дееспособными, совершеннолетними (за исключением случаев, когда в брак в соответствии с законом вступают лица от 16 до 18 лет по судебному решению).

Брачный договор должен быть заключен письменно и нотариально удостоверен. Брачный договор считается заключенным с момента уплаты государственной пошлины. Он заключается на определенный срок или без указания такого срока. Лица, заключившие брачный договор могут предусмотреть изменение правового режима принадлежавшего им имущества как на будущее время, так и с момента заключения.

Содержанием брачного договора являются те условия, в которых стороны устанавливают правовой режим супружеского имущества.

Брачный договор предоставляет возможность лицам, вступающим в брак или супругам, применить к имуществу супругов договорный режим собственности, т.е. режим совместной собственности, долевой собственности и раздельной собственности.

Большое практическое значение имеет положение о том, что брачный договор может быть заключен не только в отношении уже имеющегося имущества, но и по поводу будущего имущества супругов.

В брачном договоре супруги вправе определить самые разные аспекты имущественных отношений: свои права и обязанности по взаимному содержанию, способы участия в доходах друг друга; порядок несения каждым из них семейных расходов, определить имущество, которое будет передано каждому из них в случае расторжения брака.

В брачном договоре не могут быть урегулированы личные отношения супругов.

По взаимному согласию супругов, брачный договор может быть изменен или прекращен в любое время. Такое соглашение должно быть заключено в письменной форме с обязательным нотариальным удостоверением. Односторонний отказ от исполнения брачного договора не допускается. Спор об этом решается в судебном порядке.

Брачный договор может быть признан судом недействительным полностью или частично по основаниям, предусмотренным гражданским законодательством для недействительности сделок. Гражданский Кодекс устанавливает исчерпывающий перечень оснований недействительности сделок в судебном порядке. В частности, брачный договор может быть признан недействительным, если он заключен с лицом, неспособным понимать значения своих действий или руководить ими, под влиянием обмана, насилия, угроз или вследствие стечения тяжелых обстоятельств на крайне невыгодных для себя условиях а также заключение брачного договора с гражданином, ограниченным судом в дееспособности,

вследствие злоупотребления спиртными напитками и наркотическими средствами без согласия его попечителей.

В работе исследуются основания прекращения брака. Брак может быть прекращен смертью одного из супругов, объявлением его умершим в судебном порядке и расторжением брака. В связи с этим в работе подробно рассмотрены административный и судебный порядок расторжения брака.

Расторжение брака в органах регистрации актов гражданского состояния (административный порядок) может иметь место по взаимному согласию супругов, которые не имеют общих несовершеннолетних детей.

Расторжение брака производится в месячный срок после внесения супругами заявления о расторжении брака, кроме случаев наличия особых обстоятельств (беременность, рождение ребенка и опасность угрожающая жизни одного из супругов).

Вместе с тем, в отдельных случаях расторжение брака между супругами в органах записи актов Гражданского состояния может иметь место по заявлению одного из супругов, в частности, если один из супругов в судебном порядке будет признан безвестно отсутствующим, недееспособным вследствие душевной болезни или слабоумия, а также один из супругов осужден судом за преступление к лишению свободы на срок не менее 3-х лет.

Кодекс содержит норму о недопустимости предъявления мужем требования о расторжении брака без согласия жены во время ее беременности и в течение года после рождения ребенка. Указанное правило применяется как при расторжении брака в судебном порядке, так и при расторжении брака в органах записи актов гражданского состояния. Оно направлено на охрану здоровья женщины в период беременности и в течение года после рождения ребенка от ненужных волнений и переживаний, связанных с разводом. Поэтому муж не вправе предъявлять требование о расторжении брака без согласия жены и в том случае, когда он не является отцом ребенка (беременность от другого мужчины).

Расторжение брака в Загсе является основным видом прекращения брачных отношений. Загс не устанавливает мотивы расторжения брака и в его обязанности не входит примерение сторон. Брак считается прекращенным с момента регистрации расторжения брака в органе регистрации актов гражданского состояния.

Судебный порядок расторжения брака применяется в случаях: при

наличии у супругов общих несовершеннолетних детей; при отсутствии согласия одного из супругов на расторжение брака, если один из супругов, несмотря на отсутствие у него возражений, уклоняется от расторжения брака в органе Загса. Судебный порядок призван обеспечить не только государственно-правовое регулирование отношений, связанных с прекращением брака, но и защитить в случае необходимости интересы каждого из супругов и их несовершеннолетних детей.

Рассмотрение дел о расторжении брака осуществляется судом в порядке искового заявления. Фактические мотивы расторжения брака могут быть самими разнообразными (супружеская измена, бездетность, злоупотребление спиртными напитками, физическое избиение и т.д.). О них прямого указания в законе нет. В соответствии с требованиями закона брак может быть расторгнут лишь тогда, когда установлено, что дальнейшая совместная жизнь супругов и сохранение семьи невозможно.

В работе выявляется основание и анализируется порядок признания брака недействительным.

Признание брака недействительным производится в судебном порядке. Недействительным является брак, заключенный при отсутствии хотя бы одного из предусмотренных законом условий для его заключения или при наличии хотя бы одного из установленных в законе препятствий.

Признание брака недействительным вызывает аннулирование брака во всех его правовых последствиях с момента его заключения.

В работе, в связи с этим обосновывается, что признание брака недействительным это вид семейно-правовой санкции, которая применяется в случаях нарушения предусмотренных законом условий заключения брака, а также в случае заключения брака без намерения создать семью (фиктивный брак, несостоявшийся брак).

Брак признается недействительным в следующих случаях:

- отсутствие взаимного согласия лиц, вступающих в брак;
- заключение брака с лицами, которые не достигли брачного возраста;
- заключение брака между родственниками по прямой восходящей и нисходящей линии, между полнородными и неполнородными братьями и сестрами, усыновителями и усыновленными;
- наличие у супругов (одного из них) другого расторгнутого брака;
- заключение брака с лицом, признанным судом недееспособным вследствие душевной болезни, либо слабоумия;

– регистрация брака без намерения создать семью (фиктивный брак).

К имуществу, приобретенному совместно лицами, брак которых признан недействительным, применяется правило о долевой собственности, а не нормы об общей совместной собственности супругов. Имущество, находящееся в долевой собственности может быть разделено между бывшими супругами по соглашению между ними. Каждый из них вправе требовать выдела своей доли из общего имущества. При недостижении согласия о способе и условии раздела общего имущества, спор между ними решается в судебном порядке.

Признание брака недействительным влечет аннулирование и других прав супругов: а) права на фамилию, принятую при государственной регистрации брака; б) права на получение в случае нуждаемости и нетрудоспособности алиментов от другого супруга; в) права пользования жилой площадью другого супруга, при вселении в нее после заключения брака; г) права наследования по закону после смерти супруга; д) права на получение пенсии по случаю потери кормильца и другие. Исключением является охрана прав добросовестного супруга (т.е. лица, не знавшего о наличии препятствий к заключению брака). Добросовестный супруг вправе требовать возмещения причиненного ему материального и морального вреда по правилам, установленным Гражданском кодексом.

В работе подробно исследуются правоотношения родителей и детей.

Рождение ребенка – важное событие в жизни супругов, давших ребенку жизнь. Происхождение детей от конкретных родителей является основанием для возникновения правоотношений между родителями и детьми, независимо от того, состоят ли родители в браке или нет, проживают ли они совместно или раздельно.

Происхождение ребенка устанавливается в органах Загса путем государственной регистрации рождения ребенка. Происхождение детей не удостоверенное в установленном законом порядке не может служить основанием возникновения взаимных прав и обязанностей родителей и детей. Закон устанавливает различные основания происхождения детей от конкретных мужчин и женщин в зависимости от следующих обстоятельств: а) родители ребенка состоят в браке; б) родители ребенка не состоят в браке, но отец добровольно признает свое отцовство в отношении ребенка рожденного вне брака; в) родители ребенка не состоят в браке и отцовство в отношении ребенка рожденного вне брака устанавливается в судебном порядке

добровольно не признал свое отцовство в отношении ребенка рожденного вне брака.

Для удостоверения происхождения ребенка от матери не имеет значение рожден ли ребенок при наличии брака или нет. Общий порядок установления материнства распространяется так же на случаи рождения ребенка в результате искусственного оплодотворения женщины или имплантации эмбриона при условии предварительного письменного согласия супругов.

В работе детально рассматривается вопрос о происхождении ребенка от отца. Отцом ребенка признается мужчина, находящийся в браке с матерью ребенка. В этой связи в работе подробно определяется правовое положение ребенка, родившегося от сожителства мужчины и женщины вне брака. Отцом ребенка записывается мужчина, если он в добровольном порядке, путем подачи заявления в Загс, признает свое отцовство. А при отсутствии такого заявления происхождение ребенка от конкретного лица устанавливается в судебном порядке по заявлению одного из родителей. При этом суд принимает во внимание совместное проживание матери и ответчика, ведение ими общего хозяйства до рождения ребенка, а также любые доказательства, с достоверностью подтверждающие происхождение ребенка от конкретного лица. Это означает, что суд в подобном случае может использовать все известные современной науке средства и способы, чтобы установить отцовство. В случае смерти лица, которое признавало себя отцом ребенка, но не состояло в браке с матерью ребенка, факт признания им отцовства может быть установлен в судебном порядке.

Особое внимание в работе уделяется порядку определения происхождения ребенка, рожденного в результате использования метода искусственного оплодотворения. Лица, состоящие в браке и давшие согласие в письменной форме на применение метода искусственного оплодотворения или на имплантацию эмбриона, в случае рождения у них ребенка в результате применения этих методов, записываются его родителями в органах Загса.

Лица, состоящие в браке между собой и давшие свое согласие в письменной форме на имплантацию эмбриона в целях его вынашивания могут быть записаны родителями ребенка только с согласия женщины родившей ребенка (суррогатной матери).

Кодекс регулирует права и обязанности родителей в отношении своих детей. Родители правомочны и обязаны воспитывать своих детей,

заботиться об их физическом, умственном, духовном и социальном развитии, расстить их достойными гражданами нашего общества. Родительские права не могут быть использованы вопреки интересам детей. Родители, находящиеся в браке или расторгшие брак в отношении своих детей имеют равны с права и несут равные обязанности.

Гражданский кодекс предусматривает два основных ограничения в родительских правах. Во-первых, кодекс предусматривает лишение родительских прав, которое имеет место по вине родителей (или одного из них), в частности кодекс предусматривает лишение родительских прав, если выясняется что родители (или один из них) систематически уклоняются от обязанности по воспитанию своих детей или злоупотребляют родительскими правами – жестоко обращаются с детьми, оказывают на них вредное влияние аморальным поведением, а также в том случае если родители являются хроническими алкоголиками или наркоманами. В случае, если оба родителя лишаются родительских прав ребенок передается органу опеки и сожительства.

Родитель, лишенный родительских прав, теряет все права, основанные на родстве с ребенком, в отношении которого он лишен родительских прав и наоборот, ребенок родителя, лишенного родительских прав сохраняет основанное на родстве имущественные права, в том числе и право получения наследства, алиментов и т.д.

Лишение родительских прав носит постоянный характер, но гуманность законодателя проявляется в допустимости восстановления в судебном порядке родительских прав. Восстановление в родительских правах возможно только в случае, если будет установлено, что поведение и условие жизни родителя, лишенного родительских прав изменилось настолько, что он способен воспитывать ребенка в нормальных условиях, и если такое восстановление в родительских правах соответствует интересам ребенка.

Вторым основанием ограничения родительских прав является отобрание ребенка в случае опасности со стороны родителей, не зависящей от самих родителей (болезнь родителей, стечение тяжелых обстоятельств и другие). В этом случае может иметь место отобрание детей без лишения родительских прав. Исходя их конкретных обстоятельств органы опеки и попечительства вправе предъявить иск об отобрании ребенка еще до рассмотрения вопроса в судебном порядке.

В книге подробно рассматриваются вопросы, связанные с алиментными обязательствами. В семейном праве под алиментами

понимается питание, содержание, которые в предусмотренных законом случаях, одни члены семьи обязаны уплачивать в пользу других ее членов. Основой алиментных обязательств являются семейные отношения, а их целью содержание нетрудоспособных и нуждающихся членов семьи.

В соответствии с Гражданским кодексом алименты уплачиваются по решению суда (судебный порядок уплаты алиментов) или по соглашению сторон (добровольный порядок уплаты алиментов). В работе подчеркивается, что понятие „алименты“ и „содержание“ не совпадают. Алименты – это разновидность содержания (т.е. более узкое понятие).

Алиментные обязательства возникают между супругами (в установленном порядке между бывшими супругами), между родителями и другими членами семьи.

Родители не освобождаются от уплаты алиментов, если дети находятся под опекой (попечительством) в приемной семье или в воспитательном учреждении.

Размер алиментов взыскиваемых на несовершеннолетних детей устанавливается в судебном порядке с учетом интересов как несовершеннолетних детей, так и лиц уплачивающих алименты.

Размер алиментов может быть уменьшен или увеличен судом с учетом материального и семейного положения сторон и иных заслуживающих внимание обстоятельств.

Алиментнообязанный родитель обязан участвовать в дополнительных расходах на детей. В свою очередь совершеннолетние дети обязаны проявлять заботу о родителях, оказывать им в необходимых случаях материальную поддержку и проявлять внимание.

Дети освобождаются от обязанности по содержанию своих нетрудоспособных, нуждающихся в помощи родителей, если судом будет установлено, что родители в прошлом уклонялись от выполнения родительских обязанностей. В данном случае имеются в виду виновные действия родителей, когда они не заботились о здоровье, нравственном воспитании, физическом развитии, обучении несовершеннолетнего ребенка, а также на содержание ребенка, злостно уклонялись от уплаты алиментов.

Требование супруга о взыскании алиментов может быть удовлетворено судом лишь при наличии предусмотренных законом оснований: а) супруги состоят в зарегистрированном браке; б) нетрудоспособность и нуждаемость супруга, требующего уплаты

алиментов; в) наличие у супруга-ответчика необходимых средств для оказания материальной помощи другому супругу.

Нуждаемость и нетрудоспособность жены, как обязательное условие для уплаты алиментов жене, не требуется, если алиментные обязательства возникают в период беременности или в течение 3-х лет после рождения ребенка.

Право на получение алиментов сохраняется за супругами и после расторжения брака при наличии следующих условий: а) бывшей жены в период беременности и в течении 3-х лет после рождения общего ребенка; б) нуждающийся бывший супруг, ставший нетрудоспособным до расторжения брака или в течение 1 года после расторжения брака.

Новым в гражданском кодексе является возможность заключения соглашения об уплате алиментов (о размере, условиях и порядке выплаты алиментов). Соглашение заключается между лицом, обязанным выплачивать алименты и их получателем. Соглашение заключается в письменной форме и подлежит нотариальному удостоверению, после чего соглашение принимает силу исполнительного листа. Если соглашение нарушает интересы ребенка оно может быть признано недействительным.

В работе рассматриваются вопросы воспитания детей, оставшихся без попечения родителей. В связи с этим подробно исследуются проблемы усыновления, определяется роль опеки и попечительства в процессе дел к судебному рассмотрению об усыновлении, определяется порядок учета детей, подлежащих усыновлению и порядок учета усыновителей. Приоритет отдается усыновлению в пределах Грузии.

Отмечается, что усыновителями не могут быть лица, отстраненные от обязанности опекунов, бывшие усыновители, если усыновление было отменено по их вине, а также лица, которые по состоянию здоровья, нравственным и иным качествам не могут воспитывать ребенка.

В законодательстве впервые вводится разница в возрасте между усыновителем и усыновленным. Усыновитель должен быть старше усыновленного не менее чем на шестнадцать лет. При наличии уважительных причин суд может сократить эту разницу в годах.

В работе должное внимание уделяется правовому положению органов опеки и попечительства, рассмотрен порядок установления опеки и попечительства над несовершеннолетними нетрудоспособными гражданами и т.д.

Под опекой и попечительством понимается форма устройства детей-сирот и детей оставшихся без попечения родителей в целях их

содержания, воспитания и образования, а также для защиты их прав и интересов.

Органы опеки и попечительства основаны на нормах не только семейного, но и гражданского права, а потому институт опеки и попечительства является комплексным.

Гражданский кодекс устанавливает определенные требования к лицам назначаемым опекунами и попечителями. Опекунами (попечителями) могут быть совершеннолетние дееспособные лица. Их права и обязанности возникают с момента вынесения органом опеки и попечительства решения о их назначении.

Опекуны малолетних (несовершеннолетних не достигших возраста 7 лет) совершают от их имени и в их интересах все юридические действия и необходимые гражданско-правовые сделки, которые подопечные не вправе совершать самостоятельно, поскольку не обладают полной гражданской дееспособностью.

Попечители над несовершеннолетними в возрасте от 7 до 18 лет дают согласие на совершение ими тех сделок, которые подопечные не вправе совершать самостоятельно.

Права опекуна и попечителя (так и родительские права) не могут совершаться в противоречии с интересами детей.

Обязанности по опеке и попечительству исполняются безвозмездно, кроме случаев, предусмотренных законом.

Совершенно новой формой воспитания детей является приемная семья. В этой связи рассматривается порядок воспитания детей в приемной семье, устанавливается, что такое воспитание может иметь место на основе договора заключенного между приемными родителями и органами опеки и попечительства. Договор может предусматривать воспитание детей в приемной семье до достижения 18 лет, хотя договором может быть определен и более сокращенный срок.

Отношение между приемными родителями и детьми, находящимся на их воспитании не порождают наследственных, алиментных и др. прав.

Приемные родители не вправе препятствовать общению ребенка с его родителями и другими близкими родственниками, за исключением случаев, когда такое общение не отвечает интересам ребенка.

При заключении этого договора орган опеки и попечительства обязан руководствоваться интересами ребенка.

При передаче ребенка в приемную семью за ребенком сохраняется право собственности на жилое помещение, право пользоваться жилым помещением.

К сожалению Гражданский кодекс не содержит норм, регулирующих порядок приема детей на воспитание в приемную семью, а регулируется специальным законом, принятым парламентом Грузии 22 июня в 1999 году. Представляется, что основополагающие нормы, регулирующие воспитание детей в приемных семьях должно найти место в Гражданском кодексе.

Наконец, в работе подробно рассматриваются вопросы применения семейного законодательства к семейным отношениям с участием иностранных лиц и лиц без гражданства.

В последние годы вопросы правового регулирования семейных отношений с участием иностранных граждан и лиц без гражданства приобрели особую актуальность. Это связано с рядом причин объективного характера: усиление миграции населения, свободный въезд и выезд из Грузии, развитие отношения между Грузией и иностранными государствами. В связи с этим наметился значительный рост числа браков и разводов между жителями Грузии и иностранными гражданами.

При наличии в семейных отношениях иностранного элемента возникает вопрос о том, право какого государства подлежит применению и органы какого государства компетентны принимать решение по тем или иным вопросам, вытекающих из таких семейных отношений. Указанная проблема относится к международному частному праву.

В книге рассмотрены основание и условия применения семейного законодательства Грузии и норм иностранного семейного права к семейным отношениям с участием иностранных лиц и лиц без гражданства.

И здесь, к сожалению, следует указать, что эти отношения регулируются не Гражданским Кодексом, а специальным законом, принятым парламентом Грузии 29 апреля 1998 года.

Представляется, что в Гражданском Кодексе должно найти более подробное регулирование брака и развода с участием иностранных граждан и лиц без гражданства.

ამოცანები

*(ამოცანებში მითითებულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან
სწორია ერთ-ერთი)*

№ 1

მერაბ უნდილაძემ დანიშნა ნათელა ჭანკვეტაძე. ნიშნობისას დაქორწინებულ პირებს მშობლებმა და მათმა ახლობლებმა მიართვეს საჩუქრები. შემდგომში დანიშნულთა ქორწინება არ შედგა.

რა ბედი ეწვევა ნიშნობის სუფრის მოსაწყობად გაწეულ ხარჯებსა და მირთმეულ საჩუქრებს?

1. საჩუქარი უკან არ ბრუნდება.
2. გაწეული ხარჯი არ ანაზღაურდება და საჩუქრები მხარეებს არ უბრუნდებათ.
3. გაწეული ხარჯები ანაზღაურდება და საჩუქრები უკან არ უბრუნდებათ.
4. გაწეული ხარჯი არ ანაზღაურდება და საჩუქრები მხარეებს უბრუნდებათ.

№ 2

მარი კიკნაძემ და ავთო ტერელაშვილმა ქორწინების მიზნით მიმართეს ეკლესიას. ჯვრისწერის შემდეგ საეკლესიო პირმა მათ გადასცა ჯვრისწერის მოწმობა. ახალგაზრდებმა ჩათვალეს, რომ ისინი მეუღლეები არიან და შეუდგნენ ერთად ცხოვრებას. ერთი წლის შემდეგ, მათი ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო, მიმართეს სასამართლოს განქორწინებისათვის. სასამართლომ უარი უთხრა პირებს განქორწინებაზე იმ მოტივით, რომ ისინი არ იყვნენ მეუღლეები.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. არ არის სწორი, ვინაიდან სასამართლომ არასწორად შეაფასა პირთა შორის არსებული ურთიერთობა.
2. არ არის სწორი, იმიტომ, რომ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა ჯვრისწერის მოწმობა არ ჩაეთვალა ქორწინების დამადასტურებელ დოკუმენტად.
3. სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია, ვინაიდან ჯვრისწერა არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ქორწინებას და აღნიშნულ პირებს არ ცნობს მეუღლეებად.
4. სასამართლო გადაწყვეტილება არასწორია, რადგან ჯვრისწერის მოწმობა წარმოადგენს პირთა შორის ქორწინების დამადასტურებელ დოკუმენტს.

№ 3

ნესტან ჩანტლაძემ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა მის მეუღლესთან, დავით კილურაძესთან განქორწინება, ვინაიდან დაქორწინებისას დავითმა დაუმალა ვენერიული დაავადების შესახებ. სასამართლო განხილვისას, დავითმა არ უარყო მეუღლის ბრალდება და აღნიშნა, რომ მან არ იცოდა თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაცნობა სავალდებულო იყო მისთვის. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გამოიტანა კერძო განჩინება სარო-ს პირის მიმართ.

რას ეფუძნებოდა სასამართლოს განჩინება?

1. იმას, რომ კანონით, სარო-ს თანამდებობის პირს ევალებოდა მათთვის მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაცნობა.
2. შესაბამისი თანამდებობის პირს არ ევალებოდა იმის გარკვევა, ცნობილი იყო თუ არა დასაქორწინებელი პირებისათვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
3. სარო-ები მოვალენი არიან დარწმუნდნენ, რომ დასაქორწინებელ პირთათვის არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები და რომ მათთვის ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობა და ოჯახური მდგომარეობა.

4. სარო-ს თანამდებობის პირს ეკისრებოდა მხოლოდ მათი ოჯახური მდგომარეობის ერთმანეთისადმი გაცნობის ვალდებულება.

№ 4

ქეთი საკანდელიძემ და გივი მარუაშვილმა განცხადებით მიმართეს სარო-ს ქორწინების თაობაზე. სარო-ს თანამდებობის პირმა განუმარტა მათ, რომ რეგისტრაცია მოხდებოდა კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

გივიმ, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებით გამგზავრების მოტივით, სთხოვა შესაბამის თანამდებობის პირს შეემცირებინა კანონით დაწესებული ერთთვიანი ვადა, რაზედაც უარი მიიღო. უარი გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში.

სწორი იყო თუ არა სარო-ს თანამდებობის პირის უარი?

1. სწორი იყო, რადგანაც კანონში პირდაპირ არის მითითებული ქორწინების რეგისტრაციის ერთთვიანი ვადა.
2. სწორი იყო, რადგანაც კანონი პირდაპირ კრძალავს ქორწინების რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადის შემცირებას.
3. სწორია, ვინაიდან რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადის შემცირებისათვის საჭირო იყო სასამართლოს წინასწარი თანხმობა.
4. არ იყო სწორი, ვინაიდან კანონი პატივსადები მიზეზების არსებობისას, უშვებს ქორწინების რეგისტრაციისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადის შემცირებას.

№ 5

გერმანიის მოქალაქემ, რ. შმიდტმა გადაწყვიტა ქართველ ქალზე დაქორწინება, რისთვისაც მათ განცხადება შეიტანეს ქ. ქუთაისის სარო-ში. ამ ორგანოს თანამდებობის პირმა მოსთხოვა რ. შმიდტს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობა, რაზედაც რ. შმიდტმა განუცხადა რეგისტრაციის ორგანოს

თანამდებობის პირს, რომ მას ასეთი ცნობის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ასეთი ცნობის წარმოდგენამდე სარო-ს თანამდებობის პირმა უარი განუცხადა ქორწინების რეგისტრაციაზე.

სწორი იყო თუ არა რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირის მოთხოვნა?

1. სწორია, ვინაიდან საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის, აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები.
2. არ იყო სწორი, ვინაიდან რ. შმიდტი ქორწინდებოდა საქართველოს მოქალაქეზე და მას ასეთი ცნობის წარდგენა არ მოეთხოვებოდა.
3. სწორია, ვინაიდან დასაქორწინებელ საქართველოს მოქალაქეს, თვითონ უნდა უზრუნველყო ასეთი ცნობის წარდგენა.
4. არ იყო სწორი, ვინაიდან ქორწინებისას კანონი ასეთი ცნობის წარდგენას არ ითვალისწინებს.

№ 6

გივი ეკასთან დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გაემგზავრა სამწლიან მივლინებაში საზღვარგარეთ. მივლინებიდან დაბრუნებულ გივის ცოლი ფეხმძიმედ დახვდა. გვიმ იმ მოტივით, რომ იგი ამ პერიოდისათვის არ იმყოფებოდა საქართველოში, განცხადებით მიმართა სასამართლოს განქორწინების თაობაზე, თუმცა მეუღლე წინააღმდეგი იყო განქორწინებისა. სასამართლომ უარი უთხრა გივის სარჩელის მიღებაზე.

სწორი იყო თუ არა სასამართლოს უარი?

1. სწორი იყო, ვინაიდან ცოლის ორსულობის დროსა და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს

- ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.
2. არ იყო სწორი, ვინაიდან გივის მეუღლის ფუნქციონირების პერიოდი, აშკარად შეუსაბამო იყო გივის არყოფნის პერიოდთან.
 3. სწორი იყო, ვინაიდან გივის ჰქონდა უფლება საქმე აღედრა სასამართლოში ამ მოტივით, რადგან იგი არ იყო ბავშვის მამა.
 4. არ იყო სწორი, ვინაიდან სასამართლოს არა აქვს უფლება განქორწინოს პირები, თუ ისინი თანახმა არ არიან განქორწინებაზე.

№ 7

ნინო პატაშურმა განცხადებით მიმართა სარო-ს განქორწინების თაობაზე იმ მოტივით, რომ მისთვის უკვე სამი წელია ცნობილი არ არის მეუღლის – კახა შველიძის ადგილსამყოფელი. რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირმა უარი უთხრა განქორწინებაზე იმ მოტივით, რომ განქორწინებისათვის საჭირო იყო ცნობა მისი მეუღლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილიდან.

სწორი იყო თუ არა რეგისტრაციის ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირის მოთხოვნა?

1. სწორი იყო, ვინაიდან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით, განქორწინებისათვის აუცილებელია ცნობა მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილიდან.
2. არ იყო სწორი, ვინაიდან რეგისტრაციის ორგანოში ნინო პატაშურს უნდა წარედგინა სასამართლოს გადაწყვეტილება კახა შველიძის უზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ.
3. არ იყო სწორი, ვინაიდან ასეთი ცნობის წარდგენა განქორწინებისათვის საკმარისი არ არის.
4. სწორი იყო, ვინაიდან მის მიერ მოთხოვილი ცნობის გარეშე კანონი არ ითვალისწინებს განქორწინებას.

ქეთი გაბელიამ მიმართა სარო-ს განცხადებით განქორწინების თაობაზე. მიუთითა, რომ მისი მეუღლე – რომან ლაბაძე მსჯავრდებული იყო დანაშაულისათვის, რისთვისაც მისჯილი ჰქონდა 4 წლით პატიმრობა, რაც დასტურდებოდა ქეთის მიერ წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. სარო-ს ორგანოს თანამდებობის პირმა უარი განუცხადა მას განქორწინებაზე, რადგან მსჯავრდებულ პირთან განქორწინება ექვემდებარებოდა სასამართლო განხილვას.

სწორი იყო თუ არა რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირის უარი?

1. სწორი იყო, რადგან სისხლის სამართლის საქმის განხილვასთან ერთად, სასამართლოს შეეძლო მოეხდინა მათი განქორწინება.
2. არ იყო სწორი, ვინაიდან რეგისტრაციის ორგანოს უფლება – ჰქონდა განექორწინებინა მეუღლეები მხოლოდ ქეთი გაბელიას განცხადების საფუძველზე, რისთვისაც სარო-ს უნდა ეუწყებინა პატიმრობაში მყოფი მეუღლისათვის და უწყებაშივე განესაზღვრა პასუხის შეტყობინების ვადა იმის თაობაზე, არის თუ არა დავა ბავშვის შესახებ, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუნარო მეუღლის სასარგებლოდ აღიმენტი გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს; ამასთან, პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სარო ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.
3. არ იყო სწორი, ვინაიდან მას შეეძლო წარდგენილი განაჩენის საფუძველზე იქვე მოეხდინა მათი განქორწინება.
4. სწორი იყო, ვინაიდან მსჯავრდებულ პირთან განქორწინება არის მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა.

№ 9

ნოდარ და თამარ ანდლულაძეებმა განცხადებით მიმართეს სარო-ს განქორწინების თაობაზე, სადაც მიუთითეს, რომ თითოეულ მათგანს წინა ქორწინებიდან ჰყავდა არასრულწლოვანი შვილები. რეგისტრაციის ორგანომ უარი უთხრა მათ განქორწინებაზე იმ მოტივით, რომ მათ ჰყავდათ არასრულწლოვანი შვილები.

სწორია თუ არა რეგისტრაციის ორგანოს უარი?

1. არ არის სწორი, ვინაიდან სხვადასხვა ქორწინებიდან არასრულწლოვანი შვილების ყოლა მეუღლეთა თანხმობის შემთხვევაში არ წარმოადგენს სარო-ს ორგანოში განქორწინებაზე უარის თქმის საფუძველს.
2. სწორია, ვინაიდან მეუღლეთა თანხმობის შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბავშვების არასრულწლოვანებას.
3. არ არის სწორი, ვინაიდან მეუღლეები იმყოფებიან კანონიერ ქორწინებაში და თანახმანი არიან განქორწინებაზე.
4. სწორია, ვინაიდან მეუღლეებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, განქორწინებისათვის უნდა მიმართონ სასამართლოს.

№ 10

რეზო კინწურაშვილი სასამართლოს მიერ გამოცხადებული იყო გარდაცვლილად. ორი წლის შემდეგ მისი მეუღლე თამარ გასვიანი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ხელახლა დაქორწინდა. მეუღლის ხელმეორედ დაქორწინების შემდეგ რეზო კინწურაშვილი დაუბრუნდა მის საცხოვრებელ ადგილს და მოითხოვა მეუღლესთან – თამარ გასვიანთან ქორწინების აღდგენა, რაზედაც სარო-მ უარი განუცხადა.

რის საფუძველზე განუცხადა რეგისტრაციის ორგანომ უარი რეზო კინწურაშვილს?

1. ქორწინებას აღდგენა არ სჭირდება, ვინაიდან გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის დაბრუნება ავტომატურად იწვევს ქორწინების აღდგენას.
2. ქორწინების აღდგენისათვის საჭირო იყო სასამართლოს თანხმობა.
3. გარდაცვლილად გამოცხადებულ მეუღლეს არა აქვს უფლება ყოფილ მეუღლესთან ქორწინების აღდგენაზე, რადგან მეუღლეს მეორე ქორწინებაში ჰყავს არასრულწლოვანი შვილები.
4. ქორწინება არ შეიძლება აღდგეს, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.

№ 11

მერი ჭოხონელიძე და თამაზ გამცემლიძე განქორწინებული იყვნენ კანონით დადგენილი წესის საფუძველზე. რამდენიმე წლის შემდეგ მათ კვლავ მოისურვეს დაქორწინება და განცხადებით მიმართეს სარო-ს, რაზედაც რეგისტრაციის ორგანომ უარი განუცხადა.

სწორი იყო თუ არა რეგისტრაციის ორგანოს უარი?

1. არ არის სწორი, ვინაიდან განქორწინებულ მეუღლეებს უფლება აქვთ ხელახლა დაქორწინდნენ.
2. სწორი იყო, ვინაიდან ხელახალი რეგისტრაციის დროს, აუცილებელია სასამართლოს თანხმობა.
3. არ არის სწორი, ვინაიდან მათი ხელახალი ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ მათ მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადების შემდეგ.
4. სწორი იყო, ვინაიდან ისინი ერთხელ უკვე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და მათი ხელმოკრულ დაქორწინების რეგისტრაცია აუცილებელი აღარ იყო.

№ 12

სასამართლომ გააუქმა ასმათ და თამაზ ბეგიაშვილების ქორწინება, იმ მოტივით, რომ თამაზი სასამართლოს მიერ ქორწინების პერიოდში სულით ავადმყოფობის გამო აღიარებული იყო ქმედუწაროდ.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. სწორია, ვინაიდან ქორწინებისას დასაქორწინებელი პირის ქმედუწარობა შემდგომში იწვევს მის გაუქმებას.
2. ქმედუწარო პირის ქორწინების რეგისტრაცია წარმოადგენს ქორწინების არა გაუქმების, არამედ ბათილად ცნობის საფუძველს.
3. არ არის სწორი, ვინაიდან სასამართლოს არ ჰქონდა უფლება გაეუქმებინა ქორწინება ამ მოტივით, ვინაიდან მეუღლეები ისედაც თანახმა იყვნენ ქორწინების შეწყვეტაზე.
4. სწორია, ვინაიდან მეუღლეები თანახმა იყვნენ სასამართლოს ამ მოტივით გაეუქმებინა ქორწინება.

№ 13

სასამართლომ ბათილად ცნო ნუნუ და ნოდარ მხეიძეებს შორის ქორწინება და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ქორწინება ბათილი იყო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. სწორია, ვინაიდან ქორწინება ბათილად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.
2. არ არის სწორი, ვინაიდან ქორწინება ბათილად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების სარო-ში რეგისტრაციის დღიდან.
3. არ არის სწორი, ვინაიდან ქორწინება ბათილად ითვლება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

4. არ არის სწორი, ვინაიდან ქორწინება ბათილად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან.

№ 14

შრომისუნარო ირმა ჩაფიძემ სასამართლოს მიმართ განცხადებით, სასამართლო წესით განქორწინებული მეუღლის – მერაბ ჩაფიძის მიმართ რჩენის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნით. მოპასუხემ – ყოფილმა მეუღლემ, მერაბ ჩაფიძემ უარი განუცხადა რჩენის ვალდებულებაზე იმ მოტივით, რომ ის უკვე განქორწინებული იყო მასთან და მის მეუღლედ აღარ ითვლებოდა.

აქვს თუ არა სასამართლოს უფლება, მერაბ ჩაფიძეს დააკისროს მისი ყოფილი მეუღლის – ირმა ჩაფიძის რჩენის მოვალეობა?

1. არა აქვს, ვინაიდან მეუღლეები განქორწინებული არიან.
2. აქვს უფლება, თუ ირმა ჩაფიძე შრომისუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.
3. არა აქვს უფლება, ვინაიდან ირმა ჩაფიძე შრომისუნარო გახდა განქორწინების შემდეგ.
4. არა აქვს, ვინაიდან მათ არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები.

№ 15

იამზემ და ტარიელმა დადეს საქორწინო ხელშეკრულება, რითაც გაითვალისწინეს მათი შემდგომი პირადი და ქონებრივი უფლებების მოწესრიგება. კერძოდ, განსაზღვრეს, თუ რომელი მათგანი წარმართავდა საოჯახო მეურნეობას, რომ იამზე აუცილებლად მიიღებდა ტარიელის გვარს, შეიცვლიდა პროფესიას, რომელსაც მისი მომავალი მეუღლე აურჩევდა მას, აგრეთვე განსაზღვრეს მათი ინდივიდუალური საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი, კერძოდ, დაადგინეს, რომ იგი იქნებოდა მეუღლეთა თანასაკუთრება. ნოტარიუსმა

უარი განუცხადა მათ აღნიშნული ხელშეკრულების დამოწმებაზე.

რით იყო განპირობებული ნოტარიუსის უარი?

1. უარი განპირობებული იყო იმით, რომ დასაქორწინებელ პირებს არ ჰქონდათ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება.
2. უარი განპირობებული იყო იმით, რომ მათ უფლება ჰქონდათ მოეწესრიგებინათ მხოლოდ პირადი ხასიათის ურთიერთობები.
3. უარი განპირობებული იყო იმით, რომ საქორწინო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ საოჯახო მეურნეობისათვის ხარჯების ოდენობას.
4. უარი განპირობებული იყო იმით, რომ საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია დასაქორწინებელ ან უკვე დაქორწინებულ პირთა შორის პირადი ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა.

№ 16

თამარ და გურამ ხითარიშვილების განქორწინებასთან ერთად, სასამართლომ განიხილა არასრულწლოვანი შვილების ბედი და ისინი აღზრდის მიზნით მიაკუთვნა დედას – თამარ ხითარიშვილს. ამასთან, ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონების 2/3 მიაკუთვნა აგრეთვე თამარ ხითარიშვილს. გურამ ხითარიშვილმა სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება ქონების გაყოფის თაობაზე გაასაჩივრა ზემდგომ ორგანოებში იმ მოტივით, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას და გაყოფის შემთხვევაში უნდა განაწილდეს თანაბრად.

სწორია თუ არა გურამ ხითარიშვილის მოთხოვნა?

1. სწორია, ვინაიდან სასამართლომ ბავშვები მიაკუთვნა თამარ ხითარიშვილს და ქონების გაყოფისას უნდა დაერღვია მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისი.

2. სწორია, ვინაიდან სასამართლოს არ ჰქონდა უფლება გადაეხვია მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან.
3. არ არის სწორი, ვინაიდან სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინებით.
4. სწორია, ვინაიდან იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

№ 17

ქორწინებაში მყოფი მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ ქორწინებაში შეძენილი ქონების თანაბარ წილად გაყოფაზე, რისთვისაც მიმართეს სასამართლოს. მათი შეუთანხმებლობის ძირითად საგანს წარმოადგენდა პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები, რომლითაც სარგებლობდა ერთ-ერთი მეუღლე. სასამართლომ აღნიშნული ნივთები მიაკუთვნა მეუღლეს, რომელიც სარგებლობდა ამ ნივთებით.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. არ არის სწორი, რადგან სასამართლოს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთების ერთ-ერთი მეუღლისათვის მიკუთვნებასთან ერთად, უნდა ემსჯელა მეორე მეუღლისათვის ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაციის თაობაზე.
2. არ არის სწორი, რადგან მეუღლეებს ევალებოდათ პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებზე თვითონ მოეხდინათ შეთანხმება.
3. სწორია, რადგან კანონით პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები, თუნდაც ქორწინების პერიოდში იყო შეძენილი მეუღლეთა საერთო თანხებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება.
4. არ არის სწორი, რადგან მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება, მისი დანიშნულების მიუხედავად, არ შეიძლება მიეკუთვნოს ერთ-ერთ მეუღლეს.

№ 18

ზურა და ნინო ქაშაკაშვილებმა ერთად ცხოვრების დროს ოჯახის მიზნებისათვის შეიძინეს ძვირად ღირებული ნივთები, რისთვისაც ზურაბმა აიღო ვალი – 5 000 ლარის ოდენობით. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სასამართლომ ზურაბს დააკისრა საერთო ქონებიდან ვალის დაფარვა.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. არ არის სწორი, ვინაიდან სასამართლომ უნდა დაედგინა მეორე მეუღლის დამოკიდებულება აღებული ვალების მიმართ.
2. სწორია, ვინაიდან მეუღლეები თანაბრად აგებენ პასუხს, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის.
3. სწორია, ვინაიდან ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს საერთო ქონებიდან, რადგან საქმის ვითარებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ვალები გამოყენებული იყო მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის.
4. არ არის სწორი, ვინაიდან ზურაბი პასუხს აგებს მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონებიდან და თანასაკუთრებაში მისი წილიდან.

№ 19

არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ნინოსა და კობას გაუჩნდათ ბავშვი. კობამ უარი განაცხადა ნებაყოფლობით ბავშვის მამად ცნობის თაობაზე. ნინომ მიმართა სასამართლოს, რათა დაედგინა მისი შვილის მიმართ კობას მამობა. სასამართლომ უარი თქვა სარჩელის მიღებაზე და მიუთითა, რომ ამისათვის ნინოს უნდა მიემართა საროსათვის.

სწორია თუ არა სასამართლოს მითითება?

1. არ არის სწორი, ვინაიდან სარო-ში მამობის დადგენა დაიშვება არარეგისტრირებული ქორწინებაში მყოფი პირების ერთობლივი განცხადებით.
2. არ არის სწორი, ვინაიდან არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სასამართლოში.
3. სწორია, ვინაიდან სასამართლოს მიერ დაუშვებელია მამობის დადგენა იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის საეარაუდო მამა უარს აცხადებს ნებაყოფლობით მამობის აღიარებაზე.
4. სწორია, ვინაიდან არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა მამობის დადგენა ხდება მხოლოდ სარო-ში.

№ 20

თენგიზმა და რუსუდანმა ბავშვის შვილად აყვანის მიზნით მიმართეს თვითმმართველობის (მმართველობის) ადგილობრივ ორგანოს, რომელმაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ. განმარტეთ, რა შეცდომები იყო დაშვებული შვილად აყვანის დროს?

1. შვილად აყვანის მიზნით, თენგიზსა და რუსუდანს უნდა მიემართათ სარო-სათვის.
2. შვილად აყვანის დროს შეცდომები არ იყო დაშვებული.
3. შვილად აყვანის მიზნით, თენგიზსა და რუსუდანს უნდა მიემართათ სასამართლოსათვის.
4. მმართველობის (თვითმმართველობის) ადგილობრივ ორგანოს თვითონ არ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რისთვისაც საქმე უნდა გადაეგზავნა სასამართლოში.

№ 21

მაკა და ნიკა ნაკაშიძეებმა ბავშვის აყვანის მიზნით მიმართეს სასამართლოს, რომელმაც კანონის მოთხოვნათა დაცვით, გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ. ერთი წლის შემდეგ, როდესაც მათი შვილი სასკოლო ასაკის გახდა, მშობლებმა, ბავშვის დაბადების მოწმობის ნაცვლად, დირექტორს წარუდგინეს სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ. სკოლის დირექტორმა უარი განუცხადა ბავშვის სკოლაში მიღებაზე ამ დოკუმენტით და მოითხოვა ბავშვის დაბადების მოწმობა.

სწორია თუ არა დირექტორის მოთხოვნა?

1. სწორია, ვინაიდან შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სარო-ში, რის საფუძველზეც უნდა გაიცეს ბავშვის დაბადების მოწმობა.
2. არ არის სწორი, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს საბოლოო დოკუმენტს შვილად აყვანისათვის.
3. სწორია, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად, მშობლებს დირექციაში უნდა წარუდგინათ ბავშვის დაბადების მოწმობა.
4. არ არის სწორი, ვინაიდან სკოლის დირექტორს არ ჰქონდა ასეთი დოკუმენტის მოთხოვნის უფლება.

№ 22

რომელი წლის ასაკამდე ენიშნებათ არასრულწლოვანებს მეურვე?

1. ათი წლის ასაკამდე.
2. თხუთმეტი წლის ასაკამდე.
3. შვიდი წლის ასაკამდე.
4. თვრამეტი წლის ასაკამდე.

№ 23

რომელი ორგანოები განეკუთვნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს?

1. მმართველობის (თვითმმართველობის) ადგილობრივი ორგანოები.
2. განათლების ადგილობრივი ორგანოები.
3. ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები.
4. სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები.

№ 24

ვინ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ?

1. პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუნარიანად.
2. პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა ამ მოვალეობას.
3. მშვილებელი, თუ შვილად აყვანა გაუქმდა იმის გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა მშვილებლის მოვალეობას.
4. სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ჩამორთმეული არ აქვს მშობლის უფლება, თუ შვილად აყვანა გაუქმებული არ არის მისი, როგორც მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებით და გათავისუფლებული არ არის მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან, მათი არაჯეროვნად შესრულებისათვის.

№ 25

დაიშვება თუ არა თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთა დაქორწინება?

1. არა, რადგანაც მათი ქმედუნარიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია.
2. დიახ, თუ ერთ-ერთი მაინც დასაქორწინებელ პირთაგან სრულწლოვანია.

3. დიახ, თუ მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ განაცხადებენ წერილობით თანხმობას.
4. არა, ვინაიდან საქორწინო ასაკად კანონით დაწესებულია თვრამეტი წელი.

№ 26

ანა გედევანიშვილმა დავით კავსაძესთან ქორწინების პეიროლში შეიძინა საცხოვრებელი სახლი, რომელიც რეგისტრირებულ იქნა დავით კავსაძის სახელზე.

დავით კავსაძემ მიიჩნია, რომ სახლის მის სახელზე რეგისტრაცია მას უფლებას აძლევდა გაესხვისებინა იგი, მისი მეუღლის ანას თანხმობის გარეშე, მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების დამოწმება. ნოტარიუსმა მეუღლის წერილობითი თანხმობის გარეშე დაამოწმა ხელშეკრულება. აღნიშნულის თაობაზე გაიგო ანა გედევანიშვილმა, მიმართა სასამართლოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი.

რა შეცდომა დაუშვა ნოტარიუსმა?

1. ნოტარიუსის მოქმედება სწორია.
2. ნოტარიუსმა არ მოითხოვა ანა გედევანიშვილის წერილობითი თანხმობა იმ მიზეზით, რომ სახლი რეგისტრირებული იყო დავით კავსაძის სახელზე და წარმოდგენდა მის საკუთრებას.
3. ნოტარიუსის მოქმედება არ არის სწორი, ვინაიდან იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაში შედის, ხორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით, იმისდა მიუხედავად, თუ ვის სახელზეა რეგისტრირებული იგი და რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას.
4. ნოტარიუსის მოქმედება სწორია, ვინაიდან ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია განკარგოს თანასაკუთრებაში არსებული ქონება მეუღლის თანხმობის გარეშე.

№ 27

ეკა სურგულაძემ და მისმა მეუღლემ – გია ბურდულმა დადეს საქორწინო ხელშეკრულება. გარკვეული დროის შემდეგ გია ბურდულმა მოითხოვა ეკა სურგულაძესთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა, რაზედაც ეკა სურგულაძემ უარი განაცხადა.

აქვს თუ არა უფლება გია ბურდულს ცალმხრივად განაცხადოს უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე?

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით.
2. ერთ-ერთი მეუღლის (მხარის) მოთხოვნით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.
3. ქორწინების შეწყვეტამდე არ დაიშვება საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა.
4. ერთ-ერთ მეუღლეს უფლება აქვს ცალმხრივად თქვას უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე.

№ 28

შეიძლება თუ არა შეიცვალოს საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები?

1. საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა, მისი სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ დაუშვებელია.
2. შეიძლება, ნებისმიერ დროს, დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ პატივსაღები მიზეზების არსებობისას.
3. შეიძლება, ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით.
4. არ შეიძლება, ვინაიდან კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შეცვლას.

თამარ ლაცაბიძე დანიშნული იყო 7 წლის დათო მურუსიძის მეურვედ, რომლის ათი წლის ასაკის მიღწევისას, დათოს ბებიის მიერ დანატოვარი ქონების შემკვიდრეობით მიღებისათვის, მან მიმართა ნოტარიუსს. ნოტარიუსმა უარი განუცხადა თამარ ლაცაბიძეს, გაეცა შემკვიდრეობა დათო მურუსიძეზე იმ მოტივით, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ იგი დანიშნული არ იყო დათო მურუსიძის მზრუნველად.

სწორია თუ არა ნოტარიუსის მოქმედება?

1. სწორია, ვინაიდან თამარ ლაცაბიძეს ნოტარიუსისათვის უნდა წარედგინა მისი მზრუნველად დანიშვნის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება.
2. არ არის სწორი, ვინაიდან კანონით არასრულწლოვანი პირის შვიდი წლის ასაკს მიღწევა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე, ავტომატურად იწვევს მეურვის გახდომას მზრუნველად.
3. სწორია, ვინაიდან თამარ ლაცაბიძე არ შეეძლო ყოფილიყო დავით მურუსიძის მზრუნველი, რადგან იგი უკვე იყო მისი მეურვე.
4. არ არის სწორი, ვინაიდან მას სამკვიდრო მოწმობის გაცემისათვის, საერთოდ არ ესაჭიროებოდა მეურვისა და მზრუნველის თანხმობა.

№ 30

სამზრუნველო პირის გარდაცვალება იწვევს მზრუნველობის შეწყვეტას. რა დოკუმენტია საჭირო აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად?

1. სამზრუნველო პირის გარდაცვალების მოწმობა.
2. მზრუნველის თანხმობა მზრუნველობის შეწყვეტაზე.
3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება.
4. სასამართლოს გადაწყვეტილება მზრუნველის მოვალეობიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

№ 31

16 წლის თვა რუსიტიტაშვილი კანონის მოთხოვნათა დაცვით, დაქორწინდა 25 წლის თამაზ გამცემლიძეზე, რის გამოც იგი გახდა ქმედუნარიანი. ერთი წლის შემდეგ მათი ქორწინება შეწყდა კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

იმოქმედებს თუ არა განქორწინება თვა რუსიტიტაშვილის ქმედუნარიანობაზე?

1. განქორწინება არასრულწლოვანი თვა რუსიტიტაშვილის მიმართ ავტომატურად იწვევს ქმედუნარიანობის დაკარგვას.
2. განქორწინება არ მოქმედებს არასრულწლოვანის მიერ ქორწინებით შეძენილ ქმედუნარიანობაზე, ქორწინების ბათილად ცნობის გარდა.
3. არასრულწლოვანის განქორწინება არც ერთ შემთხვევაში არ მოქმედებს მის ქმედუნარიანობაზე.
4. არასრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა განქორწინებული მეუღლის თანხმობა.

№ 32

ლამარა დიდებულიძემ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ განიზრახა მასთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვანი შვილისათვის გვარის გამოცვლა, რისთვისაც მიმართა სასამართლოს, სასამართლომ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გვარის გამოცვლა დაუშვებელია.

სწორია თუ არა სასამართლოს უარი?

1. არ არის სწორი, რადგან ამისათვის საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა.
2. სწორია, რადგან გვარის გამოცვლისათვის საჭიროა ცალკე მცხოვრები მშობლის წერილობითი თანხმობა.
- 3, არ არის სწორი, რადგან მშობლებს, რომლებთანაც

არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ შვილის ინტერესების შესაბამისად მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ.

4. არ არის სწორი, რადგან ასეთ შემთხვევაში საკმარისია სარო-ს წერილობითი თანხმობა.

№ 33

მარინე კუჭუხიძისა და შალვა მგელაძის ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შალვა მგელაძე იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში ვინმე ქეთევან ჭაფოძესთან, რომელმაც სასამართლოში შეიტანა სარჩელი მ. კუჭუხიძისა და მისი ყოფილი მეუღლის შალვა მგელაძის ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რის შემდგომაც მ. კუჭუხიძემ შ. მგელაძისგან მოითხოვა სარჩოს მიღება. სასამართლომ უარი განუცხადა ამგვარ მოთხოვნაზე.

სწორია თუ არა სასამართლოს უარი?

1. სწორია, რადგან ქორწინების ბათილად ცნობა იწვევს მეუღლეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტას ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.
- 2, არ არის სწორი, რადგან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს, იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება.
3. სწორია, რადგან ამისათვის აუცილებელია, რომ კეთილსინდისიერი მეუღლე იყოს შრომისუუნარო.
4. არ არის სწორი, რადგან სასამართლოს შეუძლია კეთილსინდისიერი მეუღლის სასარგებლოდ, მეორე მეუღლეს დააკისროს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

№ 34

გია პატარიძემ და მედეა ნინუამ განქორწინებასთან ერთად სასამართლოს წინაშე დააყენეს სარჩელი ქონების გაყოფის თაობაზე, ისინი სადავოს ხდიდნენ მათი არასრულწლოვანი შვილის სახელზე რიცხული მემკვიდრეობით მიღებული სახლის გაყოფას. სასამართლომ უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სწორია თუ არა სასამართლოს უარი?

1. არ არის სწორი, რადგან ასეთ შემთხვევაში საკმარისია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა.
2. სწორია, რადგან არასრულწლოვანი ბავშვების სახელზე არსებული ქონება არ განეკუთვნება მეუღლეთა თანასაკუთრებას.
3. სწორია, რადგან ასეთი ქონების გაყოფა არ დაიშვება იმ მოტივით, რომ იგი ავტომატურად ხდება იმ მეუღლის საკუთრება, ვისთანაც საცხოვრებლად დარჩება არასრულწლოვანი შვილი.
4. არ არის სწორი, რადგან სასამართლო ვალდებულია განქორწინებასთან ერთად იმსჯელოს და დააკმაყოფილოს იმ შშობლის მოთხოვნა, რომელიც ითხოვს არასრულწლოვანი შვილის სახელზე რიცხული საკუთრების მისთვის გადაცემას.

№ 35

რუსუდან კიკვიძის სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა მისი მეუღლე პეტრე ნაკაშიძე. რუსუდანმა მოცემულის საფუძველზე განცხადებით მიმართა სარო-ს განქორწინების თაობაზე და განქორწინდა კიდევ. ერთი წლის შემდეგ სახლში დაბრუნდა პეტრე ნაკაშიძე, რომელმაც ფაქტობრივად გააგრძელა თანაცხოვრება მის მეუღლესთან. რუსუდან კიკვიძის გარდაცვალების შემდეგ, პეტრე ნაკაშიძემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს გარდაცვლილი მეუღლის მიმართ სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ. ნოტარიუსმა განუმარტა, რომ სამკვიდრო გაიცემოდა მხოლოდ

იმ პერიოდში შეძენილ ქონებაზე, რომელიც მათ შეიძინეს განქორწინებამდე. პ. ნაკაშიძემ ნოტარიუსის უარი გაასაჩივრა სასამართლოში, რომელმაც დაადასტურა ნოტარიუსის პასუხი.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. არ არის სწორი, რადგან პ. ნაკაშიძე და რუსუდან კიკვიძე მის გარდაცვალებამდე ერთად ცხოვრობდნენ.
2. სწორია, რადგან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე, რომელთანაც ქორწინება შეწყვეტილი იყო ამ საფუძველზე, განქორწინების მომენტიდან არ შეიძლება ჩაითვალოს მეუღლედ, მათი ფაქტობრივად ერთად ცხოვრების მიუხედავად.
3. არ არის სწორი, რადგან ასეთ შემთხვევაში სამკვიდროს მისაღებად საკმარისია სხვა მემკვიდრეთა წერილობითი თანხმობა.
4. სწორია, რადგან პ. ნაკაშიძის მიმართ უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული.

№ 36

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ სარჩელით მიმართა სასამართლოს შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც გააუქმა საოლქო სასამართლომ იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო კანონის მოთხოვნა.

რა აუცილებელი მოთხოვნა დაირღვა სასამართლოში?

1. არ იყო მშობლების თანხმობა შვილად აყვანის ბათილად ცნობისათვის.
2. არ იყო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა.
3. არ იყო პროკურორის თანხმობა.
4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს არა აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს შვილად აყვანის ბათილად ცნობის თაობაზე.


რედაქტორი *ნათელა ჩიკვაშვილი*
ტექ. რედაქტორი *ინგა ნავროზაშვილი*
კორექტორი *მარინე კილაძე*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.04.04.
ნაბეჭდი თაბახი 33,75
ოფსეტური ქაღალდი N 1, 60X84, 1/16
შეკვეთა N 80, ტ. 1000

ფასი სახელშეკრულებო

ავტორი მადლობას უხდის შ.პ.ს. „ცენტრის“
დირექტორს, ბატონ ილია მოსიაშვილს
წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. 112



შალვა ლაშვილის კი ჩიკვაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი. 1952 წელს

დაამთავრა ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტი. 1960 წლიდან 1967 წლამდე იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წევრი. 1956 წელს ქ. მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1966 წელს — სადოქტორო დისერტაცია. არის 300 სამეცნიერო ნაშრომის, 36 სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის ავტორი.

შალვა ჩიკვაშვილი მიეკუთვნება იმ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხვს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს იურიდიული მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგის — საბინაო სამართლის ჩამოყალიბებას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ძალიან მნიშვნელოვანია მისი როლი საქართველოში სამოქალაქო, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის მეცნიერების განვითარებაში. შალვა ჩიკვაშვილის ბიოგრაფია შეტანილია დიდ ქართულ და რუსულ ენციკლოპედიებში. მის მრავალ ფუნდამენტურ ნაშრომთა შორის გამოიჩინება:

1. Жилищно-строительная кооперация в СССР, Москва, 1965 г.

2. Личные и имущественные правоотношения в жилищных кооперативах. Москва, 1973 г.

3. Имущественные отношения в семье, Москва, 1976 г.

4. საბინაო სამართალი. თბილისი, 1989 წ. (ქართულ და რუსულ ენებზე).

5. საოჯახო სამართალი. თბილისი, 1998 წ., 2000 წ.

6. მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, 1998 წ., 2000 წ., 2001 წ.

7. მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში. თბილისი, 1999 წ.

8. მასშტაბის მემკვიდრეობა მორალური ზიანისათვის. თბილისი, 2003 წ.